

გელა ირემაძე

საერთაშორისო ურთიერთობების
თეორია

8 ათუმი 2012

შინაარის

თავი I

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საფუძვლები

თავი II

საერთაშორისო ურთიერთობების ობიექტი და საგანი

თავი III

მეთოდის პრობლემა საერთაშორისო ურთიერთობებში

თავი IV

საერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერება

თავი V

საერთაშორისო სისტემა

თავი VI

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემების გარემო

თავი VII

საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეთა მიზნები და საშუალებები

თემა VIII

კონფლიქტები და თანამშრომლობა საერთაშორისო ურთიერთობებში

თემა IX

საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირების სამართლებრივი პრობლემა

თემა X

საერთაშორისო ურთიერთობების ეთიკური განზომილებ

თავი XI

საერთაშორისო წესრიგი

თავი I

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული საფუძვლები

საერთაშორისო ურთიერთობები – ესაა მეცნიერების შემადგენელი ნაწილი, რომელიც მოიცავს დიპლომატიის ისტორიას, საერთაშორისო სამართალს, მსოფლიო ეკონომიკას, სამხედრო სტრატეგიას და სხვა დისციპლინებს, რომლებიც შეისწავლიან მათთვის ერთი ობიექტის სხვადასხვა ასპექტებში. მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიას“, რომლის ქვეშაც იგულისხმება მრავალი კონცეპტუალური განზომილებების ერთობლიობა. ის წარმოადგინეს მოპაექრე თეორიულმა სკოლებმა და შეადგენს ავტონომიური დისციპლინის საგნობრივ არეს. იმ აზრით როგორც სტენლი ჰოფმანი ხაზგასმით აღნიშნავს (შეფასების შკალას წარმდგენი ირჩევს თავისი შეხედულებისამებრ), „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“ ერთდროულად არის ძალიან ბებერი და ძალიან ახალგაზრდაც. უძველესი დროიდან პოლიტიკური ფილოსოფია და ისტორია სვამდა კითხვებს კონფლიქტებისა და ომის მიზეზების საკითხებზე, ხალხთა შორის მშვიდობისა და წესრიგის საშუალების შესახებ, მათი ურთიერთობების წესებზე და ა.შ. ამიტომ ის წარმოადგენს ძველს, მაგრამ ამავე დროს ის ახალგაზრდაცაა – როგორც დასაკვირვებელი ფენომენის სისტემური შესწავლა, რომელიც მოწოდებულია გამოავლინოს მთავარი დეტერმინანტები, საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეებს შორის გახსნას ტიპური განმეორებადი ურთიერთობები. ასეთ შესწავლას მიეკუთვნება ძირითადად ომის შემდგომი პერიოდი. მხოლოდ 1945 წლის შემდეგ „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“ „დამხრჩობი“ ისტორიისაგან ნამდვილ გათავისუფლებას იწყებს. ფაქტობრივად ამავე პერიოდში ჩნდება მისი „სოციოლოგიზაციის“ პირველი ცდები, რომლებიც შემდგომში (XX ს. 50–60იანი წლების მიჯნაზე) მივიდა (გრძელდება ამ

დრომდეც) სოციოლოგიური საერთაშორისო ურთიერთობების ჩამოყალიბებამდე, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინისა.

ნათქვამიდან გამომდინარე, საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული სათავეების კონცეპტუალური საფუძვლების გააზრება გულისხმობს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკური მეცნიერების წინამორბედების შეხედულებებისადმი მიმართვას, დღეისათვის შედარებით გავლენიანი თეორიული სკოლების და მიმართულებების გადახედვას, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების ახლანდელი სოციოლოგიის ანალიზს.

1. საერთაშორისო ურთიერთობები სოციალურ-პოლიტიკურ აზრში ერთ-ერთი პირველი წერილობითი წყაროებიდან, რომელიც მოიცავს სუვერენულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის ურთიერთობის ღრმა ანალიზს, იყო 2000 წელზე მეტი ხნის წინ დაწერილი. თუკი დიდეს (471–401 ჩვ.წ.) „პელოპონესის ომების ისტორია“ 8 წიგნად. ძველი ბერძენი ისტორიკოსის ბევრ დებულებას და დასკვნას დღემდე არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა, რაც მისივე სიტყვებით მტკიცდება, როცა ამბობს რომ მისი ნაშრომი „არის არა იმდენად დროებითი მსმენელებისთვის შეჯიბრების საგანი, რამდენადაც საუკუნეების საკუთრება“, სვამდა კითხვას ათენელებსა და ლაკედემონელებს შორის მრავალწლიანი და მომქანცველი ომის მიზეზების შესახებ. ისტორიკოსი ყურადღებას აპყრობს იმას, რომ ესენი იყო შედარებით ძლიერი და აყვავებული ხალხი, ყოველი მათგანი ბატონობდა თავის მოკავშირეებზე. ასევე ის აღნიშნავდა, რომ „მიდიის ომებიდან მოყოლებული უკანასკნელამდე ისინი ხან რიგდებოდნენ, ხან იბრძოდნენ ერთმანეთთან ან ჩამოშორებულ მოკავშირეებთან, ხელოვნდებოდნენ სამხედრო საქმეში, ხიფათებში იწაფებოდნენ და ოსტატდებოდნენ. რამდენადაც ორივე ძლიერი სახელმწიფო გადაიქცა იმპერიად, ამდენად ერთ-ერთი მათგანის გაძლიერება იწვევდა მათ თავგანწირვას იმ გზის გასაგრძელებლად, რომ დაემორჩილებინათ ირგვლივ გარემოცვა და შეენარჩუნებინათ პრესტიჟი და გავლენა. თავის მხრივ, სხვა „იმპერია“, ისევე როგორც შედარებით

მსხვილი ქალაქ-სახელმწიფოები განიცდიდნენ შიშსა და შემფოთებას ასეთი გაძლიერების გამო, თავდაცვის გასაძლიერებლად ლეზულობდნენ ღონისძიებებს და ამით ებმებოდნენ კონფლიქტების ციკლში, რომელიც საბოლოოდ აუცილებლად გადაიზრდებოდა ომებში. ამიტომ თუკიდიდემ თავიდანვე გამოყო პელოპონესის ომის მიზეზები მისი მრავალსახოვანი საბაზებიდან: „ჭეშმარიტი მიზეზი, თუმცა შემცირებული, ჩემი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ ათენელები თავიანთი გაძლიერებით ჩაუნერგავდნენ ლაკედომონელებს შიშს და ისინი მიჰყავდა ომისკენ“.

თუკიდიდე საუბრობს სუვერენულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის ურთიერთობებში არა მხოლოდ ძალის ბატონობის შესახებ. მის ნაშრომში ნახსენებია სახელმწიფოს ინტერესები, ასევე ამ ინტერესების პრიორიტეტულობა პიროვნების ინტერესებზე. ამიტომ ითვლება ის ერთ-ერთ შედარებით ყველაზე გავლენიანი მიმართულების ფუძემდებლად უფრო გვიანდელ წარმოდგენებში და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ თანამედროვე მეცნიერებაში.

შემდგომში ამ მიმართულებამ, რომელმაც მიიღო სახელწოდება კლასიკური ან ტრადიციული და წარმოდგენილი იყო ნიკოლო მაკიაველის (1469–1527), თომას ჰობსის (1588–1679), ემერიკა დე ვატელის (1714–1767) და სხვა მოაზროვნეების შეხედულებებში, მიიღეს უფრო დასრულებული ფორმა გერმანელი გენერლის კარლ ფონ კლაუზევიცის (1780–1831) ნაშრომში. დ.ჰობსი გამოდის იქედან, რომ ადამიანი თავისი ბუნებით ეგოისტი არსებაა. მასში დაფარულია ძალაუფლების სურვილი. რამდენადაც ადამიანები თავიანთი ბუნებით არ არიან თანასწორნი უნარებში, იმდენად მათი მეტოქეობა, ურთიერთუნდობლობა, პრესტიჟისკენ, დიდებისკენ, მატერიალური სიკეთის ფლობისკენ მისწრაფება იწვევს მუდმივ ომს ყველასა და ყოველი მათგანის წინააღმდეგ, რომელიც წარმოადგენს ადამიანური ურთიერთობების ბუნებრივ მდგომარეობას. ამ ომში ურთიერთგადანდგურების თავიდან ასაცილებლად ადამიანები მიდიან საზოგადოებრივი შეთანხმების დადების აუცილებლობამდე, რომლის შედეგად წარმოიშობა სახელმწიფო

– ლევიანა. ეს ხდება ადამიანების მიერ სახელმწიფოსთვის თავიანთი უფლებებისა და თავისუფლებების ნებაყოფლობით გადაცემის გზით, საზოგადოებრივი წესრიგის, მშვიდობისა და უსაფრთხოების სანაცვლოდ. თუ ცალკეულ ადამიანებს შორის ადამიანები ხვდებიან ისეთ კალაპოტში, თუნდაც ხელოვნურად და შეფარდებით, მაგრამ სამოქალაქო მდგომარეობა, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები ბუნებრივ მდგომარეობაშია; მომავალში დამოუკიდებელი სახელმწიფოები არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი არანაირი შეზღუდვებით. ყოველ მათგანს ეკუთვნის ის, რისი დაპყრობაც შეუძლია და მანამდე სანამ შეუძლია შეინარჩუნოს დაპყრობილი; სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ერთადერთი „რეგულატორი“ არის ძალა, ხოლო ამ ურთიერთობების მონაწილეები არიან გლადიატორების მდგომარეობაში, რომლებსაც აქვთ იარაღი და ფიზიკურად ადევნებენ თვალს ერთმანეთის მოქმედებას.

ამ პარადიგმების მრავალსახეობას წარმოადგენს პოლიტიკური წონასწორობის თეორია, რომელსაც მიეკუთვნებოდნენ, მაგალითად, ჰოლანდიელი მოაზროვნე ბარუხ სპინოზა (1632–1677), ინგლისელი ფილოსოფოსი დავიდ იუმი (1711–1776), ასევე ზევით ნახსენები შვეიცარიელი იურისტი ემერიკ დე ვატტელი. დე ვატტელის შეხედულება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების არსზე არც ისე ბუნდოვანია, როგორც ჰობსის შეხედულება. მისი აზრით სამყარო შეიცვალა უკიდურესად. „ევროპა“ წარმოადგენს რაღაც მთლიან პოლიტიკურ სისტემას, რომელშიც ყველა ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან სამყაროს ამ ნაწილში მცხოვრები ერების სხვადასხვა ინტერესებით და ურთიერთობებით. ის არ წარმოადგენს, როგორც ოდესღაც იყო, უწესრიგოდ დაზვიანულ ცალკეულ ნაწილებს, რომელთაგან ყოველი თავს თვლიდა სხვისი ბედით ნაკლებად დაინტერესებულად და იშვიათად ზრუნავდა იმაზე, რაც მას არ ეხებოდა უშუალოდ სუვერენული სახელმწიფოების მუდმივი ყურადღება ყველაფრისადმი, რაც ევროპაში ხდება.

განხილულ მიმართულებას ყოველთვის ახლდა ადამიანებს შორის მუდმივი მშვიდობის მიღწევის შესაძლებლობაში დარწმუნებულობა ან საერთაშორისო ურთიერთობების სამართლებრივი და მორალური რეგულირების გზით, ან სხვა გზებით, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ისტორიული აუცილებლობის თვითრეალიზაციასთან.

ე.კანტის მიხედვით მაგალითად, მსგავსად იმისა, როგორც ცალკეულ ადამიანებს შორის წინააღმდეგობრივი და ანგარებიანი ურთიერთობები იწვევენ სამართლებრივი საზოგადოების ჩამოყალიბებას, ასევე სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები უნდა შეიცვალოს მშვიდობის მუდმივი ჰარმონიის რეგულირებით, რამდენადაც ამ მიმართულების წარმომადგენლები აპელირებენ არა იმდენად არსებითს, არამედ აუცილებელს. გარდა ამისა, ემყარებიან შესაბამის ფილოსოფიურ იდეებს, რომლებსაც იდეალისტურს უწოდებენ.

XIX საუკუნის შუა ხანებში წარმოშობილმა მარქსიზმმა გამოაცხადა საერთაშორისო ურთიერთობების შეხედულებებზე კიდევ ახალი პარადიგმის გაჩენის შესახებ, რომელიც არ უერთდება იდეალისტურ მიმართულებას. კ. მარქსის თანახმად, მსოფლიო ისტორია იწყება კაპიტალიზმით, რამეთუ კაპიტალისტური წარმოების საფუძველს წარმოადგენს მსხვილი მრეწველობა, რომელმაც შექმნა ერთიანი მსოფლიო ბაზარი, ტრანსპორტისა და კავშირების საშუალებების განვითარება. ბურჟუაზია მსოფლიო ბაზრის ექსპლუატაციის გზით ყველა ქვეყნის წარმოებას და მოხმარებას გადააქცევს კოსმოპოლიურად და ხდება გაბატონებული კლასი არა მხოლოდ ცალკეულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, არამედ მსოფლიო მასშტაბებით თავის მხრივ, იმავე ხარისხით, როგორითაც ვითარდება ბურჟუაზია, ე.ი. კაპიტალი, ვითარდება პროლეტარიატიც. საერთაშორისო ურთიერთობები, ეკონომიკური თვალსაზრისით, ხდება ექსპლუატაციის ურთიერთობები, პოლიტიკური თვალსაზრისით, ისინი ხდებიან ბატონობისა და დაქვემდებარების ურთიერთობებად, როგორც კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციის შედეგი, ამიტომ ნაციონალური ინტერესები მეორადია,

რამეთუ ობიექტური კანონები ხელს უწყობენ მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას, რომელშიც კაპიტალისტური ეკონომიკა; მის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს კლასობრივი ბრძოლა და პროლეტარიატისთვის მსოფლიო ისტორიული მისია.

„ნაციონალური განკერძოება და ხალხთა დაპირისპირება – წერდნენ კ.მარქსი და ფრ. ენგელსი– სულ უფრო და უფრო ქრებიან ბურჟუაზიის თავისუფალი ვაჭრობის მსოფლიო ბაზრისა და ერთსახოვანი სამრეწველო წარმოებისა და მათი შესაბამისი ცხოვრების პირობების განვითარებისას.“

თავის მხრივ ვ.ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კაპიტალიზმი თავისი განვითარების მონოპოლისტურ სტადიაში ტრანსფორმირდებოდა იმპერიალიზმად. ნაშრომში „მატერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის მაღალი სტადია“– ის წერდა, რომ მონოპოლისტებს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური გადანაწილების ეპოქის დასრულებით, წინა პლანზე გამოდის მონოპოლიებს შორის მისი ეკონომიკური განაწილების პრობლემა. მონოპოლიები ეჯახებიან მუდმივად გამწვავებულ ბაზრების პრობლემას: შედარებით განვითარებულ ქვეყნებში მაღალი მოგების ნორმით კაპიტალის ექსპორტის აუცილებლობას. ისინი ეჯახებიან ერთმანეთს მკაცრი კონკურენციის გამო. ზემოთ ნახსენები აუცილებლობა ხდება მსოფლიოს პოლიტიკური კრიზისების, ომი და რევოლუციის წყარო.

საერთაშორისო ურთიერთობებზე მეცნიერებაში ძირითადი თეორიული პარადიგმები– კლასიკური, იდეალისტური და მარქსისტული– მთლიანობაში დღესაც რჩებიან აქტუალურებად.

2. საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე თეორიები

საერთაშორისო ურთიერთობებზე მეცნიერებაში არსებობს თანამედროვე მიმდინარეობების მრავალი კლასიფიკაცია, რაც აიხსნება სხვაობით კრიტერიუმებში, რომლებსაც იყენებენ ესა თუ ის ავტორები.

ერთნი გამოდიან გეოგრაფიული კრიტერიუმებიდან, გამოყოფენ ანგლო–საქსონურ კონცეფციას, საერთაშორისო ურთიერთობებზე საბჭოთა

და ჩინურ გაგებას, ასევე მისი შესწავლისადმი იმ ავტორების მიდგომას, რომლებიც წარმოადგენენ „მესამე სამყაროს“.

სხვები თავიანთ გიპოლოგიას აგებენ განხილული თეორიების ერთობის ხარისხის საფუძველზე, განასხვავებენ, მაგალითად, გლობალურ ექსპლიკატიურ თეორიებს (როგორებიცაა პოლიტიკური რეალიზმი და ისტორიის ფილოსოფია), კერძო ჰიპოთეზებს და მეთოდებს (რომლებსაც მიაკუთვნებენ ბიხევიორისტულ სკოლას). მსგავსი ტიპოლოგიის ჩარჩოებში შვეიცარიელი ავტორი ფილიპ ბრაიარი მიაკუთვნებს საერთო თეორიის პოლიტიკურ რეალიზმს, ისტორიულ სოციოლოგიას და საერთაშორისო ურთიერთობების მარქსისტულ-ლენინურ კონცეფციას. რაც შეეხება კერძო თეორიებს, მათ შორის ასახელებენ საერთაშორისო აქტორების თეორია (ბაგატ კორანი). საერთაშორისო სისტემების ჩარჩოებში ურთიერთმოქმედების თეორია (ჯორჯ მოდელსკი, სამირ ამინი, კარლ კაიზერი); სტრატეგიების, კონფლიქტების და მშვიდობის კვლევის თეორიები (ლუსიენ პუარე, დევიდ სინგერი, იორან გალუნგი); ინტეგრაციის თეორიები (ამიტან ეტციონი, კარლ დოიჩი). საერთაშორისო ორგანიზაციების თეორიები (ინის კლოდ ჟან სიოტის, ერნსტ ხასს).

მესამენი თვლიან, რომ მთავარ წყალგამყოფს წარმოადგენს მეთოდი, რომელსაც იყენებენ ესა თუ ის მკვლევარები და ამ თვალსაზრისიდან მთავარ ყურადღებას უთმობენ პოლემიკას საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისადმი ტრადიციული და „მეცნიერული“ მიდგომების წარმომადგენლებს შორის.

მეოთხენი ეყრდნობიან ცენტრალური პრობლემების გამოყოფას, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ თეორიისთვის, გამოყოფენ მეცნიერების განვითარებაში მაგისტრალურ და გარდამტეხ ხაზებს.

და ბოლოს მეხუთენი ეყრდნობიან კომპლექსურ კრიტერიუმებს. კანადელი მეცნიერი ბაგატ კორანი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ტიპოლოგიას აგებს გამოყენებულ მეთოდებზე („კლასიკური“ და „მოდერნისტული“) და მშვიდობის კონცეპტუალურ დანახვაზე („ლიბერალურ-პლურალისტური“ და „მატერიალისტურ-

სტრუქტურალისტური“). საბოლოო ჯამში ის გამოყოფს ისეთ მიმართულებებს, როგორებიცაა პოლიტიკური რეალიზმი (გ.მორგენტაუ, რ.არონი, ხ.ბალი), ბიხევიორიზმი (დ.სინგერი, მ.კაპლანი); კლასიკური მარქსიზმი (კ.მარქსი, გრ.ენგელსი, ვ.ი. ლენინი) და ნეომარქსიზმი. სკოლა „დამოკიდებულება“: ი.ვალლერსტეინი, ს.ამინი, ა.ფრანკი, ფ.კარდოზო). მსგავსად, დენიელ კოლიარი თავის ყურადღებას აჩერებს „ბუნებრივი მდგომარეობის“ კლასიკურ თეორიებზე (ე.ი. „პოლიტიკურ რეალიზმზე“); საერთაშორისო თანამეგობრობის თეორიებზე (ან პოლიტიკური იდეალიზმი), მარქსისტულ იდეოლოგიურ მიმდინარეობებზე და მის მრავალრიცხოვან ინტერპრეტაციებზე, ანგლო-საქსონურ დოქტრინულ მიმდინარეობებზე, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების ფრანგულ სკოლაზე. მარსელ მერლი თვლის, რომ საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ თანამედროვე მეცნიერებაში ძირითადი მიმართულებები წარმოდგენილია ტრადიციონალისტებით-კლასიკური სკოლის მემკვიდრეების (ჰანს მორგენტაუ, სტენლ ჰოფმანი, ჰენრი კისინჯერი); ბიხევიორიზმის და ფუნქციონალიზმის ანგლო-საქსონური სოციოლოგიური კონცეფციების (რობერტ კოქსი, დევიდ სინგერი, მორტონ კაპლანი, დევიდ ისტონი); მარქსიზმისა და ნეომარქსიზმის (პოლ ბარანი, პოლ სუიზი, სამირ ამინი) მიმართულებებით.

საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე თეორიების სხვადასხვა კლასიფიკაციების მაგალითების გაგრძელება კიდევაც შესაძლებელია. მნიშვნელოვანია აღინიშნოს სამი არსებითი მდგომარეობა: 1) ასეთი კლასიფიკაცია ატარებს პირობით ხასიათს და არ შეუძლია ამოწროს საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისადმი თეორიული შეხედულებებისა და მეთოდოლოგიური მიდგომების მრავალსახეობა. 2) მითითებული მრავალსახეობა არ ნიშნავს, რომ თანამედროვე თეორიებმა შემლეს გადაელახათ „სისხლისმიერი ნათესაობა“ ზევით განხილული სამი ძირითადი პარადიგმისა. 3) მიუხედავად იმისა, რომ დღესაც გვხვდებიან საპირისპირო მოსაზრებები, არსებობს საფუძველი, რომ ვისაუბროთ ადრე

შეურიგებელ მიმართულებებს შორის სინთეზზე, ურთიერთგამდიდრებაზე და ურთიერთ „კომპრომისზე“.

ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე შემოვიფარგლებით ისეთი მიმართულებების (და მათი მრავალსახეობების) მოკლე განხილვით, როგორცაა პოლიტიკური იდეალიზმი, პოლიტიკური რეალიზმი, მოდერნიზმი, ტრანსნაციონალიზმი და ანგომარქსიზმი (ზოგჯერ ეს მიმართულება კვალიფიცირდება როგორც უტოპიზმი). თუმცა ისინი მსგავს მიზანს არ ისახავენ. მათი მიზანია სხვა საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების მიერ მიღწეული მდგომარეობის და თეორიული დონის გააზრება არსებული კონცეპტუალური მიდგომების განზოგადების და მათი შეპირისპირების გზით, რაც იყო გაკეთებული ადრე. ერთი მხრიდან თუკიდიდეს, მაკიაველის, ჰობსის, დევატტელის და კლაუზევიცის მემკვიდრეობამ, მეორე მხრივ ვიტორიას, გროციას, კანტისა, თავიანთი უშუალო ასახვა ჰპოვა იმ მსხვილ სამეცნიერო დისკუსიაში, რომელიც წარმოიშვა აშშ-ის ორ მსოფლიო ომებს შორის პერიოდში, დისკუსია რეალისტებსა და იდეალისტებს შორის.

საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ თანამედროვე მეცნიერებაში იდეალიზმს აქვს იდეურ-თეორიული სათავეები, რომელთა სახითაც გამოდიან უტოპიური სოციალიზმი, ლიბერალიზმი, პაციფიზმი. XX საუკუნეში მისი ძირითადი გზავნილია – დარწმუნება აუცილებლობასა და შესაძლებლობაში ბოლო მოედოს სახელმწიფოებს შორის ომებსა და შეიარაღებულ კონფლიქტებს, საერთაშორისო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების და დემოკრატიზაციის, მათზე ზნეობისა და სამართლიანობის ნორმების გავრცელების გზით. მოცემული მიმართულების თანახმად, დემოკრატიული სახელმწიფოების მსოფლიო თანამეგობრობას შეუძლია მოაგვაროს მის წევრებს შორის წარმოშობილი კონფლიქტები მშვიდობიანი გზით, სამართლებრივი რეგულირების მეთოდებით; საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვისა და როლის გაზრდა ხელს უწყობს ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას და გაცვლის გაფართოებას. ერთ-ერთი მისი

პრიორიტეტია კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნა, ნებაყოფლობითი განიარაღების და ომზე უარის თქმის საფუძველზე, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის ინსტრუმენტისა. პოლიტიკურ პრაქტიკაში იდეალიზმმა ასახვა ჰპოვა პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ამერიკის პრეზიდენტის ვუდრო ვილსონის მიერ დამუშავებულ, ეროვნებათა ლიგის შექმნის პროგრამაში. ბრიანაკელ გისპაკეტში (1928), რომელიც სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში ძალის გამოყენებაზე უარის თქმას ითვალისწინებდა, ასევე სტაიმსონის დოქტრინაში (1932), რომლითაც აშშ უარს ამბობდა ყოველგვარი ცვლილების დიპლომატიური აღიარებისგან, თუ ის მიღწეული იყო ძალის დახმარებით.

ომის შემდგომ პერიოდში იდეალისტურმა ტრადიციამ გარკვეული ასახვა ჰპოვა ისეთი ამერიკელი პოლიტიკოსების საქმიანობაში, როგორებიც იყვნენ სახელმწიფო მდივანი ჯონ ფ. დალესი და სახელმწიფო მდივანი ზბიგნევ ბჟეზინსკი (რომლებიც წარმოადგენდნენ თავიანთი ქვეყნის არა მხოლოდ პოლიტიკურ, არამედ აკადემიურ ელიტას), პრეზიდენტი ჯიმ კარტერი (1976–1980) და პრეზიდენტი ჯონ ბუში (1988–1992). სამეცნიერო ლიტერატურაში ის წარმოჩენილი იყო ისეთი ამერიკელი ავტორების წიგნში, როგორებიცაა ლ. კლარკი და ლ.ბ.სონი „მშვიდობის მიღწევა მსოფლიო სამართლით“. წიგნში პროექტი წამოყენებულია ეტაპობრივად, რომელიც ითვალისწინებდა განიარაღებას და კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნას მთელი მსოფლიოსთვის 1960–1980 წ.წ. პერიოდისთვის. ხალხთაშორისი ომის დაძლევისა და მუდმივი მშვიდობის მიღწევის ძირითადი ინსტრუმენტი უნდა გამხდარიყო გაერო, რომელიც მოქმედებდა დეტალურად დამუშავებული მსოფლიო კონსტიტუციის საფუძველზე. მსგავსი იდეები აქვთ გამოთქმული ევროპელ ავტორებს მთელ რიგ ნაშრომებში.

ამრიგად, იდეალისტური პარადიგმა, რომელიც თან ახლდა საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიას საუკუნეების მანძილზე, ინარჩუნებს გარკვეულ გავლენას თანამედროვეთა გონებაზეც. ისიც კი შეიძლება ითქვას, რომ ბოლო წლებში გაიზარდა მისი გავლენა

საერთაშორისო ურთიერთობების დარგში თეორიული ანალიზისა და პროგნოზირების ზოგიერთ ასპექტებზე და გარდა ამ ურთიერთობების დემოკრატიზაციისა და ჰუმანიზაციისთვის, მსოფლიო თანამეგობრობის მიერ გადადგმული ძირითადი პრაქტიკული ნაბიჯები, ასევე ცდა ახალი მსოფლიოს წესრიგის ფორმირებისა, რომელიც არც კაცობრიობის საერთო ინტერესების გამომხატველი.

აღსანიშნავია, რომ იდეალიზმი ხანგრძლივი დროის განმავლობაში (ზოგიერთ ურთიერთობაში დღევანდლამდე) ითვლებიდა ყოველგვარ გავლენადაკარგულ და ყოველ შემთხვევაში თანამედროვეობის მოთხოვნებიდან უიმედოდ ჩამორჩენილად. მართლაც მისი საფუძველი, ნორმატიული მიდგომა აღმოჩნდა შერყეული 30იან წლებში ევროპაში დაძაბულობის ზრდის, ფაშიზმის, აგრესიული პოლიტიკის და ეროვნებათა ლიგის კრახის, 1939–1945 წ.წ. მსოფლიო კონფლიქტის „ცივი ომის“ გაჩაღების შემდეგ და მომდევნო წლებში.

შედეგად ამერიკულ ნიადაგზე აღორძინდა ევროპული კლასიკური ტრადიცია, რომლის დამახასიათებელი იყო საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზში წინა პლანზე ისეთი ცნებების წამოყენება, როგორც იყო „ძალა“ და „ძალის ბალანსი“, „ნაციონალური ინტერესი“ და „კონფლიქტი“.

პოლიტიკურმა რეალიზმმა მკაცრად გააკრიტიკა იდეალიზმი დასავლეთში გამოცემულ საერთაშორისო ურთიერთობების სახელმძღვანელოებში. იდეალიზმი, როგორც დამოუკიდებელი თეორიული მიმართულება ან არ განიხილება ან წარმოადგენს პოლიტიკური რეალიზმის და სხვა თეორიული მიმართულებების ანალიზისას მხოლოდ „კრიტიკულ ფონს“.

პოლიტიკური რეალიზმის შედარებით ცნობილი წარმომადგენლებია – რეინოლს ნიბური, ფრედერიკ შუმანი, ჯორჯ კენანი, ჯორჯ შვარცენბერგერი, კენეტ ტომპსონი, ჰენრი კისინჯერი, ედუარდ კარი, არნოლდ უოლფერსი და სხვა. მათ ხანგრძლივი დროით განსაზღვრეს საერთაშორისო ურთიერთობის შესახებ მეცნიერების გზა. ამ

მიმართულების უდავო ლიდერები გახდნენ ჰანს მორგენტაუ და რეიმონ კრონი.

3. მორგენტაუს ნაშრომის „პოლიტიკური ურთიერთობები ეროვნებათა შორის. ბრძოლა ძალაუფლებისთვის“, პირველმა გამოცემამ დღის სინათლე იხილა 1948 წელს და გახდა „ბიბლია“ პოლიტოლოგი სტუდენტების მრავალი თაობისთვის როგორც აშშ–ში, ასევე დასავლეთის სხვა ქვეყნებში. 3. მორგენტაუს თვალსაზრისით საერთაშორისო ურთიერთობები წარმოადგენენ სახელმწიფოების მწვავე ურთიერთბრძოლების არენას. სახელმწიფოების მთელ საერთაშორისო საქმიანობას საფუძვლად უდევს თავიანთი ძალაუფლების შემცირება. ტერმინი „ძალაუფლება“ გაგებულა ფართო მნიშვნელობით, როგორც სახელმწიფოს სამხედრო და ეკონომიკური ძლიერება, მისი უსაფრთხოების, აყვავების, დიდებისა და პრესტიჟის გარანტია, მისი იდეოლოგიური მითითებების და სულიერი ღირებულებების გავრცელების შესაძლებლობა. ორი ძირითადი გზა, რომლითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს თავის ძალაუფლებას, ამავდროულად მისი საგარეო პოლიტიკის ურთიერთდამატებითი ასპექტი – ეს არის სამხედრო სტრატეგია და დიპლომატია. პირველი მათგანი მოიაზრება კლაუზევიცი სულისკვეთებაში როგორც პოლიტიკის გაგრძელება ძალადობრივი საშუალებებით. დიპლომატია კი პირიქით არის მშვიდობიანი ბრძოლა ძალაუფლებისთვის.

თანამედროვე ეპოქაში, ამბობს 3.მორგენტაუ, სახელმწიფოები გამოხატავენ ძალაუფლების მოთხოვნილებას ტერმინში „ნაციონალური ინტერესები“, ყოველი სახელმწიფოს თავიანთი ნაციონალური ინტერესების მაქსიმალური დაკმაყოფილებისკენ სწრაფვის შედეგს წარმოადგენს მსოფლიო არენაზე ძალაუფლების (ძალების) გარკვეული წონასწორობის (ბალანსის) დამყარება, რომელიც წარმოადგენს მშვიდობის უზრუნველყოფისა და შენარჩუნების ერთადერთ რეალისტურ საშუალებას. მშვიდობა ეს არის სახელმწიფოთა შორის ძალთა წონასწორობის მდგომარეობა.

მორგენტაუს თანახმად, არის ორი ფაქტორი, რომელთაც შეუძლიათ შეაკავონ სახელმწიფოთა მისწრაფება ძალაუფლებისკენ რამენაირ ჩარჩოებში – ეს არის საერთაშორისო სამართალი და მორალი, მაგრამ სახელმწიფოებს შორის მშვიდობის უზრუნველყოფის მისწრაფებაში მათდამი სრული ნდობა ნიშნავს, რომ ჩავვარდეთ იდეალისტური სკოლის მიუტევებელ ილუზიებში.

ერთადერთი გზა, რომელიც იძლევა საშუალებას მსოფლიო ბირთვული ომის თავიდან აცილებისა არის დიპლომატიის განახლება.

3.მორგენტაუ თავის კონცეფციაში გამოდის პოლიტიკური რეალიზმის ექვსი პრინციპიდან, რომელიც მან დაასაბუთა თავისი წიგნის დასაწყისშივე. ისინი ამ სახით გამოიყურებიან:

1. პოლიტიკა, ისევე როგორც საზოგადოება მთლიანობაში, იმართება ობიექტური კანონებით, რომელთა საფუძველი დევს მუდმივ და უცვლელ ადამიანურ ბუნებაში, ამიტომ არსებობს რაციონალური თეორიის შექმნის შესაძლებლობა, რომელსაც შეუძლია ასახოს ეს კანონები, თუმცა მხოლოდ შეფარდებით და ნაწილობრივ. ასეთი თეორია საშუალებას იძლევა საერთაშორისო პოლიტიკაში გამოყოს ობიექტური ჭეშმარიტება მასზე სუბიექტური მსჯელობისგან.

2. პოლიტიკური რეალიზმის მთავარი მაჩვენებელია – „ინტერესის ცნება, გამოხატული ძალაუფლების ტერმინებში“. ის უზრუნველყოფს კავშირის გონებას, რომელიც ისწრაფვის საერთაშორისო პოლიტიკის გაგების, შეცნობას დაქვემდებარებულ ფაქტებს შორის კავშირისკენ, ის იძლევა საშუალებას პოლიტიკა გაგებული იქნას, როგორც ადამიანური საქმიანობის დამოუკიდებელი სფერო, რომელსაც არ მიყვავართ ეთიკურ, ესთეტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ სფეროებამდე. ასეთი ცნება იძლევა ორი შეცდომის თავიდან აცილების საშუალებას:

1) პოლიტიკური მოღვაწის ინტერესის შესახებ მსჯელობა მოტივების საფუძველზე და არა მისი ქცევის საფუძველზე.

2) პოლიტიკური მოღვაწი ინტერესების გამოყვანა მისი იდეოლოგიური ან მორალური უპირატესობიდან და არა მისი „ოფიციალური ვალდებულებებიდან“.

პოლიტიკური რეალიზმი მოიცავს არა მხოლოდ თეორიულ, არამედ ნორმატიულ ელემენტებს. ის აყენებს რაციონალური პოლიტიკის აუცილებლობის საკითხს. რაციონალური პოლიტიკა ეს არის სწორი პოლიტიკა, რადგან იგი ახდენს რისკების შემცირებას და სარგებლიანობის გაზრდას. ამავდროულად პოლიტიკის რაციონალურობა დამოკიდებულია მის მორალურ და პრაქტიკულ მიზნებზე.

3) ცნების „ინტერესი გამოხატული ძალაუფლების ტერმინებში“ შინაარსი არ არის შეუცვლელი. ის დამოკიდებულია იმ პოლიტიკურ და კულტურულ კონტექსტზე, რომელშიც ხდება სახელმწიფოს საერთაშორისო პოლიტიკის ფორმირება. ეს ეკუთვნის ცნებებსაც „ძალა“ (power) და „პოლიტიკური წონასწორობა“, ასევე ისეთ ამოსავალ ცნებას, რომელიც აღნიშნავს საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი პირი, როგორცაა „სახელმწიფო ნაცია“.

პოლიტიკური რეალიზმი განსხვავდება ყველა სხვა თეორიული სკოლებისგან ძირითად საკითხში იმის შესახებ, როგორ შეეცვალოთ თანამედროვე სამყარო. ის დარწმუნებულია იმაში, რომ ასეთი ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს ობიექტური კანონების უნარიანი გამოყენების დახმარებით, რომლებიც მოქმედებდნენ წარსულში და იმოქმედებენ მომავალშიც და არა აბსტრაქტული იდეალისადმი, რომელიც არ ცნობს ასეთ კანონებს, არამედ პოლიტიკური რეალობის დაქვემდებარების გზით.

4) პოლიტიკური რეალიზმი აღიარებს პოლიტიკური მოქმედების მორალურ მნიშვნელობას, მაგრამ ამავდროულად ის აცნობიერებს მორალურ იმპერატივსა და წარმატებულ პოლიტიკურ მოქმედებას შორის გარდაუვალი წინააღმდეგობის არსებობას. მთავარი მორალური მოთხოვნები არ შეიძლება გამოყენებულ იქნას სახელმწიფო საქმიანობისადმი, როგორც აბსტრაქტული და უნივერსალური ნორმები.

ისინი განიხილებიან ადგილისა და დროის კონკრეტულ ვითარებაში. სახელმწიფოს არ შეუძლია თქვას: „მშვიდობა თუნდაც დაილუპოს, მაგრამ სამართლიანობამ უნდა გაიმარჯვოს!“, მას არ შეუძლია თავი მოიკლას. ამიტომ საერთაშორისო პოლიტიკაში უმაღლესი მორალური კეთილმოსურნე ესაა ზომიერება და სიფრთხილე.

5) პოლიტიკური რეალიზმი არ აიგივებს რომელიმე ერის მორალურ მისწრაფებას უნივერსალურ მორალურ ნორმებთან. ერთი საქმეა იცოდე, რომ ერები ექვემდებარებიან თავიანთ პოლიტიკაში მორალურ კანონს, სულ სხვაა, პრეტენზია განაცხადო იმის ცოდნაზე, რა არის კარგი და ცუდი საერთაშორისო ურთიერთობებში.

6) პოლიტიკური რეალიზმის თეორია გამოდის ადამიანის ბუნების პლურალისტული კონცეფციიდან. რეალური ადამიანი – ეს არის „ეკონომიკური ადამიანი“, „მორალური ადამიანი“, „რელიგიური ადამიანი“ და ა.შ. მხოლოდ „პოლიტიკური ადამიანია“ ცხოველის მსგავსი, რამეთუ მას არა აქვს „მორალური მუხრუჭი“. მხოლოდ „მორალური ადამიანი“ – სულელი, რადგან მოკლებულია სიფრთხილეს. მხოლოდ „რელიგიური ადამიანი“ შეიძლება იყოს წმინდანი, რამდენადაც მას არა აქვს მიწიური სურვილები.

პოლიტიკური რეალიზმი იცავს მითითებული ასპექტების შედარებით ავტონომიურობას და მოითხოვს იმას, რომ ყოველი მათგანის გაცნობიერებისას ხდებოდეს სხვებისგან აბსტრაგირება და გაცნობიერება ხდებოდეს საკუთარ ტერმინებში.

იმას, რასაც ჩვენ დავინახავთ შემდგომი გადმოცემიდან, ჰ. მორტენგაუს პოლიტიკური რეალიზმის თეორიის ფუძემდებლის მიერ ჩამოყალიბებულ არა ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პრინციპებს იზიარებენ სხვა მიმდევრებიც, მათ შორის მოცემული მიმართულების მოწინააღმდეგეებიც. იმავდროულად მისი კონცეპტუალური თანმიმდევრობა, სწრაფვა დაეყრდნოს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონებს, სწრაფვა საერთაშორისო სინამდვილის მიუკერძოებელი და მკაცრი ანალიზისკენ, განსხვავდება აბსტრაქტული

იდეალებისგან და მათზე დაფუძნებული უნაყოფო და საშიში ილუზიებისგან. ყველაფერი ეს ხელს უწყობდა პოლიტიკური რეალიზმის გავლენისა და ავტორიტეტის გაფართოებას, როგორც აკადემიურ წრეში, ასევე სხვადასხვა ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეების წრეშიც.

მაგრამ მაინც პოლიტიკური რეალიზმი ვერ გახდა გაბატონებული პარადიგმა მეცნიერებაში საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ. მის ცენტრალურ რგოლად გადაქცევას, რომელიც საწყისი იქნებოდა ერთიანი თეორიისა, თავიდანვე ხელს უშლიდა სერიოზული ნაკლოვანებები.

საქმე ისაა, რომ გამომდინარე ცნებიდან საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც ძალთა ბრძოლის „ბუნებრივი მდგომარეობა“ ძალაუფლების დასაპყრობად, პოლიტიკურ რეალიზმს ეს ურთიერთობები მიჰყავს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებამდე, რაც მნიშვნელოვნად აღარბეჭდს მათ მნიშვნელობას. უფრო მეტიც, პოლიტიკური რეალისტების განმარტებაში სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა გამოიყურება როგორც ერთმანეთთან დაუკავშირებელი, ხოლო სახელმწიფო როგორც ურთიერთმემცვლელი მექანიკური სხეული, რომელსაც აქვს იდენტური რეაქცია საგარეო ზემოქმედებაზე. სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ ერთნი სახელმწიფოები არიან ძლიერნი, მეორენი კი სუსტნი.

პოლიტიკური რეალიზმის ერთ–ერთი გავლენიანი მიმდევარი ა. უოლფერსი როცა აგებდა საერთაშორისო ურთიერთობების სურათს, ის მსოფლიო არენაზე სახელმწიფოების ურთიერთქმედებას, ბილიარდის მაგიდაზე ბურთების შეჯახებას შეადარა; ძალის როლს აბსოლუტიზაცია და სხვა ფაქტორების, მაგალითად, როგორებიცაა – სულიერი ღირებულებები, სოციალულტურული სინამდვილე და ა.შ. – შეუფასებლობა მნიშვნელოვნად აღარბეჭდს საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზს, ამცირებს მისი ნამდვილობის ხარისხს. პოლიტიკური რეალიზმის თეორიისთვის ისეთი მნიშვნელოვანი ცნებები, როგორებიცაა „ძალა“ და „ნაციონალური ინტერესი“ რჩება გაუგებარ ცნებებად, რაც იძლევა საბაზს დისკუსიისა და განმარტებისთვის. და ბოლოს თავისმა მისწრაფებებმა, დაყრდნობოდა საერთაშორისო

ურთიერთქმედების მუდმივ და უცვლელ ობიექტურ კანონებს, პოლიტიკური რეალიზმის გადააქცია თავისი მიდგომების მძევლად. მათ არ ჰქონდათ გაცვლილი მნიშვნელოვანი ტენდენციები და უკვე მომხდარი ცვლილებები, რომლებიც უმეტესწილად განსაზღვრავენ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათს. ასევე მხედველობიდან გამორჩათ ერთი ვითარება: მითითებული ცვლილებები მოითხოვენ ტრადიციულის გვერდით გამოყენებინათ საერთაშორისო ურთიერთობების ახალი მეთოდები და მეცნიერული ანალიზის საშუალებები. ყოველივე ამან გამოიწვია პოლიტიკური რეალიზმის კრიტიკა სხვა მიდგომების მიმდევართა მხრიდან, უპირველესად მოდერნისტული მიმართულების და ურთიერთდამოკიდებულებების და ინტეგრაციის მრავალსახოვანი წარმომადგენლების მხრიდან. არ იქნება გაზვიადებული, თუ ვიტყვით, რომ ეს პოლემიკა, რომელიც თან სდევდა პოლიტიკური რეალობის თეორიას მისი პირველი ნაბიჯებიდანვე, ხელს უწყობდა საერთაშორისო რეალობის პოლიტიკური ანალიზის სოციოლოგიურით შევსების აუცილებლობის უკეთ გაცნობიერებას.

„მოდერნიზმის“ ან „მეცნიერული“ მიმართულების წარმომადგენლები საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზში ყველაზე ხშირად ეხებიან პოლიტიკური რეალიზმის პოსტულატებს, ის მკაცრად გააკრიტიკეს ტრადიციული მეთოდების მიმდევრობისათვის, რომლებიც დაფუძნებულია ძირითადად ინტუიციასა და თეორიულ ინტერპრეტაციაზე;

„მოდერნისტებსა“ და „ტრადიციონალისტებს“ შორის პოლემიკამ განსაკუთრებულ დამაბულობას მიაღწია 60-იანი წლების დასაწყისიდან და სამეცნიერო ლიტერატურაში მიიღო „ახალი დიდი კამათის“ სახელწოდება. ამ კამათის წყარო იყო მკვლევართა ახალი თაობის (კუინსი რაიტ, მორტონ კაპლანი, კარლ დოიჩი, დევიდ სინგერი, კალევი ხოლსტი, ერნსტ ხაასი და მრავალი სხვა) დაჟინებული მისწრაფება დამლიონ კლასიკური მიდგომის ნაკლოვანებანი და მიანიჭონ საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლას ჭეშმარიტად მეცნიერული სტატუსი. ამიტომ

გამლიერდა ყურადღება მათემატიკის, ფორმალიზაციის საშუალებების გამოყენებისადმი, მოდელირებისკენ შედეგების ემპირიული ვერიფიკაციისადმი მონაცემების შეკრებისა და დამუშავებისადმი, ასევე ზუსტი მეცნიერებებისგან ნასესხები ტრადიციული მეთოდების საპირისპირო სხვა კვლევითი პროცედურებისადმი, მეთოდებისა, რომლებიც დაფუძნებულია მკვლევარის ინტუიციასა და ანალოგიურ მსჯელობებზე. ასეთი მიდგომა წარმოიშვა აშშ-ში. იგი შეეხო არა მხოლოდ საერთაშორისო ურთიერთობების, არამედ სოციალური სინამდვილის სხვა სფეროების გამოკვლევებს, რომლებიც წარმოადგენენ საზოგადოებრივ მეცნიერებებში, ჯერ კიდევ XX საუკუნის ევროპილ ნიადაგზე წარმოშობილ ფართო ტენდენციების ჩაწვდომის გამოხატულებას.

ჯერ კიდევ სენ სიმონი და თ. კონტი შეეცადნენ გამოეყენებინათ სოციალური ფენომენების გამოსაკვლევად მკაცრი სამეცნიერო მეთოდები. სოლიდური ემპირიული ტრადიციის არსებობისას, მეთოდისტმა, რომელიც უკვე აპრობირებული იყო ისეთ დისციპლინებში, როგორებიცაა სოციოლოგია და ფსიქოლოგია, შესაბამის ტექნიკურ ბაზებში, რაც აძლევს მკვლევარებს ანალიზის ახალ საშუალებებს, გაუჩინა ამერიკელ მეცნიერებს დაწყებული ს. რატიდან მისწრაფება გამოეყენებინათ ყველა ეს მარაგი საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისას. მსგავს მისწრაფებას თან ახლავს უარი საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათზე ამა თუ იმ ფაქტორების გავლენის აპრიორულ მსჯელობაზე, ასევე ყოველი „მეტაფიზიკური ცრუიზრის“, ასევე შედეგების, რომლებიც მარქსიზმის მსგავსად ეფუძნებიან დეტერმინისტულ ჰიპოთეზებს, უარყოფას, მაგრამ როგორც მ. მერლი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი მიდგომა არ ნიშნავს, რომ გვერდი ავუაროთ გლობალურ განმარტებით ჰიპოთეზას. ბუნებრივი მოვლენების გამოკვლევამ გამოიმუშავა ორი საპირისპირო მოდელი, რომელთა შორის მერყეობენ სპეციალისტები სოციალური მეცნიერების სფეროში. ერთი მხრიდან, ესაა ჩ. დარვინის მოძღვრება სახეობების შეუბრალებელი ბრძოლის და ბუნებრივი გადარჩევის კანონის შესახებ და მისი მარქსისტული ინტერპრეტაცია.

მეორე მხრიდან გ.სპენსერის ორგანული ფილოსოფია, რომელსაც საფუძვლად უდევს ბიოლოგიური და სოციალური მოვლენების მუდმივობის და სტაბილურობის კონცეფცია.

აშშ-ში პოზიტივიზმი წავიდა მეორე გზით – საზოგადოების ცოცხალ ორგანიზმთან მიმსგავსების გზით, რომლის სიცოცხლე ეფუძნება მისი სხვადასხვა ფუნქციების დიფერენციაციას და კოორდინაციას. ამ თვალსაზრისით საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლა ისე, როგორც ყველა სხვა სახეობის საზოგადოებრივი ურთიერთობების, უნდა დაიწყოს მათი მონაწილეების შესრულებული ფუნქციების ანალიზით, შემდეგ უნდა გადავიდეთ მათ მატარებლებს შორის ურთიერთქმედების გამოკვლევაზე და ბოლოს პრობლემებზე, რომლებიც დაკავშირებული არიან სოციალური ორგანიზმის თავისი გარემოცვის ადაპტაციასთან. ორგანიზმის მემკვიდრეობაში, თვლის მ.მერლი, შეიძლება გამოიყოს ორი მიმდინარეობა. ერთი მათგანი მთავარ ყურადღებას უთმობს მოქმედი პირების საქციელის შესწავლას, მეორე – ასეთი ქცევების სხვადასხვა ტიპების არტიკულაციას. შესაბამისად, პირველმა სათავე დაუდო ბიხევიორიზმს, მეორემ – ფუნქციონალიზმს და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებაში სისტემურ მიდგომას.

წარმოადგენს რა, პოლიტიკური რეალიზმის თეორიაში გამოყენებული საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის ტრადიციული მეთოდების ნაკლოვანებებზე რეაქციას, მოდერნიზმი ვერ გახდა ერთგვაროვანი მიმართულება, ვერც თეორიტიკული და ვერც მეთოდოლოგიური პლანით. მისთვის საერთოა, ძირითადად, ურთიერთშორის დისციპლინარული მიდგომის მიმდევრობა, მკაცრი მეცნიერული მეთოდების და პროცედურების გამოყენება, ემპირიული მონაცემების რაოდენობის გაზრდა. მისი ნაკლოვანებები მდგომარეობს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკის, კონკრეტული საკვლევი ობიექტების ფრაგმენტულობის ფაქტიურ უარყოფაში, რომლებიც განაპირობებენ საერთაშორისო ურთიერთობების მთლიანი სურათის უქონლობას, უუნარობას გაეცნენ სუბიექტივიზმს. მიუხედავად ამისა,

მოდერნისტული მიმართულების მიმდევრების ბევრი გამოკვლევები აღმოჩნდა ნაყოფიერი, გაამდიდრა რა მეცნიერება არა მხოლოდ ახალი მეთოდებით, არამედ ძალიან მნიშვნელოვანი, მათ საფუძველზე გაკეთებული დასკვნებით. აღსანიშნავია ის ვითარებაც, რომ საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლაში მათ გახსნეს მიკროსოციოლოგიური პარადიგმებიც პერსპექტივა.

თუ პოლემიკა მოდერნიზმსა და პოლიტიკურ რეალიზმს შორის ეხებოდა, ძირითადად, საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდებს, ტრანსნაციონალიზმის (რობერტ ო. კოხენი, ჯოზეფ ნაი), ინტეგრაციის თეორიის (დევიდ მიტრანი) და ურთიერთდამოკიდებულების თეორიის (ერნსტ ხაასი, დევიდ მოურსი) წარმომადგენლები აკრიტიკებდნენ კლასიკური სკოლის კონცეპტუალურ საფუძველებს. XX საუკუნის 60–70იანი წლების მიჯნაზე გაჩაღებული „ახალი დიდი კამათის“ ცენტრში აღმოჩნდა სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილის როლი, ნაციონალური ინტერესისა და ძალის მნიშვნელობა, მსოფლიოს არენაზე მიმდინარე არსის გაგებისთვის.

სხვადასხვა თეორიული მიმდინარეობების მომხრეებმა, რომლებსაც პირობითად უწოდებენ „ტრანსნაციონალისტებს“, წამოაყენეს საერთო იდეა, რომლის თანახმად პოლიტიკური რეალიზმი და მისთვის დამახასიათებელი ეტატიკური პარადიგმა არ შეესიტყვება საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათსა და ძირითად ტენდენციებს, ამიტომ ის უნდა უკუაგდონ.

საერთაშორისო ურთიერთობები გამოდიან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთქმედების ჩარჩოებიდან, რომლებიც ეყრდნობიან ნაციონალურ ინტერესებს და ძალოვან წინააღმდეგობას. სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო აქტორი, კარგავს თავის მონოპოლიას. სახელმწიფოების გარდა, საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობას ღებულობენ ინდივიდები, საწარმოები, ორგანიზაციები და სხვა არასამთავრობო გაერთიანებები მონაწილეების სახეობების (კულტურული და სამეცნიერო

თანამშრომლობა, ეკონომიკური გაცვლები და ა.შ.) და „არხების“ (უნივერსიტეტებს შორის, რელიგიურ ორგანიზაციებს და ასოციაციებს შორის პარტნიორული კავშირები) მრავალსახეობა და მათ შორის ურთიერთმოქმედება, სახელმწიფოს აძევებს საერთაშორისო კავშირების ცენტრიდან, უზრუნველყოფს ასეთი კავშირების ტრანსფორმაციას „ინტერნაციონალურიდან“ (ე.ი. სახელმწიფოთაშორისი) „ტრანსნაციონალურში“ (ე.ი. ხორციელდება სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე).

„სახელმწიფოთაშორისი მიდგომის მიუღებლობამ და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ჩარჩოდან გამოსვლის მისწრაფებამ მიგვიყვანა ტრანსნაციონალური ურთიერთობების ტერმინებში გააზრებისკენ“ – წერენ თავიანთი წიგნის „ტრანსნაციონალური ურთიერთობები და მსოფლიო პოლიტიკა“ შესავალში ამერიკელი მეცნიერები ჯ. ნაო და რ. კოხენი.

რევოლუციური ცვლილებები კავშირისა და ტრანსპორტის საშუალებების ტექნოლოგიებში მსოფლიო ბაზრებზე სიტუაციის ტრანსფორმაცია, ტრანსნაციონალური კორპორაციის რაოდენობის და მნიშვნელობის ზრდა ასტიმულირებენ მსოფლიო არენაზე ახალი ტენდენციების წარმოშობას. მათ შორის უპირატესი ხდებიან: მსოფლიო ვაჭრობის ზრდა მსოფლიო წარმოებასთან შედარებით, განვითარებად ქვეყნებში მოდერნიზაციის პროცესების შეღწევა, ურბანიზაციისა და კომუნიკაციის საშუალებების განვითარება; პატარა სახელმწიფოების და კერძო სუბიექტების საერთაშორისო როლის გაძლიერება. და ბოლოს, დიდი სახელმწიფოების შესაძლებლობების შეკვეცა გარემოცვის მდგომარეობის გასაკონტროლებლად. განმაზოგადებელ შედეგებს და ყველა ამ პროცესების გამოხატულებას წარმოადგენს მსოფლიო ურთიერთდამოკიდებულების გაზრდა და საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის როლის შეფარდებითი შემცირება. ტრანსნაციონალების მომხრეები ხშირად განიხილავენ ტრანსნაციონალური ურთიერთობების სფეროს, როგორც თავისებურ

საერთაშორისო საზოგადოებას, რომლის ანალიზისთვის გამოიყენება იგივე მეთოდები, რომლებიც იძლევიან საშუალებას ყოველ საზოგადოებრივ ორგანიზმში მიმდინარე პროცესების გაგებისა და განმარტებისა. ამრიგად, არსებითად, საუბარია საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისას მიდგომებში მაკროსოციალური პარადიგმების შესახებ.

ტრანსნაციონალიზმი უზრუნველყოფდა მთელი რიგი ახალი მოვლენების გააზრებას საერთაშორისო ურთიერთობებში, ამიტომ ამ მიმდინარეობის ბევრი დებულება განავითარეს მისმა მომხრეებმა 90-იან წლებში. ამასთან ერთად მასზე თავისი კვალი დატოვა მისმა იდეურმა ნათესაობამ კლასიკურ იდეალიზმთან, რომელსაც ახასიათებს მიდრეკილება გადააფასოს აღნიშნული ტენდენციების ნამდვილი მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათის ცვლილებაში. შესამჩნევია ტრანსნაციონალიზმის მიერ წამოყენებული ზოგიერთი დებულების მსგავსება მთელ რიგ დებულებებთან, რომელსაც იცავს ნეომარქსისტული მიმდინარეობა, საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებაში ნეომარქსიზმის მიმდინარეობა (წარმომადგენლები: პოლ ბარანი, პოლ სუიზი, სამირ ამინი, არჯირი იმანუელი, იმანუელ ვალლერსტიანი და სხვები) ისევე არაერთგვაროვანია, როგორც ტრანსნაციონალიზმი, ასევე ის აერთიანებს მსოფლიო მთლიანობის შესახებ იდეას და მისი მომავლის შეფასებაში იჩენს გარკვეულ უტოპიურობას. მათი კონცეპტუალური წყობის ამოსავალ პუნქტს და საფუძველს წარმოადგენს თანამედროვეობის ურთიერთდამოკიდებულების არასიმეტრიულობის შესახებ მოსაზრება.

მათ შორის შეიძლება დავასახელოთ არა მხოლოდ აშშ, ევროპისა და მსოფლიოს სხვა რეგიონების ბევრი მეცნიერი, ასევე ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეები, მაგალითად ისეთი, როგორიცაა საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი ვალერი ჟისკარ ტესტენი; გავლენიანი არასამთავრობო პოლიტიკური ორგანიზაციები და კვლევითი ცენტრები, მაგალითად: პალმეს კომისია, ბრანდტის კომისია, რომის კლუბი და სხვა.

ეყრდნობიან რა კლასიკური მარქსიზმის ზოგიერთ თეზისს, ნეომარქსისტები საერთაშორისო ურთიერთობების სივრცეს წარმოადგენენ გლობალური იმპერიის სახით, რომლის პერიფერია რჩება ცენტრის ჩაგვრის ქვეშ. ეს გამოიხატება ეკონომიკური გაცვლების უთანასწორობისა და განვითარების უთანაბრობით.

მაგალითად „ცენტრი“, რომლის ჩარჩოებში განხორციელდა მსოფლიო ეკონომიკური გარიგებების დაახლოებით 80%, თავის განვითარებაში დამოკიდებულია „პერიფერიის“ ნედლეულსა და რესურსებზე. თავის მხრივ პერიფერიის ქვეყნები წარმოადგენენ სამრეწველო და სხვა პროფუქციის მომხმარებლებს, რომლებსაც ამ ქვეყნებში არ ამზადებენ. ამიტომ ისინი ხდებიან ცენტრზე დამოკიდებულნი, ხდებიან უთანასწორო ეკონომიკური გაცვლის ნედლეულზე მსოფლიო ფასების რყევის მსხვერპლნი და განვითარებული სახელმწიფოების მხრიდან ეკონომიკურ დახმარებას იღებენ. ამიტომ საბოლოოდ „ეკონომიკური ზრდა დაფუძნებული მსოფლიო ბაზარში ინტეგრაციაზე, არის სუსტად განვითარებულობის განვითარება.

70-იან წლებში საერთაშორისო ურთიერთობების განხილვისადმი მსგავსი მიდგომა გარდა „მესამე სამყაროს“ ქვეყნებისთვის ახალი ეკონომიკური წესრიგის დამყარების აუცილებლობის შესახებ ძირითადი იდეა. ქვეყნების გავლენით, რომელთა უმრავლესობაც წარმოადგენენ გაეროს წევრებს, გაეროს გენერალურმა ანსამბლემ 1974 წლის აპრილში მიიღო მოქმედების შესაბამისი დეკლარაცია და პროგრამა, ხოლო იმავე წლის დეკემბერში – სახელმწიფოების ეკონომიკური უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ქარტია.

ყოველ ზემოთ ჩამოთვლილ თეორიულ მიმდინარეობას აქვს თავისი ძლიერი მხარეები და ნაკლოვანებებიც; ყოველი მათგანი ასახავს გარკვეულ ასპექტებს და საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში პოულობენ ამა თუ იმ გამოვლინებას, მათ შორის პოლემიკა უზრუნველყოფდა ურთიერთგამდიდრებას, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების გამდიდრებას მთლიანობაში. არ

შეიძლება იმის უარყოფაც, რომ ზემოთ ნახსენებმა პოლემიკამ ვერ დაარწმუნა საერთაშორისო საზოგადოება რომელიმე ერთ-ერთ უპირატესობაში და ვერ მივიდა მათ სინთეზამდე. ორივე ეს დასკვნა შეიძლება იყოს ილუსტრირებული ნეორეალიზმის კონცეფციის მაგალითზე.

ტერმინი „ნეორეალიზმი“ ასახავს ამერიკელი მეცნიერების (კენეტ უოლცი, რობერტ გილპინი, ჯოზეფ გრეიკო და სხვა) სწრაფვას კლასიკური ტრადიციების უპირატესობის შენარჩუნებისა და ამავდროულად მისი გამდიდრებისკენ, ახალი საერთაშორისო რეალიების და სხვა თეორიული მიმდინარეობების მიღწევების გათვალისწინებით.

ტრანსნაციონალიზმის ერთ-ერთი ძველი მომხრე, კოხრეინი, 80-იან წლებში მიდის დასკვნამდე, რომ პოლიტიკური რეალიზმის ცენტრალური ცნებები „ძალა“, „ნაციონალური ინტერესი“, „რაციონალური საქციელი“ და სხვა – რჩება საერთაშორისო ურთიერთობების ნაყოფიერი ანალიზის მნიშვნელოვან საშუალებად და პირობად. სხვა მხრიდან, კ. უოლცი საუბრობს რეალისტური მიდგომის გამდიდრების მოთხოვნილების შესახებ, მოცემული და ემპირიული ვერიფიცირებული დასკვნების მეცნიერული სიმკაცრის ხარჯზე, რომელთა აუცილებლობას ტრადიციული შეხედულებების მომხრეები, როგორც წესი, უარყოფდნენ.

საერთაშორისო ურთიერთობებში ნეორეალიზმის სკოლის წარმოშობას უკავშირებენ კ. უოლცის წიგნის „საერთაშორისო პოლიტიკის თეორია“ პუბლიკაციებს, რომლის პირველმა გამოცემამ დღის სინათლე ნახა 1979 წელს. იცავს რა პოლიტიკური რეალიზმის ძირითად დებულებებს (საერთაშორისო ურთიერთობების „ბუნებრივი მდგომარეობა“ ძირითადი აქტორების მოქმედებაში რაციონალურობა, ნაციონალური ინტერესი, როგორც მათი ძირითადი მოტივი, ძალით დაპყრობისკენ მისწრაფება), მისი ავტორი ამავდროულად თავის წინამორბედებს, საერთაშორისო პოლიტიკის თეორიის, როგორც ავტონომიური დისციპლინის შექმნის ცდებს ჩაშლისთვის აკრიტიკებს. ჰ. მორტენგაუს ის აკრიტიკებს საგარეო და საერთაშორისო პოლიტიკის

გაიგივებისთვის, რაიმონ კრონს, საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც დამოუკიდებელი თეორიის შექმნის შესაძლებლობის შესახებ საკითხში მისი სკეპტიციზმისთვის.

მოითხოვს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ყოველი თეორია უნდა ეყრდნობოდეს სამყაროს, არა კერძოდ, არამედ მთლიანობაში. თავის ამოსავალ პუნქტად მიიჩნევს გლობალური სისტემის არსებობას და არა სახელმწიფოებს, რომლებიც წარმოადგენენ მის ელემენტებს, უოლცი დგამს გარკვეულ ნაბიჯს ტრანსნაციონალისტებთან დასაახლოებლად.

კ. უოლცის მოსაზრებით, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემური ხასიათი განპირობებულია არა აქ ურთიერთმოქმედი აქტორებით, მათთვის არა დამახსიათებელი ძირითადი თავისებურებებით (დაკავშირებული გეოგრაფიულ მდგომარეობასთან, დემოგრაფიულ პოტენციალთან, სოციოკულტურულ სპეციფიკასთან და ა.შ.), არამედ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის თავისებებით (ამ კავშირში ნეორეალიზმი არც თუ იშვიათად კვალიფიცირდება, როგორც სტრუქტურული რეალიზმი ან უბრალოდ სტრუქტურალიზმი).

კლასიკური სკოლის მაქსიმალური მემკვიდრეობის შენარჩუნებისკენ სწრაფვა ნიშნავს, რომ ნეორეალიზმის წილად რჩება მისთვის დამახსიათებელი ბევრი ნაკლოვანება. უფრო მკაცრი განაჩენი გამოაქვთ ფრანგ ავტორებს მ.კ.სმუცის და ბ. ბადის, რომელთა აზრით საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, რომელიც დარჩა დასავლეთცენტრული მიდგომის ტყვეობაში, აღმოჩნდა მსოფლიო სისტემაში მიმდინარე რადიკალური ცვლილებების ასახვისათვის უუნარო, ისევე როგორც ომის მომდევნო პერიოდში ვერ გათვალა ვერც დეკოლონიზაციის დაჩქარება, ვერც რელიგიური ფუნდამენტალიზმის აფეთქება, ვერც ცივი ომის დასრულება, ვერც საბჭოთა იმპერიის დაცემა. მოკლედ ვერაფერი იქედან, რაც მიეკუთვნება ცოდვიან სოციალურ სინამდვილეს.

საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების მდგომარეობით და შესაძლებლობებით დაუკმაყოფილებლობა გახდა

ერთ–ერთი მთავარი მოტივი შექმნილიყო და დახვეწილიყო შედარებით ავტონომიური დისციპლინა – საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგია. შედარებით თანმიმდევრული ძალისხმევა ამ მიმართულებაში გასწიეს ფრანგმა მეცნიერებმა.

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა – აგრძელებს არონი – შეუძლებელია, თუ არ მივმართავთ ისტორიულ გამოკვლევებს: თვალი უნდა ვადევნოთ კონკრეტული მატჩების მსვლელობას, ხერხების ცვლილებას, ტექნიკისა და ტემპერამენტების მრავალსახეობებს. სოციოლოგი მუდმივად უნდა მიმართავდეს თეორიასაც და ისტორიასაც. თუ მან არ იცის თამაშის ლოგიკა, მაშინ ის ტყუილად ადევნებს თვალს მოთამაშეების მოქმედებას და ვერ გაიგებს ამა თუ იმ თამაშის ტექნიური სურათის აზრს. ისტორიისადმი მიძღვნილ განყოფილებაში არონი აღწერს მსოფლიო სისტემის და მისი ქვესისტემის ხასიათებს, თვალყურს ადევნებს ბიპოლარულ მსოფლიოს ორ პოლუსს შორის დიპლომატიის ევოლუციას ყოველი მათგანის ჩარჩოებში.

და ბოლოს, მეოთხე ნაწილი, ეძღვნება პრაქსეოლოგიას, ჩნდება კიდევ ერთი სიმბოლური პერსონაჟი – არბიტრი. როგორ უნდა თამაშის წესებში ჩაწერილი მდგომარეობის ინტერპრეტირება? ნამდვილად მოხდა ამა თუ იმ პირობებში წესების დარღვევა? თუ არბიტრი „ასამართლებს“ მოთამაშეებს, მაშინ მოთამაშეები და მაცურებელი, თავის მხრივ, ხმაურით თუ უსიტყვოდ, აუცილებლად „ასამართლებენ“ თვით მსაჯს; ერთი გუნდის მოთამაშეები ასამართლებენ არა მარტო მეტოქეებს, ასევე თავიანთ პარტნიორებს. ყველა ეს მსჯელობა მერყეობს ეფექტურობის შეფასებას („მან კარგად ითამაშა“), დასჯის შეფასებას (ის წესების თანახმად მოიქცა“) და სპორტული მორალის შეფასებას („ეს გუნდი იქცეოდა თამაშის სულისკვეთების შესაბამისად“) შორის. სპორტშიც კი, რაც არ არის აკრძალული წარმოადგენს მორალურად გამართლებულს. ეს ეკუთვნის საერთაშორისო ურთიერთობებსაც. მათი ანალიზი არ შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ დაკვირვებითა და აღწერით, ის მოითხოვს მსჯელობას და შეფასებას. რომელი სტრატეგია შეიძლება ჩაითვალოს

მორალურად და რომელი გონივრულად ანუ რაციონალურად? რაში მდგომარეობს კანონის ბატონობის დადგენის გზით მშვიდობის მიღწევისკენ სწრაფვის ძლიერი და სუსტი მხარეები? როგორია მისი იმპერიის დამყარების გზით მიღწევის ცდების ნაკლოვანებები და უპირატესობები.

როგორც უკვე იყო აღნიშნული, რ.არონის წიგნმა „მშვიდობა და ომი ერებს შორის“, ითამაშა და აგრძელებს მნიშვნელოვანი როლის თამაშს ფრანგული მეცნიერული სკოლის, კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგიის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. რა თქმა უნდა მისი შეხედულებების მიმდევრები (ჟან პიერ დერენიკი, რობერ ბოსკი, ჟან უნციგერი და სხვა) ითვალისწინებენ, რომ არონის მიერ გამოთქმული დებულებები მის (ავტორის) დროს ეკუთვნიან. მან თავის მემუარებში აღიარა, რომ „თავისი მიზნების ნახევარსაც ვერ მიაღწია.“ მნიშვნელოვანწილად ეს თვითკრიტიკა ეხება სოციოლოგიურ განყოფილებას, კერძოდ კონკრეტული პრობლემების ანალიზისადმი კანონზომიერებისა და დეტერმინანტების კონკრეტულ დამატებებს საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგიის და რაც მთავარია, მისი განვითარების აუცილებლობის დამკვიდრების მისეულმა გაგებამ დღეისთვისაც შეინარჩუნა თავისი აქტუალურობა.

განმარტავს რა მითითებულ გაგებას ჟ. პ. დარენიკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რამდენადაც სოციალური ანალიზისადმი ორი ძირითადი მიდგომა არსებობს, იმდენად არსებობს სოციოლოგიის ორი ტიპი : დეტერმინანტული სოციოლოგია, რომელიც აგრძელებს ე. დიურკეიმის ტრადიციებს და მოქმედების სოციოლოგია, რომელიც ეფუძნება მ. ვებერის მიერ დამუშავებულ მიდგომებზე. მათ შორის სხვაობა საკმაოდ პირობითია. აქციონალიზმი არ უარყოფს კაუზალობას, ხოლო დეტერმინიზმი „სუბიექტურია“, რამეთუ წარმოადგენს მკვლევარის განზრახვის ფორმულირებას. მისი გამართლებაა მკვლევარის უნდობლობა მისი შესასწავლი ადამიანების მსჯელობებისადმი კონკრეტულად და ეს სხვაობა მდგომარეობს იმაში, რომ მოქმედების

სოციოლოგია გამოდის მხედველობაში მისაღები გარკვეული სახეობის მიზეზების არსებობიდან. ეს მიზეზებია გადაწყვეტილება, ე.ი. არჩევანი მრავალ შესაძლებელ მოვლენას შორის, რომლებიც წარმოიშობა არსებულ საინფორმაციო ვითარებაზე და შეფასების განსაკუთრებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით. საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგია წარმოადგენს მოქმედების სოციოლოგიას. ის გამოდის იქიდან, რომ ფაქტების (ნივთების, მოვლენების) არსებითი თვისებები მდგომარეობს მათთვის მნიშვნელობის (რაც დაკავშირებული ინტერპრეტაციის წესებთან) და ღირებულების (დაკავშირებულია შეფასების კრიტერიუმებთან) მინიჭებაში. ერთიც და მეორეც დამოკიდებულია ინფორმაციაზე. ამრიგად, საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგიის პრობლემატიკის ცენტრშია „გადაწყვეტილების“ ცნება. ამასთან ის უნდა გამოდიოდეს მიზნებიდან, რომლებსაც მისდევს ხალხი (მათი გადაწყვეტილებიდან) და არა მიზნებიდან, რომლებსაც ის უნდა მისდევდეს სოციოლოგიის შეხედულებით (ე.ი. ინტერესებით).

რაც შეეხება, საერთაშორისო ურთიერთობების ფრანგულ სოციოლოგიაში, მეორე მიმდინარეობას, ის წარმოდგენილია ე.წ. პოლემოლოგიით, რომლის ძირითად დებულებებს საფუძველი ჩაუყარა გასტონ ბუტულმა და ასახვას პოულობენ ისეთი მკვლევარების ნაშრომებში, როგორებიცაა ჟან ლუი ანეკენი, ჟაკ ფროინდი, ლუსიენ პუარე და სხვები. პალემოლოგიის საფუძველია ომების, კონფლიქტების და „კოლექტიური აგრესიულობის“ სხვა ფორმების კომპლექსური შესწავლა დემოგრაფიის, მათემატიკის, ბიოლოგიის და სხვა ზუსტი და ბუნებრივი მეცნიერებების მეთოდების მიზიდვით.

პოლემოლოგიის საფუძველს, წერს გ. ბუტული, წარმოადგენს დინამიური სოციოლოგია. ეს უკანასკნელი არის იმ მეცნიერების ნაწილი, რომელიც შეისწავლის საზოგადოების ფორმების ვარიაციების ფაქტორებს, რომლებსაც ისინი ღებულობდა, რომლებიც მას განაპირობებენ და მათ შეესაბამებია. ასევე მათი კვლავწარმოების ხერხებს, უარყოფენ ე.

დიურკვეიმის დებულებებს იმის შესახებ, რომ სოციოლოგია – „გარკვეული სახით ისტორიის გააზრება“. პოლემოლოგია გამოდის იქიდან, რომ

1) სწორედ ომმა წარმოშვა ისტორია, რამდენადაც ეს უკანასკნელი დაიწყო როგორც შეიარაღებული კონფლიქტების ისტორია და ნაკლებად სარწმუნოა, რომ ისტორია ოდესმე შეწყვეტს იყოს „ომების ისტორია“.

2) ომი წარმოადგენს იმ კოლექტიური იმიტაციის მთავარ ფაქტორს, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიალოგის და ნასესხები კულტურისა, რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს სოციალურ ცვლილებებში ეს უპირველესად „ძალდატანებითი იმიტაცია“. ომი არ აძლევს საშუალებას სახელმწიფოებს და ხალხებს ჩაიკეტონ, თვითიზოლაცია მოახდინონ, ამიტომ ის წარმოადგენს შედარებით ენერგიულ და ეფექტურ ფორმას ცივილიზაციასთან კონტაქტისა. მაგრამ გარდა ამისა, ის „ნებაყოფლობითი იმიტაცია“, იმასთან დაკავშირებით, რომ ხალხები ერთმანეთისგან ხესხულობენ შეიარაღების სახეობებს, ომის წარმოების ხერხებს და ა.შ – სამხედრო უნიფორმაზე მოდის ჩათვლით.

3) ომები წარმოადგენენ ტექნიკური პროგრესის მამოძრავებელ ძრავას: რომაელების ნავიგაციისა და გემთმშენებლობის ხელოვნების ათვისების სტიმული გახდა კართაგენის განადგურების მისწრაფება. ჩვენს დროშიც ერები განაგრძობენ დამაბუნებას ახალი ტექნიკური საშუალებების და განადგურების მეთოდების დევნაში, უბოდიშოდ იმეორებენ ამაში ერთმანეთს.

4) ომი წარმოადგენს სოციალურ ცხოვრებაში ყველა გარდამავალი ფორმებიდან ყველაზე შესამჩნევს. ის წარმოადგენს როგორც განადგურების, ასევე თანაფარდობის აღდგენის წყაროსა და რეზულტატებს.

პოლემოლოგიამ უარი უნდა თქვას პოლიტიკურ და იურიდიულ მიდგომაზე, უნდა ახსოვდეს რომ „პოლიტიკა_სოციოლოგიის მტერია“, რომელსაც მუდმივად ცდილობს რომ დაიქვემდებაროს, გაიხადოს ის მსახურად, მსგავსად იმისა რასაც შუა საუკუნეებში აკეთებდა თეოლოგია

ფილოსოფიასთან მიმართებაში. ამიტომ პოლეოლოგიას არ შეუძლია ფაქტობრივად შეისწავლოს მიმდინარე კონფლიქტები და მამასადამე მისთვის მნიშვნელოვანია ისტორიული მიდგომა.

პოლემოლოგიის მთავარი ამოცანა – ომის, როგორცტუ სოციალური ფენომენის ობიექტური და მეცნიერული შესწავლა, რომელიც როგორც სხვა სოციალური ფენომენი ექვემდებარება დაკვირვებას, ამავე დროს შეუძლია განმარტოს კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში საზოგადოებრივ განვითარებაში გლობალური ცვლილების მიზეზები. ამავდროულად მან უნდა გადალახოს მეთოდური ხასიათის მთელი რიგი დაბრკოლებები დაკავშირებულნი ომებთან: ადამიანების ნება–სურვილზე სრული დამოკიდებულებით (ამავე დროს როცა საუბარია საზოგადოებრივი სტრუქტურების ხასიათსა და თანაფარდობაში ცვლილებების შესახებ), იურიდიული ილუზიურობით, რომელიც ომის მიზეზებს ხსნის თეოლოგიური (ღმერთის ნება–სურვილი), მეტაფიზიკური (სუვერენიტეტის გაფართოება და დაცვა) ან ანტროპომორფული (ომის მიმსგავსება ინდივიდებს შორის ჩხუბთან) ფაქტორების უფლებით. და ბოლოს პოლემოლოგიამ უნდა გადალახოს ომის საკრალიზაციის და პოლიტიზაციის სიმბიოზი, რომელიც გეგელის და კლაუზევიცის ხაზების შეერთებასთანაა დაკავშირებული.

როგორია ამ „სოციოლოგიაში ახალი თავის“ პოზიტიური მეთოდოლოგიის ძირითადი თვისებები, როგორც თავის წიგნში გ. ბუტული უწოდებს პოლემოლოგიურ მიმართულებას? უპირველესად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ პოლემოლოგია თავისი მიზნებისთვის განაგებს წყაროთმცოდნეობის დიდ ბაზას, რაც იშვიათად აქვთ თავის განკარგულებაში სოციოლოგიური მეცნიერების სხვა დარგებს. ამიტომ მთავარი კითხვა მდგომარეობს იმაში, როგორი მიმართულებით უნდა წავიდეს დოკუმენტაციის ამ დიდი მასის ურიცხვი ფაქტების კლასიფიკაცია. ბუტული ასახელებს რვა ასეთ მიმართულებას:

1) მატერიალური ფაქტების აღწერა მათი კლებადი ობიექტურობის ხარისხით.

2) ფიზიკური საქციელის სახეობების აღწერა გამომდინარე ომის მონაწილეების მათ მიზნებზე წარმოდგენებიდან.

3) განმარტების პირველი ეტაპი: ისტორიკოსების და ანალიტიკოსების შეხედულებები.

4) განმარტების მეორე ეტაპი: თეოლოგიური, მეტაფიზიკური, მორალური და ფილოსოფიური შეხედულებები და დოქტრინები.

5) ფაქტების ამორჩევა და დაჯგუფება და მისი პირველადი ინტერპრეტაცია.

6) ომის შედარებით ობიექტური ფუნქციების ჰიპოთეზები.

7) პერიოდული ომის ჰიპოთეზები.

8) ომების სოციალური ტიპოლოგია – ე.ი. ომის ძირითადი დახასიათების დამოკიდებულება ამა თუ იმ საზოგადოების ტიპურ თვისებებზე.

მითითებულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებით, გ. ბუტული წამოაყენებს მათემატიკის, ბიოლოგიის, ფსიქოლოგიის და სხვა მეცნიერებების (ენტომოლოგიის ჩათვლით) მეთოდებს, ისწრაფვის დააფუძნოს სამხედრო კონფლიქტების მიზეზების კლასიფიკაცია. ამ ხარისხში, მისი აზრით, გამოდიან შემდეგი ფაქტორები (კლებადი ერთობის ხარისხით) :

1) საზოგადოებრივ სტრუქტურებს შორის ურთიერთთანასწორობის დარღვევა (მაგალითად, მაგალითად ეკონომიკასა და დემოგრაფიას შორის).

2) ასეთი რღვევების შედეგად შექმნილი პოლიტიკური კონიუქტურები (დიურკვიმის მიდგომების სრულ შესაბამისობაში, ისინი განიხილება იან „როგორც ნივთი“)

3) შემთხვევითი მიზეზები და მოტივები.

4) აგრესიული და სამხედრო იმპულსები, როგორც სოციალური ჯგუფების ფსიქომატური ვითარების ფსიქოლოგიური პროექცია.

5) მტრობა და სამხედრო კომპლექსები.

ბოლოები განიხილებიან, როგორც კოლექტიური ფსიქოლოგიის მექანიზმი, წარმოდგენილი მთავარი კომპლექსით:

1) ესაა „აბრარამის კომპლექსი“, რომლის შესაბამისად შვილების მკვლელი მამები ექვემდებარებიან გაუაზრებელ სურვილს თავიანთი ბავშვები მსხვერპლად შესწირონ საკუთარ სიამოვნებას.

2) ესაა „განტევების ვაცის კომპლექსი“ რომელიც გროვდება შიდა სირთულეების, ფრუსტრაციის, შიშების, გაღიზიანების და მტრობის შედეგად, მიმართული გარე მტრის წინააღმდეგ, რომელიც არა ყოველთვის განიხილება, როგორც უშუალო დამნაშავე, რომელსაც მიაწერენ მტრულ განზრახვას.

3) და ბოლოს, ესაა „დამოკლეს კომპლექსი“, განიხილება როგორც შედარებით მნიშვნელოვანი თავისი სოციოპოლიტიკური შედეგების თვალსაზრისით: დაუცველობის გრძნობა, რომელიც წარმოადგენს შიშის, აგრესიულობის და ძალადობის არაპროპორციული რეაქციების „წინ გაქცევის“ საფუძველს. ამავ დროს საზოგადოებაში მსგავსი დაუცველობის შეცნობა უზრუნველყოფს სახელმწიფოების დარაზმვას, რომელიც მყარი არასდროს არ იყო.

„პოლემოლოგების“ გამოკვლევებში იგრძნობა ამერიკული მოდერნიზმის აშკარა გავლენა და საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისადმი ფაქტორული მიდგომა. ეს ნიშნავს, რომ მათთვის დამახასიათებელი და მათ შორის ნაკლოვანებები, რომელთა შორის წარმოადგენს „მეცნიერული მეთოდების“ როლის აბსოლუტიზაციას ისეთი რთული სოციალური ფენომენის ცნებაში, რომლადაც სამართლიანად ითვლება ომი. მსგავსი რედუქციონიზმი აუცილებლად ახლავს შესასწავლი ობიექტის ფრაგმენტაციას, რაც იწვევს წინააღმდეგობას მაკროსოციოლოგიური პარადიგმის პალემოლოგიის დეკლარირებული პოლომოლოგიასთან. პოლომოლოგიის საფუძველში დადებული მკაცრი დეტერმინიზმი, შეიარაღებული კონფლიქტების მიზეზებიდან შემთხვევითობის განდევნის მისწრაფება იწვევს

გამანადგურებელ შედეგებს იმაში, რაც ეხება მის მიერ წამოყენებულ მიზნებსა და ამოცანებს.

1) ეს იწვევს უნდობლობას მისი უნარებისადმი, გამოიმუშავოს ხანგრძლივი პროგნოზი ომების წარმოშობის შესაძლებლობასა და მათი ხასიათების შესაბამისად.

2) მიდის ომის ფაქტიური დაპირისპირებისკენ, როგორც საზოგადოების დინამიური მდგომარეობისა მშვიდობისადმი. როგორცაა „წესრიგისა და სიმშვიდის მდგომარეობა“. შესაბამისად პოლემოლოგია უპირისპირდება „ირენოლოგიას“ (მშვიდობის სოციოლოგია). ირენოლოგია თავისი არსით, საერთოდ მოკლებულია თავის საგანს, რამდენადაც „მშვიდობის შეისწავლის მხოლოდ ომის შესწავლით“.

არ შეიძლება პოლომოლოგიის თეორიული ღირსებების უყურადღებოდ დატოვება. შეიარაღებული კონფლიქტების პრობლემატიკის დამუშავებაში მისი წვლილის, მათი მიზეზების და ხასიათის გამოკვლევების ყურადღების გარეშე დატოვება. მთავარი ჩვენთვის მოცემულ შემთხვევაში ისაა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგიის შემდგომ განვითარებაში, ჩამოყალიბებასა და ლეგიტიმიზაციაში პოლიმოლოგიის წარმოშობამ ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი, რომელმაც თავისი უშუალო ასახვა ჰპოვა ისეთი ავტორების ნაშრომებში, როგორებიც არიან ჟ.ბ. დიუროზელი და რ. ბოსკი, პ. ასნერი, პ. მ. გალუა, შ. ზორგბიბი, ფ. მორო დეფარგი, ჟ. უნცინგერი, დ.მ. მერლი, ა. სამუელი, ბ. ბადი, მ.ა. სმუცი, და სხვები, რომელთაც ჩვენ მივმართავთ მომდევნო თავებში.

თავი II

საერთაშორისო ურთიერთობების ობიექტი და საგანი

მეცნიერების საგნის და ობიექტის გამიჯვნას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა მისი თავისებურებების შეცნობისა და გაგებისათვის. ასეთი გამიჯვნა ატარებს სქოლასტიკურ ხასიათს და ის შეუძლია მხოლოდ რომ გადაახვევინოს ნამდვილად მნიშვნელოვანი თეორიული პრობლემებიდან, მაგრამ მითითებული გამიჯვნა მაინც აუცილებელია.

ჩვენი ცნობიერებისგან გარეთ და დამოუკიდებლად არსებული ობიექტური რეალობა განსხვავდება მისი შესასწავლი სამეცნიერო დისციპლინების სხვადასხვა მხარეებისგან, რომლებიც ჯერ ერთი ასახავენ და აღწევენ მას ყოველთვის რაღაც „დაგვიანებით“. მეორე – მასში მიმდინარე პროცესების და მოვლენების არსის გარკვეული „დამახინჯებით“. კაცობრიობის ცნობიერება, როგორც ცნობილია იძლევა სამყაროს მხოლოდ პირობით, მიახლოებით სურათს, ვერასდროს აღწევს აბსოლუტურ ცოდნას მის შესახებ. გარდა ამისა, ყოველი მეცნიერება ასე თუ ისე აწყობს თავის ლოგიკას, რომელსაც უქვემდებარებს თავისი განვითარების შიგა კანონზომიერებას და ის არ ემთხვევა მის მიერ შესასწავლი რეალობის განვითარების ლოგიკას. ყოველ მეცნიერებაში, ამა თუ იმ ზომით აუცილებლად „მონაწილეობს“ ადამიანი, რომელსაც მასში შეაქვს „სუბიექტურობის“ გარკვეული ელემენტი. თუ თვითონ სინამდვილე, რომელიც არის მეცნიერების ობიექტი, არსებობს მის მიერ შემეცნებული გაცნობიერებიდან გარეთ და დამოუკიდებლად, მაშინ ამ მეცნიერების ჩამოყალიბება და განვითარება, მისი საგნის განსაზღვრა წარმოებს სწორედ შემეცნების საზოგადოებრივი სუბიექტით, რომელიც წარმოიქმნება შესამეცნებელ ობიექტში ამა თუ იმ მხარის გარკვეული მოთხოვნის საფუძველზე და შეისწავლის მას შესაბამისი მეთოდებით და

საშუალებებით. ობიექტი არსებობს საგნამდე და მისი შესწავლა შესაძლებელია სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებით.

საერთაშორისო ურთიერთობები მოიცავენ საზოგადოებრივი ცხოვრების განსხვავებულ სფეროებს – ეკონომიკური გაცვლა-გამოცვლიდან სპორტულ შეჯიბრებამდე. არანაკლებ მრავალსახოვანი არიან მათი მონაწილეები, რომლის შემადგენლობაში შედის როგორც სახელმწიფო, ისე არასამთავრობო გაერთიანებები, სრულიად ჩვეულებრივი ინდივიდებიც კი. რა არის საერთო კაცობრიობის საქმიანობის ამ სფეროებს შორის, რომელიც აერთიანებს ყველა მის მონაწილეს და რომლის არსებობა საშუალებას იძლევა მისი სპეციფიკის გაგებისა? უნდა ითქვას, რომ პირველ ასეთ ძაფს წარმოადგენს პოლიტიკური ურთიერთობა.

როგორც ცნობილია, პოლიტიკური ურთიერთობის გაგება შეიძლება ორგვარად: როგორც სახელმწიფოს საქმიანობის და ინტერესების სფერო და როგორც მბრძანებლური ურთიერთობების სფერო, ამ ტერმინის ფართო გაგებით.

საერთაშორისო ურთიერთობები თანამედროვე მეცნიერებაში, მიუხედავად ამ სიტყვათშეხამების ეტიმოლოგიური შინაარსისა, გაგებულია ხშირად მეორე მნიშვნელობით (თუმცა არც ისე იშვიათია მისი გამოყენება პირველი, უფრო ვიწრო აზრითაც). ამასთან დაკავშირებით წარმოიშობა მთელი რიგი საკითხებისა: როგორია საერთაშორისო ურთიერთობების კრიტერიუმები? რა საერთო აქვთ და რითი განსხვავდებიან ერთმანეთისგან საერთაშორისო ურთიერთობები და საერთაშორისო პოლიტიკა? არსებობს თუ არა განსხვავება სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის?

სანამ შევჩერდებით ამ საკითხებზე უფრო დაწვრილებით, აუცილებელია გავაკეთოთ ორი შენიშვნა:

1) არ იქნებოდა სწორი მეცნიერების საგნის განსაზღვრის მნიშვნელობის აბსოლუტიზირება. ამ მიმართებით შეიძლება დავეყრდნოთ იმას, რომ ცოდნის ისეთი უძველესი დარგების,

როგორებიცაა მაგალითად მათემატიკა და გეოგრაფია და შედარებით „ახალგაზრდებიც“, როგორებიცაა სოციოლოგია და პოლიტოლოგია; საეჭვოა რომ დღემდე შესაძლებელი იყოს მოხდეს მათი საბოლოო და ერთმნიშვნელოვანი დეფინირება დამაკმაყოფილებელი სახით. ეს მითუმეტეს სწორია, რადგან ყოველი მეცნიერების საგანი განიცდის ცვლილებას: იცვლება როგორც მისი ობიექტი, ასევე ჩვენი ცოდნაც მის შესახებ. მითითებული ვითარება არ აქრობს იმ პრობლემათა წრის აღნიშვნის აუცილებლობას, რომლებიც შეადგენენ მოცემული მეცნიერული დისციპლინის საგნობრივ დარგს. ასეთი მოთხოვნა განსაკუთრებით აქტუალურია, როცა ლაპარაკია ახალგაზრდა მეცნიერულ დისციპლინაზე, რომელიც წარმოიშობა მეცნიერული ცოდნის დიფერენციაციის პროცესში და თავისი ჩამოყალიბების პროცესში ინარჩუნებს მჭიდრო კავშირს მის მონათესავე დისციპლინებთან.

2) საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ სამამულო მეცნიერება, ცნობილი მიზეზების გამო, საკმაოდ დიდხანს უგულებელყოფდა როგორც წარუმატებელი (ან უკეთეს შემთხვევაში, როგორც თავისი კერძო ინტერესების წარმომადგენელი ზოგიერთ თავის დებულებებში) ცდები, „ერთადერთი მეცნიერული და ერთადერთი სწორი“ საერთაშორისო ურთიერთობების მარქსისტულ-ლენინური თეორიის ფონზე. მარქსისტულ-ლენინურ თეორიაში ორ „ურყევ“ ქვაკუთხედ დებულებას ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება: ა) საერთაშორისო ურთიერთობები განიხილებოდა, როგორც „მეორადი“ და „მესამედი“ – ე.ი. როგორც შიდა საზოგადოებრივი ურთიერთობების და საზოგადოების ეკონომიკური ბაზის გამგრძელებელი და გამომხატველი. ბ) მტკიცება იმისა, რომ საერთაშორისო ურთიერთობების არსს, მის „ბირთვს“ წარმოადგენს კლასობრივი ურთიერთობები (კლასობრივი ურთიერთობები), რომელსაც საბოლოოდ მიყვავართ მათ მრავალფეროვნებამდე. სრულიად შეცვლილმა ვითარებამ წარმოაჩინა მსოფლიო მეცნიერებაში საერთაშორისო ურთიერთობების დარგში მსგავსი მიდგომის შეზღუდულობას და აშკარა გახადა საერთაშორისო

ურთიერთობების დარგში სამამულო გამოკვლევების მსოფლიო მეცნიერებაში ინტეგრაციის აუცილებლობა. გამოყენებული უნდა იქნეს მსოფლიო მეცნიერების მიღწევები.

1. საერთაშორისო ურთიერთობების ცნება და კრიტერიუმი

ერთი შეხედვით, „საერთაშორისო ურთიერთობების“ ცნების განსაზღვრა არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულ სირთულეს: – ესაა მსოფლიო არენაზე მოქმედი ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური, სამართლებრივი, დიპლომატიური და სხვა კავშირების ერთიანობა. სახელმწიფოებსა და სახელმწიფო სისტემებს, ძირითად კლასებს, ძირითად სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ ძალებს, ორგანიზაციებს და საზოგადოებრივ მოძრაობებს, ე.ი. ხალხებს შორის ურთიერთობები, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, მაგრამ მაშინვე ჩნდება მთელი რიგი კითხვებისა. მიეკუთვნება თუ არა, მაგალითად, სხვადასხვა სახელმწიფოს ადამიანებს შორის ქორწინება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს? მიეკუთვნება თუ არა ტურისტული მოგზაურობები და ერთი ქვეყნის მოქალაქის კერძო მიპატიჟებით მოგზაურობა სხვა ქვეყანაში საერთაშორისო ურთიერთობებს. მონაწილეობს თუ არა ადამიანი საერთაშორისო ურთიერთობებში, როცა უცხოურ საქონელს ყიდულობს თავისი ქვეყნის მაღაზიაში? მსგავს კითხვებზე პასუხების გაცემის ცდები გამოამჟღავნებს მერყეობას, პირობითობას ან უბრალოდ საზღვრების „მოუხელთებლობას“ შიდასაზოგადოებრივ და საერთაშორისო ურთიერთობებს შორის. სხვანაირად რით გამოიხატება საერთაშორისო არენაზე მოქმედ ძირითად კლასებს შორის კავშირებისა და ურთიერთობების ერთობლიობის „სპეციფიკა“, ორგანიზაციებსა და მოძრაობებთან შედარებით, რაც იფარება ისეთი ტერმინების უკან, როგორებიცაა „სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური ძალები“.

საერთაშორისო ურთიერთობების ჩარჩოებიდან გამოსვლის ცდა მდგომარეობს ხალხთა შორის ურთიერთობების განსაზღვრაში, როგორც ინტეგრაციული კავშირების ერთობლიობა, რომელმაც ჩამოაყალიბა

ადამიანთა გაერთიანება. საერთაშორისო ურთიერთობების ასეთი გაგება, რომელიც ღიად ტოვებს კითხვებს მისი მონაწილეების (აქტორების) შესახებ, საშუალებას იძლევა სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების შესახებ ცნობებში ნაკლოვანებების თავიდან აცილებისა. მის ღირსებას შეიძლება განეკუთვნოს, რომ მასში გამოიყოფა საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციაში ერთ–ერთი ძირითადი ტენდენცია, ფლობს რა წინანდელთან შედარებით ზემოთ აღნიშნულ უპირატესობას. მოცემულ განმარტებას აქვს ის ნაკლოვანება, რომ ძალიან ფართოა, შლის საზღვრებს შიდასაზოგადოებრივ და საერთაშორისო ურთიერთობებს შორის.

აკეთებს რა აქცენტს არასაერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეებზე, არამედ ერთმანეთთან მათ ურთიერთქმედებაზე, ის არსით „კარგავს“ ამ მონაწილეებს: მთავარი და არამთავარი მონაწილეების გამოყოფის გარეშე საკმაოდ რთულია საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკის გამოვლენა.

თუმცა, განსაზღვრისადმი ძალიან ბევრი პრეტენზიის წაყენება არ იქნებოდა სწორი. არცერთ დეფინიციას არ შეუძლია სრულად გახსნას განსაზღვრული ობიექტის შინაარსი. მისი ამოცანაა მიაწოდოს მხოლოდ პირველადი წარმოდგენა ამ ობიექტის შესახებ ამიტომ საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისას მკვლევარები ისწრაფვიან არამხოლოდ მისცენ „ამომწურავი“ განსაზღვრა, რამდენადაც გამოყონ ძირითადი კრიტერიუმი, რომლის საფუძველზე შეიძლება გაიგო მათი არსი და სპეციფიკა.

ყველაზე ხშირად ბევრი მკვლევარი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკის არსებითი ელემენტებიდან გამოყოფენ მათ მონაწილეებს, მაგალითად ცნობილი ფრანგი სოციოლოგის რ. არონის თვალსაზრისით „საერთაშორისო ურთიერთობები“ ეს არის ურთიერთობა პოლიტიკურ ერთეულებს შორის, მხედველობაში ჰქონდა, მოცემული ცნება მოიცავს ბერძნულ პოლისებს, რომის ან ეგვიპტის იმპერიას, ევროპულ მონარქიებს, ბურჟუაზიულ რესპუბლიკებს ან სახალხო

დემოკრატიას. საერთაშორისო ურთიერთობების შინაარსს წარმოადგენს უპირატესობით, სახელმწიფოებს შორის ურთიერთობა; საერთაშორისო ურთიერთობების მაგალითს წარმოადგენს სახელმწიფოთაშორისი შეთანხმებები. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები გამოიხატება სიმბოლური პერსონაჟების – დიპლომატის და ჯარისკაცის– სპეციფიკურ ქცევაში. „ორი და მხოლოდ ორი ადამიანი, წერს რ. არონი, მოქმედებს არა მხოლოდ წევრების ხარისხში, არამედ იმ ერთობლიობის წარმომადგენლების ხარისხში, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან: ელჩი თავისი ფუნქციის შესრულებისას წარმოადგენს პოლიტიკურ ერთეულს, რომლის სახელით ის კლავს თავის მსგავსს – წერს რ. არონი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საერთაშორისო ურთიერთობები მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ეფუძნებიან ალბათ ერთსაც და მეორესაც და ამიტომ მოიცავენ თავიანთ თავში რისკის მნიშვნელოვან ელემენტში.

საგარეო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების თავისებურებების მისეული გაგების მისაღწეობის მიზნით რ. არონმა ისინი შეადარა სპორტს. ასევე ის ხაზგასმით აღნიშნავს მაგალითად „ფეხბურთთან შედარებით, საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს კიდევ უფრო გაურკვეველს. მოქმედ პირთა მიზანი აქ არც ისე უბრალოა, როგორც გოლის გატანა. დიპლომატიური თამაშების წესები გაწერილი არ არის ყველა დეტალებში, ყოველი მოთამაშე არღვევს მას, როცა ამაში მოგებას ხედავს. არ არის მსაჯული, მაშინაც კი მოქმედ პირთა რაღაც ერთობლიობა პრეტენზიას აცხადებს სასამართლოზე, ნაციონალური მოქმედი პირები არ ემორჩილებიან ამ კოლექტიური არბიტრის გადაწყვეტილებებს, რომლის მიუკერძოებულობის ხარისხი ტოვებს საბაზს დისკუსიისთვის. თუ ერების მეტოქეობა ნამდვილად მოგვაგონებს სპორტის რომელიმე სახეობას, მაშინ ასეთ სახეობას წარმოადგენს ხშირად ბრძოლა წესების გარეშე – კეტჩი. ამიტომ რ.არონი თვლის, რომ საერთაშორისო ურთიერთობები – ესაა „წინასამოქალაქო“ ან „ბუნებრივი“ მდგომარეობა საზოგადოებისა (გობოვის განმარტებით, როგორც „ომი ყველასი ყველას წინააღმდეგ“).

საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ბატონობს „სუვერენიტეტის პლურალიზმი“, ამიტომ აქ არ არის მონოპოლია იძულებასა და ძალადობაზე და საერთაშორისო ურთიერთობების ყოველი მონაწილე იძულებულია თავისი საქციელით დამოკიდებული იყოს სხვა მონაწილეების გაუთვალისწინებელ განჭვრეტაზე.

მსგავს აზრს გამოთქვამენ სხვა მკვლევარებიც, რომლებიც აღნიშნავენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობები ხასიათდებიან მის მონაწილეებს შორის კონსესუსის უქონლობით, არა იმდენად საერთო ღირებულებებში, რამდენადაც მორალურად ან იურიდიულად გარანტირებულ საერთო სოციალურ წესებში; ცენტრალური ხელისუფლების უქონლობით, სტიქიური პროცესების და სუბიექტური ფაქტორების დიდი როლით, რისკის და მოულოდნელობის მნიშვნელოვანი ელემენტებით.

მაგრამ ყველა არ იზიარებს რ. არონის იმ მოსაზრებას, რომლის შესაბამისად საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი შინაარსი წარმოადგენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობას. ამერიკელი მკვლევარის დ. კაპორაზის აზრით, დღევანდელ დღეს საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარი მოქმედი პირები ხდებიან არა სახელმწიფოები, არამედ კლასები, სოციალურ-ეკონომიკური ჯგუფები და პოლიტიკური ძალები. დ. სინგერმა საერთაშორისო ურთიერთობების გამოკვლევებში ბიხევიორისტული სკოლის წარმომადგენელმა შემოგვთავაზა საერთაშორისო ურთიერთობებში ყველა შესაძლო მონაწილის საქციელის შესწავლა –ინდივიდიდან დაწყებული გლობალურ გაერთიანებამდე – არ ზრუნავს მსოფლიო არენაზე მათი როლის პრიორიტეტის დადგენაზე. სხვა ცნობილმა ამერიკელმა სპეციალისტმა საერთაშორისო ურთიერთობების დარგში, დ.როზენაუმ, გამოთქვა მოსაზრება, რომ მსოფლიო პოლიტიკაში უკანასკნელ ათწლეულებში მომხდარმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა გამოიწვია საერთაშორისო ურთიერთობებში ძირეული ტრანსფორმაციები. მათი მთავარი მოქმედი პირი ხდება უკვე არა სახელმწიფო, არა კონკრეტული პირები, რომლებიც ერთმანეთთან

კავშირში შედიან მისი მინიმალური შუამავლობით ან მის გარეშე და თუ რ. არონისთვის საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი შინაარსი წარმოადგენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთქმედებას, რომელთა სიმბოლიზირება ხდება დიპლომატიისა და ჯარისკაცის სახით; დ. როზენაუ მიდის ფაქტობრივად საპირისპირო დასკვნამდე. მისი მოსაზრებით, საერთაშორისო ურთიერთობები ხდება ე.წ. საერთაშორისო კონტინუუმის წარმომქმნელი, რომელთა სიმბოლური სუბიექტებია ტურისტები და ტერორისტები.

წამოყენებულ მრავალ მოსაზრებებში ჩნდება ცდები, ან გაერთიანდნენ, ან საერთაშორისო ურთიერთობების გამოკვლევებში უპირატესობა მიენიჭოს ორი კრიტერიუმიდან ერთ-ერთს. ერთ შემთხვევაში ესაა მონაწილეების სპეციფიკა, მეორეში – საერთაშორისო ურთიერთობების განსაკუთრებული ბუნება. ყოველ მათგანს შეუძლია გამოიწვიოს არაერთგვაროვანი შედეგები. ყოველ მათგანს აქვს თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები.

ერთი მიდგომის ჩარჩოებში არსებობს შესაძლებლობა საერთაშორისო ურთიერთობების მიყვანისა ან სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებამდე ან პირიქით მხოლოდ არასახელმწიფო მონაწილეების საქმიანობამდე, რაც არ არის სწორი. უფრო დაწვრილებით საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეების შესახებ განხილული იქნება VII თავში. აქ შეიძლება შემოვიფარგლოთ მხოლოდ შენიშვნით იმის შესახებ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეთა გაფართოების არსებული და მზარდი ტენდენცია კარნახობს არასახელმწიფოებრივი და კერძო სუბიექტების ანგარიშზე. მსოფლიო არენაზე მიმდინარე ცვლილებებში მათი როლის ყურადღებით გაანალიზებას. ასეთ ანალიზს აუცილებლად უნდა ახლდეს საერთაშორისო ურთიერთობებში ყველა მათი მონაწილის მათ შორის ისეთი „ტრადიციული“, როგორცაა სახელმწიფოს ხვედრითი წილის შეპირისპირება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ისინი დღესაც ბევრ შემთხვევაში არიან საერთაშორისო ურთიერთობებში მთავარ და გადამწყვეტ მოქმედ პირებად, თუმცა მათი მნიშვნელობების

აბსოლუტიზაცია როგორც ერთადერთის და თვითკმაყოფილის არაკანონზომიერია.

საპირისპირო დასკვნებს, ურთიერთგამომრიცხავ უკიდურესობას უშვებს მეორე მიდგომა. საერთაშორისო ურთიერთობების ბუნების გაგება, როგორც „ბუნებრივი“ „წინასამოქალაქო“ მდგომარეობისა, არ ითვალისწინებს ტენდენციებს მათი სოციალიზაციისკენ, ახდენს ასეთი მდგომარეობის გადალახვის მზარდი მტკიცებულებების იგნორირებას და ახალი მსოფლიო წესრიგის დადგომას. სხვა მხრიდან, თუ ამოსავალი იქნება აღნიშნული ტენდენცია, შეიძლება მივიდეთ მცდარ დასკვნამდე, რომელიც არ ითვალისწინებს, მიუხედავად მსოფლიოს ძირითადი ერთიანობისა და ურთიერთდამოკიდებულებებისა სხვადასხვა სახელმწიფოებისა და ხალხის გამლიერებული საერთაშორისო ინტეგრაციისა და თანამშრომლობისა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალურ და სხვა სფეროებში. საერთაშორისო ურთიერთობები დღესაც რჩებიან შეუთავსებელი ინტერესების, მეტოქეობისა და ძალადობის სფეროდ. ეს არ არის „ჯუნგლები“, არც „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“, მაგრამ არც ერთიანი საზოგადოება, რომელიც ცხოვრობს ერთიანი კანონებით, მათი წევრების შესაბამისი საერთო ღირებულებებით და ნორმებით. ესაა გარდამავალი პერიოდი, როცა ძლიერდება ტენდენცია მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებისა, მაგრამ იგი არაა შეუქცევადი, როცა „სუვერენიტეტის პლურალიზმის“ და რეგულარიზმის ელემენტები, ურთიერთინტერესების საფუძველზე გაერთიანების გაფართოება, ძალადობის საშუალებების სრულყოფა თანაარსებობენ ერთმანეთთან, ხან თანაზომიერდებიან, ხან ისევ ებმებიან ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, რომ ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმები არ არის საკმარისი საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკის განსაზღვრისას, ისინი თუ არ შეიცვლებიან, უნდა დაემატოს კიდევ ერთი კრიტერიუმი. ცნობილი ფრანგი მკვლევარის მ. მერლის შემოთავაზებულ კრიტერიუმს მანვე უწოდა „ლოკალიზაციის

კრიტერიუმი“. ამ კრიტერიუმთან შესაბამისად საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკა განისაზღვრება, როგორც „შეთანხმებებისა და ნაკადების“ ერთობლიობა, რომლებიც გადაკვეთავენ საზღვარს, ან აქვთ საზღვრის გადაკვეთის ტენდენცია“.

მსოფლიოს სახელმწიფოებად დანაწილების ფაქტიდან გამომდინარე, რომლებიც ინარჩუნებენ სუვერენიტეტს თავიანთ ტერიტორიულ საზღვრებზე, ასეთი გაგება საშუალებას იძლევა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში ყოველი ეტაპის გათვალისწინებას ისე, რომ არ მიიყვანოს ისინი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთქმედებამდე. მასში სრულად ეწერებიან საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა კლასიფიკაციები. პოზიციების განზოგადების შედეგად შეგვიძლია ვისაუბროთ საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა ტიპების, სახეობების, დონეებისა და მდგომარეობების შესახებ.

ამ დრომდე, როგორც სამამულო, ისე აღმოსავლეთ ევროპაშუილიტერატურაში, საერთაშორისო ურთიერთობები იყოფიან კლასობრივი კრიტერიუმის საფუძველზე, ბატონობის და დაქვემდებარებით ურთიერთობაზე, თანამეგობრობისა და ურთიერთდახმარების ურთიერთობაზე და გარდამავალ ურთიერთობებზე. პირველს მიეკუთვნება ფეოდალური და კაპიტალისტური ტიპის ურთიერთობები, მეორეს – სოციალისტურ ქვეყნებს შორის ურთიერთობები, მესამეს – კოლონიალური დამოკიდებულებისგან განთავისუფლებაც განვითარებად სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები.

რამდენადაც დაკვირვებული სურათი არ ლაგდებოდა საკმაოდ ხელოვნურ სქემაში, იმდენად ზოგიერთი ავტორი ცდილობდა თვით სქემის გამართლებას ისე, რომ არ გამოსულიყვნენ კლასობრივი მიდგომის ჩარჩოებიდან. პოლონელი ავტორი ი. კუკულკა გამოყოფს გარდამავალ საერთაშორისო ურთიერთობების სამ ერთგვაროვან ტიპს. რეალური საერთაშორისო ცხოვრება არ ეწერებოდა მსგავს ტიპოლოგიაში, რომელიც ახდენდა სოციალისტურ ქვეყნებს შორის სერიოზული

წინააღმდეგობებისა და შეიარაღებული კონფლიქტების იგნორირებას ისევე როგორც კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის ჭეშმარიტი თანამეგობრობის არსებობას XX საუკუნის 90-ანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთ ევროპაში მომხდარმა ცვლილებებმა, რომლებმაც გამოიწვიეს მსოფლიო სოციალისტური სისტემის გაქრობა, აიძულეს სპეციალისტების უმრავლესობა ეთქვათ უარი კლასობრივ და გადასულიყვნენ საერთაშორისო ურთიერთობების კლასიფიკაციაში „საერთო ცივილიზებულ“ კრიტერიუმებზე. ამ უკანასკნელის შესაბამისად სამამულო ლიტერატურაში იყო ცდა გამოეყოთ საერთაშორისო ურთიერთობების ორი ტიპი – ერთი მხრივ, ძალთა ბალანსზე დაფუძნებული. ამ ცდას, რომლითაც გატაცებული იყო სამამულო ავტორების ნაწილი, მეცნიერებაში ფაქტობრივად არ დაუტოვებია რაიმე არსებითი კვალი და არ განახლებულა მისი დამარცხების შემდეგ.

საერთაშორისო ურთიერთობების სახეები განიხილება ან საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროების საფუძველზე – ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, სტრატეგიული, კულტურული, იდეოლოგიური ურთიერთობები და ა.შ. ან მონაწილეების ურთიერთზემოქმედების საფუძველზე – სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები, პარტიართშორისი ურთიერთობები, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს, ტრანსნაციონალურ კორპორაციებს და სხვათაშორისი ურთიერთობები.

ამა თუ იმ სახეობის საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებისა და ინტენსივობის ხარისხიდან გამომდინარე, გამოყოფენ მათ სხვადასხვა (მაღალ, დაბალ ან საშუალო) დონეს. შედარებით ნაყოფიერად ითვლება საერთაშორისო ურთიერთობების დონის განსაზღვრა გეოპოლიტიკური კრიტერიუმის საფუძველზე: ამ თვალსაზრისით გამოიყოფა გლობალური (ან საერთო პლანეტარული), რეგიონალური (ევროპული, აზიური და ა.შ.), სუბრეგიონალური (მაგ. კარიბის აუზის ქვეყნები) საერთაშორისო ურთიერთქმედების დონეები.

დამაბულობის ხარისხის თვალსაზრისიდან, შეიძლება ლაპარაკი საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა მდგომარეობის შესახებ: ესაა მაგალითად სტაბილურობის და არასტაბილურობის მდგომარეობა, ნდობა და მტრობა, თანამეგობრობა და კონფლიქტი, ომი და მშვიდობა და ა.შ.

საერთაშორისო ურთიერთობების სხვადასხვა ტიპები, სახეობები, დონეები და მდგომარეობები, მეცნიერებაში ცნობილი მთელი ერთობლიობა წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების განსაკუთრებულ სახეობას, რომელიც განსხვავდება თავისებურებით მათი სახეობის სხვა საერთაშორისო ურთიერთობებისგან, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ სოციალურ ერთობას, რომელიც გამოდის როგორც საერთაშორისო ურთიერთობის მონაწილეები. ამასთან დაკავშირებით საერთაშორისო ურთიერთობების განსაზღვრა შეიძლება როგორც საერთაშორისო ურთიერთობების და ტერიტორიული წარმონაქმნიდ ჩარჩოს გარეთ. თავის მხრივ ასეთი განსაზღვრა მოითხოვს საკითხის განხილვას იმის შესახებ როგორია თანაფარდობა საერთაშორისო ურთიერთობებსა და მსოფლიო პოლიტიკას შორის.

2. მსოფლიო პოლიტიკა

„მსოფლიო პოლიტიკის“ ცნება განეკუთვნება პოლიტიკური მეცნიერების შედარებით გამოყენებულ და ამავდროულად ნაკლებად ნათელ გაგებას. მართლაც, ერთი მხრიდან, მსოფლიო იმპერიის შექმნის ან სოციალ-პოლიტიკური უტოპიის რეალიზაციის ცდებისას დაგროვილი დიდი ისტორიული გამოცდილება, ასევე XX საუკუნე მდიდარი გლობალური მოვლენებით, რომლებიც ეხებოდა მთელი კაცობრიობის ბედს (გავიხსენოთ XX საუკუნის პირველ ნახევარში მომხდარი ორი მსოფლიო ომის შესახებ. ამის შემდგომ ორი სოციალ-პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგობაში დგომა, ფაქტიურად ერთი მათგანის გაქრობამდე, ახალი ათასწლეულის მიჯნაზე მსოფლიოს მზარდი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ) არ ტოვებს ეჭვს ფენომენის მოცემული ცნების არსებობისა. არ არის შემთხვევითი მსოფლიოს მთლიანობის თეორიულ ათვისებაში (მსოფლიომცოდნეობა ან

მონდიოლოგია) – ცოდნის დისციპლინათაშორისო დარგში, რომელმაც 70–80–ანი წლებიდან დაწყებული მეცნიერული საზოგადოების მზარდი ინტერესი გამოიწვია; იმდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ცნებები „მსოფლიო სამოქალაქო საზოგადოება“ და „მსოფლიო მოქალაქეობა“. როგორც ცნობილია, ჰეგელის ენით რომ ვთქვათ სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს სახელისუფლებო ურთიერთობის სფეროს დიალექტიკურ დაპირისპირებას ე.ი. სხვანაირად რომ ვთქვათ ის ისევე განუყოფელია ამ სფეროდან როგორც ერთმანეთისგან მარჯვენა და მარცხენა, ჩრდილოეთი და სამხრეთი და ა.შ. რაც შეეხება „მსოფლიო მოქალაქეობას“ სოციალური გაერთიანების ლოიალობა ის „განსაზღვრებით“ ვარაუდობს სოციალური გაერთიანების ლოიალურობას ლეგიტიმურ პოლიტიკურ ხელისუფლებასთან მიმართებაში. ე.ი. მოცემულ შემთხვევაში ის ვარაუდობს მსოფლიო პოლიტიკის არსებობას, შედარებით დამოუკიდებელი და ობიექტური საზოგადოებრივი მოვლენის ხარისხში.

სხვა მხრივ, მსოფლიო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხების გამოკვლევისას წარმოჩნდება მთავარი პრობლემებიდან ერთი, ესაა მისი იდენტიფიკაციის პრობლემა, როგორც ობიექტურად არსებული ფენომენისა. მართლაც როგორ განვასხვაოთ მსოფლიო პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობებიდან? ეს კითხვა არ არის მარტივი, რადგან თვითონ ცნება „საერთაშორისო ურთიერთობები“ არ არის საკმაოდ განსაზღვრული და დღემდე იწვევს დისკუსიებს, რომლებშიც წარმოჩენილ მკვლევარებს შორის მის არსთან მიმართებაში წარმოქმნილი უთანხმოება რამდენადაც მსოფლიო პოლიტიკაში სივრცე და ასპარეზი შეიძლება გამოიყონ მხოლოდ აბსტრაქციაში. ხშირად გვხვდება თვალსაზრისი, რომლის შესაბამისად მსოფლიო პოლიტიკა მთლიანობაში არაფერია თუ არა აბსტრაქცია, საერთაშორისო ურთიერთობებზე პოლიტოლოგის შეხედულების გამოხატულება, მათში პირობითად გამოიყოფა პოლიტიკური მხარე და ხასიათი.

განხილულ პრობლემაში სიცხადე შეაქვს სხვა მიდგომას, რომელიც წამოაყენა ა.ე. ბოვინმა და გაიზიარა ვ.პ. ლუკინმა: „მსოფლიო პოლიტიკა“ არის საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოების ურთიერთქმედებისკენ მოღვაწეობა: „საერთაშორისო ურთიერთობები“ ესაა სახელმწიფოებს შორის რეალური კავშირების სისტემა, რომელიც წარმოადგენს მისი საქმიანობის რეჟულატატებს და თავისებურ არეს, სივრცეს, რომელშიც არსებობს მსოფლიო პოლიტიკა. გარდა სახელმწიფოებისა, მსოფლიო გაერთიანების სუბიექტებად, მონაწილეებად, გამოდიან სხვადასხვა მოძრაობები, ორგანიზაციები და პარტიები. საერთაშორისო ურთიერთობები მუდმივად იცვლებიან მსოფლიო პოლიტიკის ზეგავლენით, თავის მხრივ, გავლენას ახდენს მის შინაარსზე და ხასიათზე.

ასეთი პოზიცია აადვილებს მსოფლიო არენაზე წარმოქმნილ გაგებას და ის სრულად შეიძლება იქნეს მიღებული საწყისად მსოფლიო პოლიტიკის ანალიზში. სასარგებლოა თუ შევიტანთ ზოგიერთ დაზუსტებას. მსოფლიო არენაზე სახელმწიფოების ურთიერთქმედება, სხვადასხვა დარგებში მათ შორის ორმხრივი და მრავალმხრივი კავშირი. მეტოქეობა და კონფლიქტები, რომელთა უმაღლესი ფორმაა ომები, თანამშრომლობა, რომლის დიაპაზონი ვრცელდება სპორტული სავაჭრო გაცვლებიდან პოლიტიკურ ინტეგრაციამდე, რომელსაც თან ახლავს სუვერენიტეტის ნაწილზე ნებაყოფლობითი უარი, გადმოცემული როგორც „საერთო მოხმარება“, – ყველა ეს ზუსტად აისახება ტერმინით „საერთაშორისო პოლიტიკა“. რაც შეეხება ცნებას „მსოფლიო პოლიტიკა“ ის ურევს აქცენტს იმ მნიშვნელოვან როლზე, რომელსაც თამაშობს საერთაშორისო გარემოს ფორმირებაში არატრადიციული აქტორები, არ დევნის სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მონაწილისა. როგორც ჩანს განსხვავება არსებობს არა მხოლოდ მსოფლიო პოლიტიკასა და საერთაშორისო ურთიერთობებს შორის, ასევე საგარეო და საერთაშორისო პოლიტიკას შორის. ამა თუ იმ ქვეყნის საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს საგარეო საქმეთა სამინისტროს ან მისი შესაბამისი საგარეო პოლიტიკური უწყების მიერ სახელმწიფოს

საერთაშორისო პოლიტიკის ძირითადი პრინციპების კონკრეტულ, პრაქტიკულ გამოხატულებას, რომელიც დაუშვებელია შედარებით ფართო სტრუქტურების ჩარჩოებში. მათი მოწოდებაა ასახონ მისი ნაციონალური ინტერესები. რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობების არასახელმწიფოებრივ მონაწილეებს, ბევრი მათგანისათვის (მაგალითად მრავალეროვანი კორპორაციებისთვის, საერთაშორისო მაფიოზური დაჯგუფებისთვის, კონფენსიონალური ერთობებისთვის, რომელიც ეკუთვნის, ვთქვათ, კათოლიკურ ეკლესიას ან ისლამს); საერთაშორისო პოლიტიკა ხშირად სრულიად არ არის „საგარეო“. ამასთან ერთად მსგავსი პოლიტიკა გამოდის ერთდროულად, როგორც – „ტრანსნაციონალური“ – რამდენადაც ხორციელდება ამა თუ იმ სახელმწიფოს გარეშე, ხშირად მის წინააღმდეგ „разгосударственная“ – რადგან მისი სუბიექტები ხდებიან ლიდერთა ჯგუფები, რომელთა სახელმწიფოებრივი კუთვნილება არსით ფორმალურ ხასიათს ატარებს („ორმაგი მეტოქეობის“ ფენომენი ხშირად ზედმეტად აქცევს ასეთ ფორმალობას).

სახელმწიფოს საგარეო და საერთაშორისო პოლიტიკა მჭიდროდაა დაკავშირებული არა მარტო ერთმანეთთან, არამედ მის საშინაო პოლიტიკასთან, რაც განპირობებულია, კერძოდ, ისეთი ფაქტორებით, როგორებიცაა ერთიანი საფუძველი და საბოლოო მიზანი, ერთიანი სარესურსო ბაზა, ერთიანი სუბიექტი და ა.შ. (სწორედ ამით აიხსნება ის ვითარება, რომ საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილების ანალიზი შესაძლებელია მხოლოდ შიდაპოლიტიკური ძალების განლაგების გათვალისწინებით).

სხვა მხრიდან, ეს ერთი შეხედვით რაც არ უნდა პარადოქსული იყოს, „ტრანსნაციონალური“ და „разгосударственная“ პოლიტიკის ფენომენები სულ უფრო ხშირად ხდებიან მახასიათებელნი საერთაშორისო ურთიერთობებისთვის.

როგორც შევიცარელი მკვლევარი ფ. ბრაიარი გვიჩვენებს, რომ საგარეო პოლიტიკა სულ უფრო ნაკლები ხარისხით წარმოადგენს მხოლოდ საგარეო საქმეთა სამინისტროს წილს. თანაზიარი მართვის

მზარდი აუცილებლობის ძალით, სულ უფრო რთული და მრავალმხრივი პრობლემებით სხვა სახელმწიფოებრივი უწყებებისა და სტრუქტურების უმრავლესობისთვის იგი ხდება მიღწევად. ნაციონალური ბიუროკრატის სხვადასხვა ჯგუფები, რომელთაც კავშირი აქვთ საერთაშორისო მოლაპარაკებებთან ხშირად ისწრაფვიან უცხოეთში თავის კოლეგებთან უშუალო თანამშრომლობისაკენ, მათთან შეთანხმებული მოქმედებისკენ. ეს იწვევს ოკულტური კავშირებისა და ინტერესების განვითარებას, რომლებიც გამოდიან სახელმწიფოებრივი კუთვნილებისა და ჩარჩოს გარეთ, რაც კიდევ უფრო ურთიერთშეღწევადს ხდის საშინაო და საერთაშორისო სფეროებს.

3. საშინაო და საგარეო პოლიტიკის ურთიერთკავშირები

საშინაო და საგარეო პოლიტიკის ურთიერთკავშირისა და ურთიერთგავლენის პრობლემა ერთ-ერთი ყველაზე რთული პრობლემაა, რომელიც იყო და არის მწვავე პოლიტიკის საგანი საერთაშორისო პოლიტიკური მეცნიერების სხვადასხვა თეორიულ მრავალსახეობებს შორის, როგორცაა ნეორეალიზმი და ნეომარქსიზმი, დამოკიდებულების და ურთიერთდამოკიდებულების თეორიები, სტრუქტურალიზმი და ტრანსნაციონალიზმი. ამ მიმართულებებიდან ყოველი განხილული პრობლემების განმარტებაში გამოდის პოლიტიკის მამოძრავებელი ძალის და წყაროების შესახებ საკუთარი წარმოდგენებიდან.

ასე მაგალითად, პოლიტიკური რეალიზმის მომხრეებისთვის საგარეო და საშინაო პოლიტიკა, მიუხედავად იმისა, რომ აქვთ ერთიანი არსი, მათი აზრით საბოლოოდ მიდიან ძალადობრივი ბრძოლისკენ, მაინც წარმოადგენენ სახელმწიფოებრივი საქმიანობის პრინციპულად სხვადასხვა სფეროებს. გ. მორგენტაუს მტკიცებით, მრავალი თეორიული დებულება, რომელიც დღესაც პოპულარულია, საგარეო პოლიტიკა განისაზღვრება ნაციონალური ინტერესებით. ნაციონალური ინტერესები ობიექტური, რამდენადაც დაკავშირებული არიან უცვლელ ადამიანურ ბუნებასთან, გეოგრაფიულ პირობებთან, ხალხთა სოციოკულტურულ და ისტორიულ ტრადიციებთან. მათ აქვთ ორი შემადგენელი ნაწილი: ერთი

მუდმივი – გადარჩენის იმპერატივი, ბუნების აუცილებელი პირობა, მეორე – ცვალებადი, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ ფორმას, რომელსაც ღებულობენ ეს ინტერესები დროსა და სივრცეში. ამ ფორმის განსაზღვრა ეკუთვნის სახელმწიფოს, რომელსაც ეკუთვნის მონოპოლია გარე სამყაროსთან კავშირზე. ნაციონალური ინტერესის საფუძველი, აისახება ხალხის ენაზე, მის კულტურაზე, მათი არსებობის ბუნებრივ პირობებზე და რჩება მუდმივი. ამიტომ ქვეყნის ცხოვრების შიდა ფაქტორები (პოლიტიკური რეჟიმი, საზოგადოებრივი აზრი და ა.შ.), რომელთაც შეუძლიათ შეცვლა და კიდევ იცვლებიან სხვადასხვა ვითარებაზე დამოკიდებულებით, მაგრამ რეალისტები არ განიხილავენ მათ, როგორც ნაციონალური ინტერესების ბუნებაზე გავლენის საშუალებებად, კერძოდ ნაციონალური ინტერესი დაკავშირებული არ არის პოლიტიკური რეჟიმის ხასიათთან. შესაბამისად, საგარეო და საშინაო პოლიტიკა ფლობს მნიშვნელოვან ავტონომიას ერთმანეთთან მიმართებაში.

პირიქით, მთელი რიგი სხვა მიმართულებების და სკოლების წარმომადგენლების თვალსაზრისით საგარეო და საშინაო პოლიტიკა არა მხოლოდ ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი, ასევე ეს კავშირი ატარებს დეტერმინიზმის ხასიათს. არსებობს მსგავსი დეტერმინიზმის ორი ვერსია. ერთი მათგანი დამახასიათებელია ორთოდოქსული მარქსიზმისთვის, რომლის პოზიციიდან საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს შიდა პოლიტიკური რეჟიმის კლასობრივი ურთიერთობის არსის განსაზღვრაზე. აქედან საერთაშორისო ურთიერთობები მთლიანობაში ატარებენ „მეორად“, „მესამედ“, „გადატანით“ ხასიათს.

დეტერმინიზმის სხვა ვერსიას ემხრობიან გეოპოლიტიკური კონცეფციის მომხრეები, „მდიდარი ჩრდილოეთის“ და „ღარიბი სამხრეთის“ თეორიების, დამოკიდებულების ნეომარქსისტული თეორიების, „მსოფლიო ცენტრის“ და „მსოფლიო პერიფერიის“ თეორიის მომხრეები და ა.შ. მათთვის არსით შიდა პოლიტიკის განსაკუთრებულ წყაროს წარმოადგენს გარე იძულება. მაგალითად, ი.ვალლერსტაინის

თვალსაზრისით იმისთვის, რომ გავიგოთ ამა თუ იმ სახელმწიფოში შიდა წინააღმდეგობა და პოლიტიკური ბრძოლა, ის განხილული უნდა იქნეს უფრო ფართო კონტექსტში: მსოფლიოს მთლიანობის კონტექსტში, რომელიც წარმოადგენს თავის მხრივ გლობალურ იმპერიას, რომელსაც საფუძვლად უდევს – „მიკროეკონომიკის“ – წარმოების კაპიტალისტური წესის კანონები. „იმპერიის ცენტრი“ – ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოების არც თუ დიდი ჯგუფი, რომელიც მოიხმარს „მსოფლიო პერიფერიის“ რესურსებს, წარმოადგენს სამრეწველო პროდუქციის და სამომხმარებლო სიკეთის მწარმოებელს, რომელიც აუცილებელია მათი შემადგენელი სუსტად განვითარებული ქვეყნების არსებობისთვის. ამრიგად, ლაპარაკია „ცენტრსა“ და „პერიფერიებს“ შორის ურთიერთდამოკიდებულების ურთიერთობის არსებობის შესახებ, რომელიც წარმოადგენს მათი საგარეო პოლიტიკური ბრძოლის ძირითად მოედანს. განვითარებული ქვეყნები დაინტერესებული არიან ისეთი მდგომარეობის შენარჩუნებაში (რომელიც არსით წარმოადგენს დამოკიდებულების მდგომარეობას), როცა „პერიფერიის“ ქვეყნები, პირიქით, ისწრაფვიან შეცვალონ ის, დაადგინონ ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგი. საბოლოოდ, ერთის თუ მეორის ძირითადი ინტერესები საგარეო პოლიტიკის სფეროში, რომლის წარმატებაზეა დამოკიდებული მათი შიდა კეთილდღეობა. შიდაპოლიტიკური პროცესების, პარტიის ბრძოლის და მოძრაობის მნიშვნელობა ამა თუ იმ ქვეყნების ჩარჩოში. განისაზღვრება იმ როლით, რომელიც შეუძიათ მათ ითამაშონ „მსოფლიო-ეკონომიკურ“ კონტექსტში.

დეტერმინიზმის კიდევ ერთი ვარიანტი დამახასიათებელია საერთაშორისო პოლიტიკურ თეორიაში ისეთი თეორიული მიმართულებების წარმომადგენლებისთვის, როგორებიცაა ნეორეალიზმი და სტრუქტურალიზმი (რომელიც იძენს შედარებით დამოუკიდებელ მნიშვნელობას). მათთვის საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს შიდას გაგრძელებას, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობები – შიდა საზოგადოებრივი ურთიერთობების გაგრძელებას. საგარეო პოლიტიკის

განსაზღვრაში გადამწყვეტ როლს, მათი აზრით, თამაშობს არა ნაციონალური ინტერესები, არამედ საერთაშორისო სისტემის შიდა დინამიკა. მთავარი მნიშვნელობა აქვს ცვალებად საერთაშორისო სისტემას. ის მათ კარნახობს თავის კანონებს.

ამრიგად, სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ურთიერთქმედებაში დეტერმინიზმის შესახებ საბოლოოდ წყდება საგარეო პოლიტიკის სასარგებლოდ. მსოფლიოს ურთიერთდამოკიდებულების კონცეფციის წარმომადგენლები განხილული საკითხის ანალიზში გამოდიან თეზისიდან, რომლის თანახმად საშინაო და საგარეო პოლიტიკას აქვს საერთო საფუძველი – სახელმწიფო. იმისთვის, რომ მივიღოთ სწორი წარმოდგენა მსოფლიო პოლიტიკის შესახებ, თვლის მაგალითად მონრეალის უნივერსიტეტის პროფესორი ლ. დადლეი, რომ დაუზღუბდეთ სახელმწიფოს არსის შესახებ საკითხს. ყოველი სუვერენული სახელმწიფო ფლობს ხელისუფლების ორ მონოპოლიას:

1) მას აქვს თავისი ტერიტორიის შიგნით ძალის გამოყენებაზე აღიარებული და განსაკუთრებული უფლება.

2) აქვს გადასახადების ამოღების ლეგიტიმური უფლება. სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრები წარმოადგენს იმ ჩარჩოს, რომელშიც ხორციელდება ამ სახელისუფლებო მონოპოლიებიდან პირველი – მონოპოლია ძალადობაზე, რომლის საზღვრებს გარეთ იწყება მისი საგარეო პოლიტიკის მოედანი. აქ მთავრდება ძალადობაზე ერთი სახელმწიფოს უფლება და იწყება მეორის უფლება. ამიტომ ყოველ მოვლენას შეუძლია შეცვალოს ის, რომ სახელმწიფო განიხილავს როგორც თავის ოპტიმალურ საზღვრებს, ასევე შეიძლება გამოიწვიოს უწესრიგობების და კონფლიქტების მთელი სერია. სახელმწიფოს ჩარჩოში ძალის გამოყენების საზღვრები განპირობებულია მისი შესაძლებლობებით, გააკონტროლოს თავისი მომორებული ტერიტორიები, რომლებიც თავის მხრივ დამოკიდებულია სამხედრო ტექნოლოგიაზე. დღეისთვის ტრანსპორტის განვითარებამ, შეიარაღების

სრულყოფამ მნიშვნელოვნად შეამცირა სახელმწიფო ხარჯები ტერიტორიების კონტროლზე, რამდენადაც გაიზარდა სახელმწიფოს ოპტიმალური ზომები.

რა ხდება მეორე მონოპოლიასთან დაკავშირებით? ამა თუ იმ სახელმწიფოს ჩარჩოში საერთო შემოსავლის ნაწილი, რომელიც ამოიღება ფისკალური სისტემით, შეადგენს სახელმწიფოსშიდა კომპეტენციის საზღვრებს, ხოლო მისი ასპარეზი შიდა პოლიტიკაა. ამ ასპარეზის მდგომარეობა დამოკიდებულია ტექნოლოგიებზე, მაგრამ ამჯერად აქ საუბარი საინფორმაციო ტექნოლოგიების შესახებ სპეციალიზირებული ბაზრების, ექსპერტული ინფორმაციის, უმაღლესი განათლებისა და სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა მოქალაქეებს აძლევს იმ უპირატესობას, რომელიც მათ არ ექნებოდათ უბრალო სოფელში. სწორედ ამ უპირატესობების წყალობით შესაძლებელია გადასახადების დონე გაიზარდოს, რისკის გარეშე აიძულოს ინდივიდები და ფირმები დაფუნდნენ სხვა ადგილებში. ამ ასპარეზის ყოველგვარმა გაუზარებელმა გაფართოებამ, მაგალითად გადასახადები უეცარმა გაზრდამ გარკვეულ ზღვარს ზევით, შეიძლება გამოიწვიოს მოქალაქეების ერთიანი შემოსავლის კონფისკაცია, რასაც შეიძლება ქვეყანაში მოყვეს შიდა კონფლიქტები. ამ თვალსაზრისით სსრკ-ს დაშლის ერთ-ერთი მიზეზი გარდა იმისა რომ მან ვერ შეძლო თავისი სამხედრო აპარატის ფინანსებისთვის საჭირო რესურსების გენერირება.

ამრიგად, აღწერილი პოზიციის მომხრეებისათვის საკითხს, შიდა თუ გარე პოლიტიკის პირველობის შესახებ, არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა. მათი აზრით ერთი და მეორეც დეტერმინებული ფაქტორებია, უპირველეს ყოვლისა, ტექნოლოგიური ხასიათისა. თუ უკვე ნეორეალისტები აღიარებენ, რომ დღესდღეისობით სახელმწიფო უკვე აღარ წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკის ერთადერთ მონაწილეს, მაშინ ურთიერთდამოკიდებულებისა და სტრუქტურალიზმის თეორიის ბევრი წარმომადგენლის თანახმად, სახელმწიფო უფრო მეტად კარგავს მასში ადრე მისთვის დამახასიათებელ როლს. წინა პლანზე გამოდიან ისეთი

საერთაშორისო აქტორები, როგორებიცაა სახელმწიფოთაშორისი და არასახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები, ტრანსნაციონალური კორპორაციები, პოლიტიკური და სოციალური მოძრაობები და სხვა. მათი გამოვლენის ხარისხის ილუსტრირება ხდება, კერძოდ დღეს მიმდინარე მისთვის დამახასიათებელი ინტეგრაციული პროცესებით.

ამ მიმართებით კიდევ უფრო შორს მიდიან ტრანსნაციონალიზმის სკოლის მომხრეები. მათი აზრით, დღეს მსოფლიო პოლიტიკის საფუძველს უკვე აღარ წარმოადგენს სახელმწიფოებს შორის ურთიერთობები. მონაწილეების მრავალსახეობის (სახელმწიფოთაშორისი და არასახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები, დაწესებულებები, სოციალური მოძრაობები, სხვადასხვა სახის ასოციაციები და ცალკეული ინდივიდების, სახეობების კულტურული და სამეცნიერო თანამშრომლობა, ეკონომიკური გაცვლები, ნათესაური ურთიერთობები, პროფესიონალური კავშირები) და „არხების“ (უნივერსიტეტებს შორის პარტნიორობა, კონფესიალური კავშირები, ასოციაციების თანამშრომლობა და ა.შ.). ურთიერთზემოქმედება მათ შორის აძევებს სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრიდან, ხელს უწყობენ ასეთი ერთობის ტრანსფორმაციას „ინტერნაციონალურიდან“ (ე.ი. „სახელმწიფოთაშორისი“) ტრანსნაციონალურში (ე.ი. სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე ხორციელდება). უსასრულო მრავალრიცხოვანი ახალი აქტორებისთვის არ არსებობს ნაციონალური საზღვარი, ამიტომაც ჩვენს თვალწინ წარმოიშობა გლობალური მსოფლიო, რომელშიც შიდა და საგარეო პოლიტიკად დაყოფა კარგავს ყოველგვარ მნიშვნელობას.

მსგავს მიდგომებზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ჯერ კიდევ 1969 წელს ჯ. როზენაოს მიერ წამოყენებულმა იდეამ საზოგადოების შიგა ცხოვრებასა და საერთაშორისო ურთიერთობებს შორის ურთიერთკავშირის შესახებ, მთავრობების საერთაშორისო განმარტებებში სოციალური, ეკონომიკური და კულტურული ფაქტორების როლის შესახებ, „საგარეო წყაროების“ შესახებ, რომელთაც შეუძლიათ ჰქონდეთ წმინდა „შიგა“, ერთი შეხედვით, შემთხვევა.

ჯ. როზენაო ერთ–ერთი პირველთაგანი იყო ვინც დაიწყო საუბარი მსოფლიოს „გაორებაზე“. ამ თვალსაზრისით, თანამედროვეობა ხასიათდება, ერთი მხრივ, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ასპარეზის თანაარსებობით, რომელშიც მოქმედებს კლასიკური დიპლომატიის და სტრატეგიის „კანონები“, მეორე მხრივ, ასპარეზთან, რომელშიც ერთმანეთს ეჯახებიან „სუვერენიტეტის არმქონე აქტორები, ე.ი. არასახელმწიფოებრივი მონაწილეები. აქედანაა მსოფლიო პოლიტიკის „ორფენოვნება“. სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები და არასახელმწიფოებრივი აქტორების ურთიერთქმედებები შეადგენენ მსოფლიოს „პოსტ–საერთაშორისო“ პოლიტიკის ორ დამოუკიდებელ, ერთმანეთის პარალელურ სამყაროს.

აგრძელებს რა ამ მოსაზრებას ფრანგი პოლიტოლოგი ბ. ბადი, ჩერდება „სამხრეთის“ ქვეყნების, დასავლეთის პოლიტიკური მოდელების (კერძოდ სახელმწიფო, როგორც ადამიანთა პოლიტიკური ორგანიზაციის ინსტიტუტი) იმპორტის პრობლემაზე. მისი თვალსაზრისით ეს არის პოლიტიკური მოწყობის დასავლური მოდელის უნივერსალიზაციის აშკარა ჩავარდნა. სწორედ ამ ჩავარდნაში მდგომარეობს, მისი აზრით, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში უწყსრიგობის ძირითადი წყარო, რომელიც შეიმჩნევა დღეს მსოფლიოს გარდაქმნის წინააღმდეგობრივ და რთულ პროცესებში.

როდესაც სახელმწიფო–ერი არ შეესაბამება საზოგადო იმპორტების სოციოკულტურულ ტრადიციებს, ამ საზოგადოების წევრები არ გრძნობენ თავიანთ კავშირს პოლიტიკური მოწყობის მოცემულ მოდელთან, არ ახდენენ თავიანთ იდენტიფიცირებას მასთან. აქედან შეიმჩნევა პოსტკოლონიალურ ქვეყნებში სამოქალაქო ურთიერთობების გათიშვა. რამდენადაც სოციალური დინამიკა ვერ ითმენს სიცარიელეს, ამ გათიშვას მიჰყავს სოციალური აქტორები ახალი იდენტური ან ახალი სოციალურ–პოლიტიკური ორგანიზაციების ფორმების ძებნისკენ. ამას უკავშირდება თანამედროვე მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული მოვლენა (რომელიც ატარებს დიდ კონფლიქტურ პოტენციალს), როგორცაა

პარტიკულარიზმის აფეთქება, რომელსაც შეცდომით აიგივებენ ნაციონალიზმთან ან ერის გამოლვიძებასთან. სინამდვილეში ხდება საპირისპირო. იდენტურობის ინფლაცია ხასიათდება სინამდვილეში მისი კრისტალიზაციის ხერხების არასაიმედოობით და მისი შემცვლელი სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობების სხვა შორფების ძებნით. ასეთი ძებნა მიმდინარეობს როგორც მიკროკომუნიტარული რეკონსტრუქციის მიმართულებაში („მე არ ვგრძნობ თავს მოქალაქედ, მაშასადამე, ამის მაგივრად, მე ვთვლი თავს როგორც ჩემი კლანის, ჩემი ოჯახის, ჩემი სოფლის წევრად“), ასევე მაკროკომუნიტარული კავშირების შექმნა („მე ვახდენ იდენტიფიცირებას გარკვეულ რელიგიასთან, გარკვეულ ენობრივ, კულტურულ ან ისტორიულ ერთობასთან, რომელიც გამოდის ადრინდელი ეროვნული სახელმწიფოების სივრცობრივი ჩარჩოებიდან“).

საშინაო და საგარეო პოლიტიკის თანაფარდობის შესახებ თვალსაზრისით ეს საკმაოდ სერიოზული ფენომენია. მთავრობის ლეგიტიმურობის დანაკარგისა და ნაკლებ მიმზიდველი ხასიათის მორალური და იდეოლოგიური არგუმენტების პირისპირ, რომლებსაც ისინი ღებულობენ თავიანთი მოქმედების გამართლების აღსაჭურვად, პოლიტიკური კადრები სულ უფრო მეტად ისწრაფვიან ამ მოქმედებებს მისცენ არა მხოლოდ ნაციონალური, არამედ საერთაშორისო მნიშვნელობა. ბ. ელცინი და პოლიტიკური ძალები, რომლებიც 1993 წლის ოქტომბრის მოვლენების დროს გამოდიოდნენ მის მხარეზე, ისწრაფოდნენ თავის მხარეზე თავის მხარეზე ჩაებათ არა მხოლოდ თავიანთი ქვეყნის, ასევე საერთაშორისო გაერთიანების, უპირველესად დასავლეთის წამყვანი სახელმწიფოების მოქალაქეთა საზოგადოებრივი აზრი, გამოიყენებდნენ მათში არსებულ დემოკრატიულ ტრადიციებს, ასევე შიშს რუსეთის ოპოზიციის მოწოდებების გლობალური შედეგისა, რეჟიმისადმი შეიარაღებული წინააღმდეგობისკენ თავის მხრიდან, ოპოზიცია მისგან წამოყენებული ლოზუნგებისგან დამოუკიდებლად, ასევე ისწრაფოდა

შექმნა თავისი თავის შესახებ გარკვეული იმიჯი, არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით, ასევე უცხოეთშიც.

საშინაო და საგარეო პოლიტიკის თანაფარდობის პრობლემის განხილვის დასრულებით შეიძლება გაკეთდეს შემდეგი დასკვნები:

1) საშინაო და საგარეო პოლიტიკის თანაფარდობის დეტერმინისტული განმარტება ნაკლებ ნაყოფიერია. ყოველი მათგანი – საუბარია საშინაო პოლიტიკის „პირველობაზე“ საგარეო პოლიტიკასთან მიმართებაში ან პირიქით – ასახავს ჭეშმარიტების მხოლოდ ნაწილს და ამიტომ არ შეუძლიათ პრეტენზიის გაცხადება უნივერსალობაზე. გარდა ამისა, მსგავსი სახის პოლემიკის ხანგრძლივობა – იგი კი გრძელდება ფაქტობრივად მანამდე, სანამ არსებობს პოლიტიკური მეცნიერება – იმის მაუწყებელია, რომ მასში აისახება მჭიდრო კავშირი პოლიტიკური ცხოვრების ენდოგენურ და ეგზოგენურ ფაქტორებს შორის. ამა თუ იმ ქვეყნის შიდაპოლიტიკური ცხოვრების რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა დაუყოვნებლივ მის საერთაშორისო ურთიერთობებზე და მისგან მოითხოვს შესაბამის ნაბიჯებს საგარეო პოლიტიკის დარგში. მაგალითად, მეორე დღეს მას შემდეგ რაც ცნობილი გახდა 1993 წლის დეკემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები რუსეთში, ესტონეთის პრემიერ მინისტრმა მ. ლაარმა გამოთქვა აზრი, რომ მათ უნდა წააქეზონ ევროპის კავშირი ნატოში ბალტიისპირეთის სწრაფი ინტეგრაციისკენ. ლატვიის პრეზიდენტმა გ. ულმანისმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჟირინოვსკის აღმავლობა შედეგია ელცინის პოლიტიკის სისუსტისა ბოლო ექვსი თვის განმავლობაში. თავის მხრივ, უკრაინელი პოლიტიკოსები აცხადებდნენ, რომ მითითებული რეზულტატების შემდეგ საუბარიც კი არ შეიძლება ერთმხრივი ბირთვული განიარაღების შესახებ. ყოველივე ამას არ შეიძლებოდა არ გამოეწვია რუსეთის საგარეო პოლიტიკაში შესაბამისი ცვლილებები. სწორია შებრუნებული აზრიც: საგარეო პოლიტიკის სფეროში მიღებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, იწვევენ შიდაპოლიტიკურ ცხოვრებაში ადეკვატური ღონისძიებების აუცილებლობას. მაგალითად, რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილებამ,

გახდეს ევროპის საბჭოს წევრი, მისი ხელმძღვანელობისგან მოითხოვს თავისი დამოკიდებულების შეცვლა ადამიანის უფლებების პრობლემებთან მიმართებაში, რომლებიც პოსტსაბჭოთა რუსეთში, საერთაშორისო და სამამულო ადამიანის უფლებადამცველი ორგანიზაციების მოწმობით, ხშირად ირღვეოდა. რუსეთში ამ გავლენიანი სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაციის მიღება განპირობებული იყო პირობით, რომლის თანახმად რუსეთის ფედერაციის შიდა კანონმდებლობა მოყვანილი უნდა იქნას დასავლეთ-ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში, ხოლო ადამიანის უფლებათა დარღვევას ბოლო უნდა მოეღოს არა სიტყვებით, არამედ მოქალაქეთა ყოველდღიური ცხოვრების პრაქტიკაში.

2) თანამედროვე პირობებში მითითებული კავშირი ხდება იმდენად მჭიდრო, რომ ზოგჯერ აზრს კარგავს თვით ტერმინების „საშინაო“ და „საგარეო პოლიტიკის“ გამოყენება; ტოვებს ორი ცალკე დარგის არსებობის შესახებ წარმოდგენის შესაძლებლობას, რომელთა შორის არსებობს გადაულახავი საზღვრები, მაშინ როცა სინამდვილეში საუბარია მათ ურთიერთგადახლართვაზე.

პოსტსაბჭოთა პოლიტიკური რეჟიმის ურთიერთობა რუსეთის ნაციონალურ-პატრიოტულ ოპოზიციასთან ან სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის ტემპებსა და ფორმებთან, რომ არაფერი ვთქვათ რეფორმის შესახებ, რომელიც ეხება არმიას, ბუნებისდაცვით ღონისძიებებს ან ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დარგში საკანონმდებლო საფუძვლებს, სულ თავიდან არ შეეძლოთ არ დაკავშირებოდა ოფიციალურად აღიარებულ საგარეო პოლიტიკურ ორიენტირებს, რომლებიც მიმართული იყო პარტნიორული და სამოკავშირეო ურთიერთობებისადმი დასავლეთის ქვეყნებთან საყოველთაო დემოკრატიული ღირებულებების მომხრეობის საფუძველზე. თავის მხრივ საგარეო პოლიტიკის დარგში პრიორიტეტები ნაკარნახევია რეჟიმის მიერ გამოცხადებული შიდაპოლიტიკური მიზნის დაწინაურების აუცილებლობად – ესაა პოლიტიკური დემოკრატია,

საბაზრო ეკონომიკა, სოციალური სტაბილურობა, ინდივიდუალური უფლებებისა და თავისუფლების გარანტიები, ან უფრო ნაკლებად, რეფორმის კურსის მომხრეების პერიოდულად დეკლარაციული მტკიცებულება.

3) „სუვერენიტეტის გარეშე“ აქტორების რიცხვის ზრდა არ ნიშნავს, რომ სახელმწიფომ, როგორც ადამიანების პოლიტიკური ორგანიზაციის ინსტიტუტმა, უკვე დაკარგა თავისი როლი ან დაკარგავს მას სულ ახლო მომავალში. აქედან გამომდინარე შიდა და საგარეო პოლიტიკა რჩება ორ ერთმანეთთან განუყრელად დაკავშირებულ და ამავდროულად ერთმანეთისადმი შეუთავსებელ „ერთი მედლის მხარეებად“. ერთი მიმართულია სახელმწიფოს შიგნით, სხვა მის გარეთ, სწორად აღნიშნავს ფრანგი პოლიტოლოგი მ. ჟირარი: „გამბედაობის ან გაუფრთხილებლობის მქონე ინტელექტუალური ძალების უმრავლესობა ან ახდენს საშინაო და საგარეო პოლიტიკას შორის წყალგამყოფი ხაზის იგნორირებას, ან თვლის, რომ მისი დაკარგული აქტუალობა ცდილობს მითითებული მხარეების ერთმანეთთან გაიგივებას, გარდაუვლად წირავს თავს განზრახვის დეკლარაციას ან უბრალო რწმენის სიმბოლოებს“.

4) პოლიტიკური სიტუაციების და მოვლენების მზარდი სირთულეები, რომლის ერთ-ერთ წყაროს და წარმოშობის მიზეზს წარმოადგენს აქტორების რაოდენობის და მრავალსახეობის ზემოთ აღნიშნულ ზრდას (მათ შორის ისეთები, როგორებიცაა მაფიოზური დაჯგუფებები, დანაშაულებრივი კლანები, ამბიციური და გავლენიანი არაფორმალური ლიდერები და ა.შ.) აქვს შედეგად ის ვითარება, როცა მათი მოქმედებები გამოდიან ნაციონალური საზღვრების ჩარჩოებიდან და იწვევენ არსებით ცვლილებებს ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ ურთიერთობებში, იდეალებში და ხშირად არ ეწერებიან ჩვეულ წარმოდგენებში.

4. საერთაშორისო ურთიერთობების საგანი

ერთ-ერთი საკითხთაგანი, რომელიც დღეს ფართოდ განიხილება მეცნიერთა საზოგადოებაში, წარმოადგენს საკითხის იმის შესახებ,

შეიძლება თუ არა საერთაშორისო ურთიერთობები ჩაითვალოს დამოუკიდებელ დისციპლინად, თუ ის არის პოლიტოლოგიის განუყოფელი ნაწილი. ერთი შეხედვით, პასუხი სრულიად ცხადია : საერთაშორისო ურთიერთობები, რომლის ცენტრს წარმოადგენს პოლიტიკური ურთიერთმოქმედებისა, „განსაზღვრებით“ წარმოადგენს პოლიტოლოგიის ობიექტის განუყოფელ ნაწილს. ეს განპირობებულია იმით, რომ საერთაშორისო პოლიტიკა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების არსებობის გამოხატულებას ან მოდუსს. პოლიტიკის სხვ მრავალსახეობების მსგავსად (ეკონომიკური, სოციალური და ა.შ.) წარმოადგენს ინტერესების, მიზნების და ღირებულებების მეტოქეობას და შეთანხმებულობას, რომლის პროცესში ურთიერთზემოქმედი საზოგადოება გამოიყენებს სრულიად სხვადასხვა საშუალებებს – მიზანმიმართული გავლენიდან პირდაპირ ძალადობამდე. აქაც ისე, როგორც შიდა პოლიტიკაში, საუბარია ძალაუფლებისა და რესურსების გადანაწილების მიზეზით შეჯახებების შესახებ.

დასაფიქრებელია ის, რომ პოლიტოლოგიის უკვე არსებულ სახელმძღვანელო ლიტერატურაში ის რატომ ასახავს ყველაზე უფრო მდგრად აპრობირებულ რეზულტატებს, ასევე კვლევითი პროცესის გადაუჭრელ პრობლემებს – საერთაშორისო ურთიერთობების უქონლობა ან არსებობს ფორმალურად.

ერთ–ერთი პასუხთაგანი წარმოადგენს მტკიცებას იმის შესახებ, რომ პოლიტოლოგია ეს არის მეცნიერება საზოგადოებრივი საზოგადოების მიერ ორგანიზებული შეზღუდული ჩარჩოებით საშინაო პოლიტიკის შესახებ. ამით ხდება საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების დამოუკიდებლობა, რომელიც მიდის წმინდა რაოდენობრივ გაზომვამდე. მაგალითად, მ.გუნელი მიიჩნევს, რომ პოლიტოლოგიის საგანი შემოსაზღვრება ნაციონალური (ე.ი. შიდაპოლიტიკური) პრობლემებით, არ თვლის, რომ ეს არის მასში საერთაშორისო ურთიერთობების ჩართვისთვის დაბრკოლება: „ საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებაში ძირითად საგანს წარმოადგენს

სახელისუფლებო ურთიერთობა. მისი საგანი ემთხვევა პოლიტიკური მეცნიერების საგანს, განსხვავებულია მხოლოდ გეოგრაფიული ასპარეზი. მტკიცებულებებად მოყვანილია შიდაპოლიტიკურ და საერთაშორისო-პოლიტიკურ პროცესებს შორის გაძლიერებული ურთიერთობა და ურთიერთჩაწვანა.

დღეს ერთდროულად ხდება დაკვირვება შიდა და საერთაშორისო პოლიტიკის ურთიერთშეღწევის ფენომენზე, რომელიც ვლინდება, მაგალითად, გერმანიის გაერთიანებაში, ან ამა თუ იმ სახელმწიფოს მთავრობის შიდაპოლიტიკური აქციების მზარდ გავლენაში მისი მოსახლეობის ელექტორალურ ქცევაზე, მაგრამ საშინაო და საგარეო პოლიტიკა ყოველთვის იყო ერთიანი წყაროებით და რესურსებით, გამოხატავს (ასე თუ ისე წარმატებულად და ეფექტურად) ამა თუ იმ სახელმწიფოს ერთიან ხაზს. ლაპარაკია, საბოლოო ჯამში, პოლიტიკის ორ მხარეზე, ორ ასპექტზე, როგორც საქმიანობის სფეროებზე და პროცესზე, რომლის საფუძველია ინტერესების ბრძოლა. შემთხვევითი არაა, მაგალითად, საგარეო პოლიტიკის პროგნოზირების შედარებით გავრცელებული მეთოდები ეფუძნება ან გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამოკვლევას (ჩ. გერმანის, ო. ხოლისტის, გ. ალლისონის და სხვათა შრომებში), ან ფაქტორულ მიდგომას (ჯ. როზენაუ, დ. ფრეი, დ. რუდოლფი, ან სხვა ასპექტებისა და მხარეების ანალიზს, რომლებიც მიეკუთვნებიან შიდაპოლიტიკურ დარგს. ეს ასპექტებია გათვალისწინებული სისტემურ მიდგომებში და პირიქით – შიდაპოლიტიკური პროცესების ანალიზმა არ შეიძლება არ გაითვალისწინოს ის გავლენა, რომლებიც გავლენას ახდენენ საერთაშორისო სისტემაში მათ ცვლილებებზე.

როგორც ცნობილია, გადაწყვეტილების მიღების მოდელის დამუშავება (60-იანი წლების ბოლოს) გახდა მიზეზი შედარებითი შიდაპოლიტიკური ანალიზის სკოლის შექმნისთვის ამოსავალი პუნქტისა ჯ. როზენაუს ხელმძღვანელობით და „საგარეო პოლიტიკის წინა ისტორიის“ ფორმულირების ცდა, ეფუძნება ნაციონალურ (ან „შიდა“)

პოლიტიკურ სისტემებსა და საერთაშორისო-პოლიტიკურ სისტემებს შორის ურთიერთკავშირის და ურთიერთმოქმედების შესახებ პოსტულატს ჯ. როზენაუს იდეებმა, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ საერთაშორისო-პოლიტიკურ თეორიაზე, შემდგომი განვითარება ჰპოვეს 90-ანი წლების დასაწყისში, როცა მათ წამოაყენეს „პოსტსაერთაშორისო პოლიტიკის“ კონცეფცია, რომლის საფუძველს წარმოადგენს თეზისი განხეთქილების შესახებ; ბიფურკაცია ტრადიციულ სახელმწიფო-ცენტრისტულ სამყაროსა და ახალ პოლიცენტრისტულ სამყაროს „სუვერენიტეტის გარეშე მდგარ აქტორებს“ შორის და ასეთი განხეთქილების შედეგად საერთაშორისო ურთიერთობების მარეგულირებელი პარამეტრების ერთობლიობის შერევის შესახებ, საზოგადოების შიდა ცხოვრებასა და საერთაშორისო ურთიერთობებს შორის ურთიერთკავშირის, სოციალური, ფსიქოლოგიური, კულტურული და სხვა ფაქტორების როლის შესწავლა, ამ ურთიერთობების მონაწილეთა ქცევის ახსნაში, „შიდა წყაროების“ ანალიზში, რომელთაც შეუძლიათ ჰქონდეთ, ერთი შეხედვით, „წმინდა შიგა“ მოვლენები, დღეს ეს ყველაფერი გახდა საერთაშორისო პოლიტიკური მეცნიერების განუყოფელი ნაწილი.

ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, სრულიად ნათელი და ნაყოფიერია მისწრაფება პოლიტიკური მეცნიერების ძირითადი საკუთრების განხილვისა, მათი პრობლემების საშინაოდ და საგარეოდ (საერთაშორისოდ) დაყოფის გარეშე. ასეთი ცდები აღინიშნება როგორც უცხოურ, ისე სამამულო ლიტერატურაში.

ამასთანავე, წარმოდგენა საშინაო და საერთაშორისო პოლიტიკას შორის განსვავების წმინდა რაოდენობრივ ხასიათზე, მით უფრო ტრანსნაციონალიზმი მომხრეების მტკიცებულებანი მათ შორის ყოველგვარი ზღვარის წაშლის ურთიერთდამოკიდებულების ეპოქაში ასახვენ არა მხოლოდ პოლიტიკური პროცესის განვითარების ტენდენციაზე, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების მდგომარეობის შესახებ, როგორც სამართლიანად აღნიშნავდა

კანადელი სპეციალისტი, ინტენსიურმა კონცეპტუალურმა და კვლევითმა საქმიანობამ შეიძლება შექმნას შთაბეჭდილება იმის შესახებ, რომ საერთაშორისო პოლიტიკის თეორიის დამუშავება თავისი დასრულების გზაზე დგას, როგორც ამის შთაგონებას ისწრაფვის შედარებითი საერთაშორისო პოლიტიკის სკოლის ზოგიერთი ცნობილი წარმომადგენელი, მაგრამ მსგავსი ოპტიმიზმი ძალიან ნაადრევია.

სინამდვილეში, მიუხედავად სოლიდური ასაკისა (ამ დარგში ერთ-ერთი პირველი გამოკვლევაა თუკიდიდეს ნაშრომი „პელოპონესის ომების ისტორია“ – გაჩნდა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე V საუკუნეში), საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებას არ შეუძლია დაიტრახოს მსხვილი წარმატებებით; ისეთი თეორიული მიმდინარეობების ჩარჩოებშიც კი, როგორცაა პოლიტიკური რეალიზმი, რომელიც სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის გამოკვლევას ანიჭებს ცენტრალურ ადგილს ხოლო გაგება რჩება მეტისმეტად ზოგადი, რომელიც მოკლებულია აუცილებელ სიმკაცრეს. მთავარია, რომ მითითებული მიმდინარეობების შედარებით მსხვილმა წარმომადგენლებმა ჰ. მორგენტაუმ, რ. არონმა, ა. უოლფერმა და სხვა შეძლეს ეჩვენებინათ ამ ფენომენის სირთულე, მისი არაერთმნიშვნელოვანი ხასიათი, დაკავშირებულს იმასთან, რომ მას აქვს ურთიერთობა საშინაო და საერთაშორისო ცხოვრებასთან, ორგანიზაციის ფსიქოლოგიასთან და თეორიასთან, ეკონომიკურ სფეროსთან, სოციალურ სტრუქტურასთან და ა.შ.

ამან საშუალება მისცა პოლიტიკური რეალიზმის კრიტიკოსებს, მოდერნისტული მიმართულების მომხრეებს, დაეწყოთ სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკური საქმიანობის კონკრეტული შესწავლისა, რომელიც ეფუძნება ისეთი მეცნიერებების შესაძლებლობებს, როგორებიცაა სოციოლოგია, ფსიქოლოგია, ეკონომიკა, ანთროპოლოგია, ინფორმატიკა და სხვა.

სისტემური მიდგომის მეთოდების გამოყენებამ – მოდელირება, სიტუაციური, სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზი, თამაშების

თეორიები და ა.შ. – შეუქმნა შესაძლებლობა მოცემული მიმართულებების წარმომადგენლებს (მ. კაპლანი, დ. სინგერი, კ. რაიტი, კ. დოიჩი, ტ. შელლინგი და სხვები) შეემოწმებინათ ჰიპოთეზები, რომლებიც ეხება ამა თუ იმ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პროგნოზირებას, რომელიც ეფუძნება ემპირიული დაკვირვების განზოგადებას, დედუქტიურ მსჯელობას, კორელაციის შესწავლას, მთავრობების საერთაშორისო ორიენტაციაზე გავლენის მქონე ფაქტორების სისტემატიზირებას. მონაცემების შესაბამისი ბაზების ფორმირებას, საგარეო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესების გამოკვლევას. მაგრამ მოდერნიზმი ვერ გახდა ერთსახოვანი თეორიული მიმართულება. სამეცნიერო სიმკაცრის პრინციპის დოგმატიზაციამ და ემპირიული ვერტიფიკაციით გაძლიერებული მონაცემების ოპერირებამ გასწირა ის რედუქციონიზმისთვის, კონკრეტული საკვლევი ობიექტების ფრაგმენტულობისთვის და საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკის ფაქტიური უარყოფისთვის.

საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების წარმომადგენლებს შორის პერიოდულად გამწვავებულმა „დიდმა დებატებმა“, რომლებსაც თან ახლავს ფაქტობრივად კონსტრუირების პირველივე ნაბიჯებიდან როგორც შეფარდებით დისციპლინას (საერთო მოსაზრებით ეს პროცესი გრძელდება დღესაც სათავეს იღებს XX საუკუნის პირველ ნახევარში, ომებს შორის პერიოდში), ვერ შეძლეს შეერყიათ მათ შორის დომინირებულ გარემოში თავისი დისციპლინის ეტიმოლოგიურ სტატუსში, მისი ობიექტების განსაკუთრებულებაში, საგნობრივი ასპარეზის და ძირითადი საკვლევი მეთოდების სპეციფიკაში დაუჯერებლობა. მით უმეტეს, ასეთი დებატების გაგრძელება, რაც მთავარია მათი შინაარსი გვარწმუნებს (უშუალოდ ან იმპლიციტურად, მიზანმიმართულად ან არსებითად) მსგავსი დაუჯრებელობის დასაბუთებულობაში.

ამასთან დაკავშირებით, სიმპტომატურად, 1994 წლის ბოლოს ატლანტიკის ორივე მხარეში, ისეთი სპეციალიზირებული ჟურნალები,

როგორებიცაა “International Organization” აშშ-ში და „Le Trimestre du monde” საფრანგეთში, თითქმის ერთდროულად უშვებენ სპეციალურ გამოცემებს, რომლებიც მთლიანადაა მიძღვნილი საერთაშორისო გამოკვლევების მდგომარეობის პრობლემებისა და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების საგნის გარკვევისადმი, ემთხვევა ორივე დისკუსიიდან გამომდინარე ერთ–ერთი მთავარი დასკვნები, რომელთანაც შესაბამისობაში, საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების ავტომატიზაციის მთავარი დაბრკოლება გამომდინარეობს მისი ობიექტის იდენტიფიკაციაში სირთულეებიდან.

„ჩვენ ვართ ისეთ მდგომარეობაში – წერს ამასთან დაკავშირებით ბ. ლანგი – როცა მკვლევარებს არა აქვთ რეალურობის უშუალო აღქმა, როცა მათ არა აქვთ საქმე ობიექტთან, რომელიც ხასიათდება მკაფიოდ მოხაზული კონტურებით, განასხვავებს მას არა ობიექტისგან“. ფ. ბრაიერი კი ამტკიცებს, რომ „საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის ობიექტს არა აქვს არარედუციურებული სპეციფიკა პოლიტიკის ფართო ასპარეზთან მიმართებაში. დღეს სულ უფრო რთულდება იმის მტკიცება, რომ ეს ობიექტი არ ექვემდებარება გამოკვლევას პოლიტიკური მეცნიერების მიდგომისა და კონცეპტების საფუძველზე და რომ აუცილებელია ამისთვის საკუთარი მეცნიერული დისციპლინის განვითარება.“

საერთაშორისო ურთიერთობების ტრადიციულ ობიექტად ითვლება გარემო, რომელშიც ბატონობს „წინასამოქალაქო მდგომარეობა“ – ანარქიული, მოუწესრიგებელი ასპარეზი, რომელსაც არა აქვს ცენტრალური ან უმაღლესი ხელისუფლება, შესაბამისად, მონოპოლია ლეგიტიმურ ძალადობასა და უდავო იძულებაზე. ამასთან კავშირში რ. არონი თვლიდა საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკურ თვისებად „რომელიც განასხვავებს მათ სხვა ყველა სოციალური ურთიერთობებისგან, რომ ისინი იშლებიან ომის ჩრდილში ან უფრო მკაცრი გამოთქმის გამოყენებით, სახელმწიფოებს შორის თავისი არსით მოიცავენ მშვიდობისა და ომის ალტერნატივას“. საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების ობიექტის სპეციფიკის ასეთ

გაგებას მთლიანობაში ეთანხმებოდნენ ლიბერალები, თუმცა ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ 1) ანარქიულობაზე მითითება არასდროს არ იყო სრული, ხოლო 2) საერთაშორისო ინსტიტუტების წარმოშობა და განვითარების საერთაშორისო რეჟიმების გავრცელება და გაძლიერებას შეაქვს სულ უფრო დიდი წესრიგი და რეგულირება საერთაშორისო მონაწილეებს შორის ურთიერთობაში ამავდროულად მათ მიაქცევს ყურადღება იმ ვითარებას, რომელიც შემდეგ გახდა ერთ–ერთი მთავარი კრიტიკული იარაღი, რომელიც მიმართულია პოლიტიკური რეალიზმის და მათი ახალი ოპონენტების – ტრანსნაციონალისტების წინააღმდეგ. საუბარია საერთაშორისო ურთიერთობების რედუცირების შესახებ სახელმწიფოთაშორისო ურთიერთქმედებებთან, ნაციონალური ინტერესის პრინციპის აბსოლუტიზაციასთან, რომელსაც რეალისტები თვლიან, როგორც აპრიორულ მოცემულობას.

როგორც საერთაშორისო ურთიერთობების დარგში კვლევების შემდგომმა განვითარებამ გვიჩვენა, რომ თავად ტრანსნაციონალისტებმა ვერ შეძლეს გადაელახათ მითითებული ხარვეზი. ერთი მხრივ, როგორც უკვე ზემოთ ვთქვით, მსოფლიო ურთიერთდამოკიდებულებაზე და შიგა სხვაობა უკვე გაქრა ან შეწყვეტენ არსებობას მომავალში. სხვა მხრივ, ე.წ. პოლიტიკური ლოკალიზაციის კრიტერიუმი, რომელიც მოწოდებულია გადალახოს რეალიზმისთვის დამახასიათებელი საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფოთაშორისადმი რედუცირება, ასევე არ წყვეტს პრობლემას. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ამასთან შესაბამისობაში საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების შესახებ მეცნიერების ობიექტის კრიტერიუმს წარმოადგენს ყოველნაირი სოციალური ურთიერთობა და ნაკადები, რომლებიც გადაკვეთენ საზღვრებს და გაურბიან ერთიან სახელმწიფოებრივ კონტროლს, მაგრამ საზღვრები, რომლებსაც ეფუძნება მოცემული კრიტერიუმი – სახელმწიფოებრიობის განუყოფელი თვისებაა. ნაციონალური სუვერენიტეტის სიმბოლო, ამიტომ მათზე მითითება ასე თუ ისე გვაბრუნებს საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფოთაშორისო

ურთიერთზემოქმედებასთან ურთიერთობის საკითხთან, მიდის არსებითად, ერთი შეხედვით სიახლეებით, მეცნიერების ობიექტის გაგებაში წმინდა რაოდენობრივი განსხვავებით: სახელმწიფოების დიდი ან მცირე გავლენა მითითებული ნაკადების და ურთიერთობების რეგულირებაზე. ნიშნავს თუ არა ეს, რომ მითითება ანარქიულობაზე, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების ობიექტის განმსაზღვრელ თავისებურებებზე, ინარჩუნებს თუ არა ყველა თავის მნიშვნელობას? ნეორეალისტებსა და ნეოლიბერალებს შორის პოლემიკის ანალიზზე დაყრდნობით რ. პაუელმა გვიჩვენა, რომ მითითება საერთაშორისო ურთიერთობების არარედიცირებული სპეციფიკის ანარქიულობაზე ფაქტობრივად კარგავს მნიშვნელობას მის ორივე ასპექტში: ნაციონალური მსოფლიო მთავრობის უქონლობის მნიშვნელობით, საერთაშორისო აქტორების მიერ ძალის გამოყენების მზადყოფნის მნიშვნელობით, მეორე მხრივ მითითებას აბსოლუტური და შედარებითი სარგებლისკენ, როგორც ნაციონალური ინტერესის გამოხატულებას არ შეუძლია ახსნას საერთაშორისო თანამშრომლობის არსებობისა თუ უქონლობის მიზეზები, ასევე მისი ხარისხი. სარგებელში თანამშრომლობა და დაინტერესებულობა შეიძლება შეიცვალოს ერთდროულად, მაგრამ ეს არ ნიშნავს მათ შორის მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირის არსებობის აუცილებლობას. რ. პაუელს აზრით, ერთსა და მეორე შემთხვევაში მიზეზად გამოდის სტრატეგიული გარემოცვის თავისებურებანი, რომელიც სრულად განაპირობებს სახელმწიფოს ინტერესს შედარებით სარგებელში და ამრიგად, ართულებს თანამშრომლობის განვითარებას.

მსგავს კავშირში გარდაუვალი კითხვა: როგორია ეს თავისებურებანი? რა უდევს მას საფუძვლად? საბოლოოდ უნდა ვაღიაროთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების ობიექტი ხასიათდება რეგულირების და წესრიგის დუალიზმით (როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების, ინსტიტუტებისა და რეჟიმების ფორმირებასა და განვითარებაში ერთობლივი და წინააღმდეგობრივი

შეგნებული საქმიანობის შედეგები, ასევე როგორც საერთაშორისო სისტემის და მასთან დაკავშირებული სტრუქტურული იძულებისა და შეზღუდულობის ობიექტური ფუნქციონირების სპონტანური შედეგი). ერთი მხრიდან და მნიშვნელოვან მნიშვნელოვანი წილი, რომელიც გამოდის სუვერენიტეტის პლურალიზმისგან და გადაწყვეტილებების მიმღებ პირთა ფსიქოლოგიური თავისებურებებისგან, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა ჰქონდეთ პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების განვითარების მსვლელობაზე – სხვა მხრიდან მითითებული დუალიზმით არ აისახება თეორიის ერთიან ჩარჩოში. აქედან არის ის „სტრაბიზმი“, რომელიც ახასიათებს საერთაშორისო ურთიერთობებს და რომელიც მ. ჟირარის აზრით, ითვლება ყველა მის წარმომადგენლებს შორის, როგორც პროფესიონალური კუთვნილების რაღაც საიდუმლო თვისება, მაგრამ თუ ის ამ „თვისებას“ განიხილავს როგორც გარკვეულ თეორიულ საშიშროებას, ამერიკელი მეცნიერი კ. ხოლსტი თვლის, რომ საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებისთვის „თეორიული პლურალიზმი“ წარმოადგენს რთული სამყაროს მრავალმხრივ რეალობაზე ერთადერთ შესაძლებელ პასუხს. ყოველგვარმა ცდამ ერთიან თვალსაზრისზე ან განსაკუთრებულ მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული ორთოდოქსალურობის დადგისა, შეიძლება მიგვიყვანოს მხოლოდ შემეცნების პროგრესის შანსების მეტისმეტ გამარტივებამდე და შემცირებამდე.

საერთაშორისო ურთიერთობების ჰეტეროგენობა, მათ ევოლუციაში რაღაც გაუთვალისწინებლობა, გარდა ამისა, რაიმე მკვეთრი მატერიალურ–სივრცითი საზღვრების უქონლობა, რომლებიც გამოყოფენ საერთაშორისო ურთიერთობებს და საგარეო პოლიტიკას, შიდა საზოგადოებრივ ურთიერთობებისა და შიდა პოლიტიკისგან – ყველაფერი ეს ლაპარაკობს საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების წინააღმდეგობაზე ერთიანი ყოვლისმომცველი თეორიის შექმნის ძალისხმევასთან, თუ ამ ტერმინის ქვეშ გაგებული იქნება ემპირიულად ვერიფიცირებული ცოდნის მთლიანი და არაწინააღმდეგობრივი სისტემა,

ამავდროულად მოცემული კონსტანტაცია არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო ურთიერთობებს არა აქვთ თავიანთი საგანი. ასეთი საგნის არსებობას მოწმობს მთელი რიგი პრობლემების არსებობა, რომელთა არსი, ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებული სამყაროს არსებობისას, არ მიდის შიდა პოლიტიკურ ურთიერთობამდე, არამედ ფლობს საკუთარ დინამიკას, ცოცხლობს თავისი ცხოვრებით. ჯერჯერობით ნაპოვნი არ არის ამ არსის გამოხატვის შესახებ საკითხის დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტილება, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საუბარია სხვადასხვა სახეობის პოლიტიკურ საქმიანობაზე, რომლებიც იყენებენ სხვადასხვა საშუალებებს (მაგ: არმია, სამხედრო სტრატეგია და დიპლომატია საგარეო პოლიტიკაში, საშინაო პოლიტიკაში პოლიცია, სახელმწიფო სამართალი და გადასახადები), ფლობენ სხვადასხვა შესაძლებლობებს (თუ პოლიტიკა სარისკო საქმიანობის სფერო, საგარეო და საერთაშორისო პოლიტიკაში რისკის ხარისხი მეტისმეტად მაღალია, ვიდრე შინაურში); ხორციელდება სხვადასხვა გარემოში (საერთაშორისო ურთიერთობებში, რომლებიც წარმოადგენენ საგარეო პოლიტიკური საქმიანობის გარემოს, არა აქვთ მონოპოლია ლეგიტიმურ ძალადობაზე; გაეროს შესაბამისი აქციები არა უდავო და ლეგიტიმურნი არიან მხოლოდ საერთაშორისო თანამეგობრობის წევრთა შეზღუდული წრისთვის).

აი ამიტომ პოლიტოლოგიის ცენტრალურ ცნებას (მაგ. ისეთები, როგორებიცაა „პოლიტიკური ხელისუფლება“, „პოლიტიკური პროცესი“, „პოლიტიკური რეჟიმი“, „სამოქალაქო საზოგადოება“ და ა.შ.) აქვს სპეციფიური მნიშვნელობა საგარეო (საერთაშორისო) პოლიტიკაში გამოყენებისას, აყალიბებს თავის შედარებით ავტონომიურ საგნობრივ ასპარეზს. ამ ასპარეზის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ „კერძომეცნიერული“ ცნებები და პრობლემები, რომლებშიც აისახება საერთაშორისო ურთიერთობების ისეთი სპეციფიკა, როგორებიცაა „სუვერენიტეტების პლურალიზმი“, „ძალთა ბალანსი“, „ბი- (+) და (-) მრავალპოლარულობა“, „დიპლომატია“, „სტრატეგია“ და ა.შ. მოცემული

ასპარეზის ჩარჩოში დამუშავებული მითითებული ცნება სულ უფრო ხშირად გამოიყენება პოლიტოლოგიის მიერ შიდაპოლიტიკური პროცესების კვლევაში. საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებამ უკვე გაამდიდრა პოლიტიკური თეორია ისეთი საერთო პოლიტოლოგიური ცნებებით, როგორებიცაა „ნაციონალური ინტერესი“, „მოლაპარაკებები“ და ა.შ. , რომლებიც წარმატებით გამოიყენებიან შიდა პოლიტიკური პრობლემების ანალიზისთვის. ის არის შედარებით ავტონომიური პოლიტიკური დისციპლინა, რომელსაც აქვს კვლევის საკუთარი საგანი. ეს მტკიცდება ისეთი საგარეო, მაგრამ ამავე დროს მნიშვნელოვანი თვისებებით როგორებიცაა: სპეციალიზირებული ჟურნალების არსებობა, საერთაშორისო მეცნიერული თანამეგობრობა – სპეციალისტები, რომლებიც ერთმანეთის მუშაობას თვალს ადევნებენ ერთიანი ძალისხმევით, ურთიერთკრიტიკის გზით, ემყარებიან საზოგადო მიღწევებს, რომლებსაც ღებულობენ სხვადასხვა თეორიული მიმართულებებისა და სკოლების ჩარჩოებში, ავითარებენ თავის დისციპლინას, რომელიც საუნივერსიტეტო განათლების განუყოფელი ნაწილი ხდება.

თუმცა ლაპარაკია შედარებით ახალგაზრდა დისციპლინაზე, რომლის საბოლოო კონსტიტუირებაზე, მის სრულ ავტონომიურობაზე პოლიტოლოგიასთან მიმართებაში საუბარი ჯერ ნაადრევია. ამ დისციპლინის ობიექტის თავისებურება იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ასეთი ავტონომიურობა საეჭვოა ახლო მომავალში, მაგრამ ყველაფერი ეს თავიდან ვერ აგვაცილებს აუცილებლობას ზემოთ აღნიშნულ ვითარებას ძალით პრობლემების დამუშავებაში, რომლებიც ეხებიან საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების დამოუკიდებელ თეორიულ სტატუსს.

თავი III

მეთოდის პრობლემა საერთაშორისო ურთიერთობებში

მოცემული თავის მთავარი მიზანია – საერთაშორისო ურთიერთობების და საგარეო პოლიტიკის შესასწავლი, შედარებით ფართოდ გამოყენებული მეთოდების, მეთოდიკების და ტექნიკის გაცნობა, მაგრამ მასში არ არის წამოყენებული ისეთი საკმაოდ რთული და დამოუკიდებელი ამოცანა, როგორცაა მათი გამოყენების შესწავლა. თუმცა მისი გადაწყვეტილება შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ამისთვის საჭიროა: ერთიც, ამა თუ იმ მეთოდების ზუსტი აღწერა, რომლებიც ილუსტრირებულია კვლევით მუშაობაში კონკრეტული გამოყენების მაგალითებით საერთაშორისო ურთიერთობების განსაზღვრული ობიექტის ანალიზისას, მეორეც (და ეს მთავარია) – პრაქტიკული მონაწილეობა ამა თუ იმ სამეცნიერო – თეორიულ ან სამეცნიერო – გამოყენებით პროექტებში, რამდენადაც, როგორც ცნობილია, ცურვას ისე ვერ ისწავლი, თუ წყალში არ შეხვალ.

ამასთან მხედველობაშია მისაღები, რომ ყოველი მკვლევარი (ან მკვლევართა ჯგუფი) ჩვეულებრივ იყენებს თავის საყვარელ მეთოდს (ან მათ ჯგუფს), რომელიც კორექტირებული, შევსებული და გამდიდრებულია არსებული პირობების და ინსტრუმენტების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანი მსვლელობაში მივიდეთ ის, რომ ამა თუ იმ მეთოდის გამოყენება დამოკიდებულია კვლევების ობიექტებსა და ამოცანებზე, ასევე (რაც არსებითია) არსებულ მატერიალურ საშუალებებზე.

სამწუხაროა, ავლნიშნოთ ის ფაქტი, რომ სპეციალური ლიტერატურა, მიძღვნილი საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზის მეთოდების და განსაკუთრებით გამოყენებითი მეთოდიკისადმი ძალიან ცოტაა და ამიტომ მიუწვდომელიც.

1. მეთოდის პრობლემების მნიშვნელობა

მეთოდის პრობლემა ერთ–ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ყოველი მეცნიერებისთვის, რადგან საბოლოო ჯამში საუბარი მიდის იმის შესახებ, რომ ისწავლო როგორ უნდა მიიღო ახალი ცოდნა, როგორ გამოვიყენოთ ის პრაქტიკულ საქმიანობაში. ეს არის ერთი ყველაზე რთული პრობლემა. ის უსწრებს თავისი ობიექტის მეცნიერულ შესწავლას და წარმოადგენს ასეთი შესწავლის შედეგს. ის წინ უსწრებს ობიექტის შესწავლას იმიტომ, რომ მკვლევარი დასაწყისშივე უნდა ფლობდეს ახალი ცოდნის მისაღწევად ხერხებისა და საშუალებების გარკვეულ ჯამს. ის წარმოადგენს სწავლების შედეგს, რამეთუ მის შედეგად მიღებული ცოდნა ეხება არა მხოლოდ თავად ობიექტს, ასევე მისი შესწავლის მეთოდებს, ასევე პრაქტიკულ საქმიანობაში მიღებული შედეგების გამოყენებას. მკვლევარი ეჯახება მეთოდის პრობლემას ლიტერატურის ანალიზისას, მისი კლასიფიკაციის და შეფასების აუცილებლობისას.

აქედანაა ტერმინი „მეთოდის“ შინაარსის გაგებაში არაერთგვაროვნება. ის აღნიშნავს მეცნიერების მიერ თავისი საგნის კვლევის ხერხების, საშუალებებისა და პროცედურების ჯამს, ასევე უკვე არსებული ცოდნის ერთობლიობას. ეს ნიშნავს, რომ მეთოდის პრობლემას აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, ამავდროულად მჭიდროდაა დაკავშირებული თეორიის ანალიტიკურ და პრაქტიკულ როლთან, რომელიც ასევე თამაშობს მეთოდის როლსაც.

გავრცელებული აზრი იმის შესახებ, რომ ყველა მეცნიერებას თავისი საკუთარი მეთოდი, მხოლოდ ნაწილობრივ არის მართალი. სოციალური მეცნიერების უმრავლესობას არა აქვს თავისი სპეციფიკური, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი მეთოდი. ამიტომ ისინი ასე თუ ისე გარდატეხენ თავის ობიექტთან მიმართებაში საერთო სამეცნიერო მეთოდებს და სხვა დისციპლინების (როგორც სოციალურ, საბუნებისმეტყველო) მეთოდებს. მოცემულ კავშირში მიღებულია მივიჩნიოთ, რომ პოლიტიკური მეცნიერებისადმი მეთოდოლოგიური მიდგომები (მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობები) შენდება სამი ასპექტის ირგვლივ:

– რაც შეიძლება მკაცრი დაყოფა საკვლევი პოზიციისა, მორალურ – ღირებულებითი მსჯელობისგან ან პირადი შეხედულებებისგან.

– ყველა სოციალური მეცნიერებისთვის საერთო ანალიტიკური ხერხების და პროცედურების გამოყენება, რაც გადამწყვეტ როლს თამაშობს ფაქტების დადგენასა და შემდგომ გადახედვაში.

– სისტემატიზაციისკენ მისწრაფება ან სხვანაირად რომ ვთქვათ მოდელის აგებისა და საერთო მიდგომების გამომუშავებისკენ, რაც აადვილებს „კანონების“ გახსნას.

დგება უფრო ფართო ხასიათის პრობლემა – მეცნიერების და იდეოლოგიის თანაფარდობის პრობლემა. პრინციპში, ესა თუ ის იდეოლოგია, ფართო გაგებით, როგორც შემეცნებითი ან არაშემეცნებითი არჩევანი უკეთესი თვალსაზრისით – არსებობს ყოველთვის. ამისგან გაქცევა, „დეიდეოლოგიზირება“, ამ თვალსაზრისით არ შეიძლება. ფაქტების ინტერპრეტაცია, „დაკვირვების კუთხის“ არჩევაც კი აუცილებლად განპირობებულია მკვლევარის თვალსაზრისით, ამიტომ კვლევის ობიექტურობა ითვალისწინებს, რომ მკვლევარს მუდამ უნდა ახსოვდეს „იდეოლოგიური ყოფნის“ შესახებ და ისწრაფოდეს მის გაკონტროლებას, ხედავდეს ყოველი დასკვნის ფარდობითობას, ითვალისწინებს ასეთ „ყოფნას“ და გაურბის ცალმხრივ ხედვას. მეცნიერებაში შედარებით ნაყოფიერი შედეგების მიღწევა შესაძლებელია იდეოლოგიის უარყოფისას (ეს უკეთეს შემთხვევაში არის შეცდომა, ხოლო უარესში – შეგნებული ცბიერება), ხოლო იდეოლოგიური მოთმინების, იდეოლოგიური პლურალიზმის და „იდეოლოგიური კონტროლის პირობებში (ყოველგვარ იდეოლოგიაზე მეცნიერების კონტროლის აზრით).

ნათქვამი ეხება ე.წ. მეთოდოლოგიურ დიხოტომიას, რომელიც ხშირად შეიმჩნევა საერთაშორისო ურთიერთობებში. საუბარია ე.წ. ტრადიციული ისტორიულ–აღწერითი, ან ინტუიციურ–ლოგიკური მიდგომა ოპერაციულ – გამოყენებითისადმი, ან ანალიტიკურ–პროგნოსტიკურისადმი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ზუსტი

მეცნიერებების მეთოდების გამოყენებასთან დასკვნების ფორმალიზაციასთან, მონაცემების გამოთვლით (კვანტიფიკაცია), ვერიფიცირებით (ან ფალსიფიცირებით) და ა.შ. ამასთან დაკავშირებით ამტკიცებენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების ძირითად ხარვეზს წარმოადგენს გამოყენებით მეცნიერებად მისი გარდაქმნის გაჭიანურებული პროცესი. მსგავსი მტკიცებულებანი იტანჯებიან ზედმეტი კატეგორიულობით. მეცნიერების განვითარების პროცესი წარმოადგენს არა ხაზობრივს, არამედ ორმხრივი: იზრდება მისი გარდაქმნა ისტორიულ-აღწერილობითიდან გამოყენებითად, არამედ თეორიული დებულებების დაზუსტება და კორექცია გამოყენებითი კვლევების საშუალებით (რომლებიც ნამდვილად შესაძლებელია მისი განვითარების მხოლოდ განსაზღვრულ, საკმაოდ მაღალ ეტაპზე) და „გამომყენებლებისთვის“ „ვალის გადახდა“, შედარებით მტკიცე და ოპერაციული თეორეტიკულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების სახით.

მსოფლიო (უპირველესად, ამერიკულ) მეცნიერებაში საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ XX საუკუნის 50-ანი წლების დასაწყისიდან წარმოებს სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ფორმალური ლოგიკის, ასევე საბუნებისმეტყველო და მათემატიკური მეცნიერებების მრავალი რელევანტური შედეგების და მეთოდების ათვისება. ამავდროულად იწყება ანალიტიკური კონცეფციის განვითარების დაჩქარება, მოდელების და მეთოდების დაწინაურება მონაცემების შედარებითი შესწავლისკენ. ელექტრონულ-გამოთვლითი ტექნიკის პოტენციალის სისტემატური გამოყენება. ყველაფერი ეს უზრუნველყოფდა საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების მნიშვნელოვან პროგრესს, მის მიახლოებას პრაქტიკული რეგულირების, მსოფლიო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების პროგნოზირების მოთხოვნებისადმი ამან ვერ მოიტანა ადრინდელი „კლასიკური“ მეთოდების და კონცეფციების „квйтснению“.

ასე მაგალითად, საერთაშორისო ურთიერთობებისადმი ისტორიულ – სოციოლოგიური მიდგომის ოპერაციულობა და მისი პროგნოსტიკური

შესაძლებლობების დემონსტრირება მოახდინა რ. არონმა. „ტრადიციული“, „ისტორიულ – აღწერილობითი“ მიდგომის ერთ-ერთი შედარებით თვალსაჩინო წარმომადგენელი გ. მორგენტაუ მიუთითებდა რაოდენობრივი მეთოდების ნაკლოვანებაზე და არც თუ უსაფუძვლოდ წერდა, რომ მათ არ შეუძლიათ უნივერსალობაზე პრეტენზიის გაცხადება. საერთაშორისო ურთიერთობების გაგებისთვის იმდენად მნიშვნელოვანი ფენომენია, მაგალითად, ხელისუფლება – „წარმომადგენს პიროვნებებს შორის ურთიერთობის ხარისხს, რომელიც უნდა შემოწმდეს, შეფასდეს, გამოიცნონ, მაგრამ შეუძლებელია მისი გაზომვა რაოდენობრივად. მართალია შეიძლება და კიდევ უნდა განისაზღვროს რამდენ ხმას მისცემენ პოლიტიკას, რამდენი დივიზია და იარაღი აქვს მთავრობას, მაგრამ მე თუ დამჭირდება იმის გაგება, რამდენი ძალაუფლება აქვს მთავრობას, მაშინ მე უნდა დავტოვო კომპიუტერი, გამომთვლელი მანქანა და უნდა დავიწყო ისტორიული და აუცილებლად, ხარისხობრივი მაჩვენებლების მოფიქრება.

პოლიტიკური მოვლენების არსი არ შეიძლება სრულად იქნეს გამოკვლეული მხოლოდ გამოყენებითი მეთოდების დახმარებით. საზოგადოებრივ ურთიერთობებში, ზოგადად, საერთაშორისო ურთიერთობებში განსაკუთრებით, ბატონობს სტოქასტიკური პროცესები, რომლებიც არ ექვემდებარებიან დეტერმინისტულ განმარტებებს, ამიტომ სოციალური მეცნიერების დასკვნები, მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ, არასდროს არ შეიძლება იყოს საბოლოოდ ვერიფიცირებული ან ფალსიფიცირებული. ამასთან კავშირში აქ კანონზომიერია „მაღალი“ თეორიის მეთოდები, შეხამებული დაკვირვებასა და რეფლექსიასთან, შედარებასა და ინტუიციასთან, ფაქტების ცოდნასა და წარმოსახვასთან. მათი სარგებლობა და ეფექტურობა მტკიცდება თანამედროვე გამოკვლევებით და ნაყოფიერი ინტელექტუალური ტრადიციებით.

სწორად აღნიშნა მ. მერლიმ „ტრადიციონული“ და „მოდერნისტული“ მიდგომების მომხრეებს შორის პოლემიკის საბაზით

აბსურდული იქნებოდა ინტელექტუალური ტრადიციების დაჟინებით მოთხოვნა იქ, სადაც აუცილებელია ზუსტი გვ.61 შეგროვილ ფაქტებს შორის. ყველაფერი, რაც ექვემდებარება კვანტიფიკაციას, უნდა იყოს კვანტიფიცირებული. პოლემიკას „ტრადიციონალისტებსა“ და „მოდერნისტებს“ შორის ჩვენ კიდევ დავუბრუნდებით. აქვე უნდა აღინიშნოს რომ არაკანონზომიერია „ტრადიციული“ და „მეცნიერული“ მეთოდების შეპირისპირება, მათი დიხოტომიის სიყალბე. სინამდვილეში ისინი ერთმანეთს ავსებენ, ამიტომ სრულიად კანონზომიერია დასკვნა იმის შესახებ, რომ ორივე მიდგომა გამოდის თანაბარ საფუძვლებზე, ხოლო ერთი და იმავე პრობლემის ანალიზს აწარმოებს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად სხვადასხვა მკვლევარები.

მით უფრო, ერთი და იმავე დისციპლინის ორივე მიდგომის ჩარჩოში შეიძლება გამოყენებული იქნას სხვადასხვა პროპორციებით – სხვადასხვა მეთოდები: ზოგადმეცნიერული, ანალიტიკური და კონკრეტულ–ემპირიული. მათ შორის სხვაობა, განსაკუთრებით ზოგადმეცნიერულსა და ანალიტიკურს შორის, საკმაოდ პირობითია, ამიტომ მხედველობაში მისაღები პირობითობა, მათ შორის საზღვრის შედარებითობა, მათი უნარი „გადაკვეთონ“ ერთმანეთი. მოცემული მტკიცება სწორია საერთაშორისო ურთიერთობებისთვისაც. თან არ უნდა დაგვავიწყდეს იმის შესახებ, რომ მეცნიერების ძირითადი დანიშნულებაა პრაქტიკის სამსახური, საბოლოო ჯამში საფუძვლის შექმნა გადაწყვეტილების გაგებისთვის, რომელთაც შეუძლიათ დიდი ალბათობით უზრუნველყონ დასახული მიზნის მიღწევა.

ამასთან დაკავშირებით, რ. არონის დასკვნებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლა ფუნდამენტალური პლანით მოითხოვს ისეთი მიდგომების შეთავსებას, რომლებიც ეფუძნებიან თეორიას (ამ თავისებური საზოგადოებრივი ურთიერთობები) არსის, სპეციფიკის და ძირითადი მამომრავებელი ძალების გამოკვლევა), სოციოლოგია (დეტერმინანტებისა და კანონზომიერების, რომელიც განსაზღვრავს მის ცვლილებებს და

ევოლუციას), ისტორია (საერთაშორისო ურთიერთობების ფაქტიური განვითარება ეპოქების და თაობების ცვლის პროცესში, რომელიც საშუალებას იძლევა ანალოგიების და გამონაკლისების პოვნისა) და პრაქსეოლოგია (საერთაშორისო ურთიერთობების მომზადების, მიღებისა და რეალიზაციის პროცესის ანალიზი), გამოყენებითი გეგმით საუბარია ფაქტების შესწავლის შესახებ (არსებული ინფორმაციის ერთობლიობის ანალიზი); არსებული მდგომარეობის განმარტება (მიზეზების ძებნა, რომელიც საშუალებას იძლევა თავიდან იქნას აცილებული არასასურველი და უზრუნველყოფილი სასურველი მოვლენების განვითარება); სიტუაციის შემდგომი ევოლუციის პროგნოზირება (სიტუაციაზე ზემოქმედების არსებული საშუალებების ჩამონათვალის შედგენა, სხვადასხვა ალტერნატივების შეფასება) და ბოლოს გადაწყვეტილების მიღება (რომელმაც ასევე არ უნდა გამორიცხოს სიტუაციის შესაძლო ცვლილებებზე სასწრაფოდ რეაგირების აუცილებლობა).

ძნელი არ არის მსგავსების აღმოჩენა მეთოდოლოგიურ მიდგომებსა და საერთაშორისო ურთიერთობების ორივე დონეებისთვის დამახასიათებელი მეთოდების გადაკვეთისა. ეს სწორია იმ აზრითაც, რომ ორივე შემთხვევაში გამოყენებული მეთოდებიდან ერთი პასუხობს ყველა დასახულ მიზანს, სხვები კი ეფექტურია მხოლოდ ერთი მათგანისთვის. განვიხილოთ რამდენიმე მეთოდებიდან, რომლებიც გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობების გამოყენებით დონეზე.

ანალიზის მეთოდები

სიტუაციების ანალიზი ვარაუდობს დისციპლინათშორისი ხასიათის მეთოდების და პროცედურების ჯამის გამოყენებას, რომელიც გამოიყენება ემპირიული მასალის („მონაცემების“) დაგროვებისა და პირველადი სისტემატიზაციისთვის. ამიტომ შესაბამის მეთოდებს და მეთოდიკებს უწოდებენ ზოგჯერ ასევე „გამოკვლევების ტექნიკას“. დღეისთვის ცნობილია ათასზე მეტი მეთოდიკა საკმაოდ მარტივიდან (მაგალითად, დაკვირვება) საკმაოდ რთულამდე (როგორცაა მონაცემების ბანკის ფორმირება, მრავალგანზომილებიანი შკალის აგება, მარტივი

(Check Lists) და რთული (Indices) მაჩვენებლები, ტიპოლოგიის (ფაქტორული ანალიზი Q) აგება და ა.შ.

განვიხილოთ ანალიტიკური მეთოდებიდან შედარებითი გავრცელებულები: დაკვირვება, დოკუმენტების შესწავლა, შედარება.

დაკვირვება

როგორც ცნობილია, მოცემული მეთოდის ელემენტებს წარმოადგენენ: სუბიექტი, ობიექტი და დაკვირვების საშუალება. არსებობს დაკვირვების სხვადასხვა სახეობა. მაგალითად უშუალო დაკვირვება შუალობითისგან (ინსტრუმენტალური) განსხვავებით, არ ვარაუდობს რაიმე ტექნიკური მოწყობილობის ან ინსტრუმენტარიების (ტელემეაწყვებლობა, რადიო და სხვა) გამოყენებას. ის არის საგარეო (მსგავსი იმისა, რომელსაც აწარმოებენ პარლამენტის ჟურნალისტები ან სპეციალური კორესპოდენტები უცხოეთის სახელმწიფოებში) და ამა თუ იმ საერთაშორისო მოვლენაში ჩართული მონაწილეები. თავის მხრივ, პირდაპირ დაკვირვება განსხვავდება ირიბისაგან, რომელიც წარმოებს ინტერვიუს, ანკეტირების დახმარებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. საერთაშორისო ურთიერთობებში ძირითადად შესაძლებელია ირიბი და ინსტრუმენტალური დაკვირვება. მოცემული მეთოდის მთავარი ნაკლია მონაცემების შეგროვება – დიდია სუბიექტური ფაქტორების როლი, რომელიც დაკავშირებულია სუბიექტის აქტივობასთან, მისი (ან პირველადი დამკვირვებლები) იდეოლოგიური უპირატესობებით, დაკვირვების საშუალებების ნაკლოვანებებით და დეფორმირებულობით და ა.შ.)~

დოკუმენტების შესწავლა

საერთაშორისო ურთიერთობებთან მიმართებაში, მას აქვს ის თავისებურება, რომ „არაოფიციალურ“ მკვლევარს ხშირად არა აქვს თავისუფალი დაშვება ობიექტური ინფორმაციის წყაროსთან (განსხვავებით, შტაბის ანალიტიკოსების საერთაშორისო უწყებების ექსპერტებისა და ან უსაფრთხოების ორგანოების მუშაკებისგან). ამაში დიდ როლს თამაშობენ სახელმწიფო საიდუმლოებისა და უსაფრთხოების

შესახებ ამა თუ იმ რეჟიმის წარმომადგენლობა. სსრკ-ში სახელმწიფო საიდუმლოების საგანს დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა ნავთობის მოპოვების მოცულობა, სამრეწველო წარმოების დონე და ა.შ. არსებობდა დოკუმენტების და ლიტერატურის დიდი მასა, რომელიც გამოიყენებოდა მხოლოდ „სამსახურეობრივი სარგებლობისთვის“, შენარჩუნებული იქნა აკრძალვა უცხოური გამოცემების თავისუფალ ხმარებაზე, მრავალრიცხოვანი დაწესებულებები და ინსტიტუტები დაკეტილი იყო „გარეშე პირთათვის“.

არსებობს სხვა პრობლემაც, რაც ართულებს მოცემული მეთოდის გამოყენებას, რომელიც წარმოადგენს სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ყოველნაირი კვლევისთვის ამოსავალსა და საბაზოს, ესაა პრობლემა ფინანსური საშუალებების, რომლებიც აუცილებელია დოკუმენტების შეძენისთვის, დამუშავებისა და შენახვისთვის, ამ შრომით დანახარჯებთან დაკავშირებული ანაზღაურებისათვის და სხვა. გასაგებია, ამიტომ, რაც უფრო განვითარებულია სახელმწიფო და რაც უფრო დემოკრატიულია მისი რეჟიმი, მით უფრო ხელსაყრელი შესაძლებლობები არსებობს სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების დარგში კვლევებისთვის.

შედარებით ხელმისაწვდომია ოფიციალური დოკუმენტები: დიპლომატიური და სამხედრო უწყებების პრეს-სამსახურების ცნობები, სახელმწიფო მოღვაწეების ვიზიტების შესახებ ინფორმაცია, საწესდებო დოკუმენტები და შედარებით გავლენიანი სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების განცხადებები, დეკლარაციები, სახელისუფლებო სტრუქტურების, პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივი გაერთიანებების და სხვათა განცხადებები. ამასთანავე, ფართოდ გამოიყენება წერილობითი, აუდიო და აუდოვიზუალური წყაროები რომელთაც შეუძლიათ საერთაშორისო ცხოვრების მოვლენების შესახებ ინფორმაციის გაზრდა, კერძო პირების მოსაზრებების ჩანაწერები, ოჯახური არქივები, გამოუქვეყნებელი დღიურები. მნიშვნელოვანია ამა თუ იმ საერთაშორისო მოვლენების – ომის, დიპლომატიური

მოლაპარაკებების, ოფიციალური ვიზიტების – უშუალო მონაწილეების მოგონებები. ეს ეხება მსგავსი მოგონებების ფორმებსაც – წერილობითს ან ზეპირს, უშუალოს ან აღდგენილს და ა.შ. მონაცემების შეკრებაში დიდ როლს თამაშობს ე.წ. იკონოგრაფიული დოკუმენტები: სურათები, ფოტოგრაფიები, კინოფილმები, გამოფენები, ლოზუნგები. სსრკ-ში დახურულობის გაბანებულ პირობებში პრაქტიკულად ხელმიუწვდომელი იყო არაოფიციალური ინფორმაციები.

ამერიკელმა სოციოლოგებმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმეს იკონოგრაფიული დოკუმენტების შესწავლას, მაგალითად, სადღესასწაულო დემონსტრაციებიდან და პარადებიდან რეპორტაჟები. შეისწავლებოდა მწყობრების გაფორმების განსაკუთრებულობა, ლოზუნგების და პლაკატების შინაარსი, რაოდენობა, ტრიბუნებზე მყოფი ოფიციალური პირების შემადგენლობა, ცხადია, დემონსტრირებული სამხედრო ტექნიკისა და შეიარაღების სახეები.

შედარება

ესეც მეთოდია, რომელიც ბევრი დისციპლინისთვის საერთოა. ბ.რასსეტის და ხ. სტარის მტკიცებით, საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებაში, მისი გამოყენება დაიწყო 60-ანი წლების შუახანებში, როცა სახელმწიფოების და სხვა საერთაშორისო აქტორების რიცხვის უწყვეტმა ზრდამ, ის გახადა შესაძლებელი და სრულიად აუცილებელი. ამ მეთოდის მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მას მიზანი აქვს აღებული საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში განმეორებადი ზოგადის ძებნაზე თვით სახელმწიფოებსა და მათ ცალკეულ თვისებებს (ტერიტორია, მოსახლეობა, ეკონომიკური განვითარების დონე, დროებითი პოტენციალი, საზღვრების განფენილობა და ა.შ.) შორის შედარების აუცილებლობა ასტიმულირებს საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებაში რაოდენობრივი მეთოდების განვითარებას, და კერძოდ გაზომვას. თუ არსებობს ჰიპოთეზა იმის შესახებ, რომ დიდი სახელმწიფოები უფრო არიან მიდრეკილნი ომის ყაჩაღებისკენ, ვიდრე სხვები, რაც წარმოქმნის მოთხოვნას

სახელმწიფოების სიდიდის გაზომვისა, იმის განსაზღვრის მიზნით, რომელია მათ შორის დიდი და რომელი პატარა და რა კრიტერიუმებით. გარდა ამისა, გაზომვის „სივრცობრივი“ ასპექტისას, ჩნდება „დროში“ გაზომვის აუცილებლობა, ე.ი. ისტორიულ რეტროსპექტივაში გარკვევა, სახელმწიფოს რომელი სიდიდე აღიერებს მის „მიდრეკილებას“ ომისკენ.

ამავდროულად, შედარებითი ანალიზი იძლევა მეცნიერულად მნიშვნელოვანი დასკვნების მიღების შესაძლებლობისა და მოვლენების განსხვავებულობისა და სიტუაციის განუმეორებლობის საფუძველზე. იკონოგრაფიულ დოკუმენტებს შორის (კერძოდ ფოტო და კინოქრონიკა) შედარება, რომელიც ასახავს ფრანგი ჯარისკაცების გაგზავნას მოქმედ არმიასი 1914 და 1938 წლებში, მ. მერომ აღმოაჩინა მათ ქცევებში შთამბეჭდავი განსხვავება, ღიმილები, ცეკვები. 1914 წელს პარიზის აღმოსავლეთ ვაგზალზე გამეფებული საყოველთაო ზეიმის ატმოსფერო მკვეთრად განსხვავდება 1939 წელს იმავე ვაგზალზე დაკვირვების შედეგად, სასოწარკვეთის, უიმედობის, ფრონტზე წასვლის სურვილის არქონის სურათისგან, რამდენადაც აღნიშნული სიტუაცია არ შეიძლებოდა შექმნილიყო პაციფისტური მოძრაობის გავლენით (წერილობითი წყაროების მოწმობით, ის არასდროს არ იყო ისეთი ძლიერი, როგორც 1914 წლის დასაწყისში და პირიქით, თითქმის სრულიად არ ავლენდა თავს 1939 წლის წინ), რადგან წამოყენებული იყო ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც ზემოთ აღწერილი კონტრასტების განმარტებიდან ჩანს ის, რომ 1914 წ. 1939 წლისგან განსხვავებით, არ არსებობდა არანაირი ეჭვი იმასთან დაკავშირებით, ვინ წარმოადგენდა მტერს, მტერი იყო ცნობილი და იდენტიფიცირებული. მოცემული ჰიპოთეზის მტკიცებულება გახდა ერთ–ერთი იდეა საინტერესო და ორიგინალური კვლევისა, რომელიც მიემდვნა პირველი მსოფლიო ომის გააზრებას.

3. ექსპლიკატიური მეთოდები

მათ შორის შედარებით გავრცელებულს წარმოადგენენ ისეთი მეთოდები, როგორებიცაა კონტენტ–ანალიზი, ივენტ–ანალიზი

კოგნიტიური კარტირების მეთოდი და მათი მრავალრიცხოვანი მრავალსახეობანი.

კონტენტ-ანალიზი

პოლიტიკურ მეცნიერებებში ის პირველად გამოიყენა ამერიკელმა მკვლევარმა გ. ლახსუელმა და მისმა თანამშრომლებმა, პოლიტიკური ტექსტების პროპაგანდისტული მიმართულებების შესწავლისას და ის აღწერეს 1949 წ. ზოგადად მოცემული მეთოდი შეიძლება წარმოდგენილი იქნას, როგორც წერილობითი ან ზეპირი, ტექსტების შინაარსის შესწავლის სისტემატიზირება, მასში შედარებით ხშირად განმეორებად სიტყვათშეთანხმებებისა ან სიუჟეტების ფიქსაციით. შემდგომში ამ სიტყვათშეთანხმებების ან სიუჟეტების სიხშირეს ადარებენ სხვა წერილობით ან ზეპირ შეტყობინებებში მათ სიხშირეს, რომლებიც ცნობილია როგორც ნეიტრალური, რის საფუძველზეც კეთდება დასკვნა გამოსაკვლევ ტექსტის შინაარსის პოლიტიკური მიმართულების შესახებ. მოცემული მეთოდის აღწერისას მ. ა. ხრუსტალევი და კ. პ. ბორიშპოლევი გამოყოფენ მისი გამოყენების ისეთ სტადიებს, როგორცაა: ტექსტის სტრუქტურისა და საინფორმაციო მასალების პირველად დამუშავებასთან დაკავშირებით: საინფორმაციო მასივის დამუშავება მატრიცული ტაბულის დახმარებით, საინფორმაციო მასალების კვანტიფიკაცია, რომელიც საშუალებას იძლევა მისი ანალიზის გაგრძელების ელექტროგამოთვლითი ტექნიკის დახმარებით.

მეთოდის სიმკაცრე და ოპერაციულობა დამოკიდებულია ანალიზის პირველადი ერთეულების გამოყოფის სისწორეზე (ტერმინები, სიტყვათშეთანხმებანი, აზრობრივი ბლოკები და ა.შ.) და გაზომვის ერთეულებზე (მაგალითად სიტყვა, ფრაზა, განყოფილება, გვერდი და ა.შ.)

ივენტ-ანალიზი

ეს მეთოდი (სხვანაირად შემთხვევების მონაცემების ანალიზის მეთოდი) მიმართულია საჯარო ინფორმაციის დამუშავებაზე, რომელიც წარმოაჩენს „ვინ ლაპარაკობს ან აკეთებს რას, ვისთან მიმართებაში და

როდის“. შესაბამისი მონაცემების სისტემატიზაცია და დამუშავება ხორციელდება შემდეგი თვისებებით:

1) სუბიექტი – ინიციატორი (ვინ), 2) სიუჟეტი ან „issue-area“ (რა), 3) სუბიექტი – სამიზნე (ვისთან მიმართებაში) და 4) მოვლენის დრო (როდის). მოვლენების ასეთი სახით სისტემატიზირება თავს იყრის მატრიცულ ტაბულებში, რანჟირდება და იზომება Ξ BM დახმარებით. მოცემული მეთოდის ეფექტურობა ვარაუდობს მონაცემების მნიშვნელოვანი ბანკის არსებობას. ივენტანალიზში გამოყენებული მეცნიერულ–გამოყენებითი პროექტები, განსხვავდებიან შესასწავლი ქცევების ტიპით, განსახილველი პოლიტიკური მოღვაწეების რაოდენობით, საკვლევი დროის პარამეტრებით, გამოყენებული წყაროების რაოდენობით, მატრიცული ტაბულების ტიპოლოგიით და ა.შ.

კოგნიტიური კარტირება

ეს მეთოდი მიმართულია იმის ანალიზისკენ, ესა თუ ის პოლიტიკური მოღვაწე როგორ აღიქვამს განსაზღვრულ პოლიტიკურ პრობლემას.

ამერიკელმა მეცნიერმა რ. სნაიდერმა და ს. სეპინმა ჯერ კიდევ 1954 წ. გვიჩვენეს, რომ პოლიტიკური ლიდერების გადაწყვეტილების მიღების საფუძველში შეიძლება იდოს არა მხოლოდ და არა იმდენად გარემომცველი სინამდვილე, რამდენადაც ის თუ როგორ აღიქვამენ ისინი მას 1976 წ. რ. ჯერვისმა ნაშრომში – „აღქმა და არასწორი აღქმა (misperception) საერთაშორისო პოლიტიკაში“ – გვიჩვენებს, რომ ამა თუ იმ ლიდერის მიღებულ გადაწყვეტილებაზე ემოციონალური ფაქტორების გარდა გავლენას ახდენენ კოგნიტიური ფაქტორები. ამ თვალსაზრისით, მიღებული ინფორმაცია აითვისება და წესრიგდება მათი „შესწორებებით“, გარე სამყაროზე მათი საკუთარი შეხედულებებით. აქედანაა ყოველნაირი ინფორმაციის შეუფასებლობის ტენდენცია, რომელიც ეწინააღმდეგება ღირებულებების მათ სისტემას და მოწინააღმდეგის სახეს, ან პირიქით, უმნიშვნელო მოვლენების როლის გაზვიადება. კოგნიტიური ფაქტორების ანალიზი საშუალებას იძლევა გაგებულ იქნას, მაგალითად, სახელმწიფოს

საგარეო პოლიტიკის შეფარდებითი მუდმივობა აიხსნება, სხვა მიზეზებთან ერთად, შესაბამისი ლიდერების შეხედულებების მუდმივობით.

კოგნიტიური კარტირების მეთოდი წყვეტს ძირითადი ცნებების გამოვლენის ამოცანას, რომლითაც ოპერირებენ პოლიტიკოსები, მათ შორის მიზეზობრივ-საგამომძიებლო კავშირების არსებობას. „მკვლევარი შედეგად ღებულობს კარტა-სქემას, რომელზეც პოლიტიკური მოღვაწეების სიტყვებისა და გამოსვლების საფუძველზე, აისახა პოლიტიკური სიტუაციის აღქმა ან მასში ცალკეული პრობლემების აღქმა.

აღნიშნული მეთოდების, რომლებიც ფლობენ მთელ რიგ ღირსებებს, გამოყენება შესაძლებლობას იძლევა ახალი ინფორმაციის მიღებისა, უკვე ცნობილი დოკუმენტების და ფაქტების სისტემატიზაციის საფუძველზე, ობიექტურობის დონის ამაღლებას, გაზომვის შესაძლებლობას და ა.შ. – გამოყენებისას მკვლევარი ეჯახება სერიოზულ პრობლემებს. ესაა ინფორმაციის წყაროების და მისი უტყუარობის, მონაცემების ბაზის არსებობა და სავსეობა და ა.შ. მაგრამ მთავარი პრობლემა იმ დანახარჯების პრობლემაა, რომელსაც მოითხოვს კვლევის ჩატარება კონტენტ-ანალიზის, ივენტ-ანალიზის და კოგნიტიური კარტირების მეთოდის გამოყენებით. მონაცემების ბაზის შედგენას, მათ კოდირებას, პროგრამირებას და სხვა მიაქვს მნიშვნელოვანი დრო, მოითხოვენ ძვირადღირებულ აღჭურვილობას, იწვევენ შესაბამისი სპეციალისტების მიზიდვის აუცილებლობას, რაც საბოლოო ჯამში ჩამოისხმება მნიშვნელოვან თანხად.

ამ პრობლემის გათვალისწინებით, მონრეალის უნივერსიტეტის პროფესორმა ბ. კორანმა წამოაყენა მეთოდიკა საერთაშორისო აქტორების ქცევის ინდიკატორების შეზღუდული რაოდენობით, რომლებიც განიხილება წყაროს ხარისხში (ყველაზე მეტად დამახასიათებელი) ასეთი ინდიკატორი მხოლოდ ოთხია: დიპლომატიური წარმომადგენლობის წესი, ეკონომიკური გარიგებანი, სახელმწიფოთაშორისო ვიზიტები და შეთანხმებები (მორიგებები) ეს ინდიკატორები სისტემატიზირდება მათი

ტიპების შესაბამისობაში (მაგალითად, შეთანხმება შეიძლება იყოს დიპლომატიური, სამხედრო, კულტურული ან ეკონომიკური) და მნიშვნელობას დონით. შემდეგ დგება მატრიცული ტაბულა, რომელიც იძლევა თვალსაჩინო წარმოდგენას საკვლევი ობიექტის შესახებ. ვიზიტების გაცვლის ტაბულა გამოიყურება შემდეგი სახით: სახელმწიფოს მეთაური: მეფე, პრეზიდენტი, ემირატის შეიხი, კომპარტიის პირველი მდივანი, კანცლერი. ვიცე-პრეზიდენტი: პრემიერ-მინისტრი ან მთავრობის მეთაური, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ვიცე-პრეზიდენტი:საგარეო საქმეთა მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, ეკონომიკის მინისტრი.

რაც შეეხება დიპლომატიური წარმომადგენლობის წესებს, მათი კლასიფიკაცია იგება მათი დონეების საფუძველზე (ელჩის დონე ან უფრო დაბალი დონე) და იმის გათვალისწინებით საუბარია თუ არა პირდაპირ წარმომადგენლობაზე ან სხვა ქვეყნის შუამავლობით (რეზიდენტი ან არა რეზიდენტი). ამ მონაცემების კომბინაცია შეიძლება წარმოდგეს ასეთი სახით: ელჩი რეზიდენტი, ელჩი არა რეზიდენტი, რეზიდენტული დიპლომატიური წარმომადგენლობა (ელჩზე დაბალ დონეზე), არარეზიდენტული დიპლომატიური წარმომადგენლობა, სხვა დიპლომატიური ურთიერთობები.

მსგავსი მონაცემების საფუძველზე შენდება დასკვნები, რომლებიც ეხებიან საერთაშორისო აქტორების ქცევის წესებს დროში და სივრცეში: ვისთან ინარჩუნებს ის შედარებით ინტენსიურ ურთიერთქმედებას, რა პერიოდში და რა სფეროში მიმდინარეობენ ისინი და ა.შ.

მოცემული მეთოდიკის გამოყენებით ბ. კორანმა დაადგინა, რომ მთელ სამხედრო-პოლიტიკურ ურთიერთობებს, რომლებიც ჰქონდა, მაგალითად, 70იან წლებში ალჟირს, მხარს უჭერდა სსრკ, მაშინ როცა მთელ სოციალისტურ ბანაკთან ეკონომიკური ურთიერთობები იყო საკმაოდ სუსტი. ფაქტობრივად, ალჟირის ეკონომიკური ურთიერთობების დიდი ნაწილი მიმართული იყო დასავლეთთან თანამშრომლობაზე, განსაკუთრებით აშშ-სთან, – „მთავარ იმპერიალისტურ

ხელისუფლებასთან“. როგორც ბ. კორანი წერს: „მსგავსი დასკვნა, რომელიც ეწინააღმდეგება „ჯანსაღ აზრს“ და პირველ შთაბეჭდილებებს – (გაგახსენებთ, რომ ალჟირი ამ წლებში ეკუთვნოდა „სოციალისტური ორიენტაციის“ ქვეყნებს, რომელსაც კურსი ეჭირა „ანტიიმპერიალისტური ბრძოლისა და სოციალიზმის ქვეყნებთან ყოველმხრი თანაშრომლობაზე“) – არ შეიძლებოდა გაკეთებულიყო, და არ შეიძლებოდა მისი დაჯერება მკაცრი მეთოდის გამოყენების გარეშე, რომელიც გამაგრებული იქნებოდა მონაცემების სისტემატიზაციით“ შესაძლებელია, ეს რამდენადმე გაზვიადებული შეფასებაა. მაგრამ ყველა შემთხვევაში მოცემული მეთოდიკა საკმაოდ ეფექტურია, საკმაოდ მტკიცებითია და არც ისე ძვირადღირებული. აღსანიშნავია მისი შეზღუდულობა, რომელიც წარმოადგენს საერთოს ყველა ზემოთ დასახელებული მეთოდებისთვის. როგორც თავად ავტორი აღიარებს, მას არ შეუძლია (ან შეუძლია მხოლოდ ნაწილობრივ) უპასუხოს კითხვებზე ამა თუ იმ ფენომენების მიზეზების შესახებ. მსგავსი მეთოდები და მეთოდიკები გაცილებით უფრო სასარგებლოა აღწერის დონეზე და არა განმარტება. ისინი იძლევიან სიტუაციის საერთო სახეს, გვიჩვენებს, რა ხდება, მაგრამ არ ხსნიან, რატომ. მაგრამ სწორედ ამაშია მათი დანიშნულება – შეასრულონ დიაგნოსტიკური როლი ამა თუ იმ მოვლენის, სიტუაციის და საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემების ანალიზში, მაგრამ ამისთვის მათ სჭირდებათ პირველადი მასალები, მონაცემების არსებობაში, რომლებიც ექვემდებარებიან შემდგომ დამუშავებას.

ექსპერიმენტი

ექსპერიმენტის მეთოდი, როგორც ხელოვნური სიტუაციის შექმნა, თეორიული ჰიპოთეზების, დაკვსენების და მდგომარეობის შემოწმების მიზნით, წარმოადგენს ბუნებრივ მეცნიერებებში ერთ–ერთ ძირითადს. სოციალურ მეცნიერებებში ფართო გავრცელება, მიიღო ისეთი სახეობა, როგორიცაა იმიტაციური თამაშები, წარმოადგენს ლაბორატორიული ექსპერიმენტის მრავალსახეობას (საველესგან განსხვავებით). არსებობს ორი ტიპის იმიტაციური თამაში: ელექტრონულ – გამოთვლითი ტექნიკის

გამოყენების გარეშე და მისი სარგებლობით. პირველ შემთხვევაში, საუბარია ინდივიდუალური ჯგუფური მოქმედების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია გარკვეული როლების შესრულებასთან (მაგალითად სახელმწიფოები, მთავრობები, პოლიტიკური მოღვაწეები ან საერთაშორისო ორგანიზაციები) წინასწარ შედგენილი სცენარის შესაბამისობაში. ამასთან მონაწილეებმა მკაცრად უნდა დაიცვან თამაშის ფორმალური პირობები, რომლებიც კონტროლირდება მისი ხელმძღვანელობით: მაგალითად, სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტის იმიტაციის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იყოს იმ სახელმწიფოს ყველა პარამეტრები, რომლის როლს ასრულებს მონაწილე – ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი, კავშირებში მონაწილეობა, მმართველი რეჟიმის სტაბილურობა და ა.შ. წინააღმდეგ შემთხვევაში მსგავსი თამაში შეიძლება გადაიქცეს უბრალო გასართობად და დროის დაკარგვად შემეცნებითი რეზულტატების თვალსაზრისით. იმიტაციური თამაშები კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით გვთავაზობენ გაცილებით ფართო კვლევით პერსპექტივებს. მონაცემების შესაბამის ბაზაზე დაყრდნობით, ისინი იძლევიან შესაძლებლობას დიპლომატიური ისტორიის მოდელის აღდგენისა. იწყებს მიმდინარე მოვლენების – ოკრიზისები, კონფლიქტები, სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების შექმნა – განმარტების ყველაზე და ყველაზე უბრალო მოდელით, შემდეგ კი იკვლევს, როგორ ეხამება იგი ადრინდელ ისტორიულ მაგალითებს. გამოცდისა და შეცდომების, საწყისი მოდელის პარამეტრების შეცვლის, გამოტოვებული ადრინდელი ცვლილებების დამატების გზით ისე, რომ გათვალისწინებული იქნას კულტურულ – ისტორიული ღირებულებები, გაბატონებულ მენტალიტეტში ძვრები და ა.შ. შეიძლება თანდათანობით და ამ ორი მოდელის შედარების საფუძველზე წინ წამოიწევს დასაბუთებული ჰიპოთეზები მომავალში მიმდინარე მოვლენების შესაძლო განვითარებასთან მიმართებაში. სხვანაირად რომ ვთქვათ, ექსპერიმენტი ეკუთვნის არა მხოლოდ განმარტებით, არამედ ასევე პროგნოსტიკულ მეთოდებს. შეიძლება თანდათანობით წინ წაიწიოს დიპლომატიური

ისტორიის განახლებული მოდელისადმი სულ უფრო დიდი შესაბამისობის მისაღწევად.

პროგნოზის მეთოდები

საერთაშორისო ურთიერთობებში არსებობენ როგორც შედარებით მარტივი, ასევე შედარებით რთული პროგნოსტიკური მეთოდები. პირველ ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს ისეთი მეთოდები, როგორებიცაა მაგალითად: დასკვნა ანალოგიით, მარტივი ექსტრაპოლიაციის მეთოდი, დელფის მეთოდი, სცენარების აგება და ა.შ. მეორე ჯგუფს – დეტერმინანტის ანალიზი და ცვლადი, სისტემური მიდგომა, მოდელირება, ქრონოლოგიური სერიის ანალიზი, სპექტრული ანალიზი, კომპიუტერული სიმულაცია და ა.შ. განვიხილოთ მოკლედ რამდენიმე მათგანი.

დელფის მეთოდი

საუბარია რამდენიმე ექსპერტის მიერ პრობლემების სისტემატიური და კონტროლირებადი განხილვის შესახებ. ექსპერტებს შეაქვთ თავისი შეფასებები ამა თუ იმ საერთაშორისო მოვლენებზე. ცენტრალურ ორგანოში, რომელიც ახდენს მათ განზოგადებას და სისტემატიზაციას, რის შემდეგაც ისევ უბრუნებს ექსპერტებს. შემდგომში რამდენიმეჯერ ჩატარებული ასეთი ოპერაცია იძლევა საშუალებას, მითითებულ შეფასებებში ცოტა თუ ბევრად სერიოზული სხვადასხვაობის კონსტანტირებისა. ჩატარებული განზოგადების გათვალისწინებით ექსპერტებს ან მოსაზრებას და აგრძელებენ მის დაცვას. ექსპერტების შეფასებაში სხვადასხვაობის მიზეზის შესწავლა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს პრობლემების ადრე შეუმჩნეველი ასპექტები და ყურადღება გამახვილდეს ყველაზე უფრო მეტად (ექსპერტების შეფასებების დამთხვევის შემთხვევაში) გაანალიზებული პრობლემების ან სიტუაციების განვითარების მოსალოდნელ შედეგებზე. ამასთან შესაბამისობაში შემუშავდება საბოლოო შეფასება და პრაქტიკული რეკომენდაციები.

სცენური მეთოდი

ეს მეთოდი მდგომარეობს, მოვლენის შესაძლებელი განვითარების იდეალური (ე.ი. აზრობრივი) მოდელების აგებაში. არსებული სიტუაციის ანალიზის საფუძველზე ხდება ჰიპოთეზების წამოყენება, რომლებიც წარმოადგენენ მარტივ წინადადებებს და არ ექვემდებარებიან მოცემულ შემთხვევაში არანაირ შემოწმებას, მის შემდგომ ევოლუციას და შედეგებზე. პირველ ეტაპზე წარმოებს მთავარი ფაქტორების ანალიზი და გადარჩევა, რომელიც მკვლევარი აზრით განსაზღვრავს სიტუაციის შემდგომ განვითარებას. ასეთი ფაქტორების რაოდენობა არ უნდა იყოს უზომო (როგორც წესი, გამოყოფენ არა უმეტეს ექვსი ელემენტისა) იმისთვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ამ სიმრავლის და მისგან გამომავალი მომავლის ვარიანტების დანახვა. მეორე ეტაპზე ხდება ჰიპოთეზების წამოყენება გადარჩეული ფაქტორების ევოლუციის სავარაუდო ფაზების შესახებ მომდევნო 10, 15, 20 წლის განმავლობაში. მესამე ეტაპზე ხდება გამოყოფილი ფაქტების შეპირისპირება და მათ საფუძველზე სახელდება და ასე თუ ისე ზუსტად მოიხაზება ჰიპოთეზები (სცენარები), რომლებიც შეესაბამებიან ყოველ მათგანს. ამასთან ითვალისწინებენ გამორჩეულ ფაქტორებს შორის ურთიერთზემოქმედების შედეგებს და წარმოსახულ ვარიანტებს, მათ განვითარებას. და ბოლოს, მეოთხე ეტაპზე არის ცდა ზემოთ აღნიშნული სცენარების შეფარდებითი შესაძლებლობის მაჩვენებლების შექმნისა, რომლებიც ამ მიზნით კლასიფიცირდებიან მათი მოსალოდნელობის ხარისხის მიხედვით (სრულიად თვითნებურად).

სისტემური მიდგომა

სისტემის ცნება (რომელიც უფრო დაწვრილებით აღწერილი იქნება V თავში) ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებაში, სხვადასხვა თეორიული მიმართულებებისა და სკოლების წარმომადგენლების მიერ. მის უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ იძლევა შესაძლებლობას ობიექტის, როგორც მთლიანის შესწავლისა, მამასადამე, უზრუნველყოფს ურთიერთზემოქმედ ელემენტებს შორის კორელაციის არსებობას, ეხმარება ასეთი ურთიერთზემოქმედების

„წესების“ გამოვლენაში ან სხვანაირად რომ ვთქვათ, საერთაშორისო სისტემების ფუნქციონირების კანონზომიერებას. სისტემური მიდგომის საფუძველზე მთელი რიგი ავტორები განასხვავებენ საერთაშორისო ურთიერთობებს საერთაშორისო პოლიტიკისგან: თუ საერთაშორისო ურთიერთობების შემადგენელი ნაწილები წარმოდგენილია მისი მონაწილეებით (აქტორების) და ფაქტორებით (დამოუკიდებელი „ცვალებადი“ ან „რესურსები“), რომლებიც შეადგენენ მონაწილეების „პოტენციალს“, მაშინ საერთაშორისო პოლიტიკის ელემენტებად გამოდიან მხოლოდ აქტორები.

სისტემური მიდგომა უნდა განვასხვავოთ მისი კონკრეტული განსახიერებისგან – სისტემური თეორიისა და სისტემური ანალიზისგან. სისტემური თეორია ასრულებს სისტემებისა და მათი შემადგენელი ელემენტების აგების, აღწერისა და ახსნის ამოცანებს, სისტემის და გარემოს ურთიერთზემოქმედების, ასევე შიდა სისტემური პროცესების ამოცანებს, რომელთა გავლენით ხდება სისტემების შეცვლა ან განადგურება. რაც შეეხება სისტემურ ანალიზს, ისინი ასრულებენ უფრო კონკრეტულ ამოცანებს, წარმოადგენენ პრაქტიკული მეთოდის, ხერხების, საშუალებების, პროცედურების ერთობლიობას, რომელთა წყალობით ობიექტის (მოცემულ შემთხვევაში საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლაში შეიტანება განსაზღვრული მოწესრიგებულობა.)

რ. არონის თვალსაზრისით „საერთაშორისო სისტემა შედგება პოლიტიკური ერთეულებისგან, რომლებიც მხარს უჭერენ ერთმანეთს შორის რეგულარულ ურთიერთობებს და რომლებიც შეიძლება ჩართულნი იქნან საყოველთაო ომში“. რამდენადაც , არონისთვის საერთაშორისო სისტემაში მთავარ (ფაქტობრივად ერთმანეთს) პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენს სახელმწიფო, ერთი შეხედვით შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება იმის შესახებ, რომ ის აიგივებს საერთაშორისო ურთიერთობებს მსოფლიო პოლიტიკასთან. რ. არონი შემოსაზღვრავს, არსებითად საერთაშორისო ურთიერთობებს

სახელმწიფოთაშორისი ურთიერთზემოქმედების სისტემით, ამავე დროს დიდ ყურადღებას უთმობს სახელმწიფოების რესურსების, პოტენციალის შეფასებას, რომლებიც განსაზღვრავენ მათ მოქმედებას საერთაშორისო არენაზე, მაგრამ ასეთ შეფასებას თვლის საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგიის ამოცანების და შინაარსის საფუძვლად. ამავდროულად ის წარმოადგენდა სახელმწიფოს პოტენციალს (ან ძლიერებას), როგორც ერთობლიობას, რომელიც შეადგენს მის გეოგრაფიულ გარემოს, მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს და კოლექტიური მოქმედების უნარს. სისტემური მიდგომიდან გამომდინარე არონი გამოკვეთავს არსებითად, საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისი) ურთიერთობების განხილვის სამ დონეს: სახელმწიფოთაშორისი სისტემის დონე, სახელმწიფოს დონე და მისი ძლიერების (პოტენციალი) დონე.

დ. როზენაუ 1971 წ. გვთავაზობს სხვა სქემას, რომელიც მოიცავდა ანალიზის 6 დონეს:

- 1) ინდივიდები, პოლიტიკის შემქმნელები და მათი დახასიათებები;
- 2) მათ მიერ დაკავებული თანამდებობები და შესრულებული როლები;
- 3) მთავრობის სტრუქტურა, რომელშიც ისინი მოქმედებენ;
- 4) საზოგადოება, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და რომელსაც მართავენ;
- 5) ნაციონალური სახელმწიფოსა და სახელმწიფო ურთიერთობების სხვა მონაწილეებს შორის ურთიერთობის სისტემა;
- 6) მსოფლიო სისტემა;

სისტემური მიდგომის დახასიათებისას, რომელიც წარმოდგენილია ანალიზის სხვადასხვა დონეებით, რ. რასსეტი და ხ. სტარი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ამა თუ იმ დონის არჩევა განისაზღვრება მონაცემების არსებობით და თეორეტიკული მიდგომით, და არანაირად მკვლევარის კაპრიზით. ამიტომ მოცემული მეთოდის გამოყენების ყოველ შემთხვევაში აუცილებელია რამდენიმე სხვადასხვა დონის მოძებნა და განსაზღვრა, ამასთან სხვადასხვა დონეებზე განმარტებამ, არაა აუცილებელი

ერთმანეთი გამორიცხონ. ისინი შეიძლება იყვნენ ურთიერთშემავსებელი, ამით ისინი აღრმავდებიან ჩვენს გაგებას.

სერიოზული ყურადღება ეთმობა სისტემურ მიდგომას საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ სამამულო მეცნიერებაში.

ნაშრომები, გამოცემული სხვადასხვა აკადემიებისა და უმაღლესი სასწავლებლების ცენტრების მკვლევარების მიერ, მოწმობენ სისტემური თეორიის, ასევე სისტემური ანალიზის დარგებში რუსეთის მეცნიერების მნიშვნელოვან წარმატებებს.

„საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის საფუძვლების“ სახელმძღვანელოს ავტორები თვლიან, რომ „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის მეთოდი წარმოადგენს საერთაშორისო მოვლენების, პროცესების, პრობლემების, სიტუაციების მოძრაობის და განვითარების სისტემურ ანალიზს, ხორციელდება საგარეო პოლიტიკური მონაცემების და ცნობების შესახებ არსებული ცოდნის, კვლევის განსაკუთრებული ხერხებისა და საშუალებების დახმარებით“. ასეთი ანალიზის საწყის მომენტს წარმოადგენს, მათი თვალსაზრისით, ყოველნაირი სისტემის კვლევის სამი დონე:

1) შემადგენლობის დონე – მისი წარმომქმნელი ელემენტების სიმრავლე;

2) საშინაო სტრუქტურების დონე – ელემენტებს შორის კანონზომიერი ურთიერთკავშირის ერთობლიობა.

3) საგარეო სტრუქტურების დონე – სისტემის, როგორც მთლიანის გარემოსთან ურთიერთკავშირის ერთობლიობა.

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შესასწავლად სისტემური ანალიზის მეთოდი იყენებს „დეტერმინანტების“, „ფაქტორების“ და „ცვალებადების“ ანალიზს.

არონის ერთ-ერთი მიმდევარი რ. ბოსკი ნაშრომში „ მსოფლიოს სოციოლოგია“ სახელმწიფოს პოტენციალს წარმოადგენს, როგორც რესურსების ერთობლიობას, რომლებსაც ის ფლობს თავისი მიზნების

მისაღწევად, რომელიც შედგება ორი სახის ფაქტორისაგან: ფიზიკურისა და სულიერის.

ფიზიკური (ან უშუალოდ ხელშესახები) ფაქტორები შეიცავენ თავიანთ თავში შემდეგ ელემენტებს:

1. სივრცე (გეოგრაფიული მდებარეობა, მისი ღირსება და უპირატესობა)

2. მოსახლეობა (დემოგრაფიული სიმძლავრე)

3. ეკონომიკა ისეთ გამოვლინებებში, როგორებიცაა ა) ეკონომიკური რესურსები, ბ) სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პოტენციალი გ) სამხედრო სიმძლავრე

სულიერის შემადგენლობაში (ან მორალურის, ან სოციალურის, უშუალოდ არა ხელშესახების) შედიან ფაქტორები:

2.1. პოლიტიკური რეჟიმის ტიპი და მისი იდეოლოგია

2.2. მოსახლეობის ზოგადი და ტექნიკური განათლების დონე

2.3. ნაციონალური „მორალი“ საზოგადოების მორალური ტონუსი

2.4. სტრატეგიული მდგომარეობა საერთაშორისო სისტემაში (მაგალითად თანამეგობრობის, კავშირების და სხვათა ჩარჩოებში)

აღნიშნული ფაქტორები შეადგენს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაზე მოქმედი დამოუკიდებელი ცვალებადების ერთობლიობას.

საშინაო დამოუკიდებელი ცვადების ფიზიკური ფაქტორები მოიცავენ:

– სახელმწიფოს გეოგრაფიული მდებარეობა;

– მისი ბუნებრივი რესურსები;

– მისთვის დამახასიათებელი დემოგრაფიული სიტუაცია თავის მხრივ, სტრუქტურული ფაქტორების შემადგენლობაში შედიან;

– პოლიტიკური ინსტიტუტები;

– ეკონომიკური ინსტიტუტები;

– სახელმწიფოს უნარი გამოიყენონ თავისი ფიზიკური და სოციალური გარემო ან სხვანაირად რომ ვთქვათ, მისი ტექნოლოგიური, ეკონომიკური და ადამიანური პოტენციალი;

- პოლიტიკური პარტიები;
- ზეწოლის ჯგუფები;
- ეთნიკური ჯგუფები;
- კონფესიონალური ჯგუფები;
- ენობრივი ჯგუფები;
- სოციალური მობილურობა;
- ტერიტორიული სტრუქტურა: ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის

წილი;

- საზოგადოების ნაციონალური თანხმობის დონე;
- და ბოლოს კულტურული და ადამიანური ფაქტორები შეიცავს:
- კულტურას;
- ღირებულების სისტემას;
- ენას;
- რელიგიას;
- იდეოლოგიას;

- ხელისუფლების მიერ თავისი როლის თვითშეფასება; მისი თვითაღქმა; მსოფლიოს მისეული აღქმა; ზეწოლის ძირითადი საშუალებები;

- კოლექტიური მენტალიტეტი; ისტორიული მეხსიერება; „სხვისი“ სახე;

ქვეყნის ხაზი, რომელიც ეხება საერთაშორისო ვალდებულებებს; ნაციონალური უსაფრთხოების პრობლემებისადმი

განსაკუთრებული მგრძობელობა; მესიანური ტრადიციები;

- გადაწყვეტილების მიმღები პირების ხარისხი;
- თავისი გარემოცვის აღქმა;
- მსოფლიოს აღქმა;
- ფიზიკური ხარისხი;
- მორალური ხარისხი;

როგორც სქემიდან ჩანს, მოცემული კონცეფცია, რომელიც ფლობს წინა კონცეფციის ღირსებებს, ახდენს მისი ძირითადი ნაკლოვანებების

დაძლევას. მისი ძირითადი იდეაა საშინაო და საგარეო ფაქტორების მჭიდრო ურთიერთკავშირი; მათი ურთიერთგავლენა და ურთიერთდამოკიდებულება სახელმწიფოს საზღვარგარეთის პოლიტიკაზე ზემოქმედებაში. გარდა ამისა, შიგა დამოუკიდებელი ცვალებადობის ჩარჩოებში, ეს ფაქტორები აქ წარმოდგენილია უფრო სრულყოფილად, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ანალიზში რაიმენაირი მნიშვნელოვანი ნიუანსების მხედველობიდან გამორჩენის საშუალებას. სქემიდან ჩანს, რომ ნათქვამი გაცილებით ნაკლებად ეკუთვნის საგარეო დამოუკიდებელ ცვალებადებს, რომლებიც მასში მხოლოდ აღნიშნულია, მაგრამ არანაირად არ არის სტრუქტურირებულნი. მოცემული ვითარება მოწმობს, რომ საშინაო და საგარეო ფაქტორების „თანასწორობის“ პირობებში, ავტორები უპირატესობას ანიჭებენ პირველს.

აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ შემთხვევაში ავტორები სრულიადაც არ ახდენენ საგარეო პოლიტიკაზე ზემოქმედებაში ფაქტორების მნიშვნელობის აბსოლუტიზირებას. როგორც რ. ბოსკი გვიჩვენებს, რომ ჩაერთო რა 1954 წ. ომში საფრანგეთის წინააღმდეგ. ალჟირი არ ფლობდა აღნიშნული ფაქტორებიდან უმრავლესობას, მიუხედავად ამისა მან შეძლო მიეღწია დასახული მიზნისთვის.

ცდები ისტორიის მსვლელობის გულუბრყვილო დეტერმინისტული აღწერისა ლაპლასური პარადიგმის სულისკვეთებით, როგორც მოძრაობა წარსულიდან აწმყოს გავლით, წინასწარ მოცემული მომავლისკენ განსაკუთრებით გამოაშკარავებს მის უსუსურობას სწორედ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, სადაც ბატონობენ სტოხასტიკური პროცესები. ნათქვამი განსაკუთრებითაა დამახასიათებელი ახლანდელი გარდამავალი ეტაპისთვის. მსოფლიო წესრიგის ევოლუციაში, რომელიც ხასიათდება გაზრდილი არასტაბილურობით და წარმოადგენს ბიფურკაციის თავისებურ წერტილს, რომელიც თავის თავში მოიცავს განვითარების ალტერნატიული გზების სიმრავლეს, მაშასადამე, არ იძლევა რამენაირ განსაზღვრულობას.

ასეთი კონსტანტაცია სრულიად არ ნიშნავს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში პროგნოზები ფაქტობრივად შეუძლებელია. საუბარია იმის შესახებ უნდა დავინახოთ მეცნიერების პროგნოსტიკური შესაძლებლობის საზღვრები, შეფარდებითობა და ამბიკალენტობა.

მოდელირება

მოცემული მეთოდი დაკავშირებულია ხელოვნურის, იდეალურის, წარმოსახვითი სიტუაციების აგებასთან, რომლებიც წარმოადგენენ სისტემებს, ელემენტებს და ურთიერთობებს, რომელთაც შეესაბამებინან რეალური საერთაშორისო ფენომენების და პროცესების ურთიერთობები.

განვიხილოთ როგორი სახე აქვს მოცემულ მეთოდს, როგორც კომპლექსურ მოდელირებას, მ.ა. ხრუსტალევას ნაშრომის „საერთაშორისო ურთიერთობების სისტემური მოდელირება“, მაგალითზე.

ავტორი თავის ამოცანად თვლის ფორმალიზებული თეორიული მოდელის აგებას, რომელიც წარმოადგენს მეთოდოლოგიური (შემეცნების ფილოსოფიური თეორია), ზოგადსამეცნიერო (სისტემების ზოგადი თეორია) და კერძო სამეცნიერო (საერთაშორისო ურთიერთობების თეორია) მიდგომების სამმაგ მეთოდოლოგიურ სინთეზს. აგება ხდება სამ ეტაპად. პირველ ეტაპზე ფორმულირდება „წინასამოდელო ამოცანები“, ორ ბლოკად გაერთიანებულნი: „შეფასებითი“ და „ოპერაციონალური“. ამ კავშირში ავტორი აანალიზებს ისეთ ცნებებს, როგორებიცაა „სიტუაციები“ და „პროცესები“ (და მათი სახეობები), ასევე ინფორმაციის დონეს. მათ საფუძველზე იგება მატრიცა, რომელიც წარმოადგენს თავისებურ „რუკას“, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს მკვლევარმა აირჩიოს ობიექტი საინფორმაციო უზრუნველყოფის დონის გათვალისწინებით.

რაც შეეხება ოპერაციონალურ ბლოკს, აქ მთავარია ტრიადის საფუძველზე „ზოგადი განსაკუთრებული ერთიანი ხასიათის (ტიპის) მოდელების (კონცეპტუალური, თეორიული და კონკრეტული) და ფორმების (ვერბალური ან შინაარსიანი, ფორმალიზებული და კვანტიფიცირებული) გამოყოფაში. მოდელების გამოყოფა წარმოადგენილია მატრიცის სახით, რომელიც წარმოადგენს მოდელირების

თეორიულ მოდელს, რომელიც გამოხატავს მის ძირითად სტადიებს (ფორმა), ეტაპებს (ხასიათს) და მათ თანაურთიერთობას.

მეორე ეტაპზე საუბარი მიდის შინაარსიანი კონცეპტუალური მოდელის, როგორც კვლევის ზოგადი ამოცანის გადაჭრის ამოსავალი წერტილის აგების შესახებ. ცნებების „ანალიტიკური“ (არსი-მოვლენა, შინაარსი-ფორმა, რაოდენობა-ხარისხი) და „სინთეტიკური“ (მატერია, მოძრაობა, სივრცე, დრო), ამ ორი ჯგუფის საფუძველზე, რომლებიც წარმოდგენილი არიან მატრიცის სახით, იგება „უნივერსალური შემეცნებითი კონსტრუქცია – კონფიგურატორი“, რომელიც კვლევას აძლევს ზოგად ჩარჩოს. შემდეგ ყოველგვარი სისტემის კვლევის ლოგიკური დონის გამოყოფის ბაზაზე, აღნიშნული ცნებები ვარდებიან რედუქციაში, რის შედეგად გამოიყოფიან ობიექტის „ანალიტიკური“ (არსებითი, შინაარსიანი, სტრუქტურული, ქვევითი) და „სინთეტიკური“ (სუბსტრაქტული, დინამიური, სივრცითი და დროებითი) დახასიათებები. სტრუქტურირებაზე დაყრდნობით „სისტემური ორიენტირებული მატრიცული კონფიგურატორის“ ავტორი თვალყურს ადევნებს საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციის ზოგიერთ ტენდენციას და სპეციფიკურ თავისებურებას.

მესამე ეტაპზე ტარდება საერთაშორისო ურთიერთობების შემადგენლობის და შიდა სტრუქტურების შედარებით დეტალური ანალიზი, ე.ი. მისი გაშლილი მოდელის აგება. აქ გამოიყოფა შემადგენლობა და სტრუქტურა (ელემენტები, ქვესისტემები, კავშირები, პროცესები), ასევე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის (ინტერესები, რესურსები, მიზნები, მოქმედების სახე, ინტერესების თანაფარდობა, ძალთა თანაფარდობა, ურთიერთობები) „პროგრამები“. ინტერესები, რესურსები, მიზნები, მოქმედების სახეები შეადგენენ ქვესისტემის „პროგრამების“ ელემენტებს ან „ელემენტებს“. რესურსები, რომლებიც ხასიათდებიან, როგორც „სისტემის ან წარმომქმნელი ელემენტები“, იყოფიან ავტორის მიერ საშუალებების რესურსებად (ნივთობრივ – ენერგეტიკული და საინფორმაციო) და პირობების

რესურსებად (სივრცე და დრო), „საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის პროგრამა“ წარმოადგენს ქვესისტემებისა და „ელემენტების“ პროგრამებთან მიმართებაში წარმოებული. მის სისტემაწარმომქმნელი ელემენტის სახით გამოდის სხვადასხვა ელემენტების და ქვესისტემების „ინტერესების თანაფარდობა“. სისტემის არწარმომქმნელ ელემენტს წარმოადგენს „ძალთა თანაფარდობის“ ცნება, რომლის უფრო ზუსტად გამოხატვა შეიძლება ტერმინით „საშუალებების თანაფარდობა“ ან „პოტენციალების თანაფარდობა“. აღნიშნული „პროგრამების“ მესამე წარმოებულ ელემენტს წარმოადგენს „ურთიერთობა“, ავტორის გაგებული, როგორც სისტემის შეფასებითი წარმოდგენა თავის თავზე და გარემოს შესახებ.

ეყრდონა რა კონსტრუირებულ თეორიულ მოდელს მ. ა. ხრუსტალევი ანალიზებს მსოფლიო განვითარების თანამედროვე ეტაპისთვის დამახასიათებელ რეალურ პროცესებს. ის აღნიშნავს, რომ თუ მთავარ ფაქტორს, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის განსაზღვრულ ევოლუციას მთელი მისი ისტორიის მანძილზე, წარმოადგენს სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტური ურთიერთქმედება, სახელმწიფოთაშორისი საკონფლიქტო ურთიერთქმედება მდგრადი კონფონტრაციული ღერძის ჩარჩოში; XX საუკუნის 90–ანი წლებისთვის წარმოიშვა სისტემის სხვა ხარისხობრივ მდგომარეობაში გადასვლის წინაპირობა. ის ხასიათდება არა მხოლოდ გლობალური კონფონტრაციური ღერძის მტვრევით, ასევე მსოფლიოს განვითარებაც ქვეყნებს შორის ყოველმხრივი თანამშრომლობის სტაბილური ღერძის თანდათანობით ფორმირებით. შედეგად გაჩნდა განვითარებული სახელმწიფოების არაფორმალური ქვესისტემა, მსოფლიო სამეურნეო კომპლექსის ფორმით, რომლის ბირთვი გახდა წამყვანი განვითარებული ქვეყნების „შვიდეული“, რომელიც ობიექტურად გახდა მმართველი ცენტრი. ის არეგულირებს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის განვითარების პროცესს. ასეთი მმართველი ცენტრის პრინციპული განსხვავება ერთა ლიგისა და გაეროსგან

მდგომარეობს იმაში, რომ ის წარმოადგენს თვითორგანიზაციის შედეგს და არა „სოციალური ინჟინერიის“ პროდუქტს, რომელიც დამახასიათებელია სტატიკური სრულყოფილებით და სუსტი ადეკვატურობით გარემოს დინამიური ცვლილებებისადმი, როგორც მმართველი ცენტრი „შიდეული“, წყვეტს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ფუნქციონირების ორ მნიშვნელოვან ამოცანას: 1) არსებულის ლიკვიდაცია და მომავალში რეგიონალური კონფრონტაციული სამხედრო-პოლიტიკური ღერძების წარმოქმნის დაუშვებლობა. 2) ავტორიტარული რეჟიმის ქვეყნების დემოკრატიზაციის სტიმულირება (ერთიანი მსოფლიო პოლიტიკური სივრცის შექმნა).

გამოყოფს რა, მის მიერ შემოთავაზებული მოდელების გათვალისწინებით, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის განვითარებაში სხვა ტენდენციებსაც, მ.ა. ხრუსტალევი ძალიან სიმოპტომატურად თვლის ცნებების „მსოფლიო გაერთიანება“, წარმოშობას და გამტკიცებას და „ახალი მსოფლიო წესრიგის“ იდეის გამოყოფას, ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემების ახლანდელი მდგომარეობა მთლიანობაში ჯერ კიდევ არ შეესაბამება ადამიანთა საზოგადოების ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე მოთხოვნებს.

სისტემური მოდელირების მეთოდის ასე დაწვრილებით განხილვა საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისადმი გამოყენებაში, საშუალებას იძლევა დავინახოთ როგორც ამ მეთოდის უპირატესობა, ასევე ნაკლიც და ასევე სისტემური მიდგომა მთლიანობაში. უპირატესობას განეკუთვნება ზემოთ აღნიშნული სისტემური მიდგომის განმაზოგადებელი, მასინთეზირებელი ხასიათი. ის საშუალებას იძლევა გამოააშკარავოს შესასწავლი ობიექტის როგორც მთლიანობა, ისე მისი შემადგენელი ელემენტების (ქვესისტემები) მრავალსახეობა, რომელთა ხარისხში შეუძლიათ გამოვიდნენ საერთაშორისო ურთიერთქმედების მონაწილეები, მათ შორის თანაფარდობა, სივრცობრივ-დროებითი

ფაქტორები, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ან რელიგიური დახასიათებები და ა.შ.

სისტემური მიდგომა საშუალებას იძლევა, დაფიქსირდეს საერთაშორისო ურთიერთობების ფუნქციონირებაში არა მხოლოდ ესა თუ ის ცვლილებები, ასევე გამოამჟღავნონ საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციის ასეთი ცვლილებების მიზეზობრივი კავშირები. გამოვლინდეს დეტერმინანტები, რომლებიც გავლენას ახდენენ სახელმწიფოების მოქმედებაზე. სისტემური მოდელირება საშუალებას აძლევს საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების თეორიული ექსპერიმენტებისა, რომელსაც ის ფაქტობრივად პრაქტიკულად მოკლებულია. ის იძლევა ასევე შესაძლებლობას გამოყენებითი მეთოდების და ტექნიკის ანალიზის კომპლექსური გამოყენებისა მათი მრავალსახეობების შეთანხმებით, ამით აფართოებს კვლევის პერსპექტივებს, მათ პრაქტიკულ სარგებელს საერთაშორისო ურთიერთობების და მსოფლიო პოლიტიკის განმარტებისა და პროგნოზირებისთვის.

არ იქნებოდა სწორი გაზვიადდეს სისტემური მიდგომის და მოდელირების მნიშვნელობა მეცნიერებისთვის, მათი სუსტი მხარეების და ნაკლოვანებების იგნორირება. მათ შორის მთავარია, რაც არ უნდა პარადოქსულად გვეჩვენოს ის ფაქტი, რომ არანაირი მოდელი, ყველაზე წუნდაუდებელიც კი თავიანთი ლოგიკური საფუძვლებით, არ იძლევა რწმენას მის საფუძველზე გაკეთებული დასკვნების სისწორისა. ამას აღიარებს თვით ზემოთ განხილული ნაშრომის ავტორი. დავამატებთ იმას, რომ ყოველთვის არსებობს გარკვეული განხეთქილება ამა თუ იმ ავტორის მიერ კონსტრუირებულ მოდელსა და იმ დასკვნების ნამდვილ წყაროებს შორის, რომელსაც აყალიბებენ ისინი საკვლევ ობიექტზე. და რაც უფრო აბსტრაქტულია (ე.ი. რაც უფრო მკაცრად ლოგიკურადაა დასაბუთებული) მოდელი, ასევე რაც უფრო სინამდვილის ადეკვატურობისკენ ისწრაფვის მისი ავტორი დასკვნების გაკეთებისას, მით უფრო ფართოვდება აღნიშნული განხეთქილება. სხვანაირად რომ ვთქვათ, არსებობს

სერიოზული ეჭვი, რომ დასკვნების ჩამოყალიბებისას ავტორი ეფუძნება არა იმდენად მოდელური კონსტრუქციის აგებას, რამდენადაც ამოსავალ გზავნილს ამ მოდელის „სამშენებლო მასალას“, ასევე სხვა მასთან დაუკავშირებელ, მათ შორის „ინტუიციურ–ლოგიკურ“ მეთოდებს.

აქედან, ფორმალური მეთოდების „უკომპრომისო“ მომხრეებისთვის ჩნდება არასასურველი კითხვა: შეიძლება თუ არა მოდელის გარეშე ჩამოყალიბდეს ის (ან მისი მსგავსი) დასკვნები, რომლებიც გაჩნდნენ როგორც სამოდელო კვლევების შედეგი? მსგავსი რეზულტატების სიახლეების მნიშვნელოვანი შეუსაბამობა იმ ძალასთან, რომელიც გამოიყენეს მკვლევარებმა სისტემური მოდელირების საფუძველზე, გვაიძულებენ ჩავთვალოთ, რომ აღნიშნულ კითხვაზე პასუხი გამოიყურება სრულიად დასაბუთებულად.

ბ. რასეტი და ხ. სტარი ხაზგასმით აღნიშნავენ: „ყოველი ანაზრის ხვედრითი წონა შეიძლება განსაზღვრული იქნას თანამედროვე სოციალური მეცნიერებებისათვის ტიპური მონაცემებისა და ანალიზის შეკრების მეთოდების დახმარებით. ყველა სხვა დამოკიდებულებაში ჩვენ ვრჩებით მიხვედრების, ინტუიციისა და ინფორმირებული სიბრძნის დარგში.“

რაც შეეხება სისტემურ მიდგომას მთლიანობაში, მისი ნაკლოვანებები წარმოადგენს მისი ღირსებების გაგრძელებას. სინამდვილეში, „საერთაშორისო სისტემის“ ცნების უპირატესობა იმდენად აშკარაა, რომ მას იყენებენ, მეორე გამონაკლისი გარდა, საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებაში ყველა თეორიული მიმართულებების და სკოლების წარმომადგენლები. მაგრამ, როგორც სამართლიანად აღნიშნა ფრანგმა პოლიტოლოგმა მ. ჟირარმა, ძალიან ცოტა ვინმემ იცის, რას აღნიშნავს ის სინამდვილეში. მეტად ან ნაკლებად მკაცრი მნიშვნელობის ინახავს ის ფუნქციონალისტების, სტრუქტურისტების და სისტემის მიმდევრებისთვის. სხვებისთვის ეს ხშირად არის არა უმეტეს ლამაზი სამეცნიერო ეპითეტისა, რომელიც მოსახერხებელია ცუდად განსაზღვრული პოლიტიკური და ობიექტის გასამშვენებლად. მოცემული

ცნება აღმოჩნდა გადაჯერებული და დევაღვირებული, რაც ართულებს მის შემოქმედებით გამოყენებას.

ვეთანხმებით ცნების, „სისტემა“, თვითნებური გააზრების ნეგატიურ შეფასებას. კიდევ ერთხელ ავლნიშნავთ, რომ ეს სრულიადაც არ ნიშნავს სისტემური მიდგომის გამოყენებას ნაყოფიერებაში, მის კონკრეტულ განხორციელებაში, სისტემურ თეორიასა და სისტემურ ანალიზში, საერთაშორისო ურთიერთობების გამოკვლევაში დაეჭვებას.

სისტემური ანალიზი და მოდელირება წარმოადგენენ ანალიტიკური მეთოდებიდან ყველაზე უფრო ზოგად კომპლექსურ კვლევით ხერხებს, პროცედურებს, დისციპლინარული ხასიათის ტექნიკას, დაკავშირებულს მონაცემების დამუშავებასთან, კლასიფიკაციასთან, ინტერპრეტაციასა და მონაცემების აღწერასთან. სწორედ მათ საფუძველზე და მათი გამოყენებით ფართო გავრცელება ჰპოვა უფრო კერძო ხასიათის ბევრმა სხვა ანალიტიკურმა მეთოდმა (ზოგიერთი მათგანი განხილული იყო ზევით).

ძნელია საერთაშორისო ურთიერთობების პროგნოსტიკური მეთოდების როლის გადაფასება. ბოლოს და ბოლოს ანალიზიც, ფაქტების ახსნაც საჭიროა არა თავისთავად, არამედ შემდგომში მოვლენების შესაძლო განვითარების პროგნოზირების შესადგენად. თავის მხრივ, პროგნოზები დგება ადეკვატური საერთაშორისო – პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების მიზნით. ამაში მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს პარტნიორის (ან მოწინააღმდეგის) მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესის ანალიზმა.

5. გადაწყვეტილების მიღების პროცესის ანალიზი

გადაწყვეტილების მიღების პროცესის ანალიზი (IIIP) წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკის სისტემური ანალიზის დინამიკურ გაზომვას და ამასთანავე სოციალური მეცნიერების ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას ზოგადად და საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებაში განსაკუთრებით. საგარეო დეტერმინანტის შესწავლა ამ პროცესის გათვალისწინების გარეშე შეიძლება აღმოჩნდეს დროის

დაკარგვა პროგნოსტიკული შესაძლებლობების თვალსაზრისით, ან საშიში ცდომილება, რამეთუ მოცემული პროცესი წარმოადგენს იმ „ფილტრს“, რომელშიც საგარეო პოლიტიკის ფაქტორებზე ზეგავლენის ერთობლიობა „გაიცრება“ გადაწყვეტილების მიმღები (JIIIP) პირის (პირების) მიერ.

პოლიტიკური პროცესების ანალიზისადმი კლასიკური მიდგომა ასახავს ვებეროვის ტრადიციისთვის დამახასიათებელ „მეთოდოლოგიურ ინდივიდუალიზმს“ და მოიცავს კვლევის ორ ძირითად ეტაპს. პირველ ეტაპზე განისაზღვრება მთავარი პირი, გადაწყვეტილების მიმღები (მაგალითად სახელმწიფოს მეთაური და მისი მრჩეველები, მინისტრები: საგარეო საქმეთა მინისტრი, თავდაცვის, უსაფრთხოების და ა.შ.) და აღინუსხება ყოველი მათგანის როლი. ამასთან გათვალისწინებულია, რომ ყოველ მათგანს ჰყავს მრჩეველების შტატი, რომელიც ფლობს უფლებამოსილებას ამა თუ იმ სახელმწიფო უწყებებში მოითხოვონ მათთვის აუცილებელი ყოველნაირი ინფორმაცია.

მომდევნო ეტაპზე წარმოებს პოლიტიკური უპირატესობის ანალიზი, მათი მსოფლმხედველობის, გამოცდილების, პოლიტიკური შეხედულებების, ხელმძღვანელის სტილი და ა.შ. ამ მიმართებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ზემოთ დასახელებული რ. სნაიდერის, ხ. ბრუკის, ზ. საპენის და რ. ჯერვისის ნაშრომებმა.

ფ. ბრაიარმა და მ. რ. ჯალილმა, განაზოგადეს ანალიზის მეთოდები, გამოყვეს ოთხი ძირითადი მიდგომა.

პირველ მათგანს შეიძლება ეწოდოს რაციონალური არჩევის მოდელი, რომლის ჩარჩოში გადაწყვეტილების არჩევანი ხორციელდება რაციონალურად მოაზროვნე ლიდერის მიერ ნაციონალური ინტერესის საფუძველზე. ნავარაუდევია, რომ აქ მიღებული გადაწყვეტილება მოქმედებს ღირებულებების მთლიანობის და იერარქიის გათვალისწინებით, რომელთა შესახებ მას აქვს საკმაოდ მყარი წარმოდგენა. ბ) ის სისტემატურად თვალყურს ადევნებს თავისი არჩევანის შესაძლებელ შედეგებს. გ) ღიაა ყოველი ახალი ინფორმაციისთვის, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა.

მეორე მიდგომის ჩარჩოში გათვალისწინებულია, რომ გადაწყვეტილება მიიღება სახელისუფლებო სტრუქტურების ერთიანობის გავლენით, რომლებიც მოქმედებენ დადგენილი რუტინული პროცედურების შესაბამისობაში. გადაწყვეტილება იყოფა ცალკეულ ფრაგმენტებად, ხოლო სახელისუფლებო სტრუქტურების გათიშულობა, განსაკუთრებით მათ მიერ ინფორმაციის გადარჩევის თავისებურებანი, ერთმანეთთან ურთიერთობის სირთულე, გავლენისა და ავტორიტეტის ხარისხში განსხვავდება და ა.შ., წარმოადგენენ IIIIP-ისთვის დაბრკოლებას, რომელიც დაფუძნებულია ამა თუ იმ არჩევანის შედეგების სისტემატურ შეფასებაზე.

მესამე მოდელში გადაწყვეტილება განიხილება როგორც ვაჭრობის რეზულტატი – რთული თამაშები ბიუროკრატიული იერარქიის წევრებს, სამთავრობო აპარატს შორის და ა.შ., რომელთა ყოველ წარმომადგენელს აქვს თავისი ინტერესი, თავისი პოზიცია, თავისი წარმოდგენები სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების შესახებ.

და ბოლოს, მეოთხე მიდგომისას ყურადღება ექცევა იმას, რომ მრავალ შემთხვევაში იმყოფება რთულ გარემოცვაში და ფლობს არასრულ, შეზღუდულ ინფორმაციას. გარდა ამისა, მათ არ შეეძლებათ ამა თუ იმ არჩევანის შედეგების შეფასება. ასეთ ვითარებაში მათ უწევთ პრობლემების დანაწევრება, გამოყენებული ინფორმაციის რედუქცირება, ცვალებადობის არც თუ დიდ რაოდენობასთან.

ანალიზში მკვლევარი აუცილებლად უნდა გაექცეს ცდუნებას ესა თუ ის ზემოთ მითითებული მიდგომები გამოიყენონ „სუფთა სახით“. რეალურ ცხოვრებაში მათ მიერ აღწერილი პროცესები ვარირებს ყველაზე მრავალფეროვან შეთანხმებებში, რომლებიც სხვებთან მოახდენენ მის მიერთებას.

საერთაშორისო ურთიერთობებში გავრცელებული ერთ–ერთი მეთოდის შესწავლის გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესწავლის, საერთაშორისო ურთიერთობებში გავრცელებული, ერთ–ერთი მეთოდთაგანი დაკავშირებულია თამაშების თეორიასთან. თამაშების

თეორია – ეს არის გადაწყვეტილების მიღება კონკრეტულ სოციალურ კონტექსტში, სადაც ცნება „თამაში“ ვრცელდება ადამიანური საქმიანობის ყველა სახეობაზე. ის ეფუძნება ალბათობის თეორიას და წარმოადგენს მოდელების ანალიზის ან აქტორების სხვადასხვა ტიპების პროგნოზირების კონსტრუირებას, რომლებიც იმყოფებოდნენ განსაკუთრებულ სიტუაციებში. თამაშების კლასიკური თეორია დამუშავებული იქნა მათემატიკ დ. ფონ ნოიმანის და ეკონომისტ ო. მორგენშტერნის ერთობლივ ნაშრომში „თამაშების თეორია და ეკონომიკური ქცევები“, რომელიც გამოაქვეყნა პრისტონის უნივერსიტეტმა 1947 წელს. საერთაშორისო აქტორების ქცევის ანალიზში მან ჰპოვა გამოყენება ა. რაპპორტის კლასიკურ ნაშრომებში, რომელიც იკვლევს მის ეპისტემოლოგიურ შესაძლებლობებს და ი. შელინგი რომელმაც ის გაავრცელა ისეთი საერთაშორისო ფენომენების შესწავლაზე, როგორებიცაა კონფლიქტები, მოლაპარაკებები, კონტროლი შეიარაღებაზე, დაშინების სტრატეგია და ა.შ. კანადელი სპეციალისტი საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგიაში ჟ. პ. დერენიკი განიხილავს თამაშის თეორიას, როგორც გადაწყვეტილების მიღების თეორია სარისკო სიტუაციაში ან სხვაგვარად, რომ ვთქვათ როგორც სუბიექტურ ნაციონალური მოქმედების მოდელის მიღება სიტუაციაში, როცა ყველა მოვლენა წარმოადგენს გაუთვალისწინებელს. თუ საუბარია თამაშის შესახებ რამდენიმე მოთამაშესთან, საქმე გვაქვს ურთიერთდამოკიდებული გადაწყვეტილებების თეორიასთან, სადაც სარისკო სიტუაცია წარმოადგენს ზოგადს, ხოლო გაუთვალისწინებლობა გამოდის ყოველი მოთამაშისთვის სხვების მოქმედებისგან.

სარისკო სიტუაცია თავის გადაწყვეტას პოულობს, თუ აღმოიფხვრება მისი სარისკო ხასიათი, ორ მოთამაშესთან თამაშში, იმ შემთხვევაში როცა ერთი ამ მოთამაშეთაგანი ღებულობს ცუდ გადაწყვეტილებას, მეორე ღებულობს დამატებით მოგებას. თუ ორივე კარგად თამაშობს (ე.ი. მოქმედებს რაციონალურად), არცერთს არა აქვს

შანსი, გააუმჯობესოს თავისი მოგება იმაზე მეტად, რასაც თამაშის წესები რთავდა ნებას.

თამაშების თეორიაში ხდება ქცევის გაანალიზება მათ ურთიერთმეფარდებაში. მათ აკავშირებთ ერთი და იგივე მიზანი. ამოცანა მდგომარეობს არა მოთამაშეების ქცევის აღწერაში ან მოწინააღმდეგის ქცევის შესახებ ინფორმაციაზე მათ რეაქციაში, არამედ ყოველი მათგანისთვის გადაწყვეტილების შესაძლებელი ვარიანტებიდან საუკეთესოს პოვნაში, მოწინააღმდეგის პროგნოზირებული გადაწყვეტილების წინაშე. თამაშების თეორია გვიჩვენებს, რაოდენობა სიტუაციების სიტუაციების ტიპებისა, რომლებშიც შეიძლება აღმოჩნდნენ მოთამაშეები წარმოადგენს საბოლოოს, უფრო მეტიც, ის შეიძლება იყოს რედუცირებული თამაშის მოდელების არც თუ ისე დიდ რაოდენობასთან, რომლებიც განსხვავდებიან მიზნების ხასიათით, ურთიერთკომუნიკაციის შესაძლებლობებით და მოთამაშეების რაოდენობით.

არსებობენ თამაშები მოთამაშეთა სხვადასხვა რაოდენობით: ორით ან ბევრით. მაგალითად, დილემა წავიღოთ თუ არა თან ქოლგა არამდგრად ამინდში, წარმოადგენს თამაშს ერთი მოთამაშით (რამეთუ ბუნება არ უწევს ანგარიშს ადამიანის გადაწყვეტილებას), რომელიც შეწყვეტს იყოს ასეთი, როცა მეტეოროლოგია გახდება ზუსტი მეცნიერება.

თამაშში ორ მოთამაშესთან, მაგალითად, ცნობილ „პატიმართა დილემაში“ მოთამაშეები მოკლებულნი არიან ერთმანეთთან ურთიერთობის შესაძლებლობას, ამიტომ ყოველი ღებულობს გადაწყვეტილებას სხვისი რაციონალური ქცევის შესახებ წარმოდგენის საფუძველზე. თამაშის წესები ემსგავსება სიტუაციების წესებს, რომელშიც 2 ადამიანი (A და B) ჩაიდენს ერთობლივ დანაშაულს და მოხდება მართლმსაჯულების ხელში, ღებულობს მისი წარმომადგენლისგან წინადადებას ნებაყოფლობითი აღიარების შესახებ ე.ი. თავისი თანამონაწილეებთან მიმართებაში გამცემლობის შესახებ), ამასთან თითოეულს აფრთხილებენ შემდეგის შესახებ:

1) თუ A აღიარებს (H), B არ აღიარებს (H), მაშინ A დებულობს თავისუფლებას (C), B – მაქსიმალურ სასჯელს (B);

2) თუ A არ აღიარებს (H), B აღიარებს (H), მაშინ დებულობს მაქსიმალურ სასჯელს, თავისუფლებას (C)

3) თუ A–აღ და B–ც აღიარებენ, მაშინ ისინი დებულობენ მკაცრ თუმცა არა მაქსიმალურ სასჯელს (T);

4) თუ ორივენი არ აღიარებენ, მაშინ ორივენი დებულობენ მინიმალურ სასჯელს (Y);

ყოველი თანამოაზრისთვის იდეალში თავისუფლება უკეთესია, ვიდრე მინიმალური სასჯელი, მინიმალური სასჯელი უკეთესია მკაცრ სასჯელზე და ეს უკანასკნელი უკეთესია ვიდრე მაქსიმალური. $C > Y > T > B$, ამიტომ ორივესთვის ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტი იქნებოდა H.H. როცა წართმეული აქვთ სხვასთან ურთიერთობის შესაძლებლობა, არ ენდობიან ერთმანეთს, ყოველი ელოდება თანამოაზრის მხრიდან გამცემლობას (A–თვის ესაა H,II) და ცდილობს გაექცეს B, დებულობს დალატის გადაწყვეტილებას, თვლის მას ყველაზე ნაკლებად სარისკოს. რეზულტატში ორივე ირჩევს დალატს (II,II) და ორივენი დებულობენ მკაცრ სასჯელს.

ეს მოდელი გამოყენებული იყო ბევრი საერთაშორისო სიტუაციის ანალიზისას, მაგ: ჰიტლერული გერმანიის საგარეო პოლიტიკა ან 50–70–ანი წლების პერიოდის გამალეებული შეიარაღება. ბოლო შემთხვევაში ორი დიდი სახელმწიფოსთვის სიტუაციის საფუძველში იდო ბირთვული შეიარაღებით გამოწვეული ურთიერთობის სიმძიმე და ორივეს სურვილი გაექცნენ ურთიერთდანგრევას. შედეგად მოყვა გამალეებული შეიარაღება, არახელსაყრელი ორივე მხარისათვის.

თამაშების თეორია საშუალებას იძლევა იპოვონ (ან პროგნოზირება გააკეთონ) გადაწყვეტილებები ზოგიერთ სიტუაციებში: ე.ი. მიუთითოთ ყოველი მონაწილისთვის შესაძლებელი გადაწყვეტილებიდან საუკეთესოზე, სხვადასხვა ტიპის ვითარებაში ქცევის შედარებით ყველაზე უფრო რაციონალური საშუალებების გამოანგარიშება, მაგრამ შეცდომა

იქნებოდა მისი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მეთოდის როლის გაზვიადება და მით უმეტეს, როგორც პრაქტიკული მეთოდისა, მსოფლიო არენაზე ქვევის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებისთვის. როგორც უკვე ვნახეთ, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მიღებული გადაწყვეტილებები, ყოველთვის არ ატარებენ რაციონალურ ხასიათს. გარდა ამისა მაგალითად „პატიმრების დილემა“ არ ითვალისწინებს იმას, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებობენ ურთიერთვალდებულებები და შეთანხმებები, ასევე არსებობს მონაწილეებს შორის კომუნიკაციის შესაძლებლობა ყველაზე დამაბული კონფლიქტის პერიოდშიც კი.

გადაწყვეტილების მიღების პროცესის ანალიზი ხშირად გამოიყენება ამა თუ იმ კონკრეტული საერთაშორისო სიტუაციის შესაძლო ევოლუციის პროგნოზირებისთვის, მაგალითად, სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტისას. ამასთან მხედველობაში მისაღებია არა მხოლოდ ფაქტორები, რომლებიც მიეკუთვნებიან პპპ, ასევე პოტენციალი (რესურსების ერთობლიობა), რომელსაც ფლობს პირი ან ინსტანცია, რომელიც დებულობს გადაწყვეტილებას. ამ მიმართებაში, სხვადასხვა მეთოდიკა მოიცავს რაოდენობრივი ფორმალიზაციის ელემენტებს და ეფუძნება პპპ სხვადასხვა მოდელებს, წარმოდგენილია სულთანოვის სტატიაში „გადაწყვეტილების მიღების ანალიზი და პროგნოზირების კონცეპტუალური სქემა.“

ვამთავრებთ რა საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებაში გამოყენებული მეთოდების განხილვას, ვაჯამებთ ძირითად შედეგებს, რომლებიც ეხებიან ჩვენს დისციპლინას.

1) „საკუთარი“ მეთოდების არ ქონა არ ართმევს საერთაშორისო ურთიერთობებს არსებობის უფლებას და არ წარმოადგენს საფუძველს პესიმიზმისთვის. არა მხოლოდ სოციალური, არამედ სხვა ბევრი „ბუნებრივი მეცნიერებები“ წარმატებით ვითარდებიან, იყენებენ სხვა მეცნიერებთან საერთო „დისციპლინათშორისო“ მეთოდებს და პროცედურებს თავისი ობიექტის შესასწავლად. დისციპლინათშორისობა

სულ უფრო ხდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა ცოდნის ყოველი დარგის სამეცნიერო პროგრესისთვის. ხაზგასმით ავლნიშნავთ კიდევ ერთხელ, რომ ყოველი მეცნიერება გამოიყენებს ზოგად თეორიულ (დამახასიათებელს ყველა მეცნიერებისთვის) და ზოგადსამეცნიეროს (დამახასიათებელს მეცნიერებათა ჯგუფისათვის) შემეცნების მეთოდებს.

2) საერთაშორისო ურთიერთობებში ყველაზე უფრო გავრცელებულია ისეთი ზოგადსამეცნიერო მეთოდები, როგორებიცაა: დოკუმენტების შესწავლა, სისტემური მიდგომა (სისტემური თეორია და სისტემური ანალიზი) მოდელირება. მათში ფართო გავრცელებას პოულობენ ზოგადსამეცნიერო მიდგომების საფუძველზე განვითარებული გამოყენებითი დისციპლინათმორისი მეთოდები (კონტენტ ანალიზი, ივენტანალიზი და სხვა), ასევე მონაცემების შეგროვებისა და პირველადი დამუშავების კერძო მეთოდები. ამიტომ ხდება მათი მოდელირება, კვლევის ობიექტის და მიზნების გათვალისწინებით და ღებულობენ აქ ახალ სპეციფიკურ თავისებურებებს, გაამაგრონ „მოცემული დისციპლინის თავისი საკუთარი“ მეთოდები. ასევე ავლნიშნავთ, რომ ზევით განხილულ მეთოდებს შორის სხვაობა ატარებს საკმაოდ შედარებით ხასიათს: ერთი და იგივე მეთოდები შეიძლება გამოდიოდნენ, როგორც ზოგადმეცნიერული მიდგომების ხარისხში, ასევე კონკრეტული (მაგალითად დაკვირვება) მეთოდის ხარისხში.

3) როგორც ყველა დისციპლინა, საერთაშორისო ურთიერთობები თავისი მთლიანობით, როგორც თეორიული ცოდნის განსაზღვრული ერთობლიობა, გამოდის ამავდროულად თავისი ობიექტის შემეცნების მეთოდად. აქედანაა ის ყურადღება, რომელიც ეთმობა მოცემულ ნაშრომში ამ დისციპლინის ძირითად ცნებებს: ყოველი მათგანი, ასახავს რა საერთაშორისო რეალობის ამა თუ იმ მხარეს, ეტიმოლოგიური პლანით ატარებს მეთოდოლოგიურ დატვირთვას, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, მისი შემდგომი შესწავლის ორიენტარის როლს ასრულებს არამარტო

ცოდნის გაღრმავების და გაფართოების თვალსაზრისით, ასევე მოთხოვნის პრაქტიკისადმი მათი გამოყენების კონკრეტიზაციის თვალსაზრისითაც.

და ბოლოს, უნდა ავღნიშნოთ, რომ საუკეთესო შედეგი მიიღწევა კვლევის სხვადასხვა მეთოდების კომპლექსური გამოყენებისას. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია მკვლევარს იმედი ჰქონდეს ფაქტების, სიტუაციების და მოვლენების გათიშულ ჯაჭვში განმეორების აღმოჩენისა, ე.ი. თავისებური კანონზომიერებისა (ხოლო შესაბამისად დევიანტი) საერთაშორისო ურთიერთობებში ამ პრობლემების განხილვას ეძღვნება მომდევნო თავი.

თავი IV

საერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერება

ყოველი მეცნიერება მიმართულია საკვლევ ობიექტთან არსებითი, განმეორებადი, აუცილებელი კავშირების ძებნაში, სხვაგვაროდ ვთქვათ, მისი ფუნქციონირებისა და კანონების ძებნაში. მხოლოდ ამ საფუძველზე შეუძლია შეასრულოს თავისი მთავარი დანიშნულება: არსებულ ფაქტებში, მოვლენებში, პროცესებში წინასწარმეტყველებაში შესაძლებელი ევოლუციის განმარტება, მაგრამ თუ საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებაში მსგავსი წინასწარმეტყველების სიზუსტე საკმაოდ მაღალია, ხშირად მათ „მუდმივ ჭეშმარიტებას“ არ შეუძლია ექვეები გამოიწვიოს (მაგალითად შესაბამისი ატმოსფერული წნევისა და განსაზღვრული წყლის ნქიმიური შემადგენლობის პირობებში, მისი გაცხელება 100 გრადუსამდე იწვევს დუღილს), მაგრამ სხვაგვარადაა საქმე სოციალურ მეცნიერებაში.

სოციალურ მეცნიერებას საქმე აქვს ისეთ სპეციფიკურ დარგთან, როგორცაა, საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომელთა სუბიექტებს წარმოადგენენ ადამიანები, მათი ხასიათის თვისებების განუმეორებლობით, ინდივიდუალური ბედის უნიკალურობით ხელმძღვანელობენ ნებით, გატაცებით, დაჯერებულობით, რწმენით, ღირებულებებით, იდეოლოგიებით, პირადი შეთვისებით და ა.შ. ამიტომ თვით კანონების პრობლემა აქ სხვანაირად გამოიყურება. რა თქმა უნდა, აბსტრაქტული მსჯელობისას, შეიძლება წარმოვადგინოთ ისეთი სიტუაცია, რომლის დროსაც შესაძლებელია ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფაქტის და მოვლენის ზუსტი განმეორება, მაგრამ ამან მოითხოვა ისეთი პირების დაცვა, რომელთა დაცვა პრაქტიკულად შეუძლებელია. აქედან გამომდინარე არ არსებობს მყარი “მუდმივი”, “დაურღვეველი” კანონები და შესაბამისად მნიშვნელოვანი სირთულეების არსებობა ამა თუ იმ საზოგადოებრივი მოვლენის ან პროცესის ევოლუციის გზების

წინასწარმეტყველების ცდებში. როგორც ცნობილია, კანონების პრობლემა წარმოადგენს სოციალურ მეცნიერებებში სადისკუსიო, ფართოდ გავრცელებულ ასპექტიზმს, მათ არსებობასთან მიმართებაში.

ნათქვამს დამატება კიდევ ერთი ვითარება, გამოწვეული მსოფლიოს მეცნიერულ სურათში პარადიგმების ცვლით, კერძოდ, დეტერმინისტული განმარტებებიდან გადასვლა პოსტმოდერნიზმთან, სამყაროს ლაპლასური გაგების სულისკვეთებაში, რომელიც დაკავშირებულია ახალ აღმოჩენებთან ცოდნის ისეთ დარგებში, როგორებიცაა კვანტური მექანიკა, მოლეკულური ბიოლოგია და განსაკუთრებით სინეკერტიკა.

ყველაფერ ამას მოსდევს მთელი რიგი ტრივიალური შედეგები საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებაშიც კი, უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ ეხება ამ სფეროში მოქმედი ხასიათს, მათი შინაარსის და გამოვლენის გაგებასთვის. განვიხილოთ საკითხები უფრო ზუსტად

1.კანონების ხასიათის შესახებ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში როგორც ჩვენ უკვე ვიცით, კანონების პრობლემა ტრადიციული მაქსიზმის (ორთოდოქსალური) პოზიციიდან წყდება ისტორიული მატერიალიზმის ზოგადი მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელთან შესაბამისობაში საერთაშორისო ურთიერთობების შინაარსი განისაზღვრება ერთი მხრიდან, მსოფლიო არენაზე ურთიერთზემოქმედი სახელმწიფოების საშინაო პოლიტიკის შინაარსით (რომელიც დეტერმინირებულია მათი ეკონომიკური ბაზრით)-მეორე მხრივ, კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის კლასობრივი ბრძოლით ზოგად პლანეტარულ მასშტაბში. აქედან ჩამოყალიბდა ისეთი “კანონები”, როგორებიცაა, მაგალითად, “სოციალიზმის მსოფლიო სისტემის გადაქცევა საზოგადოებრივი განვითარების გადამწყვეტ ფაქტორში “განვითარებადი სახელმწიფოების როლის ზრდა და შეუერთებლობის მოძრაობა, “იმპერიალიზმის კრიზისის და აგრესიულობის გაძლიერება”, “სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობა საპირისპირო საზოგადოებრივ წყობასთან“ და ა.შ. ამავე დროს, მაქსიზმის

თვალსაზრისით, საერთაშორისო ურთიერთობების კანონები, როგორც წესი, ატარებენ კანონზომიერების ხასიათს. სხვანაირად რომ ვთქვათ, უფრო ღრმა წესრიგის აუცილებლობა, რომელიც მოქმედებს მიახლოებით, საშუალოდ. როგორც ბევრი გადამკვეთი კანონების თანამოქმედებისა. ეს არ ნიშნავს, რომ მარქსიზმი დაექვევლია საზოგადოებრივი საფუძვლების კანონზომიერებების არსებობაში, მათ შორის საერთაშორისო ცხოვრებაში. კანონების სხვა თვისებებს, რომლებიც თავს ავლენენ, როგორც კანონზომიერებანი, სრულიადაც არ მიეყვართ დეტერმინიზმიდან უარისკენ, როგორც ისტორიის მარქსისტული გაგების საფუძველთა საფუძვლისკენ.

დეტერმინიზმი დამახასიათებელია საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებაში ისეთი მიმართულებისთვის, როგორიცაა, პოლიტიკური რეალიზმი, მსოფლიო არენაზე სახელმწიფოების ურთიერთმოქმედების გეგმა და არენა გამოდის უცვლელი ადამიანური ბუნების კანონებიდან, რომელთა შეცნობა რაციონალური თეორიის შექმნის შესაძლებლობას.

დეტერმინისტულ ცნებასთან შესაბამისად, მაგალითად, ამა თუ იმ ადამიანის ძალისხმევის იზოლირებას არ შეუძლია გავლენა იქონიოს საზოგადოებრივი განვითარების საერთო მსვლელობაზე. ე.ი. ცალკეული ინდივიდის მოქმედებას არა აქვს არანაირი მნიშვნელობა მაკროსოციალური პროცესებისათვის განვითარება გაგებულის როგორც მარტივიდან რთულისკენ მოძრაობის ამომავალი პროცესი, რომელიც განსაზღვრულია დაწყებითი მიზეზებით და არა აქვს ალტერნატივა. მსოფლიო სურათი წარმოდგენილია სამყაროს სახით, სადაც გაბატონებულია მკაცრი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები, რომელთაც აქვთ ხაზობრივი ხასიათი. კვლევა იდენტურია ან ნაკლებად, მიზეზის პროპორციული. ამიტომ, პრინციპში ისტორია შეიძლება იყოს განმარტებული და წინასწარ ნათქვამი: აწმყო განსაზღვრულია წარსულით, მომავალი-წარსულით და აწმყოთი.

მაგრამ უკანასკნელ წლებში, როგორც უკვე აღინიშნა ზევით, დეტერმინიზმი, რომლის პოზიციიდან შემთხვევითობა განიღვენებოდა მეცნიერული თეორიიდან. სერიოზულად შემჭიდროვდნენ თავიანთ საფუძვლებში. გამოჩნდნენ ახალი ფუნდამენტალური კვლევები, რომელთა შედეგი გარდა რადიკალური ტრანსფორმაცია მსოფლიოს მეცნიერულ სურათში, მეცნიერების მეთოდოლოგიურ საფუძვლებში, მეცნიერული აზროვნების სტილში. სინერგეტიკის წარმოშობამ და განვითარებამ-მეცნიერება ქაოსიდან წესრიგის წარმოშობის შესახებ, თვითორგანიზაციის შესახებ-შეგვადლებინა დაგვენახა მსოფლიო სხვა მხრიდან. ილია პიგოჟინმა გვაჩვენა, რომ ბიფურკაციის წერტილებში დეტერმინისტული აღწერა პრინციპში შეუძლებელია. ასე მაგალითად, თუ მფრინავ ჭურვში ხვდება მეორე ჭურვი, ხდება პირველის გაორება(ბიფურკაცია), მაგრამ იმის ახსნა, რომელი მიმართულებით გაფრინდებიან მისი ნაწილები პრინციპში შეუძლებელია, რადგან როდესაც გვაქვს ბიფურკაციის წერტილები ის გაუთვალისწინებელია და ეს არ ნიშნავს რომ მეცნიერებამ ამის შესახებ არ იცის. როდესაც გამოიკვეთება აღნიშნული ნაწილების გაფრენის ახალი ტრაექტორიის შედეგები, მხოლოდ შემდეგ გახდება შესაძლებელი ცნობილი კანონების საფუძველზე აღწერა, მაგრამ არა ამ წერტილში.

პროცესის ახალი ცნება-არაწინასწარმეტყველები, გაუთვალისწინებელი, წინასწარ განსაზღვრული.

მსოფლიოს ახალი სურათი იწყებს შელწევას საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებაში, ითვალისწინებს მისი ობიექტის სპეციფიკას, სკეპტიციზმს მის ფუნქციონირებისა და განვითარებას კანონების არსებობასთან მიმართებაში, რომლებმაც ფართო გავრცელება ჰპოვეს: მკლევარების უმრავლესობა ისწრაფვის გაექცეს „კანონის“ ცნების გამოყენებას, უპირატესობას ანიჭებენ ისეთი ტერმინებით ოპერირებას როგორებიცაა „კანონზომიერება“, „ტენდენციები“, „წესები“, და ა.შ. მაგალითად ბ.რასეტი და ხ.სტარი აღნიშნავენ რომ იმ შემთხვევაშიც კი როცა საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებაში უფრო

კარგად იქნებოდა განვითარებული თეორიული კვლევები, ვიდრე ამჟამადაა, სულ ერთია მეცნიერები მივიდოდნენ არა კანონების ფორმულირებასთან არამედ ალბათობის მტკიცებასთან: „უკეთეს შემთხვევაში მეცნიერი-სოციოლოგს შეაფასოს არა უმეტეს როგორც ალბათობა, რომ მოცემულ სპეციფიკურ მოვლენებს (მუქარა დაპირება ან დატმობა) მოჰყვება სასურველი შედეგები.

ცნობილი ფრანგი სოციოლოგი რ. არონი ვარაუდობდა, რომ ტვით საერთაშორისო ურთიერთობების ბუნება რომლის თავისებურებას წარმოადგენს ძალადობაზე და „სუვერენიტეტების პლურალიზმზე“ მონოპოლიის არქონა, კარნახობს არა თუ იმ პოლიტიკური მოქმედების მიღების აუცილებლობას „მანამ სანამ შეგროვდება ყველა აუცილებელი ცოდნა და შეიძენს დამაჯერებლობას“.

ამიტომ ყველანაირი მოღვაწეობა ამ სფეროში დამყარებულია არა მხოლოდ კანონზომიერების (რომლებიც, როგორც ის თვლიდა მაინც არსებობდნენ) ცოდნაზე, რამდენაეც ალბათობებზე დაკავსირებულს ადამიანური გადაწყვეტილებების გაუთვალისწინებლობასთან, დგება საკითხი რომელი ქცევა უნდა ჩაითვალოს ნაციონალურა, ეს კი ნიშნავს, აღნიშნავდა რ. არონი რომ საერთაშორისო ურთიერთობებს დ ართულ სოციოლოგიას აქვს თავისი საზღვრები.

რ. არონის ერთ-ერთ მიმდევრის ჟ. უნცინვერის თვალსაზრისით საერთაშორისო ცხოვრების ყოველი მოვლენის ან პროცესის შესწავლა, ითვალისწინებს მის ანალიზს როგორც ისტორიის ისე სოციოლოგიის და თეორიის პოზიციებიდან, მხოლოდ ამის გათვალისწინებითაა შესაძლებელი საერთაშორისო ურთიერთობების კანონების კვლევასა და გამოვლენაზე იმედის ქონისა. და მაინც ის აღნიშნავდა, რომ საერთაშორისო სიტუაციის საბოლოო განმარტება ან რაიმენაირი დაჯერებულება მიმდინარე პროცესის მიზეზების სრული გაგებისა, ამ სფეროში შეუძლებელია ასე მაგალითად შეიარაღებული კონფლიქტი შეიძლება აიხსნას იმპერიალიზმის თეორიის საფუძველზე, ხელმძღვანელობენ მტკიცებულებებით მოცემული სახელმწიფოების

აგრესიული ხასიათის შესახებ, შესაბამისი ხალხების ტრადიციული მტრობით, სახელმწიფო მოღვაწეების ტერპერამენტით და ბოლოს ყველა მითითებული ფაქტორების შეთანხმებით. ამ მიდგომებიდან ყოველი შეიცავს ჭეშმარიტების ელემენტს, მაგრამ არც ერთ მათგანს და ყველას ერთად აღებულსაც არ შეუძლიათ ჰქონდეთ პრეტენზია სწორ გადაწყვეტილებაზე. ამიტომ „ენება, რომელიც ყველაზე კარგად ასახავს საერთაშორისო ურთიერთობების რეალურობას-ესაა ფარდობითობის ცნება.

მოვიყვანო კიდევ ერთ ცნობილი მეცნიერის, ფრანგი ისტორიკოსის ჟ.ბ. დიურაზელის მოსაზრებას, ეთანხმება რა მტკიცებას იმის შესახებ, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებებში კანონები არ ფლობენ სიმკაცრის იმ ხარისხს, რომელიც დამახასიათებელია ბუნების შესახებ მეცნიერებებისთვის და ამიტომ ისინი არ იძლევიან სრულ კმაყოფილებას, ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნივთების ასეთი მდგომარეობა აიხსნება მათ მიერ ასახული რეალობის არსებით. რამდენადაც საუბარია ალბათობის ცოდნის სფეროს შესახებ, რომელშიც გაბატონებულია გამონაკლისი, და რომელიც ამიტომ განუყოფელია სიტუაციიდან, აქ ყველაზე უფრო შესაფერისი ტერმინია „კანონზომიერება“.

კანონი ასახავს მკაცრად იდენტიფიცირებული ერთან რამდენიმე ჯგუფს, რომელთაც აქვთ საერთო ხასიათი, უფრო მეტიც, განთავსებული ინდივიდუალურობის ყველა თვისებებისაგან და ამიტომ ექვემდებარებიან გაზომვას. როცა ჩვენ საქმე გვაქვს მოვლენებთან მასინ ყოველი მათგანი ითვალისწინებს ადამიანის გონის მონაწილეობას, ამიტომ ყოველი მათგანი არის ერთადერთი და უნიკალური. აქ ფაქტიურად არ არსებობს იდენტურობა და განზომილება.

რამდენიმე მოვლენას შორის შესაძლებელია მოიძებნოს მხოლოდ ანალოგიები.: არსებობს მსჯელობის ტიპები, კომუნიკაციების ტიპები, ძალადობის ტიპები. „კანონზომიერება-ეს არის მთელი რიგი მსგავსების არსებობა, რომლებიც არ არიან და მოკლებულნი ამა თუ იმ ეპოქაზე და შესაბამისად შეიძლება განეკუთვნებოდეს თავად ბუნებას „Homo sapiens”

კანონზომიერებების თანაბრად რომლებიც ასახავენ განმეორებადობას ან მსგავსი მოვლენების ტიპებს, დამოუკიდებელი საზოგადოების სოციალური ან ტექნიკური დონისაგან, პოლიტიკური რეჟიმისა ან გეოგრაფიული რეგიონებისგან არსებობს ასევე „დროებითი წესები“ და რეცეპტები. ისინი ეხებიან „სტრუქტურებისაგან“ ერთ-ერთს ე.ი „ერთ-ერთი ფაზა იმ ხანგრძლივი ისტორიული ევოლუციისა, რომელიც გაიარა მსოფლიომ“-მოცემული ეპოქის, მოცემული გეოგრაფიული რეგიონისაგან პოლიტიკური რეჟიმის.

საბოლოოდ, არსებობს ცალკეული მოქმედების დონე მოცემულ მომენტში და მოცემულ ვითარებაში. მაგრამ იმისათვის, რომ ეს მოქმედებები იყოს რაც შეიძლება გონივრული, მხოლოდ კანონზომიერებანი და დროებითი წესები საკმარისი არ არის. ამიტომ სამეცნიერო ცოდნის უქონლობისას ისინი ემყარებიან ნორმატიული ხასიათის პრინციპებს რომელსაც შეიძლება ეწოდოს „რეცეპტები“.

შეიძლება გაგვეგრძელებინა სხვადასხვა მეცნიერების მუხედულებების განხილვა რომლებიც მიეკუთვნებიან ერთმანეტთან მოპაექრე თეორიული მიმართულებებს და სკოლებს, მაგრამ მოცემული მაგალითები საკმარისია იმისათვის, რომ გაკეთდეს ზოგიერთი წინასწარი დასკვნები. ისინი გვიჩვენებენ, რომ მიუხედავად საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში ფართოდ გავრცელებული სკეპტიციზმის მიმართებისა კანონების არსებობასთან რომლებიც აიხსნებიან სოციალური ურთიერთქმედების ამ სფეროს სპეციფიკით, მათი მნიშვნელობების ცნებაში არსებულ უთანხმოებაზე დასაკვირვებელი მოვლენების და პროცესების ახსნისთვის და პროგნოზირებისთვის, დისკუსიებს რომლებიც ეხებიან კანონზომიერების ფორმებს, ხასიათის გამოვლენასა და „მდგრადობის“ ხარისხზე, მკლევარებს შორის არის უთანხმოება მთელ რიგ ასპექტებში, არსებითად მნიშვნელოვან კონტექსტში განხილულ პრობლემებში.

1) საერთაშორისო ურთიერთობების სფერო წარმოადგენს სქოლასტიკურ სამყაროს, მრავალფეროვანი მოვლენებისა და პროცესების

სასწაულებრივი გადახლართვის სურათს, რომელთა მიზეზები და შედეგები ატარებენ არასიმეტრიულ ხასიათს, ამიტომ მათი აღწერა და ახსნის დეტერმინიზმის წინასწარი განსაზღვრის და უალტერნატივობის სულისკვეთებაში შემთხვევითობის გამორიცხვა უსარგებლოა.

2) სოციალური მიდგომა, მიმართული საერთაშორისო მოვლენების და პროცესების შედარებაზე, მათ შორის მსგავსების და განსხვავების გამოვლენაზე განსაზღვრული ტიპოლოგიის აგებაზე გამოაშქარავებს, რომ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მიმდინარე სპეციფიკისას, მასში შეიძლება აღმოჩნდეს ზოგიერთი „განმეორებადობა“, მაგალითად ურთიერთზემოქმედების, მათი ინტენსივობის ხარისხის სახეობების თვალსაზრისით, ასევე შედეგების შესაძლო ვარიანტების ხასიათით.

3) მსგავსი განმეორება რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ კანონზომიერებანი და რომლებიც ზემოთ ნატყვამის გათვალისწინებით შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ საკმაოდ ფარდობითი ხასიათი, უშალოდ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არამრავალრიცხოვანია.

2.საერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერების შინაარსი

არამრავალრიცხოვანი კანონზომიერების ილუსტრირებიდან ერთს, რომელსაც უშუალო ურთიერთობა აქვს საერთაშორისო ურთიერთზემოქმედების სფეროში, შეიძლება ემსახუროს მათი ჩამონათვალი, რომელიც მოჰყავს ჟ.ბ. დიუროზელს. მოვიყვანოთ ის სრულად:

1. ყოველი საზოგადოება, მაშასადამე, ყოველი პოლიტიკური ერთეული ისწრაფვის ტექნიკური ეფექტურობისკენ.

2. ყოველი ტექნიკური სრულყოფა ექვემდებარება გავრცელების მუდმივ და საყოველთაო კანონზომიერებას.

3. ტექნიკის გავრცელების მთავარ შემაფერხებელს წარმოადგენს საზოგადოებაში ღირებულებიას ერთიანი სისტემის არსებობა:

4.აუცილებელია კონვენსიის კანონმდებლობის აღმოჩენის ცოდნა, ე.ი პირობები, რომლის დროსაც სოციალური ერთობა გადადის ღირებულების ერთი სისტემიდან მეორესკენ. საქმე იმაშია, რომ ფართოდ

გავრცელებული ფენომენით ინდივიდუალურ გეგმაში, კონვერსია წარმოადგენს განსაკუთრებულ იშვიათობას, როცა საუბარია რელიგიით ან იდეოლოგიით გამოყოფილი ერთობის შესახებ. ის განხორციელდება მხოლოდ შემდეგ პირობებში:

ა) არსებული იდეოლოგია იმყოფება სრული დაშლის პროცესში.

ბ) მისი შემცვლელი იდეოლოგია არის ძლიერი და მიმზიდველი.

გ) კონვერსიის პროცეს ახლავს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ძველი იდეოლოგიის ძალადობრივი დაშლა.

დ) კონვერსია იწყება პერიფერიული ზონებიდან, რომლებიც მდებარეობენ ცენტრიდან მოშორებით.

5. მთლიანობის სტრუქტურული სტაბილურობა იწვევს მისი წევრობის ნაწილში „დამოუკიდებლობის“ შეგრძნებას, ე.ი ვითარებას რომლის დროსაც ბევრი ინდივიდი მზადაა გარისკოს თავისი სიცოცხლე ცვლილებების სახელით. ასე მაგალითად, ინგლისმა შეძლო თავიდან აეცილებინა 1830-1835წწ შორის რევოლუცია, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მმართველები ატარებდნენ ფართო რეფორმების პოლიტიკას. საპირისპიროდ რესტავრაციის ეპოქის საფრანგეთის რეჟიმი ცდილობდა თავის ინსტიტუტების ტრანსფორმაციის სანაცვლოდ მათ გამყარებას, რაც მოქალაქეთა უმრავლესობის მისწრაფების საწინააღმდეგოდ მიდიოდა.

6. არსებობს მუდმივი მუდმივი კონფლიქტი ეფექტიანობასა და ადამიანურ ღირსებას შორის.

7. ადამიანთა გაერთიანებების საშუალებები შედარებით სტაბილურია, ვიდრე ღირებულების სისტემების (რელიგიური ან იდეოლოგიური) და ამავე დროს ნაკლებად ღია ცვლილებებისთვის ვიდრე ტექნიკა.

8. ომის მიზეზების ახსნა ხდება სტაბილური ღირებულებების შეკრული სისტემის არსებობით სამხედრო პოტენციალების სხვაობით რეგულარობით, რომლითაც ადამიანთა ერთობის ისტორიაში წარმოიშობა „დამოუკიდებლობის“ სიტუაცია.

როგორც ვხედავთ, კანონზომიერების ჩამონათვალიდან მხოლოდ ერთი (ომის კანონზომიერება) უშუალოდ ეხება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს, მაშინ როცა სხვები ატარებენ შედარებით ფართო ხასიათს, ეხებიან ადამიანური ურთიერთობების სოციალურ სფეროს სრულად. ამ თავიანთი თვისებებით მათ არ შეუძლიათ გავლენა არ ჰქონდეთ საერთაშორისო ურთიერთობებზე, გარდა ამისა ზოგიერთი მათგანი (განსაკუთრებით მეორე მესამე და მეოთხე), როგორც იმდენად შესაგრძნობია რომ მათი ანალიზისა და აღრიცხვის გარეშე ძნელია ბევრი საერთაშორისო მოვლენის და პროცესის გაგება. მაგრამ მაინც საუბარი მიდის ზოგადსოციოლოგიური კანონზომიერებების შესახებ, რომლებიც მოქმედებენ როგორც საერთაშორისო ისე შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობების დარგში. სხვა საქმეა-„დროებითი წესები“.

XVI საუკუნიდან 1914 წლამდე პერიოდისთვის დამახასიათებელი საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათის შედარებისას თანამედროვე საერთაშორისო რეალობა (1945 წლიდან დღემდე) ჟ.ბ დიუროზელი აღნიშნავს, რომ თანამედროვეობისათვის დამახასიათებელია კოალიციის არსებობა მიმართული ერთიან რამდენიმე დიდი ხელისუფლების ჰეგემონიის წინაარმდეგ. (ე.ი „ნაციის ევროპული კონცერტის მსგავსი“), უკვე არ არსებობს საკუთრივ ევროპული დიდი ხელისუფლება: მსოფლიო სცენებზე გამოდის ახალი გათიშული მაგრამ რეალურად საერთაშორისო ძალა-მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, ხდება რადიკალური ცვლილებები სამხედრო სისტემაში.ამრიგად საუბარია უშუალოდ საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისო) სფეროს შესახებ, მაგრამ მითითებული „დროებითი წესები“ წარმოადგენენ კარგად სისტემატიზირებულ დაკვირვებას, ამოსავალ ემპირიულ მასალას, რომლისთვის საჭიროა მომავალში და განზოგადოება.

თუ შევეცდებით ჩავატაროთ სამეცნიერო ლიტერატურის შედარებით ფართო ანალიზი, მიძღვნილი საერთაშორისო ურთიერთობებისადმი, შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ მისი მნიშვნელოვანი ნაწილი მიძღვნილია ძირითადად ომთან და მის

აცილების პრობლემის ანალიზთან. ეს მიდგომა დამახასიათებელია რ. არონისათვის (გავიხსენოთ რომ მისი მთავარი ნაშრომი ეძღვნება საერთაშორისო ურთიერთობების კვლევას და ეწოდება „ომი და მშვიდობა ეროვნებებს შორის“, რომელიც ერთ-ერთმა პირველმა სცადა საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგიის შექმნა. ამიტომ მოცემულ ლიტერატურაში საუბარია კანონზომიერებაზე, რომელიც ეხება სწორედ ამ პრობლემის და არ გამოდიან სახელმწიფოთაშორისო ურტიერთობების ჩარჩოდან.

ამასთან დაკავსირებიტ, სხვადასხვა თვალსაზრისის, სხვადასხვა თეორიული სკოლების პოზიციების განზოგადებიტ შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა კანონზომიერებანი:

1. მთავარი მოქმედ პირს საერთაშორისო ურთიერთობებში (ზოგიერთი ავტორის თვალსაზრისით, პრაქტიკულად ერთადერთს ან უკიდურეს შემთხვევაში ერთპიროვნულს) წარმოადგენს სახელმწიფო, ხოლო მათი საქმიანობის ფორმებს-დიპლომატია და სტრატეგია.

2. სახელმწიფო პოლიტიკა არსებობს ორი სახესხვაობით; საშინაო და საგარეო (საერთაშორისო) რომელთა შორის არსებობს როგორც ურთიერთკავშირი, ისე არსებითი განსხვავებანი, რომლის ძალით სახელმწიფოს საერთაშორისო პოლიტიკა ფლობს თუმცა შეფარდებითს, მაგრამ ამავდროულად ძალიან მნიშვნელოვან ავტონომიას.

3. სახელმწიფოს ყველა საერთაშორისო მოქმედების საფუძველთა საფუძველი მდგომარეობს ნაციონალურ ინტერესში რომლის შედარებით არსებით შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს უსაფრთხოება, გადარჩენა და სუვერენიტეტი. ამიტომ საერთაშორისო ურთიერთობები ეს არის სხვადასხვა სახელმწიფოების შეჯახების, კონფლიქტების და ნაციონალური ინტერესების შერიგების სფერო.

4. ნაციონალური ინტერესის დაცვის და დაწინაურების მოთხოვნა იწვევს, რაც შეიძლება ძლიერი სამხედრო პოტენციალის ფლობის აუცილებლობას, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია სახელმწიფოს ბუნებრივ ეკონომიკურ და სხვა რესურსებზე. ამიტომ საერთაშორისო

ურთიერთობები ეს არის სახელმწიფოების ძალთა ურთიერთზემოქმედებაა-ძალთა ბალანსი, რომელშიც ნაციონალური ინტერესების თვალსაზრისით, უპირატესობა აქვთ შედარებით ძლიერ სახელმწიფოებს.

5. სამხედრო პოტენციალის თვალსაზრისით შედარებით ე.წ სახელმწიფოებს შორის ძალთა ბალანსმა შეიძლება მიიღოს სხვადასხვა ფორმები ან კონფიგურაციები: ბიპოლარული, სამპოლუსიანი, მულტიპოლარული და ა.შ.

ასეთა შედარებითი ზოგადი კანონზომიერებანი, ფორმულირებული საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო-ცენტრისტული პარადიგმების ჩარჩოში, ისინი ივსებიან, ვითარდებიან და კონკრეტდებიან სრულად, სხვა გაცილებით მრავალრიცხოვანი, შედარებით ფართო ხასიათის განზოგადოებით, რომელიც ეხება, მაგალითად ნაციონალური ინტერესების თავისებურებებს, ძალების გამოყენებას, პოლარულობას ტიპებსა და ა.შ. ასეთია გ. მორგენტაუს მიერ წამოყენებული „პოლიტიკური რეალიზმის ექვსი პრინციპი“. რომლებიც თავიანთი არსით წარმოადგენენ ნაციონალური ინტერესების კონკრეტიზაციის მისეულ გაგებას და ერთდროულად, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში მისი რეალიზაციის გზების შესახებ წარმოდგენას. რ.არონი გთავაზობს თავის გაგებას, საერთაშორისო სტაბილურობისათვის სახელმწიფოს ძალისა და სისუსტის მნიშვნელობის შესახებ (მაგალითად: სისუსტის სიჭარბე არანაკლებ საშიშია მსოფლიოსთვის, ვიდრე ძალის სიჭარბე). ბ.რასესტმა და ხ.სტარმა გამოიყენეს ანალიზის მეთოდი, წამოაყენეს ჰიპოთეზა, პრაქტიკულად რომელთა დადასტურება აძლევს მათ უფრო ფართო მნიშვნელობას (მაგალითად; უფრო ხშირად კლავენ თანამემამულეებს, ვიდრე უცხოელებს ნაცნობებს და ნათესავეებს, ვიდრე უცნობებს. ამიტომ ნაკლებ დასაჯერებელია, რომ სახელმწიფოებს , რომლებიც სუსტად არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, გამოცალკავება ისეთები როგორებიცაა ბოლივია და ბირმა-იბრძოლებენ ერთმანეთის წინააღმდეგ). მსგავსი მაგალითები რომლებიც შეიცავენ საინტერესო უფრო ხშირად,

ძალიან სასარგებლო განზოგადოება, შესაძლებელია გაგრძელდეს. მაგრამ მატ არ შეუძლიათ პრეტენზია ჰქონდეს საერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერებაზე, რამე თუ მათთვის დამახასიათებელია სუბიექტურობის მნიშვნელოვანი თავდასხმა გარდა ამისა მათი მოქმედების დიაპაზონი ძალიან შეზღუდულია.

შეზღუდულობა ახასიათებს ზემოაღნიშნულ კანონზომიერებებს: ეს კანონზომიერებანი წარმოადგენენ: 1) ძირითადად, სახელმწიფოთშორისო ურთიერთობების მხოლოდ ნაწილს. 2) ბოლო ხანებში, ამ ურთიერთქმედების როლი, მათი გავლენის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათსა და ევოლუციაზე, უზრუნდება რაც უფრო დაჟინებულ და არგუმენტირებულ მოსაზრებებს-უპირველეს ყოვლისა სწორედ სოციოლოგიური მიდგომის პრინციპიდან.

მსგავსი მოსაზრებები იმპლიციტურად შეიცავდნენ ორთოდოქსალური მარქსიზმის ჩარჩოში ფორმულირებულ კანონზომიერებებს საერთაშორისო ურთიერთობების მნიშვნელობის გაზლიერებით. საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათთ განვიტარებაზე ხალხთა მასების გავლენის ზრდის შესახებ. იდეოლოგიური გარსის ქვეშ (რომელსაც არ შეეძლო არ შეენარჩუნებინა მათი კონკრეტიზაცია და განვითარება), მათში იგულისხმება დღეს ფართოდ გავრცელებული საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციის შესახებ აზრი, ადევნს მათი განვითარების პარადიგმებს. ეს შენიშვნა არ ნიშნავს მარქსიზმის პრიორიტეტს ახალი ტენდენციის გააზრებაში, პირიქით ეს გააზრება წარმოიშვა მარქსიზმიდან დამოუკიდებლად და აქვს დიდი ხნის ტრადიცია, იწყება 50-60 იან წლებში ლიბერალური აზრის ისეთი წარმომადგენლების მიერ, როგორებიცაა ჟ.ვერნანი, ხ.ხოფმანი, დ. როზენაუ, ე.ლორდი, მ.ბოსკი და სხვა. მატ მიერ გამოთქმული იდეამ საერთაშორისო საზოგადოების შესახებ, საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფოტაშორისო ურთიერთზემოქმედებასთან შეუთავსებლობის შესახებ, ზოგიერთი ტიპის საერთაშორისო ერთობისადმი სახელმწიფოების უკონტროლობის შესახებ, რომელთაც უნარი აქვთ

არსებითი გავლენა იქონიოს მსოფლიო პოლიტიკის სახეზე: მიიღო ახალი იმპულსი სამეცნიერო ლიტერატურაში დღეს არსებული სახელმწიფოებრიობის კრიზისის „შუქზე“, მსოფლიო არენაზე ახალი მოქმედი პირების გამოსვლა და ა.შ.

ცნობილი ფრანგი მკვლევარების ბ.ზადის და მ.კ სმუცის ნაშრომში „მსოფლიო გარდატეხა საერთაშორისო სცენის სოციოლოგია“ ნაჩვენებია, რომ თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები იძლევიან სულ უფრო მცირე საფუძველს გადაიხედოს ისინი, როგორც სახელმწიფოთაშორისო ურთიერთმოქმედება, რამეთუ დღეს ხდება არსებითი, შეუქცევადი ცვლილებები მსოფლიოს გადანაწილების საშუალებების, მისი ფუნქციონირების პრინციპებში.

მსოფლიო ემებს ახალ ურთიერთობებს და ახალ სუბიექტებს: ხდება სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურების, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ყველაზე ერთგული შუამავალია ინდივიდისა და საერთაშორისო არენას შორის ურთიერთმოქმედებაში, დეფორმირება და ნაკლებად პასუხობს დანისნულებას. ტრადიციული დიპლომატია სუსტად იჭერს სოციალური ტრანსფორმაციის ხანგრძლივი დინამიკის ახალტენდენციებს, ყველა მრავალსახოვანი პარამეტრებით: მაგალითად, ისეთები როგორებიცაა მიგრაციული ნაკადების გაზრდა, ადამიანების კაპიტალის იდეების განსაზღვრული მოძრაობა, გარემოს დეგრადაცია, შედარებით „ეფექტური“ იარაღების სახეობების გავრცელება. პოლიტიკის შემუშავებაში უკვე არ ხდება ცენტრალიზებულად, ერთ ადგილზე არამედ, წარმოადგენს მრავალრიცხოვან ცენტრებს შორის დაშლილი, რომელთა თანაბარი კოორდინაცია სულ უფრო გართულებელი ჩანს. ნაციონალური ინტერესის კანონზომიერება კარგავს თავის ადრინდელ მნიშვნელობას, ძალის ბევრი თანამედროვე ელემენტები უსხლტება სახელმწიფოებრივ ავტორიტეტს, სახელმწიფოთა შორისო სისტემას უტოვებს მიმდინარე პროცესებზე ეფექტური გავლენის ძალიან ცოტა საშუალებას, აიძულებს მივიდეს იზულების ძვირადღირებულ საშუალებებთან.

მიმდინარე ცვლილებები პრობლემურს ხდიან ყოველ პროგნოზს მომავალი პოლიტიკური ერთეულების შინაარსთან და ფორმასთან მიმართებაში, მსოფლიო არენაზე არენაზე მათ თანაზიარ განლაგებაში (კონფიგურაცია). ამასთან ერთად მცირდება (მაგრამ არ ქრება) ზემოაღნიშნული კანონზომიერებების მნიშვნელობა, მათი ერთობის დონე იზღუდება მათი მოქმედების სფერო.

ეს განპირობებულია იმით, რომ დღეს როგორც დ. როზენაუ არნიშნავს, წარმოიშობა ახალი „პოსტსაერთაშორისო პოლიტიკის“ ახალი კონტურები-გლობალური სისტემა. რომელშიც სხვადასხვა სტრუქტურებსა და აქტორებს შორის კონტაქტები ხორციელდება პრინციპულად ახლებურად. ტრადიციული სახელმწიფოთაშორისო ურთიეთზემოქმედების გვერდით, ჩვენ თვალწინ იბადება ახალი-„მეორე პოლიცენტრული მსოფლიო“, რომელიც ხასიათდება ქაოტურობით და გათვალისწინებლობით: იდენტურობის, ავტორიტეტისა და ლოიალობის კავშირის პერეორიენტაციის დამახინჯებით, რომლებიც აერთიანებდა ინდივიდებს. ამასთან „პოსტსაერთაშორისო ურთიერთობების“ საბაზო სტრუქტურები არმოაჩინენ ნამდვილ ბიფურკაციას ელასტიურ და პოლიცენტრისტულ მსოფლიოს შეჯიბრებით ლოგიკებს შორის, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე, მაგრამ ვერანაირად ვერ რიგდებიან „კერზო ჯგუფი-ბუნებრივი რესურსების დაცვის საბჭო-აწარმოებს მოლაპარაკებებს დიდი სახელმწიფოების მთავრობებთან ბირთვულ გამოცდების აკრძალვის შესახებ შეთანხმების მონიტორინგთან მიმართებაში. ინგლისის ეკლესიის წარმომადგენლები გამოდიან შუამავლებად ტერორისტებსა და ახლო აღმოსავლეთის მთავრობებს სორის, რამდენიმე ორგანიზაცია ლებულობს გადაწყვეტილებას, ჩადოს თუ არ ჩადოს საშუალებები I-OAP ეკონომიკაში, შეცვალონ ადგილობრივი მთავრობის სოციალური პოლიტიკა. საერთაშორისო სავალუტო ფონდი ინსტრუქციას, აზღვეს ნაციონალურ მთავრობას, როგორ გადაწყვიტონ მათ ეკონომიკური საკითხები. ნიკარაგუის სახელმწიფოს მეთაური ნიუ-ორკის ქუჩებში ატარებს თავისი თავის მხარდაჭერის კამპანიას, აშშ

მცხოვრები პოლონელები ღებულობენ მონაწილეობას 1989 წლის ნაციონალურ არჩევნებში და ვარსავის ერთ-ერთ რაიონსი მათი ხმები გახდა გადაწყვეტი. ინგლისში გამოქვეყნებული რომანი ხდება მიზეზი ირანსი ელჩის გადაყენებისა, ბელგიაში ერთი მკვლელობისა, ჩილეში ხილის მოწამვლა დესტაბილიზაციას ახდენს მსოფლიო ბაზრებზე, ახდენენ რამდენიმე მთავრობის მაპროვოცირებელ მოქმედებას ფილადელფიის დოხებში მუშათა მღელვარებები და პოლიტიკური კრიზისი თვით ჩილეში-ასეთი მრავალრიცხოვანი მოვლენებიდან მხოლოდ ცალკეული მაგალითები, რომლებიც ახდენენ ახალი გლობალური წესრიგის დამყარებას“-წერს დ.როზენაუ.

ღრმა ცვლილებები ნამდვილ გარდატეხას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების ჩვეულ სურათში, რომელიც პრაქტიკულად ახასიათებს ბოლო წლების ყველა მრავალ ნაშრომს, რომლებშიც განიხილება ამ სფეროში ახალი მოვლენებისა და პროცესების პრობლემები. მოვიყვანთ კიდევ ორ მაგალითს აღნიშნულ დამოკიდებულებაში.

ფრანგი მკვლევარი ფ. მორო დეფარგი აღნიშნავს, რომ XX-ს მთვრდება საერთაშორისო ურთიერთობების ხასიათში ღრმა გარდატეხის ნიშნით, რომელიც წარმოადგენს არა იმდენად სახელმწიფო პოლიტიკოსების საქმიანობის შედეგებს, რამდენადაც სრულად სხვა პროცესებისა. ერთობათა შორის რელიგიური კულტურული და გაცვლის მრავალფეროვანი სახეობები განიცდიან ევოლუციას საკუთარი ლოგიკის მიხედვით და მუდმივად „არღვევენ სახელმწიფო“ საზღვრებს. ეს ლოგიკა არ ითვლება პოლიტიკურ-იურიდიულ ბარიერად, რომლებსაც ის უსასრულოდ უკუაგდებს ან გვერდს უვლის. 50-60 იან წლებში, „საუკუნის კონფლიქტში“ ერთმანეთის პირისპირ იდგა კომუნისტური აღმოსავლეთი ჩრდილოეთში და ღარიბი სამხრეთი. საით გადაადგილდება უახლოეს მომავალში? საწარმოებს სახელმწიფოებს შორის ბრძოლის სფეროში ტექნოლოგიური ინვესტიციების ფლობისა და კონტროლისათვის? ანტაგონიზმის სფეროში ყველა იმაში, რაც ახდენს თანამედროვეობის სიმბოლიზირებას-ჯინსებიდან კომპიუტერამდე და ყველაფერი იმით, რაც

ასახავს იდენტობას, იქნება ეს ნაციონალური რელიგიური ან სოციალური იდენტურობა? ადრინდელი წესრიგის განადგურებაში თავისუფლების მოთხოვნების დარტყმით? პასუხი ყველა ამ კითხვებზე არ არის ნათელი მაგრამ სრულად ცხადია, რომ ისინი გამოწვეულნი არიან იმ ღრმა ტრანსფორმაციებით, რომელსაც განიცდის თანამედროვე სამყარო, ამასთან დაკავშირებით წარმოშობილი განგაშის განცდა ნივთების სტაბილური წესრიგის დარღვევის გამო.

ამასთან დაკავშირებით, ბელგიელი მეცნიერი ა.სამუელი თვლის, რომ კაცობრიობა უკვე შევიდა „ახალ საერთაშორისო სამყაროში, ხოლო დასაკვირვებელი ცვლილებების სიჩქარეს და სიღრმეს აქვთ ორი შედეგი:

1) მოხდა ბიპოლარული მსოფლიოდან კომპლექსურისკენ გადასვლა. აღარ არის უკვე ზესახელმწიფო, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ვითრდებიან ახალი დინამიური სახელმწიფოები. სხვა ქვეყნებში მიმდინარეობს დემოგრაფიული აფეთქება, ერები თავისუფლდებიან. პატარა სახელმწიფოების მოქმედებას დიდი სახელმწიფოებისთვის სერიოზული მოუსვენრობა მოაქვთ. დიდი იდეოლოგიის გავლენის დაცემასთან ერთად გაჩნდნენ ახალი ძალები-ეკონომიკური, ფინანსური, ასევე სულიერი „ღმერთი არ მომკვდარა“ ყველა შემთხვევაში, რელიგიურობა არა მხოლოდ ბრუნდება არამედ პრეტენზიას აცხადებს განსაზღვროს ნაციონალური და საერთაშორისო პოლიტიკური პროცესები. ერთდროულად მეხიკოდან მოსკოვამდე წარმოიშობა „სამოქალაქო საზოგადოების ამბორება“, რომელიც უკუაგდება ერთპარტიულობას და სკლეროტიკულ პოლიტიკას და ბოლოს ინტელექტუალები, რელიგიური მოღვაწეები ხდებიან არა მხოლოდ ვარსკლავები, ასევე საერთაშორისო ლიდერები, რომელთა მოკრძალებული მაგრამ დაჟინებითი საქმიანობა ცვლის საგანტა მსვლელობას.

2) ეს გარდამავალი მსოფლიო გარდა გაუთვალისწინებელი, ჩვენ უკვე მივეჩვიეთ მსოფლიოს განაწილებას ორ ბლოკად, გაუთვალისწინებელი უკვე მოხდა. კომუნისტური იდეოლოგია და კომუნისტური მოძრაობა უკვე ის აღარ არის, რაც იყო ადრე. კითხვები

რომლებიც დიდხანს გადადებული იყო შესანახად ისტორიის ყუთში - ისეთები როგორცაა მაგალითად, გერმანიის გაერთიანება-ხორციელება მოულოდნელად სწრაფად და არავის არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს, რა მოხდება ხვალ. მაგრამ დღეს უკვე ცხადია, რომ საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხები მეტად აღარ გადაწყდება და ის არ იქნება სამხედრო ძალთა თანასწორობის ტერმინებში მოხსენებული.

საერთაშორისო ურთიერთობებში სიტუაციების სიახლე შეიძლება იყოს რეზიუმირებული, განხილული პრობლემის გათვალისწინებით, იმასი რომ, დღეს ზოგადად პლანეტარული ტრანსფორმაცია გამოდის ზემოთ განხილული სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებში კანონზომიერებების ჩარჩოდან, არ ცვლის მატ მნიშვნელობას, ართმევს მათ კაცობრიობის და მთელი მსოფლიოს ბედზე გავლენაში საყოველთაობაზე „პრეტენზიას“. ამასთან კავშირში წარმოიშობა პრინციპიალური მნიშვნელობის საკითხი: კანონზომიერია თუ არა დღეს ვილაპარაკოთ ამ სფეროში მოქმედი უნივერსალური ხასიათის კანონზომიერებებზე? მიუხედავად მიმდინარე ცვლილებების მთელი სიღრმისა და მნიშვნელობისა, მასზე შეიძლება გაცემული იქნას დადებითი პასუხი.

3. საერთაშორისო ურთიერთობების უნივერსალური კანონზომიერებანი.

უნივერსალურმა ან შედარებით ზოგადმა კანონზომიერებებმა, ნაკლები ერთიანობის ხარისხის კანონზომიერებისაგან განსხვავებით, უნდა უპასუხონ სივრცობრივ -დროებით და სტრუქტურულ ფუნქციონალური ხასიათის კრიტერიუმებს. ეს ნიშნავს რომ: 1) მათი მოქმედება უნდა ეხებოდეს ამა თუ იმ რეგიონებს (ვთქვათ, სოციალური-ეკონომიკურ ურთიერთობებში შედარებით განვითარებული-მაგალითად დასავლეთი ევროპა, ჩრდილოეთი ამერიკა და ა.შ. არამედ მსოფლიოში სრულად.2) მათზე დაკვირვება უნდა მოხდეს, როგორც ისტორიულ რესპექტივაში, გადატანილ პერიოდში, ასევე გამოწვევისი არ არის მნიშვნელოვანი ან ყველაზე „პერსპექტივულია“ არა თვალმისაწვდომი

მომავლის თვალსაზრისით-არამედ საერთაშორისო ურთიერთობების ყველა მონაწილისა როგორცაა ზოგადმხრივი ურთიერთობის ყველა სფერო: ეკონომიკა, სოციალური ცხოვრება, იდეოლოგია, პოლიტიკა, კულტურა, რელიგია, თუმცა ასეთი კანონზომიერებების გამოვლენა სხვადასხვა სფეროში შეუძლია (ხშირადი იყოს „არასიმეტრიული“.

ნათქვამის გათვალისწინებით შეიძლება გამოიყოს ორი ძირითადი კანონზომიერება ორი წამყვანი ტენდენცია მსოფლიო არენაზე. სოციალური ერთობების ურთიერთქმედებების ევოლუციაში. მატ მიეკუთვნება საერთაშორისო ურთიერთობების გლობალიზაცია და ფრაგმენტაცია, ერთიანი, მთლიანი მსოფლიოს დადგენა და მისი გათიშვის სულ უფრო ახალი ფორმები. გარკვეული აზრით, შეიძლება ითქვას რომ ისინი წარმოადგენენ ერთ და იგივე შიგა წინაარმდეგობრივი ტენდენციების დიალექტიკურად მოწინააღმდეგე მხარეებს-თანამედროვე მსოფლიოს ურთიერთდამოკიდებულების ზრდა და მისი გამოვლენა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში.

აღნიშნული კანონზომიერებანი ვლინდება ერთი მხრიდან, ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხოლო სხვა მხრიდან-სუვერენული სახელმწიფოების შექმნასა და გამტკიცებაში, ნაციონალური ერთობების და ნაციონალურ, მოძრაობებს, რომლებიც ისწრაფვიან ტავიანთი ინტერესების რეალიზაციისაკენ, ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი საზღვრების გარეთ განვითარებაში.ამასთან ერთად მათი შინაარსი გაცილებით ფართოა: რამდენადაც ისინი აქტიურად იწრებიან პირად ცხოვრებაში, ცვლიან მის ხასიათს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში მისი „გასვლის“ თვალსაზრისით, წარმოადგენს მიმდინარე გლობალური ცვლილებების ერთ-ერთ ყველაზე განმასხვავებელ თვისებას.ამიტომ მათი მოქმედება ეხება არა მხოლოდ სოციალურ ურთიერთობებს და პოლიტიკურ მოძრაობებს, ასევე კონკრეტულ პიროვნებებს, ინდივიდსა და საერთაშორისო ურთიერთობების ურთიერთგავლენის (ძალზე არსებითი) სფეროს გაფართოება.

ძირითადი კანონზომიერებების მოქმედება აღინიშნება უკვე უძველესი იმპერიების წარმოშობის და დანერგვის პერიოდში, მსოფლიო რელიგიების ჩასახვის და გავრცელების ევროპაში ნაციონალური სახელმწიფოებრიობის ფორმირებისა და ამ პროცესის მსოფლიო სხვა რეგიონებში, გავრცელების, სახელმწიფო იმპერიების დაშლა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებად XX-ს, დასაწყისში (ავსტრია-უნგრეთი, ოსმალეთის იმპერია და ა.შ.), ჩვენს ასწლეულში საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუალიზაციის მშფოთვარე პროცესის პერიოდში და ა.შ. ერთდროულად მიმდინარეობდა გაცვლების გაფართოების პროცესი სხვადასხვა ერთობებს, სახელმწიფოებს და საერთაშორისო ურთიერთობების კერძო მონაწილეებს (კომერსანტები, რელიგიური ორგანიზაციები, ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეები), დაჩქარებული სამეცნიერო ტექნიკური განვითარება.

აღნიშნული პროცესები, ახალი იმპულსებს დებულობენ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის წერტილებში, განსაკუთრებით ისეთებში, როგორცაა XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე სამრეწველო რევოლუცია, HTP, რომელიც სათავეებს იდებს ჩვენი ასწლეულის 50-იან წლებიდან მისი ტანამედროვე ეტაპი, რომლისთვის დამახასიათებელია მშფოთვარეების პლანე განვითარება მიკროელექტრონული ტექნოლოგიების. შედეგად დღეს ხორციელდება მასსტაბებში გადასვლა ინდუსტრიალურიდან (რეგიონებში ინდუსტრიალურობამდე) პოსტინდუსტრიალურ (ა.ტურევის ტერმინოლოგიით „პროგრამირებული“) საზოგადოებაზე წარმოებს ძირეული ცვლილებები კავსირგაბმულობის ტრანსპორტის, ინფორმაციული ტექნოლოგიების და კომუნიკაციების, სოციალური ორგანიზაციების ფორმებში და მართვის მექანიზმის, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურების და შეიარაღების სახეობების საშუალებებში. ყველაფერ ამას არ შეუძლია გავლენა არ იქონიოს საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი კანონზომიერებების გამოვლენაზე.

საერთაშორისო ურტიერტობების ძირითადი კანონზომიერებებში შეიძლება გამოიყოს ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური ინვესტიცია და დეზინტეგრაცია, რომლებიც დღეს პრაქტიკულად აღინიშნება მსოფლიოს ყველა რეგიონში. და მიუხედავდ არც თუ იშვიათი ეიფორია პირველის გამო და ლამენტაცია მეორეს, ერთიც და მეორეც წარმოადგენენ ობიექტურ პროცესებს, რომლებიც ასახავენ მსოფლიო ცივილიზაციის ტანამედროვე მდგომარეობის „ბიფურკაციონობას“, მისი განვითარების სქოლასტიკურ განუსაზღვრელ ხასიათს.

ეკონომიკური, ტექნოლოგიური ეკოლოგიური ურთიერთდამოკიდებულობით გამტკიცებული ინვესტიციის პროცესები განიცდიან მათ დამანგრეველ ზეწოლას ნაციონალური და კულტურულ-თვითმყოფადობის ზრდის ტენდენციების მხრიდან, სათთავეებთან დაბრუნებისას, სოციალიზაციის ძებნისას არქაული ურთიერთობების იდეალებში და რეაქციულ იდეურ-პოლიტიკურ მიმდინარეობებში.

საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგიის წარმომადგენლები საფუძვლიანად აპყრობენ ყურადღებას იმ ვითარებას, რომ ერთიანი მსოფლიოს ფორმირებას თან ახლავს არა მხოლოდ ინტეგრაციული პროცესები, არამედ ქმნიან პირობებს, პერიფერიებს, იქეთ ყველა იმათ გადასასროლად, ვისაც არ შეუძლია ჩაერთონ საერთაშორისო ურთიერთკავსირის ქსელში და გავლენას ახდენს მის მიმართულებაზე. აღნიშნულ გამონაკლის აქვს რთული ხასიათი და გამოირჩევა ფორმების მრავალფეროვნებით, მის მექანიზმი მოქმედებენ საზოგადოების როგორც შიგნით, ასევე მსოფლიო არენაზე. სუსტად განვითარებულ ქვეყნებში ის ასახავს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შორის განხეთქილების გაღრმავებას, ასევე ახალ ბურჟუაზიას და ლუმპერპროლეტარიატის ფართო ფენებს შორის. განვითარებულ ქვეყნებში ის აჩქარებს ე.წ. „მეოთხესამყაროს“ ფორმირებას, რომელიც შედგება იმიგრანტებისა და „ახალი ღარიბებისაგან“ ამიტომ მსოფლიოს მთლიანობის გაძლიერების შედეგებს შორის არც თუ მცირე ადგილი უკავია დეპრივაციის პროცესებს, მზარდი დამოკიდებულებით, კლიენტოზაციით ძალადობის

გავრცელებით და ა.შ. კომუნიკაციის უახლესი სასუალებების თანამგზავრული კავშირის, ვიდეოტექნიკის განვითარება და ა.შ უზრუნველყოფენ სიცოცხლის სახით, მოხმარების სტანდარტების, ინდივიდუალური ღირებულებების დემოკრატიული ნორმების დასავლეთის იდეალების ფართო გავრცელებას. თავის მხრივ, ამას მივყავართ მიგრაციული ნაკადების ზრდისკენ, შედარებით განვითარებული ქვეყნების მიმართულებით. რომლებსაც ხშირად წაახალისებენ სუსტადგანვითარებულ სახელმწიფოების ხელმძღვანელები, როგორც განსაზღვრული საშუალება დასაქმების და „სავალუტო ქალაქის“ პრობლემების ნაწილობრივი გადაწყვეტისა. მასობრივი იმიგრაცია მოდის სოციალური და პოლიტიკური ურთიერთობების დესტაბილიზაციისაკენ, როგორც იმიგრანტების მიმღებ ისევე დატოვებულ ქვეყნებში, ხოლო არა იშვიათად მათ სორის ურთიერთობების გამწვავებისკენ. ერთდროულად იზრდება განხეთქილება მდიდარ და ღარიბ ქვეყნებს სორის განვითარების დონეებში ერთი მხრიდან, ხოლო სხვა მხრიდან-„მესამე სამყაროს“ შიგნით ღარიბი ქვეყნების სამყარო

(სრულყოფილად ეს პრობლემა განიხილება XI) თავში.

„მესამე სამყაროს“ მზარდი მეგაპოლისების გარეუბნები სულ უფრო გადაიქცევიან მზარდი არასტაბილურობის კრისტალიზაციის არახელსაყრელ გარემოდ, რადიკალური რელიგიური და პოპილისტური მოძრაობისთვის (არაბულ ქვეყნებში-ისლამური ფუნდამენტალიზმი, რადიკალური ინდუიზმი-ინდოეთში, ანიმისტური მესიანიზმი-ტროპიკულ აფრიკაში და ა.შ.) აღნისნული მოძრაობები ყველაზე ხშირად ღებულობს ნათლად გამომხატულ ანტიდასავლურ ხასიათს წარმოიშვა ისეთი, ადრე უცნობი ფენომენი როგორიცაა „ველური დიპლომატია“, რომელიც სულ უფრო ართულებს ოფიციალური დიპლომატიის საქმიანობას. აღნიშნული პროცესების შუქზე მოულოდნელად არ გამოიყურება მტკიცება, რომლის თანახმად, „ინტეგრაციის დრო წავიდა, მსოფლიოში დაიწყო დეზინტეგრაციული პროცესები“.

დეზინტეგრაცია დამახასიათებელია არა მხოლოდ ყოფილი სსრკ-თვის ან მისი კრიზისის და დაცემის გავლენით ჩეხოსლავაკის მშვიდობიანი დანაწილება და სისხლიანი დანაწილება იუგოსლავიისა უფრო ადრე „სუვერენიზაციისადმი“ ტენდენციები გამოვლინდა და დღეს აღნიშნებიან ისეთ ქვეყნებში, როგორცაა თურქეთი (ქურთების პრობლემა), საფრანგეთი (კორსიკის პრობლემა), ინგლისი (ჩრდილოეთ ირლანდიის პრობლემა), ესპანეთი (ბასკების სეპარატიზმის პრობლემა), სამხრეთ კალიფორნიაში ეთნიკური მღელვარებები 1992 წ მაისში ასევე გახდა სხვადასხვა ნაციონალურ და რასობრივ ჯგუფების მიერ საკუთარი იდენტურობის შექმნის პროცესების განვითარების ერთ-ერთი გამოხატულება. მიუხედავად გადაწყვეტი ღონისძიებებისა მიღებული ყველა აღწერილი შემთხვევაში შესაბამის ქვეყნების მთავრობების მიერ სამხედრო ძალის გამოყენების ჩათვლით, აღნიშნული პროცესები უკეთეს შემთხვევაში „შედიან სიღრმეში“, ადეკვატური გადაწყვეტილებები აქამდეც არ არის ნაპოვნი.

არასწორი იქნებოდა ამა თუ იმ აღნიშნული კანონზომიერებების აბსოლუტიზირება, როგორც „გარდაქმნის“ და „ახალი აზროვნების“ გამოცდილებამ გვიჩვენა, პოლიტიკა რომელიც ირჩევს ერთ-ერთ მათგანს მიუთითებს, მაგალითად, მზარდი ერთიანობის ტენდენციაზე, თანამედროვე მსოფლიოს ურთიერთდამოკიდებულებაზე-ფაქტიურად მეორეს სრული იგნორირებისას მისი საპირისპირო ტენდენცია იქცევა მძიმე შეცდომად და საბოლოო ჯამში დამარცხებად, აი რატომა სრულიად უადგილოდ გამოყენება არშფოთებული გაკვირვება სსრკ დაშლის საბაბით. რუსეთის ფედერაციის სუბიექტების „სუვერენიზაციის“ პროცესებით (მთელი მსოფლიო მოძრაობს ინტეგრაციის მიმართულებით ჩვენ კი ვცდილობთ დინების წინააღმდეგ ვიაროთ“) არის ცდები ტერმინებში „საზოგადოებრივი პროგრესი“ მათი გაანალიზებისა („იმპერიის დაცემა განიხილება როგორც პოზიტიური მოვლენა, როგორც ხალხის განთავისუფლება და ამით ბუნებრივი რეალიზაციის უფლება დამოუკიდებლად გადაწყვიტოს საკუთარი ბედი“). მსგავსი სახის

მსჯელობები იწვევს სიტუაციის განმარტებას მის პრიმიტივაზაციას, ამიტომ პრობლემის გაშუქების ნაცვლად, გაჰყავთ განზე, არტემეს შესაძლებლობებს გაიაზრონ მთელი მისი სირთულე და სისრულე. ამიტომ ნაკლებ სერიოზული შეცდომა ვიდრე არის დეზინტეგრაციის ტენდენციების იგნორირება, იქნებოდა ცალმხრივი ორიენტაცია მასზე მხოლოდ თანამედროვე საერთაშორისო რეალიების გააზრების ცდისას და მათი უფრო ცხოვრებაში პოლიტიკური გადაწყვეტილების გამომუშავებისა და გატარებისას. დღეს უკვე ჩანს რომ ყოფილი სსრკ დეზინტეგრაციის პროცესმა მთელ რიგ შემთხვევაში მიაღწია გარკვეულ „გაჯერების ზღვარს“. შეიმჩნევა დსთ სხვადასხვა ქვეყნების ურთიერთდანიტერესება თანამშრომლობისკენ, მათ შორის ცოტახნის წინად გადაჭრით უარყოფილი ინსტიტუციონალურ ფორმებში. ამავდროულად საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ინტეგრაციულ პროცესებში არსებით როლს სოციოკულტურული ფაქტორები, ჩვენ შეგვიძლია და კიდევ უნდა ავხსნათ ეკონომიკური ეკოლოგიური ან ყველა სხვა ხასიათის მოთხოვნების ინტეგრაციის აუცილებლობა.

მაგრამ ჩვენ ვერ გავერკვევით მიმდინარე მოვლენებს, თუ მხედველობიდან გავუშვებთ იმას, რომ თუ მომავალში არ იქნება კულტურით „გაშუქებული“ საერთო ღირებულებები ერთიანობა, რომელსაც მისდევენ „რიგითი“ ადამიანები, მათ კოლექტიური ისტორიული ხსოვნა რიგი ტრადიციების, ჩვეულებების, სიცოცხლის სახის ელემენტების ერთობლიობა და ა.შ. აღნიშნული ფაქტორები ვერ შეძლებენ ითამაშონ ის როლი, რომელსაც ისინი თამაშობენ საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში.

საერთაშორისო ურთიერთობების კანონზომიერებების პრობლემა რჩება მეცნიერებაში ერთ-ერთ დამუშავებულს და სადისკუსიოს. ეს უპირველესად აიხსნება საერთაშორისო ურთიერთობების მოცემული სფეროს სპეციფიკით, სადაც განსაკუთრებით ძნელია ამა თუ იმ მოვლენების და პროცესების განმეორადობის აღმოჩენა და სადაც ამიტომ კანონზომიერებების მთავარი თვისებას წარმოადგენს მათი შეფარდებითი,

მოსალოდნელი სტოქალისტიკური, გარდამავალი ხასიათი, როგორც კერძო ისევე ზოგადი უნივერსალური. კანონზომიერებანი არსებობს აქ ტენდენციის სახეში, რომლის გამოვლენის ხასიათი დამოკიდებულია პირობებისა და ფაქტორების სიმრავლეზე.ამავდროულად აღნიშნული ტენდენციის გლობალური ინტერესებიდან ერთი, რომელიც შესამჩნევია საუკუნეების სირრმიდან და მიდის მსოფლიოს ურთიერთდამოკიდებულების ზრდისკენ, იძლევა საფუძველს საერთაშორისო ურთიერთობები წარმოვადგინოთ ერთიანი სისტემის სახეში, რომლის ფუნქციონირება დამოკიდებულია ზოგადსისტემური ხასიათის კანონებზე, ასევე მოცემული სისტემის თავისებურებებიდან. ამ საკითხს განიხილვას ეძღვნება შემდეგი თავი.

თავი V

საერთაშორისო სისტემა

ითვლება, რომ სისტემური მიდგომა ხდება საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების საკუთრებან XXს 50 იან წლების შუა ხანებიდან. მისი ფართო გავრცელება დაემთხვა სოციალურ დისციპლინებში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების შედეგად, კერძოდ tsm გამოყენებას, რაც გხდა მისთვის დამატებითი მიმზიდველობის წყარო და წარმოიშვა იმედები ამ სფეროში მკვლევარებისათვის აუცილებელი-სიმკაცრის მინიჭებისა, თეორიული მტკიცებულებისა და ემპირიული ვერიფიცირებისა. „სისტემების იდეა წერდა, მაგალითად ს.ხოფმანი-უეჭველად იძლევა შედარებით ნაყოფიერ კონცეპტუალურ საფუძველს. ის იზღვევა საშუალებას გატარდეს მკაფიო განსხვავება საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასა და საგარეო პოლიტიკის თეორიას შორის, ასევე უზრუნველყოფენ როგორც ერთის ისე მეორის წარმატებით განვითარებას.

სისტემური თეორიის დამფუძნებლად დასავლეთის მკვლევარები ყველაზე ხშირად ასახელებენ აშშ ემიგრირებულ ავსტრიულ მკვლევარს ლუდვიგ ფონ ბერტალანფის, რომლის ნაშრომებმა ამ სფეროსი ფართო აღიარება ჰპოვეს მეცნიერულ წრეებში. მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ სისტემური მიდგომა არ არსებობდა ადრე. გავისხენოთ, მაგალიტად, რომ ტ.გობზისის ცნობილი ნაშრომის ერთ თავში დასახელებული იყო სისტემის შესახებ. სისტემური მიდგომის ძირითადი ცნებები ფართოდ ჰქონდა გამოყენებული ნაშრომებში კ.მარქს და ფრ. ენგელსს, რასაც ხშირად იყენებდა ვ.ი ლენინი. სისტემური თეორიის პრობლემებს სპეციალურად მიეძღვნა, 20-იან წლებში გამოცემული ორტომეული ნასრომი ა.ა ბოგდანოვისა „საყოველთაო ორგანიზაციული მეცნიერება (ტექნოლოგია)“

რომელშიც უკვე იყო გაანალიზებული ისეთი ძირეული ცნებები სისტემური მიდგომისა როგორცაა „სისტემა“, ელემენტი, კავშირები, სტრუქტურა, გარემო, სიმტკიცე, ჩამოყალიბებულია სისტემური წინაარმდეგობის იდეა, რთული სისტემების ფუნქციონირებისა და ტრანსფორმაციის კანონები და სხვა მრავალი ვითარება, რომლებიც მომდევნო წლებში განსაკუთრებით სისტემური თეორიის მშფოთვარე განვითარების პერიოდში XX ს შუა ხანებში, თავისი დასაბუთებულობა და შემდგომი განვითარება ჰპოვა. სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებებისადმი სისტემური მიდგომის გამოყენებამ მიიღო იმ წლებშინაყოფიერი განვითარება ამერიკელ მეცნიერების ტ.პარსონსის და დ.ისტონის შრომებში. განსაკუთრებით ფართო გავრცელება ჰპოვეს პოლიტიკური სოციოლოგიის იდეებმა, გამოთქმულმა დ.ისტონის წიგნში, „პოლიტიკურ ცხოვრების სისტემური ანალიზი“. მასში პოლიტიკური სისტემა განიხილება ურთიერთობების განსაზღვრული ერთიანობის სახით, რომელიც იმყოფება თავის გარემოსთან უწყვეტ ურთიერთზემოქმედებაში „შესვლის“ და „გამოსვლის“ მექანიზმების საშუალებით, კიბერნეტიკის საბაზო იდეების შესაბამისად.

„შესვლაზე“ სისტემა ღებულობს გარედან იმპულსებს სიგნალებს, რესურსებს, ეჯახება მისი მთლიანობისათვის საშიშ გამოწვევებს. დ.ისტონი მათ ჰყოფს ორ კატეგორიად: „მოთხოვნები“, დაკავშირებულები უშიშროებასთან, ინდივიდუალურ თავისუფლებასთან და თანასწორობასთან მონაწილეობს სამომხმარებლო კეთილდღეობასთან და ა.შ. „მხარდაჭერა“ საშუალებას იძლევა, ზოგიერთი მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და მატ მიერ გამოწვეული კონფლიქტის რეგულირებისა. „მოთხოვნის“ წყაროს წარმოადგენს ერთ მხრიდან, მისი შიდა სოციეტალური გარემოს ისეთი ნაწილი, როგორცაა ეკოლოგიური სისტემა, ბიოლოგიური სისტემა, პიროვნული და სოციალური სისტემები. მეორე მხრიდან ასევე წყაროებს წარმოადგენს ექსტრასოციეტალური გარემოს კომპონენტები: საერთაშორისო-პოლიტიკური სისტემები, საერთაშორისო ეკოლოგიური სისტემები და საერთაშორისო სოციალური

სისტემები. ყველა ეს ნაკადი შედის „შესვლაზე“ გლობალური გარემოდან, გადამუშავებული პოლიტიკური სისტემის შიგნით, ყველა მისი შემადგენელი ელემენტების რეაგირების გზით და იწვევს საბოლოო ჯამში სისტემის ერთიან საპასუხო რეაქციას, რომლის დახმარებით ის ადაპტირდება გარემოსთან. „გამოსვლაზე“ ასეთი რეაქცია ღებულობს პოლიტიკური მოქმედების, სამთავრობო აქტების და ღონისჭიებების ფორმას. თავის მხრივ ეს უკვე რეაქცია სისტემისა, წარმოადგენს გარემოსთან მის ურთიერთმოქმედების, ახალ ციკლს საწყისს, უზრუნველყოფს განსაზღვრულ ცვლილებებს გარემოცვაში, წარმოქმნის ახალ „მოთხოვნებს“ და „მხარდაჭერას“.

დ.ისტონის კონცეფციის ერთ-ერთ მთავარ ღირსებას წარმოადგენს დინამიკაში პოლიტიკური სისტემის განხილვა-როგორც მთლიანი ორგანიზმი, რომელიც მუდმივ ურთიერთქმედებაშია გარემოცვასთან და მუდმივად „აჯერებს“ თავის „პასუხებს“ ელემენტების მდგომარეობასთან და რეაქციასთან. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ვითარებაც, რომ დ.ისტონის მიერ შემოტავაზებული სისტემური ანალიზი აიოლებს პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების წესებს ბრამანებას და გამოვლენას მისი სხვა სისტემებთან ურთიერთობების კანონზომიერებანი, სტაბილურობის შენარჩუნების პირობები და სხვა.

არ უარყოფენ რა დ.ისტონის აღნიშნულ ღირსებებს საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტები საკმაოდ თავშეკავებულად ეპყრობოდნენ მტკიცებას, მათი დასკვნების მისაღებლობის შესახებ ყოველნაირი პოლიტიკური სისტემის ყველანაირი ეტაპისადმი, თვლიდა რომ ისინი არ შეეფასებინა საერთაშორისო სისტემის შესწავლას: 1) იმიტომ რომ ისინი არ არიან გაკეთებულნი ფაქტიურად პოლიტიკური სისტემის სფეციფიკური ტიპის შესწავლის საფუძველზე-სახელდობრი ამერიკული პოლიტიკური სისტემა და სუსტად განსაზღვრავენ სხვა პოლიტიკური სისტემის თავისებურებებს იმისთვის რომ საერთაშორისო სისტემის ისტონოვისეული პოლიტიკის განსაზღვრება, როგორც „ღირებულებების ავტორიტარული გადანაწილება“, ყურადღებაში არ ღებულობს

საერთაშორისო სისტემების თავისებურებებს და არ იძლევა უფლებას საერთაშორისო ურთიერთობები განხილული იქნას, როგორც პოლიტიკური და ბოლოს 3) იმიტომ რომ ისტომინის სქემა არ შეიძლება გამოყენებული იქნას გლობალურ საერთაშორისო სისტემაში მისი გარემოცვის თავისებურებების გამო (რომელსაც უფრო ზუსტად განვიხილავთ შემდგომში).

გადმოცემის სისტემური თეორიის ძირითადი ცნებების მოკლე შინაარსი

ამოსავალს მისთვის წარმოადგენს „სისტემის“ ცნება, რომელსაც ლ.ფონ ბერგალანფი განსაზღვრავს, როგორც ერთმანეთთან ურთიერთმოქმედი ელემენტების ერთიანობაში.

„ელემენტები“ ესაა სისტემის უმარტივესი შემადგენელი ნაწილი, ამასტანავე ისეთი რთული სისტემის განვითარების კვლევისთვის, როგორცაა მაგალითად, საზოგადოება, ორგანიზმი, მეცნიერული და ფილოსოფიური დოქტრინა, კოსმიური სხეული, აუცილებელია ჰქონდეს მხედველობაში მათი ელემენტების შერჩევის შინაგანი პროცესები, მაგრამ თუ შეძლებს ელემენტები შემდგომში დაშალოს მეორე რიგის ელემენტებად კიდევ უფრო ვიწრო გარემოში რამდენად მოგვეცემს საშუალებას მიღწეული დონე ანალიზის მიღებას“ ამ აზრით სისტემების ყოველი ელემენტი შეიძლება გამოვიდეს როგორც ქვესისტემა, რომლებიც ფლობენ თავიანთი ელემენტების ერთობლიობას.

„გარემო“ ე.ი რაც გავლენას ახდენს სისტემაზე და იმაზე რაზეც ურთიერთქმედებანი გაანასხვავებენ ორი სახის გარემოს: საგარეო გარემო (სისტემური გარემოცვა) და შიგა გარემო (კონტაქტი).

ცნებას „სტრუქტურა“ შინაარს აქვს რამდენიმე ასპექტი, რომლებიც ასახავენ სისტემის სხვადასხვა ხარისხს: ა) სისტემის ელემენტების ტანაფარდობა. ბ) სისტემაში ელემენტების ორგანიზაციის საშუალებები. გ) იძულებითი და შეზღუდული ერთობლიობა, რომლებიც გამოდიან მათი ელემენტებისათვის არსებული სისტემებიდან.

სისტემის ფუნქცია ესაა მისი რეაქცია მასზე ზემოქმედ გარემოზე, მიმართული გარკვეული ტიპის ურთიერთობების შენახვაზე. სისტემის ელემენტებს შორის, ე.ი მის „სიმტკიცეზე“ სწორედ, სისტემური მიდგომა გახდა, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სოციოლოგიის შესწავლის ერთ-ერთი განსხვავებული თავისებურებატაგანი და ამით ახალი სამეცნიერო დისციპლინის ამბის გადამზიდავი შენიშნული იყო რომ „სოციოლოგიური განზოგადობა“, რომელიც ეხება სოციალურ სისტემას, *mutatis mutandis* გამოყენება ასევე საერთაშორისო სისტემების სოციოლოგიისადმი.

და მიუხედავად ამისა, რომ სისტემური მიდგომის ჭეშმარიტი როლი საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერების წარმატებულ განვითარებაში არ დაემთხვა მოსალოდნელ (რის შესახებაც უფრო დაწვრილებით ქვევით ვისაუბრებო ის მაინც ძალიან მნიშვნელოვანია და ამიტომ საჭიროებს სპეციალურ ანალიზს. ამ მიზნით მოცემულ თავში განიხილება სისტემური მიდგომის თავისებურებები და ძირითადი მიმართულებები, საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლაში, ასევე საერთაშორისო სისტემის ტიპოლოგია და სტრუქტურები.

1. სისტემური მიდგომის თავისებურებები და ძირითადი მიმართულებები საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისადმი

ეს თავისებურებები ბუნებრივად გამომდინარეობენ უწინარეს ყოვლისა თავად გასაანალიზებელი ობიექტის სპეციფიკიდან და რამდენადაც ის უკვე სრულად იქნა წინა თავში ამდენად აქ შემოვისაზღვრებით მხოლოდ რამდენიმე მოკლე შენიშვნებით. რომლებიც ეხება საერთაშორისო ურთიერთობების ზოგად და სპეციფიკურ თავისებურებებს. და შესაბამისად საერთაშორისო სისტემებს.

საერთაშორისო ურთიერთობების ზოგადი თავისებურებების რიცხვს მიეკუთვნება ის რაც თავისი ხასიათით წარმოადგენენ სოციალურ ურთიერთობებს, საიდანაც საერთაშორისო სისტემები მიეკუთვნებიან სოციალური სისტემის ტიპს. ეს ნიშნავს რომ ისინი განხილული იქნან

როგორც რთული ადაპტირებული სისტემა, რომლების ანალიზი შეუძლებელია მექანიკური სისტემების მოდელების ანალიზთან ანალოგიით. გარდა ამისა სოციალური, მათ შორის საერთაშორისო სისტემები მიეკუთვნებიან, როგორც წესი ღია და სუსტადგანვითარებული სისტემების განსაკუთრებულ ტიპს. სხვა სიტყვებით, აქ ყოველთვის არ შეიძლება გაივლოს მაკაფიო საზღვარი შესასწავლ კომპლესა და მის გარე გარემოცვას შორის, რაც შეიძლება გაკეთდეს საზღვრის განსაზღვრისას ორ სივრცობრივად ერთმანეთისაგან შემოსაზღვრულ ობიექტების ობიექტსა და გარემოს შორის“. ფიზიკური და ბიოლოგიური სისტემებისაგან განსხვავებით, საერთაშორისო სისტემების სივრცობრივი საზღვრები ატარებენ, უფრო ხშირად, პირობით ხასიათს. მაგრამ ამ პირობითობის აბსოლუტიზირება არ შეიძლება, და წარმოვადგინოტ სქემა ისე რომ საერთაშორისო სისტემა საერთოდ „არ არიან მოცემული რეალობაში, სადაც არსებობს მხოლოდ მრავალი ადამიანი და მრავალი ურთიერთობები, ან იმის მტკიცება, რომ ისინი ყოველთვის კონსტრუირდებიან დამკვირვებლებით“ ეს სწორია მხოლოდ ნაწილობრივ. ისინი განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გარემოსთან თავიანთი ურთიერთობების ხასიათით (პირველი პირველი წარმოადგენს ავტონომიურს, ე.ი მის ელემენტებს შორის ურთიერთობები თამაშობენ უფრო მნიშვნელოვან როლს, ვიდრე ურთიერთობები გარემოსთან, მეორე-შელწევადი რამდენადაც საგარეო გარემოსთან ურთიერთქმედება მისთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ვიდრე ელემენტებს შორის ურთიერთობა). არა მხოლოდ არსებობენ რეალობაში და არა მკლევარების წარმოსახვაში, მაგრამ არა აქვთ ზოგიერთ ფრიად შედარებითი სივრცობრივი საზღვრები. ეს სწორია რეგიონალური საერთაშორისო სისტემებისათვის მსგავსი არ შეიძლება ვამტკიცოთ, სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის სისტემების შესახებ, (მაგალითად ეკონომიკური პოლიტიკური და სხვა) ან ტრადიციული და ახალი საერთაშორისო აქტორების ურთიერთქმედება. ამ შემთხვევაშიც საერთაშორისო სისტემები წარმოადგენენ არა უბრალოდ ანალიტიკურ

ობიექტებს, არამედ კონკრეტულ კავშირს რეალურად არსებულ სოციალურ ერთობებს შორის, რომელთა ურთიერთქმედება ავლენს განსაზღვრულ (თუნდაც მინიმალურ) თვისებებს სისტემური ორგანიზაციებისა. ეს არ ნიშნავს რომ მსგავსი სახის არაფორმალური სისტემები წარმოადგენენ განსხვავებულ კონკრეტულ ერთობას, მსგავსად რომელიმე საგნობრივი სისტემები, მაგალითად ბიოლოგიური, ორგანიზმისა, როგორც ფ.ბრაიარი წერს, მხედველობაში ჰქონდა არაფორმალური საერთაშორისო სისტემები, ისინი როგორც განსაზღვრული მთლიანობა, ვლინდება ფენომენოლოგიურ გეგმაში მაგრამ მხოლოდ გაშუალებით რაც მქდავენდება თეორიული ანალიზის გზით.

საერთაშორისო ურთიერთობების კიდევ ერთი საერთო თავისებურება, რომელიც გავლენას ახდენს სისტემურ მიდგომასა და მათ შესწავლაზე, დაკავშირებულია იმასტან, რომ მათი ძირითადი ელემენტები წარმოდგენილი არიან სოციალური ერთობებით, ჯგუფებით და ცალკეული ინდივიდებით, აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სისტემები-ეს არის ადამიანების ურთიერთზემოქმედების სისტემა, რომლებიც ხელმძღვანელობენ თავიანთ მოქმედებებში სურვილით, შეგნებით, ღირებული ორიენტაციებით და ა.შ. ეს ნიშნავს რომ როგორც ს.ფლიდლენდერი და რ.კოენი აღნიშნავენ საერთაშორისო სისტემების განსაზღვრული ფაქტორები დაკავშირებულნი არიან ისეთი ფენომენებით, როგორიცაა არჩევანი, მოტივაცია, აღქმა და სხვა.

საერთაშორისო ურთიერთობების მესამე საერთო თავისებურება, რომელიც აუცილებლად უნდა იქნას მიღებული ყურადღებაში სისტემური მიდგომისა და მისი შესწავლისას მდგომარეობს იმასი, რომ ისინი წარმოადგენენ პოლიტიკურ ურთიერთობებში მთავარ რგოლს სახელმწიფოთა შორის ურთიერთქმედებისას: ამიტომ გლობალური საერთაშორისო სისტემის ბირთვის წარმოადგენს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების სისტემა.

რაც შეეხება საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკურ ურთიერთობებს, მათ შორის მთავარი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ხასიათდებიან უმაღლესი ხელისუფლების უქონლობით და „სუვერენიტეტების პლურალიზმით“. ამასთანაა დაკავსირებული საერთაშორისო სისტემებისთვის დამახასიათებელი საგარეო და საშინაო ცენტრალიზაციის დაბალი დონე. სხვანაირად რომ ვთქვათ საერთაშორისო სისტემები-ესაა განსაკუთრებული სახის სოციალური სისტემები რომლებიც გამოირჩევიან მთლიანობაში ელემენტების ინტეგრაციის სუსტი ხარისხით, ასევე ამ ელემენტების მნიშვნელოვანი ავტონომიებით. ასეთი ავტონომიების ხარისხის აბსოლუტიზირება არ შეიძლება. საერთაშორისო ურთიერთობები ხასიათდებიან არა მხოლოდ ინტერესების კონფლიქტით, ასევე აქტორების ურთიერთდამოკიდებულებით ხოლო ინტეგრირებული საზოგადოება (შიდასაზოგადოებრივი ურთიერთობა) არ არის გადარჩენილი კონფლიქტური განზომილებიდან, რომელსაც ზოგიერთ პირობებში შეუძლია მიანიჭოს მას განსაზღვრული ანარქიის თვისებები, რომლებიც დამახასიათებელია საერთაშორისო ურთიერთობებისთვის. მათ შორის სრულიად რეალურ დეზინტეგრაციას, რომელშიც ჩვენ შევძელით დავრწმუნებულიყავით სსრკ ბედის მაგალითზე.

საერთაშორისო ურთიერთობების სპეციფიკის ცნებაში განსხვავებანი, საერთაშორისო სისტემის თავისებურებებთან შესაბამისობაში, იწვევენ მათი შესწავლისათვის სხვადასხვა მიდგომებს. არსებობს რამდენიმე ასეთი მიდგომა: ტრადიციული-ისტორიული, ისტორიულ-სოციოლოგიური, ევრისტიკული, შერეული და ემპირიული. აღსანიშნავია რომ მათი გამოყაფა ატარებს პირობით და არა სრულად ერთმანეთისაგან გამომრიცხავ ხასიათს, რომლებიც ასახავს მხოლოდ პრიორილში ტეტებს ამა თუ იმ ავტორის პოზიცილაში.

ტრადიციულ-ისტორიული მიდგომის საფუძველში დევს „საერთაშორისო სისტემის“ ცნების გამოყენება ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების აღნიშნისთვის, ამა თუ

იმ რეგიონებში; მაგალითად XII საუკუნის ევროპის სისტემა, დაფუძნებული 1648 წლის ვესტფალის შეთანხმების პრინციპებზე. XIX ს. ევროპული სახელმწიფოების (ეროვნებათა ევროპული კონცერტი) პოლიტიკური თანასწორობის სისტემებია, გლობალური, ბიპოლარული სახელმწიფოთაშორისი სისტემები 1945-1990 წლებში. მსგავსი „პანორამული“ მიდგომის ძირითადი ნაკლოვანება მდგომარეობს იმაში, რომ ის არ მიმართავს ძალისხმევას საერთაშორისო (უფრო სწორედ, სახელმწიფოთაშორისო) ფუნქციონირების კანონზომიერების ძებნაზე, იზღუდება როგორც წესი, მთავარ აქტორებს, დიდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის აღწერით, მაშინ როცა სისტემურ მიდგომაში მთავარია, დარწმუნებულობა საერთაშორისო სისტემების და მათი მთავარი ელემენტების საერთაშორისო აქტორების ხასიათებს შორის არსებულ კანონზომიერი კავშირების არსებობასთან მიმართებაში სწორედ მსგავს დარწმუნებულობაზე დაფუძნებული სხვა დასახელებული მიდგომები.

მაგალითად, რ. არონი წარმოადგენს საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისადმი ისტორიულ-სოციოლოგიური მიდგომის ერთ-ერთ ფუძემდებელს, საერთაშორისო სისტემების შესახებ თავისი მოსაზრებების ამოსავალ პუნქტად ხდის ისტორიის გამოცდილებას, უარყოფას აბსტრაქტული მოდელების კონსტრუირების ყოველ ცდას ადარებდა ურთიერთობებს ბერძნულ პოლისებს XII ს. ევრიპული მონარქიებს XIX ს. ასწლეულის ევროპის სახელმწიფოებს შორის და აღმოსავლეთსა და დასავლეთში მის თანამედროვე სისტემებთან ურთიერთქმედებებს, ის ეძებდა მათში განმეორებადობას, რომელისაც ამტკიცებდა ისტორიული წარსულის გაკვეთილებით და აწმყოს შესწავლით. აცნობიერებდა, რომ „ტიპიური საერთაშორისო სისტემის ანალიზი არ იძლევა დიპლომატიური მოვლენის წინასწარ ხედვის შესაძლებლობას ან უკარნახოს მმართველებს სისტემის ტიპის შესაბამისი ქცევის ხაზი. რ.არონი თვლიდა, სისტემური მიდგომა საშუალებას იძლევა გამოვლინდეს სოციალური დეტერმინიზმის ის წილი რომელიც არის

საერთაშორისო ურთიერთობების ფუნქციონირებაში და ამიტომ მას განიხილავდა მათი შესწავლის აუცილებელ ელემენტად.

რ.არონისგან განსხვავებით ამერიკელი მკვლევარი მ.კაპლანი შორსაა ისტორიაზე ასეთი წარმოდგენისა, თვლის ისტორიულ მონაცემებს თეორიული განზოგადოებისთვის ძალიან ღარიბად; ეფუძვნება სისტემის ზოგად თეორიას და სისტემურ ანალიზს, ის ახდენს აბსტრაქციული თეორიული მოდელის კონსტრუირებას, რომელიც მოწოდებულია უზრუნველყოს საერთაშორისო რეალობის უკეთესი გაგება გამოდის არა იმ მტკიცებულებებიდან, რომ შესაძლო საერთაშორისო სისტემის ანალიზი ითვალისწინებს ვითარებას და პირობებს, რომელშიც ყოველ მათგანს შეუძლია არსებობა ან სხვა ტიპის სისტემაში ტრანსფორმირება, სვამს კითხვებს-რატომ ვითრდება ეს თუ ის სისტემა, როგორ ფუნქციონირებს ის, რა მიზეზებით ხდება მისი დაცემა? ამასთან დაკავშირებით მ.კაპლანი გამოყოფს ყოველი სისტემისათვის დამახასიათებელ ხუთ წესს: სისტემის ძირითადი წესები, სისტემის ტრანსფორმაციის წესები, აქტორების კლასიფიკაციის წესები, მათი უნარები და ინფორმაცია. მათგან მთავარია პირველი სამი ჯგუფი. „ძირითადი წესები“ აღწერენ ურთიერთობებს აქტორებს შორის, რომელთა ქცევები დამოკიდებულია არა იმდენად ყოველი ინდივიდუალურის ნებაზე და განსაკუთრებულ მიზნებზე, რამდენადაც სისტემის ხასიათზე, რომლის კომპონენტებსაც ისინი შეადგენენ. „ტრანსფორმაციის წესები“ გამოხატავენ სისტემის ცვლილებების კანონებს. ცნობილია, რომ სისტემის ზოგადი თეორია აქცენტს აკეთებს სისტემის გეოსტატიკურ ხასიათზე. ყოველ სისტემას აქვს ადაპტაციის და ტრანსფორმაციის თავიანთი წესები. და ბოლოს „აქტორების კლასიფიკაციის წესებს“ მიეკუთვნება მათი სტრუქტურული დახასიათება, კერძოდ მათ შორის არსებული იერარქია, რომელიც ასევე გავლენას ახდენს ყოველი აქტორის ქცევაზე.

საერთაშორისო სისტემის კვლევისადმი მ.კაპლანის მიდგომის აბსტრაქტული ხასიათის მიუხედავად, რისთვისაც მას ბევრი აკრიტიკებდა, ასეთ მიდგომას აქვს მეთოდოლოგიური ხასიათის

გარკვეული ღირსებები, რამაც საშუალება მისცა ჟ.უნცივერს მოეხდინა მისი კვალიფიცირება, როგორც ევრისტიულისა.

სხვა ამერიკელი მეცნიერი რ.როუზკრანსი შეეცადა ისტორიულ-სოციოლოგიური და ევრისტული მიდგომის სინთეზისა. ემაყარება კონკრეტული ისტორიული სიტუაციების სესწავლას, ის გამოყოფს 9 თანმიმდევრობით საერთაშორისო სისტემას, შესაბამის შემდგომ ისტორიულ პერიოდებთან: 1740-1789, 1789-1814, 1814-1822, 1822-1848, 1848-1871, 1871-1888, 1888-1918, 1918-1945, 1945-1960წწ. შემდგომ ის ატარებს ყოველი მათგანის სისტემურ ანალიზს, იმ ფაქტორების პოვნის მიზნით, რომლებიც უზრუნველყოფენ სისტემის სტაბილურობას და პირიქით, გავლენას ახდენენ მის დესტაბილიზაციაზე, მსგავსი მიდგომა გამოიყენა ჯ.ფრენკელმა, რომელიც შეეცადა თვალყური ედევნებინა საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიული ევოლუციისათვის, ეფუძნებოდა რა მათ სისტემურ დახასიათებებს, კერძოდ მათი სტრუქტურების თავისებურებებს. მაგრამ მან არ გამოყო თანმიმდევრობითი საერთაშორისო სისტემები, თვლის რომ საერთაშორისო ურთიერთობების სისტემური ანალიზი არ იძლევა საშუალებას გადაჭრას ასეთი ამოცანა სრული დაკმაყოფილებული სახით. განხილულ მიდგომასთან ახლოსაა ინგლისელი მეცნიერი ე.ლუარდი, რომელიც ბევრს და ნაყოფიერად მუშაობს საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგიის დარგში. მან გამოყო 7 ისტორიული საერთაშორისო სისტემა: ძველი ჩინური სისტემა (771-721წწგვ ერამდე), ძველბერძნული სახელმწიფოების სისტემა (510-338წწგვ ერამდე), ევროპული დინასტიის ეპოქა (1300-1559წწ), რელიგიური ბატონობის ერა (1559-1648წწ), სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის რჟიმის წარმოშობისა და გაფურჩქვნის პერიოდი (1648-1789), ნაციონალიზმის ეპოქა (1789-1914), იდეოლოგიის ბატონობის ერა (1914-1974). გამოყოფს აღნიშნულ ისტორიულ სისტემებს, ე.ლუარდი აანალიზებს მათი დახმარებით ისეთ კონცეპტუალურ იარაღს, (ცვალებადი), როგორცაა იდეოლოგია, ელიტა, მოტივაცია, აქტორების მეორე გამოყენებული საშუალებები,

სტრატეგიკაცია, სტრუქტურა, ნორმები, როლი და ინსტიტუტები. ამ ცვალებადებზე დაყრდნობით ავტორი თვალ-ყურს ადევნებს ყოველი მათგანის შედარებით ზემოქმედებას საერთაშორისო სისტემების სტრუქტურაზე და ფუნქციონირებაზე, მათ ცვლილებებზე სივრცეში და დროში.

ბ. კორანის მოსაზრებით, აღწერილ კომპლექსურ მიდგომას აქვს მთელი რიგი უპირატესობები, ის მეტად კონკრეტული და ცხადია მ.კაპლანის მიდგომასთან შედარებით. ის ეფუძვნება სპეციალისტი ისტორიკოსების მიერ დაგროვილ სოლიდურ ემპირიულ მასალებს, რომლებიც მიღწეულია პოლიტოლოგიის და სხვა სოციალური დისციპლინების მიერ. და ბოლოს, ის ხასიათდება მოხერხებულობით და უბრალოებით, მათი დასკვნების შემოწმების თვალსაზრისით ასევე საერთაშორისო სისტემის შესწავლის დამოუკიდებელი მეთოდის ხარისხში გამოყენებით. ამ უპირატესობებმა უზრუნველყეს ის, რომ მოცემულმა მიდგომამ მიიპყრო ჩიკაგოს სკოლის სპეციალისტების ყურადღება, რომელთა მეთაური იყო მ.კაპლანი. მათ დაიწყეს მისი გამოყენება თავიანთ გამოკვლევებში.

არსებობს საერთაშორისო ურთიერთობებს შესწავლის სისტემისადმი ისეთი მიდგომა, რომელსაც შეიძლება ეწოდოს ემპირიული მიდგომა რამდენადაც ეფუძვნება პრაქტიკაში რეალურად არსებულ საერთაშორისო ურთიერთობების ურთიერთქმედებას განსაზღვრული გეოგრაფიული რეგიონების ჩარჩოში. ტრადიციულ ისტორიული მიდგომიდან მას განასხვავებს მისწრაფება ახსნას საერთაშორისო პოლიციკური სიტუაციების თავისებურებანი პლანეტის ამა თუ იმ სფეროში წარმოშობილი სისტემური კავშირების სპეციფიკით, გახსნას გავლენის ხარისხით, რომელსაც ახდენენ აქტორების ქცევაზე ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა ძალთა ზოგად რეგიონალური თანაფარდობა, სოციოკულტურული რეალიები, რეგიონალური საერთაშორისო ორგანიზაციები და ა.შ. სხვანაირად რომ ვთქვათ, მოცემული მიდგომა განასხვავებს საერთაშორისო აქტორების ქცევის ამხსენელი

კანონზომიერებების ძებნას, ასეთ კანონების არსებობასთან და შინაარსთან მიმართებაში დასკვნების დედუქტურობისგან.

არსებობენ საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის სისტემისადმი სხვა მიდგომებიც, რომლებშიც ვლინდება სხვადასხვა თეორიული სკოლების და მიმართულებების წარმომადგენლების პოზიციების დაუმთავრებლობა. მათ შორის არსებული განსხვავება ნაკლებია, პრინციპიალური შეთანხმება მეტი, როგორც ეს ჩანს ერთი შეხედვით. ტრადიციული-ისტორიული მიდგომის გამოკლებით ყველა ისინი გამოდიან საერთაშორისო სისტემის ფუნქციონირების არსებული კანონებიდან (თუმცა თავად სისტემების, კანონების და მათი ფუნქციონირების ხასიათი შეიძლება გაგებულ იქნას სხვადასხვანაირად). სხვადასხვა მიდგომების შეთავსება და ურთიერთშეთავსება ვლინდება სხვა მნიშვნელოვან საკითხებში, მაგალითად აღიარებულია შედარებით მსხვილ და გავლენიან დიდ ხელისუფლებებს შორის ურთიერთქმედების ხასიათის განპირობებულობა. ყველა საერთაშორისო საერთო თვისებად ითვლება, წარმოადგენს მათი ოლიგოპოლიტიკური ხასიათი, იმ აზრით რომ მასში დომინირებს შედარებით ძლიერი სახელმწიფოები და მათ შორის არსებული ურთიერთობების ტიპები. და ბოლოს დასაშვებია საერთაშორისო სისტემის სხვადასხვა ტიპების მათი კლასიფიკაციის კრიტერიუმების არსებობის არსებობის შესაძლებლობა, განვიხილოთ ეს საკითხი უფრო დაწვრილებით.

2. საერთაშორისო სისტემების ტიპები და სტრუქტურები.

უკვე აღვნიშნეთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის სისტემებისადმი სხვადასხვა მიდგომები განპირობებენ საერთაშორისო სისტემების სხვადასხვა ტიპოლოგიების მრავალსახეობას. სივრცობრივ-გეოგრაფიული დახასიათებიდან დამოკიდებულებაში გამოყოფენ, მაგალითად ზოგად პლანეტარულ საერთაშორისო სისტემა და მისი რეგიონალური ქვესისტემა-კომპონენტები, რომელთა ელემენტები გამოდიან, თავის მხრივ სუბრეგიონალური ქვესისტემები.

ფ.ბრაიერი და მ.რ ჯალილი თვლიან რომ პლანეტარული საერთაშორისო სისტემების არსებობა რომელიც თავის კვალს ტოვებს მთელ საერთაშორისო ცხოვრებაზე, გარდა უდავო პოლიტიკური რეალობა სსრკ და აშშ შორის გლობალური ურთიერთ ბრძოლის დაწყების წლებში, შეიძინა ახალი არსებითი თვისებები, მსოფლიო პოლიტიკურ რუქაზე გაჩნდნენ, როგორც პოსტკოლონიური სახელმწიფოები, დამოკიდებული საერთაშორისო აქტორების სახით. პლანეტარული საერთაშორისო სისტემა 90-იანი წლების დასაწყისამდე ხასიათდებოდა ორი მთავარი კონფლიქტური ხაზის ან „ღერძის“ არსებით რომელიც იყოფა, ერთი მხრიდან, დასავლეთად და აღმოსავლეთად (იდეოლოგიური, პოლიტიკური, სამხედროსატრატეგიული ურთიერთბრძოლა), მეორე მხრიდან ჩრდილოეთი და სამხრეთი (ე.ი ეკონომიკურად ჩამორჩენილი და განვითარებული ქვეყნები), მაგრამ მიუხედავად პლანეტარული საერთაშორისო სისტემის შედარებითი მთლიანობის მიუხედავად, მასში გარდაუვალია გარკვეული განხეთქილებები, განპირობებული იმით, რომ რიგი საერთაშორისო ურთიერთქმედება არ ეწერება მასში, ფლობს თავის ავტონომიის. ასეთია რეგიონალური ქვესისტემების კვლევები-„სპეციფიკური ურთიერთქმედების ერთობლიობა, რომლის საფუძველში დევს საერთო გეოგრაფიული კუთვნილება“. ფ.ბრაიარი და მ.რ.ჯალილი ისწრაფვის გამოავლინოს და აღწეროს ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ევროპულ, პანამერიკულ, აფრიკულ და აზიურ (სამხრეთ-აზიური) ან (ახლო აღმოსავლეთი) ქვესისტემებზე, კარიბის და ნაწილობრივ, დასავლეთ გერმანულ სუბრეგიონალურ ქვესისტემებზე.

წიგნის-„სისტემა, სტრუქტურა და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება“-ავტორები განიხილავენ რეგიონალურ (ასევე ჯგუფურ და ორმხრივ) ასპექტებს სახელმწიფოების ურთიერთქმედებებისა, როგორც სახელმწიფოთაშორისო სისტემის სტრუქტურულ დონეს. ზემოთ მოყვანილ ტიპოლოგიებთან შედარებით, ასეთი მიდგომა გამოიყურება ლოგიკურად, რამდენადაც აღნიშნავს ასეთი სახის სისტემის ადგილს საერთაშორისო ურთიერთობების საერთო

სისტემაში, ის საშუალებას იძლევა არ მიიყვანოს უკანასკნელი სახელმწიფოთაშორის სისტემამდე. თუმცა, ყოველ შემთხვევაში, რეგიონალური მიდგომის ძირითად ნაკლად რჩება სკმაოდ მკაფიო კრიტერიუმების უქონლობა, ამა თუ იმ რეგიონის გამოყოფისთვის, როგორც შესწავლის ობიექტისა, რასაც შეუძლია ჰქონდეს ნეგატიური შედეგები მათში მიმდინარე საერთაშორისო-პოლიტიკური პროცესების საერთო გეგმისთვის.

დამოუკიდებელი ფუნქციონალური სისტემის ხარისხში ლიტერატურაში არც თუ იშვიათად განიხილება საერთაშორისო (სახელმწიფოთაშორისო) ურთიერთობების სხეები; ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო-სტრატეგიული და სისტემები.

გამოკლევს მიზანზე დამოკიდებულებით, მის ობიექტად შეიძლება გამოვიდეს საერთაშორისო სისტემების ისეთი ტიპები, როგორებიცაა სტაბილური და არასტაბილური (ან რევოლუციური, ს.ხომანის განსაზღვრით), კონფლიქტური და კოოპერატიული ღია და დახურული და ა.შ.

ამავე დროს საერთაშორისო სისტემების ტიპოლოგიის მრავალსახეობამ არ უნდა სეგვიყვანოს შეცდომაში. პრაქტიკულად ყოველ მათგანს ადევს პოლიტიკური რეალიზმის თეორიის შესამჩნევი ბეჭედი: მათი გამოყოფის საფუძველში, რომელი საგარეო კრიტერიუმებითაც არ უნდა ხელმძღვანელობდეს, დევს როგორც წესი, დიდი სახელმწიფოების ან ზესახელმწიფოების გარკვეული რაოდენობა, ძალაუფლების გადანაწილება, სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტები და სხვა. საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებაში ტრადიციული მიმართულების ცნება. დავბრუნდეთ ფ.ბრაიარის და მ.რ.ჯალელის ნაშრომს. მისი ავტორები, თუმცა არ იზიარებენ პოლიტიკური რეალიზმის პოზიციებს. უფრო მიეკუთვნებიან ფრანგულ ისტორიულ-სოციოლოგიურ სკოლას, ძირითადი დეტერმინანტის ხარისხში, რომლებიც განაპირობებენ მათ მიერ გამოყოფილი საერთაშორისო სისტემების ფუნქციონირებისა და ცვლილებას, განიხილავენ სწორედ ხსენებულ კრიტერიუმებს.

განვითარება სუბრეგიონალური ქვესისტემების ხარისხსი დამოკიდებულია რეგიონალურ კვაზი-ზეხელისუფლებაზე-იაპონია (ეკონომიკური თვალსაზრისით) და ჩინეთი (დემოგრაფიული პოტენციალის თვალსაზრისით). სამხრეთ აზიურ სუბრეგიონში საერთაშორისო სისტემა განისაზღვრება ინდოეთის უდავო უპირატესობით და მისი მეტოქეობით მოცემული სისტემის სხვა პოლუსთან-პაკისტანთან და ა.შ.

სწორედ პოლიტიკური რეალიზმი გახდა საფუძველი ისე ფართოდ ცნობილი ცნებებისთვის როგორცაა ბიპოლარული, მულტიპოლარული, წონასწორობა და იმპერიის საერთაშორისო სისტემები. გაგახსენებთ, რომ ბიპოლარულ სისტემაში ბატონობს სხვა შედარებით ძლიერი ორი სახელმწიფო. თუ მათ ძლიერებას აღწევს სხვა ხელისუფლებები, მაშინ სისტემა ტრანსფორმირდება მულტიპოლარულში. თანასწორ სისტემაში, ან ძალთა ბალანსის სისტემა, რამდენიმე დიდი სახელმწიფო ინახავს ერთნაირ გავლენას მოვლენას მოვლენის მსვლელობაზე. ერთმანეთისადმი „უზომო“ პრეტენზიების ურთიერთ დამორჩილება. და ბოლოს, იმპერიის ტიპის საერთაშორისო სისტემაში ბატონობს ერთადერთი ზესახელმწიფო, რომელიც წინ უსწრებს დანარჩენ სახელმწიფოებს თავისი ერთობლივი ძლიერებით (ტერიტორიის ზომებით, შეიარაღების დონით, ეკონომიკური პოტენციალით ბუნებრივი რესურსების მარაგით და სხვა.)

სწორედ ასეთი ცნებიდან გამომდინარე მ.კაპლინი, საერთაშორისო სისტემების თავის ცნობილ ტიპოლოგიას აგებს. ის მოიცავს სისტემის ექვს ტიპს, რომელთაგან უმრავლესობა (ორის გამოკლებით) ატარებს ჰიპოთეტიკურ აპრიორულ ხასიათს.

პირველი ტიპი - ესაა „ერთიანი ვეტოს სისტემა“, რომელშიც ყოველი აქტორი ფლობს სისტემის ბლოკირების შესაძლებლობებს, იყენებს შანტაჟის გარკვეულ საშუალებებს. ამავდროულად ყოველს უნარი აქვს ენერგიულად დაუპირისპირდეს მსგავს შანტაჟს. რაც არ უნდა ძლიერი აღმოჩნდეს მისი სახელმწიფო. ყოველ სახელმწიფოს შეუძლია თავი დაიცვას ყოველი მოწინაარმდეგისგან. მსგავსი სიტუაცია შეიძლება

ჩამოყალიბდეს, მაგალითად, ბირთვული იარაღის საყოველთაო გავრცელების შემთხვევაში.

მეორე ტიპი - „ძალთა ბალანსის სისტემა“ ხასიათდება მულტიპოლარულობით. მკაპლანის აზრით, ასეთი სისტემის ჩარჩოში უნდა არსებობდეს არა ნაკლებ ხუთი დიდი სახელმწიფო. თუ მათ რაოდენობა იქნება მცირე, მაშინ სისტემა ტრანსფორმირდება ბიპოლარულში.

„მოქნილი ბიპოლარული სისტემა“ წარმოადგენს მესამე ტიპს. მასში თანაარსებობენ აქტორი სახელმწიფოები და აქტორების ახალი ტიპი-სახელმწიფოების კავშირები და ბლოკები, ასევე უნივერსალური აქტორები (საერთაშორისო ორგანიზაციები). მისი ორი ბლოკის შიდა ორგანიზაციიდან დამოკიდებულებაში არსებობს მოქნილი ბიპოლარული სისტემის რამდენიმე ვარიანტი. ისინი შეიძლება იყვნენ ძალიან იერარქიული და ავტორიტარული, როცა კოალიციის მეთაურს თავს ახვევს მას მოკავშირეები. ისიც შეიძლება იყოს იერარქიზებული თუ ბლოკის ხაზი ყალიბდება ერთმანეთისადმი ავტონომიური სახელმწიფოებს შორის ურთიერთკონსულტაციის გზით.

მეოთხე ტიპი წარმოადგენილია „მკაცრი ბიპოლარული სისტემით“. მისთვის დამახასიათებელია იგივე კონფიგურაცია, რაც წინა ტიპისთვის, მაგრამ მისგან განსხვავებით, ორივე ბლოკი ორგანიზებულია მკაცრი იერარქიული სახით. მკაცრ ბიპოლარულ სისტემაში ქრებიან მიუერთებელი და ნეიტრალური სახელმწიფოები, რომლებიც არსებობდნენ რბილ ბიპოლარულ სისტემაში. უნივერსალური აქტორი თამაშობს აქ ფრიად შეზღუდულ როლს და არ შეუძლია გავლენა იქონიოს ამა თუ იმ ბლოკზე ორივე პოლუსის ჩარჩოში ხორციელდება კონფლიქტების ეფექტური დარეგულირება, დიპლომატიური ქმედების მიმართულების ფორმირება, ერთობლივი ძალის გამოყენება.

„უნივერსალური სისტემა“, როგორც მომდევნო ტიპი ფაქტიურად შეესაბამება ფედერაციას. ის გამოხატავს უნივერსალური აქტორის ჭარბ როლს. ასეთი სისტემა ითვალისწინებს საერთაშორისო გარემოს

პოლიტიკური ერთსახოვნობის მნიშვნელოვან ხარისხს. მაგალითად, ის შეესაბამება სიტუაციას, რომელშიც არსებითად გაფართოვდებოდა, სახელმწიფოთა სუვერენიტეტის საზიანოდ, (გაეროს) როლი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას კერზოდ კონფლიქტების მოგვარებისა და მსოფლიოს დაცვაში ჰქონდა ამ პირობებში განსაკუთრებული კომპეტენცია. ასეთი სისტემა ითვალისწინებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ-მმართველობით დარგებში კარგად გნვითარებული ინტეგრაციის სისტემის არსებობას. მასში ფართო უფლებამოსილება ეკუთვნის უნივერსალურ აქტორს, რომელსაც ეკუთვნის უფლება განსაზღვროს სახელმწიფოს სტატუსი და გამოყოს მათ რესურსები. საერთაშორისო ურთიერთობები ფუნქციონირებენ იმ წესების საფუძველზე, რომლებზეც პასუხისმგებლობა ეკისრება სწორედ უნივერსალურ აქტორს.

საერთაშორისო სისტემის კიდევ ერთ ტიპს წარმოადგენს „იერარქიული სისტემა“, რომელიც არსით წარმოადგენს მსოფლიო სახელმწიფოს. ნაციონალური სახელმწიფო კარგავს მასში თავის მნიშვნელობას, ხდებიან უბრალო ტერიტორიული ერთეულები, ხოლო ყოველი ცენტრიდანული ტენდენცია მათი მხრიდან დაუყოვნებლივ გადაიკვეთებიან.

როგორც უკვე ითქვა, მ.კაპლანის კონცეფციას სპეციალურ ლიტერატურაში საკმაოდ კრიტიკულად აფასებენ. უპირველესად მისი სპეკულაციური ხასიათის გამო, სინამდვილისგან მოწყვეტის გამო და ა.შ. ამასთანავე აღიარებულია, რომ ეს იყო პირველი სერიოზული გამოკვლევის ცდა, რომელიც ეძღვნებოდა საერთაშორისო სისტემების პრობლემებს, მათი ფუნქციონირების და ცვლილებების კანონების გამოვლენის მიზნით.

3 საერთაშორისო სისტემების ფუნქციონირების და ტრანსფორმაციის კანონები

ერთ-ერთი მთავარი იდეა, რომელსაც ეფუძვნება მ.კაპლანის კონცეფცია, ეს არის იდეა იმ ფუძემდებლური როლის შესახებ, რომელსაც

საერთაშორისო სისტემის კანონების შეცნობაში თამაშობს მისი სტრუქტურა. ამ იდეას იზიარებს მკლევართა აბსოლუტური უმრავლესობა მის თანახმად სუვერენული სახელმწიფოების არაკორდინირებული მოქმედება, რომლებიც ხელმძღვანელობენ თავისი ინტერესებით, ფორმირდება საერთაშორისო სისტემა, რომლის მთავარ თვისებას წარმოადგენს, შედარებით ზღიერი სახელმწიფოების შეზღუდული რაოდენობით დომინირება და სტრუქტურა, რომელიც განსზღვრავს ყველა საერთაშორისო აქტორების ქცევას. როგორც ამერიკელი ნეორეალისტი კ.უოლცი წერს, ყველა სახელმწიფო იძულებულია შეასრულოს სამხედრო ხარჯები, თუმცა ეა არის რესურსების არაგონივრული ხარჯვა. საერთაშორისო სისტემების სტრუქტურა ყველა ქვეყანას თავს ახვევს ქცევის ისეთ ხაზს, ეკონომიკურ დარგში ან ეკოლოგიის სფეროში, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში იყოს საკუთარ ინტრესებთან. სტრუქტურა საშუალებას აძლევს, სახელმწიფოებს, რომლებსაც არა ერთნაირი წონა აქვთ საერთაშორისო ურთიერთობების დახასიათებების სისტემაში, გაიგოს და წინასწარ განსაღვროს მსოფლიო არენაზე მათი ქცევა. მსგავსად იმისა ეკონომიკაში როგორც განისაზღვრება ბაზრის მდგომარეობა რამდენიმე მსხვილი ფირმის (აყალიბებენ ოლიგოპოლიტურ სტრუქტურას) გავლენით, ისე საერთაშორისო პოლიტიკური სტრუქტურა განისაზღვრება დიდი სახელმწიფოების გავლენით, მათი ძალების თანაფარდობა კონფიგურაციით ამ ძალებს შორის თანაფარდობის ცვლილებამ შეიძლება შეცვალოს საერთაშორისო სისტემების სტრუქტურა, მაგრამ მისი ბუნება რომელსაც საფუძვლად უდევს დიდი სახელმწიფოების შეძლული რაოდენობის არსებობა ინტერესებთან დაუმთხვევლობით, რჩება უცვლელი.

სწორედ საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის მდგომარეობა წარმოადგენს მისი მდგრადობისა და ცვლილებების სტაბილურობისა და „რევოლუციონირობის“, თანამშრომლობის და კონფლიქტურობის მაჩვენებელს, სისტემის ჩარჩოში: სწორედ მასში ვლინდება სისტემის ფუნქციონირების და ტრანსფორმაციის კანონები. აი ამიტომაც

ნაშრომებში, მიძღვნილს საერთაშორისო სისტემების კვლევისადმი, ამ ვითარების ანალიზის ეთმობა პირველხარისხოვანი ყურადღება.

ასე მაგალითად, რ.არონმა გამოყო საერთაშორისო სისტემის სამი სტრუქტურული განზომილება: ძალთა თანაფარდობის კონფიგურაცია, აქტორების იერარქია, შემადგენლობის ჰომოგენობა ან ჰეტეროგენობა, მთავარ განზომილებად პოლიტიკური რეალიზმის ტრადიციებთან შესაბამისობაში. ის თვლიდა ძალთა თანაფარდობის კონფიგურაციას, რომელიც ასახავს საერთაშორისო სისტემაში „ხელისუფლების ცენტრების“ არსებობას, მის ძირითად ელემენტებს სუვერენულ სახელმწიფოებს შორის ურთიერთქმედებაზე დასმულ ბეჭედს. ძალთა თანაფარდობის კონფიგურაცია, როგორც უკვე აღინიშნა, დამოკიდებულია მთავარი აქტორების რაოდენობაზე და მათ შორის ურთიერთობის ხასიათზე. არის ასეთი კონფიგურაციის ორი ძირითადი ტიპი- ბიპოლარული და მულტიპოლარული.

აქტორების იერარქია ასახავს მათ ფაქტიურ უტანასწორობას, სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური რესურსების სოციოკულტურული იდეოლოგიური თვალსაზრისით და სხვა შესაძლებლობების გავლენა საერთაშორისო სისტემაზე. საერთაშორისო სისტემის ჰომოგენური ან ჰეტეროგენური ხასიათი ასახავს თანხმობას ხარისხს, რომელსაც აქვს აქტორებს ამა თუ იმ პრინციპებთან (მაგალითად, პოლიტიკური ლეგიტიმურობის პრინციპი) ან ღირებულებებთან (მაგალითად, საბაზრო ეკონომიკა, პლურალისტული დემოკრატია) მიმართებაში. რაც უფრო ბევრია ასეთი შეთანხმება, მით უფრო ჰომოგენურია სისტემა, გათიშული ღირებულებებით და იდეოლოგიური ანტაგონიზმით, წარმოადგენს, ქაოტურს, არასტაბილურს კონფლიქტურს.

საერთაშორისო სისტემის ერთ-ერთ სტრუქტურულ დახასიათებად ითვლება მისი „რეჟიმი“ ე.ი. საერთაშორისო ურთიერთობების მარეგულირებელი, ფორმალური და არაფორმალური პრინციპების ნორმების, შეთანხმების და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების ერთობლიობა. ესაა მაგალითად საერთაშორისო ეკონომიკურ გაცვლებში

გაბატონებული წესები, რომლის საფუძველი 1945წ შემდეგ გახდა ლიბერალური კონცეფცია, რომელმაც სიცოცხლე მისცა ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტების როგორცაა მსოფლიო ბანკი და სხვა ერთობლიობას.

ჟ.პ დერიენიკი ასახელებს ექვსი ტიპის იძულებით (ე.ი სტრუქტურული დახასიათება) საერთაშორისო სისტემას:

1. აქტორების რაოდენობა.
2. მათ შორის ძალთა გადანაწილება.

3. თანაფარდობა კონფლიქტსა და თანამშრომლობას შორის. სისტემა შეიძლება უფრო კონფლიქტური, ვიდრე კოოპერატიული ან პირიქით- უფრო კოოპერატიული ვიდრე კონფლიქტური. თუ სისტემის მეორე ტიპი ინსტიტუალიზირდება, მაშინ მას შეუძლია ტრანსფორმირება „ორგანიზებულ საერთაშორისო სისტემაში“ და ამით გამართლდება არონის ჰიპოთეზა „მშვიდობის კანონით“ მიღწევის შესახებ. სხვა მხრივ, კაპლანის „იერარქიული სისტემის“ ტიპი, სადაც შედარებით ძლიერი აქტორი უდებს კონფლიქტებს ზღვარს, ასევე შეუძლიათ ტრანსფორმირება ორგანულ საერთაშორისო სისტემაში, ამით ამართლებს რ.არონის ჰიპოთეზას, მშვიდობის იმპერიით მიღწევის შესაძლებლობის შესახებ.

4. მოცემული სისტემის მიერ დაშვებული ამა თუ იმ საშუალებების (ძალები გაცვლა ან დარწმუნება) გამოყენების შესაძლებლობები.

5. აქტორების საგარეო ცენტრალიზაციის ხარისხი ე.ი. მოცემული საერთაშორისო სისტემის ხასიათის გავლენა მათ ქცევაზე.

6. თვით აქტორებს შორის სტატუსების განსხვავება.

კანადელი მეცნიერის აზრით, დასახელებული სტრუქტურული დახასიათებები, თუმცა არ იძლევიან შესაძლებლობებს წინასწარ განვსაზღვროთ საერთაშორისო სტრუქტურების (რაზეც პრეტენზიას აცხადებს მ.კაპლანი), მაგრამ საშუალებას იძლევიან აღწერილი იქნას ყოველი საერთაშორისო სისტემის სტრუქტურა, რაც მნიშვნელოვანია მათი არსებობისა და ცვლილებების კანონების გამოვლენის თვალსაზრისით.

ზემოთქმული გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო სისტემების შედარებით ზოგადი კანონებად ითვლება, აქტორების ქცევის დამოკიდებულება სისტემის სტრუქტურული დახასიათებები. ეს კანონი კონკრეტიზირდება ყოველი ასეთი დახასიათებების (ან განზომილებების) დონეზე თუმცა რაოდენობასა და შინაარსზე ჯერ არ არსებობს საბოლოო შეთანხმება.

კიდევ ერთი შედარებით ზოგადი კანონის ხარისხში იწოდება საერთაშორისო სისტემების თანასწორობის კანონი ან ძალთა ბალანსის კანონი, რომელიც საშუალებას იძლევა შენარჩუნებული იქნას საერთაშორისო სისტემების შედარებითი სტაბილურობა.

საერთაშორისო სისტემის ფუნქციონირებისა და ცვლილებების კანონების შინაარსის შესახებ საკითხი სადისკუსიოა, თუმცა ასეთი დისკუსიების საგანი, როგორც წესი, ერთიანია და ეხება ბიპოლარული და მულტიპოლარული სისტემების შედარებით უპირატესობას.

მაგალითად რ.არონი თვლიდა რომ ბიპოლარული სისტემა შეიცავს თავის თავში არასტაბილურობისკენ ტენდენციას, რამდენადაც ის დაფუძნებულია ურთიერთ შიშზე და ორივე მოწინააღმდეგე მხარეს ერთმანეთთან ურთიერთობაში, სისასტიკისკენ, რაც დაფუძნებულია მათი ინტერესების წინააღმდეგობაზე.

მსგავს თვალსაზრისს გამოთქვამდა მ.კაპლანი, რომლის აზრით მულტიპოლარული სისტემა თავის თავში შეიცავს გარკვეულ რისკებს (მაგალითად, ბირთვული იარაღის გავრცელების რისკი, კონფლიქტების გაღვივება წვრილ აქტორებს შორის ან არაწინასწარ განსაზღვრული შედეგები, რომელთანაც მიიყვანოს ცვლილებებმა დიდ სახელმწიფოებს შორის კავშირები). მაგრამ ისინი არ აკეთებენ შედარებას ბიპოლარული სისტემის საშიშროებასთან. ბიპოლარული სისტემა უფრო საშიშია, რადგან ის არ ხასითდება ორივე მხარის მისწრაფებებისაკენ მსოფლიოს ექსპანსიისკენ, ითვალისწინებს მუდმივ ბრძოლას ორ ბლოკს შორის, ხან თავიანთი პოზიციების შენარჩუნებისთვის, ხან მსოფლიოს გადანაწილებისკენ არ იძლევა, მსგავსი შენიშვნებით, მ.კაპლანი

სტაბილურობის „წესებს“ ბიპოლარული და მულტიპოლარული სისტემებისთვის.

მისი აზრით, არსებობს ექვსი წესი რომელთა დაცვა მულტიპოლარული სისტემის ყოველ პოლუსს საშუალებას აძლევს დარჩეს სტაბილური:

1) გააფართოვონ თავიანთი შესაძლებლობები, მაგრამ უკეთესია მოლაპარაკებების გზით, ვიდრე ომის გზით:

2) უკეთესია ბრძოლა, ვიდრე ვერ შეძლო თავისი შესაძლებლობების გაფართოება:

3) უკეთესია ომის შეწყვეტა, ვიდრე გაანადგურო დიდი სახელმწიფო (რამე თუ არსებობს სახელმწიფოთაშორისო გაერთიანება; ევროპის დინასტიური რეჟიმი თვლიდა, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ ურთიერთქმედებას აქვს ბუნებრივი საზღვრები).

4) ყოველი კოალიციის ან ცალკეული ერის წინააღმდეგობანი, რომლებიც ცდილობენ გაბატონებული მდგომარეობა დაიკავონ სისტემაში.

5) ამა თუ იმ ნაციონალური სახელმწიფოს ყოველი ცდა წინაარმდეგობისა „შეუერთდეს ნაციონალურ საერთაშორისო ორგანიზაციულ პრინციპებს“, ე.ი სახელმწიფოების რომელიმე უმაღლესი ხელისუფლებისადმი დაქვემდებარების აუცილებლობის შესახებ იდეის გავრცელება.

6) მიეკუთვნება ყველა დიდ სახელმწიფოებს როგორც მისაღებ პარტნიორებს დამარცხებულ ქვეყანას აზლევს საშუალებას შევიდეს სისტემაში მისაღები პარტნიორის უფლებებზე ან შეცვალოს იგი მეორის გაძლიერებით, რომელიც ადრე სუსტი სახელმწიფო იყო.

მოქნილი ბიპოლარული სისტემის ფუნქციონირების კანონების შესახებ მ.კაპლანი ხაზგასმით აღნიშნავს რომ ისინი განსხვავდებიან იმაზე დამოკიდებულებით-წარმოადგენენ მისი შემადგენელი ბლოკები იერარქიულს თუ არა. როცა ბლოკები იერარქიულია სისტემის ფუნქციონირება უახლოვდება მკაცრი ბიპოლარული სისტემის ტიპს,

პირიქით, როცა ორივე ბლოკი არა იერარქიულია, პრაქტიკულად საუბარია მულტიპოლარული სისტემების ფუნქციონირების წესების შესახებ. არსებობს ოთხი ზოგადი წესი, რომელიც გამოიყენება ყველა ბლოკისადმი:

1) ისწრაფვის თავისი შესაძლებლობების გაფართოებისკენ სხვა ბლოკის შესაძლებლობებთან შედარებით.

2) უკეთესია იბრძოლო ბოლომდე, ვიდრე საშუალება მისცე მოწინააღმდეგე ბლოკს მიაღწიოს გაბატონებულ მდგომარეობას.

3) ისწრაფვის უნივერსალური აქტორების უნივერსალური მიზანი დაუქვემდებაროს თავის მიზნებს, ხოლო მოწინააღმდეგე ბლოკის მიზანი-უნივერსალური აქტორების მიზნებს.

4) ისწრაფვის თავისი ბლოკის გაფართოებისკენ, მაგრამ შეინარჩუნოს მოთმინება მიუერთებლბთან ურთიერთობაში, თუ მოუთმენლობა მივყავართ უშუალო ან შუალობით მიზიდულობას მიუერთებლობისა მოწინააღმდეგე ბლოკისკენ.

რაც ეხება საერთაშორისო სისტემის ტრანსფორმაციას მის ძირითად კანონად ითვლება საერთაშორისო სისტემის პოლარულობასა და სტაბილურობას შორისკორელაციის კანონი. მ.კაპლანი, მაგალითად ხაზგასმით აღნიშნავს მოქნილი ბიპოლარული სისტემის არასტაბილურ ხასიათს. თუ იგი ეფუძნება არაიერარქიულ ბლოკებზე, მაშინ ხდება მისი ევოლუციონირება მულტიპოლარული სისტემისკენ. თუ მიიზიდება ორივე ბლოკის იერარქიისკენ, მაშინ არის ტრანსფორმაციის ტენდენცია-ან მკაცრ ბიპოლარულ ან იერარქიულ საერთაშორისო სისტემაში. მოქნილ ბიპოლარულ სისტემაში არსებობს მიუერთებლბთან გაერთიანების რისკი: ერთი ბლოკის მეორესადმი დაქვემდებარების რისკი, ტოტალური ომის რისკი, რომელიც მიდის ან იერარქიული სისტემისკენ ან იერარქიისკენ. შიდაბლოკური დისფუნქცია მასში ჩახშობილია, სამაგიეროდ მძაფრდება ბლოკთაშორისი წინააღმდეგობა. ბიპოლარული სისტემის სტაბილურობის ძირითადი პირობები, ასკვნის მ.კაპლანი, ესაა სიძლიერის წონასწორობა. თუ გამოჩნდება მესამე ბლოკი ამას მივყავართ სისტემის სერიოზულ განზალანებისა და განადგურების რისკისკენ.

დ.სიგნერი და კ.დოიჩი იკვლევდნენ საერთაშორისო სისტემების პოლარულობასა და სტაბილურობას შორის კორელაციის პრობლემას ფორმალურ-თეორიულ გეგმაში, მივიდნენ იმ დასკვნამდე რომ: 1) როგორც ბიპოლარული ისე მულტიპოლარულ სისტემებს აქვთ თვითგანადგურების ტენდენცია. 2) მკაცრი ბიპოლარული სისტემის არასტაბილურობა უფრო დიდია, მულტიპოლარული სისტემის არასტაბილურობასთან შედარებით.

სხვა ამერიკელმა მეცნიერმა მ.ხასმა ეს დასკვნან დაუქვემდებარა ემპირიულ შემოწმებას ამ მიზნით მან შეისწავლა 21 საერთაშორისო სისტემა: მკაფიოდ განსაზღვრული სივრცობრივ გეოგრაფიულ და ისტორიულ პლანში, და მივიდა ფაქტიურად საწინაარმდეგო დასკვნამდე. მისი აზრით ასეთი კორელაცია ატარებს უკუ-პროპორციონალურ ხასიათს ბიპოლარულ სისტემაში, თვლის მ.ხასი რომ ომები ნაკლებ მრავალრიცხოვანია, თუმცა აქვთ დიდი ხანგრძლიობის ტენდენცია, ვიდრე მულტიპოლარულ სისტემაში კ.უოლცის თვალსაზრისით, ბიპოლარულ და მულტიპოლარულ სისტემებს შორის არავითარი ხარისხობრივი განსხვავება ფაქტიურად არვარსებობს, შეიძლება გარდა იმისა რომ პირველი უფრო სტაბილურია ვიდრე მეორე.

რ.ხოუკრანსმა შემოგვთავაზა ე.წ. „რეველანტური უტოპიის“ თეორიული მოდელი, რომელიც გაერთინდება, როგორც ბიპოლარული (უპირველესად მოცემული სისტემისათვის პერიფერიული კონფლიქტების კონტროლის შესაძლებლობა) ასევე მულტიპოლარული (საყოველთაო კონფლიქტის თავიდან აცილების შედარებით მნიშვნელოვანი შესაძლებლობები) სისტემის და ერთდროულად წაერთმეოდა ნაკლოვანებები მათ ორთავეს რეზულტატი იქმნებოდა „ბიმულტიპოლარული სისტემა“, რომელშიც ორი „მთავარი“ აქტორს შეეძლებოდა კონფლიქტების რეგულატორის როლი ეთამაშა თავიანთი ბლოკების საზღვრების გარეთ, ხოლო სახელმწიფო რომელიც წარმოადგენს სისტემის მულტიპოლარულ კონფიგურაციას, გამოვიდნენ შუამავლებად ორ პოლუსს შორის კონფლიქტებში.

საერთაშორისო სისტემების ფუნქციონირებისა და ტრანსფორმაციის კანონების პრობლემების განხილვის შედეგების შეჯამებისას, ნაყოფიერად უნდა მივიჩნიოთ მისი წამოყენება, რომელმაც საშუალება მოგვცა დაგვეჩინა მსოფლიო არენაზე სახელმწიფოთა ქცევის დამოკიდებულება მათ მიერ საერთაშორისო სისტემის ფორმირებაზე, სახელმწიფოთაშორისო კონფლიქტების კავშირების სიხშირეზე და ხასიათზე, მის სტრუქტურულ დახასიათებებზე, დიპლომატიაში სისტემის წარმომქმნელი ფაქტორების აღრიცხვის აუცილებლობაზე. თვით იდეაც კი საერთაშორისო ურთიერთობებში სისტემური კანონების არსებობის შესახებ იძლევა საშუალებას საერთაშორისო სისტემები განხილული იქნას როგორც მთელი რიგი სახელმწიფოების მიერ განსაზღვრული პოლიტიკური ეკონომიკური და იდეოლოგიური სტატუს-კვოს მიღების რეზულტატი საერთაშორისო არენაზე. ზოგადპლანეტარული რეგიონალურ ან სუბრეგიონალურ დონეზე. ამგვარ მოსაზრებით, ყოველი საერთაშორისო სისტემა წარმოადგენს სხვას არაფერს თუ არა სახელმწიფოებს შორის ძალთა თანაფარდობის არაფორმალური ინსტიტუალიზაცია, შესაბამის სივრცობრივ-დროით კონტექსტში.

ამავე დროს გულობრველობა იქნებოდა ჩაგვეთვალა რომ საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებაში არსებული საერთაშორისო სისტემების ფუნქციონირების და ტრანსფორმაციის კანონები ფლობენ სიმკაცრის ისეთ ხარისხს, რომელიც საშუალებას მოგვცემდა მის საფუძველზე უშეცდომო პროგნოზების გაკეთებისა: გარდა ამისა ისინი ფრჩხილებს გარეკ ტოვებენ საერთაშორისო კონფლიქტების ძირითადი მიზეზების გამოკლევას, საერთაშორისო ურთიერთობების შეჯამება სახელმწიფოთაშორისო ურთიერთქმედებასთან, გაუმართლებლად ზღუდავს საერთაშორისო სისტემის ცნებას ნმხოლოდ იმ სახელმწიფოებით, რომელთა შორის არსებობენ პირდაპირი რეგულარული ურთიერთობები და სამხედრო ძალების პირდაპირი ურთიერთაღრიცხვა. მაგრამ როგორც სწორედ აღნიშნავს ბ.ფ პორშენევი არის ვრცელი დარგი ირიბი, დროდადრო დამოკიდებულების

გაუცნობიერებლად მოქმედი პირებით, რომელთა გარეშე სისტემის შესახებ წარმოდგენა რჩება არასრული'. ამრიგად სისტემური მიდგომის გამოყენება იძლევა კვლევისთვის მდიდარ თეორიულ და მეთოდოლოგიურ შესაძლებლობებს.

და მაინც სისტემურ თეორიას არ შეუძლია დაიტრაბახოს ძალიან დიდი წარმატებებით საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზში. შეიძლება დავასახელოთ ორი დარგი, სადაც მან მიაღწია უდავოდ დადებით შედეგებს: ესაა სტრატეგია და საერთაშორისო-პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესისი დამსახურება იყო ძალიან მოკრძალებული. გნოსეოლოგიურად ეს აიხსნება იმით, რომ არც ერთი სისტემა რომელმაც მიაღწია სირთულის გარკვეულ დონეს, არ შეიძლება იყოს შეცნობილი სრულად. აქედანაა ის წინააღმდეგობები, რომელზეც მიაქციეს ყურადღება ბ.ზადიმ და მ.კ სმუცმა. სისტემური მიდგომა განიხილება, როგორც სისტემის მისი შემადგენელი ელემენტების შეერთების სხვადასხვა საშუალებების გამსაზღვრელი მდგომარეობის გამოვლენის მეთოდი, მაგრამ როგორც კი მკვლევარი გამოდის უბრალო სისტემის ჩარჩოს გარეთ, რომელიც დაფუძნებულია იმისთვის, რომ ჩაითვალოს სწორად ის გაკეთებული დასკვნები მნიშვნელოვნად მცირდება.

გარდა ამისა, საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებაში, აქამდე არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის ცნება, რომელთაც აქვს შეთანხმების საკმაოდ მაღალი დონე, წარმოადგენს როგორც უკვე დავრწმუნდით, ძალიან ვიწროა ყველა თავისი განზომილებითაც კი. ამიტომ ბევრი მკვლევარი უარს ამბობს მასზე.

საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში თანამედროვე ეტაპის სიახლემ მთელი სიცხადით გამოაშკარავა შეზღუდულობა, პოლიტიკური რეალიზმის ისეთი ცნებების მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული, როგორიცაა „ძალთა თანაფარდობის კონფიგურაცია“ ან „მულტიპოლარულობა“. საბჭოთა ბლოკის დაცემა და განადგურება ომის

მომდევნო წლებში გლობალური ბიპოლარულმა სისტემებმა (მისი გლობალურმა ყოველთვის იყო შედარებით).

წინა პლანზე წამოაყენეს ისეთი კითხვები, რომლებიც ვერ გადაწყდებიან ტრადიციულ ტერმინებში „პოლუსები“, „ძალთა ბალანსი“, გაქრა მკაფიო დაყოფის ხაზი „ჩვენებსა“ და „სხვებს“ შორის მოკავშირებსა და მოწინააღმდეგებს, ნაკლებად წინასწარ განსაზღვრული გახდა პატარა სახელმწიფოების ქცევები. მსოფლიო შევიდა დაურწმუნებლობისა და გაზრდილი რისკების ზოლში, გამწვავებული ბირთვული, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური და სხვა სახის ახალი შეიარელების გავრცელებით. ფართო გავრცელება დასავლეთის ღირებულებებისა (როგორებიცაა საბაზრო ეკონომიკა, პლურასტიკური დემოკრატია, ადამიანის უფლებები, ინდივიდუალური თავისუფლებები, სიცოცხლის ხარისხი), როგორც ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში, ასევე პოსტკოლონიალურ სახელმწიფოებში არ უზრუნველყოფს საერთაშორისო სისტემების გლობალურ სტაბილურობას, მისი ჰომოგენობის ხარისხის გაზრდის ხარჯზე. პირიქით მას აქვს შედეგად მოსახლეობის მასიური მიგრაცია ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული ქვეყნიდან უფრო მდიდარში, იწვევს კონფლიქტებს, დაკავშირებულს კულტურების დაჯახებასთან, იდეალების დაკრგვასთან ტრადიციების დარღვევასთან თვით იდენტურობის წალეკვასთან რეაქციული ნაციონალიზმის ამოფრქვევით. გლობალური საერთაშორისო სისტემა განიცდის ღრმა რყევებს, დაკავშირებულს თავისი სტრუქტურის ტრანსფორმაციასთან, რომელიც იცვლება გარემოსთან ურთიერთქმედებებით.

თავი VI

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემების გარემო

როგორც უკვე დავინახეთ, სტრუქტურა ზემოქმედების ერთობლიობა, რომელსაც სისტემა თავის ელემენტებზე ახდენს. მაგრამ ზემოქმედების ან იძულების უმრავლესობა, გამოდის არა სისტემის არსებობიდან „არამედ მასსა და მის გარემოს შორის ურთიერთობიდან. გარემოს ცნება-სისტემური ანალიზის ერთ-ერთი ფუნდამენტალური ცნებაა. მას აქვს მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა, ეხმარება სისტემის ფუნქციონირების და მისი ევოლუციის გარკვევას. აი ამიტომ, სისტემური ანალიზის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა პოლიტიკურ მეცნიერებებთან მიმართებაში, დევიდ ისტონმა, ჯერ კიდევ 50-იან წლებში მიაქცია ყურადღება იმაზე რომ პოლიტიკური სისტემა განიცდის გარკვეული საგარეო იმპულსების გავლენას, რომლებიც მოდის საზოგადოებიდან და რომლებიც ზემოქმედებენ მასზე მოთხოვნის და დახმარების სახით, უზრუნველყოფენ მის შეუწყვეტელ ფუნქციონირებას.

ზოგადად სისტემის გარემოს ქვეშ იგულისხმება ის რაც გარს ახვევია, მაგრამ ეს ძალიან ზოგადი წარმოდგენა, ცოტა რამეს იძლევა, მისი შემდგომი კონკრეტიზაციის გარეშე. ასეთი კონკრეტიზაციისას ირკვევა, რომ საზოგადოებრივ ისე ბუნებრივ სისტემებთან მიმართებაში არსებობს არა მხოლოდ საგარეო, ის შიგა გარემო. განსხვავებენ ასევე სოციალურ გარემოს (ერთობლიობა ზემოქმედებისა, რომლის წარმოშობა დამოკიდებულია ადამიანის არსებობასთან და საზოგადოებრივ ურთიერთობასთან) და არასოციალურ გარემოს (ბუნებრივი გარემოცვის მრავალსახეობა, გეოგრაფიული თავისებურებანი, ბუნებრივი რესურსების არსებული ბუნებრივი საზღვრების გადანაწილება და ა.შ). შუალედური სახეობის ხარისხში ზოგჯერ განიხილავენ ზემოქმედებისა და იძულებას, რომლებიც გამომდინარეობენ საზოგადოების ტექნიკური ბაზაში ცვლილებებიდან, სხვა შემთხვევებში ტექნიკური (ასევე ეკონომიკური,

სამხედრო პოლიტიკური, დიპლომატიური და ა.შ) გარემო გაგებულია როგორც სოციალური (საზოგადოებრივი) გარემოს ელემენტი. საგარეო გარემო ესაა სისტემის გარემოცვა, მასზე დაკისრებული გარკვეული იძულება და შეზღუდვა; კლიმატი მხარის ლანდშაფტი, საზღვრების კონფიგურაცია, სასარგებლო წიაღისეული და ა.შ-უდავო გავლენას ახდენენ სახელმწიფოების ურთიერთქმედებაზე და საერთაშორისო ურთიერთობების სხვა აქტორებზე. ზოგჯერ ასეთი გავლენა არის მეტისმეტად დიდი, თუ არა გამსაზღვრელი: ეს დამახასიათებელია საზოგადოებისთვის როგორც მისი განვითარების ადრინდელ საფეხურებზე, ასევე ახლანდელ დროშიც ეკოლოგიური პორობლემების უჩვეულო გამწვავების პერიოდი. შიგა გარემო (ან კონტექსტი) ესაა იძულების ერთობლიობა, რომელსაც ახდენენ მისი ელემენტების სისტემაზე. ერთი ორგანოს დავალებამ შეიძლება გამოიწვიოს მთელი ორგანიზმის ავადმყოფობა, ხოლო აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების დეგრადაციამ გამოიწვიოს პოლიტიკური სისტემის გაბალანსება და კრიზისი. სტრუქტურისაგან განსხვავებით, გარემო-ესაა არასისტემური ხასიათის იძულებების ერთობლიობა. ეს ეხება როგორც საგარეო ისე საშინაო (ასევე სოციალური და არასოციალური) გარემოს, ძალთა რეგიონალური თანაფარდობის გავლენა ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს ურთიერთქმედებაზე, მაგალითად ლათინური ამერიკა, ამ თვალსაზრისით წარმოადგენს არა გარემოზე ზემოქმედებას, არამედ იძულებაზე, რომელსაც განსაზღვრავს საერთაშორისო ურთიერთობების მოცემული ქვესისტემის სტრუქტურის ხასიათი. პირიქით სახელმწიფოებს სორის ურთიერთობების ხასიათში ცვლილებები ბუნებრივი ფაქტორების („Тресковый გირთევზა ომების მსგავსი ირლანდიისა და ნორვეგიას შორის დაკავშირებული თევზის განსაზღვრული სახეობების შემცირებული ბუნებრივი არეალების რეწვასთან) ზემოქმედებით შეიძლება განხილული იქნას, სიტუაციური ე.ი განსაზღვრული ბუნებრივი გარემოს ცვლილებებით.

მითითებული ცნებები აადვილებენ სოციალურ ურთიერთობებში მიმდინარე პროცესების გაგებას და ახსნას. ამასთან ერთად აუცებელია გვახსოვდეს, რომ ისინი ასახავენ არსებულ რეალობას საკმაოდ მიახლოებითი და მაშასადამე ფრიად პირობით ხასიათს, რამე თუ მათ მიერ აღწერილი სინამდვილე, მნიშვნელოვნად რთულია. ეს განსაკუთრებით სწორია, როცა საუბარი მიდის საერთაშორისო ურთიერთობებში.

1.საერთაშორისო ურთიერთობების გარემოს თავისებურებანი

ნამდვილად, შედარებით ადვილია წარმოვიდგინოთ სახელმწიფოთაშორისო, მაგალითად, რეგიონალური ურთიერთობების სისტემა, სტრუქტურა და გარემო: ევროკავშირის სტრუქტურა შეიძლება იყოს წარმოდგენილი როგორც ეკონომიკური, დიპლომატიური, სამხედრო-პოლიტიკური, კულტურული და სხვა ზემოქმედებების ორგანიზაციის საშუალება. მასტან გარემოს ურთიერთობების სახით გამოდის სხვა სახელმწიფოების ერთობლიობა, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების და სხვა აქტორებისაც, რეგიონალურ-გეოგრაფიულ (ევროპულ), პოლიტიკურ (გაერო და მისი ინსტიტუტები, ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაცია, აფრიკული ერთობის ორგანიზაცია, არაბულ სახელმწიფოთა ლიგა და ა.შ.) ეკონომიკურ (ოპეკი და ა.შ) და სხვა დონეებზე. ამ გარემოს ყოველი ელემენტი ამა თუ იმ გავლენას ახდენენ სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარებაზე, რომლის შედეგიც იქნება როგორც ცვლილებები, მომხდარი მოცემულ სისტემაში, ასევე რეაქცია („პასუხები“) ამ გავლენებზე ევროკავსირის მხრიდან.

მოცემულთან კავსირში, ამერიკელმა მეცნიერებმა გაროლდმა და მარგარეტ სპროუტმა წამოაყენეს „ეკოლოგიური ტრიადის“ იდეა რომელიც შედგება სამი ნაწილისაგან: საერთაშორისო აქტორი, მისი გარემო (ენვაირომენტი) და მათ შორის ურთიერთქმედება. ამასთან ისინი გამოყოფენ ასეთი ურთიერთქმედების რამდენიმე ტიპს: 1) ესაა ურთიერთქმედება, დაკავსირებული არსებული ენვაირომენტის რეალურ

შესაძლებლობებთან, ე.ი. გარემოს შეზღუდვის არსებული ერთობლიობით, რომლის გადალახვა აქტორს არ შეუზღია: ასე, მაგალითად სპარსეთის მეფე დარიუსს არ შეეძლო ტელეფონით მოეგვარებინა თავისი უთანხმოება ალექსანდრე მაკედონელთან. 2) ესაა ზემოქმედება, რომელიც ფორმირდება მოცემული ენვირომენტის მოსალოდნელი ტენდენციების გავლენით. ე.ი. ყოველ სიტუაციასი არსებობს გარემოს შეზღუდვა, რომელიც ხდის შესაძლებელს „ნორმალური მოლოდინის“ ქცევის სრულად განსაზღვრულ ხასიათს. 3) ეს არის აქტორის შეგნებული ქცევის ტიპი ან სხვანაირად რომ ვთქვათ გარემოს ურომელიც შიძლება კარდინალურად განსხვავდებოდეს იმისგან, რასაც წარმოადგენს სინამდვილეში) მისი პირადიული აღქმის თავისებურება და შესაბამისად რეაქცია მის ცვლილებაზე.

ბ.რასესეტი და ხ.სტარი ამასთან დაკავსირებით მიდიან მენიუს ანალოგიასთან: პიროვნება (აქტორი) რესტორანსი ყოფნისას შეეჯახება მენიუს (ენვიარემონტს), რომელიც არ განსაზღვრავს მის არცევანს მაგრამ ზღუდავს შესაძლებლობებს, აქედან გამომდინარე აქტორის „მენიუს“ და გადაწყვეტილების მიღების ინდივიდუალური პროცესის ცოდნის პირობებში, შეიზლება მისი ქცევის გაანალიზება.

მსგავსი სახის თეორიული მოდელის მეთოდოლოგიური სარგებლიანობა არ იწვევს ეჭვს. სირთულეები წარმოიშობა მასინ როცა საუბარი იწყება გლობალურ ან ზოგადპლანეტარულ საერთაშორისო გარემოზე. ისინი ეხებიან უპირველეს ყოვლისა, გლობალური საერთაშორისო სისტემის საგარეო გარემოს რომლისთვისაც ზემთ არწერილი მაგალითები წარმოადგენენ არა იმაზე მეტს ვიდრე კონტექსტია (შიგა გარემო). როგორც მ.მერლი წერს გლობალური საერთაშორისო სისტემის საგარეო გარემო შეიძლება ნაპოვნი იქნას მხოლოდ ბუნებრივ გარემოცვაში. ატმოსფერო, სტრატოსფერო, მზის სისტემა..... მაგრამ მაშინ საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერება უნდა დაემთხვეს მეტეოროლოგიას ან ასტროლოგიას. მსგავსი გაგებიდან გამომდინარე გ.და მ. სპროუტები თვლიან რომ გარემოს ცნება სრულიად

ოპერაციულია ისეთი კონკრეტული დარგის ანალიზისადმი, როგორცაა ეკოლოგია, ნაკლებპროდუქტიულია გლობალური საერთაშორისო ურთიერთობების კვლევისას, რომელიც მოითხოვდა აბსტრაქციის შედარებით მაღალ დონეს. დ.სინგერის თვალსაზრისით, გარემოს ცნება შეიძლება სასრგებლო იყოს საერთაშორისო ქვესისტემის შესწავლისას. რაც ეხება გლობალურ საერთაშორისო სისტემას, ის შეიძლება განხილულიყო მხოლოდ როგორც მათი გარემო, მაგრამ არა როგორც სისტემა ამ ტერმინის ზუსტი მნიშვნელობით, რამდენადაც მას არ სეუზლია ჰქონდეს ურთიერთობა ან ზემოქმედება რაიმენაირ მონათესავე სისტემასთან ფ.ბრაიარი, პირიქით, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყოველი სისტემას, განსაზღვრებით, არ შეიძლება არ ჰქონდეს თავისი გარემო. არსებობს არა მხოლოდ დაკეტვა არამედ სისტემის გახსნა. სწორედ ამ უკანასკნელს მეკუთვნება გლობალური საერთაშორისო სისტემა. და ბოლოს მოვიყვანთ ჟ.მოდელსკის პოზიციას, რომლის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობების გარემოს მიეკუთვნება ყველაფერი ის რაც გამოდის მისი ჩარჩოს გარეთ, ე.ი არსებობს მისგან დამოუკიდებელი გეგრაფიულ გარემოცვას ან პოლიტიკური ურთიერთობები.

საერთაშორისო გარემოს გაგებაში აღნიშნული განსხვავებანი არ ეხებიან იმას რასაც ავტორების აბსოლუტური უმრავლესობა გლობალური საერთაშორისო სისტემის სოციალური გარემოს სპეციფიკური თავისებურებების ხარისხში აღნიშნავენ: დ.ისტონის თქმით მისი „ინტრასოციეტალური“ ხასიათი. სხვა სიტყვებით საუბარია „შიგა გარემოცვის“ შესახებ ან „კონტექტის“ ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ახდენენ ზემოქმედებას გლობალურ საერთაშორისო სისტემაზე, თავს ახვევენ მის განვითარებას შეზღუდვას და იძულებას ზოგადად, შეიძლება ვთქვათ, ფაქტორების ასეთი ერთობლიობა წარმოადგენს ცივილიზებულ ცვლილებებს.

2. სოციალური გარემო. მსოფლიო ცივილიზაციის თანამედროვე ეტაპის თავისებურებანი.

„ცივილიზაციის“ ცნება გაჩნდა XVIII საუკუნეში და თავდაპირველად ის გამოიყენებოდა საზოგადოების განვითარებაში განსაზღვრული ისტორიული საფეხურის არნიშვნისთვის. პირველად ეს ცნება იხმარა შოტლანდიელმა ფილოსოფოსმა ა.ფერგიუსონმა (1723-1816) განიხილავდა მის შინაარს ყველაზე ფართო გაგებით-ის რაც განასხვავებს ადამიანთა საზოგადოებას ცხოველური სამყაროსაგან, ერთი მხრიდან, სხვა მხრიდან ყოველი სხვა საზოგადოებისაგან. უკვე XVIIIს მეორე ნახევრიდან ფართო გავრცელება ჰპოვა ცივილიზაციის სხვაგვარმა განმარტებამ მას განიხილავენ, როგორც ღირებულებების გარკვეულ ერთობლიობას, რომელიც მდიდრდება საზოგადოების განვითარების მსვლელობასი, როგორც მისი სოციალური და მორალური სრულყოფა. ცივილიზაციის მისია არნიშნავდენ ფრანგი განმანათლებლები, მდგომარეობს იმაში, რომ ბოლო მოეღოს ომებსა და დაპყრობებს, მონობას სიღარიბეს და მსოფლიოში გავრცელდეს დიდებული „გონის იმპერია“. XIXს დასასრულისა და XXს დასაწყისის ცნობილი ფრანგი სოციოლოგები ე.დიურკეიმი და მ.მოსსი ცივილიზაცია მიაკუთვნებდენ მსხვილ იდეოლოგიურ, მხვატერულ, კულტურულ და პოლიტიკურ ღირებულებებსა და მოძრაობებს.

ცივილიზაციის დამახასიათებელი თვისება, მათი აზრით მდგომარეობს იმაში, რომ ის გამოდის ამა ტუ იმ ისტორიული ერთობის სივრცობრივი და დროის ჩარჩოდან, ამიტომ ცივილიზაციას ისინი მიაკუთვნებდენ მხოლოდ იმ ელემენტებს საზოგადოების ცხოვრებაში, რომლებსაც შეუძლიათ გადაცემა ან სესხება: მაგალითად ძველი ელადის და ძველი რომის სახელმწიფოებრივი მართვის ფორმები აღორძინების და რეფორმაციის ეპოქების ღირებულებები, აფრიკული ტომების ზრაპრები და ა.შ.

ო.შპენგლერის (1880-1936) ფილოსოფიაში ცივილიზაცია-ესაა დასკვნითი პერიოდი კარჩაკეტილი, ლოკალური კულტურების (ეგვიპტური, ბერძნულ-რომაული. დასავლეთ ევროპული და ა.შ) განვითარებაში რომლის პროცესში ხდება მათი დასასრული და დაცემა.

ცივილიზაცია და პროგრესი შეუთავსებლებია, როგორც შეუძლებელია ერთიანი ზოგადკაცობრიული ცივილიზაციის არსებობა. ლოკალური ცივილიზაციის პლურალიზმსა იდეა რომელმაც თავის განვიტარებასი განვლო რამდენიმე სტადია დაბადებიდან სიკვდილამდე-დამახასიათებელია ა.ტონბისთვის (1889-19750. ამავე დროს ის აღნიშნავდა მემკვიდრეობითობას, ერთიანობის არსებობას სხვადასხვა ცივილიზაციებში რომლებიც მისი აზრით, წარმოადგენენ საზოგადოებრივი ისტორიის საერთო მრავალრიცხოვან ტომებს.

ცივილიზაციის პლურალიზმს დროში სცნობს მარქსიზმიც. მისთვის დამახასიათებელია ცივილიზაციის გაგება, როგორც გლობალური ეპოქის კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც ემთხვევა კლასობრივი ფორმაციების ეპოქას, ადა მინის გაუცხოებით-ერთდროულად მისი გადალახვის რეალური წინამძღვრების ფორმირებასთან და „ადამიანის დაბრუნება თავის თავთან, როგორც საზოგადოებრივ ადამიანთან“ ფ.ენგელსი ლ.მორგანის კვალდაკვალ კაცობრიობის განვითარებაში განსხვავდება შემდეგ ეპოქებს; ველურობა-ბუნების მზა პროდუქტების უპირატესი მითვისების პერიოდი, ბარბაროსობა-მესაქონლეობის, მიწათმოქმედების შემოღებაა, შრომის საშუალება ბუნების პროდუქტების გაზრდის მეთოდების და უფლების პერიოდი.

ცივილიზაცია-ბუნების პროდუქტების გადამუშავების პერიოდი, მრეწველობის და ხელოვნების პერიოდი. მარქსიზმის თვალსაზრისით, ცივილიზაციის მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს მისი მუდმივი განვითარება დაბალიდან მაღლისკენ, ე.ი. პროგრესი, თუმცა ის ხასითდება მუდმივი წინააღმდეგობებითაც. საბოლოო ჯამში, ცივილიზაცია წარმოადგენს საზოგადოების განვითარებაში უმაღლესი სტადიისკენ გარდამავალ საფეხურს, მმართველობაში დემოკრატიის ბატონობისკენ, ძმობისკენ უფლებათა თანასწორობისკენ და საყოველთაო განათლებისკენ. ეს ნიშნავს რომ ცივილიზაციის მრავალსახეობა, მარქსიზმის

თვალსაზრისით, იცვლება საბოლოო ჯამში, ადამიანთა საზოგადოების ერთიანი ზოგადპლანეტარული მოწყობით.

მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებები იწვევენ გარდაუვალ ცვლილებებს ტერმინი „ცივილიზაციის გაგებაში, რომლის შინაარსი ვითრდება მისით აღნიშნული ობიექტის ევოლუციის და მეცნიერების განვითარების მიხედვით. დღეს ცივილიზაციის ცნება მოიცავს ორ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტს. მასში კონცენტრირდება მსოფლიო ისტორიის შედარებით მნიშვნელოვანი მოვლენები, ადამიანთა საზოგადოების მატერიალური და სულიერი კულტურის ერთიანობა და მრავალსახეობა, მისი ღირებულებები, ცხოვრების სახე და შრომა. ყოველი პერიოდი ყოველი საზოგადოება და ერი ფლობს საკუთარ განუმეორებელ ცივილიზაციებს. ამავდროულად ყოველ მათგანში არის ელემენტები, რომელიც დამახასიათებელია კაცობრიობისთვის მთლიანობაში. მეცნიერებისა და ტექნიკის კავშირგაბმულობის და ტრანსპორტის საშუალებები ეკონომიკური კულტურული და სხვა გაცვლები სახელმწიფოებს ხალხებსა და კერზო სუბიექტებს შორის. ამ ელემენტების რაოდენობა იზრდება. ცივილიზაციის ცნებას აქვს ზოგადპლანეტარული ხასიატი, თავისებური კოსმოსური განზომილება, რომელიც ასახავს ადამიანთა მოდემის უნიკალურობას და განუმეორებლობას.

თანამედროვე პირობებში, ცივილიზაციისთვის დამახასიათებელ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დახასიათება მის ზოგადპლანეტარულ განზომილებაში, ხდება მისი შესვლა ისეთ ფაზაში, როცა სიმწვავე გროვდება და წინააღმდეგობა და პრობლემები აგრძელებს გაღრმავებას, რაც სრულად რეალურს ხდის კაცობრიობის დაღუპვის მუქარას ან ნაკლები საზომით მისი არსებობის მნიშვნელოვანი ასპექტების სერიოზულ შერყევას და დეგრადაციას. საუბარია უპირველეს ყოვლისა თერმობირთვული ომის წარმოშობის საფრთხის შენარჩუნების შესახებ, სხვა გლობალური პრობლემების მკვეთრი გამწვავება წინააღმდეგობრივი დემოგრაფიული ცვლილებების ფონზე გაჭიანურებული რეგიონალური კონფლიქტების, მიკროელექტრონული რევოლუციის მოთხოვნებისადმი

ადაპტაციაში, ამასვე ეკუთვნის ასევე ქალაქების კრიზისი, ნარკომანიის დანაშაულის და ტერორიზმის ზრდა კულტურის და მორალის დეგრადაცია, ადამიანთა მნიშვნელოვანი მასის მარგინალიზაცია, ღირებულებების სტრუქტურების თანამედროვე ადამიანის მოთხოვნების და იდეალების ცვლილებები.

თანამედროვე გლობალური ცივილიზაციის წინააღმდეგობრიობის ხარისხი საკმაოდ საეჭვოს ხდის. მანამდე ბევრი სოციალური მიმდინარეობისთვის უდავო ვითარებას საზოგადოებრივი პროგრესის შესახებ. ყოველ შემთხვევაში სულ უფრო ცხადი ხდება სამეცნიერო-ტექნიკური ან მატერიალური პროგრესის გაიგივების უშინაარსობა, საზოგადოებრივ პროგრესთან მთლიანობაში. ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებშიც კი სამეცნიერო-ტექნიკური და მატერიალური ზრდა არ გახდა მიზეზი ზნეობრიობის, სულიერი კულტურის ან შემწყნარებლობის ზრდისა ნაციონალურ და სოციალურ ურთიერთობებში. ეს სწორია მსოფლიოსთვის მთლიანობაში, სადაც განვითარებული ქვეყნები წარმოადგენენ უმცირესობას ტანაც მატ სუსტად განვითარებულ ქვეყნებს შორის განხეთქილება არ მცირდება პირიქით რაც უფრო იზრდება.

არ მცირდება-მიუხედავად უნივერსალური ღირებულებების და პრობლემების ხვედრითი წილის გაზრდისა რომელიც განასხვავებს კაცობრიობას მისი ადრინდელი ისტორიული თაობებისგან და მისთვის დამახასიათებელი თვითმყოფადი (ნაციონალური რეგიონალური, კონფესიონალური) ცივილიზაციისა და კულტურის მრავალსახეობა. ამასთან დაკავსირებით დგება საკითხი მათი ზემოქმედების თავისებურებების შესახებ, საერთაშორისო ურთიერთობებზე გავლენის ხასიათის შესახებ, არსებობს ამ საკითხის ანალიზისადმი სამი მიდგომა.

პირველი მათგანი მოწყდა ცივილიზაციის და კულტურის დახასიათებას, როგორც მაკონტროლებელ და მარეგულირებელ ინსტაციას, რომელიც დასტურდება (ან არ დასტურდება) ესა თუ ის ცვლილებები სოციალურ წესში, რომელიც დაკავშირებულია მოცემული

ერთობის სხვა ერთობებთან ზემოქმედებასთან. ასეთი თვალსაზრისით მაგალითად თუ რუსეთის საზოგადოების მოდერნიზაციის ცდა დასავლეთის მოდელების სესხების გზით განიცდიან ჩავარდნას ამის ახსნა უნდა მოიძებნოს რუსეთის კულტურის თვითმყოფადობაში რომელიც ჩამოიშორებს მისი ტრადიციებისთვის უცხო რეფორმების ხერხები და ფორმულები.

მეორე მიდგომა დაკავშირებულია ევოლუციურ (უფრო სწორედ „დეველოპმენტალისტური“) ჰპოთეზასთან, რომელსაც იზიარებენ ე.დიურკეიმეი და მ.ვებრი, რომელთა თანახმადაც ცივილიზაციებსა და კულტურებს შორის განსხვავება ატარებს დროებით და მეორეხარისხოვან ხასიათს. პირველხარისხოვან და მუდმივს წარმოადგენს საზოგადოების უწყვეტი მოძრაობა უნივერსალური კულტურული ღირებულებებისადმი, რომლებიც ხდებიან სულ უფრო სეკულარიზებული, უფრო რაციონალურები და უფრო სრულყოფილები.

და ბოლოს, მესამე-„დიფუზიური“ მიდგომა ეფუძნება კულტურული ნაკადების თეორიას (ჰ.სოროკინი, ტ.პარსონსი), რომელიც აერთიანებს დებულებებს კულტურების თვითმყოფადობის და კონვერგენციის შესახებ. ამ თეორიის შესაბამისად უფრო რაციონალურ კულტურებს აქვთ ტენდენცია გავრცელდეს სხვებზე-უკანასკნელის მიერ მათ ღირებულებების და ნორმების სახების გზით. ასეთი თავისი არსით ერთმიმართულებიანი კულტურული ნაკადების მოძრაობა წარმოადგენს საერთაშორისო სისტემის თვით რეგულირებას. როგორც რ.არონი წერს რომ დიპლომატიის ფორმებს და მეთოდების პლანეტარული გავრცელება, ინდუსტრიული საზოგადოების უნივერსალიზები, საერთორისო სამართლებრივი წესრიგის ამერიკული კონცეფციის ტრიუმფის შედეგია სხვადასხვა ცივილიზაციების გეტერეგენობის წალეკვა და მათი კონვერგენცია ერთი და იმავე საერთაშორისო სისტემაში, რომელთა ყოველი მონაწილე ისწრაფვის სიმდიდრის და ძლიერების ერთი და იგივე საშუალებებიტ.

დღეს უკვე შეუძლებელია ყურადღება არ მივაქციოთ საყოველთაო გავრცელების ისეთ ფენომენებს, მაგალიტად როგორცაა ადამიანის უფლებები დემოკრატია, საბაზრო საზოგადოება, მატერიალური კეთილდღეობა, სამომხმარებლო კულტურა, თავისუფალი დრო მისი ცდუნებებით და ა.შ. მათი დიფუზიის მიზეზს წარმოადგენს როგორც ზეწოლა არა მხოლოდ ობიექტური ასევე არამიზანმიმართული-დასავლეთის ცივილიზაციისა, ასევე არმოსავლეთის ხალხების „კულტურული იმპორტის“ გაფართობა. მსგავსი „კულტურული“ (ან ცივილიზაციური) გამოსხივება შედარებით ეფექტურ საშუალებებს წარმოადგენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

პოსტინდუსტრიული საზოგადოებისკენ გადასვლის ეპოქაში გზა დიდებისკენ სიმდიდრისა და სიზლიერისკენ დევს ინფორმაციის წყაროების დეა საშუალებების გაფართოების ფლობაზე. თანამგზავრული ტელემუწყობლობა, ტელეფაქსები, ელექტრონული ფოსტა პრაქტიკულად შესაძლებელს ხდის ინფორმაციის სწრაფი გავრცელება მსოფლიოს ყოველი წერტილიდან სხვა წერტილებში. მაგრამ ამა თუ იმ მოვლენის შესახებ ინფორმაციის გავრცელება იძლევა არა მხოლოდ იმას საშუალებას მათ გააცნოს დიდი აუდიტორია ასევე პროპაგანდა გაუწიოს ან პირიქით, გამოიყენოს იგი საკუთარი ინტერესებში. ინფორმაციით მანიპულირება გახდა ერთ-ერთი წყარო „ჩრდილოეთის“ და „სამხრეთის“ შორის ურთიერთობის გამწვავებისა, განვიტარებადი ქვეყნების მიერ წამოყენებული ახალი საერთაშორისო საინფორმაციო წესრიგის მოთხოვნა.

ინფორმაცია ქმნის მოვლენებს იმდენად რამდენადაც ის იძლევა მის შესახებ ცნობებს რეპორტიორი-არა მხოლოდ მოწმეა, არამედ მოქმედი პირი, სწორედ ამიტომ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჟურნალისტები შეადგენენ „უზოუკვლოდ დაკარგულთა“, დაპატიმრებულთა დასჯილთა, მძევალთა ან გასახლებულ პირთა მნიშვნელოვან ნაწილს. ბერლინის კედლის დაცემა და სოციალიზმის განადგურება მნიშვნელოვან წილად აიხსნება იმით, რომ რეჟიმმა ვერ შეძლო მასირებული

ინფორმაციის წინააღმდეგობის გაწევა დასავლეთის ცხოვრების წესის შესახებ და მის გარდაუვალ შედეგებს-ჯგუფებს შორის შედეგების ეფექტი.

კერძო და საზღვარგარეთული ტელერადიოპირებით, ასევე პერიოდული პრესით გავრცელებული ევროპული ლიბერალური დემოკრატიის ფასეულობები და იდეალებ ი მრავალპარტიულმა და პარტიების კონკურენცია, ხემძღვანელი პირების არჩევითობა, პიროვნების უფლებების და თავისუფლების პატივისცემა-გახდა ერთ-ერთი მიზეზი ტროპიკული აფრიკის ქვეყნების სტუდენტი ახალგაზრდობის მასიური პროტესტისა ტოტალური რეჟიმის წინააღმდეგ და ამ ქვეყნების დადგომისა პოლიტიკური და ეკონომიკური მოდერნიზაციის გზაზე დადგომისა.

დასავლეთის კულტურისა და ცივილიზაციის გავლენის მსგავსი მაგალითები, მსოფლიოში სოციოკულტურულ და პოლიტიკურ პროცესებზე შესაძლებელია გაგრძელდეს. მთავარია მხედველობაში გვქონდეს, რომ რევოლუცია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არაჩვეულებრივად გაიზარდა მასშტაბები და შეამცირა კულტურის გაცვლის ვადები ერთმანეთს შორის მსოფლიო მასშტაბიტ. მაგრამ ასეთი გაცვლა არ არის ექვივალენტური. დღეს დასავლეთი ფაქტიურად მსოფლიო ცივილიზაციის „რეფერენტულიჯგუფი“. მისი ავტორიტეტი, პრესტიჟი სიმდიდრე ხელს უწყობს იმას, რომ მისთვის დამახასიათებელი რეალურობის ცნება, ქცევის ეტალონები, ცხოვრების სახე, პოლიტიკური ინსტიტუტები, ვრცელდებოდა მთელს მსოფლიოში.

მაგრამ ეს გავრცელება არ შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც წმინდა მექანიკური გადანერგვა ე.წ. პრეოგრესულიუ ფორმებისა სხვა კულტურებსა და ცივილიზაციებში. დასავლეთის მოდელის სესხებას აქვს განსაზღვრული საზღვრები. ყოველი უნივერსალი საბაზრო საზოგადოება, ადამიანის უფლებები, ან ადამიანის ცხოვრების თვითშეფასება-დარჩება ფუჭ ხმად, გარდა ამისა გაითიშებიან თუ ისინი ვერ შეძლებენ ადაპტირებას ამა თუ იმ ხალხის თვითმყოფადი კულტურასთან, მის ტრადიციებსა და ისტორიულ ღირებულებებთან.

რამდენადაც ასეთ ადაპტაციას აუცილებლად ახლავს ამ ტრადიციების და ღირებულებების გადაფასების პროცესი. ცივილიზაცი-
იმპორტიორის მისწრაფებით შეინახონ მათი ბირთვი, თავიანთი
ძირითადი კულტურული ნორმები, რამდენადაც ცივილიზაციასტან
შეხვედრას შეაქვს საერთაშორისო სისტემაში, როგორც წესი
დესტაბილიზირებული საწყისი. დღეს ეს შეიძლება დავინახოთ იმ
წინააღმდეგობის მაგალითზე, რომელსაც უწევენ დასავლეთის მოდელებს,
რადგან მასში ხედავენ თავიანთი კულტურული ნორმებისადმი საფრთხეს
და იცავენ მათ მუსლუმანური სამყაროს დანგრევისგან. რუსეთი,
ოდითგანვე ორი მსოფლიო ცივილიზაციის გზაჯვარედინზე, განიცდის
შერყევას ყოველ ჯერზე, როცა მასზე გადაივლის დასავლეთის ან
აღმოსავლეთის გავლენის ახალი დიდი ტალღა.

ამავდროულად გამოცდილობა გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა
ცივილიზაციის და კულტურის შეხვედრების შედეგი არ არის ერთ-ერთი
მათგანის შეცვლა ან გაძევება. ყოველთვის აქვს ადგილი
ურთიერთზემოქმედების რთულ პროცესს: ყოველთვის სხვა კულტურების
ელემენტების შეთვისებას თან ახლავს კულტურულ-იმპორტიორის
თვითიდენტობას შენარჩუნება ან ზოგჯერ გაძლიერება. მაგალითად XIX-
XX საუკუნეების მიჯნაზე „მუსლუმანურმა სამყარომ“ გადაიტანა
რამდენიმე იდეური მიმდინარეობა-რეფორმისტული, აღორძინების,
პანისლამისტური და სეკულარისტული ხასიათსა. არც ერთი ამ
მიმდინარეობიდან, მათ შორის პანისლამიზმი, არ წარმოშობილა
დასავლეთის მხრიდან გავლენის გარეშე. ზუსტად ასევე არც ერთი
მათგანი-მათ შორის სეკულარიზმი არ შეიძლება განიხილებოდეს,
როგორც დასავლეთის ღირებულებების მიერ მუსლიმანური
კულტურული ნორმების შთანთქმა. აღნიშნულთან დაკავსირებით
სოციოლოგიაში დგება საკითხი, „მუსლუმანურ სამყაროში საეროების“
იდეის სტატუსის რეალობის შესახებ, როგორც მასთან მიმართებაში
„ტრანსატლანტიკური“ ტიპის კონცეპტების და ფორმულების გამოყენება.

ცივილიზაციის დასავლური მოდელის უნივერსალიზაციის ობიექტური კულტურული საზღვრები აკავშირებენ, როგორც მისი კოპირების ცდების უპერსპექტივობას და ნაციონალური ტრადიციების უგულვებლყოფას: ასევე მისწრაფებას შეინარჩუნონ თვითმყოფადობა თვითიზოლაციის და მსოფლიო ცივილიზაციის მონაპოვრის უარყოფის გზაზე. მაგალითი, ისინი გვიჩვენებს რომ არც შაჰი მ.ფ.ფხვლავის მიერ აშშ მხარდაჭერისას მიღებული ცდა დასავლეთის მაგალითზე ფორსირებული მოდერნიზაციისა, რომელსაც თან ახლავს თვითმყოფადი კულტურული ტრადიციების დათრგუნვა და არც აიათოლა ჰომეინის მიერ ინიცირებული თვითიდენტურობის გადარჩენის ცდა „დასავლეთის სიმაგლისაგან“ გაწმენდის და ტრადიციულ ღირებულებებთან დაბრუნება არ უზრუნველყოფს საერთაშორისო სისტემაში საზოგადოების სტაბილიზაციას. სხვა მხრიდან იაპონიის მაგალითი გვარწმუნებს, თვითმყოფადი კულტურული ნორმების ნაციონალური ტრადიციების პათოსის შენახვის შესაძლებლობებში, რომლებიც გამოდიან მოტვაცის განვითარების როლში, დასავლეთის ღირებულებების ერთდროული აღქმისას. ამრიგად მრავალფეროვანი პროცესები შეადგენენ სოციალურ („ინტრასოციეტალურ“) გარემოს, რომელიც არსებით და მხარდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობების ევოლუციაზე და ხასიათზე. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს არასოციალური ან „ექსტრასოციეტალური“ რომელიც დებს თავის შეზღუდვას და იძულებას საერთაშორისო სისტემაზე. საერთაშორისო ურთიერთობების გარემოს მოცემული ასპექტის გამოკვლევა უფრო ხშირად შეფარდება ისეთ ცნებას, როგორცაა „გეოპოლიტიკა“.

არასოციალური გარემო გეოპოლიტიკის როლი საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მეცნიერებაში

ცნობილია „გეოპოლიტიკის“ ცნების შინაარსის განსაზღვრის მრავალრიცხოვანი ცდები. პირველადი და შედარებითი ზოგადი განსაზღვრა აფასებს მას როგორც სახელმწიფოს პოლიტიკასა და იმ გეოგრაფიულ გარემოს შორის ურთიერთკავშირის და

ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა, რომლის ჩარჩოშიც ის ხორციელდება. ტრადიციულად გეოპოლიტიკა წარმოადგენს პოლიტიკური რეალიზმის განშტოებიდან ერთ-ერთს რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებს წარმოადგენს, როგორც სახელმწიფოებს შორის ძალადობრივ ურთიერთობას.

ტერმინი „გეოპოლიტიკის“ წარმოშობა დაკავშირებულია შვედი პროფესორის და პარლამენტარის რუდოლფ ჩელენის (1846-1922) სახელთან, რომელიც შეისწავლიდა მართველობის სისტემას მისი მიზანი იყო ძლიერი სახელმწიფოს შექმნა და მივიდა დასკვნამდე (1916წ) პოლიტიკის ერთმანეთზე გავლენის მქონე ელემენტების ერთმანეთთან მჭიდრო დაკავშირებული ხუთი ორგანული შეხამების აუცილებლობის შესახებ: ეკონომოპოლიტიკა, დემოპოლიტიკა, სოციოპოლიტიკა, კრატოპოლიტიკა და გეოპოლიტიკა.

გეოპოლიტიკის წინამორბედებად ითვლებიან ჰეროდოტე და არისტოტელე, ნ.მაკიაველი და შ. მონტესკიე, ჟ.ბოდენი და ფ.ბროდელი, მაგრამ არ შეიძლება ის ჩაითვალოს მხოლოდ ევროპული ცივილიზაციის მონაპოვრად. ჩინელი მოაზროვნემ სუნ ციმ ჯერ კიდევ VII ს. ჩვენს წ-ამდე, დატოვა ადგილის ექვსი ტიპის და სივრცის ცხრა ტიპის აღწერა, რომლებიც აუცილებლად უნდა სცოდნოდა სტრატეგს საომარი პოლიტიკის წარმატებით წარმართვისათვის. იბნ ხალდუნი XVI საუკუნეში უკავშირდება ადამიანთა გაერთიანებების (სოციალური ერთობის-თანამედროვე ტერმინოლოგიაში) სულიერ ძალებს, ძლიერი იმპერიის დაპყრობისა და შენარჩუნებისთვის ბრძოლისა და დარაზმვის უნარსა და უუნარობას-იმ იმპულსით, რომელიც გამოდის ბუნებრივი გარემოდან. გეოპოლიტიკა ჩნდება XIX ს. ბოლოს, როცა გერმანელმა გეოგრაფმა ფრიდრიხ რატცელმა (1844-1904) და მისმა მოსწავლეებმა შექმნეს დისციპლინა, რომელიც მოწოდებულია შეისწავლოს გეოგრაფიასა და პოლიტიკას შორის ურთიერთკავშირი. ეფუძვნება იმ ქვეყნების მდგომარეობას, რომელთაც უკავია მათი სივრცე და საზღვრები. ფ.რატცელის მოსაზრებით, უდიდესს წარმოადგენს ის ხალხი, რომელიც

ფლობს სივრცის გრძნობას. შესაბამისად საზღვრები შეიძლება შევიწროვდეს ან გაფართოვდეს განხილული ხალხის დინამიზმიდან გამომდინარე. „მესამე რეიხის“ დროს ფ.რატცელის თანამემამულე კარლ ხაუსტოფერი (1869-1946), მსგავსმა იდეებმა მიიყვანა „ცხოვრების სივრცის“ საშიშ თეორიამდე, რომელიც ნაცისტებმა გამოიყენეს თავიანთი დაპყრობითი გეგმების დაფუძნებისთვის.

გეოპოლიტიკური იდეების განვითარებაში დიდი წვლილი შეიტანეს ინგლისელმა გეოგრაფმა და პოლიტიკურმა მოღვაწემ ხ.დ. მაკინდერმა (1861-1947), ამერიკელებმა-ადმირალმა ა.ტ. მეხენმა (1840-1914) და იელის უნივერსიტეტის პროფესორმა ნ.სპაკენმა (1893-1943). ადმირალი მეხენი უკვე 1900 წლიდან აყენებს იდეას, საზღვაო და სახმელეთო სახელმწიფოების ანტაგონიზმის შესახებ, საზღვაო სახელმწიფოს მსოფლიო ბატონობის შესახებ, რომელიც შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს ევრაზიის კონტინენტის გარშემო საყრდენი პუნქტების სერიაზე კონტროლის გზით. ჰელდორფ ჯონ მაკინდერმა თავისი ძირითადი იდეები გადმოსცა ისეთ ცნობილ ნასრომებში, როგორცაა „ისტორიის გეოგრაფიული ღერძი“ (1904); „დემოკრატიული იდეალები და რეალობა“ (1919) და „მსოფლიო წრე და მსოფლიოს დაპყრობა“ (1943), მათში მან დააფიქსირა „მსოფლიო კუნძულის“ და შუაგული მიწები“ (ხარტლენდი). „მსოფლიო კუნძული“ წარმოადგენს სამი კომპონენტის ევროპის, აზიის და აფრიკის გაერთიანებას. რაც ეხება „შუაგულ მიწებს“, მატ ქვეშ იგულისხმება ყინულოვანი ოკეანიდან აზიის სტეპებმდე გადაჭიმული უზარმაზარი ხეობა, რომელიც გადის გერმანიაზე და ჩრდილოეთ ევროპაზე, რომლის გულს წარმოადგენს რუსეთი. ადრიატიკიდან 9არმოსავლეთისკენ ვენეციიდან) სამრეთის ზღვამდე (ნიდერლანდების აღმოსავლეთით) სწორი ხაზის გავლებით, ის ყოფს ევროპას ორ ერთმანეთთან შეურიგებელ ნაწილად-ხარტლენდი და კოსტლენდი (სანაპირო მიწები). აღმოსავლეთ ევროპა რჩება ორივე მხარის მიზიდვის ზონად, შესაბამისად არასტაბილურობის ზონად. გერმანია პრეტენზია აქვს სლავებზე გაბატონებაზე(ვენა და ბერლინი შუა

საუკუნეებში იყო სლავური, ხოლო ელბა იყო ბუნებრივი საზღვარი სლავ და არა სლავ ხალხებს შორის). ხ. მაკინდერი აფიქრებს ლიტერატურაში ფართოდ ციტირებულ „გეოპოლიტიკურ იმპერატივს“ რომლის თანახმად ის ვინც, მართავს აღმოსავლეთ ევროპას ის მართავს შუაგულ მიწებს. ვინც მართავს შუაგულ მიწებს , მართავს მსოფლიო კუნძულსაც, ვინც მართავს მსოფლიო კუნძულს, ის ბატონობს მსოფლიოზე. მაგრამ დღეს, „იმპერატივის“ ციტირებას ვინც ახდენს ყურადღებას აქცევს იმაზე რომ ისეთი ავტორიტეტები გეოპოლიტიკაში, როგორცაა მაგალითად მაკინდერის თანამედროვე ვ.ხაუსხოფერი, საკმაოდ კრიტიკულად ეპყრობა მის შეხედულებებს. ნიკოლას ჯ.სპაიკმენი ნაშრომში „ამერიკული სტრატეგია მსოფლიო პოლიტიკაში აშშ და ძალთა ბალანსი“ (1942) აყალიბებს „რიმლენდის“ ცნებას რომელსაც აქვს სტრატეგიული დატვირთვა. მის ქვეშ იგულისხმება ტერიტორიული გარემოცვის რკალი, რომელიც აერთიანებს სსრკ და მსოფლიო კუნძულს, რომელიც გადის ბალტიკიდან ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიამდე დასავლეთ ევროპის გავლით, ხმელთაშუა ზღვასა და ახლო აღმოსავლეთს. წარმოადგენს რა შუაგული მიწების პერიფერიას, სპაიკმენის აზრით, რიმლენდი მოწოდებული იყო გამხდარიყო საბჭოთა ექსპანსიის და მისი შეკავების წინააღმდეგობის პლატფორმას. თავისი შინაარსით ტერმინი „რიმლენდი“ ემთხვევა იმას, რასაც მაკინდერი უწოდებდა „შიგა მარგინალურ რკალს“. სპაიკმენი ამტკიცებს რომ თუ გეოგრაფიულად ხრტლენდი კიდევ არსებობს მაშინ: 1) მისი უვნებლობა სერიოზულადაა დარღვეული სტრატეგიული ავიაციის და შეიარაღების სხვა ახალი სასუალებების განვითარებით. 2) მაკინდერის პროგნოზით მან ვერ მიაღწია ეკონომიკური განვითარების იმ დონეს რომელიც, მისცემდა მას შესაძლებლობას გახდეს მსოფლიოში ერთ-ერთი შედარებით მოწინავე რეგიონი. გადამწყვეტი ბრძოლა როგორც პირველი ისე მეორე მსოფლიო ომში, ამტკიცებს სპაიკმენი, გაიშალა არა ხარტლენდის ზონაში და არა მის დასაუფლებლად არამედ რიმლენდის ნაპირზე და მიწებზე. მსოფლიო ბატონობა დამოკიდებულია არა აღმოსავლეთ ევროპის კონტროლზე

ამიტომ უფრო უნდა ვთქვათ მაკინდერის აფორიზმზე. მიუხედავად ამისა „მსოფლიოს ბედს აკონტროლებს ის ვინც აკონტროლებს რიმენდს“.

გერმანიასი, ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლისას გეოპოლიტიკა აქტიურად გამოიყენებოდა, „რასობრივი უპირატესობის“ დასაფუძნებლად, ცხოვრების სივრცის“ დასაპყრობად, გერმანიის დიდი ისტორიული მისია ებატონა დანარჩენ მსოფლიოზე, რამდენადც ბევრმა მკვლევარმა როგორც ევროპაში, ისე ამერიკაში, დაიწყეს დაეჭვება თვით ცნების მეცნიერულ დასაბუთებულობაში. მეცნიერთა ერთმა ნაწილმა ის განიხილა, როგორც ფსევდომეცნიერული ნეოლოგიზმი, რომელიც ემსახურება ევროპული წესრიგის ცვლილებებისადმი მისწრაფების გამართლების ცდას, როგორც იარაღის ხელისუფლებისთვის ბრძოლაში, პროპაგანდისტული ინსტრუმენტი. სხვები, არ უარყოფენ მთლიანობაში, თვით ცნებას, გამოთქვამენ სერიოზულ სკეპტიციზმს მის ინსტრუმენტარულ შესაძლებლობებთან შეფარდებით. მესამენი თვლიან, რომ გეოპოლიტიკას შეუძლია მოგვცეს განსაზღვრული მეცნიერული შედეგები, მხოლოდ ძალიან ვიწრო სფეროში, რომელიც გამოხატავს პოლიტიკის და სახელმწიფოების ან მისი კავშირების სივრცობრივ-გეოგრაფიული დახასიათების ურთიერთზეგავლენას. მეოთხენი გამოთქვამენ მოსაზრებას, რომლის შესაბამისად გეოპოლიტიკა უნდა განიხილებოდეს არა როგორც დისციპლინა ან მეცნიერება, არამედ როგორც სოციოლოგიური მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს გეოგრაფიული გარემოს და სახელმწიფოების საერთაშორისო მოღვაწეობის ურთიერთკავშირს. და ბოლოს არიან ისეთებიც რომლებიც, თვლიან რომ გეოპოლიტიკა-ეს არის მეცნიერება, არამედ რაღაც უფრო რთული.

არსებობს გეოპოლიტიკის ვიწრო და გაფართოებული გაგება. პირველის მომხრეების თვალსაზრისით, ტერმინი „გეოპოლიტიკას“ იყენებენ მასინ, როცა საუბარია სახელმწიფოებს სორის დავების შესახებ ტერიტორიებთან დაკავშირებით, თან მხარეთაგან ყოველი აპელირებს ისტორიისკენ მაგრამ გეოპოლიტიკის მსგავსი ცნება ხდება სულ უფრო

მტკივნეული პოსტინდუსტრიალური რევოლუციის ეპოქაში, როცა პრაქტიკულად ინგრევა „კლასიკური გეოპოლიტიკის“ ტრადიციული „იმპერატივები“. თანამედროვე მსოფლიო სივრცის დახასიათება სულ უფრო რთულია როგორც მხოლოდ „სახელმწიფოთაორისო“-მისი დანაწილების სასუალებების თვალსაზრისით, სოციალური ერთობების ფუნქციონირების პრინციპების, მსოფლიო ისტორიის თანამედროვე ეტაპის განაკვეთები და გამოწვევების თვალსაზრისით. საერთაშორისო ურთიერთობების სოციოლოგიის წარმომადგენლები ყურადღებას აპყრობენ იმას, რომ დღეს სამი მთავარი პრინციპებიდან, რომელზეც ხდება საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ კლასიკური წარმოდგენების დაფუძნება-ტერიტორია, სუვერენიტეტი, უსაფრთხოება-არც ერთი არ შეიძლება ჩაითვალოს ურყევად ან ახალი რეალობისადმი სრული ადეკვატურობით. ფენომენები ადამიანთა მასობრივი მიგრაციის, კაპიტალების ნაკადების იდეების ცირკულაციის, გარემოს დეგრადაციის, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების და ა.შ. ახდენს სახელმწიფოსა და მის უსაფრთხოებაზე, ნაციონალურ ინტერესზე და პოლიტიკურ პრიორიტეტებზე ჩვეული წარმოდგენების დევალვირებას. უფრო ადრე (1962წ) რ.არონმა აღნიშნა გეოპოლიტიკის „ვიწრო“ ცნების სხვა მნიშვნელოვანი ნაკლი-მისი უნარი ადვილად გადაგვარდეს იდეოლოგიაში.

აი ამიტომ, ბოლო წლებში სულ უფრო გავლენიანი ხდება გეოპოლიტიკის გაცილებით ფართო განმარტება-როგორც სახელმწიფოს ფიზიკური და სოციალური, მატერიალური და მორალური რესურსების ერთობლიობა, რომელიც შეადგენს იმ პოტენციალს, რომლის გამოყენება (ზოგიერთ შემთხვევაში უზრალოდ მისი არსებობა) საშუალებას აძლევს მას მიაღწიოს თავის მიზნებს საერთაშორისო არენაზე. ამ შეხედულების ერთ-ერთი წარმომადგენელია პიერ გალლუა.

პ.გალლუას თვალსაზრისით, გეოპოლიტიკის ტრადიციულ ელემენტებს, ისეთებს როგორცაა სახელმწიფოს სივრცობრივ-ტერიტორიული დახასიათება (მისი გეოგრაფიული მდებარეობა,

განფენილობა, საზღვრების კონფიგურაცია), მისი წიაღი ლანდშაფტი, კლიმატი, მოსახლეობის ზომები და სტრუქტურა დღეს ემატება ახალი, შებრუნებული ჩვენი ადრინდელი წარმოდგენები სახელმწიფოს ძლიერების შესახებ, რომელიც ცვლის პრიორიტეტებს, საერთაშორისო პოლიტიკაზე გავლენის მქონე ფაქტორების გათვალისწინებით. საუბარია მასობრივი განადგურების იარაღის უპირველესად სარაკეტო-ბირთვულის გამოჩენისა და გავრცელების შესახებ, რომელიც აწონასწორებს მისი მფლობელი სახელმწიფოების ძალებს, მიუხედავად მათგან დაცილებისა, მდგომარეობისა კლიმატისა და მოსახლეობის რაოდენობისა. გარდა ამისა ტრადიციული გეოპოლიტიკა მხედველობაში არ ღებულობდა ადამიანების მასობრივ ქცევებს. მისგან განსხვავებით ჩვენი დღეების გეოპოლიტიკა ვალდებულია გაითვალისწინოს რომ, ინფორმაციისა და კავშირგაბმულობის საშუალებების განვითარება, ასევე სახელმწიფო პოლიტიკაში მოსახლეობის უშუალო ჩართვის ფენომენის საყოველთაო გავრცელებას აქვს კაცობრიობისთვის შედეგი, რომელიც უტოლდება ბირთული კატაკლიზმის საფრთხის შედეგებს. და ბოლოს ტრადიციული გეოპოლიტიკის შესწავლის სფერო იყო შეზღუდული მიწიერი სივრცით-ხმელეთითა და ზღვებით. თანამედროვე გეოპოლიტიკურ ანალიზს მხედველობაში უნდა ჰქონდეს კოსმოსური სივრცის ათვისების აწმყო და მომავალი, მისი გავლენა ძალთა განლაგებაზე და მსოფლიო პოლიტიკაში მათ ტანაფარდობაზე.

„კლასიკური“ გეოპოლიტიკის პოზიციიდან, გეოგრაფიული გარემო წარმოადგენს იმ მუდმივ და ურყევ ფაქტორს, რომელიც არსებით გავლენას ახდენს სახელმწიფოების საერთაშორისო პოლიტიკურ ქცევაზე. თანამედროვე გეოპოლიტიკურ ანალიზს არ შეუზღია არ გაითვალისწინოს არსებითი ცვლილებები, რომლებიც დღეს ხდება. ამ თვალსაზრისით ადამიანის ურთიერთქმედება გარემოსთან და შესაბამისად გეოპოლიტიკის ევოლუციაში შეიძლება გამოიყოს სამი ისტორიული ფაზა.

საზოგადოებრივი განვითარების ადრეული ეტაპებზე სამრეწველო რევოლუციის ეპოქამდე, ადამიანზე ბუნებრივი გარემოს გავლენა, საზოგადოება და სახელმწიფო იყო, გადამწყვეტი თუ არა არსებითი და ბევრ ურთიერთობაში-გამსაზღვრელი. ადამიანის გარემოცვასთან ეს დამოკიდებულება ხსნის და გარკვეულ გამართლებას აზღვეს „გეოგრაფიულ დეტერმინიზმს“ (რა თქმა უნდა ცნობილ ისტორიულ და ლოგიკურ საზღვრებში). სამრეწველო რევოლუცია გახდა, სახელმწიფოს სახელისუფლებო საგარეო პოლიტიკასა და მის გეოგრაფიულ ჩარჩოს სორის ურთიერთქმედებაში, ახალი ფაზის ამოსავალი წერტილი. იწყება ადამიანის მიერ გარემოს შეუკავებელი მტაცებლური ექსპლუატაცია, იყენებს კანონებს თავის მიზნებისთვის, იზრდება ანტროპოგენური დატვირთვა კაცობრიობის არსებობის ბუნებრივ პირობებზე-დედამიწის კლიმატზე, ფლორასა და ფაუნაზე, დედამიწის საფარზე, საჰაერო სივრცე, მიწისქვეშა და წლის რესურსები. გარემოს „გადაკეთების“ სინდრომმა მისმა დაქვემდებარებამ ადამიანისადმი, რომელსაც ჩვენ სევდილია ვუწოდოთ „მიჩურინის სინდრომი“ მიიღო ისეთი ფართო ზომები, რომ საბოლოო ჯამში, გახდა გლობალური პრობლემების წარმოშობის და არაჩვეულებრივი გამწვავების მიზეზი, რომელიც საფრთხეს უქმნის თვით ცივილიზაციის არსებობას, მიყავს ის დალუპვისაკენ. წარმოშობა ადამიანის და გარემოს ურთიერთზემოქმედების მესამე სტადია, მესამე ფაზა. ბუმერანგი ბრუნდება უკან . შერეულ დაფუძნებამდე თავის კანონებში ადამიანის უცერემონიო ჩარევისთვის ბუნება „შურს იძიებს თავისი თავისთვის“ იმით, რომ არ უზრუნველყოფს მის არსებობისთვის საკმარის ზომით ყველა ბუნებრივ პირობებს. ამით ის ისევ აიძულებს სახელმწიფოებს და პოლიტიკოსებს ანგარიში გაუწიონ მას.

მსოფლიო ვახტის ინსტიტუტის შეფასების თანახმად, რომელიც ყოველწლიურ მოხსენებებს აქვეყნებს მსოფლიო მდგომარეობის შესახებ, ბოლო სამი ათწლეული წლის განმავლობაში განადგურდა 200-ზე მეტი ტყე, ათასობით სახეობის ცხოველები და მცენარეები. ყოველწლიურად ნადგურდება 17მლ.3ა ტყე და იშლება 6მლნ.3ა-მდე ნაყოფიერი ნიადაგი,

რომელიც ამის შედეგად კარგავს ყოველწლიურ სასოფლო-სამეურნეო მნიშვნელობას. დიდ ზომებს მიაღწია საჭაერო და წყლის ბასეინების დაბინძურებამ, რაც არსებით ზარალს აყენებს ქალაქის და სოფლის რეგიონების მცხოვრებთა ჯანმრთელობას.

ყოველივე ამას უშუალო ურთიერთობა აქვს საშინაო და საგარეო პოლიტიკასთან. ჩვენს დღეებში უკვე ბევრ ქვეყანაში და საერთაშორისო დონეზე პარტიები, რომლებიც გამოდიან ადამიანის და გარემოს ურთიერთობებში ახალი პრიორიტეტებისთვის, ბუნებრივი რესურსების ალტერნატიული გამოყენებისთვის. ეს ამლიერებს პოლიტიკურ ბრძოლას, რამდენადც ყოველი ინიციატივა მოცემულ დარგში ეხება სხვადასხვა ჯგუფების ინტერესებს, მას მოჰყვება ღირებულებებზე ახალი შეხედულებები, გავლენას ახდენს სახელისუფლებო ურთიერთობებზე. რომ შეწყდეს ან შემცირდეს გარემოს დაბინძურება, საჭიროა ახალი გადაწყვეტილებები ენერგეტიკული პოლიტიკის დარგში; წარმოების და მომსახურების სასუალებებში. იზრდება წარმოების ხარჯები და სტრუქტურულ გარდაქმნებზე საზოგადოებრივი ხარჯები და ა.შ.

შესაბამისად, ახალი პრობლემები წარმოიქმნება საერთაშორისო ურთიერთობების სფეროშიც. დღეს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ეკონომიკური წონასწორობის დარღვევაზე ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებს. წარმოადგენენ რა პლანეტის დასახლების მხოლოდ მცხუთედ ნაწილს. ისინი ყოველწლიურად აწარმოებენ ატმოსფეროში გაზის ყველა ამონაფრქვევის ნახევარზე მეტს, წარმოადგენს „სატურის ეფექტის“ მიზეზს. გაეროს 1989 წ მოხსენების თანახმად მსოფლიოში სოციალური პირობების შესახებ, 70% გროვდება ატმოსფეროში და იწვევს პლანეტის ოზონის შრის დაშლას.

ბუნებრივი გარემოს დაბინძურების მნიშვნელოვანი წყაროს წარმოადგენს ღარიბი ქვეყნებიც. ეკოლოგიური კატასტროფები, კერძოდ წყალდიდობა გამოწვეული ტყეების განადგურებით, ნიადაგის ეროზიით, ხსირად დამანგრეველია სწორედ ღარიბ ქვეყნებში. ეკონომიკურად სუსტად განვითარებული ქვეყნები არ არიან დაინტერესებულნი ბუნების

დაცვით პროგრამირებით, გამწმენდი აღჭურვილობის დაფინანსებით, სხვა მხრიდან, ტრანსნაციონალური საწარმოების და ფირმების ცდილობენ გამოიყენონ საერთო ეკონომიკური, სოციალური-პოლიტიკური სიტუაცია და ამ ქვეყნების კანონმდებლობა ბუნების დაცვით ღონისძიებებზე ეკონომიის მიზნით, მათ ტერიტორიებზე საწარმოოს მავნე ნარჩენების დასამარხად და ა.შ.

დიდ ბუნებრივ კატასტროფებს ყოველთვის ჰქონდა შედეგები საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში. 1846წ „კარტოფილის კრიზისი“ ირლანდიაში აისახა არა მხოლოდ ამ ქვეყნის ცხოვრებაზე რომლის ეკონომიკამ განიცად არაჩვეულებრივი რყევა, ხოლო მოსახლეობამ გადაიტანა შიმშილობა. ამან გამოიწვია ირლანდიიდან აშშ-ში ემიგრაციის დიდი ტალღა, რაც გახდა უზარმაზარი საერთაშორისო მნიშვნელოვანი ფენომენი. პაკისტანის ბენგალურ ნაწილში მომხდარმა წყალდიდობებმა და ტაიფუნებმა მნიშვნელოვანი რლი ითამაშეს მსოფლიო არენაზე ახალი სახელმწიფოს-ბანგლადეშის წარმოქმნას.

ეკოლოგიური პრობლემის ზრდამ და მთელი კაცობრიობისთვის საფრთხის გაცნობიერებამ გამოიწვია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების ჩამოყალიბება როგორცაა UNICEF, FAO, და სხვა.

1972წ. გაერო ღებულობს ღონისძიებათა პროგრამას გარემოს დარგში. მომდევნო წლებში ეკოლოგიური პრობლემები გახდა „გლობალური რისკებისადმი“ მიძღვნილი მრავალი საერთაშორისო კონფერენციის განხილვის საგანი. იზრდება მთავრობათაშორისი შეთანხმების რაოდენობა, რომელიც მოწოდებულია არა მხოლოდ ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის რეგისტრირებაზე, მაგრამ სახელმწიფოთა თანამშრომლობის კონკრეტული მექანიზმების შექმნაზე გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების რეგულირების საქმეში.

როგორც საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ეს საქმე არ არის უბრალო და ის ხვდება დიდ სირთულეებს. საკმარისია გავიხსენოთ ჯერ კიდევ ძალაში შეუსვლელი 1982წ შეთანხმება საზღვაო სამართლის დარგში, რომელიც განმარტავს საზღვაო ბუნებრივი

რესურსების სიღრმეს, როგორც კაცობრიობის საერთო მიღწევების“, რომელთა გამოყენებიდან მიღებული შემოსავლები მიმართული უნდა იყოს შედარებით ღარიბი ქვეყნების განვითარებაზე. ფაქტიურად, არ გაამართლა მოლოდინი 1992წ ივნისში მოწვეულმა კონფერენციამ, იყო დაკავსირებული გაეროს გარემოსადმი მიძღვნილი პროგრამების 20 წლის ტავტან. საერთაშორისო ტანამშრომლობის მთავარი პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ პარტნიორი-სახელმწიფოები უნდა იმყოფებოდნენ ეკონომიკური განვითარების საპირისპირო დონეზე. ამიტომ ასეთი პირობებს შეუძლიათ დაუახლოვოს თავისი მიდგომები აუცილებელი ღონისძიებების არჩევნებთან ბუნებრივი გარემოს დაცვის დარგში და გამოყოს ამისთვის აუცილებელი საშუალებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვიდაცას მოუწევს წავიდეს დიდ მსხვერპლზე, რაც ყოველთვის საკმაოდ რთულია, განსაკუთრებით, თუ საუბარია სახელმწიფოზე, რომელიც არ შედის შედარებით განვითარებულთა რიცხვში. ძნელია წარმოვიდგინოთ, მაგალითად რომ ჩინეთი ან ინდოეთი უარს იტყვის ნახშირზე მომუშავე ელექტროსადგურების გამოყენებაზე, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ასეთი გამოყენება ხელს უწყობს სათბურის ეფექტის გაზრდას.

მთლიანობაში, ახალი იმპერატივების მასშტაბები ისეთია რომ გეოპოლიტიკა წყვეტს იყოს ცალიათება, კეული სახელმწიფოების ხვედრი. თუ წინატ შეიძლებაოდა მისი დახასიათება, როგორც „მთავარ მებრძოლ ერებს შორის ურთიერთობის კარტოგრაფიული წარმოდგენისა“, ეხლა ეს უკვე არაა საკმარისი. ჩნდება აუცილებლობა საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა წევრის შეთანხმებული ურთიერთმოქმედებისა, ზოგად პლანეტარული გეოპოლიტიკის შემუშავებასა და რეალიზაციაში, რომელსაც საფუძვლად უდევს ცივილიზაციის გადარჩენის ინტერესები მომავალი ტაობებისთვის.

გეოპოლიტიკამ, უდავოდ გავლენა იქონია და აგრძელებს გავლენას, როგორც, საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლაზე, ასევე სახელმწიფოების და მათი მმართველების საერთაშორისო სტრატეგიაზე.

აშშ პოლიტიკური ისტორიის განხილვისას, პ.გალელუა საფუძვლიანად აღნიშნავს, რომ მათი ძლიერების მთავარი წყარო გახდა სივრცე.

1) მანძილი, რომელიც მათ ჰყოფს ძველი სამყაროსგან, ამერიკელებს მისცა საშუალება უარი თქვან მის კანონებზე, ინსტიტუტებზე, ზნე-ჩვეულებებზე და შექმნან ახალი საზოგადოება, დაცული დაშორებულობითი და ოკეანიითი.

2) ამერიკული კონტინენტის განფენილობა წარმოადგენს პირველ ხანებში საფრთხის წყაროს ემიგრანტებისათვის, ასტიმულირებდა ავანტურულ და სამეწარმეო სულს მათი შთამომავლებისა და გახდა ერის ძირითადი სიდიადე. მსგავსი მაგალითები გვეხმარებიან იმ მიზეზების გაგებაში, რომელთა წყალობით ხ.მაკინდერის რ, ჩელენის, კ.ხაუსხოფერის, ფ.რატცელის, ა.მეხენის, ნ.სპაიკმენის გეოპოლიტიკის სხვა ფუძემდებლებისა და „კლასიკოსების“ თეორიული გამოკვლევები, მათ მიერ წარმოდგენილმა აფორიზმებმა საზღვაო და სახემელეთო სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების ახსნისთვის, გამოხმაურება ჰპოვეს დიდი სახელმწიფოების პოლიტიკურ წრეებსა და გენერალურ შტაბებში, გახდნენ მათი გლობალური ამბიციების „მეცნიერული“ ბაზა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, გეოპოლიტიკური მითითებები განიხილება ამერიკულ სტრატეგიაში როგორც „საბჭოთა ექსპანსიის შეჩერება“ და სსრკ ხელმძღვანელების მისწრაფებაში, შექმნან და შეინარჩუნონ „სანიტარული კორდონი“ დასავლეთისკენ მისი სახელმწიფოების საზღვრებისკენ და ბრეჟნევის დოქტრინაში. ჩვენს დღეებში გეოპოლიტიკის იდეოლოგიის ელემენტები ვლინდებიან არა მარტო დიდი სახელმწიფოების გეგმებში და მსოფლიო არენაზე მათ ქცევაში, არამედ რეგიონალურ კვაზისახელმწიფოების (მაგალითად როგორცაა ერაყი ან თურქეთი) ექსპანსიონისტურ პოლიტიკაში, სახელმწიფოების მეტოქეობაში სტრატეგიული ან ეკონომიკური კონტროლისთვის ტერიტორიებზე, რომლებიც შორს არიან განლაგებულნი მათი ნაციონალური საზღვრებიდან.

ამის აღიარება აუცილებელია, რათა დავინახოთ გეოპოლიტიკური ახსნის (მით უმეტეს პროგნოზების) შეზღუდულობა მსოფლიო რეალობაში. მიუხედავად საერთაშორისო სისტემის ანალიზის გეოპოლიტიკური ჩარჩოს ყოველნაირი თვითნებობისა, ეს ჩარჩოები ძალიან ვიწროა მათი გაგებისთვის.

ერთ-ერთი ცენტრალურ ხერხს, რომლის დახმარებითაც გეოპოლიტიკა ასაბუთებს თავის დასკვნებს, წარმოადგენს ის რასაც ივ. ლაკოსტმა უწოდა თავის ლექციაში „წარმოდგენა“ წარმოსახვის მნიშვნელობით, ასევე იმ მნიშვნელობითაც რომლითაც მსახიობი, რომელიც თეატრში ტამაშობს, წარმოადგენს თავის პერსონაჟს. მსგავსი სახეობის ეპისტემოლოგიური ხერხი საკმაოდ გართოდ გამოიყენება სოციალურ მეცნიერებებში, გარდა ამისა შეადგენს მნიშვნელოვან ეტაპს მათ განვითარებაში. გეოპოლიტიკის სპეციფიკა მისი ტავისებურება მდგომარეობს იმაში რომ აქ „წარმოდგენა“ ძალიან ხშირად რეგულობს *самодовлеющий* ხასიათს, ივსება ფანტასტიკური და მისტიკური მსჯელობებითა და წინადადებებით.

რევოლუცია კავშირგაბმულობისა და ტრანსპორტის საშუალებებში, ინფორმაციკის განვითარება და შეარაღების უახლოესი სახეობების წარმოშობა რადიკალურად ცვლიან ურთიერთობებს ადამიანსა და გარემოს შორის. „დიდი სივრცეების“ და მათი როლის შესახებ წარმოდგენები მოძველებულად და არა საკმარისად ხდის სახელმწიფოების ძალებისა და ძლიერების ცნებას, როგორც მისი სივრცობრივი-გეოგრაფიული დემოგრაფიული და ეკონომიკური ფაქტორების ერთობლიობას. „გეოპოლიტიკური ლექსიკონი“ ძალიან სახოვანია იმისთვის, რომ პრეტენზია გამოაცხადოს მეცნიერულ სიმკაცრეზე. ალტერნატივები-„ჩრდილოეთი და სამხრეთი“, „დასავლეთი და აღმოსავლეთი“, ტელაროკრატია და ტალასოკრატია“ ძალიან მეტაფორულები იმისთვის, რომ „მდიდრების“ და „ღარიბების“, განვითარებულების და ცივილიზებულების“ და „ნაკლებად განვითარებულობის“, „ნაკლებ ცივილიზებულების“, „კონტინენტალების“

(სახმელეთო) და საზღვაო (კუნზულეზბრივი) სახელმწიფოების და მათი კავშირების პოლარიზაციის შესახებ მცდარი წარმოდგენებისგან დაიცვან.

ვიატრება „რომის“ და „კართაგენის“ ისტორიული პერმანენტული დაპირისპირების შესახებ, ისევე როგორც ავტორიტარიზმის და დემოკრატიზმის შესახებ, იმანენტური შესაბამისად. სახმელეთო და საზღვაო სახელმწიფოები ძალიან კატეგორიულებია, რომ გახდეს საკმარისი მეტოდოლოგიური ორიენტირი წარსულისა აწმყოსა და მომავალში ქვეყნების და ხალხების ურთიერთქმედებებისა, ყველა პერიპეტის გაგებისთვის, კონცეპტუალური აგებულება, როგორც გეოპოლიტიკის კლასიკოსების ასევე მისი ტანამედროვე მიმდევრობისა ძალიან თვითნებურია ხსირად ფანტასტიკური ხოლო მათი არგუმენტები ნაკლებად დამაჯერებელი, მათი მოწინააღმდეგეების კონტარგუმენტების წინაშე რომ გამოვიდეს მათგან ძირითადი ტენდენციების ცნებიდან მსოფლიო პოლიტიკურ ევოლუციაში.

ნათქვამი განსაკუთრებით ეხება ახალ ტენდენციებს დაკავსირებულს საერთაშორისო ურთიერთობების სოციალიზაციასთან, სახელმწიფოს შევიწროებას (თუმცა არა გამოდევნას) ტრანსსაზღვრული ურთიერთქმედების მთავარი აქტორის როლიდან, რომლებიც ბევრ რამეში ცვლიან ასეთი ურთიერთქმედების პრიორიტეტებს.

ზემოთ აღნიშნულთან კავშირში ზემოქმედება რომელიც ზეგავლენას ახდენს ტანამედროვე საერთაშორისო სისტემის და მის გარემოზე გამოიყურება საკმაოდ არაერთგვაროვნად. ასეთი ზემოქმედების ერთ-ერთ შედეგს წარმოადგენს გაზრდილი ურთიერთდამოკიდებულება, ადამიანური ურთიერთობების ყველა მხარის ინტერნაციონალიზაცია, შიდასაზოგადოებრივი და საერთაშორისო ურთიერთობები, ინტეგრაციული პროცესები, რომლებიც ავლენენ როგორც ობიექტურ, ზოგადმსოფლიო და ე.ი. ზოგადსოციოლოგიური ტენდენციები. ამ სისტემა წარმომქნელი ფაქტორებს, წამყვანებს საერთაშორისო ურთიერთობების სოციალიზაციისაკენ, სტიმულის მიმცემებს გლობალური სამოქალაქო

საზოგადოების ჩამოყალიბებისას თან ახლავს სხვადასხვა ქვეყნებში საწარმოო ძალთა არატანაბარი ზრდა, რომლებიც იმყოფებიან სამეცნიერო-ტექნიკური ეკონომიკური სოციალური და პოლიტიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე შენარჩუნებულია, ხოლო ადგილებზე იზრდება ნაციონალური სახელმწიფოებრივი განცალკევება, პოლიტიკური წინააღმდეგობები, სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკურ, ინტერესების შეჯახება, აძლიერებენ დამაბულობას გლობალურ საერთაშორისო სისტემაში, ძირს უთხრის მის სტაბილურობას, ზრდიან მის კონფლიქტურ პოტენციალს. ერთდროულად, ახირებული ხდება საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმების მრავალსახეობა, რომელთა დამახასიათებელი გამოვლენაა ინტეგრაციული პროცესები.

თავი VII

საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეთა მიზნები და საშუალებები

სახელმწიფოს ძლიერება რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება. პირველ ყოვლისა, ტრადიციულად ქვეყნის გეოგრაფიულ მახასიათებლებს (მდებარეობა, სიდიდე, საზღვრების ხასიათი, რელიეფის თავისებურებანი და ა.შ.) ასახელებენ. იმავე მორგენთაუს მიაჩნია, რომ “ყველაზე სტაბილური ფაქტორი, რომელსაც ქვეყნის ძლიერება ემყარება, მისი გეოგრაფიული თავისებურებებია”. თუმცა ამ მოსაზრებას ბევრი არ იზიარებს. ჯ. ჰერცი, მაგალითად, ფიქრობს, რომ თანამედროვე სამხედრო ტექნიკის პირობებში გეოგრაფიულ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა აღარა აქვს. უნდა ვიფიქროთ, რომ ბირთვული იარაღის გამოყენება არ მოხდება და სამხედრო შენაერთებს მაინც მოუწევთ ომის პირობებში როგორც ვრცელი ტერიტორიის, ასევე რთული რელიეფის, ბუნებრივი საზღვრების, სიციხისა და ყინვის, დიდი მდინარეების დამლევა. გარდა ამისა, ზოგიერთი ქვეყნის ოკეანეში ან პოტენციური აგრესორისაგან მოშორებით მდებარეობა გეოგრაფიულ ფაქტორს მნიშვნელობას არ უკარგავს.

სახელმწიფოს ძლიერების მეორე მნიშვნელოვანი კომპონენტი მისი ბუნებრივი რესურსებია, თუმცა გადამწყვეტ მნიშვნელობას არც ამ კომპონენტს ანიჭებენ. ბუნებრივი რესურსების ოდენობასა და ხასიათს ქვეყნის ძლიერებისათვის ადრე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, დღეისათვის კი უფრო დიდი მნიშვნელობა რესურსების გამოყენების უნარს, ტექნოლოგიის დონეს ენიჭება.. რასაკვირველია, საკმარისი და მრავალფეროვანი სარესურსო ბაზა ნებისმიერი ქვეყნის სამხედრო-ეკონომიკურ ძლიერებას მხოლოდ ხელს შეუწყობს. როგორც საფრანგეთის

პრეზიდენტმა კლემანსომ პირველი მსოფლიო ომის დროს შენიშნა: “ნავთობის ერთი წვეთი ჩვენი ჯარისკაცების წვეთი სისხლის ტოლფასია”.

დღეისათვის ქვეყნის ძლიერების ძალზე მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევენ მის სამრეწველო პოტენციალს. ბუნებრივია, რომ განვითარებული, მოწინავე ტექნოლოგიით აღჭურვილი მრეწველობის მქონე სახელმწიფო ძლიერი იქნება. ზოგიერთი ავტორის აზრით, ქვეყნის ძლიერების უმნიშვნელოვანესი “სამრეწველო” კომპონენტი თანამედროვე შეიარაღების საჭირო მასშტაბით წარმოების უნარია. თუმცა ამავე დროს არის ისეთი შემთხვევები, როცა ქვეყანა თვითონ არ აწარმოებს იარაღს (გვრ და იაპონია 50-იან და 60-იან წლებში), მაგრამ მაინც დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე.

სახელმწიფოს ძლიერების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი მისი მოსახლეობაა. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მრავალრიცხოვანი მოსახლეობა ძლიერების გარანტიაა, მაგრამ ძალზე მრავალრიცხოვან ქვეყანას ძლიერების დიდი პოტენციალი აქვს როგორც შრომითი რესურსების, ასევე დიდი შეიარაღებული ძალების გამოყვანის თვალსაზრისით. ნაპოლეონის თქმით, “ღმერთი ყოველთვის დიდი ბატალიონების მხარეზეა”. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის მოსახლეობის საერთო კულტურულ დონეს, განათლების და კვალიფიკაციის დონეს და ა.შ. მორგენტაუ და ზოგიერთი სხვა ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ეროვნულ ხასიათს და სულისკვეთებას, როგორც სახელმწიფოს ძლიერების მნიშვნელოვან კომპონენტებს. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მოსახლეობის სამხედრო ტრადიციებს, სამხედრო სამსახურის მიმართ განწყობას, სამხედრო-პატრიოტულ სულისკვეთებას.

ძლიერების კიდევ ერთი კომპონენტია ქვეყნის მთავრობა. მას უნდა შესწევდეს უნარი ისე წარმართოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რომ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად სახელმწიფო იყოს ძლიერი, მოსახლეობა – შეკავშირებული და მობილიზებული გარეშე საფრთხის შემთხვევაშიც. გარდა ამისა, ძლიერი მთავრობა ნიშნავს ოსტატურ და

შედგინან დიპლომატიასაც, რომელიც ნებისმიერი ქვეყნის ძლიერების მნიშვნელოვან კომპონენტად მიიჩნევა. დღესაც დაობენ იმის თაობაზე, თუ მმართველობის რომელი ფორმა, დემოკრატია თუ დიქტატურა, უწყობს უფრო ხელს სახელმწიფოს ძლიერებას, ამ მხრივ ეფექტური დემოკრატია უნდა, თუ დიქტატურა. ამას ემატება ძლიერი, ზოგჯერ ქარიზმატული ლიდერის საკითხიც. ბევრის აზრით, დემოკრატიას მეტი შეუძლია, რადგან დემოკრატიულ სახელმწიფოში მოსახლეობა ნებაყოფლობით და შეგნებულად უჭერს მხარს საკუთარ მთავრობას, დიქტატურის პირობებში კი ყველაფერი ძალდატანებით ხდება. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული სახელმწიფო საყოველთაოდ არის აღიარებული, როგორც მმართველობის საუკეთესო და უნივერსალური ფორმა, ისტორიამ ბევრი ისეთი მაგალითი მოგვცა, როცა ომიდან გამარჯვებულნი სწორედ ავტორიტარული და დიქტატორული რეჟიმები გამოსულან.

ძლიერება არის ძალა, მისი ეფექტურად და მოქნილად გამოყენების, ახალ ვითარებასთან სწრაფი შეგუების უნარი. ძლიერების კომპონენტების გამოყენების დროს მოქნილობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც საკუთრივ ფიზიკური თუ სამხედრო ძალა.

ძლიერება პოლიტიკური ფენომენია. ძალა, ძლიერება მის მფლობელ ქვეყანას შესაძლებლობას უქმნის, დაიცვას საკუთარი ეროვნული ინტერესები ანარქიული საერთაშორისო პოლიტიკური სისტემის პირობებში. როგორც უკვე აღინიშნა, ქვეყნის ძლიერების ყველაზე ნაცადი ინდიკატორი მისი სამხედრო ძლიერებაა. სახელმწიფოები დღესაც განაგრძობენ ურთიერთობებს, პირველ ყოვლისა, სამხედრო ძლიერების გათვალისწინებით და მშვიდობას მასზე დაყრდნობით ეძიებენ. თანამედროვე მსოფლიოს სამი მნიშვნელოვანი მოვლენა – სამხედრო ხარჯების ზრდა, სამხედრო პოტენციალის განუზრელი ზრდა და გამალებული საერთაშორისო ვაჭრობა იარაღით – ამის დამადასტურებელია. საკმარისია გავეცნოთ თანამედროვე სახელმწიფოების პირდაპირ და არაპირდაპირ სამხედრო ხარჯებს, რათა დავრწმუნდეთ, რომ სამხედრო ძლიერებას მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

საყურადღებოა, რომ ადრე ყველაზე შეიარაღებულნი მდიდარი ქვეყნები იყვნენ. ამჟამად კი ეს სენი ღარიბ ქვეყნებსაც გადაედო. ღარიბ ქვეყნებს სამხედრო ხარჯების კიდევ უფრო გაზრდის საშუალებას მხოლოდ მძიმე ეკონომიკური ვითარება არ აძლევს. ბევრი მთავრობა უცხოელთა შესაძლო შემოტევისაგან საკუთარი მოქალაქეების დასაცავად, მეტს ხარჯავს, ვიდრე ამ მოქალაქეების სოციალურ დაცვაზე, მათ განათლებასა და ჯანმრთელობაზე.

თუ წარსული მომავლის გზამკვლევაა, მაშინ, როგორც ჩანს, სამხედრო ძლიერება საერთაშორისო ურთიერთობების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად კიდევ დიდხანს დარჩება. ამგვარ შეხედულებას დღეს ყველა როდი ეთანხმება. ერთნი მიიჩნევენ, რომ ბირთვული იარაღის არსებობა გამორიცხავს ომს მსოფლიოს უძლიერეს ქვეყნებს შორის, მაგრამ ამგვარი ომი სწორედ იმიტომ არ მომხდარა, რომ უზარმაზარი სამხედრო ძლიერება არეგულირებს ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობებს. მეორენი მიიჩნევენ, რომ კაცობრიობის მწვავე გლობალურმა პრობლემებმა (გარემოს დაბინძურებამ, ენერჯისა და ნედლეულის ნაკლებობამ და ა.შ.) ომისა და სამხედრო ძლიერების მნიშვნელობა ძალზე შეამცირა. ეს ძლიერი არგუმენტია – გლობალურმა პრობლემებმა მართლაც შეაკავშირა კაცობრიობა და აიძულა იგი, დაეწყო საერთაშორისო თანამშრომლობა ზემოხსენებული პრობლემების გადასაჭრელად. მაგრამ ეს თანამშრომლობა ჯერ მხოლოდ დაიწყო და ის სამომავლო იმედი უფროა, ვიდრე არსებული საერთაშორისო ვითარების გადამწყვეტი, განმსაზღვრელი ფაქტორი. სხვადასხვა სახელმწიფოებს საკუთარი, ძალზე განსხვავებული პრობლემები აქვთ მოსაგვარებელი და ჯერჯერობით დედამიწაზე არ არსებობს ისეთი ორგანიზაცია თუ ორგანო, რომელიც მათ აიძულებდა შეთანხმებულიყვნენ. მსოფლიო მთავრობაც რომ შეიქმნას, მასაც შეიარაღებული ძალები, ე.ი. სამხედრო ძალა დასჭირდება, პოლიციური ფუნქციების შესასრულებლად.

ექსპერტთა გარკვეული ჯგუფის აზრით, მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციული პროცესი იმდენად დინამიურია და ქვეყნები

ეკონომიკურად უკვე იმდენად ურთიერთდაკავშირებულნი და ურთიერთდამოკიდებულნი არიან, რომ სამხედრო ძლიერებას აზრი ეკარგება. მაგრამ სწორედ ინტეგრირების მაღალი დონის მქონე დასავლეთის ქვეყნების მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ეს არგუმენტი სუსტია. განა სწორედ აშშ-ის სამხედრო ძლიერების წყალობით არ შეიქმნა პირობები დასავლეთ ევროპისა და იაპონიის სწრაფი ეკონომიკური აღმავლობისათვის, დასავლეთ ევროპის ინტეგრაციისათვის? აშშ-ის სამხედრო ძლიერების გარეშე ეს ვერ მოხერხდებოდა და, რა თქმა უნდა, ამის გამო აშშ-საც განვითარების უკეთესი პირობები შეექმნა. სწორედ უზარმაზარ სამხედრო ძლიერებაზე დაყრდნობით შეძლო აშშ-მა, გაეტარებინა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ისეთი საფინანსო, სავაჭრო და სხვა პოლიტიკა, რომელიც მას ხელს აძლევდა. თუნდაც სსრკ-ის მაგალითზეც ჩანს კარგად, რომ სამხედრო ძლიერებას ჯერ მნიშვნელობა არ დაუკარგავს.

ვინაიდან საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, ძალა და პოლიტიკა ურთიერთდაკავშირებულია. სამხედრო ძალა თავისთავად გადარჩენის და კეთილდღეობის გარანტია ვერ იქნება, მაგრამ იგი ორივეს არსებითი კომპონენტია.

სამხედრო ძალის გარეშე დიპლომატიასაც აზრი ეკარგება. ძალა ნებისმიერი სახელმწიფოს ბოლო “კარტია” პოლიტიკურ თამაშში. ძალის ჩვენება ან თუნდაც მისი არსებობა თავის როლს ყოველთვის ასრულებს. დიპლომატები მიდიან გარიგებაზე, კომპრომისზე, რადგან იციან, რა მოხდება ძალის გამოყენების შედეგად. ძალა დიპლომატების პასუხისმგებლობის, “დისციპლინის” საწინდარია. დიპლომატია ვაჭრობაა, მოლაპარაკებაა – მისი მიზანი ისეთი შედეგის მიღწევაა, რომელიც იდეალური შეიძლება არც იყოს მონაწილე მხარეებისათვის, მაგრამ სჯობდეს ზოგიერთ ალტერნატიულს, რომლებიც სამხედრო ძალის გამოყენებას გულისხმობს. რანაირადაც არ უნდა წარიმართოს მოლაპარაკება და რანაირად ცუდ ურთიერთობებშიც არ უნდა

იმყოფებოდნენ მხარეები, მოლაპარაკებებში ყოველთვის შეინიშნება საერთო ინტერესი და ორმხრივი ზიანის თავიდან აცილების მცდელობა.

როცა საკმარისი ძალა გაქვს, – შენიშნავს თომას შელინგი, – მაშინ დიპლომატია – “ვაჭრობაც” აღარ გინდა. დიდი სამხედრო ძლიერების მქონე სახელმწიფოს ძალით შეუძლია მოიპოვოს ის, რაც სჭირდება და დაიცვას ის, რაც აბადია. ქვეყანას ყველაფერი ძალუმს, თუ მას აქვს საკმარისი ძლიერება, “საკმარისი” კი იმით განისაზღვრება, თუ როგორ სამხედრო ძლიერებას ფლობს მოწინააღმდეგე. სამხედრო ძალის გამოყენება ომს, ძალადობას ნიშნავს. ომი კი სულიერი და მატერიალური ფასეულობების მოსპობას, ადამიანთა ტკივილს, შიშსა და ტანჯვასაც ნიშნავს. სამხედრო ძლიერების ეს მხარე, – ტკივილის შიში, – იწვევს შესაძლო “მსხვერპლის” მოტივაციას, სურვილს, თავი დააღწიოს ამ ტკივილს. ძალადობის შიშით პიროვნებებს და სახელმწიფოებს შეუძლიათ დათმონ, სხვაგვარად მოიქცნენ, თავის არჩევანზე თუ გადაწყვეტილებაზე უარი თქვან, მაგრამ ყოველივე ეს სხვისგან მომდინარე ძალადობაა. ძალადობის, ტკივილის მიყენების შესაძლებლობა – მოლაპარაკებათა მიღმა მდგომი სამხედრო ძალა, “ვაჭრობის” ნაწილია. მისი გამოყენება დიპლომატიაა, – შენიშნავს შელინგი, – უზნეო, მაგრამ მაინც დიპლომატიაა.

სახელმწიფო ძლიერების კიდევ ერთი და სულ უფრო მზარდი მნიშვნელობის მქონე კომპონენტი ეკონომიკური ძლიერებაა. თანამედროვე სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების დონე და ხასიათი, მისი ეკონომიკის დივერსიფიცირებულობა, მსოფლიო ეკონომიკური კონიუნქტურის ცვლილებებზე სწრაფად რეაგირება, საკუთარი საწარმოო სიმძლავრეების განახლების და მოწინავე ტექნოლოგიის და ტექნიკის დროული დანერგვის უნარი განსაზღვრავს საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში მის ადგილს. თანამედროვე სამხედრო ძლიერება პრაქტიკულად მთლიანად ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკურ პოტენციალს. განვითარებულ, მდიდარ სახელმწიფოს ძალუმს არა მხოლოდ აწარმოოს და იყიდოს

ძვირადღირებული შეიარაღება და სხვადასხვა სამხედრო მასალები და ტექნიკა, არამედ გაწვრთნას და შეინახოს მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალები. რაც უფრო აღჭურვილი, გაწვრთნილი და მობილურია ქვეყნის შეიარაღებული ძალები, მით უფრო ძლიერია ქვეყანა, მაგრამ ეფექტურ სამხედრო პოტენციალს უზარმაზარი ხარჯები სჭირდება. დიდი სამხედრო ხარჯები დამამძიმებელია თვით ყველაზე განვითარებული სახელმწიფოებისათვისაც კი; დიდი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი ხელს არ უწყობს ქვეყანაში ეკონომიკურ დინამიზმს და დროთა განმავლობაში ეკონომიკისა და საზოგადოებისათვის მძიმე ტვირთად გადაიქცევა. გამალებული შეიარაღება და ეკონომიკის მილიტარიზაცია ამუხრუჭებს ეკონომიკის განვითარებას, ხოლო თავდასხმისა თუ თავდაცვის ახალ-ახალი საშუალებების ძებნა სულ უფრო მეტ ხარჯებსა და ძალისხმევას მოითხოვს. ამგვარად, სამხედრო ძლიერება დღეისათვის უშუალოდ არის დამოკიდებული ეკონომიკურ ძლიერებაზე, მაგრამ სამხედრო ძლიერება ხელს როდი უწყობს ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის სრულ ამოქმედებას, მის დინამიზმსა და ცვალებადი ეკონომიკური ვითარებისადმი შეგუების უნარს.

ბუნებრივია, რომ პატარა ქვეყნებს არ გააჩნიათ საკმარისი ეკონომიკური პოტენციალი საკუთარი ძლიერი სამხედრო მანქანის შესაქმნელად. უფრო მეტიც, სამხედრო აღჭურვილობასა და მასალებზე ფასების განუხრელი მატება და ეფექტური შეიარაღებული ძალების შენახვისათვის საჭირო მზარდი ხარჯები ძალზე უარყოფითად მოქმედებენ ამ ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

ეროვნული ინტერესები

საშინაო და საგარეო პოლიტიკაში ცნება “ეროვნული ინტერესები” იმდენად მთარულია, რომ მას ნებისმიერი პოლიტიკური აქციის დასასაბუთებლად და გასამართლებლად იყენებენ. ამ ცნებამ რაღაც

განსაკუთრებული, ერთგვარი მისტიკური ელფერიც კი მიიღო. ეროვნული ინტერესები “მაღალი პოლიტიკის” ქვაკუთხედად არის აღიარებული. “მაღალი პოლიტიკა” კი სუვერენული სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების აუცილებელი პირობაა. ე. წ. “ეროვნული მიზნებისა” და “ეროვნული პერსპექტივის” რეალიზაცია ეროვნული ინტერესების განსაზღვრის შედეგად, მათი თანმიმდევრული დაცვით ხორციელდება (ცხადია, აქ აუცილებელი კორექტირებაც იგულისხმება).

ეროვნული ინტერესები საგარეო პოლიტიკის საკვანძო ცნებაა. თანამედროვე, ე. წ. ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში, სადაც არ არის საერთაშორისო კანონების ზეობა და არ არსებობს საერთაშორისო წესრიგისა და მშვიდობის გარანტად გამოსადეგი უზენაესი ხელისუფლება, სუვერენული სახელმწიფოები ატარებენ ისეთ საგარეო პოლიტიკას, რომელიც, მათი მთავრობების აზრით, ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეობს, რაც, თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში გაბატონებული ფასეულობების გათვალისწინებით, სახელმწიფოთა პოლიტიკური და ეკონომიკური ძლიერების გაზრდას გულისხმობს.

ეროვნული ინტერესების კონცეფცია პოლიტიკური რეალიზმის სკოლასთან არის დაკავშირებული. იგი ფაქტობრივად, მისი პირმშოა. ეს კონცეფცია პოლიტიკური რეალიზმის შეხედულებათა სისტემის საკვანძო ელემენტია. ამავე დროს იგი ყველაზე ნაკლებად იყო შესწავლილი და ზოგადი ფორმულირებების დონეს ვერ გასცდა. პრეინოლდსის შეხედულებით, ცნება “ეროვნული ინტერესები”, საერთოდ, უვარგისია, რადგანაც მას არ გააჩნია ზუსტი მნიშვნელობა. გარდა ამისა, კონკრეტული ქვეყნის ეროვნული ინტერესების ჩამოყალიბება შეუძლებელია და ამ ცნებას პოლიტიკოსები საზოგადოებრიობისა და საკუთარი თავის მოსატყუებლად იყენებენ. ზემოთქმულის მიუხედავად, ეს ცნება მეტად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და იგი დღემდე ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიასა და პრაქტიკაში.

სახელმწიფო მოღვაწეები, პოლიტიკური პარტიები თუ მოსახლეობის დაინტერესებული ჯგუფები, რომლებიც მონაწილეობენ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში ან ამ პოლიტიკას წარმართავენ, თავიანთ შეხედულებებს, გადაწყვეტილებებს და პოლიტიკას სწორედ ეროვნული ინტერესებით ასაბუთებენ და ამართლებენ. ეროვნული ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოება, იმის გამო, რომ მათ ზუსტი მნიშვნელობა არ გააჩნიათ, როგორც ცალკეული პიროვნებების, ასევე საზოგადოებრიობის სხვადასხვა ჯგუფების მიერ სხვადასხვაგვარად აღიქმებიან. ამიტომაც, ძალზე რთულია, მთელი ქვეყნის მასშტაბით კონსენსუსს მიაღწიო, როცა იმაზეა საუბარი, თუ რაში მდგომარეობს ქვეყნის ეროვნული ინტერესები და რანაირი საგარეო პოლიტიკით უნდა მიაღწიოს მან წარმატებას.

ეროვნული ინტერესების არსი. ზოგადად ეროვნული ინტერესები გულისხმობს გარკვეულ მიზნებს, რომელთა მიღწევისათვის სახელმწიფომ უნდა გაატაროს სათანადო პოლიტიკა. ეროვნული ინტერესები გულისხმობს აგრეთვე პოლიტიკის ისეთ მიმართულებას, რომელიც დანარჩენებისაგან გამოირჩევა, მიუხედავად იმისა, რაოდენ ალტერნატიულადაც არ უნდა გამოიყურებოდნენ ისინი. ამგვარი პოლიტიკა გულისხმობს იმ მიზნების მიღწევას, რომლებიც ცალკეული პირების, ჯგუფების ინტერესებს კი არ გამოხატავენ, არამედ მთელი ერის, სახელმწიფოს ინტერესებს. ამგვარი პოლიტიკა იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი ეროვნულ, სახელმწიფო ინტერესებს არის დაქვემდებარებული. პოლიტიკური რეალიზმის ერთ-ერთი “მამამთავარი” ჰ.მორგენტაუ აღნიშნავს, რომ ეროვნულ ინტერესებს დაცვა სჭირდებათ (“ეროვნული ინტერესები დაცულ უნდა იქნან არაეროვნული ინტერესების მიერ უზურპაციისაგან”).

ნებისმიერი საგარეო პოლიტიკა, რომელიც ეროვნული ინტერესებით განისაზღვრება, აუცილებლად გულისხმობს, ყველაზე ცოტა, ერის, ქვეყნის გადარჩენას, მისი ტერიტორიული მთლიანობის, პოლიტიკური ინსტიტუტების, კულტურის შენარჩუნებას. მაშასადამე,

ყოველი სახელმწიფო მოწოდებულია, დაიცვას საკუთარი გეოგრაფიული, პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული სახე, როცა სხვა სახელმწიფოსაგან ხელყოფის საფრთხე ემუქრება.

ჰ.მორგენტაუ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფო მოღვაწეები საერთაშორისო ასპარეზზე მოღვაწეობისას სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე ფიქრობენ და მოქმედებენ. ასე იყო წარსულში, ასეა ამჟამად და ასევე იქნება მომავალშიც. აშშ-ის ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ჰ.კისინჯერმა 1974 წელს ვაშინგტონში განაცხადა, რომ აშშ-ის საგარეო პოლიტიკა არის პრაგმატული და იგი ნაკარნახევია ქვეყნის ინტერესებით. მსგავსი შეხედულებანი და განცხადებები საკმაოდ ხშირია განსაკუთრებით პოლიტიკური რეალიზმის სკოლის წარმომადგენელთა და პრაქტიკოს-პოლიტიკოსთა შორის.

პოლიტიკური რეალიზმის პრინციპების თანახმად (საერთაშორისო პოლიტიკაში ჯერჯერობით სწორედ ეს პრინციპებია ყველაზე მეტად გამოყენებული!), საერთაშორისო პოლიტიკა, ისევე როგორც ყველანაირი პოლიტიკა, ძალაუფლებისათვის განუწყვეტელი ბრძოლაა. რადგან სუვერენული სახელმწიფოები საერთაშორისო პოლიტიკის წამყვანი მოქმედი პირები არიან, ძალა პოლიტიკის მისაღები და ეფექტური ინსტრუმენტია, ხოლო ძლიერება – სასურველი მიზანი. საერთაშორისო სისტემას ახასიათებს სახელმწიფოთა შორის აქტიური ან პოტენციური კონფლიქტი და მუდამჟამს ძალის გამოყენების, ომის შესაძლებლობა. ყოველი სახელმწიფო ცდილობს დაიცვას საკუთარი ტერიტორია და ინტერესები ნამდვილი ან მოჩვენებითი საშიშროებისაგან. ქვეყნებს შორის პოლიტიკური ინტეგრაცია სუსტია და იქამდე გრძელდება, სანამ იგი ამ ქვეყნების ეროვნულ ინტერესებს ემსახურება. მხოლოდ ძალის გამოყენება ან მისი დემონსტრირება (მუქარა) არის ქვეყნის გადარჩენის ფაქტორი. როცა პოლიტიკოსები, სახელმწიფოთა ლიდერები თავიანთი ინტერესების ურთიერთმითანხმებას ახერხებენ, ან როცა მყარდება ძალთა წონასწორობა, საერთაშორისო სისტემა სტაბილურობას იძენს.

სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები, პირველ ყოვლისა, “მაღალი პოლიტიკის”, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს გულისხმობს. ნებისმიერი მთავრობა, დემოკრატიულია იგი თუ – არა, ეროვნული ინტერესების დაცვის პოლიტიკას გაატარებს, – რადგან დაუნდობელ ანარქიულ საერთაშორისო ასპარეზზე ეს ერთადერთი ლოგიკური არჩევანია.

რას ნიშნავს ეროვნული ინტერესები? კ.დოიჩის აზრით, ინდივიდისა თუ ჯგუფის ინტერესები განისაზღვრება ორი მომენტით: ყურადღების პრიორიტეტითა და “ჯილდოს” მოლოდინით. თუ რაიმემ აღძრა ჩვენი ინტერესი, იგი ჩვენს ყურადღებას მიიქცევს და გარკვეულ გამოცდილებას, კმაყოფილებას მოგვანიჭებს ან ამგვარი “ჯილდოს” მიღების იმედს მოგვცემს. “ჯილდოს” მიღება ნიშნავს ისეთი რამის მიღებას, რასაც ჩვენთვის ფასი აქვს, ან იმის შენარჩუნებას, რაც გვეძვირფასება და რის დაკარგვასაც ვერ შევურიგდებოდით. პოლიტიკაში კი უპირველესი “ჯილდო” უსაფრთხოებაა. ამასთან ერთად – თავისუფლება, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, ეროვნული ღირსება, ეკონომიკური კეთილდღეობა და სხვ.

როგორც ვხედავთ, ეროვნული ინტერესების საფუძველში გარკვეული ფასეულობები ძევს. ეს ფასეულობები ერის ფასეულობებია, მისი კულტურის პროდუქტს წარმოადგენს და მის ერთიანობას გამოხატავს. ფასეულობები გამოიხატება იდეოლოგიაში, რომელიც შეიძლება დემოკრატიულიც იყოს და ტოტალიტარულიც. მაგრამ იდეოლოგია მხოლოდ მისწრაფებებს გამოხატავს, რადგან არც ერთი საზოგადოება არ გამხდარა აქამდე სრულიად დემოკრატიული ან ტოტალიტარული.

ფასეულობათა სისტემები ხანდახან ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მყოფ ფასეულობებს მოიცავენ. ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ სხვადასხვა კულტურები ერთსა და იმავე ფასეულობებს სხვადასხვა მნიშვნელობებს ანიჭებენ. ადამიანები უმაღლეს ფასეულობას ყოველთვის ეძიებდნენ, მაგრამ ამ როლის შესასრულებლად “ეროვნულ ინტერესებს”

საკმარისად მკაფიო მნიშვნელობა არა აქვთ მინიჭებული, ხოლო უმაღლესი ფასეულობის როლს “ძალაუფლება”, “ძლიერება” ასევე ვერ შეასრულებს. მართალია, ძალაუფლება, ძლიერება გადარჩენის აუცილებელი პირობაა, მაგრამ იგი საკმარისად უნივერსალური მაინც არ არის. როცა ორი ან მეტი ფასეულობა ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის, მათი შეფარდებითი მნიშვნელობა შეიძლება დადგინდეს და “დალაგდეს”, მაგრამ ეს ხშირად იოლი როდია; რადგან ამ პროცესში კონკრეტული ვითარება და ემოციები დიდ როლს ასრულებენ, რაც ართულებს ფასეულობათა მნიშვნელობის ობიექტურად შეფასებას. ფასეულობები თავიანთ სრულ პოლიტიკურ მნიშვნელობას ავლენენ ქმედებაში, როცა პოლიტიკოსები მათ აქტიურად იყენებენ. პოლიტიკური გადაწყვეტილება მოითხოვს პოლიტიკოსისაგან, თავისი ფასეულობები შეუთავსოს იმ გარემოს, რომელშიც ის იმყოფება. ამიტომ მას სჭირდება სანდო, დიდი ინფორმაცია და პოლიტიკური ინტუიცია. ამის გარეშე ჭირს ფასეულობათა “გადაყვანა” ეროვნულ ინტერესებში.

სახელმწიფოს ეროვნული ინტერესები გულისხმობს ისეთ ფასეულობებსა და მიზნებს, რომელთა მისაღწევად თუ შესანარჩუნებლად იგი შეიძლება უდიდეს მსხვერპლზე დასთანხმდეს. სწორედ ეს ფასეულობები და მიზნები არის, ჩვეულებრივ, ჩადებული ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და პრიორიტეტებში. ისინი ამის გამო განიხილება როგორც წმიდათაწმიდა ინტერესები და მიზნები. პოლიტიკოსები ამგვარ ინტერესებს “სასიცოცხლოს” უწოდებენ, ხოლო მეცნიერები – ძირითად, მთავარ ფასეულობებს.

რომელი ინტერესები და ფასეულობებია სასიცოცხლო? ტრადიციულად, სახელმწიფოს ასეთი ინტერესები დაკავშირებულია მის სიცოცხლისუნარიანობასა და არსებობასთან. ეს არის სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, დამოუკიდებლობა, კულტურული თვითმყოფადობა, პოლიტიკური ინსტიტუტები, სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურა.

სასიცოცხლო ინტერესებს ხშირად აიგივებენ ეროვნულ უსაფრთხოებასთან. ზოგჯერ სასიცოცხლო ინტერესებად წმინდა პრესტიჟული მომენტებიც კი ცხადდება. მაგალითად, 70-იანი წლების დასაწყისში ისრაელის მთავრობამ იერუსალიმი ქვეყნის დედაქალაქად გამოაცხადა. ეს არ იყო უკიდურესად აუცილებელი არც უსაფრთხოების თვალსაზრისით, არც ეკონომიკურად და არც იდეოლოგიურად, მაგრამ იერუსალიმს, როგორც სიმბოლოს, სასიცოცხლო ინტერესების “სტატუსი” მიეკუთვნა.

გამოყოფენ ეროვნული ინტერესების სხვადასხვა ტიპებს. მაგალითად, განასხვავებენ სასიცოცხლო და მეორეხარისხოვან, ზოგად და განსაკუთრებულ ინტერესებს. განასხვავებენ აგრეთვე იდენტურ, “ურთიერთშემავსებელ” და წინააღმდეგობრივ ეროვნულ ინტერესებს. ჯ.ფრენკელი გვთავაზობს ეროვნული ინტერესების ფორმულირების ორ დონეს: სასურველსა და ოპერაციულს (შესაძლებელს). პირველი მოიცავს იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომელთა რეალიზება სასურველი იქნებოდა სათანადო წანამდღვრებისა და საშუალებების არსებობის პირობებში. როგორც წესი, ამგვარი ეროვნული ინტერესები გრძელვადიანია. პანარაბიზმი, პანთურქიზმი, მსოფლიო რევოლუცია, კომუნიზმის მსოფლიოში გაბატონება ამგვარი ინტერესების კარგი მაგალითებია. მეორე დონის ინტერესები, ჩვეულებრივ, მოკლევადიანია, არსებული პირობებისა და შესაძლებლობების ადეკვატურია. დიდი ბრიტანეთის ინტერესის მაგალითად მის მიერ ინდოეთისაკენ მიმავალ საზღვაო გზაზე სტრატეგიული ბაზების “ჯაჭვის” (გიბრალტარი, მალტა, კვიპროსი, სუეცი, ადენი) შექმნა და შენარჩუნებაც იკმარებს.

საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ეროვნული ინტერესების “ეკონომიკური კომპონენტის” მკვეთრად გაზრდილი მნიშვნელობა. სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია, ინტეგრაციული პროცესები, ტრანსნაციონალური კორპორაციების ბატონობა, გეოპოლიტიკის გეოეკონომიკად ტრანსფორმირება, ქმნიან ისეთ

ვითარებას, როცა არა მხოლოდ კონფლიქტების მიზეზები, არამედ მათი გადაწყვეტის საშუალებებიც სულ უფრო ხშირად ეკონომიკურია (იმპორტის შემცირება-გადიდება, ექსპორტის სუბსიდირება, კონკურენტუნარიანი ტექნოლოგიური პროექტების დაფინანსება და ა.შ.). ეს კი ეროვნულ ინტერესებს ძლიერ ეკონომიკურ “შეფერილობას” ანიჭებს. ყოველი სახელმწიფო ეკონომიკურად იმდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული დანარჩენ სამყაროსთან, რომ მისი სიცოცხლისუნარიანობა, მისი მოსახლეობის დასაქმება და კეთილდღეობა საერთაშორისო სამეურნეო პროცესებზეა დამოკიდებული. ეკონომიკური ფაქტორები ლამის ეროვნული ინტერესების “გამგებლებად” იქცნენ. ეროვნული ინტერესების ეკონომიკურ კომპონენტს ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო თანამედროვე სახელმწიფოების ეროვნული ინტერესები იმდენად “ეკონომიზებულია”, რომ ზოგიერთ შემთხვევებში პოლიტიკური მხარე ეკონომიკური ინტერესებით თითქმის იჩრდილება. ამიტომაც, რომ ექსპერტების გარკვეული ნაწილი თანამედროვე სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების განმსაზღვრელ ფაქტორად ეკონომიკურ კეთილდღეობას მიიჩნევს. ეროვნული ინტერესების ფორმულირების მექანიზმი, ზოგიერთი ავტორის აზრით, ეკონომიკურ თეორიაში კარგად ცნობილი ინდივიდუალური მომხმარებლის მიზნებისა და მოთხოვნილებების ფორმულირების ანალოგიურია.

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური მიზნები უნდა გამომდინარეობდეს მისი ეროვნული ინტერესებიდან. მაშასადამე, ეროვნული ინტერესები გულისხმობს გარკვეული მიზნების იდეალურ შეთანხმებას. ეს ის მიზნებია, რომელთა ცხოვრებაში დამკვიდრებას სუვერენული სახელმწიფო (სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის გზით) გარკვეული დროის განმავლობაში ცდილობს. მიზანი ან მიზნები არსებითად არის ისეთი მომავალი ვითარება ან პირობები, რომელთა მიღწევა საჭიროდ მიაჩნია სახელმწიფოს ხელმძღვანელობას. ზოგიერთი მიზანი, შესაძლოა, კარგა ხანს აქტუალური იყოს, ზოგიერთები კი საკმაოდ სწრაფად ენაცვლებოდეს ერთმანეთს. საგარეო პოლიტიკაში ძალზე

ხშირია შემთხვევები, როცა ეროვნული ინტერესებისა და, მაშასადამე, საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებისა და მიზნების ფორმულირება არა ხანგრძლივი პროცესის შედეგად, არამედ მოულოდნელი მოვლენების საპასუხოდ, “ცაიტნოტის” პირობებში, სწრაფი რეაგირების გზით ხდება. არაერთგზის აღნიშნულა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ხშირად სწორედ ამგვარ კრიზისულ ვითარებაში და დროის უქონლობის პირობებში ყოფილა მიღებული. ამგვარი პრაქტიკის გამოა, რომ, საერთაშორისო ურთიერთობათა სპეციალისტების გარკვეული ნაწილის აზრით, მთავრობებს, ჩვეულებრივ, არ გააჩნიათ “დაგეგმილი” პოლიტიკა და ისინი მხოლოდ სხვათა ქმედებებს უპასუხებენ; თუმცა ამგვარი პოლიტიკაც აუცილებლად უნდა ემყარებოდეს ეროვნულ ინტერესებს, რომლებიდანაც მომდინარეობს სახელმწიფოს პოლიტიკური ორიენტაცია და, საერთაშორისო სისტემასა და საზოგადოებაში მისი ადგილიცა და როლიც.

ვინ აყალიბებს, განსაზღვრავს სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს? ჰმორგენტაუ აღნიშნავს, რომ საზოგადოების სხვადასხვა დაინტერესებული ჯგუფები ეროვნული ინტერესების თავისებურად განსაზღვრას ცდილობენ. მეწარმეები, ეთნიკური უმცირესობები, პარლამენტი, მთავრობა, ყველანაირი იდეოლოგიები ერთმანეთს ეჯიბრებიან, თავიანთი კერძო ინტერესები ეროვნულ ინტერესებად გამოაცხადონ და გაასაღონ. მორგენტაუ ამას “ეროვნული ინტერესების” უზურპაციის მცდელობას უწოდებს. მისი აზრით, მთავარია ობიექტური ანალიზის გზით ეროვნული ინტერესების “რაციონალური ბირთვის” განსაზღვრა. როცა ეს ბირთვი იკვეთება, მაშინ ზემოაღნიშნული უზურპაციის მცდელობების მიუხედავად, ეროვნული ინტერესები მართებული და გამჭრიახი საგარეო პოლიტიკის საძირკველს ქმნის. ზნეობრივი აბსტრაქციებით ნაკარნახევი საგარეო პოლიტიკა, ეროვნული ინტერესებისთვის ანგარიშის გაწევის გარეშე, უნაყოფია.

ეროვნული ინტერესების განსაზღვრა და მათი რეალიზება ქვეყნის პოლიტიკური ელიტის საკმაოდ მაღალ პოლიტიკურ და ეკონომიკურ

კულტურასთან ერთად, აგრეთვე დახვეწილ დიპლომატიას მოითხოვს. ამ მხრივ საყურადღებოა ახლადშექმნილი სუვერენული სახელმწიფოების მთავრობათა მიერ ეროვნული ინტერესების შემუშავება-რეალიზების პროცესთა თავისებურებანი. ამგვარი სახელმწიფოები, როგორც წესი, რევოლუციური ძვრების, პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმების, ეროვნული თვითგამორკვევის პრინციპის ცხოვრებაში გატარებისა და სეპარატიზმის შედეგად არიან წარმოშობილნი და მათ, მეტწილად, გამოუცდელი, პოპულიზმისა და ნაციონალიზმის “საფუარით” აღზევებული პოლიტიკური ძალები განაგებენ. სისხლიანი თუ “ხავერდოვანი” რევოლუციები, დიდი სახელმწიფოების დაშლა თუ სხვადასხვა ქვეყნების ინტეგრირება არღვევენ საერთაშორისო და რეგიონულ სისტემებში ძალთა წონასწორობას, ქმნიან ძალის ვაკუუმს, პოტენციურ აგრესორებს სხვათა ხარჯზე საკუთარი პოზიციების გაუმჯობესების ცდუნებებსა და შესაძლებლობებს უქმნიან. რევოლუციურ მთავრობებს რაც შეეხება, მათ ხშირად მეტისმეტი იდეოლოგიზაციითა და უკიდურესი ნაციონალიზმით გამოწვეული იდეოლოგიური პათოლოგია, რეალური პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების უგულვებლყოფა და გარე სამყაროსა თუ სხვა საერთაშორისო მოვლენების რამდენადმე სპეციფიური, არარეალისტური, დამახინჯებული აღქმა და ხედვა ახასიათებთ. ამას ემატება ეროვნული სუვერენიტეტისა და ეროვნული თვითგამორკვევის ძალების დაპირისპირება ეთნიკურად არაერთგვაროვან ქვეყნებში (ამის მაგალითებად ყოფილი იუგოსლავია და სსრკ კმარა). ყოველ ერსა და ეთნიკურ ჯგუფს საკუთარი ისტორიული ხედვა აქვს. საკუთარი წარსულის განდიდება და უკუღმართი ისტორიული მოვლენების მსხვერპლად საკუთარი თავის გამოცხადებაც აგრეთვე ჩვეულებრივი მოვლენაა. ამგვარ პირობებში მოვლენების ობიექტური, რაციონალური ჰვრეტა და ეროვნული პერსპექტივის, ეროვნული ინტერესების განსაზღვრა და სათანადო პოლიტიკის გატარება მეტად რთული ამოცანაა. რევოლუციური, იდეოლოგიზირებული და ნაციონალისტური რეჟიმების მქონე ახლადწარმოქმნილი, სუვერენული

სახელმწიფოების ხელმძღვანელობა, ჩვეულებრივ, დიდ ყურადღებას უთმობს ეროვნული ინტერესების სამხედრო ასპექტებს, მაშინ როცა ეს ინტერესები ეკონომიკურ და კულტურულ მიზნებსაც მოიცავს. სამხედრო ინტერესების მიმართ მეტისმეტი ყურადღება ნიშნავს სამხედრო ხარჯების ზრდას, რაც მოსახლეობის კეთილდღეობას ხელს სულაც არ უწყობს. ამის შედეგად ქვეყნის ეროვნულ ინტერესებში ჩადებულია შიდა წინააღმდეგობა, რომელსაც ხატოვნად “კარაქისა და ზარბაზნის” დილემას უწოდებენ.

დიდი, ძლიერი ქვეყნის ეროვნული ინტერესები მსოფლიოს ყველა მხარეზე და ცხოვრების ყველა სფეროზე ვრცელდება. ასე მაგალითად, მეცხრამეტე საუკუნეში დიდი ბრიტანეთის ეროვნული ინტერესები გულისხმობდა ევროპის კონტინენტზე ძალთა წონასწორობის შენარჩუნებას, მსოფლიო ოკეანეზე ბატონობას, მეტროპოლიასა და კოლონიებს შორის კავშირებისა და ვაჭრობის უზრუნველყოფას. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში აშშ-ის ეროვნული ინტერესები, ჯ.ჩეისის შეხედულების თანახმად, ოთხ უმთავრეს ასპექტს მოიცავდა: ნებისმიერი პოტენციური აგრესორისათვის აშშ-ის ტერიტორიაზე თავდასხმის ყოველგვარი შესაძლებლობის გამორიცხვას; მთელ მსოფლიოში ერთა თვითგამორკვევისა და დემოკრატიისათვის მხარის დაჭერას; საერთაშორისო ვაჭრობის მფარველობას, მისთვის ხელის შეწყობას; მსოფლიოს მასშტაბით აშშ-ისთვის სასურველი ძალთა წონასწორობის დამყარებას.

საშუალო ქვეყნების ეროვნულ ინტერესებში, როგორც წესი, უმნიშვნელოვანესი ადგილი უსაფრთხოების საკითხებს, რეგიონში ლიდერობისათვის ბრძოლას, “მომგებიან” კოალიციაში შესვლასა და ხელსაყრელი საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებასა და განმტკიცებას უჭირავს.

პატარა ქვეყნებისათვის უსაფრთხოების საკითხი (ძლიერი მოკავშირის, მფარველის გამონახვის, ხელსაყრელ კოალიციაში შესვლისა თუ სხვა გზით) გადამწყვეტია. ვინაიდან პატარა ქვეყნის ეკონომიკა, მისი

შიდა ბაზრის მცირე ტევადობისა და მეურნეობის ნაკლები დივერსიფიცირებულობის გამო, უფრო გახსნილია, უდიდესი მნიშვნელობა აგრეთვე ხელსაყრელ სტაბილურ ეკონომიკურ კავშირებს ენიჭება. ეროვნული თვითმყოფადობისა და კულტურულ ფასეულობათა შენარჩუნების საკითხი პატარა ქვეყნის ეროვნული ინტერესების მეტად “მგრძნობიარე” კომპონენტია. პატარა, სამხედრო თვალსაზრისით შედარებით სუსტი ქვეყნების ეროვნული ინტერესები, შესაძლოა, სხვათა თვალში შთამბეჭქდავად არ გამოიყურებოდნენ, მაგრამ ძალზე შეზღუდული სამხედრო და ეკონომიკური პოტენციალის გამო მათი უზრუნველყოფა უკიდურესად ძნელი საქმეა. სწორედ პატარა ქვეყნების ეროვნული ინტერესების განსაზღვრა და რეალიზება ყველაზე ნაკლებად უნდა შეიცავდეს ემოციურ, პოპულისტურ ელემენტებს; იგი უაღრესად რეალისტური, საკმარისად მოქნილი (ამავე დროს პრინციპული) პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას მოითხოვს.

ეროვნული უსაფრთხოება

სუვერენული სახელმწიფოსთვის უსაფრთხოების საკითხები სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. უსაფრთხოების უზრუნველყოფა გულისხმობს ბევრ რამეს, მაგრამ, პირველ ყოვლისა, ეს არის სუვერენიტეტის, ქვეყნის მთლიანობის, პოლიტიკური ინსტიტუტების, კულტურული თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნება. ცნებას – “ეროვნული უსაფრთხოება” – ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. მათი არგუმენტები შემდეგია: 1. ეს ცნება ძლიერი, მაგრამ ძალიან ბუნდოვანი სიმბოლოა. 2. პრობლემა ეროვნული უსაფრთხოება კი არა არის, არამედ საერაშორისო უსაფრთხოება. ადამიანი უნდა ცხოვრობდეს უსაფრთხო მსოფლიოში და არა – უსაფრთხო ქვეყანაში; 3. ეროვნული უსაფრთხოება სახელმწიფოს უსაფრთხოებაა და არა – ადამიანისა. მთავრობები ამ ცნებას ხშირად იყენებენ ქვეყნის შიგნით უკმაყოფილებისა და ოპოზიციის დასათრგუნავად. საკუთარი უსაფრთხოებისათვის სახელმწიფოს ზედმეტად აქტიური ზრუნვის გამო პიროვნების პირადი უსაფრთხოება

ხშირად შეზღუდულია; 4. ეს ცნება ხშირად გამოიყენება გარკვეული ჯგუფის ან პიროვნების ვიწრო ინტერესებისთვის (ამის მაგალითებია: ავტორიტარული ლიდერი, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი, ძალოვანი სტრუქტურები).

ვინაიდან ყოველი სუვერენული სახელმწიფო დღენიადაგ საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნავს, ამიტომ არ არსებობს საყოველთაო უსაფრთხოება. ამის გამო მსოფლიო “ჩაეფლო” ისეთ ვითარებაში, რომელიც “უსაფრთხოების დილემის” სახელწოდებით არის ცნობილი. იგი ლოგიკურად გამომდინარეობს სუვერენულ სახელმწიფოთა საერთაშორისო სისტემის ანარქიულობიდან, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი სახელმწიფო საყოველთაო უნდობლობის ვითარებასა და უზენაესი საერთაშორისო ხელისუფლების არარსებობის პირობებში იძულებულია, თავად უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება. მაშასადამე, ყოველი ქვეყანა, უნდა მას ეს თუ არა, იძულებულია გააძლიეროს საკუთარი სამხედრო და სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობები, რადგან არ არის დარწმუნებული, რომ მას ხელს არავინ ახლებს. ამრიგად, ერთი ქვეყნის სამხედრო პოტენციალის ზრდა აიძულებს მის მეტოქეს ან მეტოქეებს თავიანთი სამხედრო შესაძლებლობების გაძლიერებაზე იზრუნონ. ნათელია, რომ ყველაზე ძლიერი ქვეყანაც კი არ არის უსაფრთხოების მდგომარეობაში, რადგანაც მისი მეტოქე ან მეტოქეები, საპასუხოდ, საკუთარი პოზიციების გაუმჯობესებას ცდილობენ და ამგვარ კონკურენციას ბოლო არ უჩანს. დილემა სწორედ ისაა, რომ რაც არ უნდა გაძლიერდე, შენი უსაფრთხოება კვლავ არ არის უზრუნველყოფილი. ამგვარი ვითარება და, აბსოლუტური თუ არა, შედარებითი უსაფრთხოებისაკენ დაუცხრომელი ლტოლვა მაინც განაპირობებს არა მხოლოდ გამალებული შეიარაღებისა და სამხედრო-სტრატეგიული პრობლემების მიმართ გამოჩენილ განსაკუთრებულ ინტერესს, არამედ თვით ომების, სამხედრო-პოლიტიკური კავშირების წარმოქმნის მიზეზსაც. საზოგადოდ, საკუთარი უსაფრთხოების

უზრუნველყოფა სუვერენული სახელმწიფოს უპირველეს მოთხოვნილებად და ამოცანად არის მიჩნეული.

სამყაროში, სადაც ყველაზე მნიშვნელოვან პოლიტიკურ ფაქტორად ძალას, ძლიერებას აღიარებენ, უსაფრთხოებისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება სავსებით გასაგებია. ამავე დროს უნდა ვაღიაროთ, რომ უსაფრთხოების საკითხები დინამიკურ პოლიტიკურ სინამდვილეში სულ ახალ-ახალი რთული პრობლემებისა და დილემების სახით გვევლინება და საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიასა და პრაქტიკას ბევრ თავსატეხს უქმნის.

რადგან საფრთხე არა მხოლოდ ფიზიკურად არსებობს, არამედ ხშირად ძალზე სუბიექტურადაც და იგი ყველას მიერ განსხვავებულად აღიქმება, უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ასპექტიც ახასიათებს. უსაფრთხოების ფსიქოლოგიური ასპექტები მის ობიექტურ შეფასებასა და აღქმას მეტად ართულებს და ხშირ შემთხვევებში ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტებისა და პოლიტიკის განსაზღვრისას არარაციონალური გადაწყვეტილებების მიღებას განაპირობებს.

აშშ: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ევოლუცია.

ყოველ ქვეყანას უსაფრთხოების საკუთარი პირობები და პრობლემები აქვს. ძლიერი ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემები დიდად განსხვავდება სუსტი ქვეყნის ანალოგიური პრობლემებისაგან, თუმცა მათ ბევრი რამ საერთოც ახასიათებთ. ისეთ ძლიერ სახელმწიფოს, როგორც არის აშშ, უსაფრთხოების ისეთივე რთული და წინააღმდეგობრივი პრობლემები ექმნება, როგორც – ნებისმიერ სხვა ქვეყანას; ამდენად, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა, აშშ-ის, ამჟამინდელი მსოფლიო ჰეგემონის, უსაფრთხოების პრობლემების მაგალითზე გაგვეხილა, საზოგადოდ, უსაფრთხოების პრობლემები.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდამდე, აშშ-ის მთავრობის ოფიციალურ დოკუმენტებში, პრეზიდენტების გამოსვლებში ტერმინი “ეროვნული უსაფრთხოება” პრაქტიკულად არ იხმარებოდა. იგი მხოლოდ

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 40-იანი წლებიდან მოყოლებული მკვიდრდება აშშ-ის პოლიტიკურ ლექსიკონში.

ე.მეის აზრით, ეროვნული უსაფრთხოების თაობაზე ამერიკელთა შეხედულებების ევოლუცია შეიძლება ოთხ ისტორიულ პერიოდად დავყოთ: 1. მეთვრამეტე ს. 90-იანი – მეცხრამეტე ს. 70-იანი წლები; 2. მეცხრამეტე ს. 70-იანი – მეოცე ს. 30-იანი წლების მიწურული; 3. მეორე მსოფლიო ომის დასაწყისიდან 60-იანი წლების ჩათვლით; 4. 60-იანი წლებიდან დღემდე.

პირველ პერიოდში აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტი იყო ეროვნული საზღვრების უსაფრთხოებისა და შტატებს შორის კავშირის შენარჩუნების უზრუნველყოფა. მართალია, 1820-იანი წლებიდან აშშ-ის სახელმწიფო საზღვრებს საფრთხე აღარ ემუქრებოდა, ხოლო ამ წლების მიწურულს პრეზიდენტმა მონრომ გამოაცხადა, რომ აშშ არ მოითმენს სხვათა ჩარევას ამერიკის კონტინენტის საქმეებში (“მონროს დოქტრინა”), და მაინც, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტად ქვეყნის შიდა უსაფრთხოება და მთლიანობა რჩებოდა.

მეორე პერიოდში, რომელიც მიმდინარე საუკუნის 30-იანი წლების მიწურულამდე გაგრძელდა, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოება სხვა ამერიკული რესპუბლიკების უსაფრთხოებასთან მჭიდრო კავშირში განიხილებოდა (ეს უკვე “მონროს დოქტრინის” ცხოვრებაში გატარება იყო), მაგრამ პრიორიტეტი ეძლეოდა აშშ-ის შიგნით სოციალურ მშვიდობასა და კლასობრივი კონფლიქტების თავიდან აცილებას.

აშშ-ის შექმნიდან მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე ქვეყნის საგარეო პოლიტიკა არ ატარებდა გლობალურ ხასიათს, საზოგადოებრივი აზრი, პოლიტიკოსთა უმრავლესობა იზოლაციონიზმის, სხვა რეგიონებში კონფლიქტებისა და ომებისაგან აშშ-ის განზე დგომის მომხრე იყო. აშშ დინამიკურად ვითარდებოდა და ძირითადად საკუთარი საშინაო საქმეებით იყო გართული. მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის მიწურულს ჩაება აშშ საომარ მოქმედებებში გერმანიის წინააღმდეგ, მაგრამ ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი ჯერ კიდევ იზოლაციონიზმის მომხრე იყო.

როგორც ჯ.სპენიერი აღნიშნავს, აშშ-ს ისტორიული ტრადიცია იზოლაციონიზმი იყო.

მესამე პერიოდში, რომელიც 60-იანი წლების მიწურულამდე გაგრძელდა, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების “ჩარჩოები” საგრძნობლად გაფართოვდა და უკვე “თავისუფალი სამყაროს” ქვეყნების უსაფრთხოებასაც მოიცავდა. ამავე დროს, ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვან ელემენტად მიჩნეული იქნა ქვეყნის ეკონომიკის დინამიზმისა და მოსახლეობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა. საყურადღებოა, რომ ამიერიდან აშშ კისრულობს დემოკრატიული სამყაროს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვას კომუნიზმისგან. 1948 წელს პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი აცხადებს, რომ ნებისმიერი ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვა პირდაპირ ემუქრება აშშ-ის და ყველა თავისუფალი ქვეყნის უსაფრთხოებას. ამ დროისათვის აშშ, მსოფლიოს სამხედრო და ეკონომიკური ჰეგემონი, დასავლეთის სამყაროს ლიდერია. 1951 წელს, კორეაში ომის დასაწყისში, ჰ.ტრუმენი აცხადებს, რომ აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოება მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა თავისუფალი ქვეყნების ბედთან. სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი ეროვნული უსაფრთხოების საბჭო (1947წ.) იწყებს საიდუმლო დირექტივების მომზადებას, რომლებშიც განსაზღვრულია აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები უახლოესი მომავლისათვის. გასაგებია, რომ სსრკ-თან დაწყებული “ცივი ომის” პირობებში, ამ დოკუმენტებში აქცენტირებულია პოლიტიკა სსრკ-ის მიმართ, მისი შეკავება, აგრეთვე ევრაზიაში მისი დომინირების წინააღმდეგ ბრძოლა

60-იანი წლებიდან იწყება ახალი პერიოდი აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების იდეოლოგიაში. ბირთვული და სარაკეტო იარაღის განვითარებამ, აშშ-სა და სსრკ-ის გლობალური მასშტაბით შეჭიდებამ, საკუთრივ აშშ-ის ტერიტორიისათვის შექმნილმა საფრთხემ ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების შინაარსი რამდენადმე შეცვალა. ამიერიდან, აშშ-ის უსაფრთხოება განიხილება დანარჩენი ქვეყნების საშინაო

მდგომარეობასთან მჭიდრო კავშირში. ამავე დროს ეროვნული უსაფრთხოების მიზნებში პრიორიტეტი აგრეთვე მიენიჭა ეკონომიკურ კეთილდღეობას მთელ მსოფლიოში. სსრკ-სა და კომუნისტური შეკავება კვლავ წამყვან პრიორიტეტად დარჩა.

ცივი ომის დასრულებამ და სოციალისტური ბანაკისა და სსრკ-ის დაშლამ, კომუნისტური იდეოლოგიის დამარცხებამ დღის წესრიგში დააყენა აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების ახლებურად გააზრებისა და განსაზღვრის ამოცანა. ამჟამად, როცა აშშ-ის ერთადერთი მეტოქე – სსრკ აღარ არსებობს, ამერიკის საზოგადოებრიობა მოითხოვს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების გადასინჯვას, შიდა სოციალური და ეკონომიკური პრობლემებისაკენ მიბრუნებას.

როგორც დავინახეთ, აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოება ყოველთვის განიხილებოდა, როგორც შიდა და გარე კომპონენტების შეხამება. ზოგჯერ ისინი ერთმანეთს ავსებდნენ, ზოგჯერ კი ერთმანეთთან წინააღმდეგობაში აღმოჩნდებოდნენ ხოლმე. მეორე თავისებურება ის არის, რომ აშშ საკუთარ ეროვნულ უსაფრთხოებას ყოველთვის სხვა სახელმწიფოების უსაფრთხოებასთან კავშირში განიხილავდა. ამას ზოგიერთი ექსპერტი “ინტერნაციონალიზმსაც” კი უწოდებს. ამერიკელი ა.ტონელსონის აზრით, გლობალური მასშტაბის “ინტერნაციონალური” საგარეო პოლიტიკა ცივი ომის დასრულების შემდეგ აშშ-ს აღარ წაადგება და ამიერიდან მან ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები რეალურ ეროვნულ ინტერესებს უნდა მიუსადაგოს.

აშშ-ის საგარეო პოლიტიკის შეურიგებელი კრიტიკოსები ამ პოლიტიკას იმპერიალისტურად, ხოლო ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინებს იმპერიალისტური მიზნებისადმი დაქვემდებარებულად ნათლავდნენ და ამჟამადაც ასეა.

90-იანი წლებიდან აშშ-ში ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების მიმართ ინტერესი მკვეთრად გაიზარდა. ცივი ომის დასრულებამ, სსრკ-ისა და სოციალისტური ბანაკის დაშლამ, მსოფლიოში ძალთა თანაფარდობისა და გეოპოლიტიკური ვითარების შეცვლამ

მოითხოვა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მნიშვნელოვანი გადასინჯვა, მისი ახლებურად განსაზღვრა. გაისმა ხმები, რომ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებისადმი მიდგომა უნდა ემყარებოდეს დიდი ბიზნესის მიერ დამუშავებულ და გასინჯულ მეთოდებს. ეროვნული უსაფრთხოება დიდძალი ფული ჯდება, ამიტომ მისი პრიორიტეტების განსაზღვრა და მათი რეალიზაცია ეკონომიკურად ეფექტიანი უნდა იყოს. აშშ-ის უსაფრთხოებაზე დახარჯული ყოველი 5 დოლარიდან 4 სამხედრო დანიშნულებისა იყო, ხოლო უსაფრთხოების ბიუჯეტის თითქმის ნახევარი ბირთვულ იარაღსა და ევროპაში აშშ-ის სამხედრო ხარჯებზე მოდიოდა, რაც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ ქვეყნის უსაფრთხოების ცენტრალური პრობლემა ევროპაში შესაძლო საბჭოთა შემოტევასთან გამკლავება იყო. უსაფრთხოებისათვის გაღებული არასამხედრო კომპონენტის ხარჯები (1/5) ფულითაც, პერსონალითაც ბევრად ნაკლებია სამხედრო კომპონენტზე (4/5), მაგრამ მისი ეფექტიანობის შეფასება ადვილი არ არის. ამავე დროს ცნობილია, რომ ოსტატურმა დიპლომატიამ შეიძლება ისეთი შედეგები გამოიღოს, რომ მკვეთრად შემცირდეს სამხედრო სფეროს ხარჯები. გარდა ამისა, ქვეყნის შიდა პრობლემების შერბილება, ერის სოციალური და პოლიტიკური ერთიანობის, კეთილდღეობის გაზრდა ასევე აძლიერებს ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებას, მაგრამ ამ შედეგების ფულადი შეფასება ძალზე ძნელი საქმეა. ერთი სიტყვით, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის კრიტიკული შეფასება არა მხოლოდ კონცეფციებსა და პრიორიტეტებს, არამედ მათ ეკონომიკურ ასპექტებსაც შეეხო.

ამერიკელი თ.სორენსონი შენიშნავს, რომ შეკავების ეპოქა დასრულდა და საჭიროა ეროვნული უსაფრთხოების ახალი კონცეფციის შემუშავება. მისი აზრით, თანამედროვე აშშ-ის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას ორი მთავარი მიზანი უნდა ჰქონდეს: ეკონომიკური დამოუკიდებლობა და მსოფლიოში დემოკრატიული განვითარების მხარდაჭერა. ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შიდა პრობლემებს – ტექნოლოგიურ პროგრესს, ტექნიკურ დარგებში

კადრების მომზადების მკვეთრად გაუმჯობესებას და ა.შ. თუ სორენსონი მსოფლიოში დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერას მშვიდობიანი და “ტაქტიანი” ფორმების გამოყენებით ამჯობინებს, მისი თანამემამულე თ.დიბელი აღიარებს, რომ მსოფლიოში ამერიკულ ფასეულობათა გავრცელება და დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერა სხვა ქვეყნების შიდა საქმეებში ჩარევას ნიშნავს. კიდევ ერთი ამერიკელი ჯ.მურავჩიკი პირდაპირ აცხადებს, რომ დემოკრატიის “ექსპორტს” აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იგი ასახელებს სამ მიზეზს: 1. დემოკრატია მმართველობის ჯერჯერობით საუკეთესო ფორმაა; 2. რაც უფრო დემოკრატიულია მსოფლიო, მით უფრო მეგობრულია აშშ-ის გარემოცვა; 3. რაც უფრო დემოკრატიულია მსოფლიო, მით უფრო მშვიდობიანია იგი. მურავჩიკი აღნიშნავს, რომ სხვა ქვეყნებისათვის აშშ-ის დახმარება არის არა მხოლოდ ქველმოქმედება, არამედ გეოსტრატეგიის, საშინაო პოლიტიკის, ეკონომიკის და ქველმოქმედების ნარევი. მისი აზრით, ქვეყნის გრძელვადიანი უსაფრთხოების პრიორიტეტების წინასწარი განჭვრეტა ძნელია, მაგრამ უსაფრთხოების უზრუნველყოფას სწორედ გრძელვადიანი, პერსპექტიული ხასიათი უნდა ჰქონდეს. დემოკრატიის ექპორტს კი სწორედ ეს მიზანი აქვს. აშშ-ის შეუძლია დემოკრატიის ექსპორტი, – აღნიშნავს იგი და იქვე დასძენს: “რაც კარგია დემოკრატიისათვის, კარგია ამერიკისათვის”.

ამერიკელ ექსპერტთა უმრავლესობას მაინც მიაჩნია, რომ მიმდინარე ეტაპზე ქვეყანამ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს საკუთარ საშინაო პრობლემებს. მათი აზრით, აღარ შეიძლება “საგარეო” და “საშინაო” პოლიტიკის გათიშვა, მითუმეტეს, რომ, მათი აზრით, აშშ თანდათანობით კარგავს ეკონომიკურ ჰეგემონობას. მისი ბიუჯეტისა და საგადამხდელი ბალანსის დეფიციტი, შენელებული ტექნოლოგიური პროგრესი და სხვა ეკონომიკური პრობლემები ამცირებს ქვეყნის გლობალურ კონკურენტუნარიანობას და სერიოზულ საფრთხეს უქმნის მის ეროვნულ ინტერესებს. შიდა პრობლემებზე ყურადღების გადატანის,

გლობალურ “მოვალეობებზე” უარის თქმის, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტების გადასინჯვის მოთხოვნები, ბუნებრივია, კრიტიკულ შეფასებებსაც იწვევს იმ ექსპერტთა მხრიდან, რომლებიც ძლიერ სამხედრო პოტენციალში ხედავენ აშშ-ის უსაფრთხოების საფუძველსა და გარანტს.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა - ზოგიერთი ასპექტი

როგორც დავინახეთ, ეროვნული უსაფრთხოება მხოლოდ სამხედრო შესაძლებლობათა უზრუნველყოფასა და მათ გამოყენებას როდი ნიშნავს. სამხედრო ძლიერება თუმცა კვლავაც რჩება ეროვნული უსაფრთხოების წამყვან კომპონენტად, ის სხვებთან ერთად მაინც ერთ-ერთი კომპონენტია. დღეისათვის ყალიბდება ეროვნული უსაფრთხოების უფრო ფართო, კომპლექსური გაგება, რომელიც, სამხედრო კომპონენტებთან ერთად, მოიცავს ეკონომიკურ, დიპლომატიურ, სოციალურ და ეკოლოგიურ კომპონენტებს.

უსაფრთხოება უშუალოდ დაკავშირებულია ფასეულობებთან, მაგრამ იგი თავად არ წარმოადგენს ფასეულობას. სახელმწიფოსათვის იგი ის პირობაა, რომლის მემშვეობითაც ხორციელდება ფასეულობათა შენარჩუნება. მაშასადამე, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა არის “მთავრობის პოლიტიკის ის ნაწილი, რომლის მიზანია ეროვნულ ფასეულობათა დაცვისა და შენარჩუნებისათვის სახელმწიფო და საერთაშორისო დონეებზე ისეთი პოლიტიკური პირობების შექმნა, რომლებიც არსებული და პოტენციური მეტოქეების წინააღმდეგ იქნება მიმართული.”

უსაფრთხოების ობიექტური “გაზომვა” ან შეფასება უკიდურესად ძნელია, რადგან ამგვარი შეფასება გულისხმობს არა მხოლოდ მოცემული ძლიერებისა და სისუსტის შეფასებას, არამედ შესაძლებელი საფრთხის აღქმასაც. უსაფრთხოება შეფარდებითი მდგომარეობაა და მისი შეფასება არსებულ და პოტენციურ საფრთხესთან მიმართებაში გვიხდება. ამავე დროს უსაფრთხოება არ არის ვაკუუმში არსებული სტატიკური

მდგომარეობა და იგი განისაზღვრება მუდმივად ცვლადი შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო კონტექსტით.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანია ერისა და სახელმწიფოს ფასეულობათა დაცვა და შენარჩუნება. ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობა ამ შემთხვევაში არის გადარჩენა. მის გარეშე, ქვეყანას სხვა ფასეულობებთან აღარაფერი ესაქმება. გადარჩენაში, პირველ ყოვლისა, იგულისხმება მოსახლეობის, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენულობის შენარჩუნება. მხოლოდ ფიზიკური გადარჩენა საკმარისი არ არის – საზოგადოებას ესაჭიროება თავისუფლება, სამართლიანობა, დემოკრატიული ინსტიტუტები, კეთილდღეობა, კულტურა და სხვა ფასეულობები, რომლებიც დაცვასა და შენარჩუნებას მოითხოვენ. ეს ფასეულობები დემოკრატიულ სახელმწიფოში მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის კონკურენციისა და კომპრომისის საფუძველზე განისაზღვრება, ხოლო ტოტალიტარულ სახელმწიფოში – მმართველი ჯგუფის მიერ. ამიტომაც, ამ უკანასკნელში გარკვეული რეჟიმის გადარჩენა მთელი საზოგადოების გადარჩენასთან შედარებით, უფრო მნიშვნელოვან მიზნად განიხილება.

იმისათვის, რომ ხსენებული ფასეულობების დაცვა და გადარჩენა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის საფუძველი გახდეს, საჭიროა, ისინი უფრო კონკრეტულად განისაზღვროს და კონკრეტულ პოლიტიკურ ვითარებას მიესადაგოს, ე.ი. პოლიტიკოსებმა უნდა განსაზღვრონ ის სპეციფიკური მიზნები და ინტერესები, რომლებიც ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ვითარებასთან ეროვნული ფასეულობების მიმართებიდან გამომდინარეობენ. მაშასადამე, ეროვნული ინტერესები და ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები განიხილება და განისაზღვრება ფასეულობებსა და არსებულ შიდა და საერთაშორისო ვითარებას შორის ურთიერთქმედების ანალიზის საფუძველზე. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა ფასეულობათა არსიდან გამომდინარე უნდა შემუშავდეს.

იმის განსაზღვრა, თუ რას მოიცავს ეროვნული უსაფრთხოების სფერო, პოლიტიკური საკითხია და მასში ერთდროულად სამინაო და

საგარეო პოლიტიკა, მათი შეჯერებაც იგულისხმება. პირველ ყოვლისა, საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციის დონის განუხრელი ზრდის გამო, საგარეო პოლიტიკა დღეს, ისე როგორც არასდროს, არის დაკავშირებული საშინაო პოლიტიკასთან და ფაქტობრივად, გამომდინარეობს მისგან. ამიტომ, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა ერთდროულად საშინაო და საგარეო ფაქტორებით განისაზღვრება, ე.ი. იგი ერთდროულად მოიცავს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ელემენტებს.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკას სამი განზომილება აქვს: დიპლომატიური, ეკონომიკური და სამხედრო. დიპლომატიური პოლიტიკის სფეროა სხვა ქვეყნებთან პოლიტიკური ურთიერთობები, ეკონომიკური პოლიტიკა საზოგადოების შიგნით რესურსების განაწილება და სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობებია. სამხედრო პოლიტიკა კი არის ყველაფერი ის, რაც ეხება შეიარაღებულ ძალებს და სამხედრო ძალის გამოყენებას. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ხსენებული სამი განზომილება, სამი კომპონენტი ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, ურთიერთგანმსაზღვრელია.

ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა ტრადიციულად განიხილება, პირველ ყოვლისა, როგორც სამხედრო პოლიტიკა. დღეისათვის სამხედრო კომპონენტი კვლავინდებურად მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ დანარჩენი ორი (დიპლომატიური და ეკონომიკური) სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს.

დიპლომატიური პოლიტიკის მთავარი ამოცანა მდგომარეობს კავშირების ეფექტურობის შენარჩუნებასა და ეროვნული ინტერესებისადმი მათ მუდმივ მისადაგებაში. ისეთ უძლიერეს სახელმწიფოსაც კი, როგორც არის აშშ, არ მოეპოვება საკმარისი რესურსები, რათა მხოლოდ საკუთარი ძალებით უზრუნველყოს საკუთარი ეროვნული უსაფრთხოება.

ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი ელემენტებია: სხვა ქვეყნებისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევა ან ამგვარი დახმარების მიღება, ეკონომიკური სანქციები, ტექნოლოგიის გადაცემა ან მიღება, საკუთარი საწარმოო დარგების პროტექციონიზმი და სტრატეგიული რესურსებით უზრუნველყოფა და სხვ.სამხედრო პოლიტიკის ორი ძირითადი კომპონენტი არსებობს: სამხედრო სტრატეგია და შეიარაღებული ძალების სტრუქტურა (ორგანიზაცია, შეიარაღება, ეფექტურობის გაზრდა და ა.შ.). სახელმწიფო, თუ საქმე მის სასიცოცხლო ინტერესებზე მიდგა, ყოველთვის მზად უნდა იყოს საკუთარი შეიარაღებული ძალების გამოსაყენებლად, მაგრამ სამხედრო ძალის გამოყენება ან მისი გამოყენებით დამუქრება საბოლოოდ მაინც სათანადო პოლიტიკური მიზნებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას ემსახურება.

ეროვნული უსაფრთხოება დინამიკური პროცესია. ცვლილებები, როგორც სახელმწიფოთა შიგნით, ასევე საერთაშორისო მასშტაბით, განაპირობებს ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტებისა და პოლიტიკის გადასინჯვას ან კორექტირებას. ეროვნული უსაფრთხოების პრობლემის არსებობა განპირობებულია საერთაშორისო სისტემის ხასიათით, რომელიც სახელმწიფოთა სუვერენულობის იდეაზე არის დაფუძნებული. საერთაშორისო სისტემის ანარქიულობა განსაზღვრავს სუვერენულ სახელმწიფოთა კონფლიქტურ ურთიერთქმედებას. კონფლიქტის საშიშროება კი სამხედრო ძალას, ძლიერებას მოითხოვს. სამწუხაროდ, სწორედ სამხედრო ძლიერება არის ის ფაქტორი, რომელსაც ძალუმს ერთგვარად შეამციროს რისკი და შემთხვევითობა საერთაშორისო ურთიერთობებში. ამავე დროს ეროვნული უსაფრთხოების თანამედროვე გაგება სულ უფრო ახალი შინაარსით, ახალი ელემენტებით (კეთილდღეობა, ეკოლოგია და სხვ.) ივსება. ბევრი ექსპერტის აზრით, სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ, სამხედრო ტექნოლოგიის სწრაფმა პროგრესმა და კაცობრიობის ახალმა “ეკოლოგიურმა” შეგნებამ ძირეულად შეცვალა საერთაშორისო

ურთიერთობათა არსი და ამ მოვლენების შედეგად სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკურ მიზნებში უსაფრთხოების ადგილი კეთილდღეობამ დაიკავა. აქედან გამომდინარე, ძალის ფაქტორს უწინდელი მნიშვნელობა უნდა დაეკარგა და სუვერენული სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითადი “მოქმედი პირის”, მნიშვნელობაც საგრძნობლად უნდა შემცირებულიყო. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში დღემდე გაბატონებული რეალიზმის სკოლის წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ვერც სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია, ვერც ბირთვული ან სხვა სახის მასობრივი მოსპობის იარაღი და ვერც გლობალური ეკოლოგიური პრობლემები ვერ შეცვლიან სუვერენული სახელმწიფოების სამყაროს საერთაშორისო პოლიტიკის არსს. კაცობრიობის გონებრივი, ტექნოლოგიური და ეკონომიკური პროგრესი ვერ მოსპობს ძალაუფლებისათვის ბრძოლას, მაგრამ იგი უთუოდ დადებით გავლენას მოახდენს სახელმწიფოს ეროვნული ინტერესების უკეთ განჭვრეტასა და მათ რეალიზებაზე, რ.გილპინს მიაჩნია, რომ საერთაშორისო პოლიტიკა არ შეცვლილა თუკი დიდეს ეპოქიდან (მეხუთე ს. ძვ. წ.) დღემდე.

ბირთვული იარაღის ფაქტორი. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ბევრი ისეთი რამ მოხდა, რასაც არ შეეძლო დიდი გავლენა არ მოეხდინა საერთაშორისო ურთიერთობებზე. პირველ ყოვლისა, ეს ბირთვული იარაღის შექმნა იყო, რამაც არა მარტო ომს, არამედ საერთაშორისო პოლიტიკასაც ახალი, საშინელი განზომილება შესძინა. გაჩნდა საყოველთაო ბირთვული ომისა და, მამასადამე, საყოველთაო თვითმკვლელობის შიში, მაგრამ ბირთვულ იარაღს ომის პრობლემა დღის წესრიგიდან არ მოუხსნია. ბირთვულმა იარაღმა, მართალია, ტოტალური ომი თითქმის შეუძლებელი გახადა და ამგვარი იარაღის მქონე ქვეყნებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იგი არც გამოუყენებიათ, მაგრამ ამ გარემოებას ძალის, ძლიერების ფაქტორი, როგორც საერთაშორისო პოლიტიკის მთავარი კომპონენტი, არ გაუბათილებია. უფრო მეტიც, ბირთვული იარაღის მფლობელებმა

ძლიერებისა და ძალაუფლების თვისებრივად უფრო მაღალ საფეხურს მიაღწიეს, ხოლო ის ქინი, რომელსაც მსოფლიოს ბევრი დიდი და პატარა ქვეყანა “ბირთვულ კლუბში” მოხვედრისათვის ავლენს, პოლიტიკაში ძალის ფაქტორის დაკნინებაზე ნამდვილად არ მიგვანიშნებს.

ბირთვულმა იარაღმა მნიშვნელოვნად შეაბრუნა ძალის ვექტორი – “ბირთვული” ძალა უფრო მეტად ქვეყნების უსაფრთხოების, მათი სტატუს-კვოს (დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის) შენარჩუნების გარანტი თუ არა, უმძლავრესი ფაქტორი გახდა. აქედან გამომდინარე, ბევრს მიაჩნია, რომ ბირთვული იარაღის ფართო გავრცელება საბოლოოდ საყოველთაო მშვიდობამდე მიგვიყვანს, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ “ბირთვულ” სამყაროშიც ძალებისა და შესაძლებლობების იერარქია კვლავაც იარსებებს.

სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ფაქტორი. უკანასკნელი სამი ათწლეულის მანძილზე სახელმწიფოთა მკვეთრად გაზრდილმა ურთიერთდამოკიდებულებამ და სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ, ზოგიერთი ავტორის შეხედულებათა თანახმად, შეცვალეს საერთაშორისო პოლიტიკა და უკანა პლანზე გადაწიეს ტერიტორიული კონფლიქტები, ძალის გამოყენების საჭიროება; მათ აგრეთვე შეცვალეს ეროვნული უსაფრთხოების შინაარსი და სუვერენული სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ბევრი ტრადიციული ფორმა. სხვები, პირიქით, ფიქრობენ, რომ ნეომერკანტილისტური თეორია და პრაქტიკა სულ უფრო იკიდებს ფეხს და ისეთივე პერსპექტიულია, როგორც ლიბერალური. ეროვნული უსაფრთხოება, პირველ ყოვლისა, კვლავაც, სამხედრო უსაფრთხოებაა, მაგრამ ახალი ურთიერთობების სინამდვილე, რომელშიც ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება და სახელმწიფოს კეთილდღეობის მნიშვნელობა მკვეთრად გაიზარდა, ეროვნული უსაფრთხოების ეკონომიკურ ასპექტებს კიდევ უფრო აძლიერებს.

ეკოლოგიური ფაქტორი. ამ ფაქტორის როლი ეროვნული უსაფრთხოების განსაზღვრა-ფორმულირებაში შედარებით ახალი, მაგრამ

მეტად ღირსშესანიშნავი მოვლენაა. გლობალური და რეგიონული ეკოლოგიური პრობლემების გამწვავება და ამ პრობლემების საერთაშორისო თანამშრომლობის გზით გადაჭრის აუცილებლობის გაცნობიერება კაცობრიობის საერთაშორისო ცხოვრების მეტად თვალსაჩინო მოვლენებია. ეკოლოგიურმა პრობლემებმა მართლაც რომ ახალი განზომილება შესძინა ისეთ ტრადიციულ ცნებებს, როგორცაა “ეროვნული ინტერესები”, “ეროვნული უსაფრთხოება”, “ომი”, “გადარჩენა”, “კეთილდღეობა” და სხვ. ბირთვული ენერგეტიკის განვითარება, რადიოაქტიური და სხვა ნარჩენებისა და გაბინძურების პრობლემები მნიშვნელოვან შემაკავებელ ფაქტორად იქცა ძალის პოლიტიკის “მოთვინიერების” თვალსაზრისით. სახელმწიფოთა ეროვნული უსაფრთხოების კომპონენტთა შორის ეკოლოგიური კომპონენტი სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ეკოლოგიური უსაფრთხოების პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა პატარა ქვეყნებისათვის, რადგან მათი ტერიტორია, ჩვეულებრივ, მცირეა და სერიოზული ეკოლოგიური საშიშროება ეროვნული კატასტროფის ტოლფასი შეიძლება გახდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული უსაფრთხოება ახალ შინაარსს იძენს, იგი კვლავაც რჩება სუვერენულ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად.

ძალთა წონასწორობის კონცეფცია

ისევე როგორც “ეროვნული ინტერესების” ცნება, “ძალთა წონასწორობის” კონცეფციაც საკვანძოა საერთაშორისო ურთიერთობათა რეალიზმის თეორიაში.

მეცხრამეტე საუკუნის ინგლისელი პოლიტიკოსი ჯონ ბრაითი აღნიშნავდა, რომ ძალთა წონასწორობის მთელი იდეა მცდარია, მიუხედავად იმისა, რომ იგი უძველესი დროიდან მოდის. ბრაითზე ერთი საუკუნით ადრე, ინგლისელმა ფილოსოფოსმა დევიდ იუმმა ძალთა წონასწორობის კონცეფციას მეცნიერული კანონზომიერება, პოლიტიკური ცხოვრების ფაქტი უწოდა. მართლაც, 1713 წლის უტრეხტის ზავის

პირობებში მითითებულია, რომ საფრანგეთისა და ესპანეთის ტახტების გამიჯვნა გამართლებულია ევროპაში წონასწორობის საჭიროებით. კარლ პოლანის აზრით, მეცხრამეტე საუკუნის ცივილიზაცია დაფუძნებული იყო ძალთა წონასწორობაზე, საერთაშორისო ოქროს სტანდარტზე, თვითრეგულირებად ბაზარსა და ლიბერალურ სახელმწიფო მმართველობაზე.

3. მორგენტაუს თქმით, “ძალთა წონასწორობა და მისი შენარჩუნებისაკენ მიმართული პოლიტიკა სუვერენულ სახელმწიფოთა საზოგადოებაში არის არა მხოლოდ გარდაუვალი, არამედ არსებითი მასტაბილიზებელი ფაქტორი.” საერთაშორისო სისტემაში ძალთა წონასწორობა სახელმწიფოთა მიერ გამოიყენება საკუთარი უსაფრთხოების მიზნებისათვის. მისი ანტიპოდი შეიძლება იყოს “კოლექტიური უსაფრთხოების” პრინციპი, რომლის დამკვიდრებას ეცადნენ 1919 წლიდან, მაგრამ მან არ გაამართლა.

ძალთა წონასწორობის კონცეფცია ყოველთვის კრიტიკულად განიხილებოდა იმის გამოც, რომ ძალიან ბუნდოვანი იყო (ისევე როგორც “ეროვნული ინტერესების” კონცეფცია). ინის კლოდმა მოსწრებულად შენიშნა, რომ “ძალთა წონასწორობასთან დაკავშირებული პრობლემა ის კი არ არის, რომ მას მნიშვნელობა არა აქვს, არამედ სწორედ ის, რომ ძალიან ბევრი მნიშვნელობა აქვს”. ერნსტ ჰაასმა ძალთა წონასწორობის პრინციპს სულ ცოტა რვა მნიშვნელობა მაინც გამოუძებნა: 1.ძალთა ნებისმიერი განაწილება; 2.გამაწონასწორებელი პროცესი; 3.ჰეგემონია ან მისკენ სწრაფვა; 4.სტაბილურობა და მშვიდობა ქვეყანათა თანამეგობრობაში; 5.არასტაბილურობა და ომი; 6.ძალის პოლიტიკა; 7.ისტორიის უნივერსალური კანონი; 8.სისტემა და პოლიტიკოსისათვის სახელმძღვანელო პრინციპი.

ჩვეულებრივ, როცა საერთაშორისო პოლიტიკაში ძალთა წონასწორობის პრინციპის შესახებ ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს სამხედრო ძალა, ძლიერება. ჯერ კიდევ დ.იუმი აღნიშნავდა, რომ სამხედრო წონასწორობის პრინციპს დიდი ყურადღება ექცეოდა ანტიკურ

ხანაში, რომელმაც აზროვნებისა და ცოდნის ყველა სფეროში ძალიან ბევრი შთამბეჭდავი მაგალითი მოგვცა. ანტიკური ხანის ბრძენი და გამოცდილი მმართველები ძალთა წონასწორობის პრინციპს იცნობდნენ და იყენებდნენ. შუა საუკუნეებში და, განსაკუთრებით, მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეებში ძალთა წონასწორობის პრინციპის გამოყენება პოლიტიკოსთა საყვარელ საქმედ იქცა. ძალთა წონასწორობის პრინციპი თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაშიც სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესებისა და, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ საშუალებად რჩება.

ძალთა წონასწორობის კონცეფცია გულისხმობს ისეთი საგარეო პოლიტიკის გატარებას, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონში ან გლობალური მასშტაბით ძალთა (პირველ ყოვლისა, სამხედრო ძალთა) წონასწორობის დამყარებასა და შენარჩუნებას. სახელმწიფოები ანარქიულ საერთაშორისო სისტემაში მოქმედებენ და მათი მიზნების დიაპაზონი ასეთია: გადარჩენიდან – მსოფლიო ბატონობამდე. ყოველი სახელმწიფო ცდილობს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გამოიყენოს ძალთა წონასწორობის პრინციპი და კავშირებისა და კოალიციების შექმნის გზით გაანეიტრალოს ობიექტურად არსებული ან სუბიექტურად აღქმული საფრთხე. ძალთა წონასწორობის პრინციპის გამოყენება რეგიონულ და გლობალურ საერთაშორისო სისტემას სტაბილურობას ანიჭებს. ძალთა წონასწორობის გლობალური მასშტაბით დამყარება და შენარჩუნება მსოფლიოს უძლიერესი სახელმწიფოების მეშვეობით ხორციელდება და იგი ამ სახელმწიფოების სურვილსა და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. სწორედ ევროპის უძლიერესი ქვეყნები განსაზღვრავენ მსოფლიოს ამ ნაწილში ძალთა წონასწორობისა და, მათსადაძემ, საერთაშორისო სისტემების სტაბილურობის ხასიათსა და ხანგრძლივობასაც. მეოცე საუკუნის პირველ ნახევარშიც ძალთა წონასწორობის პრინციპი ბატონობდა მსოფლიო პოლიტიკაში, როგორც საერთაშორისო წესრიგის ერთადერთი ცნობილი ფორმა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული ბიპოლარული საერთაშორისო სისტემაც

ძალთა წონასწორობის ან, როგორც მას უწოდებენ, “ტერორის წონასწორობის” სისტემა იყო.

ქ.უოლცი ძალთა წონასწორობის კონცეფციას თეორიასაც კი უწოდებს და აღნიშნავს, რომ ეს თეორია ზუსტად ასახავს საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე პროცესებს იმ შემთხვევაში, თუ იგი შედგება უნიტარული მოქმედი პირებისაგან (სუვერენული სახელმწიფოებისაგან), რომლებიც, ყველაზე ცოტა, გადარჩენისათვის და, ყველაზე მეტი, მსოფლიო ბატონობისათვის იბრძვიან. ამგვარ სისტემაში ყოველი ქვეყანა ცდილობს ნებისმიერი გზით მიაღწიოს საწადელ მიზნებს. ამ მიზნების მიღწევა კი ქვეყნებს შეუძლიათ საშინაო პოლიტიკის გზით (ეკონომიკური განვითარება, სამხედრო ძლიერების გაზრდა, გონიერი სტრატეგიის შემუშავება და ა.შ.) და მათ საზღვრებს გარეთ ძალისხმევით (კავშირში შესვლა, “საკუთარი” კავშირის გაძლიერება, მოწინააღმდეგე კავშირის შესუსტება ან მასში გადასვლა და ა.შ.). ამიტომ საერთაშორისო სისტემაში სამი ან მეტი მონაწილე უნდა იყოს, რადგან ორი მონაწილისაგან შემდგარ სისტემაში შეიძლება ძალები გაწონასწორდეს და ყოველ ქვეყანას წონასწორობის შესანარჩუნებლად შეუძლია მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობები გაზარდოს.

ძალთა წონასწორობის კონცეფციაში მეტად საყურადღებო ადგილი ეთმობა სახელმწიფოთა კავშირებისა და კოალიციების შექმნის პრობლემას. ამის შესახებ ჩვენ დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

ძალთა წონასწორობის მდგომარეობა შეიძლება შეიქმნას ყოველგვარი განზრახვის გარეშე, როცა გარკვეული პროცესების შედეგად რეგიონის დონეზე თუ მთელ საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში ძალების გაწონასწორება მოხდება. უფრო ხშირად კი ძალთა წონასწორობის მდგომარეობის მისაღწევად სახელმწიფოები თავიანთ საგარო პოლიტიკას სათანადო მიმართულებით წარმართავენ.

ძალთა წონასწორობის ფუნქცია არა მშვიდობის, არამედ თავად საერთაშორისო სისტემის შენარჩუნებაა. სწორედ ამის შედეგად ხდება, რომ ეს პრინციპი სისტემის უძლიერესი ქვეყნის ინტერესების

შესატყვისად გამოიყენება, პატარა, სუსტი ქვეყნების საზიანოდ, რაც ამ უკანასკნელთა დანაწევრებაში ან რომელიმე ძლიერი ქვეყნის მიერ მათ მიერთებაში გამოიხატება. ცალკეული სახელმწიფოს გადარჩენა იმ სისტემის გადარჩენასაც გულლისხმობს, რომლის შემადგენელ ელემენტსაც იგი წარმოადგენს. თუ სახელმწიფოთა უპირველესი მიზანი გადარჩენა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებაა და ამისათვის საუკეთესო გზა – თვით საერთაშორისო თუ რეგიონული სისტემის შენარჩუნება, ბუნებრივი იქნება დავასკვნათ, რომ სისტემაში შემავალი არც ერთი ქვეყანა არ უნდა აღზევდეს იმდენად, რომ სხვებისათვის საფრთხე შექმნას. ამიტომაც არის, რომ სახელმწიფოები თავის დასაცავად კავშირებს ქმნიან და ფხიზლად ადევნებენ თვალს პოტენციურ მეტოქეებს.

ძალთა წონასწორობის შენარჩუნება თავისთავად სისტემაში მშვიდობას არ გულისხმობს; ეს ჩანს იქიდანაც, რომ სახელმწიფოები ომს მიმართავენ, რათა ძალთა წონასწორობა აღადგინონ და შეინარჩუნონ. სწორედ ომი არის ძალთა წონასწორობის მიღწევის ერთ-ერთი საშუალება.

როცა სახელმწიფო საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფას ცდილობს, სხვა სახელმწიფოებთან კავშირში შედის, მიმართავს ინტერვენციას (პრევენტიულ ომს), რათა არ დაუშვას პოტენციური მეტოქის აღზევება. ამ მხრივ სახელმწიფოებს დიდი მოქნილობა და მობილურობა ესაჭიროებათ, რათა კრიზისის მომენტში მყისვე დაუკავშირდნენ გუშინდელ მეტოქეებს და “გაეყარონ” გუშინდელ მოკავშირეებს. ძალთა წონასწორობის პრინციპის პრაქტიკაში გამოყენების ზემოხსენებული გზა საერთაშორისო პოლიტიკის ნორმებითაც ძალზე უზნეო საქმედ მიიჩნევა, რადგან სახელმწიფოს უკიდურესი “ეგოიზმით” არის ხოლმე ნაკარნახევი. ამ მხრივ უფრო იოლ მდგომარეობაში იყვნენ აბსოლუტიზმის ეპოქის სახელმწიფოები, რომლებიც ხელთათმანებით იცვლიდნენ მოკავშირეებსა და მეტოქეებს. დემოკრატიული რეჟიმისათვის, რომელიც გარკვეულ მორალურ ფასეულობებსა და პრინციპებს იზიარებს, არ არის ადვილი სწრაფი, გუშინდელის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებების მიღება. იდეოლოგიური

ვალდებულებებით “დამძიმებული” რეჟიმისათვის ძალთა წონასწორობის მისაღწევად ასევე არ არის ადვილი გუშინდელ იდეოლოგიურ მეტოქესთან დაახლოება; თუმცა 1939 წელს ფაშისტური გერმანიისა და კომუნისტური სსრკ-ის “დამძობილება” გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო პოლიტიკაში ყველაფერია შესაძლებელი. ძალთა წონასწორობის პრინციპის გამო გუშინდელი მტრები კავშირს კრავენ, ხოლო გუშინდელი მოკავშირეები მტრები ხდებიან.

ძალთა წონასწორობის პრინციპს, საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის თვალსაზრისით, რამდენიმე ფუნქცია აქვს. ჰ.ბულის შეხედულებით, ეს ფუნქციები შემდეგია:

1. ძალთა წონასწორობა, საერთაშორისო მასშტაბით, იცავს საერთაშორისო სისტემას დაპყრობათა შედეგად უნივერსალურ იმპერიად გარდაქმნისაგან;

2. რეგიონში ძალთა წონასწორობა იცავს სახელმწიფოთა დამოუკიდებლობას ადგილობრივი (რეგიონული) უძლიერესი ქვეყნის ბატონობისა თუ მის მიერ “ჩაყლაპვისაგან”;

3. საერთაშორისო და ადგილობრივი (რეგიონული) ძალთა წონასწორობა ქმნის პირობებს, რომლებშიც მოქმედების საშუალება ეძლევა საერთაშორისო წესრიგის დამამყარებელ სხვა ინსტიტუტებს (დიპლომატია, ომი, საერთაშორისო სამართალი და სხვ.).

ჟ. დოგერტი და რ. პფალცგრაფი მიიჩნევენ, რომ ძალთა წონასწორობის ფუნქციებია:

1. საყოველთაო ჰეგემონიის თავიდან აცილება;

2. საერთაშორისო სისტემის შემადგენელი ელემენტებისა და, საკუთრივ, სისტემის შენარჩუნება;

3. საერთაშორისო სისტემაში სტაბილურობისა და უსაფრთხოებისათვის ხელის შეწყობა;

4. ომის შეკავებით მშვიდობის განმტკიცება და გახანგრძლივება.

ძალთა წონასწორობის კონცეფცია რეალიზმის თეორიის საკვანძო კონცეფციას წარმოადგენს. მას ბევრი მომხრე ჰყავს, მაგრამ ბევრი მას

სერიოზულად აკრიტიკებს, პირველ ყოვლისა, იმის გამო, რომ საკუთრივ ცნება “ძალთა წონასწორობა” საკმაოდ ბუნდოვანია და იგი მრავალ რამეს გულისხმობს. ამ კონცეფციას კიდევ იმიტომ აკრიტიკებენ, რომ ძალთა წონასწორობისაკენ სწრაფვას ხშირად ომისკენ მივყავართ და რომ ამ პრინციპს სახელმწიფო მოღვაწეები ზოგჯერ ბოროტად იყენებენ როგორც საკუთრივ პოლიტიკაში, ისე პროპაგანდისტული მიზნებით. ამავე დროს, ძალთა წონასწორობის მექანიზმს, ზოგის აზრით, თანამედროვე პოლიტიკაში. მნიშვნელობა ეკარგება

ბირთვული იარაღის ეპოქაში ძალთა წონასწორობის კონცეფციამ ახალი შეფერილობა მიიღო და, როგორც უკვე აღინიშნა, “ტერორის წონასწორობის” მეტსახელიც კი დაიმსახურა. ძალთა წონასწორობა ისტორიის კონკრეტული სინამდვილეა და არა მხოლოდ აბსტრაქტული კონცეფცია, მაგრამ ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ობიექტურად არსებული ძალთა წონასწორობა სუბიექტურად აღქმულისაგან ხშირად საკმაოდ განსხვავდება და ეს განსაკუთრებით ბირთვული იარაღის ეპოქის ძალთა წონასწორობის შესახებ ითქმის. “ტერორის წონასწორობა”, უბრალო ძალთა წონასწორობასთან შედარებით, კიდევ უფრო სუბიექტურია, რადგან დაპირისპირებული “ბირთვული” სახელმწიფოების ხელმძღვანელებისათვის, როგორც წესი, ძალზე ძნელი ხდება იმის განსაზღვრა, თუ როგორი ზიანი შეიძლება იგუოს მეტოქემ, რა უკიდურეს ნაბიჯზე წასასვლელად არის იგი მზად და ა.შ. “ბირთვულ” საერთაშორისო პოლიტიკაში თავდაცვამ და შეკავებამ ადგილები გაცვალეს. თუ ადრე შეკავებას მეორეხარისხოვანი ფუნქცია ჰქონდა, ბირთვული იარაღის ეპოქაში, “ტერორის წონასწორობის” ვითარებაში, მთელი აქცენტი შეკავებაზე გადავიდა. თუ შეკავებამ არ გაამართლა, მთელი სისტემა დაიღუპება.

უკვე აღინიშნა, რომ ძალთა წონასწორობის პრინციპი ძლიერი სახელმწიფოების სასიკეთოდ და სუსტების საზიანოდ “მუშაობს”. მართლაც, თუ თვალს გადავავლებთ 1648-1914 წწ. ევროპის ისტორიას, დავინახავთ, როგორ მკვეთრად შემცირდა ევროპულ სახელმწიფოთა

რიცხვი ამ პერიოდში; და ამის ერთ-ერთი (თუ უმნიშვნელოვანესი არა) მიზეზი, ძლიერი სახელმწიფოების მიერ ძალთა წონასწორობის პრინციპის ცხოვრებაში გატარება იყო. პოლონეთის არაერთგზის დანაწილება სწორედ ამ პრინციპის პრაქტიკული გამოყენების ტრაგიკული მაგალითია.

როგორც ჰ.ბული შენიშნავს, ძალთა წონასწორობის მსხვერპლი სუსტი სახელმწიფოს პოზიციებიდან, ეს დაუნდობელი პრინციპია, მაგრამ საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნებისათვის ამ პრინციპის გამოყენება საჭიროა; სჯობს სისტემაში საყოველთაო წონასწორობა იყოს, თუნდაც ამას რომელიმე სუსტი სახელმწიფო ან სახელმწიფოები შეეწიროს. როგორც ვხედავთ, სუსტი სახელმწიფო საერთაშორისო სისტემაში ძალთა წონასწორობის პრინციპის მსხვერპლად გვევლინება.

არანაკლები უბედურებაა ეს პრინციპი საერთაშორისო სამართლისთვისაც. მისი მოქმედებისათვის ძალთა წონასწორობის მდგომარეობა არსებითი პირობაა, მაგრამ ამ წონასწორობის შენარჩუნებისათვის (ომები წონასწორობის აღსადგენად, ქვეყნების დანაწილება და ა.შ.) საჭირო ხდება საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევა. ამრიგად, ეს პრინციპი და საერთაშორისო სამართალი კონფლიქტში იმყოფებიან.

კავშირები

ორზე მეტი სახელმწიფოსაგან შემდგარ სისტემაში ძალთა წონასწორობის მოქმედი მექანიზმის აუცილებელ ფუნქციას კავშირები წარმოადგენს. ორ მეტოქე სახელმწიფოს პოზიციის შენარჩუნების ან გაუმჯობესების მხოლოდ სამი გზა აქვს: შეუძლია საკუთარი ძლიერება გაზარდოს; შეუძლია სხვა სახელმწიფოების ძლიერება დაიმატოს; შეუძლია მეტოქე იმით დაასუსტოს, რომ მას სხვა სახელმწიფოს (ან სახელმწიფოების) ძლიერება წაართვას. როცა ისინი პირველ გზას ადგანან, ეს სამხედრო გაძლიერებას, გამალებულ შეიარაღებას ნიშნავს. ორ დანარჩენ შემთხვევაში ისინი კავშირებს იყენებენ. სწორედ სახელმწიფოთა მიერ კავშირებისა და კოალიციების შექმნაში გამოიხატება ყველაზე მკაფიოდ ძალთა წინასწორობის მექანიზმის არსი.

სახელმწიფოები ქმნიან კავშირებს, როცა მათი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა, როცა მათ საერთო საფრთხე ემუქრება და როცა კავშირის შექმნით ისინი ერთად აწონასწორებენ მეტოქის რეალურად თუ სუბიექტურად აღქმულ ძლიერებას. პოტენციური აგრესორი საკმარისად ძლიერი კავშირის წინააღმდეგ ბრძოლას მოერიდება. კავშირის შექმნა ძალის “სესხება” და ძალის “დამატებაა”. კავშირში მყოფი სახელმწიფოების ვალდებულებები და შესაძლებლობები სინამდვილეში არასოდეს არის ერთი და იგივე “წონისა”, რადგან სახელმწიფოები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიდიდით, სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობებით და ა.შ. არის კავშირები, რომლებშიც მოკავშირეები თითქმის თანაბრად ინაწილებენ ვალდებულებებს და სარგებელს, მაგრამ არის ისეთი კავშირებიც, რომლებშიც ვალდებულებების “ლომის წილი” ერთ მოკავშირეზე მოდის, ხოლო მეორე (ან ყველა დანარჩენი) მოკავშირე სარგებლის თითქმის ასეთსავე წილს იღებს. კავშირში გაერთიანებული სახელმწიფოების მიზნებისა და იმედების ზუსტად შეფასება ყოველთვის როდი ხერხდება, მაგრამ მოკავშირეებს ყოველთვის აახლოებს საერთო საფრთხის შეგრძნება. ზოგჯერ ერთსა და იმავე კავშირში სხვადასხვა პოლიტიკური და იდეოლოგიური პრინციპების მქონე მოკავშირეებს ვხვდებით, მაგრამ უფრო ხშირად მოკავშირეებს ბევრი რამ (პოლიტიკური, იდეოლოგიური, კულტურული მომენტები) საერთო აქვთ. დიდი, უძლიერესი სახელმწიფოებისათვის კავშირში შესვლა ზოგჯერ არც არის ხოლმე აუცილებელი, მაგრამ საშუალო და პატარა ქვეყნები, რომელთა სამხედრო-ეკონომიკური შესაძლებლობები შედარებით მოკრძალებულია, კავშირში შესვლით დამატებით ძალას “სესხულობენ” და თავს უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ.

კავშირის სიცოცხლის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მოკავშირეთა ინტერესებისა და მიზნების ხასიათსა და მნიშვნელობაზე. ეს ინტერესები და მიზნები სტატიკური არ არის და ყოველთვის სხვადასხვა კომბინაციების სახით გვევლინება. კავშირთა მიზნები და შექმნის მიზეზები მხოლოდ ომის დროს იღებს გამოკვეთილ სახეს, მოკავშირეთა

მიზნები და მისწრაფებებიც ყველაზე მეტად ამ დროს ემთხვევა ერთმანეთს.

კავშირები იქმნება მოკავშირეთა საერთო ინტერესებისა და მიზნების საფუძველზე, მაგრამ მათი დეკლარირება საკმარისი არ არის. სიცოცხლისუნარიანია ისეთი კავშირი, რომელშიც მოკავშირეთა მიზნები პოლიტიკის კოორდინაციაში, კონკრეტულ ამოცანებში და ღონისძიებებში, დეტალურად შემუშავებულ მოქმედების გეგმაში პოულობს გამოხატულებას. კავშირი სიცოცხლისუნარიანი ვერ იქნება, თუ მოკავშირეთა ინტერესებისა და მიზნების მთავარი ასპექტები მაინც არ ემთხვევა, თუ მათ სერიოზულად არ აქვთ განსაზღვრული და შემუშავებული თავიანთი მონაწილეობისა და მოქმედების ძირითადი პრინციპები და ურთიერთვალდებულებები. თუ ასე არ მოხდა, კავშირის დამდები შეთანხმება ფარატინა ქაღალდს ემსგავსება.

კავშირები მსოფლიო ბატონობის პრეტენზიის მქონე ძლიერი სახელმწიფოს ან რომელიმე უკვე არსებული კავშირის წინააღმდეგ იქმნება. კავშირები იქმნება გლობალური და რეგიონის მასშტაბით. საერთაშორისო სისტემაში, რომლის არსებობა ძალთა წონასწორობის მექანიზმზეა დამოკიდებული, კავშირების შექმნა, მათი დაშლა, ახალი კავშირების შექმნა, ყოფილი მეტოქეების შეკავშირება და შემდეგ კვლავ ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართულ კავშირებში გაერთიანება ჩვეულებრივი მოვლენებია. კავშირების წარმოქმნის ზოგიერთი მიზეზი და გზა უზნობად, უპრინციპობად გვეჩვენება, მაგრამ უკიდურესი საფრთხის პირობებში გადარჩენა თვითმიზანი ხდება.

საერთაშორისო კავშირების შექმნის მიზეზებია: 1. პასუხი გარეშე საფრთხეზე; 2. სახელმწიფოთა იდეოლოგიური სოლიდარობა თუ სიახლოვე; 3. უცხო სახელმწიფოს დახმარება; 4. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეში “შედწევა” (მის საშინაო პოლიტიკურ სისტემაზე ზეგავლენა, მისი მანიპულირება).

კავშირების შექმნის ხსენებული მიზეზებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და მოხშირებული მიზეზი გარეშე საფრთხეზე პასუხი,

მისი თავიდან აცილების სურვილია. როცა ერთი სუვერენული სახელმწიფო რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრიდან საფრთხეს იგრძნობს, სამი არჩევანი რჩება: 1. არაფერი გააკეთოს; 2. დაუკავშირდეს მესამე სახელმწიფოს (ან სახელმწიფოთა ჯგუფს); 3. გადავიდეს იმ სახელმწიფოს მხარეზე, რომლისგანაც საფრთხეს ელის. საერთაშორისო პოლიტიკაში, რეალურად შექმნილი ან აღქმული საფრთხე აიძულებს სახელმწიფოებს, ან მოკავშირეები იპოვონ, ან კავშირი დაამყარონ საფრთხის “წყაროსთან”, მისი მოთვინიერების ან მისგან მფარველობის მიღების მიზნით.

ერთი სახელმწიფოს მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის განეიტრალების მიზნით სხვებთან კავშირში შესვლას გაწონასწორებას უწოდებენ, ხოლო პოტენციურ აგრესორთან, საფრთხის “წყაროსთან” კავშირს – უწოდებენ “მიტმანებას”. კავშირების წარმოქმნის ორივე ხსენებული გზა საკმაოდ ხშირად გვხვდება და ერთის ან მეორის ამორჩევა დამოკიდებულია საერთაშორისო სისტემაში ან რეგიონში კონკრეტულ გეოპოლოტიკურ ვითარებაზე, გადაწყვეტილებათა მიმდების აღქმაზე, სახელმწიფოს მიერ განცხადებულ პოლიტიკურ პრინციპებზე და ფასეულობებზე და სხვ.

გაწონასწორების გზას სახელმწიფო მაშინ აირჩევს, როცა საფრთხის შემქმნელი სახელმწიფო ძალზე ძლიერი ჯერ კიდევ არ გამხდარა და მესამე, უფრო სუსტ სახელმწიფოსთან მოკავშირეობა პოტენციური აგრესორისათვის გამაფრთხილებელი და შემაკავებელი ქმედებაა. როცა ერთი სახელმწიფო კავშირს კრავს მეორე უფრო სუსტ სახელმწიფოსთან, მათი გაერთიანებული შესაძლებლობები აწონასწორებს და აკავებს პოტენციურ აგრესორს. ამავე დროს, უფრო სუსტ სახელმწიფოს ძვირად უღირს თავისი ახალი მოკავშირე, დაინტერესებულია მისი შენარჩუნებით, მას თავს ვერ ახვევს საკუთარ ინტერესებს და მათი კავშირი ორივე მხარისათვის მომგებიანია.

“მიტმანების” გზას ზოგიერთი სახელმწიფო არჩევს მაშინ, როცა რომელიმე ძლიერი სახელმწიფო აღზევებას იწყებს და მისი შეჩერება, საერთო აზრით, შეუძლებელი ხდება. პოტენციური “მსხვერპლი”

ფიქრობს, რომ ძლიერის მხარეზე გადასვლა, მასთან მიტმასნება, გადაარჩენს მას და, ძლიერის საბოლოო გამარჯვების და აღზევების შემდეგ, აღზევებული მას ერთგულებისათვის სიცოცხლეს და რაიმე “საჩუქარს” უწყალობებს. ძლიერი, დაუმარცხებელი სახელმწიფო სუსტებისათვის მიმზიდველია, მასში ბევრი მფარველს ხედავს. უფრო მეტიც, მოწინააღმდეგის ბანაკიდან “დეზერტირები” გაჩნდებიან ხოლმე მაშინ, როცა დაინახავენ, რომ მათი მფარველი და მოკავშირე საკმარისად ძლიერი არ არის ან განწირულია. მთელი “ცივი ომის” განმავლობაში აშშ და სსრკ ცდილობდნენ თავიანთი მეტოქის მოკავშირეების გადაბირებას, “ქრთამის” და მუქარის გამოყენებით. ორივეს ესმოდა, რომ გამომჟღავნებული სამხედრო თუ ეკონომიკური სისუსტე არსებულ და პოტენციურ მოკავშირეებზე უარყოფით შთაბეჭდილებას ახდენდა და მეტოქის ბანაკში გადასვლის სურვილს აღუძრავდა

ძლიერი სახელმწიფოს მხარეზე გადასვლა, ძლიერთან “მიტმასნება” სუსტისათვის იმ იმედის მომცემია, რომ ძლიერმა სახელმწიფომ, რომლისგანაც საფრთხე მოდის, შესაძლოა “მიტმასნილი” მოკავშირე დაინდოს და თავისი აგრესიული მისწრაფებების მსხვერპლად სხვა შეარჩიოს. გარდა ამისა, ომის დროს, ძლიერ სახელმწიფოსთან კავშირში შესვლით, გამარჯვების შემთხვევაში “უფროსი ძმისაგან” სუსტ მოკავშირეს “საჩუქრად” რამე ერგება. როგორც წესი, ამგვარი მოკავშირე იმედოვნებს, რომ საკუთარ ტერიტორიას გააფართოებს მეზობლების ხარჯზე. თუ პირველ შემთხვევაში “მიტმასნება” თავდაცვის, გადარჩენის მიზნით ხდება, მეორე შემთხვევაში იგი ნადავლის შოვნის სურვილით აიხსნება. რომელიმე სახელმწიფოს ძალა, ძლიერება სხვებისათვის საშიშროების წყაროა, მაგრამ ამავე დროს იგი პოტენციურ მეტოქეებს იზიდავს და მათ მოკავშირეებად გადააქცევს. ძლიერს შეუძლია დასაჯოს მტრები და დაასაჩუქროს მეგობრები. ამიტომ იგი აიძულებს სხვებს, ან გაწონასწორების ან “მიტმასნებს” გზა აირჩიონ.

უშუალო მეზობლები ყოველთვის უფრო მეტ საფრთხეს ქმნიან, ვიდრე მოშორებით მდებარე სახელმწიფოები. საერთაშორისო

პოლიტიკაში მანძილს, მეზობლობას ძალზე დიდი, ზოგჯერ კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს; ჯერ კიდევ აქტუალურია დიპლომატთა ძველი ხუმრობა, რომ “მეზობლის მეზობელი ჩვენი მეგობარია”. სუსტი ქვეყნის მეზობლად მდებარე უძლიერესი სახელმწიფო შესაძლოა აშკარად არ ავლენდეს აგრესიულობას, მაგრამ მის სუსტ მეზობელს მშვიდად ძილი მაინც არ უწერია.

არსებობს მოსაზრება, რომ გაწონასწორების გზით წარმოქმნილი კავშირები უფრო ხშირია, ვიდრე “მიტმასნის” გზით მიღწეული, რომელიც სპეციფიკური პირობების არსებობასაც გულისხმობს. გაწონასწორების გზით თავდაცვითი კავშირის შექმნა და ამით პოტენციური აგრესორის შეჩერება უფრო სანდო გზა ყოფილა, ვიდრე ძლიერთან მიტმასნება და მისი კეთილმოსურნეობისა და კარგი განწყობის იმედით ყოფნა. რაც უფრო სუსტია სახელმწიფო, მით უფრო მეტი შესაძლებლობაა, რომ მან ძლიერთან “მიტმასნის” პოლიტიკა ამჯობინოს. ძალიან სუსტი ქვეყანა ბევრს ვერაფერს არგებს თავდაცვით კავშირს, მაგრამ, ვისგან თავის დასაცავადაც არის შექმნილი კავშირი, იმის დიდ “რისხვას” დაიმსახურებს. განრისხებულის გამარჯვების შემთხვევაში, სუსტი ქვეყნის დღეები დათვლილია. ამიტომაც, ძალიან სუსტები გადარჩენის რაციონალურ გზად მიტმასნას მიიჩნევენ. არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც ნებისმიერ შედარებით სუსტ სახელმწიფოს აიძულებს ძლიერის მხარე დაიჭიროს და მიეტმასნოს მას – ეს მაშინ ხდება, როცა სხვა პოტენციური მოკავშირეები სხვადასხვა მიზეზის გამო უბრალოდ არ არსებობს და გადარჩენის ერთადერთი გზა ძლიერი ქვეყნის მხარეზე გადასვლაა.

შემჩნეულია, რომ მშვიდობის დროს სახელმწიფოები უფრო გაწონასწორების გზას იყენებენ, ხოლო ომის დროს, როცა მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი დგება, ქვეყნები არც მიტმასნაზე ამბობენ უარს; მაშინ კი, როცა გამარჯვებული გაირკვევა, ომში მას უცებ ბევრი ახალი მოკავშირე გამოუჩნდება.

კავშირების წარმოქმნის კიდევ ერთი გზა შეიძლება იდეოლოგიური სოლიდარობა იყოს, რაც გულისხმობს ისეთი ქვეყნების შეკავშირებას, რომლებსაც ბევრი საერთო აქვთ პოლიტიკური, კულტურული, იდეოლოგიური თვალსაზრისით. ლოგიკურია, რომ, თუ ქვეყნები ერთ კულტურას, ერთ ცივილიზაციას, ერთ რელიგიას, ერთ პოლიტიკურ იდეოლოგიას მიეკუთვნებიან, მათი შეკავშირება უფრო ადვილად უნდა ხდებოდეს, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობათა რეალისტური სკოლა იდეოლოგიურ სოლიდარობას დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებს. მეოცე საუკუნემდე, როდესაც იდეოლოგიებმა უზარმაზარი როლი შეასრულეს და უდიდესი გავლენა მოახდინეს საერთაშორისო ურთიერთობებზე, იდეოლოგიურ სოლიდარობას დიდი მნიშვნელობა მართლაც არ ჰქონია კავშირების წარმოქმნისათვის, მაგრამ მიმდინარე საუკუნეში ასეთი სოლიდარობის ფაქტორმა დიდი დადი დაასვა კავშირებისა და კოალიციების შექმნის პროცესებს. მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში დემოკრატიული სახელმწიფოები შეკავშირდნენ ფაშისტური გერმანიისა და იტალიის წინააღმდეგ. ტოტალიტარული კომუნისტური საბჭოთა კავშირი კი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მოკავშირეებს ხან დემოკრატიულ დასავლეთში ეძებდა, ხან იდეოლოგიური თვალსაზრისით თავის მოსისხლე მტერს – გერმანიას ეფიცებოდა ერთგულებას, რაც კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ უსაფრთხოების საკითხებს იდეოლოგიასთან შედარებით უპირატესობა ენიჭებათ. მეორე მსოფლიო ომმა ეს კიდევ ერთხელ დაგვისაბუთა. “ცივი ომის” პერიოდში, როცა საერთაშორისო სისტემამ ბიპოლარული ხასიათი მიიღო, ორი დაპირისპირებული ბანაკი იდეოლოგიურადაც დაპირისპირებული იყო, მაგრამ იუგოსლავია, მაგალითად, თუმცა კომუნისტური იყო, ფაქტობრივად, დასავლეთის მხარეზე იყო, რადგან ყველაზე მეტად საბჭოთა აგრესიის ეშინოდა.

იდეოლოგიურ საფუძველზე წარმოქმნილ საერთაშორისო კავშირში, როგორც წესი, აშკარად გამოკვეთილი ავტორიტარული ლიდერიც არის, რადგან თუ იდეოლოგია ლეგიტიმურობის წყაროა

(როგორც ეს იყო კომუნისტური იდეოლოგიის ბატონობის დროს მსოფლიოს გარკვეულ ნაწილში), ამგვარი კავშირის ყველა დანარჩენი წევრი იდეოლოგიური მოძრაობის ლიდერის დომინირებას უნდა შეურიგდეს. ამავე დროს, ერთსა და იმავე იდეოლოგიაში მისი პრინციპების სხვადასხვა ინტერპრეტაციებიც ხშირია, რასაც ორთოდოქსი იდეოლოგები რევიზიონიზმს უწოდებენ; ეს გარემოება თვით იდეოლოგიურ მოძრაობაში და, მაშასადამე, მის საფუძველზე წარმოქმნილ კავშირში კონფლიქტებს და კავშირის შესუსტებას ან მოშლას იწვევს. ამგვარი რამ მოხდა “ცივი ომის” პერიოდში, როცა ჩინეთმა და ალბანეთმა საბჭოთა კავშირის მიმართ იდეოლოგიური ურჩობა გამოიჩინეს და კომუნისტურ ბლოკში დიდი ბზარი წარმოქმნეს. მართალია, ამ ქვეყნების ამგვარი ურჩობის მიზეზები მთლად იდეოლოგიური არ იყო, მაგრამ არც იდეოლოგიური განსხვავებები ყოფილა უმნიშვნელო.

საყურადღებოა, რომ იდეოლოგიური სოლიდარობა უფრო მნიშვნელოვანი ჩანს კავშირების შექმნაში, როცა მას სუსტი რეჟიმები იყენებენ და “იდეოლოგიური პოპულიზმის” მოშველიებით ცდილობენ როგორც საკუთარი სისუსტის შენიღბვას, ასევე კავშირის მთავარი “იდეოლოგის” (უძლიერესი ქვეყნის) მეტი ყურადღების მიპყრობას და მისგან დახმარების მიღებას. სუსტი რეჟიმი, უფრო ძლიერ ქვეყნებთან იდეოლოგიური სოლიდარობის წყალობით, შინ საკუთარ პოზიციებსაც იმაგრებს.

საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე ეტაპზე, როცა საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში ნაციონალიზმი და რელიგია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორები გახდა, როგორც ჩანს, საერთაშორისო კავშირებისა და კოალიციების შექმნის პრაქტიკაზე მათი გავლენა უნდა გაიზარდოს. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა სემიუელ ჰანტინგტონის “ცივილიზაციათა შეჯახების” კონცეფცია, რომლის თანახმად, მომავალი საერთაშორისო პოლიტიკა განპირობებული იქნება კულტურული, ცივილიზაციური განსხვავებებით და ერთი ცივილიზაციის (ისლამური, დასავლურ ქრისტიანული,

მართლმადიდებლურ-სლავური და ა.შ.) სახელმწიფოები ერთად იმოქმედებენ პოლიტიკაში და ეკონომიკაში.

როცა ერთი სახელმწიფო მეორეს ეკონომიკურ თუ სამხედრო სფეროში ეხმარება, ეს ხელს უწყობს მათ შორის კავშირის შეკვრას. უცხოური დახმარება კავშირების წარმოქმნის ერთ-ერთი ფაქტორია. მიღებული დახმარება იწვევს მაღლიერების გრძნობას, საპასუხოდ მხარში ამოდგომის სურვილს და წარმოშობს გარკვეულ ვალდებულებებს; აგრეთვე დახმარების მიმღები დამოკიდებული ხდება დამხმარეზე.

უცხოური დახმარება ზოგჯერ კავშირების წარმოქმნის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია, განსაკუთრებით მაშინ, როცა დიდი, ძლიერი სახელმწიფო ეხმარება სუსტ ქვეყანას და ხსენებული დახმარება ფაქტობრივად, “მონოპოლიზებულია”. როცა დახმარების სხვა წყაროები არ ჩანს და ეს დახმარება მეტად საჭირო და მნიშვნელოვანია, სავსებით ბუნებრივია, რომ დახმარების მიმღები დამხმარესთან კავშირზე უარს არ ამბობს (და ვერც იტყვის). თუ მიმღებ ქვეყანას ვინმე ემოქმედება, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა სამხედრო დახმარებას ენიჭება.

უცხოური დახმარების შედეგად წარმოქმნილი კავშირი ასიმეტრიული ურთიერთდამოკიდებულების სახეს იღებს, რომელშიც დონორ სახელმწიფოს დახმარების მიმღებ სახელმწიფოზე ზეგავლენის მოხდენის მნიშვნელოვანი ბერკეტები მოეპოვება. ეს ბერკეტები უფრო ძლიერია, როცა დონორი სახელმწიფო ავტორიტარული ან ტოტალიტარულია. გავიხსენოთ თუნდაც, კუბისათვის სსრკ-ის მიერ გაწეული დახმარების ხასიათი და მისი შედეგები.

კავშირის წარმოქმნის კიდევ ერთი ფაქტორია ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეში “შეღწევა”, რაც ნიშნავს ერთი ქვეყნის მიერ მეორის საშინაო პოლიტიკური სისტემის მანიპულირების უნარს. ს. უოლტის აზრით, ამგვარი შეღწევა შეიძლება, სულ ცოტა, სამი სახისა იყოს: 1. სახელმწიფო მოღვაწეებს, სხვადასხვა გარემოებათა გამო, სხვა სახელმწიფოსთან დაახლოების მიზნით შეუძლიათ თავიანთი გავლენის გამოყენება. 2. ერთ ქვეყანას ლობირების გზით შეუძლია მეორეში სასურველ გავლენას

მიაღწიოს; 3. უცხოური პროპაგანდის შედეგად შესაძლებელია ქვეყნის მმართველმა ელიტამ და მოსახლეობამ სასურველი წარმოდგენები და განწყობა შეიქმნას.

ფართო კონტაქტები (განათლება, სამხედრო კადრების მომზადება და ა.შ.) ორ სახელმწიფოს შორის ხელსაყრელ პირობებსა და წინამძღვრებს ქმნის ერთის მიერ მეორეში შესაღწევად, მის პოლიტიკურ ინსტიტუტებში გავლენის მოსაპოვებლად. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ღია საზოგადოების მქონე სახელმწიფოში შეღწევა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე – დახურულში. დემოკრატიულ სახელმწიფოში შეღწევა თეორიულად უფრო ადვილია, ვიდრე – ტოტალიტარულში. სინამდვილეში კი ძალიან ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორია შეღწევის მიზნები და რა მეთოდებით ხორციელდება იგი. მტრული პროპაგანდა და დისიდენტური, ოპოზიციური ჯგუფებისათვის ხელშეწყობა შეღწევის ძირგამომთხრელი მეთოდებია და, ბუნებრივია, ნებისმიერი სახელმწიფო მათ წინააღმდეგ მიმართული ამგვარი მეთოდების წინააღმდეგ საკუთარ კონტრზომებს მიმართავს. ღია საზოგადოების მქონე სახელმწიფოში შეღწევა მრავალნაირი მეთოდისა და გზის გამოყენებით შეიძლება, მაგრამ დახურულ საზოგადოებაში შეღწევა, მისი პოლიტიკური კურსის შეცვლა, ფაქტობრივად, მხოლოდ ამ დახურული სახელმწიფოს ხელმძღვანელობაზე ზეგავლენით შეიძლება, რადგან დახურული საზოგადოების მქონე სახელმწიფოს ხელმძღვანელობას შეუძლია, მოკლე ვადაში მნიშვნელოვნად შეცვალოს პოლიტიკური კურსი და ახალ კავშირზე წავიდეს. (გავიხსენოთ, როგორ შეატრიალა სსრკ-ის პოლიტიკური კურსი ი.სტალინმა, როცა 1939 წლის ზაფხულში ფაშისტურ გერმანიასთან შეკრა კავშირი). შედარებით ადვილია ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოების პოლიტიკურ სტრუქტურებში შეღწევა, რადგან ეს სტრუქტურები ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და მას ხშირად უცხოელი ექსპერტები წარმართავენ.

პარადოქსად შეიძლება მოგვეჩვენოს, მაგრამ პატარა, სუსტ ქვეყნებსაც შეუძლიათ დიდი გავლენა მოახდინონ ბევრად უფრო ძლიერ

პოტენციურ თუ უკვე რეალურად არსებულ თავიანთ მოკავშირეებზე. ამ მხრივ ყველაზე ეფექტური გზა ლობირებაა. ხშირად ამგვარი ლობირებისათვის გამოიყენება პატარა ქვეყნის დიასპორა, მცხოვრები ძლიერ სახელმწიფოში. ამგვარი ლობირების საინტერესო მაგალითებია სამხრეთ კორეის, ისრაელის, ტაივანის ლობი აშშ-ის პოლიტიკურ სტრუქტურებში, რის შედეგადაც ხსენებული ქვეყნები მათთვის სასურველ კავშირში შედიოდნენ ან არსებული კავშირის პირობებს იუმჯობესებდნენ. უკანასკნელ წლებში ასევე დიდ შედეგებს მიაღწია აშშ-ში სომხურმა ლობიმ, ამ ქვეყანაში დიდი და გავლენიანი სომხური დიასპორის მეცადინეობის წყალობით.

კავშირები პოლიტიკის ინსტრუმენტებია და ამიტომ ისინი ზნეობრივად “ნეიტრალურნი” არიან. კავშირების წარმოქმნა, მათი შესუსტება და დაშლა დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო სისტემაზე. ამავე დროს თავად საერთაშორისო სისტემის ხასიათი ასევე დიდ გავლენას ახდენს კავშირების წარმოქმნაზე, მათ ფუნქციონირებაზე და ა.შ. ბიპოლარულ სისტემაში მოკავშირეთა ინტერესები ჰომოგენურია, ხოლო მულტიპოლარულ სისტემაში – ჰეტეროგენული. ბიპოლარული სისტემა თავად უქმნის მოკავშირეებს გარკვეულ ინტერესებს და ვალდებულებებს. ცივი ომის პერიოდში აშშ-ს ჰქონდა აშკარა მიზანი, დაეცვა საბჭოთა ორბიტის გარეთ მყოფი ყველა ქვეყანა კომუნისტური აგრესიისაგან, ხოლო სსრკ-ს ანალოგიური მიზანი ამომრავებდა აშშ-ის ორბიტის გარეთ დარჩენილი ყველა ქვეყნის მიმართ. ამიტომ, ნატო-ს და ვარშავის პაქტის წარმოქმნა ხსენებული მიზნების ინსტიტუციონალიზაციის თვალსაზრისით მხოლოდ ლოგიკური ნაბიჯი იყო.

მულტიპოლარულ სისტემაში კავშირების წარმოქმნა, თავის მხრივ, ხშირად იწვევს მასში მონაწილე სახელმწიფოთა ახალ-ახალი პრობლემებისა და ინტერესების წარმოქმნას. ამგვარ სისტემაში არც ერთ სახელმწიფოს არ გააჩნია საკმარისი ძალა, რომ ყველა შესაძლებელ საფრთხეს თვითონ გაუმკლავდეს; ამიტომ, ძალის “სესხება” აუცილებელი ხდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ უნდა დაადგინოს, ვინ იქნება

მისი მეტოქე, ვინ – მტერი, ვისგან მოდის მეტი საფრთხე, ვისთან კავშირი იქნება ყველაზე აუცილებელი და ა.შ. ეს იმასაც ნიშნავს, რომ რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან კავშირში შესვლა არის აგრეთვე ვალდებულება მისი გარკვეული ინტერესების დაცვისა, ისინი კი, შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდნენ კავშირში შემსვლელი სახელმწიფოს საკუთარ ძირეულ ინტერესებს. მულტიპოლარულ სისტემაში მეგობრებისა და მეტოქეების გამოცნობა, თუ საკუთარი და პოტენციური მოკავშირეების ინტერესების განსაზღვრა და მოკავშირეების “ხარჯებისა” და “მოგების” გათვლა-გამოცნობა კომპლექსურ თავსატეხს წარმოადგენს. კავშირი დროებითი მოვლენაა; ისევე, როგორც სახელმწიფოთა ზოგიერთი ინტერესი, ისიც მუდმივად იცვლება. ამის გამო ყოველი სახელმწიფო დღენიადაგ იმის ცდაში უნდა იყოს, რომ, კავშირებში შესვლისა და მათში მოღვაწეობის თვალსაზრისით, რაც შეიძლება ოპტიმალურად გაატაროს საკუთარი პოლიტიკა. სწორედ ამისათვის არიან მოწოდებული გამჭრიახი და გამოცდილი ანალიტიკოსები და დიპლომატები.

კავშირები და კოალიციები მონაწილეთა გარკვეული პოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის იქმნება. როცა ეს მიზნები უკვე მიღწეულია, კავშირები იშლება. კავშირები პოლიტიკის ისეთივე პრაგმატული ინსტრუმენტია, როგორც ყველა დანარჩენი.

რადგან თანამედროვე საერთაშორისო სისტემა სახელმწიფოებს აიძულებს, პირველ ყოვლისა, საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე იფიქრონ, მათ უნდა გადაწყვიტონ, საკუთარი უსაფრთხოების გაზრდის რომელი გზა აირჩიონ: თავიანთი სამხედრო ძლიერება გაზარდონ, თუ კავშირში შესვლით ძალა “ისესხონ”. მ. ალტველდის აზრით, ამ არჩევანის გაკეთება დამოკიდებულია ხარჯების გაანგარიშებაზე ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმის შეფასებაზე, თუ რისი გაწირვა შეიძლება და რისი არა. უზარმაზარი სამხედრო ხარჯების გაღება, არც ერთი ქვეყნისთვის არ არის ადვილი, ხოლო პატარა ქვეყნისათვის ეს განსაკუთრებით მძიმე უღელია, რისი ატანა მის ეკონომიკას ხშირად არც შეუძლია. კავშირში შესული სახელმწიფოები სამხედრო ხარჯებს

ინაწილებენ და ამ გზით ეს ხარჯები ყველასათვის უფრო ასატანი ხდება, მაგრამ კავშირში ყოფნა სახელმწიფოს თავისუფლების შეზღუდვას და პოლიტიკური თუ სხვა ხასიათის დამატებითი ვალდებულებების “უღელს” ადგამს. ამიტომ ცალკეულ შემთხვევებში ყოველი სახელმწიფო რთული თავსატეხის წინაშე დგება. ეს განსაკუთრებით ეხება პატარა, სუსტ ქვეყნებს, რომელთა სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური შესაძლებლობები მინიმალურია.

სახელმწიფოები მაშინ ქმნიან კავშირებს, როცა საფრთხეს იგრძნობენ. რომელიმე სახელმწიფოს ან კავშირის მხრიდან მომდინარე საფრთხე საკმაოდ სუბიექტურად ფასდება, მაგრამ აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული საფრთხის “წყაროს” ძალა, გეოგრაფიული სიახლოვე, მიზნები და ინტერესები. უოლტის აზრით, კავშირები იქმნება არა ძალთა წონასწორობის, არამედ, საფრთხის წონასწორობის კონცეფციიდან გამომდინარე, რადგან არა სახელმწიფოთა ძლიერება, არამედ მათგან მომდინარე საფრთხე, ამ საფრთხის აღქმა განსაზღვრავს სხვა სახელმწიფოთა ქმედებებს, მათ შორის – კავშირების წარმოქმნას.

რ.შველერის აზრით, კავშირების წარმოქმნის მიზეზების ანალიზისას შეცდომა იქნებოდა “გაწონასწორება” და “მიტმასნება” უსათუოდ საწინააღმდეგო ან ურთიერთგამომრიცხავ გზებზე წარმოგვედგინა. თითოეულის მოტივაცია მართლაც განსხვავებულია. მიტმასნებას არჩევენ ჩვეულებრივ ჯილდოს, მოგების მოლოდინის მიზეზით, გაწონასწორების მიზნით კავშირის შექმნა კი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ხდება. “მიტმასნა”, ძლიერის თუ აგრესორის მხარეზე გადასვლა ხშირად მისი სუფრიდან გადმოგდებული ძვლის მოლოდინში იმედიან კუდის ქიცინს ჰგავს და, ამდენად, დანაშაულში თანამონაწილეობასაც გულისხმობს. “მიტმასნა” ხშირად ხომ სავსებით გათვლილი და წინასწარ განზრახული ნაბიჯია და არა იძულებით ან უკიდურესი აუცილებლობით გამოწვეული ნამოქმედარი. შველერის შეხედულებით, კავშირების წარმოქმნა ინტერესების წონასწორობის

მექანიზმის შედეგი უფროა, ვიდრე – მხოლოდ ძალთა თუ საფრთხის
წონასწორობის შედეგი.

თემა VIII

კონფლიქტები და თანამშრომლობა საერთაშორისო ურთიერთობებში

კონფლიქტი ეს არის მოვლენა, რომელიც დამახასიათებელია ადამიანური ურთიერთობების ყველა დონისათვის, პიროვნებებს შორის ურთიერთობებიდან დაწყებული საერთაშორისო ურთიერთობებით დამთავრებული.

კონფლიქტი არის: ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების მიზნების შეუთავსებლობა ან შეუთანხმებლობა. ტერმინი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან „conflictus” რაც ნიშნავს „შეჯახებას” და აღნიშნავს როგორც პროცესს, ასევე მდგომარეობას“.

კონფლიქტი გულისხმობს ორი ან მეტი ადამიანის ბრძოლას რაიმე ფასეულობების ან ძალაუფლებისათვის, ან დეფიციტური რესურსების გამო შეჯიბრს.

განასხვავებენ პიროვნებათშორის, ჯგუფათშორის და საერთაშორისო კონფლიქტებს. კონფლიქტები შეიძლება მიმდინარეობდეს იარაღის გამოყენებით, ან მის გარეშე. საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს საერთაშორისო კონფლიქტების შესწავლის საკითხი, რომელსაც კონფლიქტოლოგია სწავლობს.

კონფლიქტოლოგია საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სამეცნიერო დისციპლინის ერთ-ერთი ქვედარგია, რომელიც საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი ძალადობრივი კონფლიქტების მიმდინარეობისა და მათი მოგვარების პრობლემებს შეისწავლის.

კონფლიქტოლოგია თეორიებსა და კვლევის მეთოდებს რამდენიმე განსხვავებული სამეცნიერო დისციპლინისაგან

სესხულობს. საერთაშორისო ურთიერთობების მეორე ქვედარგის, სტრატეგიული კვლევებისაგან განსხვავებით, კონფლიქტოლოგია საერთაშორისო ურთიერთობების პლურალისტურ პარადიგმას ეყრდნობა და სახელმწიფოს კონფლიქტის უმთავრეს მოქმედ პირად არ მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, კონფლიქტოლოგიის კვლევის ობიექტს არ წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტები და ომები. კონფლიქტების მიზეზების ანალიზისა და გადაწყვეტის გზების ძიებისას კონფლიქტოლოგია მხარეებისაგან მოითხოვს: 1) თავიანთი მიზნების იმგვარად განსაზღვრას, რომ მათი მიღწევა კონფლიქტის გარეშე გახდეს შესაძლებელი; ან 2) თავიანთი ურთიერთობების ისე შეცვლას, რომ მიზნები ერთმანეთს აღარ ეწინააღმდეგებოდეს. არა მარტო კონფლიქტების კვლევისას, არამედ მათი გადაწყვეტისასაც კ. სამეცნიერო და აკადემიური ნრეების აქტიურ ჩარევას მოითხოვს. ამ მიზნისთვის იგი აქტიურად იყენებს სოციალური ფსიქოლოგიის მიღწევებს.

მარტივი გაგებით საერთაშორისო კონფლიქტი ეს არის ინტერესების უშუალო და არაპირდაპირი შეჯახება ორ ან რამდენიმე მხარეს შორის.

ფართო გაგებით საერთაშორისო კონფლიქტი ესაა საერთაშორისო ურთიერთობათა გამწვავების უკიდურესი ფორმა, რასაც ზოგჯერ შეიარაღებული შეტაკება მოჰყვება.

საერთაშორისო კონფლიქტის წინაპირობაა პოლიტიკური კრიზისი მხარეებს შორის, რაც უკიდურესად ძაბავს სიტუაციას და ერთმანეთს უპირისპირებს როგორც პოლიტიკურ ელიტებს, ისე მასებსაც. თუმცა ყველა კრიზისი კონფლიქტში არ გადაიზრდება.

საერთაშორისო ურთიერთობების წარმოდგენა კონფლიქტების გარეშე უტოპია იქნებოდა, მაგრამ მათი შემცირება და მინიმუმამდე დაყვანა საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

კონფლიქტების რეგულირების ტრადიციული ფორმებია შეკავება და ძალთა წონასწორობა. **საერთაშორისო კონფლიქტების** ძირითადი სახეებია ტერიტორიული, რესურსული, ეთნიკური, ეკოლოგიური, იდეოლოგიური კონფლიქტები, რომლებიც უმთავრეს შემთხვევებში პოლიტიკური კონფლიქტის სახით ვლინდება, თუმცა არც თუ იშვითია მათი გამოვლენა ეკონომიკური და კულტურული კონფლიქტების ფორმითაც.

საერთაშორისო კონფლიქტი შეიძლება მოხდეს ორი ან მეტი სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებს შორის ან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მეტროპოლიის შეიარაღებულ ძალებს შორის შეტაკებით. ნიშანდობლივია საომარ მოქმედებათა შეზღუდული მასშტაბი და შედარებითი ხანმოკლეობა.

საერთაშორისო კონფლიქტის მხარეები მოვალენი არიან თავიანთ მოქმედებაში დაიცვან საერთაშორისო სამართლის ნორმების მოთხოვნა - ომის კანონები და ჩვეულებები. დამატებითი ოქმით დაცულია კულტურული ფასეულობები, აკრძალულია თავდასხმა სამოქალაქო მოსახლეობის სასიცოცხლო ობიექტებზე (სახნავ მიწებზე, სასმელი წყლისა და ირიგაციულ სისტემებზე და სხვ.), აგრეთვე ისეთ ნაგებობებზე (წყალსაცავები, დამბები, ატომური ელექტროსადგურები და სხვ.), რომელთა ნგრევამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დანაკარგები მშვიდობიან მოსახლეობაში. განსაკუთრებული დაცვის ობიექტები არიან ქალები და ბავშვები, დაჭრილები და ავადმყოფები, სამედიცინო პერსონალი და სანიტარული სატრანსპორტო საშუალებანი. განსაზღვრულია აგრესიის ან სხვა სახელმწიფოს მიერ ოკუპაციის დროს მიყენებული ზარალის კომპენსაცია.

საერთაშორისო კონფლიქტი გამომდინარეობს მათ შორის ობიექტური ან არაობიექტური ხასიათის წინააღმდეგობების არსებობიდან. სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში თავისი

წარმოშობის მიხედვით ეს წინააღმდეგობა და დაპირისპირება შეიძლება იყოს ტერიტორიული, ნაციონალური, ეკონომიკური, სამხედრო-სტრატეგიული, სამეცნიერო-ტექნიკური და ა.შ. მთლიანობაში კი სახელმწიფოთა შორის არსებული ნებისმიერი სახის კონფლიქტი დებულობს პოლიტიკურ ფორმას, ვინაიდან ამ წინააღმდეგობების შეგნება-გააზრება და გადაწყვეტა სახელმწიფოების მიერ საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბების და განხორციელების საშუალებით ხდება.

საერთაშორისო კონფლიქტების წარმოქმნა და განვითარება დაკავშირებულია არა მხოლოდ სუბიექტურ წინააღმდეგობებთან, რომელებიც წარმოიქმნება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში, არამედ ისეთ რეალურ ფაქტობთანაც როგორც თვით სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაა.

კონფლიქტები საერთაშორისო ურთიერთობების ბევრად უფრო არსებით სახეს წარმოადგენს. იგი განიხილება როგორც პროცესი, რომელიც წარმოადგენს მხარეებს შორის ურთიერთობების უწყვეტ პროცესს.

საერთაშორისო თანამშრომლობა ყოველთვის გულისხმობს კონფლიქტურ სიტუაციებს, და პირიქით, ნებისმიერი კონფლიქტი განაპირობებს მისი მონაწილეებს შორის საქმიანი თანამშრომლობის ამა თუ იმ სახეს.

საერთაშორისო სისტემის ფუნქციონირების უმთავრესი პირობები მოიაზრება კონფლიქტების და თანამშრომლობის სისტემური მიდგომის ფარგლებში, რომელიც განსაზღვრავს მისი სტაბილურობის ხარისხს. ამიტომ საერთაშორისო სისტემის სტაბილურობის კრიტერიუმები დაკავშირებულია მის განზომილებებთან, რომელზე დამოკიდებულებითაც სისტემა ან ინარჩუნებს თავის თავს, ან განიცდის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას. ეს განსაკუთრებით ხდება მაშინ, როცა ხდება გადასვლა სხვა ტიპის სისტემაზე, ან საბოლოოდ იშლება იგი. ამ

თვალსაზრისით საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში კონფლიქტებს ახასიათებს როგორც არასტაბილურობა, ისე სტაბილურობა.

სისტემის სტაბილურობის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ღირებულების თავსებადობა, რომელებიც ახდენს საკუთრივ სისტემის შემადგენელ ელემენტებად დაყოფას (საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილეები) და არ იძლევა მუდმივი უნდობლობის საფუძველს მათ შორის; ასევე, სისტემის მონაწილეებს შორის არსებული კონსენსუსი შედარებით მართავს არსებულ წინააღმდეგობებს, ხოლო მათ შორის ურთიერთობა ხასითდება ზომიერებით. ხოლო არსატაბილური სისტემის ჩარჩოებში ხდება პირიქით, არსებობს ფასეულებათა შეუთავსებლობა, გაუთავებელი დავა და ზომიერების ურყოფა, შესაბამისად, არსებობს თანამშრომლობის სუსტი ხარისხიც.

ამრიგად, დღეისათვის არსებული დებულება იმის შესახებ, რომ კონფლიქტების და თანამშრომლობის განსხვავება და წინააღმდეგობები არ შეიძლება აბსოლუტიზირებულ იქნას, არ ნიშნავს, რომ ისინი ერთმანეთში გაიგიავებულია. თითოეულ ამ საერთაშორისო პროცესის ძირითად მახასიათებლებს აქვს მისი საკუთარი განვითარების დინამიკა.

საერთაშორისო კონფლიქტების შესწავლის ძირითადი მიმართულები

არსებობს საერთაშორისო კონფლიქტების შესწავლის სამი ძირითადი მიმართულება:

- 1. „სტარეტეგიული კვლევის“;**
- 2. „მშვიდობის კვლევის“;**
- 3. „კონფლიქტების კვლევის“.**

მთავარი, რაც ამ სამ მიმართულებას აერთიანებს, ეს არის მოცემული სოციალური ფენომენის გააზრების მცდელობა საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის ფუნქციონირების და

მის ძირითად მონაწილეებს შორის არსებულ სხვადასხვა ურთიერთობების ფარგლებში და ამის საფუძველზე დასკვნების გაკეთება. მათ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. ამ მიმართულებებში არის განსხვავებული ნიშნებიც. იგი ეხება მათ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს, კვლევის პრობლემატიკის შინაარსს, რომელთა ხასიათი დაკავშირებულია საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკასთან და ა.შ. რა თქმა უნდა არის არსებითი განსხვავებებიც ამ მიმართულებებში. იგი დაკავშირებულია საერთაშორისო კონფლიქტების განმარტების, მათი ტიპოლოგიის და სახეების საკითხებთან და აშ.

სტრატეგიული კვლევის პოზიციიდან საერთაშორისო კონფლიქტების ანალიზის დამახასიათებელი თავისებურება მდგომარეობს იმაში თუ როგორ შეიძლება იგი **გამოვიყენოთ პრაქტიკული ამოცანების გადასაწყვეტად, ვინაიდან** იგი დაკავშირებულია ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფასა და სახელმწიფოს უსაფრთხოებასთან. ამავე დროს ქმნის სასურველ პირობებს არსებულ კონფლიქტში შესაძლო გამარჯვების მოპოვებისათვის. ცხადია, რომ კვლევის ეს მიმართულება საზრდოობს პოლიტიკური რეალიზმის ხედვებით, რომელიც ხაზს უსვამს ძალის უპირატესობას სახელმწიფოს მხრიდან მიზნის მისაღწევად.

ამ მიმართულების ცენტრალური ამოცანაა განსაზღვროს თუ როგორი შეიძლება იყოს სახელმწიფოს ქცევა ბევრად უფრო ადეკვატურ კონფლიქტურ სიტუაციაში, რომ მოახდინოს უნარიანი გავლენა მოწინააღმდეგეზე, გააკონტროლოს ის და დაიყოლიოს თავის ნებაზე.

სტრატეგიული კვლევის ერთ-ერთი პრიორიტეტული პრობლემა არის ომის პრობლემა, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები ამა თუ იმ სახელმწიფოსათვის, რეგიონისა და, საერთოდ, მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობებისათვის. თუკი ადრე ომი

განიხილებოდა როგორც „ნორმალური“ საშუალება საკუთარი მიზნის მიღწევისათვის, ახლა ბირთვული იარაღის დამანგრეველი ძალის პირობებში უკვე პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა. ერთის მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან მისი ფლობა მას აძლევს ახალ შესაძლებლობას გაატაროს საგარეო პოლიტიკა, და ნებისმიერ პოტენციურ აგრესორთან მიმართებაში უზრუნველყოს მისი ეროვნული უსაფრთხოების ამოცანის გადანყვეტა. მაგრამ, მეორეს მხრივ, ის ძალა, რომელიც გააჩნია ბირთვულ იარაღს მისი გამოყენების შემთხვევაში, შედეგებიდან გამომდინრე, აბსურდულ შინაარს იძენს.

აქედან გამომდინრე, მთავარი აქცენტი კეთდება არა სამხედრო, არამედ ბირთვული შეიარაღების პოლიტიკურ ასპექტებზე. არა შეიარაღებული კონფლიქტის სტრატეგიაზე, არამედ მონინალმდეგის დაშინების სტრატეგიაზე. ყველაფერი ეს კი, იძლევა საშუალებას მოხდეს შედარებითი სტაბილურობის შენარჩუნება გლობალურ საერთაშორისო სისტემაში.

თანამედროვე ეტაპზე სტრატეგიული კვლევის მიმართულებაში კორექტირება შეაქვს იმ რეალობას, რომელიც დღეს არსებობს მსოფლიო პოლიტიკაში. წინა პლანზე გამოდის ის ამოცანები, რომელიც მოითხოვს ადექვატურ რეაგირებას იმ ახალ გამოწვევებზე, როგორცაა ახალი ტიპის კონფლიქტები, **აგრესიული ნაციონალიზმი, სეპარატიზმი, საერთაშორისო ორაგანიზებული დანაშაულობები და ა.შ.** უფრო მეტიც, ამ პრობლემების სირთულე ნაკლებ სავარაუდოს ხდის, რომ ისინი გადანყდეს სტრატეგიული კვლევის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, მეტ მნიშვნელობას იძენს კონფლიქტების შესწავლის სხვა კერძოდ, **კონფლიქტების კვლევის მიმართულება.**

ამ მიმართულების ცენტრალური საკითხებია სწორედ იმ პრობლემების შეწავლა, რომელიც არ შედის სტრატეგიული კვლევის მიმართულებაში. იგი უპირველს ყოვლისა

დაკავშირებულია საერთაშორისო კონფლიქტების წარმოშობის და მისი მრავლგვარობის გარკვევასთან, ვინაიდან თითოეულ მათგანის შესწავლაშიც კი არსებობს გარკვეულ პოზიციათა მრავალფეროვნება.

მაგალითად, საერთაშორისო კონფლიქტების წარმოშობის შესახებ არსებობს ორი პოზიცია. პირველის მიხედვით, საერთაშორისო კონფლიქტის წარმოშობის მიზეზი დაკავშირებულია **საერთაშორისო სისტემის სტრუქტურის ხასიათთან**. მეორე პოზიციის მიხედვით კი, საერთაშორისო კონფლიქტის წარმოქმნა განიხილება იმ კონტექსტში, რომელსაც ქმნის **საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის შიდა საშუალებები**.

პოლიტიკური მეცნიერება და საერთაშორისო პრაქტიკა იცნობს საერთაშორისო კონფლიქტების სხვადასხვა ტიპს და სახეს. უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო კონფლიქტების კლასიფიკაციის საქმეში აზრთა სხვადასხვაობაა. ყველა მკვლევარის მიერ საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო კონფლიქტების ტიპოლოგია არ არსებობს. ბევრ შემთხვევაში საერთაშორისო კონფლიქტების კლასიფიკაციაში ვხდებით მათ ასიმეტრულ და სიმეტრიულ დაყოფას. სიმეტრიულს მიეკუთვნება ისეთი კონფლიქტები, რომლებიც ხასიათდება კონფლიქტური მხარეების თანაბარი ძალის ჩაბმით. ხოლო ასიმეტრიულ კონფლიქტები ხასიათდება კონფლიქტური მხარეების მკვეთრად განსხვავებული პოტენციალით. ძირითადად გამოყოფენ კონფლიქტების **სამ ჯგუფს**:

პირველი ჯგუფი მოიცავს:

კლასიკური სახელმწიფოთაშორის კონფლიქტები; სახელმწიფოთაშორის კონფლიქტები რომლებიც დაკავშირებულია ინტეგრაციულ პროცესებთან; ეროვნულ-განმათავისუფლებილი ომები და ა.შ.

მეორე ჯგუფი მოიცავს:

ტერიტორიულ და არა ტერიტორიულ კონფლიქტებს, ამ უკანასკნელს შეიძლება ჰქონდეს სოციალურ-ეკონომიკური ან იდეოლოგიური მოტივი.

მესამე ჯგუფში მოიაზრებენ

მასშტაბებთან დამიკიდებულ კონფლიქტებს, რომელიც შეიძლება მსოფლიო კონფლიქტად გადაიზარდოს, ვინაიდან მასში შეიძლება ჩართული იქნეს სახელმწიფოთა დიდი რაოდენობა. ასევე რეგიონალური, სუბრეგიონალური და შეზღუდული (სახელმწიფოთა რაოდენობის მიხედვით) კონფლიქტები.

ასეთი მიდგომები არ შეიძლება გავლენას არ ახდენდეს საერთაშორისო კონფლიქტების შესწავლის მესამე მიმართულებაზე – „**მშვიდობის კვლევაზე**”.

ამ მიმართულების ჩარჩოებში კვლევის ძირითადი ამოცანა არსებითად არის **მოძებნოს ბევრად უფრო ეფექტური საშუალებები საერთაშორისო კონფლიქტების დარეგულირებისათვის.**

კონფლიქტის მოგვარება არის ზოგადი ცნება რაც აღნიშნავს კონფლიქტების მშვიდობიანი, არაძალისმიერი მეთოდებით, დარეგულირების სტრატეგიების შემუშავებასა და განხორციელებას. ეს მეთოდები ეწინააღმდეგება ფაქტიურად ყველა ძალისმიერ მეთოდს საერთაშორისო კონფლიქტებთან მიმართებაში. კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მეთოდებს დღეისათვის ხშირად მიმართავენ და აღნიშნული მეთოდი უფრო დახვეწილ ფორმებს იძენს.

საყოვეთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ თანამედროვე მსოფლიოში კონფლიქტების მოგვარების ყველაზე უფრო ეფექტური ფორმა და საშუალება არის მოლაპარაკებები. თუმცა, გარკვეული ნაწილი თვლის, რომ კონფლიქტების მოგვარების ერთ

ერთი საშუალება, ასევე არის ძალის მეთოდის გამოყენება მშვიდობის დამყარებისათვის.

ცივი ომისა და გლობალური კონფრონტაციის დასრულების შემდეგ, მოლაპარაკებებმა ახალი ტენდენციები შეიძინა. უნდა აღინიშნოს, რომ იალტა-პოდსტამის სისტემის საერთაშორისო ურთიერთობებში, როცა არსებობდა ბიპოლარული მსოფლიო ორი სამხედრო-პოლიტიკური სიტემით, და, როცა ამ ორ პოლიტიკურ და სამხედრო ბლოკებს შორის დამყარდა ძალთა ბალანსი, რაც ბირთვულ პოტენციალს დაეფუძნა, ფაქტობრივად მოლაპარაკებები იყი ერთადერთი საშუალება კონფლიქტური სიტუაციების მონესრიგებისათვის.

რა დატვირთვა შეიძინა მოლაპარაკებებმა ცივი ომის დასრულების შემდეგ?

1. საერთაშორისო მოლაპარაკებები გახდა სახელმწიფოთა ურთიერთობების ძირითადი ფორმა. სახელმწიფოები აქტიურად თანამშრომლობენ სამომავლოდ ძალის ფაქტორის შემცირებისათვის;

2. იზრდება მოლაპარაკებების მოცულობა და რაოდენობა. მისი ობიექტი ხდება საერთაშორისო ურთიერთობების ახლი მიმართულებები (ეკოლოგია, სოციალურ-ეკონომიკური პროცესები, სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობა და ა.შ.)

3. იზრდება მოლაპარაკებების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციების როლი;

4. მოლაპარაკებაში ერთგებიან სპეციალისტები, რომელთაც არ აქვთ დიპლომატიური მოღვაწეობის გამოცდილება, მაგრამ აქვთ ის განსაზღვრული კომპეტენცია იმ პრობლემურ საკითხზე, რომელიც აუცილებელია სახელმწიფოებს შორის ურთიერთობათა ახალი სფეროს ანალიზისათვის.

5. ქმნის პირობებს მოლაპარაკებების მართვის პროცესის ძირფესვიანი გადახედვის აუცილებლობისათვის: ე.ი. უნდა

მოხდეს უფრო მნიშვნელოვანი პრობლემების გამოყოფა უმაღლესი სახელმწიფო მეთაურების დონეზე განხილვისათვის; სხვადასხვა სამუშაო დონეზე კომპეტენციების სფეროს გამიჯვნა; პასუხისმგებლობის დელეგირების სისტემის შემუშავება; დიპლომატიური სამსახურების მაკოორდინებელი როლის გაზრდა და ა.შ.

დღეისათვის მოლაპარაკებები რჩება მუდმივ, გრძელვადიან და უნივერსალურ ინსტრუმენტად საერთაშორისო ურთიერთობებში. იგი თავისთავად მოითხოვს მხარეების მხრიდან მოლაპარაკების სტრატეგიის შემუშავებას. ასეთი სტრატეგია მოითხოვს:

ა. მოქმედი პირების განსაზღვრას;

ბ. მათ დახასიათებას კლასიფიკაციის მისაღებ კრიტერიუმებთან შესაბამისობაში;

გ. ფასეულობათა იერარქიის გამოვლენას იმ წესრიგში, რომელსაც მხარეები მას წარმოადგენენ;

დ. მიზანებს (რომელიც სურთ რომ მიაღწიონ) შორის ურთიერთობის და საშუალებების (რომელითაც განაღებენ განსაზღვრულ მხარეებს იმ მიმართულებით, სადაც მას საშუალება ექნება იმოქმედოს) ანალიზს.

მოლაპარაკების პროცესი ეს არის გადანყვეტილების ერთობლივად მიღების საშუალება, სადაც მაქსიმალურად არის გათვალისწინებული მხარეების ინტერესები, რაც რეალურად იძლევა მათი აღსრულების საშუალებას. მოლაპარაკება არ არის მიზანი, იგი არის მხოლოდ ერთ-ერთი ინსტრუმენტი მისი მიღწევისათვის.

ამრიგად, კონფლიქტის მოგვარება ეს არის პროცესი, რომელიც მოწოდებულია, უპირველეს ყოვლისა, უარყოფითი ემოციური ენერჯის გასაფანტად, რომელიც მხარეებს არ აძლევს დიალოგის საშუალებას, და, მეორე მხრივ, მისცეს კონფლიქტის

მონაწილეებს მოაგვარონ განხეთქილება და გადალახონ მათ შორის არსებული წინააღმდეგობები, რათა გადავიდნენ ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების ძიებაზე, რომელიც აღმოფხვრის კონფლიქტის მიზეზებს. უკანასკნელ წლებში, ამ სფეროს სპეციალისტებმა დაიწყეს ახალი ტერმინის გამოყენება - „კონფლიქტის ტრანსფორმაცია“, როგორც კონფლიქტის მოგვარების გრძელვადიანი და ღრმა სტრუქტურული, ფსიქოლოგიური და კულტურული ასპექტები. ამრიგად, კონფლიქტის ტრანსფორმაცია შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ცვლილების ყველაზე ღრმა დონე კონფლიქტის დარეგულირების პროცესში.

კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება მესამე მხარეს – რომელიც **მედიატორის როლს** ასრულებს კონფლიქტურ მხარეებს შორის.

თანამედროვე საერთაშორისო კონფლიქტების უმრავლესობაში ჩართულია ერთი ან მეტი მედიატორი მხარე. ეს უკანასკნელნი ერთობლივად მუშაობენ კონფლიქტის არაძალისმიერი გზით მოგვარებისათვის. არ არსებობს დადგენილი წესი თუ როგორ უნდა დავადგინოთ, როგორი სახის მესამე მხარეებმა უნდა შეასრულონ მედიატორის როლი სხვადასხვა სახის კონფლიქტებში.

დღეისათვის მსოფლიოში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში უმნიშვნელოვანესი მედიატორის როლში წარმოდგენილია გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ან კიდევ ევროკავშირი. ზოგიერთ რეგიონალურ კონფლიქტში მედიატორის ფუნქციებს რეგიონალური ორგანიზაციები, ზოგჯერ კი, კერძო პირებიც ასრულებენ. მაგალითად, კოსტა რიკის ყოფილი პრეზიდენტი ოსკარ არიასი 1987 წელს ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა ცენტრალური ამერიკის ქვეყნების პრეზიდენტებს შორის მედიატორის როლის შესრულებისათვის, რითაც მიღწეული იქნა

მრავალმხრივი ხელშეკრულების მომზადება და დადება. აღნიშნული ხელშეკრულების შედეგად ნერთილი დაესვა რეგიონში არსებულ სისხლისმღვრელ კონფლიქტებს.

მედიატორის მონაწილეობა კონფლიქტის მოგვარების საქმეში სხვადასხვაგვარად შეიძლება განისაზღვროს. ზოგჯერ მედიატორობა მკაცრად განსაზღვრული ტექნიკური ხასიათისაა – მედიატორს შეუძლია ითამაშოს აქტიური, მაგრამ მკაცრად ნეიტრალური როლი ორ მხარეს შორის ურთიერთობების ჩამოყალიბების საქმეში (როდესაც თითქმის არ არსებობს ურთიერთობა ორ კონფლიქტურ მხარეებს შორის). მაგალითად, პაკისტანი საიდუმლოდ ასრულებდა ინფორმატორის როლს ჩინეთსა და ამერიკას შორის. საბოლოოდ, 1971 წელს ამ ორ ქვეყანას შორის დამყარდა ურთიერთობები. ასეთი ქმედება წარმოადგენს კეთილ სამსახურს, რაც დადებითად მოქმედებს ორ მხარეს შორის მოლაპარაკების პროცესზე.

მხარეებს შორის კომუნიკაციის დასამყარებლად, მედიატორი თითოეული მხარის მოსაზრებების შესახებ სრულ ინფორმაციას იღებს და ამ ინფორმაციის პრეზენტაციას ახდენს მეორე მხარისათვის მისაღები ფორმით. მედიატორი ცდილობს შეცვალოს მხარეების შეხედულებები კონფლიქტურ საკითხებთან დაკავშირებით. ამგვარი როლის შესრულებისას მედიატორი “თარჯიმნის” ან “მკურნალის” ფუნქციას ასრულებს და ეხმარება მხარეებს ურთიერთობების ჩამოყალიბების პროცესის თანმხლები ფსიქოლოგიური პრობლემების დაძლევაში.

პროცესს, რომელიც მიუთითებს, რომ ორივე მხარეს შორის მიღწეულია შეთანხმება, რაც ითვალისწინებს მედიატორის მიერ შეთავაზებული გადანყვეტილების შესრულებას, ეწოდება **არბიტრაჟი**. ამ შემთხვევაში ორივე მხარე წარუდგენს თავის არგუმენტს მოსამართლეს და “სამართლიანი გადანყვეტილების” მიღება ამ უკანასკნელის კომპეტენციაა. მაგალითად, როდესაც

მოლაპარაკებების პროცესში სერბი და ბოსნიელი მხარეები ვერ შეთანხმდნენ თუ ვის უნდა გადასცემოდა ქალაქი ბრკო, მათ 1995 წლის დეიტონის ხელშეკრულების გვერდის ავლით ეს საკითხი განსახილველად წაუდგინეს არბიტრაჟს. არბიტრაჟის შემადგენლობა ჩვეულებრივ წარმოდგენილია სამი ადამიანისაგან – თითო წარმომადგენელი მოწინააღმდეგე მხარეთაგან და ერთი კანდიდატურა რომელიც ორივე მხარისათვის მისაღებია. 2002 წელს, ხანგრძლივი ომის შემდეგ, ზემოაღნიშნული სტრუქტურის მიხედვით შემდგარმა საბჭომ (გაერო წარმოდგენილი იყო როგორც მესამე წევრი) დაანწესა საზღვარი ეთიოპიასა და ერთრეას შორის.

რატომ უნდა გადაჭრას სახელმწიფომ კონფლიქტი უომრად თუ ამ კონფლიქტის გადაჭრა ძალისმიერი მეთოდებითაა შესაძლებელი? სახელმწიფო უნდა დარწმუნდეს, რომ არაძალადობრივი გზით გადაჭრილი კონფლიქტი მისთვის უფრო მისაღებია. სახელმწიფოს ლიდერების ასეთ გადაწყვეტილებამდე მისაყვანად დიდი ძალისხმევაა საჭირო. კერძოდ, უნდა შეიქმნას ისეთი პირობები, რომელიც გაითვალისწინებს ორივე მხარის უკვე არსებულ ინტერესებს, ან უნდა ჩამოყალიბდეს სრულიად ახალი ინტერესები, რაც ორივე მხარისათვის მისაღები იქნება.

მთელ რიგ შემთხვევებში მხარეებისათვის უთანხმოების მშვიდობიანი გზით მოგვარება უფრო მისაღებია, მაგრამ ურთიერთდობისა და კომუნიკაციის არარსებობის გამო ვერ მიდიან კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის გადაწყვეტილებამდე. ნეიტრალური შუამდგომლობით შესაძლოა ორივე მხარის საერთო ინტერესების დადგენა. მაგალითად, ეგვიპტესა და ისრაელის საერთო მიზანი 1970-იან წლებში მშვიდობის დამყარება იყო, მაგრამ იმავდროულად მათ შორის ურთიერთდობა მინიმუმამდე იყო დაყვანილი. ამერიკის შეერთებული შტატების პროეზიდენტმა ჯიმი კარტერმა მიიწვია ორი სახელმწიფოს ლიდერი კერძო მყუდრო რეზიდენციაში - კემპ დეივიდში, და ამით

მოლაპარაკებების პროცესი სრულიად არაფორმალურ გარემოში წარიმართა.

იმ შემთხვევაში თუ სახელმწიფოს ლიდერების ინტერესების თანხვედა ვერც ერთი განზომილებით ვერ ხერხდება, ორმხრივი ინტერესების დადგენა ორივე მხარის მოქალაქეების ძალისხმევით ხდება შესაძლებელი. ამ მიზნით კერძო პირებისა და ჯგუფების მიერ დაგეგმილი მოგზაურობებსა და დისკუსიებს **სახალხო დიპლომატიას** უწოდებენ. სახალხო დიპლომატია დიდი როლს თამაშობს როდესაც ორ კონფლიქტურ მხარეს შორის ურთეირთობები ჩიხშია შესული. არის შემთხვევები, როდესაც კერძო მოგზაურობა ისტორიულ მნიშვნელობას იძენს, მაგალითად როდესაც აშშ-ს ძიუდოისტები 1998 წელს ირანში ჩავიდნენ.

კონფლიქტური მხარეები (და მედიატორები) აგრეთვე მუშაობენ რათა ისე შეცვალონ მოლაპარაკებების პირობები, რომ მიღებული გადაწყვეტილებების შედეგად მოხდეს ერთი ან ორივე მხარის ინტერესების თანხვედრა (სრული ან ნაწილობრივი). ხშირ შემთხვევაში, მედიატორის მეშვეობით მიღწეული შეთანხმების შედეგად ორივე მხარე მოგებულ რჩება. ამგვარ სიტუაციაში ხდება სახელმწიფოების მიერ სხვადასხვა პრიორიტეტების მქონე ორი საკამათო საკითხის მოგვარება. შედეგად თითოეული მხარე წარმატებას აღწევს მისთვის მნიშვნელოვანი საქმის მოგვარებაში, და ნაკლებ ყურადღებას აქცევს სხვა, მისთვის არაპრიორიტეტულ, საკითხის მოგვარებაზე.

ამრიგად, კონფლიქტების კვლევა ერთ-ერთი რთული მიმართულებაა პოლიტიკურ მეცნიერებაში. საბოლოო სიტყვა ამ მიმართულებებით ჯერ კიდევ არ თქმულა. კაცობრიობა კონფლიქტების მრავალ სახეობა იცნობს და მის ახალ ახალ გამოვლინებებსაც აწყდება თანამედროვე ეტაპზე. იცნობს გაჭიანურებულ, მოუგვარებელ და უკვე გადაწყვეტილ პრობლემებსაც. მაგ. ერთი საშულება, რომელიც ერთი

კონფლიქტის მოგვარებაში გვეხმარება, შეიძლება მეორე კონფლიქტის მოგვარებაში არ გამოდგეს.

ცივი ომის დასრულებამ, სოციალისტური ბანაკის დარღვევამ და საბჭოთა კავშირის დაშლამ, წინა პლანზე წამოსწია კონფლიქტების ის სახეები, (მართალია ისინი თავისი არსით არ არის რადიკალური და დღეს აქარწყლებს კონფლიქტების მასობრივი მასშტაბის ფენომენს), რომლებიც მეტყველებს თანამედროვე საერთაშორისო წესრიგის გარდამავალ ხასიათზე. საერთაშორისო არენაზე არატრადიციული აქტორების (აქტორები სუვერენიტეტის გარეშე) გავლენის დემონსტრირება აშკარად მეტყველებს მათ კონკურენციაზე ტრადიციულ აქტორებთან მიმართებით.

როგორც აღვნიშნეთ, უნიტარული სახელმწიფოების დეზინტეგრაციამ, ბიპოლარული მსოფლიოს დაშლამ, რომელიც დაფუძნებული იყო ძალადობაზე გამოუწვია ახალი სახის კონფლიქტები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში არ თავსდება ჩვეულებრივ ტიპლოგიაში და იგი შეიძლება იყოს: **გამოყენებული საშუალებების შინაარსით** – (პოლიტიკური ზეგავლენა, ეკონომიკური ბლოკადა, შეიარაღებული შეტაკება); **გამოყენებული ძალადობის ხარისხზე** (ომი მცირე ინტენსივობით და ა.შ.); **გეოსტრატეგიული** (გლობალური, ლოკალური, და რეგიონალური კონფლიქტები); **მოტივირებული** (ტერიტორიული და არა ტერიტორიული კონფლიქტები); **სტრუქტურული** (იდეოლოგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური და ა.შ.) და სხვა ცნობილი კრიტერიუმებით.

ამავდროულად წარმოებს არასახელმწიფოებრივი ტიპის კონფლიქტების ბანალიზაცია. მათი ახალი სახეები არ შეიძლება მონესრიგდეს კლასიკური საერთაშორისო სტრატეგიის არსენალში არსებული მექანიზმებით (სამხედრო ზენოლა, „ძალთა ბალანსი“, „შიშის წონასწორობა“ და ა.შ.).

კონფლიქტებში, ჩრდილოეთ ირლანდიაში, ახლო აღმოსავლეთში, ინდოეთის სამხრეთსა და ჩრდილოეთში, კამბოჯაში, ავღანეთში, იუგოსლავიის ყოფილ რესპუბლიკებს შორის, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში, ერაყში, რა თქმა უნდა შეიძლება ვიპოვოთ მათში მსგავსი თვისებები. მაგრამ თითოეული ეს კონფლიქტი თავისთავში შეიცავს მრავალ წინააღმდეგობას და კრიზისს. თითოეული მათგანი უნიკალურია თვისი ხასიათითაც. სამწუხაროდ, მოლაპარაკებებმა, კონსულტაციებმა, შეხვედრებმა შეთანხმებამ და ა.შ. დარეგულირების სხვა მექანიზმებმა ამ კონფლიქტების მოგვარებაში დაბალი ეფექტურობა აჩვენეს.

საერთაშორისო ორგანიზაციები, კანონები, და ნორმები ქმნიან სტაბილურ კონტექსტს მოლაპარაკებებისათვის და საერთაშორისო სტრუქტურის განვითარებასა და მასშტაბების გაზრდასთან ერთად იზრდება კონფლიქტების არასამხედრო გზით მოგვარების ეფექტურობაც.

სამხედრო ძალა, როგორც მიზნის მიღწევის საშუალება, არ უნდა განიხილებოდეს, როგორც უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. სამხედრო ძალის გამოყენება არის აქტორზე ზეგავლენის მოხდენის ძვირადღირებული გზა დიპლომატიასთან, კონფლიქტის დიალოგის გზით მოგვარებასთან, სამშვიდობო ოპერაციებთან შედარებით.

კონფლიქტში მონაწილე მხარეების ურთირთსაწინააღმდეგო შეხედულებების გამო რთულია კონფლიქტის მოგვარება მესამე მხარის გარეშე. ეს მესამე მხარე მოიზარება როგორც განმსჯელი ან ყველა კონფლიქტური მხარის ინტერესებიდან გამომდინარე შეხების წერტილის განმსაზღვრელი. სწორედ ეს ფაქტორები განაპირობებენ საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნის აუცილებლობას საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემაში.

ქცევის ნორმებს მსგავსი დატვირთვა ენიჭებათ როგორც საერთაშორისო ეკონომიკის, აგრეთვე, საერთაშორისო

უსაფრთხოების თვალსაზრისით, ვინაიდან ფართომასშტაბიანი ეკონომიკური შეთანხმებების დაუბროკოლებელი განხორციელების გარანტი სწორედ აღნიშნული ორი სფეროს სტაბილურობაა.

ამრიგად, თანამედროვე მსოფლიოში კონფლიქტები კვლავ რჩება ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობებშიც და თუ ბევრ წილად დღეს არსებული კონფლიქტები არ ღებულობს გაცილებით ფართო მასშტაბებს, ეს სწორედ საერთაშორისო საზოგადოების დიდი ძალისხმების შედეგია, რასაც ხელს უწყობს დღეს არსებული საერთაშორისო თანამშრომლობის პრაქტიკაც.

საერთაშორისო თანამშრომლობის არსი

ცნება საერთაშორისო თანამშრომლობა გულისხმობს ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს თანამშრომლობის ისეთ პროცესს, რომელშიც გამორიხცულია შეიარაღებული ძალის გამოყენება და დომინირება, სადაც ხდება ერთობლივ ძიება იმ საშუალებების, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს საერთო ინტერესების რეალიზაცია. რა თქმა უნდა, თანამშრომლობა არ გამორიხცხავს კონფლიქტებს, თუმცა, თავიდან გვაცილებს მძიმე კრიზისულ ფორმებს.

თანამშრომლობის ტრადიციული ურთიერთობები მოიცავს ორმხვრივ და მრავალმხვრივ დიპლომატიას, რომელიც ფორმდება სხვადასხვა კავშირების და შეთანხმების სახით. იგი ითვალისწინებს პოლიტიკური ხაზის კორდინირებულ მოქმედებას. მაგ. კონფლიქტების ერთობლივად დარეგულირების, საერთო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნებითა და სხვა საკითხების გადაწყვეტისათვის.

სახელმწიფოთა და საერთაშორისო ურთიერთობათა სხვა აქტორებს შორის თანამშრომლობის განვითარებამ ცხოვრებაში გამოიწვია გლობალური და რეგიონალური მნიშვნელობის სახელმწიფოთაშორის და არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების

მთელი სისტემა. მსოფლიოში გლობალური პრობლემების წარმოქმნის და დამძიმების კვალდაკვალ მსოფლიოს ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი იზრდება. ეს დაკავშირებულია არა მხოლოდ ვაჭრობასთან, საბაჟო საქმესთან, სასაზღვრო მონესრიგებებთან ან სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებთან, არამედ იმ საკითხებთან, რომლებიც მოითხოვს ადექვატურ მოქმედებებს ეკოლოგიურ გამოწვევებზე, კოსმოსის ათვისებაზე, რესურსების მიზნობრივ გამოყენებაზე, კომუნიკაციური ქსელის განვითარებაზე, შეიარაღებაზე კონტროლს და ა.შ. რაოდენ მნიშვნელოვანი და დიდიც არ უნდა იყოს თითოეული ამ სფეროს მნიშვნელობა, მაინც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პოლიტიკურ ინტეგრაციას. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული ეკონომიკურ ინტეგრაციასთან.

პოლიტიკურ ურთიერთობებში საერთაშორისო ინტეგრაცია თავისთავად წარმოადგენს თანამშრომლობის უმაღლეს ფორმას. იგი ქმნის ერთიან პოლიტიკურ საზოგადოებას ორი ან რამდენიმე პოლიტიკური ერთეულის კავშირის საფუძველზე.

ინტეგრაცია, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ერთდროულად არის პროცესი და მდგომარეობა, რომელსაც აქვს ტენდენცია-შეცვალოს დამოუკიდებელი ერთეულებისაგან შემდგარი საერთაშორისო ურთიერთობების დაქუცმაცებულობა, ახალი ბევრად უფრო ფართო გაერთიანებებით. ამ დროს ხდება ცალკეული პოლიტიკური სუბიექტების მიერ განსაზღვრული მიმართულების გარკვეული რწმუნების გადაცემა საბაზო ერთეულების კომპეტენციაში.

გეოგრაფიული თვალსაზრისით, განასხვავებენ გაერთიანების პროცესის მასშტაბებს. იგი შეიძლება იყოს:

გლობალური,
რეგიონალური,

სუბრეგიონალური ინტეგრაციის დონეები.

ასევე, არსებობს ინტეგრაციის სხვადასხვა ეტაპები და ფაზები – ეს შეიძლება იყოს ურთიერთობები პლურალური საერთაშორისო სისტემის ჩარჩოებში, ან მოხდეს ერთიანი პოლიტიკური ურთიერთობების ჩამოყალიბება.

პოლიტიკური ინტეგრაციის პირობების ძირითადი არსი, მისი მთავარი ტენდენცია მიმართულია იქეთკენ, რომ იგი გამოვიდეს საგარეო პოლიტიკის უბრალო კორდინაციის ჩარჩოებიდან და თანდათან გადასცეს სუვერენიტეტი ახალ კომუნიტატურ სტრუქტურას. ინტეგრაციამ, როგორც სამართლებრივმა პროცესმა, რომელიც გამოხატავს ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთქმედებას ქვეყნების ჯგუფებს შორის, ბუნებრივია, შეიძლება სხვადასხვა ფორმები მიიღოს. **ეკონომიკური** ინტეგრაცია ხშირად გულისხმობს საბაჟო კავშირებს, შეთანხმებებს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ანდა თავისუფალ ბაზარს, რის შედეგადაც იქმნება ეკონომიკური მოღვაწეობის ლიბერალიზაციისათვის აუცილებელი პირობები და მიიღება რეგულირებისათვის საერთო წესები სხვადასხვა ეროვნული კანონების სანაცვლოდ. **პოლიტიკური** ინტეგრაცია შეიძლება გულისხმობდეს არა მხოლოდ ინსტიტუციონალური მექანიზმების ფორმირებასა და გადანყვეტილებათა მიღების პროცედურებს, არამედ ასევე თანმხვევი ფასეულობებისა და მიზნების ჩამოყალიბებას, უთანხმოებათა მშვიდობიან გადანყვეტასა და სოციალურ-პოლიტიკურ მჭიდრო დაკავშირებას.

საერთაშორისო თანამშრომლობის შესწავლა

დღეისათვის ინტეგრაციული პროცესების სამეცნიერო კვლევითი მუშაობა ძირითად ეყრდნობა იმ რეალურ პოლიტიკურ ინტეგრაციული პროცესების შეწავლას, რომელიც ბოლო ასწლეულია მიმდინარეობს მსოფლიოში.

მათგან აღსანიშნავია სამი ძირითადი თეორიული მიმართულება, ანუ სამი სამეცნიერო სკოლა ინტეგრაციული პროცესების შესწავალსთან დაკავშირებით:

1. ფუნქციონალიზმი და ნეოფუნქციონალიზმი;

2. ფედერალაზმი;

3. ტრანსნაციონალიზმი (პლურალისტური).

ფუნქციონალიზმი და ნეოფუნქციონალიზმი

ამ მიმართულების ჩამოყალიბება დაკავშირებულია ინგლისელ მკვლევართან დ. მიტერანთან. მან 1943 წელს გამოაქვეყნა სტატია „მშვიდობა და საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნქციური განვითარება“, სადაც მოგვცა ყველა წინასწარ არსებული პოლიტიკური ინტეგრაციის მოდელის შეფასებები. მისი აზრით, ერთა ლიგამ ვერ შეძლო ფუნქციონირება უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ მასში სახელმწიფოებმა დაინახეს საკუთრი სუვერენიტეტისათვის საფრთხე.

აზრი არ აქვს ომის შემდეგ, მშვიდობის მხარდაჭერისათვის იმ ამბიციური პროექტების შექმნას, რომელსაც ექნება ზენაციონალური ძალაუფლება და მონოდებული იქნება უზრუნველყოს სახელმწიფოთა პოლიტიკური ინტეგრაცია, ვინაიდან ომი ბუნებრივი მოვლენაა, თვლიან რეალისტები.

თუმცა ლიბერალები/პლურალისტები მიიჩნევენ, რომ გლობალურ საერთაშორისო ორგანიზაციას ძალუძს არამარტო დაძლიოს სუვერენიტეტის ცუდი შედეგები, არამედ, ასევე შეუძლია, უბრალოდ შექმნას გარანტიც სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობებისათვის. აუცილებელია სახელმწიფოთა თანამშროლობა იმ ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებიც წარმოადგენენ ერთობლივი ინტერესების სფეროს და დაკავშირებულია თითოეული მთგანის კონკრეტულ ეკონომიკურ, სოციალურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და ა.შ. მოთხოვნებთან.

მსგავსი თანამშრომლობისათვის პრაგმატული სიტუაცია სახელმწიფოებს თანდათან უზიძგებს საერთაშორისო ორგანოს შექმნის აუცილებლობას, რომელიც თავის მხრივ შექმნის პირობებს პოლიტიკური კორპორაციისათვის. ე.ი. **ფუნქციონალიზმი გვთავაზობს ფუნქციური თანამშრომლობიდან კორპორაციულ ურთიერთობებზე გადასვლას**, რაც დაგვირგვინდება საერთო მაკოორდინირებელი და ხელმძღვანელი ორგანოს ჩამოყალიბებით.

ფუნქციონალიზმი არა მარტო გვთავაზობს სხვადასხვა სფეროში სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის გაფართოებას, რომელიც შეიძლება წმინდა ტექნიკური ხასიათს ატარებდეს, არამედ იგი მასში ხედავს პოლიტიკური მიზნის მიღწევის გზას – სახელმწიფოთა ინტეგრაციის ბევრად უფრო ფართო ურთიერთობებს მათ მიერ სუვერენიტეტის თანდათანობით დათმობის გზით.

ახალი ეკონომიკური, სოციალური და ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტისათვის ფუნქციონალიზმი ეროვნულ სახელმწიფოებს განიხილავს როგორც ძალზედ მწირ საშულებას. მათი აზრით მსგავსი პრობლემები შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის სფუძველზე. ამიტომ სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობა უნდა შეიცვალოს იმგვარად, რომ „ვერტიკალურ“ ტერიტორიულ კარჩაკეტილობასთან ერთად უნდა შეიქმნას მოქმედი „ჰორიზონტალური“ სტრუქტურა, რომლის ადმინისტრაცია მონოდებული იქნება საერთაშორისო თანამშრომლობის კოორდინირებისათვის კონკრეტულ სფეროში. ეს კი საშულებას მისცემს სახელმწიფოებს თავიდან აიცილონ ეკონომიკური და სოციალური კონფლიქტები, რაც საბოლოოდ შექმნის იმ წინაპირობებს რომ სახელმწიფოებმა თანდათან Dდა უმტკივნეულოდ დათმონ სახელმწიფო სუვერენიტეტი.

ამრიგად, ევოლუციური გზით სახელმწიფოთშორის თანამშრომლობა იქნება უფრო მჭიდრო, ხოლო ურთიერთდამოკიდებულება მაღალი.

საერთაშორისო გარემო განიცდის გლობალურ ცვლილებებს, რომლის წყლობითაც ჯარისკაცების და დიპლომატების ადგილს იკავებს ადმინისტრატორები და ტექნიკური მუშაკები, კანცელარიებს შორის ურთიერთობები კი იცვლება ტექნიკურ ადმინისტრაციებს შორის პირდაპირი კონტაქტებით, ხოლო სუვერენიტეტის დაცვის სურვილი დაჩრდილა კონკრეტული საკითხების პრაგმატულმა გადაწყვეტამ.

პრაგმატიზმთან ერთად, ინტეგრაციული პროცესების ფუნქციური მიმართულება შეიცავს ნორმების შესამჩნევ ნაწილსაც. მაგ. ნათელია ფუნქციონალიზმის პრაქტიკული გავლენაც გაეროს შექმნა-განვითარებაზეც. კერძოდ, მის ინსტიტუტებზე, როგორცაა გაეროს სოციალურ-ეკონომიკური საბჭო, რომელმაც მიიღო მანდატი მოცემულ სფეროში სახელმწიფოთაშორის მოქმედების კოორდინირებისათვის. გაეროს ქარტიამი სწორედ მის ფუნქციონალურ ვალდებულებებს ეთმობა მნიშვნელოვანი ადგილი. გაეროს გენერალური ასამბლეა ქმნის ისეთ ინსტიტუტებს, როგორცაა გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და თანამშრომლობის, ინდუსტრიული განვითარების შესახებ და ა.შ. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ფუნქციონალიზმის პრაქტიკული მიდგომები საერთაშორისო ინტეგრაციის პრაქტიკაში ავლენს მის ნაკლსაც:

პირველი, მისი შედეგით საერთაშორისო საზოგადოება უფრო მეტად გახდა დეცენტრალიზებული, რაც განსაზღვრავს მისი ძალის დისპერსიას. ვებერთელა და მრავალრიცხოვანმა ტექნიკურმა ორგანიზაციებმა შექმნა კოორდინაციის ახალი პრობლემები. გარდა ამისა, გაჩნდა იმის საშიშროებაც, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტის მნიშვნელობის დაცემის

კვალდაკვალ გაიზარდოს სპეციალიზირებული ორგანიზაციების სუვერენიტეტის ხარისხი.

მეორე, აღმოჩნდა, რომ ფუნქციონალური თანამშრომლობით საერთაშორისო ინტეგრაცია პრაქტიკაში არ მიდის ავტომატურად „სუვერენიტეტის კვდომისაკენ“. უფრო მეტიც, ევროპულმა პროცესებმა აჩვენა, რომ სახელმწიფოებისათვის განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა სწორედ მათი პოლიტიკური და სამხედრო კომპეტენციების გადაცემა საერთო სტრუქტურისათვის.

მესამე, პოლიტიკური ხასიათის გამო საკუთრივ ფუნქციონალურ თანამშრომლობას სჭირდება განმტკიცება გარკვეული ღონისძიებებით.

ამ ხარვეზთა არსებობამ განაპირობა ფუნქციონალისტურ მიმართულებაში **ნეოფუნქციონალიზმის** (მიღვევრები ე. ხასი, ლინბერგი) ჩამოყალიბება, რომელიც შეეცადა აეხსნა აღნიშნული ნაკლოვანებები. ეს მიმართულება ავითარებს იდეას, რომლის თანახმადაც თანამშრომლობის მოქმედების მოთხოვნილება ეკონომიკურ, სოციალურ თუ კულტურულ სექტორში ინვესტს ჯაჭვურ რეაქციას სხვებთან მიმართებითაც, რასაც თავისთავად მიყვავართ სპეციალიზირებული ზეეროვნული ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობამდე, ამ მოქმედებათა კორდინაციის მიზნით, და ამდენად, პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებისაკენ.

ნეოფუნქციონალისტებიც ადსატურებენ ინტეგრაციის საფუძვლად მის სტრუქტურულ უზრუნველყოფას. ამავე დროს მიუთითებენ, რომ ფუნქციონალური ინტეგრაციის ლოგიკა ატრებს არა მექანიკურ, არამედ ნდობით ხასიათს, და თვით ეს პროცესი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე.

ფედერალიზმი

თუკი „ფუნქციონალიზმი“ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოთა შორის ინტეგრაციული პროცესების

განვითარებაში მნიშვნელობას ფუნქციურ ურთიერთობებს ანიჭებენ უპირატესობას ვიდრე პოლიტიკურ ინსტიტუტებს (მათ აძლევენ მეორეხარისხოვან მნიშვნელობას და მათ Fთვლიან როგორც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროცესების პარალელურ ქმედებას.) **ფედერალიზმი** (ა. ეტციონი, ა. სპინელი, კ. ფრიდრიხი, ჯ. ელერი და ა.შ.) პირიქით, **პოლიტიკურ ინსტიტუტებს განიხილავს ინტეგრაციის საფუძვლად.**

ფედერალიზმი — [სახელმწიფოს](#) მოწყობის ფორმა, რომლის დროს ქვეყნის ცალკეულ ნაწილებს მინიჭებული აქვთ შესამჩნევი თვითმმართველობა. ფედერალიზმის საწინააღმდეგო ცნებაა [უნიტარიზმი](#). უფრო ფართო გაგებით ფედერალიზმი ნიშნავს რაიმე ერთიანი სისტემის ისეთაირად ორგანიზებას, რომ ამ სისტემის ცალკეულ ნაწილებს შესამჩნევი თავისუფლება უნარჩუნდებათ.

ფედერალიზმი პოლიტიკური ცნებაა, რომლის ობიექტია თვითონ „გაერთიანება ან კავშირი“. ფედერალიზმი, როგორც სამართლებრივი ცნება, არის „ამ მისწრაფებათა პოზიტიურ-სამართლებრივი შედეგი, როდესაც უკვე ჩამოყალიბებულია ფედერალური კავშირი“. როგორც წესი, ფედერალიზმის დღემდე ჩამოყალიბებულ ცნებათა უმრავლესობა არსებითად იზღუდება დინამიკური და სტატიკური კომპონენტებიდან მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტის ანალიზით ან ახდენს რომელიმე მათგანის აბსოლუტიზაციას. ნფედერალიზმის ცნება პირველად საერთაშორისო სამართლისა და სახელმწიფო სამართლის სფეროში იქნა გამოყენებული, მაგრამ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, ფედერალიზმი განიხილება ადამიანთა მთელი საზოგადოების მომცველი უნივერსალური სოციალურფილოსოფიური სისტემის თვალსაზრისითაც. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ფედერალიზმი განიხილებოდა როგორც ისტორიულ-სოციოლოგიური რეალობა.

ფედერაციული სახელმწიფო შედგება რამდენიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისაგან, რომლებიც გარკვეული პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვითმართველობით სარგებლობენ. მათ აქვთ საკუთარი კონსტიტუცია, საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ორგანოები და სხვა სახელმწიფოებრივი ატრიბუტები. თავიანთ შემადგენლობაში არსებულ წარმონაქმნებს მოიხსენიებენ როგორც ფედერაციის ობიექტებს. მაგ. შტატები, მიწები, პროვინციები.

საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი პრობლემად და კონფლიქტის მიზეზად ფედერალისტები მიჩნევენ სუვერენიტეტების დეცენტრალიზაციას - მრავალფეროვანი დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოების არსებობას, რომლებიც თავს ვერ აღწევენ ურთიერთუნდობლობას, საფრთხეებს, დაპირისპირებას და ძალადობას.

ფედერალისტები გამოდიან საერთაშორისო ურთიერთობებში ანარქიის წინააღმდეგ და გვთავაზობენ ისეთ რეგულაციურ გადაწყვეტას, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო სისტემის საფუძვლებისათვის ძირის გამოთხრას. კერძოდ: ეროვნულ დამოუკიდებლობაზე უარის თქმა და სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულების ერთად გაერთიანება.

ფედერალისტების აზრით კონფლიქტების ინსტიტუციონალური გადაწყვეტისათვის მხარეებმა ფედერაციას უნდა გადასცენ მონოპოლია ძალების გამოყენებაზე, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს შეიარაღებული ძალების ფორმირებაზე უპირატეს უფლებას, იმისათვის რომ ზენაციონალურმა მთავრობამ შეძლოს ევროპულ ქვეყნებს შორის ურთიერთობების ისე რეგულირება, როგორც ეროვნული მთავრობა არეგულირებს საკუთარ მოქალაქეებს შორის ურთიერთობებს სახელმწიფოს შიგნით.

ფედერალისტების შეხედულებებით შეიძლება აიხსნას თუ რატომ უნდა დადონე სახელმწიფოებმა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, მაგრამ შეუძლებელია მარტივად გავიგოთ ის თუ სახელმწიფოებმა რატომ უნდა დაუშვან ნებაყოფლობით საკუთარი სუვერენიტეტის შეზღუდვა ყველაზე უფრო მგრძობიარე სფეროში.

ფედერალისტები, ფედერალიზმს განიხილავენ როგორც **ნებაყოფილობით უარის თქმას ცენტრალიზმზე და სხვადასხვა ცენტრებს შორის რწმუნებების დისპერსიის სტრუქტურულულად გაფორმებას**, რომელთა კანონიერი უფლებამოსილება გარანტირებულია კონსტიტუციით.

საერთაშორისო ინტეგრაცია, ფედერალიზმის ჩარჩოებში განიხილება სახელმწიფოების „შიდა რეჟიმების“ ანალოგიურად, რომლებიც მოწყობილნი არიან ფედერალურ პრინციპზე.

ფედერალიზმი, დასაბუთებულად ამტკიცებს იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს საერთაშორისო ინტეგრაციისათვის მის **მონაწილეთა პოლიტიკურ ნებას**. ასევე **რწმუნებათა განაწილების როლს** სხვადასხვა დონეებს შორის. მათ **ფრაგმენტაციას**, როგორც გარანტს ცენტრის მხრიდან თავისი ხელისუფლების შესაძლო ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.

სხვათაშორის ევროპის ინტეგრაციის პროცესი ბევრ საერთო ნიშანს ავლენს „ფედერალიზმის“ მიმართულებასთან. მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს იგი ევროპული ინტეგრაციის კონცეპტუალურ ბაზას წარმოადგენს. ამ პროცესის დაწყებისათვის თეორიულად შესაძლებელი იყო სამი გზა:

1. ბევრად უფრო ტრადიციული – სახელმწიფოებს შორის **კავშირების ან ასოციაციების ფარგლებში თანამშრომლობით**;
2. ბევრად უფრო გაბედული – ფედერაცია, რომელიც დაეფუძნებოდა მთელ რიგ მიმართულებებში **ზეეროვნულ პოლიტიკურ ხელისუფლებას**;

3. ბევრად უფრო ორიგინალური – **ფუნქციონალური ინტეგრაცია**, რომელიც სპეციალიზირებული ინსტიტუტების ჩარჩოებში იძლევა ერთიანი მოქმედების შესაძლებლობას.

პრაქტიკაში პირველი გზა აღმოჩნდა აუცილებელი და სასრგებლო, მაგრამ არასაკმარისი; მეორე – განუხორცილებელი. ამიტომ ინტეგრაციის პროცესი წავიდა ფუნქციონალური მოდელის გზით, რომელიც საშუალებას იძლევა უბრალო თანამშრომლობის ფარგლებში შესვლას და პირობების მომზადებას შესაძლო ფედერაციისათვის.

ამრიგად, საერთაშორისო ინტეგრაციის ფედერალისტური მოდელისა ერთ ერთ მთავრ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მისი მთელი მიზიდველობის პირობებშიც კი მას აქვს წარმატების ნაკლები შანსი, ვიდრე ფუნქციონალისტურ მოდელს, რამდენადაც მასში უფრო მაღალია **ნორმების ყველა ელემენტის ხვედრითი წილი**.

ამიტომ, ზემოთ განხილულ სხვა კოცეფციების ნაკლთა გათვალისწინებით, საერთაშორისო ინტეგრაციის რეალური პროცესი შეიძლება გავიგოთ მხოლოდ თითოეული მთავანის უპირატესობების კომპლექსური გაგების საფუძველზე. არსით, სწორედ საქმე ეხება „პლურალისტურ“ კონცეფციას, რომელიც ჩამოაყალიბა კ. დოიჩმა.

ტრანსნაციონალიზმი (პლურალისტური)

ტერმინი წარმოიქმნა ზედსართავიდან ტრანსნაციონალური, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით ერსმილიერს (სახელმწიფოსმილიერს) ნიშნავს. საერთაშორისო ურთიერთობებში ტ-ის ცნება გულისხმობს როგორც ურთიერთობებს სხელმწიფოებს (ერებს) შორის, ისე სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებს შორის. უკანასკნელ ნლებში **ტრანსნაციონალიზმი**ში უფრო ხშირად იგულისხმება გლობალიზაციის შედეგი, როცა სახელმწიფოებისა და ერების

როლი განუხრელად მცირდება როგორც ურთიერთობებში, ისე ორგანიზაციებში. ყველა შემთხვევაში **ტრანსნაციონალიზმი** აღნიშნავს ეროვნულ (სახელმწიფო) საზღვრებს მიღმიერ ურთიერთობებს. ტრანსნაციონალური კავშირი გულისხმობს მოძრაობის სამ სახეს: ა) ფიზიკური ობიექტების (მათ შორის მოსახლეობის) მოძრაობას; ბ) ინფორმაციისა და იდეების მოძრაობას; გ) ფულისა და კრედიტების მოძრაობას. ტრანსნაციონალური კავშირის გააქტიურებამ და ტრანსნაციონალური ორგანიზაციების რიცხვის ზრდამ მნიშვნელოვნად გაზარდა არასახელმწიფოებრივი აქტორების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში და საგრძნობლად შეასუსტა სახელმწიფოცენტრიზმი.

მათი აზრით სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო აქტორი თმობს თავის მონოპოლიას. სახელმწიფოს გარდა საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობას ღებულობენ ინდივიდები, წარმოებები, ორგანიზაციები და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და გაერთიანებები. ასევე, მრავლმხვრივი მონაწილეები, სახეები (კულტურული და სამეცნიერო თანმშრომლობა, ეკონომიკური გაცვლები და სხვა) და „არხები“ (პარტნიორული კავშირები უნივერსიტეტებს შორის, რელიგიური ორგანიზაციები, ასოციაციები და აშ) ურთიერთობენ ერთმანეთთან, რითაც ფაქტობრივად დევნიან სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრიდან, ხელს უწყობენ ასეთი ურთიერთობების ტრანსფორმაციას „ინტერნაციონალურიდან“ (სახელმწიფოთაშორის) „ტრანსნაციონალურად (სახელმწიფო მონაწილეების გარეშე).

ამ კონცეფციის ჩარჩოებში **ინტეგრაციის პროცესი განიხილება გადამცემი საკომუნიკაციო ქსელების სახით, რომელიც ახდენს ინფორმაციის გაცვლას, და რითაც ხელს**

უნყოფს განსაზღვრული ფუნქციების შესრულებას და გამოცდილების დაგროვებას.

საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის **პლურალისტული** ტრადიცია მოიცავს არა მხოლოდ ეროვნულ სახელმწიფოებს, არამედ სხვადასხვა სახის აქტორებსაც, რომლებიც ჩართულნი არიან პოლიტიკურ მოღვაწეობაში. ამ ტრადიციის მიხედვით, კარლ დოიჩი ამტკიცებს, რომ კომუნიკაციების და ურთიერთქმედების (ტრანსაქციის) ზრდამ სხვადასხვა აქტორებს შორის შეუძლია გაამყაროს ტრანსნაციონალური პოლიტიკური საზოგადოების კავშირები (ინტეგრაცია) და გამოიწვიოს **„უსაფრთხოების საზოგადოების“** შექმნა, რომლის საფუძველს წარმოადგენს მშვიდობიანი თანამშრომლობისა და ურთიერთობის სურვილი. კ. დოიჩი ანალიზს უკეთებს პოლიტიკური გაერთიანების ორ ტიპს, რომელთაგან თითოეულს შეესაბამება ინტეგრაციის თავისი განსაკუთრებული პროცესი – „ამალგამიური“) და „პლურალისტური“. პირველში, შესაბამის ფორმაში შერწყმით, მოიაზრება ორი ან რამდენიმე თვითმყოფადი პოლიტიკური ერთეულის ბევრად უფრო ფართო გაერთიანება; საერთო მართვის განსაზღვრულ ტიპთან მიმართებით. მეორეში – კი ინტეგრაციის პროცესში მყოფი ერთეულები ინარჩუნებენ თავიანთ პოლიტიკურ თვითმყოფადობას.

ამგვარ პირობებში ამალგამიური ინტეგრაცია მთლიანობაში საჭიროებს პოლიტიკური და სოციოკულტურული ხასიათის სხვადასხვა პირობების კომპლექსს, რომელთა შორის აუცილებელია: ინტეგრაციული მოსახელობის მიმხრობას ერთი და იმავე ფასეულობებისადმი; ინტეგრაციიდან მოსალოდნელი შედეგის დადასტურება; ერთიმეორეზე საკმარისი ინფორმაციის მიღება და შესაბამის ქცევის გათვლა.

ინტეგრაციულ პროცესს აუცილებლად უნდა ახლდეს მოსახლეობის ლოიალური დამოკიდებულება წარმოქმნილი ახალი პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი, ღრმა გააზრება საკუთარი ერთობის. ასევე პოლიტიკურ არენაზე ხელმძღვანელობის ახალი გენერატორის გამოსვლა. რა თქმა უნდა ჯამში უნდა ჩამოყალიბდეს ცხოვრების ერთიანი სახე, რომელიც დაეფუძნება „ამალგამური“ ინტეგრაციის სახეს.

ინტეგრაციის „პლურალისტური“ ტიპის რეალიზაცია არ მოითხოვს ესოდენ ფართო და მკაცრ პირობებს. ინტეგრაციული ერთეულების სოციოკულტურული ფასეულობების საფუძვლები უბრალოდ არ უნდა იყოს წინააღმდეგობრივი; ქცევის განჭვრეტა ეხება მხოლოდ საერთო ინტერესების შეზღუდულ სფეროებს; აგრეთვე, მოითხოვს პოლიტიკური ელიტის ადექვატურ რეაქციას დაინტერესებული მთვრობების და მოსახლეობის სიგნალებსა და მოქმედებებზე. გარდა ამისა, ინტეგრაციის წარმატებას ხელს უწყობს გამაერთიანებელი იდეის აღქმა ინტელექტუალური წრეებისა და პოლიტიკური მოძრაობების მიერ, როგორც კომუნიკაციური ქსელის და ყოვლემხვრივი ურთიერთობების მუდმივი განვითარება. პლურალიზმის მომხრეები თვლიან, რომ „ევროპული ინტეგრაციის პლურალისტურ ვერსიას ბევრად უფრო საიმედო მომავალი აქვს, ვიდრე „ამალგამიურს“.

ამრიგად, მიუხედავად ინტეგრაციული პროცესების შესახებ განსხვავებული თეორიული შეხედულებების არსებობისა, ეს პროცესი მართლაც დაკავშირებულია გარკვეულ პრობლემებთან და სირთულეებთან, თუმცა თანამედროვე მსოფლიო ინტეგრაციული პროცესები აშკარად მეტყველებს ამ პროცესის შეუქცევად ხასიათზე. როგორ განხორციელდება, რა ფორმით, ინტეგრაციული პროცესები ეს დამოკიდებული იქნება კონკრეტული პოლიტიკური ერთეულების განვითარების დონეზე, მსოფლიოში არსებულ ვითრებასა და ცალკეული პოლიტიკური

ერთეულების პოლიტიკურ ნებაზე. ისიც ცხადია, რომ ეს პრობლემა მოკლე დროში ბოლომდე ვერ გადაიჭრება და მოთხოვს ხანგრძლივ პერიოდს.

თემა IX

საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირების სამართლებრივი პრობლემა

საერთაშორისო არენაზე ურთიერთმოქმედი სხვადასხვა სოციალური გაერთიანებები, ყოველთვის დაინტერესებულნი იყვნენ, რომ სახელმწიფოებსა და მოქალაქეებს შორის კულტურული და ეკონომიკური გაცვლები, პოლიტიკური და სოციალური პროცესები, რომლებიც სცილდებოდნენ სახელმწიფოთაშორისო საზღვრებს, მათ შორის კონფლიქტებიც და ომებიც, განხორციელებულიყო რეგულირების განსაზღვრული, დაშვებული წესების შესაბამისად. საერთაშორისო ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების პრობლემამ განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა თანამედროვე ეტაპზე. ვინაიდან თანამედროვე მსოფლიოს ურთიერთდამოკიდებულების ხარისხი მკვეთრად გაიზარდა კაცობრიობის ცივილიზაციის გლობალურ გამოწვევების – ეკოლოგიის, დემოგრაფიის, ეკონომიკის, პოლიტიკის, ტერორიზმის და მასობრივი განადგურების იარაღის არსებობის და შესაძლო გამოყენების პრობლემატიკის გამო.

საზოგადოებრივი ურთიერთობების სოციალური რეგულატორის საფუძვლები, რომლებიც კაცობრიობის მიერ შემუშავდა ისტორიული განვითარების მანძილზე იყო სამართლებრივი და მორალური ნორმები. მათ საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში აქვთ არსებითი თავისებურები და უპირატესობები. ამავე დროს იგი ხასიათდება სირთულით, და სამეცნიერო ლიტერატურაში იწვევს არაერთგვაროვან შეფასებებს.

სამართლიანად აღნიშნავს მკვლევართა ერთი ჯგუფი მსოფლიოში სამართლებრივი ცნობიერების დონის ზრდას, ასევე ფუნქციონირებადი და განვითარებადი საერთაშორისო სამართლის პროცესში ეთიკური როლის ზრდასაც. მაგრამ მკვლევართა მეორე ჯგუფი, პირიქით, და არც თუ უსაფუძვლოდ, მიუთითებს იმაზე, რომ, როგორც საერთაშორისო მორალი, ასევე საერთაშორისო სამართალი შედარებით ნაკლებად დაწინაურდა თავისი გავლენით სახელმწიფოებისა და ხალხების

ურთიერთობის ხასიათზე, და ამიტომ იგი არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ეფექტური რეგულატორი ასეთი ურთიერთობისათვის.

საერთაშორისო სამართალი წარმოადგენს ნორმებისა და პრინციპების ერთობლიობას, რომლის თანახმად ხდება სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების რეგლამენტირება. იგი მიიღება სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ურთიერთშეთანხმებების საფუძველზე. საერთაშორისო სამართლის მიზანს წარმოადგენს ნაციონალურ კანონმდებლობათა შეხამება ერთიანი საერთაშორისო სამართლის ნორმების შესამუშავებლად. საერთაშორისო სამართლის ქვესახეობას წარმოადგენს საერთაშორისო საზღვაო სამართალი, საერთაშორისო საჰაერო სამართალი, საერთაშორისო სამართალი კოსმოსური სივრცის გამოყენების თაობაზე, ადამიანის უფლებები, საერთაშორისო ეკონომიკური სამართალი, საერთაშორისო გარემოს დაცვის სამართალი.

საერთაშორისო სამართლის ცნება პირველად ჯერემი ბენტჰემმა 1780 წელს ნიგნში „შესავალი მორალისა და წარმომადგენლობის პრინციპებში“ გამოიყენა. დაახლოებით 1840 წლიდან ამ ცნებამ ინგლისურ და რომანულ ენებში ძველი ტერმინი „ხალხთა სამართალი“ ჩაანაცვლა (ფრანგ. *droit de gens*) ცნება „ხალხთა სამართალი“ ძალიან ძველია და რომაულ ეპოქას უკავშირდება. რომაელები საერთაშორისო ურთიერთობებში *ius gentium*-ის პრინციპით ხელმძღვანელობდნენ (შემონახულია ციცერონის ნაწერებში). გერმანულ, დანიურ, სკანდინავიურ და ზოგიერთ სლავურ ენებში ისევ ძველი ცნება „ხალხთა სამართალი“ გამოიყენება.

პირველსა და მეორე მსოფლიო ომს შუა მოღვაწე მკვლევარებს საერთაშორისო სამართლის დეფინიციასთან დაკავშირებით პრობლემა არ შექმნათ. აზრთა სხვადასხაობის მიუხედავად ისინი თანხმდებობნენ, რომ საერთაშორისო სამართალი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის დარეგულირების საშუალებაა. პოზიტივისტთა დომინანტური დოქტრინის თანახმად საერთაშორისო სამართლის ერთადერთი სუბიექტი სახელმწიფო იყო.

თუმცა ეს მოსაზრება მაშინაც არ შეესაბამებოდა სიმართლეს. უკვე მაშინაც არსებობდა მცირე რაოდენობის საერთაშორისო სამართლებრივი წარმონაქმნები, რომელთაც სახელმწიფოს სტატუსი არ ჰქონდათ. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საერთაშორისო არენაზე გამოჩნდა უამრავი სახელმწიფოთაშორისო ორგანიზაცია, კერძო პირების მიერ დაარსებული რამდენიმე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია, ბევრი მრავალეროვნული კონცერნი, ეთნიკური უმცირესობები, რომელთაც საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტის სტატუსი მიიღეს.

საერთაშორისო სამართლის ცნების მუდმივ განვითარებაზე ამერიკის სამართლის ინსტიტუტის „საერთაშორისო სამართლის“ დეფინიცია (მესამე შესწორება) მიუთითებს, რომელშიც საერთაშორისო სამართლის სუბიექტებად განიხილება, როგორც სუვერენული სახელმწიფოები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები და (შეზღუდული უფლებებით) კერძო და იურიდიული პირები.

განარჩევნ საერთაშორისო საჯარო სამართალსა და საერთაშორისო კერძო სამართალს. საერთაშორისო კერძო სამართალი არეგულირებს ინდივიდების უფლებებსა და მოვალეობებს თავისი სახელმწიფოს გარეთ (სხვა ქვეყნებში და საერთაშორისო არენაზე). საერთაშორისო საჯარო სამართალი განისაზღვრება როგორც სახელმწიფოთაშორის ურთიერთობათა სფეროში მოქმედი ქცევის იმ ნესების ერთობლიობა, რომლებიც სახელმწიფოთა და საერთაშორისო სამართლის სხვა სუბიექტთა მიერ აღიარებულია იურიდიულად სავალდებულო ნორმებად და გამოხატავს სუბიექტთა საერთო ინტერესებს. ეს ნორმები თავს იჩენს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა თუ ჩვეულებებში და მათ შესრულებას უზრუნველყოფენ სუბიექტები ინდივიდუალურად ან კოლექტიურად.

საერთაშორისო სამართალს ისტორიულად სახელმწიფოები ქმნიდნენ. XX ს-ის მეორე ნახევარში საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტუნარიანობა მიენიჭა საერთაშორისო ორგანიზაციებს, თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხებს; სახელმწიფოს მაგვარ წარმონაქმნს (მაგ., ვატიკანი 1929 წლიდან). საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიან სუბიექტად დღესაც მხოლოდ სუვერენული სახელმწიფო

ითვლება. სწორედ სახელმწიფოები ქმნიან და იცავენ საყოველთაო საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბებულ საერთაშორისო მართლწესრიგს.

შიდასახელმწიფოებრივი სამართლისაგან საერთაშორისო სამართლი მრავალი თავისებურებით განსხვავდება:

ა) ფიზიკური პირი, რომელიც შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ძირითადი სუბიექტია, არ მონაწილეობს საერთაშორისო სამართლებრივ ურთიერთობებში;

ბ) საერთაშორისო სამართლი. არეგულირებს მთავრობათშორის ურთიერთობებს, ე.ი. იმ ურთიერთობებს, რომლებშიც სახელმწიფოები მონაწილეობენ როგორც უზენაესი სუვერენული ხელისუფლების მქონე ერთეულები. სახელმწიფოში მოქმედი სხვა ელემენტები - პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები - მოკლებული არიან საერთაშორისო-სამართლებრივ სუბიექტუნარიანობას, რაც არ გამოორიციხავს მათ აქტიურ მონაწილეობას საერთაშორისო არასამთავრობოთაშორის ურთიერთობებში;

გ) საერთაშორისო სამართლის ნორმებს სახელმწიფოები და სხვა სუბიექტები ურთიერთშეთანხმებით ქმნიან. არ არსებობს ცენტრალიზებული, სახელმწიფოებზე მაღლა მდგომი საკანონმდებლო ორგანო;

დ) სახელმწიფოები თუ სხვა სუბიექტები იცავენ იმ ნორმებს, რომლებიც თვითონვე დაანესეს და რომელთაგან უმთავრესია შემდეგი - დაზარალებული სახელმწიფო უფლებამოსილია თავისი ძალებით ან სხვა სახელმწიფოებისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით დაიცვას შელახული უფლებები.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალს საყოველთაო ხასიათი აქვს, იგი დედამიწის ზურგზე არსებულ ყველა კონტინენტის ყველა სუვერენულ სახელმწიფოს მოიცავს. ეს შესაძლებელი გახდა მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კაპიტალისტური და სოციალისტური კოლონიური სისტემების მსხვრევისა და საერთაშორისო მართლწესრიგის დემოკრატიულ საწყისებზე გადაყვანის შედეგად. საერთაშორისო სამართლის რეგულაციის სფერო დღითი დღე იზრდება, რაც თავის მხრივ, განაპირობებს საერთაშორისო სამართლის დარგების

ჩამოყალიბებას, როგორცაა: დიპლომატიური და საკონსულო სამართალი, საზღვაო სამართალი, საჰაერო სამართალი, კოსმოსური სამართალი, საერთაშორისო სახელმწიკრულებო სამართალი, საერთაშორისო ორგანიზაციების სამართალი; განსაკუთრებული აქცენტი გადატანილია ადამიანის უფლებათა დაცვაზე, რაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარგებზე ჩამოყალიბდა.

საერთაშორისო სამართლის წყაროები

თანამედროვე საერთაშორისო სამართალში არსებობს ორი ძირითადი წყარო - საერთაშორისო ხელმწიკრულება და საერთაშორისო ჩვეულება. მნიშვნელოვან როლს ასრულებენ, აგრეთვე, სამართლის ზოგადი პრინციპები.

გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სტატუსის თანახმად (38-ე მუხ.), სასამართლო, რომელიც მოვალეა, მისთვის გადაცემული დავა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე გადაწყვიტოს, გამოიყენებს:

ა) როგორც ზოგად, ისე სპეციალურ საერთაშორისო კონვენციებს, რომლებიც ადგენენ მოდავე სახელმწიფოთა მიერ აღიარებულ წესებს;

ბ) საერთაშორისო ჩვეულებას, როგორც სამართლებრივ ნორმად აღიარებული საყოველთაო პრაქტიკის დადასტურებას;

გ) სამართლის ზოგად პრინციპებს, რომლებიც აღიარებულია ცივილიზებული სახელმწიფოების მიერ.

მთავრობათაშორისი ორგანიზაციების საერთაშორისო აქტები (მაგ., გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაციები, სხვა რეზოლუციები), თუ ისინი არ ეხებიან ორგანიზაციის შინაგან წესებს (სტრუქტურას, ბიუჯეტს, წესდებით გათვალისწინებულ სავალდებულო სხვა მსგავს სფეროს), არ ითვლებიან საყოველთაო საერთაშორისო სამართლის წყაროდ: ასეთ აქტებს მხოლოდ მორალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ და იურიდიულად სავალდებულო ქცევის წესად გახდომა შეუძლიათ მხოლოდ საერთაშორისო ხელმწიკრულებისა ან საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმის საშუალებით (მაგ.: რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ 1963

ნლის დეკლარაციას იურიდიული სახე მიეცა 1969 წლის ამავე სახელწოდების კონვენციის მიღების შემდეგ; გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია საყოველთაო საერთაშორისო სამართლის აქტად იქცა საერთაშორისო სამართლებრივი ჩვეულების სახით - სახელმწიფოთა უმრავლესობამ აღიარა მისი სავალდებულო ძალა თავის კანონმდებლობაში სათანადო დებულებათა შეტანით, რაც წინ უსწრებდა ამ დეკლარაციაზე დაყრდნობით ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტების შემუშავებასა და ძალაში შესვლას 1976 წელს). ამ სახის გადანყვეტილებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო სამართლის ნორმათა ჩამოყალიბების პროცესში: მათი ზემოქმედებით სუბიექტები იძულებულნი ხდებიან, გაითვალისწინონ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის განწყობილება და იხელმძღვანელონ სათანადო მორალურ-პოლიტიკური პრინციპებით, თუმცა იციან, რომ ამ პრინციპების დარღვევის შემთხვევაში მათ არ დაეკისრებათ საერთაშორისოსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ბოლო დროს ზოგიერთ რეგიონალურ საერთაშორისო ორგანიზაციაში (მაგ., ევროპის კავშირში) ნორმაშემოქმედებით საქმიანობას სავალდებულო ძალა ეძლევა მათი წევრი სახელმწიფოების მიმართ, რაც მათ ზენაციონალური ორგანიზაციის ელემენტს მატებს. თავისთავად არც შიდასახელმწიფოებრივი კანონი მიეკუთვნება საერთაშორისო სამართლის წყაროთა რიცხვს: ეს კანონი მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდება ასეთ წყაროდ, თუ იგი სხვა სუბიექტისა ან სუბიექტების მიერ აღიარებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით ან ჩვეულებით (იხ. აგრეთვე ცალმხრივი აქტები). ასევე სასამართლო პრეცედენტები და მეცნიერთა დოქტრინა, ანუ მათი შრომები, დასკვნები, გამოკვლევები გვევლინება მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ამა თუ იმ ნორმის არსებობის ფაქტის დადგენის დამხმარე წყაროდ, რომელსაც საერთაშორისო სამართლის ძირითადი წყაროების შემუშავების ან საერთაშორისო დავების გადანყვეტის დროს იყენებენ.

საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები

საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძვლებში მოიაზრება მისი ბევრად უფრო ფართო და საჭირო ნორმები, რომლებშიც ვლინდება მისი მთავარი შინაარსი და თავისებურებების ხასიათი. იგი ფლობს უმაღლეს იმპერატიულ იურიდიულ ძალას. თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპები მოცემულია მთელ რიგ ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციების და ფორუმების დოკუმენტებში. კერძოდ, გაეროს წესდება, 1970 წელს მიღებული დეკლარაცია საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესახებ, 1975 წლის ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის თათბირის დასკვნითი აქტი.

საერთაშორისო სამართლის პრინციპებია საერთაშორისო სამართლის სუბიექტთა მიერ ძირითადად, სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ყველა ან თითქმის ყველა წევრის მიერ აღიარებული იურიდიული სავალდებულო ქცევის წესები, რომლებიც სავალდებულოა ყველა საერთაშორისო სამართლის სუბიექტისათვის, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდა ის ნორმის შექმნაში თუ არა.

როგორც წესი საერთაშორისო აქტებში საქმე ეხება შემდეგ ათ პრინციპს:

1. სახელმწიფოების სუვერენული თანასწორობა;
2. ძალისა და ძალის მუქარის გამოყენებლობა;
3. საზღვრების ურღვეობა;
4. სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა;
5. დავების მშვიდობიანი მოწესრიგება;
6. შიდა საქმეებში ჩაურევლობა;
7. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების პატივისცემა და დაცვა;
8. ნებისმიერ ხალხს უფლება თვითონ განკარგოს და გადაწყვიტოს საკუთრი ბედი;
9. სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა;
10. საერთაშორისო სამართლის ვალდებულებათა ნებაყოფლობითი აღსრულება.

ამ პრინციპების ფუნქციური დანიშნულებაა ხელი შეუწყოს საერთაშორისო ურთიერთობის საფუძვლების განმტკიცებას და დაცვას,

მის პროდუქტიულ ფუნქციონირებას და განვითარებას. აგრეთვე, უზრუნველყოს საერთაშორისო თანამშრომლობა საერთოსაკაცობრიო ინტერესებისა და ფასეულობების – მშვიდობისა და უსაფრთხოების, ცხოვრებისა და სიჯანსაღის, რეალიზაცია-დაცვის საქმეში.

საერთაშორისო სამართლის ძირითად პრინციპებში, რომლებიც ისტორიულ ხასიათსაც ატარებს, საერთაშორისო ურთიერთობების არსებული ეტაპებისა და შემადგენლობის მიხედვით, თავს იყრის სახელმწიფოს ძირითადი უფლებები და ვალდებულებები. საერთაშორისო ურთიერთობათა რეგულირების საქმეში მათი მნიშვნელობისა და როლის აბსოლუტიზირება არ შეიძლება. როგორც პრაქტიკამ აჩვენა ეს პრინციპები ხშირად იგნორირებულია, და არც მეტი არც ნაკლები, რჩება კეთილ სურვილებად. თუმცა, ისიც შეცდომად შეიძლება ჩაითვალოს თუ ხელაღებით ვუარყოფთ აღნიშნული პრინციპების გავლენას სახელმწიფოთშორის ურთიერთობების ხასიათზე.

საერთაშორისო სამართლის პრინციპების სიტყმაში მკვლევარები ძირითადად გამოყოფენ სამ ჯგუფს.

1. პრინციპები, რომლებიც აყალიბებენ მდგომარეობას საერთაშორისო სამართლის სუბიექტების თანასწორობის შესახებ;

2. პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ სახელმწიფოების დამოუკიდებლობის ხარისხს;

3. პრინციპები, რომლებიც მიმართულია სახელმწიფოთშორის წინააღმდეგობების მშვიდობიანი რეგულირებისაკენ.

პირველ ჯგუფში შედიან ის ნორმები, რომლებშიც მოცემულია ერთ ერთი ძველი და ფუნდამენტური იდეა, და რომელიც ეხება, სახელმწიფოთა ურთიერთობების საერთაშორისო-სამართლებრივ რეგულირებას. გაეროს ქარტიაში იგი ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით : „...ორგანიზაცია დაფუძნებულია მისი ყველა წევრის სუვერენული თანასწორობის პრინციპზე“. ეს პრინციპი შემდეგ დებულებებში ვლინდება: ხალხთა უფლება თვითონ განკარგონ საკუთრი ბედი; სახელმწიფოთა შორის თამანშრომლობა; საერთაშორისო სამართლის ვალდებულებათა ნებაყოფლობით აღსრულება. ასევე მან მიიღო შემდეგი განვითარება იმუნიტეტის, ურთიერთპატივისცემის და არადისკრიმინაციის პრინციპებში. ამათგან პირველის თანახმად

სახელმწიფო შეუძლებელია დაემორჩილოს ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს კანონმდებლობას (იურისდიქციის იმუნიტეტი); მისი წარმომადგენლები ფლობენ ხელშეუხებლობის უფლებას მეორე სახელმწიფოს ტერიტორიაზე (დიპლომატიური იმუნიტეტი). ხოლო მეორესთან მიმართებით იგი გამიზნულია საერთაშორისო სამართლის სუბიექტების პრაგმატული ქცევისათვის: საუბარია ურთიერთობების კონკრეტულ მიმართულებებში მოვალეობა-ვალდებულების თანასწორობის შესახებ. მაგალითად, სავაჭრო და კულტურულ გაცველებში და ა.შ. და ბოლოს, მესამესთან მიმართებით საუბარია ე.წ. ნეგატიური ვალდებულებების შესახებ, როცა საერთაშორისო სამართლის ერთი სუბიექტისათვის აღიარებული უფლება და სარგებელი აუცილებლად უნდა იყოს გარანტირებული სხვებისთვისაც.

მეორე ჯგუფი მოიცავს ისეთ პრინციპებს როგორც არის ჩაურევლობა, საზღვრების ურღვეობა, ტერიტორიული მთლიანობა. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული პრინციპები არც თუ ხშირად ირღვევა, ვიდრე პირველი ჯგუფის. ასევე შეიძლება პირდაპირ ითქვას მესამე ჯგუფის პრინციპებზეც (ძალის ან ძალის მუქარის გამოუყენებლობა, დავების მშვიდობიანი მოწესრიგება, ადამიანის უფლებების დაცვა).

საერთაშორისო სამართლის ერთ ერთ ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს ადამიანის თავისუფლებისა და უფლებების დაცვის პრინციპი. ეს პრინციპი უკანსკნელ ათწლეულებში დამოუკიდებელ თემად გადაიქცა (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია მიიღეს 1948 წელს) და მზარდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ურთიერთობებზე. სწორედ ამის გამო, ეს თემა დარჩა ერთ ერთ ყველაზე იდეოლოგიზირებული ხანგრძლივი დროის მანძილზე, რომელიც გამოიყენებოდა როგორც კონკრეტული იარაღი დასავლეთის და აღმოსავლეთის კონფრონტაციაში. გარდა ამისა, ის დღესაც რჩება ერთ ერთ აქტუალურ თემად საერთაშორისო ურთიერთობებში და ხშირ შემთხვევაში ავლენს წინამძღმდეგობებსაც და ორაზროვნებასაც. რაც მთლიანობაში დამახასიათებელია საერთაშორისო სამართალში.

ომის შემდეგ, სწორედ ევროპაში შემუშავდა და აპრობაცია გაიარა იმ იურიდიულმა ნორმებმა, რომლებიც ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებას ეხება.

მაგალითად, 1949 წელს შექმნილ ევროპის საბჭოს ფარგლებში, 1950 წლის 4 ნოემბერს მიიღეს ევროპის კონვენცია ადამიანის უფლებების შესახებ. ეს სისტემა კონკრეტულ ინდივიდებს უფლებას აძლევდა შეეტანა შესაბამისი სარჩელი და შუამდგომლობა ამა თუ იმ სახელმწიფო ორგანოების წინააღმდეგ, ხოლო პროტოკოლზე ხელისმომწერი ქვეყნის მოქალაქეებს უფლებას უშუალოდ მიემართათ ადამიანის უფლებათა კომისიისათვის. კომისია, რომელიც შედგება დამოუკიდებელი პიროვნებებისაგან, აფსებს ასეთ სარჩელის დასაბუთებულობას და შემდეგ გადასცემს ევროპის სასამართლოს ადამიანთა უფლებების შესახებ. ამ მიმართულებით კომისიამ 1972 წელს მიიღო 63 გადაწყვეტილება, ხოლო 1982 წელს 146. უკანასკნელ ხანს ასეთი საქმის რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა. აქედან გამომდინარე, უკვე ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქე, კონკრეტული ადამიანი გახდა საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტი. მთელ ამ სისტემში ფასეულობების ცენტრში ადამიანის პიროვნებაა. თუმცა აქაც იჩენს თავს გარკვეული წინააღმდეგობები.

რა თქმა უნდა ადამიანის უფლებათა დაცვის კონცეფცია უზრუნველყოფს კონკრეტული ინდივიდის დაცვას სახელმწიფოს უსამართლო მოქმედებისაგან. მაგრამ მას იურდიული მართლზომიერება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი თვით სახელმწიფოს მიერ იქნება მიღებული იმავე ხარისხის ნორმები. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სახელმწიფო თავად არის ადამიანის უფლებების და თავისუფლების მთავარი საფრთხის წყარო. ხოლო მკვლევარების მეორე ჯგუფი აღნიშნავს, რომ ამ უფლებებისა და თავისუფლების განხორციელება შეუძლებელია, იმ შესაბამისი პროცედურების, წესების და მექანიზმების გარეშე, რომელიც ქმნის შესაბამის გარანტიას მათი დაცვისათვის, და ეს ყველაფერი სახელმწიფოს გარეშე წარმოუდგენელია. სწორედ სახელმწიფო აყალიბებს ამ მიმართებით გარკვეულ შინაარს, ადამიანის უფლებათა გამოხატვის წესებს. აგრეთვე, შეიმუშავებს სანქციებს მათი დარღვევისათვის. შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო ნორმებსა და მის ობიექტებს შორის არსებობს „ეკრანის“ თავისებური სახე, რომელიც წარმოდგენილია სახელმწიფოს სახით, და როგორც მკვლევარები ვარაუდობენ, სწორედ ადამიანის უფლებათა მიმართულებით ეს ეკრანი

აირეკლავს ნებისმიერ გამოვლენას, რომელიც არ არის ჩანერილი შიდასახელმწიფოებრივ იურიდიულ ნორმებში. ამიტომ მიუთითებენ, რომ იმ სახით, პრინციპი, როგორც იგი წარმოდგენილია საერთაშორისო სამართალში ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლების დაცვის შესახებ, თავის დანიშნულებას ასრულებს მხოლოდ იმ სახელმწიფოს ფარგლებში, რომლებიც ამის გარეშეც ასრულებს მას საკუთრი შიდასახელმწიფოებრი კანონმდებლობის შესაბამისად.

კიდევ ერთი წინააღმდეგობა მდგომარეობს იმაში, რომ დასავლური რაციონალისტური იდეოლოგიის შესაბამისად, რომელმაც წარმოშვა ადამიანის უფლების კონვენცია, აღნიშნული უფლება უნდა მიიღოს ყველა დაჩაგრულმა ხალხმა, რომელიც მიიყვანს მათ საზოგადოებრივ პროგრესამდე. თუმცა ამ ხალხებს იმთავითვე შეუძლიათ მოცემული უფლებები მიმართონ მათი ინიციატორების წინააღმდეგ, ვინაიდან მათ განიხილავე როგორც არაფერს, უცხო საკუთრ ტრადიციებთან მიმართებით. საერთოდ, მსოფლიოს მრავლგვარობა და მასში სხვადასხვა კულტურების არსებობა განაპირობებს ადამიანთა უფლებების შესახებ სხვადასხვა დამოკიდებულებას და გაგებას. ამიტომ სამთავრობათშორისო ორგანიზაციები, რომლებიც მოწოდებულნი არიან იმისთვის, რომ ინდივიდები მოთხოვნილებების და უფლებების გარანტიებით უზრუნველყონ და ამით გარკვეულდა ხელს უწყობენ საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბებას, იმთავითვე არიან ახალი კონფორმიზმის, ახალი გაბატონებული იდეოლოგიის რუპორები.

ადამიანის უფლებათა პრინციპი მჭიდროდ არის დაკავშირებული საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან – ჩარევის სამართალთან, რომელიც ითვალისწინებს ჩარევას საგანგებო მდგომარეობის, მასობრივი არეულობების დროს დახმარების და ადამიანთა დაღუპვის საფრთხის აცილების აღმოჩენის მიზნით. ეს ორი სხვადასხვა სახის საერთაშორისო სამართალი (ისინი განსხვავდებიან წყაროების, მიზნების, ბუნების, მეთოდების მიხედვით) უკანსკნელ ხანს მჭიდროდ უახლოვდება ერთმანეთს. ასეთი დაახლოების საფუძველს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ორივე მათგანი იცავს ადამიანთა ფუნდამენტალურ, ბუნებრივ უფლებას. მეორეს მხრივ, ორივე შემთხვევაში საუბარია საერთაშორისო სამართლის ისეთი კლასიკური პრინციპების შეჯახების შესახებ,

როგორცაა პრინციპი სახელმწიფო სუვერენიტეტის, სახელმწიფოს შინაურ საქმეებში ნებისმიერი ჩარევის აკრძალვის და სახელმწიფო საზღვრების ურღვევობის შესახებ. მათი დარღვევა ან შეცვლა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სახელმწიფოს თანხმობის გარეშე.

ჩარევის უფლების პრობლემა ცნობილია ჯერ კიდევ XVI ს., როცა თეოლოგებმა ფ. დე ვიტორიამ, შემდეგ ფ. სუარესმა წამოსწიეს საკითხი ადამიანის, როგორც ღმერთის ქმნილების, და როგორც ერთიანი კაცობრობის ნევრის, ქრისტიანულ და პოლიტიკურ და მორალურ ურთიერთობებთან მიმართებით პასუხისმგებლობის შესახებ.

საერთაშორისო სამართლებრივ პრაქტიკაში ჩარევის საკითხი შემოდის XIX საუკუნეში, როცა დაიდო პირველი ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება სამხედრო ტყვეებთან დამოკიდებულებას, ზოგიერთი სახეობის იარაღის აკრძალვას, წითელი ჯვრის მისიას და ა.შ. თუმცა უკანასკნელ წლებში ამ პრობლემამ შეიძინა თვისობრივად ახალი განზომილება. პირველი, დაკონკრეტდა ჰუმანიტარული სამართლის გამოყენების არეალი, რომელშიც შედის სიტუაციის სამი ტიპი: ბუნებრივი კატასტროფები, მასობრივი პოლიტიკური რეპრესიები, ეკოლოგიური უბედურებები; მეორე, პირველად საერთაშორისო სამართალში მიიღეს მსხვერპლთან თავისუფალი დაშვების პრინციპი – ანუ უფლება მაშველთავის, წითელი ჯვრის წარმომადგენლებისათვის, გაეროს ინსტიტუტებსათვის, დევნილთა საქმეების უმაღლესი კომისრისათვის, ბავშვთა ფონდის და სხვა სამთავრობათშორისო და არსამთვრობო საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის.

1988 წლის 8 დეკემბერს სომხეთში მომხდარ მიწისძვრასთან დაკავშირებით გარეოს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 43/131. სადაც, დაადსტურა რა სუვერენიტეტის პრინციპი და სახელმწიფოს პირველხარისხოვანი როლი მოსახელობის დახმარების ორგანიზაციის საქმეში, ხაზი გაუსვა სხვა სახელმწიფოების მხრიდან ჰუმანიტარული დახმარების და მოქმედების მნიშვნელობას.

1991 წლის 5 აპრილს გარეოს უშიშროების საბჭომ მიიღო რეზოლუცია 688, სადაც დაგმო რა ს. ხუსეინის რეჟიმის რეპრესიები ქურთების და შიიტების წინააღმდეგ, მოუწოდა მას დაუყოვნებლივ უზრუნველყო საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციების დაშვება

და უსაფრთხო გადადგილება სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე დაზარალებულთათვის დახმარების გასანევად. რეზოლუციაში, გარეოს ისტორიაში, პირველად ხაზგასმული იყო, რომ ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევები უკვე წარმოდგენდა საფრთხეს საყოველთაო მშვიდობისათვის მსოფლიოში. აქედან გამომდინარე, რეზოლუცია უშვებს არა მარტო ჩარევას, არამედ ითვალისწინებს მაშველთა დაცვას „ცისფერჩაფხუტიანთა“ მიერ. 1991 წლის 16 დეკემბერს გარეოს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 46/182 – კორდინაციის გაძლიერების შესახებ. იგი ითვალისწინებდა ყოფილი იუგოსლავიის მოსახლეობისათვის სასწრაფო ჰუმანიტარულ დახმარების აღმოჩენას, რომელშიც დაზარალებულნი სამოქალაქო ომის შედეგად. ამ ყველაფერთან ერთად, ხდებოდა ჩარევის აღმოჩენის ვალდებულების ინსტიტუციონალიზაცია.

მსგავსი მაგალითები ბლომად შეიძლება იქნეს მოყვანილი. ყველაფერი ეს კი, მეტყველებს იმაზე, რომ თანამედროვე პირობებში ჩნდება საერთაშორისო ურთიერთობების შეგენებული რეგულირების ზოგიერთი მექანიზმი, და მით უფრო „ბუნებრივი მდგომარეობის“ დაძლევის პირობები. თუმცა, ყველაფერ ამასთან ერთად, მკვლევარები, ამ მიმართებით, ასევე გარკვეულ საკითხებს გამოყოფენ.

ასეთი საკითხების ერთი ჯგუფი თავს იყრის სიტუაციაში, სადაც შეიძლება იყოს ჰუმანიტარული ჩარევა აუცილებელი. რა თქმა უნდა ადამიანის უფლებათა დარღვევები ეს არ არის იშვითი გამოხატულება, მით უფრო თანამედროვე მსოფლიოში. რატომმა რომ ერთ შემთხვევაში (იუგოსლავია) იგი ინვეს თავისთავდა ჩარევას, ხოლო სხვა შემთხვევაში (აზრებაიჯან-სომხეთის ომი) რჩება უყურადღებოდ? ვინ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება ჩარევის შესახებ – გავლენიანმა საერთაშორისო ორგანიზაციამ (გაერომ, ეუთომ) თუ თვით სახელმწიფომ? შეიძლება კი მსგავსი გადაწყვეტილების მიღება, იმ სახელმწიფოს თანხმობის გარეშე, რომლის მოსახლეობაც საჭიროებს ჰუმანიტარულ დახმარებას? რა თქმა უნდა აქ გასათვალისწინებელი ჩარევის სპეციფიკაცა.

საკითხების მეორე ჯგუფი ეხება ჰუმანიტარულ და პოლიტიკურ ჩარევას შორის საზღვრების გამიჯვნის პრობლემას. ხომ არ წარმოადგენს ნებისმიერი ჩარევა მაინც პოლიტიკურ ხასიათს? ცნობილია, რომ

ვერცერთი სახელმწიფო ვერ შეძლებს თავის დაღწევას (აბსტრაგირებას) საკუთრი ეროვნული ინტერესებიდან, ხოლო ნებისმიერ შემთხვევაში კი გაეროს გადწყვეტილება პოლიტიკური შეთანხმების პროდუქტს წარმოადგენს. 1991 წელს შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა აღმოუჩინეს რა დახმარება ქურთებს არ წავიდნენ „უსაფრთხოების ზონის“ შექმნაზე, რადგან საშიშად მიიჩნიეს, რომ ამით ხელს შეუწყობდნენ ქურთთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებას.

საკითხების კიდევ ერთი ჯგუფი დაკავშირებულია თანასწორობის პრინციპთან. შეძლება კი ჰუმანიტარული სამართალი გამოყენებული იქნეს ყველა სახელმწიფოსთან ერთნაირად? რთულია იმის წარმოდგენა, რომ იგი გამოყენებული იქნეს შეერთებული შტატების ან ევროპის ნებისმიერი ძლიერი სახელმწიფოს მიმართ.

ნაჩევები საკითხები კიდევ ერთხელ მეტყველებენ საერთაშორისო სამართლის წინააღმდეგობებზე. კერძოდ, იმას რომ ბევრად უფრო დინამიური მისი დებულებები, რომელებიც უფრო მეტად ასახავს მსოფლიო ურთიერთდამოკიდებულების რეალობას და გამოდის სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების ჩარჩოებიდან, უცილობლად ეჯახება ბევრად უფრო ტრადიციულ სუვერენიტეტის, საზღვრების ხელშეუხებლობის და სახელმწიფოს დამოუკიდებლობების ცნებებს.

აღნიშნული ძირითადი პრინციპები ქმნის სოციალურ ურთიერთობებს შორის ურთიერთმოქმედების საყოველთაო ნორმების შეღწევის მთავრ არხებს საერთაშორისო ურთიერთობებში.

სამართლის და მორალის ურთიერთმოქმედებები საერთაშორისო ურთიერთობებში

საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო მორალის ურთიერთმოქმედება, მათი დიალექტური ერთობა არ ამოიწურება საერთაშორისო აქტორების ქცევის ძირითადი პრინციპების ერთობლიობით. ამ ერთობის საფუძველი არის: გენეტიკური ერთობა; ფუნქციონალური ერთობა (რეგულატორული დანიშნულება); საერთაშორისო სამართლის და საერთაშორისო მორალის ერთობა მათ ნორმატიულ-ფასეულობათა გეგმაში. როგორც სამართალი, ისე მორალი თავისთავად წარმოადგენს ქცევის სავალდებულო წესს, რომელიც იძენს იურიდიულ ან ზნეობრივ მოვალეობის როლს და პასუხისმგებლობას მათ

დარღვევებზე, და რომელიც მთლიანობაში აირეკვლავს საერთაშორისო სისტემის, კაცობრიობის ცივილიზაციის, განვითარების არსებულ დონეს.

ზნეობრივი და სამართლებრივი ერთობა არ ნიშნავს იგივეს, რაც საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო მორალი. ერთი მათგანის პრინციპებში ჭარბობს იურიდიული ელემენტები (მაგ. სახელმწიფოს სუვერენული თანასწორობა), ხოლო მეორეში პირიქით მორალური ელემენტები (მაგ. თანამშრომლობის პრინციპი). აქ ერთობა უბრალოდ ნიშნავს მათ იდეურ შინაარსს. ობიექტური პირობებით განპირობებული სამართლის და მორალის ერთობა ხასიათდება არსებული გნსხვავებით, რომელიც აუცილებელია გათვალისწინებული იქნეს იმ როლის ანალიზის დროს, რომელსაც ისინი თანაშობენ საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირების დროს. აღნიშნული განსხვავები მკვლევართა მიერ შემდეგნაირად არის დაჯგუფებული.

პირველი, სამართლებრივი ნორმები ატარებენ ფიქსირებულ ხასიათს, რომელიც აღნიშნულია შესაბამის დოკუმენტებში - წესდება, შეთანხმება, ხელშეკრულება და ა.შ. ამავე დროს, მასთან, საერთოდ, მჭიდროდ არის დაკავშირებული სამართლის ინსტიტუციონალისტური ხასიათი და საერთაშორისო სამართალი. კერძოდ, იგი მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფო ინსტიტუტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან (გაერო და მისი სპეციალიზირებული ორგანიზაციები, ევროპის საბჭო, სხვა რეგიონალური ორგანიზაციები). ამრიგად, საერთაშორისო სამართლის სისტემა მოიცავს ისეთ ელემენტებს, როგორიცაა სამართლებრივი ცნობიერება, სამართლებრივი ნორმები, სამართლებრივი ურთიერთობები და სამართლებრივი ინსტიტუტები. საერთაშორისო ურთიერთობების ზნეობრივი რეგულირების მექანიზმებში, მათგან უპირატესობა ბოლო ელემენტს (ინსტიტუტებს) არ აქვს, ვინაიდან მხედველობაში უნდა მივიღოთ საერთაშორისო მორალის სპეციფიკა. იგი ასევე უშუალოდ არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან: იგი იქმნება და ხორციელდება სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების პროცესში (რა თქმა უნდა მოცემული თავისებურება ატარებს მხოლოდ საერთაშორისო სამართლის ერთ სახეობასთან – სახელმწიფოთაშორის). როგორც მკვლევარები მიუთითებენ, ეს „ინსტიტუციონალიზაცია“ შედარებით საკმაოდ

პირობითია, ვინაიდან საბოლოო ჯამში ინსტიტუტები, რომლებიც ქმნიან საერთაშორისო მორალურ ნორმებს (სახელმწიფო, საერთაშორისო ორგანიზაციები) არ ქმნიან სპეციალიზირებულ ორგანოებს მსოფლიო არენაზე საყოველთაო ზნეობრივი წესების შემუშავებისა და გავრცელებისათვის.

საბოლოო ჯამში, როგორც სახელმწიფო, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები ეყრდნობიან ნორმებს, რომლებიც მოთავსებულია თვით საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში”, და რომლის საფუძველსაც წარმოადგენს კაცობრიობის ცივილიზაციის მთელი ისტორიის პროცესში ქცევის უნივერსალური ნიმუშების და სოციალურ ინდივიდებისა და ერთობების შედგენა. მეორეს მხვრივ, საერთაშორისო მორალის ნორმების შემუშავება-განვითარებაში უდავოდ ჩანს ისეთი სოციალური ინსტიტუტის როლი (ინსტიტუტის პირდაპირი გაგებით), როგორცაა მეცნიერება.

მეორე, საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო მორალი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მოქმედების სფეროების მიხედვითაც: მორალური ნორმები საყოველთაო მომცველობით ხასიათს ატარებს, მაშინ როცა, სამართალს აქვს თითოეულ მოცემულ მომენტში გამოყენების შეზღუდული სფერო. ბევრ შემთხვევაში საერთაშორისო ურთიერთობები რეგულირდება ერთდროულად როგორც სამართლებრივი, ისე მორალური ნორმებით. მაგალითად, სამხედრო აგრესია წარმოადგენს როგორც საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი ნორმების დარღვევას, ასევე მორალურ დანაშაულსაც. თუმცა, მორალური ნორმები უფრო ფართო და ელასტიურია, ვიდრე სამართლებრივი.

რა თქმა უნდა, როგორც მორალური, ისე სამართლებრივი ნორმები დაკავშირებულია ღირებულებების სისტემასთან, რომელიც მიღებულია ამა თუ იმ სოციალური ერთეულების მიერ. იგი განსაზღვრავს მისი მოთხოვნილებების და ინტერესების უზრუნველყოფისათვის საშუალებების არჩევანსაც. იმისათვის რომ, ეს საშუალებები იყოს ადექვატური და გარანტის მიმცემი დადგენილი მიზნის მიღწევაში, ისინი საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში თანხმობაში უნდა იყვნენ სავალდებულო ნიმუშებთან, ან როგორც იტყვიან ქცევის ისეთ წესებთან, რომლებიც აღიარებულია როგორც ნორმალური, და ან დაშვებულია

განსაზღვრული პირობებით. ისინი სავსებით შეიძლება გასაგები იყოს მხოლოდ იმ სოციოკულტურულ გარემოში, რომელშიც ის ჩამოყალიბდა. ამავე დროს, ეს არ ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი გადაცემა ან სესხება. მათში მოცემული უნივერსალური ელემენტები ზოგჯერ ხელს უწყობენ ზოგიერთი მათგანის განმტკიცებას და ჩამოყალიბებას საერთაშორისო სამართლის ნორმებში.

საყოველთაოდ აღიარებული ქცევის ნიმუშების განმტკიცებას აქვს დიდი პარტიკული მნიშვნელობა. საერთაშორისო ურთიერთობების სისტემაში მისი წარმოება დამოკიდებულია მათთან ერთობის ქცევის შეთანხმების ხარისხზე, ისინი განსაზღვრავენ აქტორების მოქმედებებს, საბოლოო ჯამში კი საერთაშორისო სისტემის დინამიკურ თანასწორობას. თუმცა, ქცევის ყველა უნივერსალური ნიმუში არ შეიძლება ღრმად ჩაჯდეს საერთაშორისო სისტემაში. მათგან მნიშვნელოვანი ნაწილი განმტკიცებულია საერთაშორისო სისტემაში ორიგინალური ნორმებით. პრინციპში თითოეულ ეთნიკურ, ტერიტორიულ ან ფუნქციონალურ ერთობას აქვს თავისი სპეციფიკური ქცევის ნიმუშები და საკუთრი ფასეულობების სისტემა, რომლებიც არ განიცდიან საერთაშორისო სამართლის გავლენას. ამავე დროს, იგი საერთაშორისო ცხოვრებაში ახლად წარმოქმნილი და არსებული ეტიკური ქცევის წესების და ნორმების ურთიერთმოქმედებით ზოგიერთ მათგანს უნარიანად უკეთებს მოდიფიცირებას.

თანმედროვე ურთიერთდამოკიდებულების და კრიზისული გამოვლინებების პირობებში, ცივილიზაციის განვითარებაში, მათი ათვისების და გამოყენების აუცილებლობა სხვა საერთაშორისო აქტორებთან ურთიერთობებში განსაკუთრებით იზრდება.

მაგრამ თუკი მორალური ნორმები აღწევენ და განიცდიან კიდევ ასეთ ტრანსფორმაციას, მაშინ სამართლებრივი ნორმები სანინალმდეგოს აჩვენებს: ისინი გამიზნულნი არიან აქტორების საგარეო ქცევაზე, ატრებენ უპირატესად რაციონალურ ხასიათს. მათი ზღვარი მკაცრად არის შესწავლილი და მიმართულია ასეთი ქცევის სტანდარტების მიღწევისაკენ.

მეასმე, საერთაშორისო სამართალი და საერთაშორისო მორალი განსხვავდებიან საერთაშორისო აქტორების ქცევაზე ზემოქმედების

შესაძლებლობების ფორმის, მეთოდების და საშუალებების თვალსაზრისითაც. და მაშასადამე – საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირების შესაძლებლობითაც. სამართლებრივი რეგულირება საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნეს იძულების საშუალებები (საერთაშორისო სასამართლო, სამხედრო, ეკონომიკური, და პოლიტიკური სანქციები, საერთაშორისო ორაგინაზციებიდან გაძევება, დიპლომატიური ურთიერთობების განწყვეტა). ძირითადი რეგულატორი საერთაშორისო ქცევის, ზნეობრივი ნორმების დაცვის საქმეში არის მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, როცა ზოგჯერ მისი გავლენა საერთაშორისო ურთიერთობების მონაწილეებზე, შეიძლება აღმოჩნდეს ბევრად ეფექტური, ვიდრე საერთაშორისო სამართლის გავლენა. ამავე დროს, საერთაშორისო სამართლის სპეციფიკას წარმოადგენს ის რომ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან შედარებით, მისი ნორმები ატარებენ უფრო სარეკომენდაციო ხასიათს. მას სუბიექტი ლეზულობს მისი თანხმობით ან პირიქით. საერთაშორისო-სამართლებრივი და მორალური ნორმების სხვაობა, შეიძლება მათ შორის ქმნიდეს დაპირისპირების წყაროს, მაგრამ ეს არ უარყოფს მათ ერთობას და ურთიერთმოქმედებას, მისი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების რეგულატორის როლს. ამავე დროს იგი მოითხოვს იმ თავისებურებების ღრმა გაგებას, რომელიც დამახასიათებელი თითოეული მათგანისათვის.

თემა X

საერთაშორისო ურთიერთობების ეთიკური განზომილება

საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის რომ მასში არ არსებობს ძალდატანების ერთიანი ლეგიტიმური ცენტრი, ხელისუფლების ერთიანი წყაროს სახით, რომელიც იქნებოდა დიდი ავტორიტეტი მასში არსებული კავშირების და ურთიერთობების ყველა

მონაწილისათვის. საერთაშორისო სფერო საგარეო პოლიტიკას არეგულირებს სხვადასხვა ნორმებით. როგორც ცნობილია საკუთრივ მის მთავარ პოლიტიკურ რეგულატორს წარმოადგენს ძალთა ბალანსი, რომელიც დამყარებულია სახელმწიფოებს შორის.

საერთაშორისო ურთიერთობებში გარდა ზემოაღნიშნულისა დიდი ადგილი უჭირავს ზნეობრივ რეგულატორებს_საერთაშორისო სამართლის პრინციპებს, რაზეც უნდა იყოს დაფუძნებული საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტების მოქმედებები. გაეროს წესდებაში, ასევე, ჰელსინკის დეკლარაციაში _ ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის შეთანხმების შესახებ, ისინი შემდეგნაირად არის ჩამოყალიბებული:

_ სახელმწიფოთა სუვერენული თანასწორობის პრინციპი.

ეს პრინციპი თავისთავში მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

ა. სამართლებრივი სტატუსით ყველა სახელმწიფო თანაბარია;

ბ. ყოველი სახელმწიფო სარგებლობს სრული სუვერენიტეტის უფლებით;

გ. ყოველი სახელმწიფო ვალდებულია პატივი სცეს მეორე სახელმწიფოს სამართალსუბიექტობას;

დ. სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და სამართალსუბიექტობა ხელშეუხებელია;

ე. ყოველ სახელმწიფოს უფლება აქვს თავისუფლად აირჩიოს და განავითაროს მისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული სისტემები;

ვ. ყოველი სახელმწიფო ვალდებულია სრულად და პირნათლად შესრულოს საერთაშორისო ვალდებულებები;

ამ მოთხოვნების დაცვა და გათვალისწინება ყველა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკაში უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან იზოლაციურ მდგომარეობაში აღმოჩნდება.

ამავე დროს სახელმწიფოს სუვერენიტეტის მუდმივი პლურალიზმი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს აძლევს საკმაოდ გაუთვლელ, ქაოსურ, არაზომიერ შინაარს. ასეთ ატმოსფეროში არცერთ სახელმწიფოს არ შესწევს უნარი მუდმივად დაიცვას მკაცრი გამომეტყველება და უცვლელი პოზიცია ერთმანეთთან ურთიერთობებში, თუნდაც მაგალითად ვინმესთან მუდმივი კონფრონტაციის ან საკავშირო ურთიერთობების დროს.

საერთაშორისო ურთიერთობები წარმოადგენს პოლიტიკური ურთიერთობების არათანაბარ და უთანასწორო სფეროს. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს უკანასკნელ პერიოდში საერთაშორისო ურთიერთობათა არაბალანსირება გაიზარდა იმას გამო, რომ დაინგრა სოციალისტური ბანაკი. ამან კი უფლება მისცა დასავლეთს მსოფლიოსათვის შეეთავაზებინა მისი საკუთარი კრიტერიუმები საერთაშორისო პოლიტიკურ ურთიერთობათა დარეგულირებისათვის. საერთაშორისო ურთიერთობებში ქაოსის ზრდა შეიძლება ასევე გამოწვეულ იქნეს საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე ახალი დამოუკიდებელი სუბიექტის გამოსვლით, რომელიც იმოქმედებს ამა თუ იმ სახელმწიფოებრივი ინსტიტუტებით და ორგანიზაციებით. მსოფლიო პოლიტიკის მონაწილეთა ურთიერთობების სირთულეს და არაერთგვაროვნებას განაპირობებს ასევე ისიც რომ მათ მოქმედებებს ინიცირებას უკეთებს სხვადასხვა მიზეზები.

ძალაუფლება და მორალი

ძალაუფლებისა და მორალის ურთიერთმიმართების საკითხზე საერთაშორისო ურთიერთობებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში რეალიზმის ხედვა დომინირებს. რომლის მიხედვითაც ადამიანი არის „პოლიტიკურ არსებას“, რომელსაც „ძალაუფლებისადმი სწრაფვა“ ახასიათებს.

ადამინებისათვის ძალაუფლება სიკეთესა და კეთილდღეობას წარმოადგენს. თუმცა ის ვინც ადამიანს თავისი ბუნებით განიხილავს, როგორც გარყვნილს, ზნედაცემულს, უგუნურსა და საშიშს, ვინც სამყაროს ქაოტური ფორმით აღიქვამს, მისთვის პოლიტიკა ყოველთვის ბინძური და გარდაუვალი ბოროტებაა. შესაბამისად, ძალაუფლებას ის განიხილავს, როგორც ბოროტებას. მაგრამ არის მესამე უკიდურესობაც - ჭეშმარიტების რეალისტური ხედვა ანუ ორმაგი რეალობის - ბოროტებისა და სიკეთის - სამყაროს აღიარება და ადამიანშიც ორთავეს ნაზავის არსებობა. ადამიანი არც ანგელოზია და არც ეშმაკი. ამბობენ: ადამიანი ეშმაკი რომ ყოფილიყო, მმართველობა შეუძლებელი იქნებოდაო. ან კიდევ: ადამიანი რომ ანგელოზი იყოს, მმართველობა საჭირო აღარ იქნებოდაო. მაგრამ ადამიანი გონებასა და უგუნურებას, სიკეთესა და ბოროტებას შორის მდგარი კომპლექსური და ამბივალენტური არსებაა, რომელშიც ეგოიზმი და სიკეთე ერთადაა შერწყმული. შესაბამისად მას შეუძლია ძალაუფლება როგორც კარგი, ისე ცუდი მიმართულებით გამოიყენოს - დიდი თუ მცირე მასშტაბებით, პირად ცხოვრებასა თუ პოლიტიკაში.

ძალაუფლება არის ერთგვარი უნარი, აიძულო სხვა, გააკეთოს ის, რასაც სხვა შემთხვევაში არ გააკეთებდა. იგი საერთაშორისო ურთიერთობების ერთ-ერთი ძირითადი მცნებაა, რომელსაც ხშირად იძულებასთან და გავლენასთან აიგივებენ. ძალაუფლების ცნება საერთაშორისო ურთიერთობებში დავის საგანია და მისი ერთგვაროვანი განსაზღვრება არ არსებობს.

საერთაშორისო ურთიერთობებში ძალაუფლების ცნება რეალიზმის პარადიგმასთან ასოცირდება, რადგან რეალიზმი საერთაშორისო ურთიერთობებს ძალაუფლებისათვის ბრძოლად მიიჩნევს.

ძალაუფლებას ხშირად ორმაგი გაგება აქვს:

1) ძალაუფლება როგორც უნარი

2) ძალაუფლება როგორც ურთიერთობა.

პირველ შემთხვევაში ძალაუფლების ძირითადი შემადგენელი ნაწილი ძალა, ძლიერებაა, რომელიც ტერიტორიის სიდიდით, ბუნებრივი რესურსებით, საერთო ეროვნული პროდუქტის სიდიდით, მოსახლეობის უნარ-ჩვევებითა და შეიარაღებული ძალების მომზადების დონით განისაზღვრება.

ძალაუფლება, როგორც ურთიერთობა, ამ ძალის, ძლიერების გამოყენებას გულისხმობს. ურთიერთობითი ძალაუფლების მიზანია სხვა აქტორების მხრიდან წინააღმდეგობის გადალახვის გზით მათზე ზეგავლენის მოპოვება და მათგან დათმობების მიღწევა. ამ მნიშვნელობით ძალაუფლება განსხვავდება გავლენისაგან, რომელიც სხვა აქტორების მხრიდან სასურველი ქცევის მისაღწევად წინააღმდეგობების გადალახვასა და იძულების გამოყენებას არ გულისხმობს. ცნება „სტრუქტურული ძალაუფლება“, მეორე მხრივ, ნიშნავს რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის უნარს, დაადგინოს საერთაშორისო ურთიერთობების ჩარჩოები, რომლის მიხედვითაც სახელმწიფოთა ურთიერთობის ხასიათი განისაზღვრება. სტრუქტურული ძალაუფლების შემადგენელ ნაწილებად სიუზან სტრეინჯი უსაფრთხოებას, ცოდნას, წარმოებასა და ფინანსებს ასახელებს.

ძალაუფლება არის უფლებამოსილება, შესაძლებლობა ან თავისუფლება, რომელიც სხვა ადამიანებისა თუ მათი ქცევების გაკონტროლებას ისახავს მიზნად. მაქს ვებერის კლასიკური სოციოლოგიური განმარტების მიხედვით: ძალაუფლება არის სოციალურ ურთიერთობებში საკუთარი ნების მოწინააღმდეგეზე თავის მოხვევის თითოეული შანსი და არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რას ეფუძნება ეს შანსები.

ძალაუფლების გარეგანი გამოხატულების არქონა არ ნიშნავს შინაგანი ძალისა და ძლიერების დაკარგვას, რაც ყველაზე მეტად

სწორედ ყოვლისშემძლე დიქტატორებს აშინებთ. ისინი ფიქრობენ, რომ მოწინააღმდეგეების დამორჩილებას მხოლოდ მათი ფიზიკური ლიკვიდაციით თუ შესძლებენ.

საერთაშორისო ურთიერთობებში ძალაუფლების სამხედრო კომპონენტი ძალაა, რასაც ოთხი ფუნქცია აქვს: დაშინება, იძულება, თავდასხმა და პრესტიჟის დემონსტრირება.

ძალა, უპირველეს ყოვლისა, მისი შეძენის უნართანაა დაკავშირებული, რაც, თავის მხრივ, სამხედრო რესურსების ფლობას უკავშირდება. საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოთა იერარქიზაციის უმთავრესი პრინციპი ძალის ფლობა და მისი გამოყენების სხვათა მიერ აღქმული უნარია. ძალაზე დიდ გავლენას ახდენს ტექნოლოგიური განვითარების დონე, რაც სახელმწიფოს ეკონომიკურ და მისი მოსახლეობის ინტელექტუალურ განვითარებაზეცაა დამოკიდებული.

ბირთვული იარაღის გავრცელების კვალდაკვალ გარკვეულწილად შეიცვალა დამოკიდებულება საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის მნიშვნელობისა და მისი გამოყენების მიმართ. ამჟამად ძალის გამოყენებასა და ძალით მუქარაზე მეტი მნიშვნელობა ენიჭება ძალის გამოუყენებლად პოლიტიკური მიზნების მიღწევას. თუმცა, ამისათვის კვლავაც ძალის ფლობა აუცილებელი, რადგან ძალა კვლავაც წარმატებული დიპლომატიის საწინდარია. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში სამხედრო ძლიერების კომპონენტი კვლავაც წამყვანია, რასაც თანამედროვე მსოფლიოში სამხედრო ხარჯების ზრდა, სამხედრო პოტენციალის დაგროვება და იარაღით ვაჭრობაც ადასტურებს.

პოლიტიკაში განსაკუთრებით თვალმისაცემია ის, რომ ძალაუფლება ამბივალენტური არსების – ადამიანის ხელში ყველგან და ყოველთვის არ არის მხოლოდ პოზიტიური ან მხოლოდ ნეგატიური კუთხით გამოყენებული.

ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული თანამედროვე ეტაპამდე ევროპამ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა, რომელიც „დღეს სამართლებრივი და სოციალური, დემოკრატიული სახელმწიფოს არსებით შინაარსს წარმოადგენს.

ძალაუფლების შეზღუდვა ინსტიტუციონალიზირებული პოლიტიკური ეთიკის სახით დღემდე ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას.

ძალაუფლების შეზღუდვის პირველი ნაბიჯი ეს იყო ძალაუფლების შეზღუდვა კონსტიტუციითა და კანონებით. ძალაუფლების მართვა ხდება მმართველთა კანონმორჩილების საშუალებითაც. თვითნებობის წინააღმდეგ კანონის უზენაესობის (ნომოკრატია) ფილოსოფიური დასაბუთება ჯერ კიდევ პლატონთან გვხვდება. არისტოტელემ კი ეს იდეა განავითარა და ერთმანეთისაგან გამიჯნა კანონი და კონსტიტუცია. უნდა ბატონობდნენ კანონები და არა ადამიანები. კანონი კი თავის მხრივ, კონსტიტუციასთან უნდა მოდიოდეს შესაბამისობაში.

მეორე ნაბიჯი ეს იყო ძალაუფლების დანაწილება შერეული კონსტიტუციისა თუ ძალაუფლების გადანაწილების საშუალებით. სახელმწიფოში მონოკრატიული, ოლიგოკრატიული და/ან დემოკრატიული ელემენტებისაგან შემდგარი კონსტიტუციის იდეაც პლატონს ეკუთვნის. მოგვიანებით ის არისტოტელემ, პოლიბიოსმა, ციცერონმა, თომა აქვინელმა და იტალიური რენესანსის წარმომადგენლებმა განავითარეს. სხვადასხვა ურთიერთმაკონტროლებელ ორგანოებს შორის ძალაუფლების ამდაგვარი განაწილების მეტნაკლებად რეალისტური იდეა XVI საუკუნეში დონატო ჯიანოტის (მან ერთმანეთისაგან გამიჯნა სახელმწიფოს ოთხი ფუნქცია და გადაწყვეტილების მიღების სამი ფაზა) მიერ იქნა წამოყენებული, ხოლო XVIII საუკუნეში

მონტესკიე მას - უკვე თანამედროვე ფორმით - ფეოდალურ აბსოლუტიზმს უპირისპირებს, თუმცა ის საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლების დიფერენცირებასაც არ ახდენს მკაფიოდ. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდიდან მოყოლებული აშკარა გახდა, რომ არაკონტროლირებადი ძალაუფლება, ძალაუფლების კონცენტრაცია და უპირველეს ყოვლისა ძალაუფლების მონოპოლია თითოეული ადამიანის თავისუფლებას უქმნის საფრთხეს და ამიტომაც ძალაუფლება ძალაუფლებითვე უნდა შეიზღუდოს.

მესამე ნაბიჯი: ძალაუფლების შეზღუდვა ხელშეუხებელი ფუნდამენტური უფლებებით. ის აზრი, რომ არსებობს ხელშეუხებელი და განუყოფელი ფუნდამენტური უფლებები, რომელიც ზესახელმწიფოებრივია (მაგრამ სახელმწიფო უნდა მფარველობდეს მას) და თვით ადამიანის ბუნებაშია გამყარებული, პირველად განმანათლებლობის ეპოქაში გაცხადდა, თუმცა მისი საფუძვლები ანტიკურ პერიოდსა და ქრისტიანობაში ძვეს.

მსგავს აზრი გატარებულია ჯონ ლოკთან და 1976 წლის ამერიკაში მისი იდეებით შთაგონებული დამოუკიდებლობის ფილოსოფიის ტექსტებში (თომას ჯეფერსონი გააზრებულად საუბრობს საკუთრების უფლების თაობაზე), რომლებიც საფრანგეთის რევოლუციის (1789) ადამიანის უფლებების დეკლარაციის იდეალად მოგვევლინა. ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის პროკლამირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მოხდა 1948 წელს და დღეს იგი უკვე თითქმის ყველა თანამედროვე კონსტიტუციაშია დაცული: იოანე XXIII-მ და ვატიკანის მეორე კრებამ (1962-65) ადამიანის უფლებები

კათოლიკურ ეკლესიაშიც დაამკვიდრა. რომი ხომ მას ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ღვთისგმობად მიიჩნევდა.

მეოთხე ნაბიჯი: ძალაუფლების შეზღუდვა შესაბამისობის პრინციპით. სახელმწიფოს და საერთოდ ძალაუფლების მატარებელს მხოლოდ ლეგიტიმური მიზნების შესაბამისი საშუალებების გამოიყენების უფლება აქვს. მან უნდა დაიცვას საშუალებათა შესაბამისობის (გადამეტების აკრძალვა) პრინციპი, როგორც ეს თანამედროვე სისხლის სამართალშია მოცემული. თუმცა საერთაშორისო სამართალში ამ პრინციპთან ერთად, სანქციების (საპასუხო ზომა), რეპრესალიებისა და თავდაცვის უფლების გამოყენებისას, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოთა თვითდახმარების პრინციპის გათვალისწინება ხდება.

თანამედროვე ეტაპზე ძალაუფლების შეზღუდვის პრინციპი ყოველგვარი კანონმდებლობის, კანონის გამოყენებისა და სასამართლო პრაქტიკის სამართლებრივ ფუნდამენტს წარმოადგენს.

მეხუთე ნაბიჯი: ძალაუფლებაში ქვეშევრდომთა მონაწილეობა. აქ დემოკრატიის ის ფორმა იგულისხმება, რომელიც ათენელებმა აღმოაჩინეს: ძალაუფლების მატარებელთა და ადრესატთა მინიმალური იდენტობა. ამ პრინციპმაც მოდერნში განიცადა მარცხი, უპირველეს ყოვლისა, ინგლისური პარლამენტის, ფრანგული და ამერიკული რევოლუციების ფონზე. XX საუკუნეში კი ის სრულყოფილ სახეს ღებულობს, როდესაც ზოგადი საარჩევნო უფლება სახელმწიფოს ყველა ზრდასრულ მამაკაც მოქალაქეს, ხოლო მოგვიანებით უკვე ქალებსაც მიენიჭა.

მეექვსე ნაბიჯი: ძალაუფლების დაბალანსება ძალაუფლების მფლობელთა მხრიდან ზენოლის შემცირებით. სამართლიანობა მოითხოვს, რომ ძალაუფლების მფლობელთა მხრიდან ზენოლა

შეიზღუდოს, ზენოლა, რომელიც ძლიერ და სუსტ ინდივიდებსა და ჯგუფებს, პრივილეგირებულ და არაპრივილეგირებულ ადამიანებს, დამქირავებელსა და მოსამსახურეს, დასაქმებულ და შრომის პროცესს მონყვეტილ ადამიანებს შორის არსებობს. ძალაუფლების შეზღუდვა არასოდეს არაა ადვილი. ამიტომ სახელმწიფომ და სხვა ინსტიტუტებმა კეთილსინდისიერად უნდა გაანონასნოროს ის.

პოლიტიკურმა მეცნიერებებმაც რეალისტურად უნდა გაარკვიოს ის, თუ რა არის ადამიანის ამბივალენტური რეალობა და მისი სამყარო. პოლიტიკური ქცევის ყველაზე დიდ კრიტერიუმად არა რეალობა, რომელიც პოლიტიკაში შეიძლება სიმხეცედ მოგვევლინოს, არამედ ჰუმანურობა უნდა იქცეს, ჰუმანურობა, სადაც მორალი თავის კულმინაციას აღწევს. ვინაიდან პოლიტიკაში საქმე მხოლოდ ძალაუფლებასა და სისტემას არასოდეს ეხება და ვინაიდან იქ ყურადღების ცენტრში ადამიანი დგას, პოლიტიკის მხოლოდ პოლიტიკოსებისა და პოლიტოლოგებისადმი მინდობა შეუძლებელია.

რეალობა ისაა, რომ პოლიტიკასა და ეთიკას შორის არსებობს მარადიული დაძაბულობა.

ძალაუფლებისა და მორალის ურთიერთმიმართება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორედ საგარეო და მსოფლიო პოლიტიკისათვის. შიდასახელმწიფოებრივ დონეზე მათი ურთიერთმიმართება განსაზღვრული ხალხისა თუ სახელმწიფოს საზღვრებშია მოქცეული. თუმცა როგორ უნდა მოხდეს ძალაუფლების დარეგულირება ერებს შორის?

საერთაშორისო პოლიტიკა და მორალი

თანამედროე საერთაშორისო სამართალს საფუძვლად უდევს კაცობრიობის განვითარების პროცესში ჩამოყალიბებული ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები, რომლებიც, პირველ რიგში, სამართლიანობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს შეიცავს. როგორც წესი, საერთაშორისო საზოგადოებრიობის წარმოდგენა - რა არის მორალური, ზნეობრივი, წინ უსწრებს სამართლებრივი ნორმის ჩამოყალიბებას და მამანამდე, მისი დარღვევისათვის, მხოლოდ საზოგადოებრივი გაკიცხვის ზომებს ეყრდნობა.

საერთაშორისო მორალი ეთიკური ღირებულებები და ნორმებია, რომელიც საერთაშორისო სამართალს არ მიეკუთვნება, მაგრამ, ზოგიერთი მოსაზრებით, საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვის საფუძველი უნდა იყოს.

საერთაშორისო მორალი ეს არის სოციალური ქცევის წესების ერთობლიობა, აღიარებული სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობით, საერთაშორისო საზოგადოებრიობის მიერ, როგორც კაცობრიობის განვითარების დღევანდელი საფეხურისაგან განუყოფელი ნორმა, რომელსაც ან ჯერ არა აქვს იურიდიული ძალა (მაგ., გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციებით ჩამოყალიბებული წესები), ან უკვე შერწყმულია მოქმედ სამართლებრივ ნორმასთან.

რეალიზმის სკოლა საერთაშორისო მორალის ობიექტურ არსებობას უარყოფს. რეალისტებისათვის პოლიტიკური ქმედება და ზნეობა თავსებადია მხოლოდ სახელმწიფო ინტერესების ფარგლებში. ზნეობის ისეთი კატეგორიები, როგორიცაა სამართლიანობა და თანასწორობა მხოლოდ სახელმწიფოს შიგნით შეიძლება განხორციელდეს.

საერთაშორისო ანარქიის პირობებში უზენაესი ზნეობა თვითგადარჩენაა, რაც ეროვნული ინტერესებისა და სახელმწიფო

ინტერესის აღსრულებას ნიშნავს. წესრიგის ინტერესები უპირატესია სამართლიანობისა და თანასწორობის კატეგორიებთან შედარებით, რადგან წესრიგის გარეშე რომელიმე მათგანის განხორციელება შეუძლებელი ხდება.

იდეალისტების აზრით, ზნეობის საკითხში კაცობრიობის ეროვნული ინტერესების მიხედვით დაყოფა მცდარია, რადგან ადამიანებს ერთმანეთის მიმართ ზნეობრივი მოვალეობები როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვრებს მიღმაც აკისრიათ. საზღვრები ზნეობრივ პოზიციებს არ უნდა ცვლიდეს და თუ ეს მაინც ხდება, მიზეზი არსებული საერთაშორისო სისტემის ნაკლოვანებებში უნდა ვეძიოთ. ისეთი საკითხები, როგორიცაა თვითგამორკვევა, ადამიანის უფლებები და უნივერსალური სამართლიანობა, საყოველთაო-საკაცობრიო ხასიათისაა.

ცნობილმა ამერიკელმა გეოპოლიტიკოსმა ნიკოლად სპაიკმენმა თავისი ძირითადი ნაშრომის „ამერიკის სტრატეგია მსოფლიო პოლიტიკაში“ მთელი მსოფლიო პოლიტიკის ამოსავალ თეზისად მიიჩნია შეხედულება, რომ „ძალაუფლებებისათვის ბრძოლა იგივეა, რაც ბრძოლა გადარჩენისათვის“. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოთათვის ძალაუფლებისთვის ბრძოლა სტრატეგიული იმპერატივია და ყოველი სახელმწიფოსათვის გადარჩენა განპირობებულია ძალაუფლებისთვის ბრძოლაში მისი უნართა და მიღწევებით.

ამგვარი შეხედულების ბატონობის პირობებში არც არის გასაკვირი, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისას ზნეობრივი მხარე ყბადაღებულ „ეროვნულ ინტერესებს“ დაექვემდებარა.

რეალიზმმა ზნეობრივ პრინციპებს ანაცვალა სასურველი შედეგი, ხოლო არჩევანს - აუცილებლობა. რეალიზმის პრინციპის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობებში ფსონი იმდენად

მაღალია (სახელმწიფოს ინტერესი, სახელმწიფოს გადარჩენა და ა.შ.), რომ ზნეობას მნიშვნელობა ეკარგება. ანუ უკიდურესი ეგოიზმის, საერთაშორისო ანარქიის, მუდმივი კონფლიქტის ან ომის მოლოდინი, პირველობისათვის თუ უსაფრთხოებისათვის დაუნდობელი ბრძოლა და ა.შ ზნეობრივ ნორმებს ადგილს არ უტოვებს სამყაროში.

ნიკოლო მაკიაველი ამ მხრივ საკმაოდ მკაფიოდ გამოხატავდა რეალიზმის არსს, „სახელმწიფოს ინტერესსგარეთ ნებისმიერი ზნეობრივი იმპერატივები არა მხოლოდ საეჭვო ღირებულებისაა, არამედ ხშირად საზიანოც“. მაკიაველის აზრით, საფრთხის შემთხვევაში, უნდა დაიწყოს პრევენციული ომი, უნდა დაასწრო, არ უნდა იფიქრო არაფერზე გარდა გამარჯვებისა. ამ შეხედულების საუკეთესო მაგალითად მაკიაველი რომის პოლიტიკას მიიჩნევს.

ზნეობრივი პრინციპები ნაკლებად განსაზღვრავენ საგარეო პოლიტიკის საკითხებს. თუმცა საგარეო პოლიტიკაში ზნეობრივი ქმედებები შესაძლებელი და აუცილებელია, მაგრამ არის უკიდურესი შემთხვევები, როდესაც ზნეობრივი ნორმების გამოყენება შეუძლებელია.

სახელმწიფოები უნდა ცდილობდნენ, რომ მათ ხელთ არსებული „პოლიტიკური ინსტრუმენტები“ (ცენტრალური, ორგანიზებული ძალაუფლება და ძალთა წონასწორობა) არ გადაიზარდონ ტირანიასა და ანარქიაში. ეს ინსტრუმენტები ზნეობრივად „კომპრომისულია“, მაგრამ მათი საშუალებით შესაძლოა შედარებითი სამართლიანობის მიღწევა. ინდივიდის მოვალეობაა თავი გადაიჩინოს. ამიტომ, სახელმწიფოთა ქმედებების წმინდა ადამიანური ზნეობრივი კრიტერიუმებით შეფასება მართებული არ იქნებოდა. სახელმწიფო მოღვაწეების მოვალეობაა სახელმწიფო ინტერესების დაცვაა თუნდაც

ზნეობრივ პრინციპებთან კომპრომისი გზით. ამიტომ პოლიტიკაში მარტივ ზნეობრივ შეფასებებზე მაღლა პრაქტიკული მოსაზრებები დგანან.

საერთაშორისო ურთიერთობებში კონსენსუსის მიღწევა ჭირს. სანამ არ იქნება მსოფლიო სავალდებულო სამართალი.

სახელმწიფოს ინტერესები და ზნეობრივი განსჯა ერთმანეთს დაცილებული არ არის. საგარეო პოლიტიკაში არის ისეთი საკითხები, რომლებიც ზნეობრივი ნორმების გამოყენებას მოითხოვს. ასეთია მაგალითად: სამხედრო დანაშაული, ბირთვული შეიარაღება, კოლონიალიზმი, რასობრივი დაპირისპირება, მსოფლიო სიღარიბე და ა.შ. ბევრი მათგანი საერთაშორისო დოკუმენტებშიც აისახება. ზოგიერთი კი, არა მხოლოდ ცალკეული სახელმწიფოების ეროვნულ ინტერესებს განსაზღვრავს, არამედ საფრთხეს უქმნის კაცობრიობის არსებობას. ზნეობრივმა ნორმებმა ეროვნულ ინტერესებში სათანადო ადგილი უნდა დაიკავონ, მაგრამ არ შეიცვალონ ისინი. ჭეშმარიტი სახელმწიფო მოღვაწე არასოდეს ივინყებს პრინციპებს, მაგრამ მოქმედებს შექმნილ ვითარების გათვალისწინებით.

ზნეობრივი ფასეულობები საგარეო პოლიტიკაში ეროვნულ ინტერესებში „შეფუთული“ ხვდება და მათი ფუნქცია ეროვნული ინტერესების გაადამიანება და ქმედებათა მისაღებ სტანდარტებამდე „აყვანაა“, სადაც ეს შესაძლებელია. ნებისმიერი ქვეყანა დანარჩენი მსოფლიოსათვის მისი საგარეო პოლიტიკით ხდება ცნობილი და ამიტომ, ბუნებრივია, უნდა ცდილობდეს უკეთესად გამოიყურებოდეს. თუ ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში მაღალი ზნეობრივი პრინციპებია გაბატონებული, იგივე ნორმების საგარეო პოლიტიკაში შეძლებისდაგვარად გამოყენება მისთვისვეა უკეთესი.

ზნეობრივი კატეგორიები ხშირად გამოიყენება საგარეო პოლიტიკაში წმინდა იდეოლოგიური დანაშაულებით. ამავე დროს უმთავრესი ზნეობრივი ნორმები გავლენას ახდენენ და ზოგჯერ განსაზღვრავენ კიდევ საგარეო პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს. საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლისას ხსენებული ორივე მომენტი არ უნდა დავივიწყოთ.

ზნეობრივი კონფლიქტი რთულ ვითარებას უქმნის საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილეებს, კერძოდ კი გადაწყვეტილების მიმღებს. მე-20 საუკუნის 20-იან და 30-იან წლებში საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე რამდენჯერმე მძვინვარებდა შიმშილი და აშშ-ში გაისმა ხმები, რომ სსრკ-ის მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარება გააძლიერებდა საბჭოთა რეჟიმს, რომელიც თავის იდეოლოგიითა და პრაქტიკული საქმიანობით ეწინააღმდეგებოდა ამერიკელთათვის უმნიშველოვანეს ღირებულებებს: თავისუფლებასა და ადამიანის უფლებებს. ამერიკულ კონტექსტში საბჭოთა კავშირისათვის დახმარებამ ზნეობრივი კონფლიქტის ხასიათი მიიღო. მეორე მსოფლიო ომის მიწურულს, როდესაც გენმანიის, ასევე წყნარი ოკეანის აუზში იაპონიის წინააღმდეგ, გერმანიის ქალაქების გამუდმებით დაბომბვა თავად ამერკელი სამხედროებისათვის ზნეობრივ პრობლემად იქცა. ზოგიერთი ამერიკელი პოლიტიკოსი და სამხედრო ხელმძღვანელი მიიჩნევდა, რომ მშვიდობიანი ქალაქების (მაგ. დრეზდენის) ინტენსიური დაბომბვა მხოლოდ გაზრდიდა სამოქალაქო მოსახლეობაში მსხვერპლს. სამაგიეროდ, სხვების აზრით, გერმანიის ქალაქების ტოტალური მოსპობა დააჩქარებდა გერმანიის დამარცხებას, ბევრ ამერიკელ სამხედროს სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა, ხოლო აშშ მთელ ყურადღებას იაპონიაზე გადაიტანდა და უფრო ეფექტურად შეძლებდა მასთან ბრძოლის გაგრძელებას. იგივე ვითარება შეიქმნა პირველი

ატომური ბომბის გამოყენებასთან დაკავშირებით. მათი გამოყენება ზოგიერთისათვის ზნეობრივად მიუღებელი იყო მაშინაც და დღესაც, მაგრამ ბირთვული იარაღის გამოყენების გადაწყვეტილება აშშ-ია უმაღლესმა ხელმძღვანელობამ მიიღო, რომლისთვისაც ეს გადაწყვეტილება ზნეობრივად გამართლებული იყო, რადგან მისი მოსაზრებით იგი მოაახლოებდა ომის დასასრულს და უჩველებდა აშშ-ია პოტენციურ მოწინააღმდეგეს (სსრკ-ს!), რომ აშშ ამგვარი იარაღს მფლობელია.

გლობალიზაციის პროცესისა და ეკონომიკური ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის, ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავების გამო სახელმწიფოთა სუვერენიტეტი რამდენადმე შეირყა და ისეთმა ცნებამ, როგორიც არის „ეროვნული ინტერესები“, ზოგჯერ რეგიონული და გლობალური განზომილება შეიძინა. მიუხედავად ამისა საერთაშორისო ურთიერთობებში დღესაც ზნეობრივ ნორმებთან შედარებით ინტერესების პრიმატია.

საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში არის ერთ მოვლენა, რომელიც ჰუმანიტარული ჩარევის (ინტერვენციის) სახელით არის ცნობილი და რომელსაც მძლავრი ნორმატიული განზომილება აქვს. უფრო მეტიც, ჰუმანიტარული ჩარევის არსი ადამიანის უფლებათა დაცვაში მდგომარეობს და ამგვარი ჩარევა უმეტესწილას საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი უზენაესი ნორმის - სახელმწიფოთა სუვერენიტეტის საზიანოდ ხდება ხოლმე. XX საუკუნის 80-იანი წლებისათვის ადამიანის უფლებების საკითხმა წმინდა საშინაო, ქვეყნის შიდა პრობლემების რიგიდან საერთაშორისო სამართლებრივ სფეროში გადაინაცვლა. 90-იან წლებში კი გაეროს მიერ სანქციონირებული ჩარევის ახალი ნორმა იქნა დადგენილი. მაშასადამე, შესაძლო ხდება ლეგიტიმურად გამოცხადდეს ჩარევა (ძალის გამოყენება) რომელიმე ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვისა თუ კანონიერი ხელისუფლებისა და

ქვეყნის საშინაო წყობის გარკვეული ფორმების (მაგალითად, დემოკრატიის) მხარდასაჭერად. ჰუმანიტარული ჩარევის მომხრეების აზრით, საერთაშორისო სისტემა იცვლება, იგი ლამის საერთაშორისო საზოგადოებად გადაიქცა და ნორმებს უპარატესობა უნდა მიენიჭოს.

ჰუმანიტარული ჩარევის მიზეზი ხშირად ხდება საკუთარი ინტერესების უზრუნველყოფა და გარკვეული უპირატესობის მოპოვება. ამიტომ, ბევრი ექსპერტი ფიქრობს, რომ ჰუმანიტარული ჩარევის ნიღბით ხშირად სწორედ ზოგიერთ სახელმწიფოებსა თუ კავშირებს საკუთარი მიზნების მიღწევის და არა საერთაშორისო ნორმების აღდგენისა და ხელშეწყობის სურვილი ამოძრავებთ. „ანგარებიანი“ ჩარევის წინააღმდეგ გათვალისწინებულია მრავალმხრივი სანქციის (მაგალითად, გაეროს) აუცილებლობა, ე.ი. ჰუმანიტარული სანქციის ნებართვა ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ (პირველ ყოვლისა, გაერომ) უნდა გასცეს. ამგვარი პრაქტიკა სერიოზულად ზღუდავს საკუთარი ინტერესებისათვის ჩარევის მსურველებს.

ცალმხრივი ჩარევის შემთხვევები ამჟამად საკმაოდ იშვიათია, მაგრამ მაინც არის. 1989 წელს აშშ შეიჭრა პანამაში გენერალ ნორიეგას გადასაყენებლად, ხოლო 90-იან წლებში რუსეთი ჩაერია ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში მიმდინარე კონფლიქტებში (საქართველო, აზერბაიჯანი, მოლდოვა, ტაჯიკეთი). კოსოვოში ჩარევა (1999) ნატოს მიერ გაეროს უშუროების საბჭოს სანქციის გარეშე მოხდა, ხოლო ჰაიტიში აშშ-ის ჩარევა (1994) მხოლოდ ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სანქციით. აშშ-ის ჩარევა ერაყში 2003 წელს მწვავე საერთაშორისო დებატები და ნატოს წევრებს შორის განხეთქილებაც კი მოჰყვა. როცა 1994 წელს ჰაიტიში და 1997 წელს სიერა-ლეონეში კანონიერი დემოკრატიული

რეჟიმების აღსადგენად და 1994 წელს რუანდაში გენოციდის შესაჩერებლად ჰუმანიტარული ჩარევა განხორციელდა, საერთაშორისო საზოგადოებამ ეს დადებითად შეაფასა.

გაეროს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა 1998 წელს აღნიშნა, რომ „გაეროს ქარტია იცავს ხალხების სუვერენულობას. იგი არასოდეს გულისხმობდა მთავრობების მიერ ადამიანის უფლებებისა და ადამიანის ღირსების გათელვას. სუვერენულობა ნიშნავს პასუხისმგებლობას, და არა მხოლოდ ძალაუფლებას“. ეს ნიშნავდა, რომ ადამიანის უფლებათა სისტემატური დარღვევა სახელმწიფოს სუვერენულობის დაქვეითებას გულისხმობდა. როგორც გვახსოვს, ვესტფალიის სისტემაში (ერთსახელმწიფოებისაგან შემდგარი საერთაშორისო სისტემა) ნორმატიული პრინციპიდან ერთი ჩაურევლობა იუყო ანუ სახელმწიფოებს სხვათა საქმეებში ჩარევის უფლება არავითარ შემთხვევაში არ ჰქონდათ. გაეროს მიერ ჰუმანიტარული ჩარევის მიერ სანქციონირება სახელმწიფოთა სუვერენიტეტის დარღვევის ხარჯზე საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში სერიოზულ სიახლედ უნდა მივიჩნიოთ. ჰუმანიტარული ჩარევის პრაქტიკით საერთაშორისო პოლიტიკაში ზნეობრივი ნორმების დამკვიდრების ამგვარი მცდელობა საერთაშორისო საზოგადოების ჩამოყალიბებაში სერიოზულ წვრილად უნდა ვაღიაროთ.

საერთაშორისო ურთიერთობების ეთიკური, ზნეობრივი მხარე უაღრესად მნიშვნელოვან და მეტად რთულ პრობლემას წარმოადგენს როგორც პოლიტიკოსებისთვის, ასევე დარგის მკვლევარებისთვის. საერთაშორისო პოლიტიკა და ზნეობა ადრე ბევრად უფრო დაშორებულნი იყვნენ ერთმანეთს, თუმცა მათ შორის ჰარმონიის მიღწევა არც დღეს მიაჩნიათ შესაძლებლად.

თავი XI

საერთაშორისო წესრიგი

საერთაშორისო წესრიგი

საერთაშორისო წესრიგის პრობლემას ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს საერთაშორისო ურთიერთობებში, ვინაიდან იგი გულისხმობს მსოფლიო არენაზე მოქმედ სოციალურ გაერთიანებებს შორის ურთიერთობების რეგულირებას, ე.ი. საერთაშორისო საზოგადოების შემადგენელ ნაწილებსა და ერთიანი სოციალური ელემენტებს შორის ურთიერთობის შესახებ წარმოდგენას.

საერთაშორისო წესრიგი გვაგონებს ისეთი ურთიერთობის ხასიათს, რომელიც არსებობს ამა თუ იმ შიდასახელმწიფოებრივი საზღვრების ფარგლებში.

თავისი დამახასიათებელი თავისებურებების (ცენტრალური ხელისუფლების უქონლობა, პლურალიზმი, სუვერენიტეტი, ტერიტორიული დაყოფა) დაცვის პირობებში, როდესაც ძლიერები აკეთებენ იმას, რაც სურთ, ხოლო სუსტები იმას, რაც შეუძლიათ და ამავე დროს საერთაშორისო ურთიერთობებში, სადაც ბატონობს ძლიერთა უფლება, კონფლიქტი და ომები, საერთაშორისო წესრიგი შეუძლებელია წარმოდგენილ იქნეს „ბუნებრივი მდგომარეობის სახით“.

საერთაშორისო წესრიგი მით უფრო მნიშვნელოვანია, რადგან საერთაშორისო სისტემა ანარქიული ხასიათისაა. საერთაშორისო ანარქია ნიშნავს სუვერენული სახელმწიფოების ურთიერთობათა ძირეულ სტრუქტურას, რომლის ჩარჩოებში შეიძლება იყოს მრავალნაირი სისტემური ვარიაციები. ვინაიდან საერთაშორისო

სისტემას არ გააჩნია სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი აუცილებელი ორი ელემენტი: **საზოგადოების სოციალური საფუძველი და მთავრობის პოლიტიკური ნება**, საერთაშორისო სისტემას სწორედ ამიტომ უწოდებენ ანარქიულს.

ანარქია არ ნიშნავს ქაოსს, სრულ უწესრიგობას, მაგრამ სუვერენულ სახელმწიფოთაგან შემდგარი საერთაშორისო სისტემა გულისხმობს ძალზე დეცენტრალიზებულ სისტემას, რომელსაც არ ჰყავს ისეთი უზენაესი ხელისუფლება, როგორც სახელმწიფოში მთავრობაა.

საერთაშორისო სისტემა შეიძლება სტრუქტურულად ანარქიული იყოს, მაგრამ სხვადასხვა ხასიათი ჰქონდეს. ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში საერთაშორისო სისტემას განსხვავებული ხასიათი აქვს, მაგრამ იგი ანარქიულია, რადგანაც მისი შემადგენელი ერთეულები სუვერენული სახელმწიფოებია, რომლებიც თავიანთ თავზე მალლა მდგომ პოლიტიკურ ხელისუფლებას არ აღიარებენ და ამგვარი ხელისუფლება არც არსებობს.

სუვერენულ სახელმწიფოთა შორის ანარქიულ ურთიერთობათა პროცესი შეიძლება ქაოსშიც გადაიზარდოს, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასე არ ხდება. ვინაიდან სახელმწიფოთა ურთიერთქმედება, როგორც წესი, გარკვეულ წესრიგს ემორჩილება, თუმცა აღნიშნული წესრიგი შეიძლება სხვადასხვა ხასიათისა და დონისა იყოს.

საერთაშორისო წესრიგის განმარტება

საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის სტრუქტურა ლაგდება სხვადასხვა ძალებს შორის ურთიერთობების საფუძველზე, მაგრამ წესრიგი ყალიბდება ნორმებისა და

ურთიერთანამშრომლობის პრინციპებით მართვადი ინსტიტუტების საშუალებით, და რა თქმა უნდა კანონის ძალით.

საერთაშორისო წესრიგის განსაზღვრების დროს უნდა ამოვიდეთ სოციალური და საზოგადოებრივი წესრიგის დახასიათებიდან. საზოგადოებრივი წესრიგი არის სოციალური ცხოვრების ორგანიზაცია, რომელიც განწყობილია ანარქიის საწინააღმდეგოდ და რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების წევრთა მშვიდობიან თანაარსებობას, როდესაც ადგილი არა აქვს მტრულ მოქმედებას, აჯანყებას, ამბოხებას, ან სხვა ქმედებას, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს ყოველდღიური ნორმალური საზოგადოებრივი ცხოვრება. იგი ამავე დროს, უარყოფს ერთი სოციალური ერთობის სრულ ბატონობას სხვებზე და ქადაგებს პიროვნების თავისუფლებას. **საზოგადოებრივი წესრიგი ეს არის სოციუმის ცხოვრებაში განსაზღვრული ორგანიზაცია, მისი რეგულირება განსაზღვრული ნორმების (სახელმწიფოებრივი, სამართლებრივი) და საერთო (ეროვნული, კულტურული, მორალურ-ეთიკური) ფასეულობების საფუძველზე.**

ამრიგად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში საზოგადოებრივი წესრიგი ნიშნავს სოციალური ცხოვრების იმგვარად აწყობას, რომ შესაძლებელი გახდეს გარკვეული ფასეულობებისა და მიზნების რეალიზება.

„საერთაშორისო წესრიგის ცნება“ შეფარდებითია გლობალურ სოციალურ ერთობასთან, რომელიც შექმნილია მსოფლიო არენაზე მოქმედი სხვადასხვა საზოგადოებრივი სუბიექტების (აქტორების) გაერთიანებით. ზოგადად საერთაშორისო წესრიგი სახელმწიფოთა შორის წესრიგია, რომელიც საშუალებას ქმნის, მიღწეულ იქნეს საერთაშორისო სისტემაში შემავალი სახელმწიფოების უპირველესი და ყველაზე ზოგადი მიზნები.

შესაძლებელია თუ არა საერთაშორისო ურთიერთობებში საზოგადოებრივი წესრიგი, სადაც არ არსებობს ერთიანი ცენტრალური ხელისუფლება და არსებობს სხვადასხვა ურთიერთსაინანაღმდეგო ფასეულობები და ღირებულებები. ასევე, სადაც არ არის ერთიანი უმაღლესი ხელისუფლება, რომელიც განსაზღვრავდა საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილეების სამართლებრივ თუ არასამართლებრივ მოქმედებებს?

ცნობილია, რომ აქ საერთო ფასეულები საკმაოდ სუსტ როლს თამაშობს, ხოლო საერთაშორისო სამართლის ნორმები არსით, ატარებენ არასავალდებულო ხასიათს.

საერთაშორისო წესრიგი სახელმწიფოთა შორის წესრიგია, რომელიც საშუალებას ქმნის, მიღწეულ იქნეს საერთაშორისო სისტემაში შემავალი სახელმწიფოების უპირველესი და ყველაზე ზოგადი მიზნები. პირველი მიზანი თავად საერთაშორისო სისტემის შენარჩუნებაა. მეორე მიზანია მონაწილე სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და სუვერენულობის შენარჩუნება. მესამე მიზანს მშვიდობა და უსაფრთხოება წარმოადგენს. მეოთხე მიზანი ძალადობის შეკავება, შეზღუდვა და ამავე დროს დადგენილი წესების თუ შეთანხმებების პატივისცემაა. საერთაშორისო წესრიგის ფუნქციონირება უმთავრესი პრინციპი და მიზანია, ვინაიდან სხვა შემთვევაში შეუძლებელი იქნებოდა ისედაც ანარქიის პირობებში მყოფი (იგულისხმება ზესახელმწიფოებრივი მმართველობის არარსებობა) სახელმწიფოების ერთმანეთთან ურთიერთობების პრინციპების დანერგვა და შესაბამისად მოქმედება.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის შექმნის მომენტიდან კაცობრიობა მიისწრაფვის მოახდინოს მისი რეგულირება, რომელიც

დაფუძნებულია ერთ მთავარ მოთხოვნაზე – მისი მონაწილეების უსაფრთხოების და სტაბილურობის შენარჩუნებაზე.

რაც უფრო სისტემური ხდება საერთაშორისო ურთიერთობები, მით უფრო მატულობს მოთხოვნილება მისი სამართლებრივი რეგულირებისათვის. ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების და ინსტიტუტების შექმნასა და განმტკიცებაზე, საერთაშორისო ურთიერთობების ცხოვრების სტაბილიზაციის საქმეში მათი როლის გაძლიერებაზე, და ბოლოს თანდათანობით ამ გზით გლობალური საერთაშორისო სისტემის ფორმირებაზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელიც ეხება საერთაშორისო ურთიერთობათა ანალიზს, არ არსებობს საერთაშორისო წესრიგის ერთმნიშვნელოვანი განმარტება. ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ იგი არის იურიდიული ნორმების ერთობლიობა, რომლებიც გამონდინარეობს საერთაშორისო სამართლის ნორმებიდან, მეორენი აქცენტს აკეთებენ საერთაშორისო სტაბილურობაზე, ხოლო მესამენი მას უკავშირებენ საერთაშორისო არენაზე გარკვეული სტატუს ქვოს შენარჩუნებას სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების საფუძველზე.

ამრიგად, საერთაშორისო წესრიგი – ეს საერთაშორისო ურთიერთობათა ისეთი მონყობაა, რომელიც მონოდებულია უზრუნველყოს სახელმწიფოებისა და სხვა ინსტიტუტების ძირითადი მოთხოვნილებები, შექმნას და მხარი დაუჭიროს ისეთ პირობებს, რომელიც უზრუნველყოფს მათ არსებობას, უსაფრთხოებას და განვითარებას.

საერთაშორისო წესრიგის არსი და მნიშვნელობა შეიძლება განხილულ იქნას მისი ფორმების და ფუნქციების ძირითადი საფუძვლების კვალობაზე. ვინაიდან საერთაშორისო წესრიგი

მსოფლიო წესრიგის მნიშვნელოვანი ნაწილია¹, მათ აქვთა საერთო ფესვები და საფუძვლები, რომელიც თავს უყრის საერთაშორისო საზოგადოების ერთობას და უზრუნველყოფს მის ერთიანობას. ასეთ საერთო საფუძვლებად შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო ეკონომიკური გაცვლები, რომელიც საბოლოოდ ერთიან მსოფლიო ბაზრის ფორმირებამდე მიდის; სამეცნიერო ტექნიკური მიღწევები (განსაკუთრებით კომუნიკაციურ სისტემებში, ინფორმაციის და კავშირგაბმულობის საშუალებები); პოლიტიკური სტრუქტურა და ინტერესი; სოციოკულტურული ფასეულობები. ყველა ეს ნიშანი თამაშობდა და თამაშობს არაერთგვაროვან როლს საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბების საქმეში; ისტორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ერთ ერთი მათგანი უფრო წინ გამოდის ხოლო სხვები შედარებით უკან ინაცვლებს ან პირიქით. საერთაშორისო წესრიგის პრობლემის გარკვევაში მნიშვნელოვანია მისი ძირითადი განზომილებების (მახასიათებლების) ანალიზი. მათგან მკვლევარები გამოყოფენ სამ ძირითად სახეს:

1. ჰორიზონტალური;

2. ვერტიკალური;

3. ფუნქციონალური.

საერთაშორისო წესრიგის **ჰორიზონტალური განზომილება** ეს არის საერთაშორისო ურთიერთობებში **მთავრი აქტორების ურთიერთობები**. ამ დროს საერთაშორისო წესრიგს განსაზღვრავს ის გარემოება, რომ საერთაშორისო სისტემა ატარებს **მულტიპოლარული სტრუქტურული ურთიერთობის ხასიათს** და მასში წესრიგის ფუნქციას ასრულებს **პოლიტიკური თანასწოროების მექანიზმი**. რაც შეეხება ბიპოლარულ სისტემას, აქაც ძალთა ბალანსი გვევლინება მთავარ საშუალებად არასტაბილურობის თავიდან ასაცილებლად.

¹ saerTaSoriso wesrigi da msolfio wesrigi erTmaneTisagan gansxvavdeba. saerTaSoriso wsrigi, saxelmwifoTaSoris wesrigia, xolo msolfio wesrigi moicavs agreTve qveynebis SigniT da municipalur doneze wesrigsac.

საერთაშორისო წესრიგის **ვერტიკალური განზომილება** ეს არის საერთაშორისო ურთიერთობებში ურთიერთობა ძლიერ და სუსტ აქტორებს შორის. სწორედ **ძალის ტრიუმფი** გვევლინება საერთაშორისო ურთიერთობათა **იერარქიულ ფარგლებში** ურთიერთობათა რეგულირების მთავარ საშუალებად. რა თქმა უნდა საერთაშორისო ურთიერთობებში ეს წარმოადგენს საერთაშორისო წესრიგის ვერტიკალური განზომილების ტიპიურ დომინირებულ ნიშანს. აქედან გამომდინარე, **ძალადობა ეს მთავარია**, მაგრამ არა ერთადერთი საშუალება ძლიერთა დაცვისათვის.

საერთაშორისო წესრიგის **ფუნქციური განზომილების** საფუძველს შეადგენს ის როლი, რომელსაც საერთაშორისო ცხოვრების სტაბილიზაციაში თამაშობს საერთაშორისო ურთიერთობათა სხვადასხვა მომართულებები – **ნამყვანი აქტორების დიპლომატია და სტრატეგია**, მათ შორის **ეკონომიკური ურთიერთობები, მორალური ფასეულობები და ლიდერთა პოლიტიკური ამბიციები**. ასევე საერთაშორისო ურთიერთობათა კერძო სუბიექტების დეპოლიტიზირებული სფერო (მაგ. საქმიანი ადამიანების ტრანსნაციონალური საზოგადოებები, სწავლულთა ასოციაციები, სპეციალისტები). თუმცა ფუნქციონალური განზომილების მოცემული ასპექტები შეიძლება იყოს როგორც მასტაბილიზერებელი ფაქტორი, რომელიც მხარს უჭერს საერთაშორისო წესრიგს, ასევე შეიძლება იყოს წყარო მისი არასტაბილურობისა და უწესრიგობისა.

ზემოთქმულის მიუხედავად, როგორც მკვლევარები მიუთითებენ, საერთაშორისო წესრიგის მთავარ საშუალებად, აღნიშნული განზომილებების მიუხედავად რჩება **ძალა და უპირველე ყოვლისა სამხედრო ძალა**. თუმცა უკანასკნელ ხანს შეიმჩნევა ამ ტენდენციის ცვლილება.

საერთაშორისო წესრიგის ისტორიული ტიპები

საერთაშორისო წესრიგის დამყარებისაკენ მისწრაფება უკვე ჩნდება სისტემური საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირების დროიდან. როგორც ცნობილია, თანამედროვე საერთაშორისო წესრიგი და თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების სისტემა სათავეს იღებს 1648 წლიდან, როცა ვესტფალიის საზავო ხელშეკრულებამ დასავლეთ ევროპაში დაასრულა ოცდაათწლიანი ომი და ფაქტობრივად სანქცია მისცა რომის საღვთო იმპერიის ბატონობის დასასრულს ევროპის კონტინენტზე. ამიერიდან საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის მთავარ ფორმად, სწორედ **მიიჩნევა ეროვნული სახელმწიფო, ხოლო საერთაშორისო ურთიერთობების დომინირებული პრინციპი ხდება ეროვნული სუვერენიტეტი.**

ვესტფალიის ხელშეკრულების მიზანი იყო ომის შედეგად ძალთა დამოკიდებულების და ეროვნული სახელმწიფოების საზღვრების განმტკიცება. შეექმნა წინააღმდეგობა მათვის, ვინც სხვათა ტერიტორიებზე გაბატონების მისწრაფებას გამოავლენდა. ამრიგად, **საერთაშორისო ურთიერთობებში ეროვნული სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის სამართლებრივი დამკვიდრებით ხდება პოლიტიკური თანასწორობის განმტკიცება.** მისი ძიორითადი მიზანი იყო კომპრომისი სუვერენიტეტის პრინციპსა და საერთო ინტერესების პრინციპებს შორის. ფუნქციონირების მოცემული პროცესი აიძულებდა თითოეულ აქტორს შეეზღუდა თავისი ექსპანსონისტური მისწრაფები, რათა არ აღმოჩენილიყო იმ სიტუაციაში, როცა ამას სხვები აიძულებდნენ. ერთ-ერთი მთავარი საშუალება პოლიტიკური თანასწორობის შენარჩუნება-მხარდაჭერისა იყო ამა თუ იმ სახის კოალიციის შეკვრა, ან გაერთიანება პრინციპით ყველა ერთის წინააღმდეგ, ან როცა ერთი თავისი წინდახედულობით მის ირგვლივ იკრებს მოკავშირეებს _ ბლოკის კოალიციას, რომელშიც

შედიან ისინი, რომლებსაც სურთ შეინარჩუნონ ძალთა არსებული ურთიერთობები. კოალიცია მიმართულია სახელმწიფოს დასაშინებლად, რომელიც ამა თუ იმ ფორმით პოტენციურად არღვევს პოლიტიკურ თანასწორობას. თუ კოალიციის შექმნის ფაქტორი ვერ იმუშავებდა, ვერ დააშინებდა სახელმწიფოს, მისი მიზნის შეზღუდვისათვის მაშინ გარდაუვლად ხდებოდა ლოკალური ომი. ამრიგად, ამ სიტუაციაში ცალმხვრივად ძალის გამოყენება წარმოადგენდა უნესრიგობის წარმოქმნის ფაქტორს, იმდენად, რამდენადაც ძალის კოლექტიური გამოყენება იყო ინსტრუმენტი საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნებისათვის.

შემდეგში **პოლიტიკური თანასწორობის ცნებამ** უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა და **ნიშნავდა**:

1. ძალთა ნებისმიერ განაწილებას;

2. სახელმწიფოს ან სახელმწიფოების ჯგუფის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ერთი რომელიმე სახელმწიფოს გადამეტებული ამბიციების აღკვეთისაკენ;

3. მრავალპორალური ერთობლიობა, სადაც დროდადრო შესახელმწიფოები ქმნიან გაერთიანებებს, ერთ-ერთი მათგანის გადაჭარბებული ამბიციების აღკვეთის მიზნით.

პოლიტიკური თანასწორობის იდეა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო სამართლის პრინციპი არსებობდა 1815 წლამდე, როცა ნაპოლონის დამარცხება და მონარქიის რესტავრაციის დროებითი გამარჯვება ვენის კონგრესზე განმტკიცებულ იქნა „ლეგიტიმიზმის პრინციპით“. იგი **ნიშნავდა მოცემულ სიტუაციაში გამარჯვებულთა მცდელობას აღედგინათ ფეოდალური წესრიგი**. ამის გამო იყო, რომ თანასწორობის მექანიზმი შემდეგისათვის უკვე აღარ გამოყენება წესრიგის მხარდაჭერისათვის.

„ლეგიტიზმი“, რომელიც ამართლებდა ევროპელი მონარქების ინტერვენციას ფეოდალური წესრიგის დანერგვის მიზნით,

დიდხანს ვერ იქნა შენარჩუნებული. უკვე XIX ს. II ნახევარში დაიშალა წმინდა კავშირი, რომელიც შეიქმნა ვენის კონგრესზე, ხოლო XIX ს. ბოლოს ევროპაში ჩამოყალიბდა ორი ურთიერთდაპირისპირებული სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი ანტანტა და სამთა კავშირი, რომლებიც გახდნენ პირველი მსოფლიო ომის გამჩალებელი.

პირველი მსოფლიო ომის მთავრი შედეგი ეს იყო მსოფლიოს გახლეჩა ორ ნაწილად. საბჭოთა კავშირის სახით შეიქმნა თვისობრივად განსხვავებული სოციალურ-პოლიტიკური გაერთიანება. ამის შემდეგ საერთაშორისო წესრიგის ზემოთაღნიშნულ სამ განზომილებას დაემატა კიდევ ერთი – **იდეოლოგიური განზომილება.**

ევროპის და მსოფლიოს გაყოფის შედეგად ჩამოყალიბდა ორი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემა, ორი ურთიერთდაპირისპირებული იდეოლოგიით. ცივი ომის პერიოდში მერყევი სტაბილურობა მათ შორის განპირობებული იყო ბირთვული არსენალით და გამალებული შეიარაღებით. ამ პერიოდში საერთაშორისო წესრიგს განაპირობებდა ბიპოლარული მსოფლიოს სტრუქტურა, რომელიც შენარჩუნებული იქნა XX 80-იანი წლების ბოლომდე.

ამრიგად, მთლიანობაში საერთაშორისო წესრიგის ტიპები, შეიძლება გაიყოს ორ კლასიკურ „მოდელად“ – „**ომის მდგომარეობა**” და „**არასაიმედო მშვიდობა**” ანუ „**წესრიგის დარღვევა**”. პირველის შემთხვევაში საერთაშორისო ურთიერთობათა არსს წარმოადგენს ომი ან მისთვის მზადება. ამ მოდელის მოხრეხები (**თუკიდიდე, მაკიაველი, გობსი, რუსო, კანტი, ჰეგელი**) მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში არ არსებობს ერთიანი გონება, რომელიც მოკლავდა თითოეული აქტორის ამბიციებს, არამედ არსებობს მხოლოდ **ინსტიტუციონალური რაციონალობა, რაც ნიშნავს, რომ ძალის**

საშუალებით მოიძებნოს საუკეთესო საშუალება განსაკუთრებული მიზნის მიღწევისათვის, რომელსაც მივყავართ არა ჰეგემონობამდე არამედ კონფლიქტამდე.

რაც შეეხება მეორე მოდელს, აქ საერთაშორისო ურთიერთობები განიხილება როგორც საშუალება, რომელსაც აქვს ძალა და, რომელიც ხელს უწყობს წესრიგის მინიმუმის გარანტიას. ასეთი ძალები ყალიბდება იმ სახელმწიფოებიდან, რომლებიც ერთიანდებიან მსგავსი ინტერესების საფუძველზე, ხოლო ამგვარ ქმედებას ისინი მიჰყავს საერთო სამართლებრივი ნორმების ჩამოყალიბებამდე.

ამრიგად, საერთაშორისო წესრიგის ისტორიულ ტიპების განიხილვიდან ნათლად ჩანს, რომ იგი ჩამოყალიბებას იწყებს საერთაშორისო ურთიერთობების ფორმირების მომენტიდან. ვესტფალიის საერთაშორისო სისტემაში საერთაშორისო წესრიგის გარანტი ეს იყო პოლიტიკური თანასწორობის იდეა, რომელიც დაფუძნებული იყო ეროვნული სახელმწიფოების ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპზე. ვესტფალის სისტემის დარღვევის შემდეგ, როცა ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობათა ვენის სისტემა, საერთაშორისო წესრიგის გარანტიად მოგვევლინა „ლეგიტიმიზმის“ პრინციპი, რომელიც დაფუძნებული იყო „ნმინდა კავშირის“ საფუძველებზე, და, რომელიც უზრუნველყოფდა ფეოდალურ წესრიგის აღდგენას ევროპაში. მისი შედეგი იყო თუნდაც ის რომ მთელი 40 წლის განმავლობაში ევროპაში შედარებით სიმშვიდე იყო. თუმცა XIX ს. მეორე ნახევარში, და განსაკუთრებით საუკუნის დასარულს ევროპა გაიხლიჩა ორ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკად. მისი კულმინაცია იყო პირველი მსოფლიო ომი. ამ ომის შემდეგ ჩამოყალიბდა საერთაშორისო ურთიერთობების ვერსალი-ვაშინგტონის სისტემა. სამწუხაროდ, ამ სისტემამ ვერ შექმნა ეფექტური საშუალებები, რომელიც უზრუნველყოფდა საერთაშორისო წესრიგს. არადა ერთა ლიგის

შექმნა უპრეცედენტო ფაქტი იყო იმ მხვრივ, რომ მისი ეფექტურად მუშაობის პირობებში შეიძლება მართლაც ჩამოყალიბებულიყო კოლექტიური უსაფართოების სისტემა, რომელიც იქნებოდა საერთაშორისო სტაბილურობის დ მშვიდობის გარანტი. ფაქტობრივად, ვერსალ-ვაშინგტონის სისტემა შეიცავდა იმ საფუძვლებსაც, რამაც ხელი შეუწყო მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებას. ომის შემდგომ ჩამყალიბებული საერთაშორისო ურთიერთობათა იალტა_პოტდესტამის სისტემა დაეფუძნა ბიპოლარული მსოფლიო სტრუქტურას და მან საერთაშორისო წესრიგის თვისობრივად ახალი საშუალებები მოიტანა. ეს იყო ბირთვული პოტენციალი, რაც საბოლოოდ ძალთა სტრუქტურაში გამოიხატა.

თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში წესრიგის უზრუნველყოფა ხორციელდება ძალთა წონასწორობის მექანიზმის, ომისა და საერთაშორისო სამართლის მეშვეობით.

ომის შემდგომი საერთაშორისო წესრიგი

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი საერთაშორისო წესრიგი გამოირჩეოდა ორი არსებული თავისებურებებით:

პირველი, ეს იყო მსოფლიო გაყოფა ორ სოციალურ-პოლიტიკურ სისტემადად, რომლებიც იმყოფებოდნენ პერმანენტული „ცივი ომის“ პირობებში, სადაც ორი ზესახელმწიფო სისტემატურად ახდენდა თავისი სამხედრო შესაძლებლობების გაზრდას. ეს ორი ურთიერთდაპირისპირებული ბლოკი ფაქტობრივად ახდენდა თავისი მდგომარეობის ინსტიტუციონალიზაციას ორ სამხედრო-პოლიტიკურ (ნატო, ვარშავის ხელშეკრულება) და პოლიტიკურ-ეკონომიკურ (ევროპის ეკონომიკური საბჭო, ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო) ორგანიზაციებად.

მეორე, ეს იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შექმნა თავისი სპეციალიზირებული ინსტიტუტებით და არსებობდა უფრო მეტი მისწრაფება, რომ საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირება განხორციელებულიყო საერთაშორისო სამართლის ნორმების საფუძველზე.

გაეროს შექმნა იყო პასუხი იმ არსებული რელობისა, რომ მოხდარიყო საერთაშორისო წესრიგის რეგულირება და დაწყებულიყო საერთაშორისო საზოგადოების ფორმირება, როგორც მისი მართვის სუბიექტი. თუმცა გაეროს უფლებამოსილებაში გარკვეული შეზღუდვები არსებობს, რაც მას არ აძლევს საშუალებას ითამაშოს მშვიდობის და სტაბილურობის უზრუნველყოფის როლი ხალხებს შორის. შედეგად, არსებული საერთაშორისო წესრიგი როგორც წინააღმდეგობრივი და მერყევი ავლენს თავის ძირითად განზომილებებს, რომელიც იწვევს სულ უფრო მეტად მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის დასაბუთებულ შემოქმედებას.

ომის შემდგომი საერთაშორისო წესრიგის ჰორიზონტალური განზომილება ხასიათდება შემდეგი თავისებურებებით:

1. ძალადობის დეცენტრალიზაციით და ცენტრალურ და გლობალურ დონეზე სტაბილურობით. ზესახელმწიფოები პირდაპირ დაპირისპირებაზე ვერ მიდიან, რაც განპირობებული ზესახელმწიფოთა ურთიერთშიშობით. მაგრამ, რეგიონალურ და სუბრეგიონალურ დონეზე არასტაბილურობით (რეგიონალური კონფლიქტები, „მესამე სამყაროს“ ქვეყნებს შორის ლოკალური ომებით, რომელთა უკან უმეტესწილად ზესახელმწიფოები იდგებიან საკუთარი ინტერესებით).

2. გლობალური საერთაშორისო სისტემის და რეგიონალური ქვესისტემების ფრაგმენტაციით. ამ დონეებზე, კონფლიქტებიდან გამოსვლა დამოკიდებულია რეგიონში არსებულ ძალთა თანაფარდობაზე და, იმ შიდა ფაქტორებზე, რომელიც უფრო

მეტად ეხება კონფლიქტის მონაწილეებს, ვიდრე სტრატეგიულ ბირთვულ თანასწორობას.

3. ზესახელმწიფოებს შორის პირდაპირი შეტაკებების გამორიცხვით. თუმცა მათი ადგილი დაიკავა „კრიზისებმა“, რომელთა მიზეზები გამომდინარეობს ერთ-ერთი მათგანის რეგიონში მოქმედებით. იგი განიხილება როგორც მისი სასიცოცხლო ინტერესების ზონა (კუბის კრიზისის), ან რეგიონებში ლოკალურმა ომებმა მესამე სამყაროს ქვეყნებს შორის, რომელიც განიხილება, როგორც სტრატეგიული აუცილებლობა ორივე ზესახელმწიფოსათვის (ახლო აღმოსავლეთის კრიზისი).

4. ზესახელმწიფოებს შორის მოლაპარაკებების შესაძლებლობებით. ხოლო სიტუაციის გარკვევის მიზნით, მათ ხელმძღვანელობით სამხედრო ბლოკების შექმნით, რომელთა გამოჩენის შემდეგ ხდება სტრატეგიულ დონეზე სტაბილურობა. ასევე საერთაშორისო საზოგადოების დაინტერესებულობით ბირთვული საფრთხის და გამალებული შეიარაღების ლიკვიდაციისათვის. თუმცა, გამორიცხული არ იყო, რომ ეს მოლაპარაკებები შეიძლება მწირი შედეგების მომტანი ყოფილიყო.

5. თითოეული ზესახელმწიფოს მისწრაფებით, რომ გლობალური თანასწორობის პირობებში შეენარჩუნებინა ცალმხვრივი უპირატესობა პერიფერიებში. გარდა ამისა, ურთიერთთანხმობით, რომ საკუთარი გავლენის სფეროებად გაყოფილი მსოფლიო შეენარჩუნებინათ.

რაც შეეხება საერთაშორისო წესრიგის ვერტიკალურ განზომილებას, აქ მიუხედავდა დიდი გარღვევისა, რომელიც არსებობდა ზესახელმწიფოს ძალებსა და დანარჩენ მსოფლიოს შორის, მათ გავლენას მესამე სამყაროზე ჰქონდა საზღვრები. სადაც გლობალური იერარქია დამყარდა უფრო მეტად, ვიდრე ადრე. ვინაიდან არსებულ ბიპოლარულ მსოფლიოში ყოველთვის იყო დაცული ზესახელმწიფოს კონტრგავლენის ნებისმიერი

შესაძლებლობა მასზე სუსტი კლიენტისადმი სამხედრო ურთიერთობებში.

მეორეს მხრივ, მოხდა კოლონიური იმპერიის კრახი და წარმოიქმნა ახალი სახელმწიფოები, რომელთა სუვერენიტეტს და უფლებას იცავს გაერო და რეგიონალური ორგანიზაციები.

მესამე, საერთაშორისო საზოგადოებაში ყალიბდება და ფართო გავრცელებას პოულობს ლიბერალურ_დემოკრატიული ღირებულებების შემცველი ახალი მორალური ფასეულობები, რომელთა საფუძველზე განისჯება ძალადობა, განსაკუთრებით სუსტადგანვითრებულ სახელმწიფოებთან მიმართებაში.

მეოთხე, ერთ-ერთი ზესახელმწიფოს მეტისმეტი გავლენა „მესამე სამყაროზე“, ჩარევით მათ საქმეებში, უკვე ქმნიდა პირობებს მეორე ზესახელმწიფოს მხრიდან წინააღმდეგობის განწევს, რაც ფაქტობრივად ლოკალურ კონფლიქტს ქმნიდა.

დაბოლოს მეხუთე, ზესახელმწიფოთა მოცემულმა საერთაშორისო სისტემის ფრაგმენტაციამ, გარკვეულ სახელმწიფოებს რეგიონალურ დონეზე დაუტოვა შესაძლებლობა ჩამოყალიბებულიყვნენ როგორც რეგიონალური ზესახელმწიფოები ფართო, თავისუფალი მანევრირების საფუძველზე.

ომის შემდგომი საერთაშორისო წესრიგის ფუნქციონალური განზომილება ხასიათდება უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოების და მთავრობების მიერ წინა პლანზე ეკონომიკური ღონისძიებების გამოტანა-გააქტიურებით. მის საფუძველს წარმოადგენდა მსოფლიოში მიმდინარე ღრმა სოციალური და ეკონომიკური ცვლილები, და რათქმა უნდა, ადამიანთა მისწრაფება მატერიალური კეთილდღეობის ამალღებისაკენ. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ, აღნიშნულ პერიოდში შექმნა გარკვეული პირობები მსოფლიო არენაზე ისეთი საერთაშორისო აქტორების მოქმედების გააქტიურებისათვის როგორც არის

არასამთვრობო ტრანსნაციონალური ორგანიზაციები და გაერთიანებები.

და ბოლოს, მთელი რიგი ობიექტური ძალების მიზეზით (რასიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ადამიანთა მისწრაფებას ცხოვრების დონის ამაღლებისაკენ და დაკაშირებულია საერთაშორისო სტრატეგიულ-დიპლომატიურ ურთიერთობებში პირველ ადგილზე სახელმწიფოს ეკონომიკური მიზნის გამოჩენასთან) შესამჩნევად იზრდება მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილების ურთიერთამოკიდებულების ხარისხი.

თუმცა, ცივი ომის პერიოდში საერთაშორისო წესრიგის იდეოლოგიური განზომილების დონეზე ამ ურთიერთამოკიდებულებამ ვერ მიიღო ადექვატური გამოძახილი. რაც განპირობებული იყო ერთი მხრივ, „სოციალისტური ღირებულებისა და იდეალების“, „კაპიტალისტურთან“ დაპირისპირებით, და მეორე მხრივ, ცხოვრების საფუძველი და გამოხატულება „თავისუფალი სამყაროს“ და „ბოროტების იმპერიას“ შორის არსებითად განსხვავდებოდა, და ბოლოს, ამ წინააღმდეგობებმა 80-იანი წლების შუა ხანებში მიაღწია ფსიქოლოგიურ ომის მდგომარეობას ორ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სისტემას შორის (ა.შ.შ. და საბჭოთა კავშირს შორის).

მიუხედავად ძალის გამოყენებისა რეგიონალურ და სუბრეგიონალურ დონეზე, „საშუალო“ და „მცირე“ სახელმწიფოების Aშეზღუდული შესაძლებლობებით ზესახელმწიფოებმა მიაღწიეს დაეცვათ გლობალური უსაფრთხოება და თვითონ ეკონტროლებინათ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შექმნილი საერთაშორისო წესრიგი. მაგრამ ის ცვლილებები, რომელიც მოხდა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში, მიუთითებდა იმ ფაქტზე, რომ უკვე 80-იანი წლებში იგი გადაიქცა საზოგადოების განვითარების მუხრუჭად, საშიშ დაბრკოლებად მის გზაზე.

კაცობრიობისათვის განსაკუთრებით მძიმე შედეგების მომტანი იყო ორი სისტემის შეჯიბრი გამალებულ შეიარაღებაში. იგი ნთქავდა უზარმაზარ მატერიალურ რესურსებს, რომელთა გამოყენება შეიძლებოდა მიმართულიყო მსოფლიო სიღარიბის დაძლევისაკენ.

ამრიგად, ომის შემდგომ მსოფლიოში შექმნილი საერთაშორისო წესრიგი ადექვატური იყო იმ რელობისა, რომელიც არსებობდა ბიპოლარული მსოფლიო სახით. მართალია, ამ პერიოდში არსებული ორი ურთიერთდაპირისპირებული სამხედრო-პოლიტიკური ბანაკი მუდმივად იმყოფებოდა კონფლიქტური კრიზისების ზღვარზე, მაგრამ ეს დაპირისპირება არ მისულა გლობალურ კონფრონტაციამდე.

საერთაშორისო ურთიერთობათა იალტა-პოტსდამის სისტემის ერთ-ერთი თავისებურება სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მან ფაქტობრივად გამოორიცხა მსოფლიო კონფლიქტის რეალურობა, რაც რათქმა უნდა ახლად ფორმირებული ძალთა ბალანსის სისტემის უდიდესი დამსახურებაც იყო.

საერთაშორისო წესრიგის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე

ახალი საერთაშორისო წესრიგის იდეამ, რომელმაც მიიღო სხვადასხვა კონცეპტუალური ფორმა, შეიძლება ჩამოყალიბდეს ორი ძირითად მიმართულებად – პოლიტიკური (სადაც აქცენტი სამართლებრივ პრინციპზე კეთდება) და სოციოლოგიური.

პოლიტიკური მიმართულების მომხრეთა ერთი ჯგუფი გამოდის მსოფლიოს უმაღლესი მართვის ობიექტური მოთხოვნილებებიდან და ამ მიზნის მიღწევისათვის ფუნდამენტს ხედავენ არსებულ ინტეგრაციულ პროცესებში. მიუთითებენ რა

საერთაშორისო სისტემის შექმნის აუცილებლობაზე, რომელიც დაეფუძნება კანონიერებას, ისინი აღნიშნავენ, რომ გაიზრდება საერთაშორისო სამართლის სფეროს როლი და საერთაშორისო ინსტიტუტების მნიშვნელობა. ამიტომ მიიჩნევენ, რომ საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბებაში წამყვანი ადგილი უჭირავს საერთაშორისო ორგანიზაციებს გაეროს ხელმძღვანელობით, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს როგორც მომავალი მსოფლიო მთავრობის ჩანასახი.

პოლიტიკური მიმართულებების მომხრების მეორე ჯგუფი, საერთაშორისო ინსტიტუტების, რომლებიც მართავენ საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობებს, შექმნას განიხილავენ როგორც გზას შორეულ მომავალში პლანეტარული მთავრობის ფორმირებისაკენ. ისინი ამ პროცესის განვითარების საფუძვლად ხედავენ იმ რეგიონალურ ძვრებში, რომლებიც ითამაშებენ კატალიზატორის როლს და ხელს შეუწყობენ ასეთი ინსტიტუტების შექმნის დაჩქარებას. თვლიან რომ ინტეგრაციული პროცესების ინსტიტუციონალიზაცია და მხარდაჭერა, არა მარტო ევროპაში არამედ აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში, ლათინურ ამერიკაში, აფრიკაში, საფუძველს იძლევა შეიქმნას ეფექტური ფუნქციონალური მსოფლიო ფედერაცია გაეროს ეგიდით.

რეგიონალური მიდგომის ზოგიერთი მომხრე, რომლებიც ინტეგრაციულ კავშირებში (ურთიერთდაახლოების ტენდენციით) ხედავს მომავალი კონფედერაციული სახელმწიფოს ჩანასახს, თვლიან რომ გაერო ვერ შეუწყობს ხელს ამ პროცესებს. რაშიც მას ხელს უშლის საერთაშორისო სამართლის ის ნორმები, რომელიც საქმის არსით, ადვილდა დარღვევადია. ამიტომ მიიჩნევენ, რომ გაეროს ადგილზე აუცილებელია პრინციპულად ახალი სახელმწიფოების სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს მსოფლიო

არენაზე საერთო ინტერესების განხორციელების უზრუნველყოფას.

პოლიტიკური მომართულების მომხრეთა კიდევ ერთი ჯგუფის აზრით ახალი ეფექტური საერთაშორისო წესრიგის შექმნისათვის აუცილებელია არ გლობალური მთავრობა, რომლისთვისაც მზად არ არიან არც სახელმწიფოები და არც ხალხები, არამედ ცენტრალური წამყვანი სახელმწიფოების ჯგუფიდან (ამერიკა, იაპონია, ევროპის ქვეყნები, რუსეთი, ჩინეთი) პოლიტიკური მართვა, რომლებიც თავის მხრივ ჩამოაყალიბებენ მსოფლიოს გენერალურ კომიტეტს. მეორეს მხრივ, ანალოგიური როლი შეიძლება ითამაშონ რეგიონალურმა სახელმწიფოებმაც მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში.

არანაკლებ განსხვავებულია შეხედულება მსოფლიო წესრიგის პრობლემის შესახებ **სოციოლოგიური მიმართულებაშიც**. ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ მსოფლიო წესრიგის დამყარება შეიძლება მოხდეს **სოციალური სტრუქტურების კონვერგენციის შედეგად, ორი ტიპის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სახესხვაობის დამსხვრევის და კლასობრივი ანტაგონიზმის მოსპობის საფუძველზე**. თვლიან რა რომ სწორედ ამ გზით შეიძლება მივიდეთ ერთიანი ცივილიზაციის ფორმამდე, ისინი ამავე დროს საკმაოდ სკეპტიკურად არიან განწყობილი იმ ფაქტზე, რომ შესძლებელია შეიქმნას კაცობრიობის ერთიანი მართვის ცენტრი. ამ მიდგომის ერთ-ერთი მონხრე **ა. ბოვინი** მიუთითებს, რომ მყარი მუდმივი ინტერესების ბალანსის არ არსებობა არ იძლევა საშუალებას ვთქვათ ახლო მომავალში მსოფლიო საზოგადოების წევრები მოახდენენ საკუთარი სუვერენიტეტის უფლებების დელეგირებას რაიმე მსოფლიო ცენტრისადმი.

სოციოლოგიური მიდგომის **მეორე ჯგუფი თვლის**, რომ დღეს არსებობს არა მხოლოდ ობიექტური მოთხოვნილება, არამედ

წინაპირობებიც რათა გადავიდეთ **ნუთიერი გადანყვეტილების მიღების ამჟამინდელი პოლიტიკიდან და მოვლენებზე ხშირად პასიური რეაგირების პოზიციიდან, ბევრად უფრო თანმიმდევრულ და საიმედო მშვიდობის მხარდამჭერ სისტემაზე.** მსოფლიო პრობლემების გლობალური ხასითიდან გამომდინარე მათი რეგულირება მოითხოვს **ახალი ტიპის სახელმძღვანელო ცენტრის შექმნას.** უკვე არსებული მსოფლიო მთავრობის იდეა და მის საფუძვლად გაეროს მიჩნევა, მათი აზრით, დღეს უნდა პასუხობდეს არა მხოლოდ მთავრობების მოთხოვნებს, არამედ ხალხების მზარდ მოლოდინსაც. დღეისათვის საერთაშორისო ურთიერთობათა კერძო და არასამთავრობო აქტორების როლის არაჩვეულებრივი ზრდა, მყისიერად ზრდის არასამთავრობო საფუძველზე თანამშრომლობის განვითარების მოთხოვნილებასაც. გაერო და სხვა არსებული საერთაშორისო ორგანიზაციები უკვე ასრულებენ არა მხოლოდ პოლიტიკურ ფუნქციებს, არამედ პრაქტიკულ კავშირებს ადამიანთა მოქმედების ყველა დარგთან მიმართებითაც. სამომავლოდ ეს როლი კიდევ უნდა გაიზარდოს, ვინაიდან ბევრი საერთაშორისო პროგრამის გადწყვეტის უზრუნველყოფის წყარო **არასამთავრობო სექტორია.**

ამრიგად, თუ დავუკვირდებით, ამ ორი მიმართულებას მათ შორის თვისობრივად ბევრი მსგავსებაც არის. ერთი რამ ცხადია საერთაშორისო ორგანიზაციების როლი უცილობლად მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ ამ პროცესში. ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მიმართულების შეხედულებებს აქვს პირობითი ხასით. ასევე არ შეიძლება მათ შორის არსებული სხვაობის აბსოლუტიზირება, ვინაიდან ის შეფარდებითია. პოლიტიკური მიმართულების მომხრეები არ უარყოფენ სოციალური ფაქტორების როლს ახალ მსოფლიო წესრიგში და არც სოციოლოგიური მიმართულების მომხრეები უკეთებენ

იგნორირებას პოლიტიკურ ფაქტორებს. საქმე ეხება მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ერთნი გამოდიან სახელმწიფოთაშორის პოლიტიკური ურთიერთობების უპირატესობით და ამის საფუძველზე გაიაზრებენ სოციალურ და სხვა ფაქტორებს, ხოლო მეორენი პოლიტიკური პროცესების ანალიზის და საერთაშორისო ურთიერთობების სტრუქტურას აგებენ სოციალური ტენდენციების გამოკვლევებზე. ვინაიდან თვლიან რომ სოციოლოგიური მიდგომა ბევრად უფრო მისაღებია, რადგან მასში ბევრად უფრო ჩანს ანალიზის იდეოლოგიზაცია. ის უფრო ფართოა, რაც იძლევა პოლიტიკური ანალიზის ინტეგრირების შესაძლებლობას, და რაც მთავრია იგი საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნეს არა მარტო სახელმწიფოების და პოლიტიკური ინსტიტუტებუს ინტერესები, არამედ სოციალური ჯგუფების და კონკრეტული ინდივიდებისაც კი.

მიიჩნევენ, რომ სწორედ სოციოლოგიური მიდგომით შეიძლება მოიძებნოს გზა მსოფლიო წესრიგის ცენტრალური პრობლემის – საერთო მსოფლიო პასუხისმგებლობისა და ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს შორის ურთიერთობის საკითხის გადაწყვეტასათვის. სუვერენიტეტის „წმინდა“ პრინციპი ამ პოზიციიდან სულ სხვაგვარად გამოიყურება, რაც საშუალებას იძლევა დავინახოთ, რომ ეროვნული სუვერენიტეტის „თავშეუკავებლად“ გამოყენება ძალიან ხშირად მიდის ძალისმიერ შოკამდე, რაც ნიშნავს ბუნებრივი რესურსების უთავბოლო ექსპლუატაციას, ისე რომ არ ხდება ზრუნვა მომავალ თაობებზე და ეკონომიკურ სისტემებზე, რაც ხელს არ უწყობს „ბუნებრივი სამართლიანობის“ განხორციელებას მდიდარ „განვითრებულ მსოფლიოს“ და ღარიბ „მესამე სამყაროს“ ქვეყნებს შორის ურთიერთობებში.

გაეროს ნაკლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ის რჩება ორგანიზატორის როლში „სუვერენიტეტების დიპლომატიას“

შორის. ამავე დროს, გაეროს და მისი სპეციალიზირებული ინსტიტუტების არსებობის ფაქტი მოწმობს იმის მცდელობას, რომ სახელმწიფოებმა თავისი სუვერენიტეტის ნაწილი გადასცენ საერთო ცენტრს იმ ამოცანების გადაჭრისათვის, რომელიც შედის მათ საერთო ინტერესებში. ამგვარი „გადაცემები“ სამომავლოდ კიდევ უფრო გაიზრდება. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია, რომ მიმდინარე ისტორიული პერიოდი ეს არის გარდამავალი საფეხური ახალი საერთაშორისო წესრიგისაკენ. მას დაარეგულირებს ინსტიტუტები, რომელთა სამართლებრივი კანონები დაფუძნებული იქნება საერთაშორისო ურთიერთობათა ყველა მონაწილის მუდმივად მზარდი სუვერენიტეტის ნებაყოფილობით ჩამორთმეულ წილზე.

ინტეგრირებულ პოლიტიკურ ანალიზზე ორიენტირებული სოციოლოგიური მიდგომა შესაძლებლობას იძლევა საერთაშორისო წესრიგის პრობლემა დავინახოთ როგორც ერთი მთლიანობა, რაც საშუალებას იძლევა მისი ფუძე დავინახოთ სისტემის განსაზღვრული ფაქტორების სახით, სადაც სოციოკულტურული ხასიათის ფაქტორებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავას. ასეთი სისტემის ელემენტებად გველინება მბრძანებლობის მიმართვა, საერთაშორისო აქტორების ინტერესები და თანხმობა, ასევე შესაბამისი მექანიზმების არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს საერთაშორისო წესრიგის ფუნქციონირებას და მის ფარგლებში წარმოქმნილი კრიზისების და წინააღმდეგობების რეგულირებას. ამიტომ პირველი ელემენტის როლი, რომელიც ვლინდება მსოფლიო არენაზე სახელმწიფოების სამხედრო-ძალისმიერ ურთიერთობებში, (და რომელიც მოწყობილია იერარქიულ პრინციპზე) დღეისათვის არსებითად იცვლება, მცირდება, თუმცა ბოლომდე არ ქრება. ამ თვალსაზრისით საერთაშორისო წესრიგის ამჟამინდელი ეტაპი არ შეიძლება იყოს შეზღუდული რაოდენების სახელმწიფოების სისტემური ურთიერთობა (რომლებსაც

მსოფლიოში სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით გაბატონებული მდგომარეობა უჭირავთ) დანარჩენ ქვეყნებთან მიმართებით. მეორეს მხრივ, იზრდება ახალი ტექნოლოგიების როლი და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური განვითარების დონე ზრდის ამა თუ იმ სახელმწიფოს როლსა და შესაძლებლობებს გავლენა მოახდინოს საერთაშორისო საქმეებში თავისი ეროვნული ინტერესების შესაბამისად. **ამდენად ეს ორი იერარქიული ასპექტი-სამხედრო-ძალოვანი და ეკონომიკური განაპირობებს საერთაშორისო აქტორების არათანაბარ დონეს. ასეთი ორი იერარქიული სახის არსებობა და მასთან დაკავშირებული სხვადასხვა საერთაშორისო აქტორების მოტივაციები არის ამჟამინდელი საერთაშორისო წესრიგის არსებითი თვისება.**

შესამჩნევად იცვლება საერთაშორისო წესრიგის მეორე ელემენტიც, რომელიც ასევე დაკავშირებულია აქტორების ინტერსებთან:

პირველი, მიმდინარეობს საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო აქტორების ეროვნული ინტერესების სტრუქტურული გარდაქმნა. პირველ ადგილზე ინაცვლებს ქვეყნის ეკონომიკური აყვავების და მატერიალურ კეთილდღეობასთან დაკავშირებული ინტერესები. ეროვნული ინტერესების ეკონომიკურ კომპონენტს, ერთის მხრივ, განაპირობებს არა მარტო ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, არამედ ეს არის სახელმწიფოს პრესტიჟისა და ავტორიტეტის² საკითხიც – სახელმწიფოს პასუხი ახალ საგარეო პოლიტიკურ გამოწვევაზე, მის ადგილზე საერთაშორისო იერარქიაში.

² saerTaSoriso urTierTobebSi prestiJs didi mniSvneloba aqvs, radgan, Tu romelime saxelmwifos Zliereba aRiarebulia, mas SeuZlia sakuTar miznebs miaRwios Zalis gamoyenebis gareSec, vinaidan igi Zalaulfebis, Zlierebis maCvenebeli da, garkveulwilad, misi funqciuri equivalentia. saxelmwifos prestiJi gamomdinareobs maTi realuri an warmosaxuli ekonomikuri da samxedro Zlierebidan. Zala Zliereba saxelmwifos ekonomikur, samxedro da sxv saxis SesaZleblobas asaxavs.

მეორე, არასახელმწიფოებრივი აქტორების როლის გაძლიერებას თან ახლავს სახელმწიფოს კონტროლის შემცირება მსოფლიო ეკონომიკურ ცხოვრებაზე და რესურსების განკარგვაზე. უკანასკნელთა ინტერესები ხშირად არ არის დაკავშირებული სახელმწიფოს ინტერესებთან, ან კიდევ შეიძლება აჭარბებდეს მათ. ეროვნულ ინტერესებთან მათ წინააღმდეგობას ასევე ემატება მათთან სრულიად შეუსაბამო ტრანსნაციონალური კორპორაციების, ბანკების, ასოციაციების და სხვა არასახელმწიფოებრივი აქტორების ინტერესების წინააღმდეგობაც.

რაც შეეხება საერთაშორისო წესრიგის მესამე ელემენტს – **ონხმობის მიმართვა** – იგი უპირველეს ყოვლისა გულისხმობს იმას რომ ნებისმიერი წესრიგი შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როცა აქტორები ნებაყოფილობით უერთდებიან მასში არსებულ ნორმებს და პრინციპებს. თავის მხრივ ეს შესაძლებელია მხოლოდ მათვის საერთო ფასეულობების მიმართ გარკვეული თანხვედრი ინტერესების პირობებში, რომელიც ასევე აიძულებს აქტორებს იმოქმედონ განსაზღვრულ ჩარჩოებში.

და ბოლოს, რაც შეხება საერთაშორისო წესრიგის მეოთხე ელემენტს – **მექანიზმებს**, რომლებიც უზრუნველყოფენ მის ფუნქციონირებას, სშუალებას იძლევიან დაარეგულირონ წარმოქმნილი კრიზისები და წინააღმდეგობები. ცნობილია რომ დღეისათვის ასეთ მექანიზმებად გვევლინება მორალური და სამართლებრივი ნორმები, რომელიც ძირითადად ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. მაგრამ, აქვე უნდა აღვნიშნოს რომ მსგავსი მექანიზმის ფუნქციას ასრულებს საერთაშორისო გავლენების და კომუნიკაციების როლის გაზრდაც. საერთაშორისო კომუნიკაცია თავისთავად წარმოადგენს არხების საკმაოდ ფართო ქსელს საერთაშორისო აქტორების ურთიერთობებისათვის, რომელიც მუდმივად ვითარდება და იძენს ბევრად უფრო რთულ ხასიათს. დღეისათვის იგი წარმოდგენილია

ერთის მხრივ, ტრადიციული, ოფიციალური, ინსტიტუციონალური და არაინსტიტუციონალური არხების ურთიერთობების სახით. ხოლო მეორეს მხრივ, ოფიციალურ ინსტანციებსა და საზოგადოებრივ აზრებს შორის ურთიერთობებით, რომელიც ახდენს მზარდ გავლენას სამართლებრივ რეჟიმებზე, დიპლომატიურ უწყებებზე და აშ. და ბოლოს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თვითმყოფადი განუსაზღვრელი როლით, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების არხების, რომლებიც გავლენას ახდენს საერთაშორისო წესრიგზე. თითოეულ ზემოთდასახელებულ არხს თავისი როლი აკისრია საერთაშორისო წესრიგის შენარჩუნებაში.

როგორც ისტორიულად დასტურდება, საერთაშორისო წესრიგის ერთი ტიპის დანერგვა და მეორის შეცვლა ხდება მასშტაბური ომების და რევოლუციების შედეგად. თანამედროვე პერიოდის საერთაშორისო წესრიგის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო წესრიგის კრახი, რომელიც არსებობდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, განხორციელდა და მოხდა მშვიდობიანი სურვილით. ამსთან არსებული საერთაშორისო წესრიგის სამშვიდობო ხასითი, საკმაოდ უარყოფითი იყო, რადგან მან ვერ გამოიციხა მრავალრიცხიანი რეგიონალური შეიარაღებული კონფლიქტები და ომები.

მუდმივად არსებული დაპირისპირება ორ ბლოკს შორის, რომელიც გამოხატული იყო „ცივი ომით“, მისი დასრულების შემდეგ აღინიშნა მსხვილმასშტაბიანი გეოპოლიტიკური ძვრებით, როგორცაა:

პირველი, მთავრი მოწინააღმდეგის „დაკარგვით“ მოხდა როგორც „გამარჯვებული“ ისე დამარცხებული “ მხარეების დეზორიენტაცია;

მეორე, ძალების, კოალიციების, კავშირების გადაჯგუფებით; მესამე, ძველი იდეოლოგიური სტერეოტიპების შეცვლით;

მეოთხე, პოლიტიკური რეჟიმების შეცვლით;

მეხუთე, ახალი სახელმწიფოების წარმოქმნით;

მეექვსე, მოხდა საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის ძირფესვიანი ტრანსფორმაცია, რომელსაც თან ახლავს პოლიტიკური ექსტრემიზმის და აგრესიული ნაციონალიზმის გამოვლენა, რელიგიური შეუთავსებლობა. ნაციონალურ-ეთნიკურ³ და კონფესიურ საფუძველზე წარმოქმნილი კონფლიქტების გაზრდა და მიგრაციული პროცესები გააქტიურება.

საერთაშორისო სისტემის დესტაბილიზაცია მეტყველებს, რომ კაცობრიობა იმყოფება მისი განვითარების გარდამტეხ ეტაპზე. გადარჩენის ობიექტური იმპერატივები, უსაფრთხოება და განვითარება თავისთავად მოითხოვს ახალ ბევრად საიმედო წესრიგის განვითარებას, რომელიც შესაბამისობაში იქნება ახლა ტენდენციებთან.

რთულია ზუსტი განჭვრეტა იმისა თუ როგორი იქნება მომავალი საერთაშორისო წესრიგი, მაგრამ ცხადია ის გარემოება, რომ მსოფლიოს გლობალიზაცია, გლობალური პრობლემები, ინტეგრაციული პროცესები გარკვეულ როლს ითამაშებს ამ პროცესებში და ამ გლობალური ტენდენციების გათვალისწინებით შეიძლება იმის თქმა რომ საერთაშორისო წესრიგი იქნება გლობალური, რომელიც დაეფუძნება ერთიან მოთხოვნებს.

³ rogorc mkvlevarebis samarTlianad aRniSnaven, saerTaSoriso sistemaSi wesrigis SenarCunebis problemis erT erTi metad aqtualuri samadgeneli elementia erTa TviTgamorkvevis principis cxovrebaSi damkvidreba. saerTaSoriso samarTlis normebis Tanaxmad, yovelis saxelmwifo suverenulia Tavis uflebebSi. Tumca igive samarTali TviTgamorkvevis uflebas aniWebs erebs da xalxebs. aqedan gamomdinare erTa TviTgamorkvevis principi pirpir ewinaaRmdegeba saxelmwifoTa suverenuli mTlianobis saerTaSoriso samarTlis normas da Tanamedrove etapze ukve sakmaod xSirad gevlineba suverenul saxelmwifoTa fragmentaciis da daSlis mZlavr faqtorad. saerTaSoriso sistemaSi stabilurobas da garkveul wesrigs Tuki raime uqmnis safrTxes es swored erTa TviTgamorkvevis principia. dedamiwaze ramdenime aTasi sxvadsxva xalxi cxovrobs da Tu maTi garkveuli nawili eTnikur safuZvelze sakuTari saxelmwifos seqmnas seudgeba aRniSnuli TviTgamorkvevis principis safuZvelze, saerTaSoriso politikuri da ekonomikuri sistemebi amas ver gauZleben, adgili eqneba politikur da ekonomikur kataklizmebs romelebic garkveul disonas Seitans saerTaSoriso wesrigis stabilurobaSi.

გადაწყვეტილების მიღება და საერთაშორისო წესრიგი

საერთაშორისო წესრიგი განსაზღვრავს მის მონაწილეთა შორის ურთიერთობების სახეს, წესებს, მოქმედების შიდა ლოგიკას, მონაწილეთა მოლოდინებსა და მათ აღქმას, ამა თუ იმ მოვლენისა თუ გადაწყვეტილებების შეფასებას. საერთაშორისო წესრიგის სახე და საერთაშორისო სისტემა განსაზღვრავს მონაწილეთა მიერ გადაწყვეტილებების მიღების შინაარსს და მოქმედებებს. ისტორიის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ამგვარი პროცედურები განსხვავებული იყო, თუმცა ეს განსხვავება, ღრმა ხასიათს არ ატარებდა. თუ უძველესი პერიოდიდან მე-20 საუკუნემდე საერთაშორისო პოლიტიკაში დომინირებდა რეალისტური ხედვა, რომლიც გულისხმობდა სახელმწიფოების მხრიდან ძალთა ბალანსის შენარჩუნების აუცილობლობასა და მის გამყარებას, თუ ყოველი სამეფო ან სახელმწიფო ცდილობდა შედარებითი უპირატესობის მიღწევის გზით საკუთარი უსაფრთხოების გარანტირებასა და შესაძლებლობის შემთხვევაში გაბატონებასაც კი, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ახალმა ძალამ – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მსოფლიოს შესტავაზა სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების სრულიად ახალი კონცეფცია – იდეალიზმი, რომელიც ეფუძნებოდა ძირითადად მორალს, რაც ევროპული პოლიტიკიდან დიდი ხნის წინ იყო გამოდევნილი და ალტრუისტული ქმედებებისაკენ მოუწოდებდა დიდ ძალებს. ევროპაც დაეთანხმა იდეალისტურ პრინციპებზე დამყარებული საერთაშორისო ორგანიზაციის – ერთა ლიგის შექმნას. ერთა ლიგამ, სამწუხაროდ, ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა – ვერ შეინარჩუნა მსოფლიო მშვიდობა და საბოლოოდ მისი ფორმალური არსებობა დასრულდა ახალი მსოფლიო ომით. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კი ერთა ლიგას ჩაენაცვლა ახალი

გლობალური საერთაშორისო ორგანიზაცია, გაერო რომელიც საერთო მიზნებსა და გადანყვეტილებების უმრავლესობის პრინციპებით მიღებაზეა დამყარებული. გაეროს წესდებამ ახალი ძალა შთაბერა საერთაშორისო სამართლის განვითარებას. საერთაშორისო სამართალი დღესდღეობით არის მოქმედების ის ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც მოქმედებენ სახელმწიფოები, თუმცა საკითხავია, თუ ვის ინტერესებს ემსახურება ეს „საერთაშორისო სამართალი“ – პატარა სუსტი სახელმწიფოებისა თუ დიდი ძალების?

თანამედროვე ეპოქაში გადანყვეტილებების მიღება ყველა სახელმწიფოს მხრიდან ხდება საერთაშორისო სამართალზე დაყრდნობით, მისგან გადახვევა დევიანტურ ქმედებად ითვლება და სერიოზულ გამოხმაურებას იწვევს საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან, თუმცა ამ გამოხმაურების სახე და ხასიათი დამოკიდებულია სამართალდამრღვევი ქვეყნის ძალასა და წონაზე საერთაშორისო სისტემაში და ასევე, სამართლისდამცველი და დანაშაულის აღმკვეთი ქვეყნის ინტერესზე ამ საკითხის მიმართ.

საერთაშორისო ურთიერთობებში გადანყვეტილებების მიღების ლოგიკა: ის დამყარებულია საერთაშორისო სამართალზე, თუმცა ამ სამართლის ინტერპრეტირება ნებისმიერი ფორმითაა შესაძლებელი და ამის უფლება მხოლოდ დიდ ძალებს შესწევთ, მცირე ძალები მოქმედებენ საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაძლო განხორციელების გზით საერთაშორისო სამართლის მიერ დადგენილი ნორმების ფარგლებში და მათთვის მისი ინტერპრეტირება არაა ხელმისაწვდომი.

